უაკ (UDC) 894. 341-31
ა394

ცნობილი თანამედროვე ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის რომანში „საქონდაქრე“ (რუსულად „Плаха“) მძაფრადაა დასმული სადღეისო საშინაბორიტო საკითხები. რომანი კატაბრიობის დღევანდელი თუ ხვალინდელი საფრთხის გასასაჩინოებლად შემოკრული ზარია და, ამ საზრისით, სულისშემძვრელი.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანის ქართული სათაური (რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც რუსული) მრავლისმეტყველია და საკმაო ფიქრებს აღუძრავს მკითხველს (სულხან-საბას განმარტებით „საქონდაქრე“ გახლავთ „ხორცთ საკაფავი, გინა თავის მოსაკუეთელი“, ხოლო „ქონდაქარი“ - „მკვლელობის მოხელე“).

ქართველი მკითხველისათვის ჩინგიზ აიტმატოვის რომანი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში ჩართულია ქართულ თემაზე დაწერილი ბრწყინვალე მოთხრობა „ექვსი და მეშვიდე“.

რომანი პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე (ჟურნალი „Новый мир“, 1986 წ. №№6, 7, 8), ხოლო ქართულ ენაზე დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“ (1988 წ. №№3,4. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ). ამჟამად მთარგმნელი წიგნად სთავაზობს ქართველ მკითხველს ამ რომანს.

თარგმნა
აკაკი ბრეგაძემ

რედაქტორი
ნათელა ჯოლოხავა

მხატვარი
კარლო ფაჩულია

იბეჭდება მთარგმნელის ხარჯით

© თარგმანი
ISBN 99940-801-7-2

გზა აქაბისა და აბდიასი
ანუ
ხვალინდელი დღე დღევანდელობაში

ჩინგიზ აიტმატოვის „საქონდაქრე“ („Плаха“) რომანი-ტრაგედია. აქ ეველაფერი ტრაგიკულია, დაწყებული ერთი დიდი შუაზიური ტრამალის ტრაგედიით, შემდეგ, აბდია კალისტრატოვის ჯყარცმით და დამთავრებული მწვემს ბოსტონის უბედურებით. აქაა ტრაგედია ბუნებისა, ტრაგედია მაღალსულიერებისა და ტრაგედია სულით და ხორცით ცხოვრებასთან დაკავშირებული კაცისა. რაღა დარჩა? ამის მიღმა რჩება ამათზედაც კი შორს მიმავალი რამ: ეოფნა-არეოფნა მთელი სამყაროსი. მაგრამ თუ ეოველივე განწირულია, სადღაა ხსნა? აი, ასე წარმოდგება ეოველად არსებითი საკითხი - აუცილებლობა ახლებური ცნობიერებისა: თუ ადამიანის სული და გული არ შეიცვალა, არაფერს აღარაფერი არ ეშველება. და თუ გამორიცხულია ამბაირი გარდაქმნა, მაშინ ეოველივე ამაოა.

ასეთ პრობლემათა მწერლური აღქმის ნაეოფია ჩ. აიტმატოვის რომანი „საქონდაქრე“. მწერლობა არაერთგზის ეოფილა მაუწყებელი ახლებური ცნობიერებისა, ანდა, ახლებური ცნობიერების საჭიროებისა.

ხსნა შეუძლებელია, თუკი ადამიანის ბუნებაში არ მოხდება მთლიანი ფერისცვალება, - ჩვენი აზრით, ესაა ამ რომანის მთავარი სათქმელი. ესაა მისი, ასე ვთქვათ, მეტა-იდეა, რომელიც წინ უძღვის ნაწარმოებს და რომელიც მიჰყვება მას.

რომანს ატეკია, რომ „განწირული ცნობიერების“ მკვეთრ შეგრძნებამდე მწერალი მიუყვანია კაცობრიობის კატასტროფულ სწრაფვას სამყაროს მოსპობისაკენ და იმაზე ფიქრს, რომ დღეს თუ ხვალ უკუნურებამ წინ არ გაუსწროს გონიერებას.

როცა ადამიანი არ ინდობს თავის თავს, ირგვლივ არსებულ ბუნებას, როცა არ ინდობს თავის ახლობელს, თავის წარსულსა და მომავალს, ეოველივე ამის მწერლური აღქმა ბადებს გამაფრთხილებელ კითხვას: ხომ არაა ეს ხვალინდელ უარეს უბედურებათა მანიშნებელი დღევანდელობაში?

აი, ამგვარი ეოვლად „ზოგადი პრობლემები“ დღეს მაქსიმალური გარკვეულობით დაკონკრეტებას ითხოვენ. უმთავრესი ტრაგედია კი ისაა, რომ ამხელა ტრაგედიათა წინაშე მდგარი დღევანდელი ადამიანი ტრაგედიას არსებითად არც კი გრძნობს.

ადამიანი საკუთარ პირად-ინდივიდუალურ სიკვდილს ძლევდა მარადიული სამეაროს რწმენით. ეს არ უარეოფდა სილული სამეაროს წარმავლობას, მაგრამ მაინც კაცის ცხოვრებასთან შედარებით ამა ქვეენის შეფარდებით მარადიულობას გულისხმობდა და ერთგვარად ამას ემეარებოდა. ახლა, როცა კაცის პირადი ცხოვრება უფრო რეალური რამ გახდა, ვიდრე სამეაროს მომაეული რწმენა, თანაფარდობანი დაირღვა. ვითუ, გაიმარჯვოს კიდევაც ძველთამეელმა ავისმომასწავებელმა იდეამ, რომ პირად სიკვდილთან ერთად ადამიანისთვის ეს ქვეანაც დაქცეულია.

„საკონდაქრე“ ასე მთავრდება:

„ – აჰა, ქვეენიერების დასასრული, – ხმამაღლა თქვა ბოსტონმა, და იგი ჩაწვდა საშინელ ჭეშმარიტებას: აქამდე მთელი სამეარო თავად იო და ამ სამეაროს ბოლო მოეღო. თავად იო ცაც, მიწაც, მთებიც, მუ მგელი აკბარაც – ეოველივე არსებულის დიდი დედა, ალა-მონგიუს უღელტეხილზე ეინულებში სამუდამოდ ჩარჩენილი ერნაზარიც, თავისი უკანასკნელი ჰიპოსტასი – თავისივე ხელით გულგანგმირული ერმა კენჯეშიც, ბაზარბაიც, თავისივე არსებაში უარეოფილი და მოკვდინებული, ეველაფერი, რაც ნახა და განიცადა სიცოცხლეში – ეს ეოველივე მისი სამეარო იო, ცოცხლობდა მასში და მისთვის; ახლა კი რაღაა; მართალია, ეველაფერი შემდგომაც იარსებებს, როგორც არსებობდა ნიადაგ, ოღონდ იარსებებს უიმისოდ, სხვა სამეარო იქნება, მისი სამეარო კი, სამეარო, რომელიც აღარ განმეორდება, აღარ აღსდგება, დაკარგულია და არავისში და არაფერში არ აღორძინდება. სწორედ ეს იო ბოსტონის დიდი კატასტროფა, სწორედ ეს იო მისი ქვეენიერების დასასრული...“

ამის შემდეგ რომანში რამდენიმე სტრიქონია. ბოსტონი ეხვევა და ემშვიდობება თავის ცხენს. უშვებს ამ ქვეანაზე და რაღაცას მაინც უტოვებს აქაურობას. იგი იო ჰატიოსანი მშრომელი მწყემსი კაცი, რომელსაც უნდა ეცხოვრა უბრალოებით დამშვენებული ცხოვრებით, მაგრამ შემოაკვდა თავისი ჰატარა შვილი, მოკლა მისი უბედურებათა მიზეზი ბაზარბაი და მართლაცდა დაიქცა ბოსტონის წილი ქვეანა.

რომანის ცენტრშია აბდია კალისტრატოვის („წმინდა მხედრის“) სახე.

ბიბლიის მეფეთა მესამე წიგნში (თავი 18) წერია:

3. მოუწოდა აქაბ აბდიას, ეზოსმოძღუარსა თვისსა და აბდია იო მოშიშ უფლისა ფრიად“ (საბა: „აბდია მონა უფლისა“).

4. და იო, მოსვრასა მას იეზაბელისასა წინაწარმეტყველთა მათ უფლისა დამალა აბდია ასი კაცი წინაწარმეტყველთაგანი ერგასის-ერგასი თითოსა ქუაბსა და ზრდიდა მათ პურითა და წყლითა.

5. და ჰრქუა მეფემან აქაბ აბდიას: მოვედ და ვიქცეოდით ყოველსა მას ქუეყანასა წყაროსთავთა წყალთასა ნაღვარევთა და, ჰე, თუმცა ვპოოთ საძოვარი და გამოვზარდნეთ ცხენნი და ჯორნი, რათა არა აღისოცნენ ჩუენგან ყოველადვე საცხოვარნი.

6. და განიყვნენ სლვად გზათა და აქაბ წარვიდა გზასა ერთსა მარტო და აბდია სხუასა გზასა მარტო“...

რომანის ავტორს სურს, რომ თავისი პერსონაჟი ბიბლიიდან მომდინარე თვისებებით აღიქმებოდეს და ამას თვითონვე რამდენჯერმე მიანიშნებს.

ბიბლიური აბდია ჩამოშორდება მეფე აქაბს და სხვა გზას დაადგება. ესაა გზა ჭეშმარიტებისაკენ, ჭეშმარიტი ღვთაებისაკენ, ხოლო აქაბის გზა არის გზა ბაალისაკენ, ანუ გზა ცდომილებისკენ. აბდიას გზა ქრისტეს გზაა. ეს მოტივია განვითარებული პიტმატოვის რომანში, აბდია კალისტრატოვი არის ერთ-ერთი გამონაკლის სახეთაგანი, რომელიც ბოლომდე სიკეთის განსახიერებად რჩება. მასთან ერთად მოსახსენებელია სვადი მგელი ტაშჩაინარი, სიკეთის ჯოგი, ან თუნდაც პატარა ბიჭი, კენჯეში, მწეემსი ბოსტონის შვილი, მამის ხელით უნებლიეთ გულგანგმირული, სხვები კი არიან ტრამალის მგლები. თვითონ გრიშანი, ნარკომანების თაგკაცი, ნამდვილი „ტრამალის ჰილატეა“. იგი ასე მიმართავს კალისტრატოვს: „კეთილი იეოს თქვენი მობრძანება, ასალო ქრისტევ!“

ასე ისახება გზა აქაბისა და გზა აბდიასი.

უკიდეგანო, უკაცრიელ ტრამალში, რომელსაც მხოლოდ შორსმიმავალი რკინიგზა გადაკვეთს, ნარკომანების თავკაცი გრიშანი, აბდია კალისტრატოვის შემხედვარე, ფილოსოფობას იწყებს. ეს ხდება მაშინ, როცა გრიშანის ბანდას ნარკოტიკები რკინიგზამდე მიუტანია და შემხვედრ მატარებელს ელოდება. აბდია მათშია შეპარული, რათა ისინი მოაქციოს და ისსნას. იგი მონანიებას ითხოვს პირდაპირ აქ, ტრამალში, უკაცრიელ ცისქვეშეთში.

(“აქვე, პირდაპირ ტრამალში, ნათელი ცის ქვეშ მოინანიეთ“).

აბდიას ერთადერთი არგუმენტი ღვთაებრივი მორალია (“...თქვენ ისევ შეიძენთ ნამდვილ ადამიანურ არსს.“). გრიშანისთანა ხალხი კი აღვსილია არგუმენტებით და უმთავრესი მათთვის ესაა ყველა დროისთვის საყოველთაოდ გამოცდილი არგუმენტი:

„აქვეენად ყველაფერს ეიდიან, ყველაფერს ეიდეჯობენ, შენს ღმერთსაც მათ შორის“.

გრიშანი ამბობს:

„ადამიანს შექმნის დღიდან უამრავი რამ აღუთქვეს, რამდენ საოცრებას არ დაპირდნენ დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ: ეს სამოთხე გექნებაო, ეს დემოკრატიაო, ეს თანასწორობაო, ეს ძმობაო, ხოლო ბედნიერება კოლექტივში ეოფნაო, გინდა - იცხოვრე კომუნებში, სიბეჯითისთვის კი ეოველივესთან ერთად ედემში გაცხოვრებთო“.

გრიშანს ერთი სიმართლე კი აქვს: ვინ აღუთქვა ეოველივე ეს ადამიანს, თუ არა თვით ადამიანმა თავის თავს?! ვის სჭირდებოდა ამდენი ილუზია, თუ არა თვით ადამიანს?! თუ მორალი ღვთაებრივია, რადაა იგი ეგოდენ სამებნელი?! „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (რომანში ხშირადაა ეს დოსტოევსკისეული ფრაზა) მარად ელიან შვებას, ძლიერნი კი იოლად მოიპოვებენ მას. მოუტანა კი აბდიასებურმა ცხობიერებამ ადამიანებს საბოლოო ბედნიერება? რომელია ნამდვილი ჯოგური ეოფიერება: ჯოგური თავისუფლება თუ ჯოგური წესრიგი?

გრიშანის ბანდა ქურდულად აძვრა შემსვედრი მატარებლის საბარგო ვაგონებში.

აბდია იქამდე მივიდა, რომ დამოძღვრას აღარ დასჯერდა და ზურგჩანთიდან ანაშის გადაერა იწეო, მაშინ კი შეიშალა გრიშანის ბანდა. „დიჭირეთ, დასცხეთ მღვდელს! - იბღავლა გონდაკარგულმა პეტრუსამ.

ნარკომანებმა ვაგონიდან ჩააგდეს ცემით დაუძლურებული აბდია, გადააგდეს სადღაც ველზე ტრამალის შესაფერისი ხიჩქარით მსრბოლი მატარებლიდან. ორი სიტეეა რომ ეთქვა - „მიხსენი, გრიშან!“ - ბანდა თავს დანებებდა, მაგრამ აბდიამ ეს არა თქვა; გრიშანი კი იქვე ზედმეტად მშვიდად იჯდა, როგორც ტრამალის ბილატე. აბდია უკვე სადღაც ქვევით ეგდო, სულთმბრძოლი, ტეეიასავით ხსეულდამძიმებული.

„ჭეშმარიტად არა აქვს საზღვარი უფლის პარადოქსებს... აკი ერთხელ ისტორიაში იეო შემთხვეევა, როცა ერთმა ასეეე ახირებულმა გალილეველმა თავი ისეთ დიდ ვინმედ წარმოიდგინა, ორიოდ ფრაზა არ დათმო და სიცოცხლეს შეელია. ამის გამო, რასაკვირველია, მისი აღსასრული დადგა. ხოლო ადამიანები, თუმცა მას შემდეგ ათას ცხრაას ორმოცდაათი წელი გავიდა, ვერა და ვერ მოდიან გონს, სულ მსჯელობენ, კამათობენ და წუხან - როგორ და რა მოხდა მაშინ, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ დატრიალებულიეოო.“

ჯვარცმა ეოველდღე ხდება. ეს უბედურება აბდიასთვის პირველი ჯვარცმა გამოდგა, მეორე, ნამდვილი ჯვარცმა მას კიდევ ელოდა. ცხოვრება მარადიული ჯვარცმაა. რწმენას ამკვიდრებს არა კეთილდღეობა, არამედ მარადიული ტანჯვა.

„რწმენა მრავალი თაობის ტანჯვის პროდუქტია, რწმენისათვის ათასწლობით და ეოველდღიურად უნდა გაისარჯო“.

ამიტომაცაა აბდიაში ქრისტეს სახე.

ამიტომაც ამბობს ქრისტე ამ რომანში:

„ადამიანთა სახით დავურუნდები ჩემს თავს ჩემივე ტანჯვის გამოვლის შემდეგ, ადამიანთა სახით დავუბრუნდები ადამიანებს“.

რომანი იწყება ასე:

არის დიდი ტრამალი მუინუემისა, ანტილობებისა და მგლების სამკვიდრო, უკიდეგანო სივრცე, ეს იყო ადამიანისგან შეურეველი მხარე. აქ სუფევდა ბუნებისგან მონიჭებული დიდი თავისუფლება, რომელიც თითქოსდა ვერაფერს ვერ უნდა შეემდვრია. ასეთი თავისუფლება ბუნებისმიერი დიდი სიკეთე და მადლია. სამწუხაროდ, ისიც იგრძობა, რომ ესაა გადარჩენილი ოაზისი თავისუფლებისა. ის ველურია და უცხო, თუმცა ამავე დროს უველასთვის ახლობელიც და მიმზიდველიც კი შეიძლება იყოს. ამ სივრცეს ფერითაც და სუნთქვითაც შერწყმია საიგების აურაცხელი ჯოგები. აქ იყვნენ მგლებიც და მათ მიერ იღვრებოდა საიგების სისხლი, ისმობოდა სიცოცხლე საიგებისა, მაგრამ ეს სისხლი სიცოცხლეს ამლიერებდა. რაც მთავარია, იგი არ ვნებდა ბუნებას; თვით ბუნების კანონებთან შეთანხმებით იღვრებოდა სისხლი. მსეცთა ურთიერთმალმომრეობა ბუნებაზე ბატონობას არ მოახწევებდა. უველა მონა იყო ბუნებისა, ძლიერიც და სუსტიც. ასე იქმნებოდა დაბირისპირებულობა და მომაწესრიგებელი დიდი ჰარმონია.

მუინუემის უკიდეგანო ტრამალში თავისუფალია საიგაც და მგელიც, თავისუფალია შიშიც და დაშინებაც.

ერთხელაც ამ უკიდეგანო სივრცეში გაისმა ეოველისწამლეკავი არაბუნებრივი ხმა, არაბუნებრივი თავისი უჩვეულობითაც და იმითაც, რომ ეს აშკარად არ იყო ხმა ბუნებისა. ეს იყო უცხო რამ ხმა, რომელსაც ვერ იგუებს ბუნება, ვერც ცხოველი, ვერც მცენარე და ვერც მიწა. როგორც რომ უცხო სხეულები და ნივთები თუ ნივთიერებანი შეგვაქვს ბუნებაში, ასევე არსებობს ხმის უცხოურობაც, „ეროზიულობა“ ხმისა. არსებობს ბუნებრივი და ანტიბუნებრივი ხმები. ცხოველები, ეტეობა, განარჩევენ მათ. ისინი ბირველნი გრძნობენ ბუნებაში თანაფარდობათა დარღვევას.

ასეთი არაბუნებისმიერი ხმით შემოვიდნენ ტრამალის სივრცეში დიდი, დამთრგუნველი შეეულმფრენები. ისინი დაბლა ეშვებოდნენ და მათი ხმა სულ მთლად დამსაფრავი ხდებოდა. შიშმა მოიცვა მთელი ტრამალი. ზღვასავით დაიძრა საიგების ურიცხვი ჯოგები. მათთან ერთად გარბოდნენ მგლები, როგორც სამოთხის ნეტარებაში „ერთად მოვენ ცხვარი და მგელი“, მსგავსი რამ მოხდა ახლაც, დიდი ტრაგედიის დროს.

ასე დაირღვა ტრამალში ეოველგვარი თანაფარდობა... ასეთი რამ არ მომხდარა იქ თვით დიდი ხანძრების დროსაც კი, რადგანაც ახლა სრულიად არაბუნებრივი რამ შემოვიდა ბუნებაში.

რაც მთავარია:

დაიწყო ჯოგების ჯერარნახული, უჩვეულო რბოლა. სიგებისთვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი უმთავრესი უნარი სისწრაფეა. მაგრამ ახლა ისინი მირბოდნენ ისეთი სისწრაფით, რომელიც ადარ იყო ბუნებისმიერი.

ეს არ იყო ბუნებისმიერი გამოცდა; და აქ შემოდის ის აზრი, რომ არ შეიძლება ისეთი ძალა დავუპირისპიროთ ბუნებას, ან ცხოველს, ან თუნდაც მცენარეს და თვით მიწას, რომლის ატანა მათ არ შეუძლიათ. არ შეიძლება ამნაირი „ბატონობა ბუნებაზე“, რადგან ეს გამოიწვევს ბუნების დამარცხებას, ბუნების დამარცხება კი შეუძლებელია ადამიანის გამარჯვებას მოასწავებდეს. ეოველივე ეს კიდევ უფრო მეტად ეხება თვით ადამიანს, ადამიანს ვითარცა ბუნებას, თუნდაც როგორც განსაკუთრებულ ქმნილებას, მაგრამ მაინც ბუნების ნაწილს (თვით ქრისტე მიმართავდა მამა ღმერთს: გამომცადეო როგორც კაცი)...

„უცებ თითქოს ცაზე მეხი გაგარდა, ისე გამოჩნდნენ შვეულმფრენები. ამჯერად ძალიან სწრაფად მოფრინავდნენ და ერთბაშად დაბლა-დაბლა სახიფათოდ წამოვიდნენ აფორიაქებული სიგებისკენ. სიგები შემსარავ თავდასხმას დათხილნი გაერიდნენ. ეს მოხდა უცებად, საოცრად სწრაფად - დამფრთხალი, გაგიჟებული ასეულობით ანტილოპა, რომლებმაც ელექაჯები და ორიენტაცია დაკარგეს, შიშის ზარმა მოიცვა, ვინაიდან ამ უწეინარ ცხოველებს ძალა არ შესწევდათ მფრინავ ტექნიკას წინ აღდგომოდნენ. შვეულმფრენებს კი ზუსტად ეს უნდოდათ - ოტებული ჯოგი მიწას გააკრეს, წინ გაუსწრეს, შემდეგ მეზობლად მეოთ სხვა, ასევე მრავალრიცხოვან ჯოგს შეაჯახეს და აი, ასე, სულ ახალ და ახალ შემსვედრ ჯოგებს ატეხდნენ თავს მეინეუმში დატრიალებულ ამ მეორედ მოსვლას, თავგზას ურევდნენ შიშის ზარით მსრბოლავ ტრამალის უამრავ ანტილოპას, რაც კიდევ უფრო ამლიერებდა სავანის წეილჩლიქოსან ბინადართა უბედურებას, რომლის მსგავსიც მათ არასდროს არაფერი განუცდიათ. და არა მარტო წეილჩლიქოსნები, მგლებიც, მათი განუყრელი თანამგზავრები და მარადიული მტრებიც ასეთივე დღეში აღმოჩნდნენ.“

მანამდე ტრამალში იყო, მწერლის თქმით, „კოსმოსური სიწყნარე“ და ამ სიწყნარეში აქაურობის მკვიდრნი შეიგრძნობდნენ თავის თავს, ბუნებისმიერ თავის შინაგან რაობას: ბუ მგელი თავის შინაგან ბუნებას და ხვადი - ხვადობას; მათ ჰქონდათ არსებობის დიდი დამაბულობა და ამას ერთმანეთს ახმარდნენ, ერთმანეთისათვის იხარჯებოდნენ სიკვდილ-სიცოცხლის ძალებით.

ეოველივე ეს დანახულია მგლების თვალით და აღსაქმელია მათივე განცდით. ესენია ბუ მგელი აკბარა და ხვადი ტაშჩაინარი, ისინი აქ მოსულები არიან (ამას მნიშვნელობა აქვს), მაგრამ ისინი შეჰგუებიან

აქაურობას თავიანთი მგლური ბუნებით და აქაურობამაც შეიგუა ისინი (ამ ჰარმონიის დამრღვევნიც ადამიანები ხდებიან). მგლები ხიგებს ხოცავენ, მაგრამ ადამიანებზე გაცილებით მეტი და უფრო მისაღები აკრძალვებით. მაგალითად, დიდ ხიცხეებში, თურმე, მგლები არ ეხსმიან თავს ხიგებს.

რომანი აკბარასა და ტაშჩაინარის ცხოვრების აღწერით იწყება, ხწორედ რომ, მათი ცხოვრებით, და ეს თემა ბოლომდე გაჰყვება ნაწარმოებს. დასაწყისიდანვე ნაჩვენებია მგლების თანაცხოვრების ხოცარი წესრიგი და, თუ გნებავთ, მორალური წესები ამ თანაცხოვრებისა (ამნაირი რამის დიდი დამაჯერებლობით ჩვენება ჩ. აიტმატოვის მწერლურ ღირსებათა ერთ-ერთი გამოვლინებაა).

ეოველივე ამას რომანში შემოაქვს ერთი მნიშვნელოვანი სათქმელი: ბუნება არ შეიძლება ადამიანისთვის იყოს მხოლოდ ობიექტი. ბუნება მისთვის უნდა იყოს სუბიექტიც და ადამიანის ბუნებასთან მიმართება უნდა იყოს სუბიექტის მიმართება სუბიექტთან (ქვემოთ ვიტყვით, რომ ეს არაა მხოლოდ ე.წ. ბუნების გაადამიანურება). ხანამ ადამიანი ბუნებასთან არ მივა როგორც სუბიექტთან, მანამდე თვითონ ვერ იქცევა ბუნების ჭეშმარიტ ნაწილად, რაიც ის თავისთავად არის, მაგრამ განდგომილია მისგან როგორც ბუნების უძღები შვილი.

რატომ მოხდა ასეთი დიდი უბედურება, ამხელა დარბევა ტრამალისა? დარღვევა ბუნების დიდი ჰარმონიისა? რატომ ღუპავს ადამიანი ყველაფერს? არავინ არ იცოდა ეს კარგად.

„აბა, ხიდან უნდა ცოდნოდათ ტრამალის მგლებს, რომ მათ ოდინდელი ხაზრდო - ხიგები - ხორცის ჩაბარების გეგმის შესავსებად ხჭირდებოდათ, რომ „განმსაზღვრელი წლის“ ბოლო კვარტალში ოლქში ფრიად ნეკროზული მდგომარეობა შეიქმნა - „ხუთწლედის გეგმას ვერაფერს უშერებოდნენ“ და ხოლქო ხამმართველოს ვიღაც გერგილიანმა მუშაკმა უკვე წინადადება წამოაყენა მეინეუების ხორცის რესურსები „აღმოქმედებინათ“. იდეის არსი ასეთი გახლდათ: მნიშვნელოვანია არა მარტო ხორცის წარმოება, არამედ ხორცის ფაქტიური ჩაბარება; ესაა ერთადერთი გზა, რომ სირცხვილი არ ჭამონ ხალხისა და მომთხოვნი ზემდგომი ორგანოების წინაშე. ხიდან უნდა ცოდნოდათ მათ, ტრამალის მგლებს, რომ ცენტრიდან რეკავდნენ ოლქში. ვითარება მოითხოვდა, თუნდაც მიწაში ჩამძვრალიყვნენ, მაგრამ ხორცის ჩაბარების გეგმა შეეხრულებინათ; კმარა ჯანჯლობა: ხუთწლედის დამამთავრებელი წელია, რას ვეტყვით ხალხს, ხადაა გეგმა, ხადაა ხორცი, ხადაა ვალდებულების შეხრულება?“

მაგრამ მხოლოდ ასეთი მიზეზებით რიდი ხდება ბუნების დარბევა. „ხაქონდაქრე“ არაა კონკრეტულ-სოციალური რომანი. ესაა, ასე ვთქვათ,

ზეკლასობრივი იდეალების შემცველი თხზულება. რომანში წამოჭრილი პრობლემები საუოველთაოა.

ჩვენი აზრით, ძალზე ბევრი რამ გაუგებარი დარჩება ჩ. აიტმატოვის შემოქმედებიდან, თუ არ გავითვალისწინეთ შემდეგი კანონზომიერება მისი სასისმეტეველებისა: აქ ეველაფერს ახლავს უაღრესი დაძაბულობა და ეოველივე აღიქმება ასეთივე დიდზე დიდი დაძაბულობით. ამას საოცარი სიძლიერით წარმოაჩენს ავტორი.

რომ არა ასეთი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მუსტი, რომანის ამბები, ხშირად, თითქოსდა, არაფერ განსაკუთრებულს არ შეიცავენ. დაძაბულობა ქმნის ამ რომანის მსტავრულ სამეაროს. დაძაბულობა ჩვეულებრივი თხრობით, - ეს არის ჩ. აიტმატოვის „მსტავრული ხერხი“. დაძაბულობა კათარზისია, ზოგჯერ დაძაბულობა სრულიად ჩვეულებრივი რაობის პოეტური განცდაა. ირგვლივარსებულთა პოეტური განცდა კი ადამიანის ეთიკური ვალია, თორემ ეველაფერი ჩარჩება არაპოეტურობის წუვდიადში.

ამ ნაწარმოებში საგნები თითქოსდა შინაგანად გამოსცემენ თავიანთ ფერს და ეველასთვის საერთოა რაღაცნაირი რუხი ელფერით გაერთიანებული ფონი. ამ რომანში ფერები თითქმის არცაა. აქაა ნათლის გრადაცია.

...როცა მთელი ტრამალი დაფეთებული საიგა-ანტილოპებისა შეეულმფრენებმა მიეარეს ჰორიზონტის ერთ მხარეს, და ჯოგების მთელ ამ ზღვას ეგონა, თავისუფალი სივრცე ვიპოვეო, სწორედ მაშინ მათ ელოდათ ავტომატმომარჯვებული მხოცავები, რომლებიც ცხრილავდნენ მათ, დაუმიზნებლად ტეკიის განუწეეტელი ჯერით ცელავდნენ, როგორც ბალახს და სისხლიან ლეშს ერიდნენ მანქანებზე. „სავანამ რომ სავანად დარჩენა გაბედა, ამისთვის ღმერთებს სისხლიან ხარკს უხდიდა“.

„ირგვლივ ისეთმა აპოკალიფსურმა შიშმა დაისადგურა, სროლისგან დაურეებულ ძუ მგელ აბარას ეგონა, რომ მთელი ქვეუნიერება დაურევდა და დამუნჯდა, რომ ეველგან ქაოსი გამეფდა და თვით თავზემოთ მოგიზგიზე მზესაც მასთან ერთად გააფთრებით მოსდევდნენ“.

მგლებს დაუხოცეს შვილები, თვითონ მგლები კი ამ სრბოლამ სადღაც გარეა. აქ მგლები ხედავენ ერთ ჯგუფს, რომლებიც ამ ამბების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი „გმირები“ არიან.

ისინი ექვსნი იევნენ.

ეს შემთხვევით შეერილი ექვსეული მანქანაზე ისრდა მკვდარსა და ცოცხალ სისხლიან ანტილოპებს მთელი ერთხულოვნებით და, ისინი, თითქოს, სულ სხვადასხვაგვარნი, უცნაურად ერთგვაროვანნი და, უფრო ზუსტად, ერთმნიშვნელოვანნი იევნენ.

ამ ექვსეულში შეიძლებოდა დაგვენახა „მიკროსოციუმი“, მიკრო-სოციალური „უჯრედი“. ეს იო მცირე ჯგუფი, რომელიც ტიპოლოგიურად გაცილებით დიდი მოვლენის გამოსატულება იო.

რა სალხი იო ეს ექვსი? უფრო ზუსტად - ხუთი, რადგან მეექვსე, აბდია კალისტრატოვი, მთელი თავისი სულითა და გულით, იმთავითვე გამოეთიშილი იო მათგან. ამიტომ მათთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა ხუთი და მეექვსე, ისევე როგორც ერთ სხვა ჯგუფს, ქართველების ჯგუფს, ქართულ მოთხრობას, თვით მწერალმა უწოდა „ექვსი და მეშვიდე“.

უპირველეს ეოველისა, მათთვის უცხო იო ეს მიწა, ეს გარემო, აქაური ბუნება. მათ შრომას არ ჰქონდა არავითარი ადამიანური საზრისი ან ინტერესი. მათ, ცხადია, არც ის გეგმები აინტერესებდათ, რისთვისაც ეწეობოდა ეს ხოცვა-ჟლეტა. ის კი არადა, მათ არც რამ შინაგანი ვიტალური იმპულსი ამოძრავებდათ. ესეც კი ადარ გაჩნდათ, რადგანაც ერთადერთ „ვიტალურ იმპულსად“ რჩებოდა სმა, არეით უგონო თრობა. ამიტომ ისინი მთლიანად გაუცხოებულნი იევნენ აქაურობისთვის. ისინი იევნენ მტრები აქაურობისა, უცხო სხეულნი და უცხოსულნი. ხოლო როცა სასიცოცხლო (უფრო ზუსტად - საცხოვრებელ) გარემოში სვდება უცხოსხეული და უცხოსული, იგი იქცევა დამანგრეველად, თუმცაღა, მოჩვენებითად მოსათმენ რაობად, ე.ი. იქცევა „ქიმერად“ (ლ. გუმილიოვი). სწორედ ეს „ქიმერაა“ დღევანდელობის უდიდესი კულტურულ-ისტორიული ბრობლემა, რომლის წინაშე ფერმკრთალდება თვით ბროფეესიონალ-ესთეტთა მიერ ნაწარმოებში ეოველადმოსდენილ „თქმათა“ ნებისმიერი მიგნებანი.

მაგრამ ვინ იო ეს ექვსი? მმღოლი კეპა, სელიდან წასული ლოთი, ოღონდ, სხვათაგან გამოსარჩევი იმ ღირსებით, რომ სადღაც ცოლი ჰყვდა; მეორე იო მიშა-შაბაშნიკი, ეოველ სიტეკვაზე რომ აუცილებლად იგინებოდა, მესამე - ჰამლეტ-გალკინი, ეოფილი არტისტი და დიდი ლოთი, ხოლო ერთადერთი აბორიგენი იო უსუკბი, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ეოველგვარი შეგრძნება, მათ შორის აბორიგენობისა და მზად იო არეისთვის ჩრდილოეთ ბოლუსზედაც კი წასულიეო. იგი ხშირად სვამდა სადარბაზოებში და სწორედ სადარბაზოში იმოვა იგი ამ ექვსის თავეაცმა ობერ-კანდალოვმა, დისკიბლინარული ბატალიონის ეოფილმა უფროსმა ლეიტენანტმა. მან შეკრა ეს „ძმობა“, რომლის ეოველი წევრის საერთო ნიშანი ის იო, რომ ერთმანეთის არაფერი არ აინტერესებდათ. ასეთი იო სუეეული - „ქიმერა“.

ამ უბედურებაში მოხვდა აბდია კალისტრატოვი, აქაურობის ერთადერთი ნათელი სხივი. აბდია აქ მოხვდა მას შემდეგ, რაც გადაურჩა სიკვდილს, როცა ანაშისტებმა ვაგონიდან ტრამალში გადააგდეს. ასეთი

იყო მისი ბედი, მაგრამ ეს არ იყო სხვა რამ, თუ არა საერთოდ სიკეთის ბედი ამქვეყნად. სწორედ აქ ჩანს იდეა, რომ ამქვეყნად ჯვარცმა მარადიულია.

რა არის ბოლოს და ბოლოს ეს „ხუთეული“ - „ქიმერა“? განა შეიძლება ითქვას, რომ ესაა შრომითი რაზმი?! თუ არ ვიგულვეთ, რომ ესაა „ქიმერა“ (ყველავ ლ. გუმილიოვის ტერმინით), შეიძლება ეს ჯგუფი შრომითი წარმატებების შემთხვევაში მოწინავეთაც კი გამოგვეცხადებინა.

მიწისთვის და მცენარისთვისაც აუცილებელია ცხოველი, ოღონდ „თავისი“ ცხოველი, ბუნებრივად შეთვისებული კონკრეტულ ადგილთან. ადგილის მკვიდრი ცხოველი „ემსახურება“ თავის მიწა-წყალს, მცენარეებს, ერთი სიტყვით, მთელ გარემოს. ასეთივე ადამიანი სჭირდება ბუნებას, ადამიანი, რომელიც მხოლოდ კი არ გარდაქმნის ბუნებას, რათა იგი დიმორჩილოს, მხოლოდ კი არ იგუებს ბუნებას, არამედ კიდევაც ეგუება მას, უგებს ბუნებას, ხელს უწყობს მას და ა.შ. როცა ეს ირღვევა, მაშინ ადამიანი იქცევა „ქიმერად“. თუ ამ მოთხოვნებით შევხედავთ ობერ-კანდალოვის ჯგუფს, ეოველივე თავისთავად ნათელი გახდება.

რომანში „ქიმერა“ დარღვეული რაღაც რაობის ნარჩენთა თავმოყრაა. ალბათ, ესაა საკუთარი ეთნოსისაგან მოწყვეტილ და ეთნოსის შეგრძნებამოკლებულ კაცთა თავმოყრა; მნიშვნელობა აღარც კი აქვს ეს თავშეყრა ნამალადევია თუ ნებაყოფლობითი. აქ ეს ნებაყოფლობითია, მაგრამ ბუნების საწინააღმდეგოა, საწინააღმდეგოა, თუ გნებავთ, აქაური ბიოსფეროსი, აქაური ანთროპოგენური ფაქტორებისა. ეს ხალხი ბიოლოგიურადაც და სოციალურადაც შეუთავსებელია ბუნებასთან და მეტადრე - აქაურთან ისევე, როგორც შეუძლებელი იქნებოდა შუა რუსეთის ტყეის ხეთა ტეის ტრამალში გადმონერგვა. „ქიმერა“ არის თავმოყრა იმისა, რაც კი რამ ცუდი მოიტანა ჩვენმა დრომ ბუნებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ხუთეული - „ქიმერა“ თითქოს არავის არაფერს არ უშავებს, გარდა აბდია კალისტრატოვისა, მაგრამ თავისი არსებობით მისი ეოველი წევრი ანტისოციალური და ანტიბუნებრივი მოვლენაა.

ესენი უსასლკარო ხალხია, უზუკბა-აბორიგენიც კი თავის ფეძეს მოწყვეტილია. ზედმეტია ლაპარაკი ამათ რაიმე ზნეობაზე, ანდა პატრიოტიზმზე. პატრიოტიზმი მხოლოდ ცნობიერი რამ არაა, იგი ქვეცნობიერსაც გულისხმობს, ე.ი. გულისხმობს ბუნებრივად შესისხლხორცებულ გარემოს. ასეთი გარემო კი „ქიმერას“ არ გააჩნია. მას შეიძლება ჰქონდეს რაიმე მიზანსწრაფვით არჩეული ადგილი, მაგრამ მისთვის მიზანსწრაფვაც გაუცხოებულია, არაა შინაგანი, არც თავისია და არც გათავისებული.

რომანი დიდი გაფრთხილებაა, რათა არ განვითარდეს ჩვენში „ქიმერა“ (იმ ექვსიდან ხუთ კაცში უკვე ფესვგადგმული რამ), არ გადაბო-

როტდეს შრომა, შრომა და ბუნების გრძნობა, რადგან უკვე ფაქტია, რომ თითქმის აღარც კი შეგვიძლია ვისმინოთ ბუნების ხმა. და ვისაც კი შერჩენია ეს გრძნობა - ისმინოს ბუნების ხმა (ასეთია რომანში მწვემსი ბოსტონი), ჩვენ მისი არ გვესმის და თანაც იმის პრეტენზიაც გვაქვს, რომ თითქოს ჩვენ გვესმის სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამ.

„საქონდაქრე" პოლიფონური რომანია. მასში მრავალი თემა, მრავალნაირი ხმით მოწოდებული: ესაა მგლების თემა, საიგების ხოცვა, „ხუთი და მეექვსე", ბულგარული ქორო, ქართული მოთხრობა - „ექვსი და მეშვიდე", ღმერთი-თანამედროვე, ნარკომანები (ანდა „ოთხი და მეხუთე"); ინგა, ბონტოელი ბილტე, დაბოლოს ბოსტონის თემა, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ მესამე ნაწილს და რომელშიაც სხვა ქვეთემებია: ბაზარბაი, კენჯეში, გულიუმკანი, ერნაზარი, კოჩკორბაევი ანუ კაცი-გაზეთი. მაგრამ თვით ავტორი რომანს სამნაწილად ჰყოფს და ამის კვალობაზე რომანში ვგბოულობთ მოვლენათა შინაგან კავშირებს ე.წ. ტრიპტიქის ანუ სამკარედის პრინციპით. „ტრიპტიქის" ცენტრშია აბდია კალისტრატოვი, ვითარცა სახე-იდეა მარადიული ჯვარცმისა, ხოლო მის ერთ მხარეზეა ობერ-კანდალოვის მიერ დათრგუნვილი ბუნება (ობერ-კანდალოვის სახეს უკავშირდება შვეულმფრენთა თემაც), ხოლო პირველ თემასთან ერთგვარ სიუჟეტურ სიმეტრიას ქმნის ბოსტონის თემა: ეველაფერი ის, რისგანაც დაცლილია „ხუთეული" (ობერ-კანდალოვის ჩათვლით), შეიძლებოდა განხორციელებულიყო ბოსტონში, მიწის სიყვარულითა და ცოდნით აღვსილ კაცში. მაგრამ ვერც ეს მოხდა, რადგანაც ბაზარბაისა და კოჩკორბაევისთანა ხალხმა მას არ აცალა ეცხოვრა მიწისა და ცხვრის სიყვარულით.

სწორედ ბოსტონის თემა უპირისპირდება „ქიმერას".

მაშასადამე, „სამკარედის" სქემა პირობითად შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ: ბუნება - აბდია - ბოსტონი.

ჩვენს თვალწინ ხდება ბოსტონისთანა ხალხის გაქრობა. ის იყო ნამდვილი მშრომელი კაცი, გამოცდილი მწვემსი; ხალხური სიბრძნიდან, „ბუნებითი" სიბრძნიდან ამოსული, რომელმაც არსებითად ეველაფერი იცის და რომც არ იცოდეს, არ ცდება, იგივე „ბუნებითი სიბრძნის" წეალობით. იგი ათასობით ცხვარს უვლის. მას ემეარება მთელი ქვეყანა. მას კი არ აცლიან და კოჩკორბაევისთანა ხალხი ათას უაზრობას უქადაგებს და ისეთ რაიმეს „ასწავლის", თვითონ წარმოდგენაც რომ არა აქვს. შრომის საქმეებში ჩარევას ამართლებენ „ზემოდან" მომდინარე მოთხოვნებით, რომლებიც თვითონაც ალარ სჯერათ. ერნაზარი, ბოსტონისთანა კაცურ-კაცი, ბოსტონს, თავის მეგობარს, ეუბნება: „ლანძღავენ ეველაფერ მეველს, ამბობენ - ქორწილებს ისე არ ისდით, როგორც საჭიროაო, რატომ არ კოცნით ერთმანეთს ქორწილებშიო, პატარძალ-მამამთი-

ლი ჩასუტებულ-ჩაკონებულნი რატომ არ ცეკვავენო? სასელებია და იმათაც სხვას არქმევთ შვილებს, როცა მაღლა დამტკიცებული ასალი სახელების სიებიაო, ძველი სასელები სულ უნდა შეიცვალოსო. ზოგჯერაც უცებ აგიხირდებიან - მიცვალებულს საჭიროებისამებრ არ მარსავთ, საჭიროებისამებრ არ ტირითო. ტირილსაც კი გვასწავლიან: ძველებურად არა, ახლებურად უნდა იტიროთო".

სწორედ ამნაირ ვითარებაში იღუმება ჩვენს თვალწინ ბოსტონისთანა პიროვნებანი. ჩ. აიტმატოვი გვაგრძნობინებს, რომ ბოსტონის ტრაგედია აბდია კალისტრატოვის რანგშია აღსაქმელი. და თუ ეს ასეა, ჩვენ, ამის პასიური მოუურიადენი, ვდგებით ბილატეს როლში.

რომანის მიხედვით, გრიშანი, ნარკომანთა თავკაცი, არის „ტრამალის ბილატე", რომელიც გულგრილად უყურებს აბდიას გადაგდებას გაქანებული მატარებლიდან. საერთოდ, რომანში ყველაზე ხშირად ჩანს ბილატეობა, რადგან ასეა ეს ცხოვრებაშიაც. დანაშაული ყველგანაა და ყველგან ბილატეა. ბილატეები მიუტევებენ სხვებს, რათა მათაც მიუტევონ.

ჩვენი დროის ცინიზმით ისეთი აზრიც კი შეიძლება გაჩნდეს, რომ ბონტოელი ბილატე სჯობდა „ტრამალის" ბილატეს. ჰერმან ჰესესთან კაცის დაცემის სახელდებაა „ტრამალის მგელი". აქ კი ტრამალის მგელზე უარესია „ტრამალის ბილატე". ტრამალის მგლებში, აკბარასა და ტაშჩაინარში, ბევრი სიკეთეა. ტრამალის ბილატე კი მოკლებულია ყოველგვარ სიკეთეს - ადამიანისა, თუ გნებავთ, ნადირისაც.

ამ რომანში თვით ტრამალის ჯვარცმაცაა და ამიტომ განსაკუთრებულ აზრს იძენს „ტრამალის მგლები" და „ტრამალის ბილატეები". მთელი ცხოვრება განკითხვის დღეა.

აბდია ორგზის გაწირეს, შეიძლება ითქვას, ორჯერ აცვეს ჯვარს. ყველაფერი ეს, ცხადია, ქრისტეს სახე-იდეამდე მიდის, მეტადრე, რომ „საკონდაქრე" შეიცავს სახარების აიტმატოვისეულ გარდათქმას, თუ „თარგუმს", ანუ გაზრებას ქრისტესი და ბილატეს ამბებისა. თუკი აბდიას სახეში ქრისტეს ბარადიგმაა, ხომ არ შეიძლება აბდიას ორგზის „ჯვარცმას" მიენიჭოს რაღაც ამგვარი მნიშვნელობა: მეორედ მოსვლაც არაფერს მოიტანს, თუ იგივე ადამიანი დასვდება, იგივე ცოდვილი, ისეთივე ცნობიერების მქონე, „რაც გოლგოთამდე იყო, ისევეა დღემდე, სულ მთლად იგივეა ადამიანი. ადამიანში იმის შემდეგ არაფერი შეცვლილა", - თუმცა ამას გრიშანი ამბობს, მაგრამ არა გვგონია, ეს მარტო გრიშანისთანა ხალხის აზრი იყოს.

აბდია არაა მორჩილი მონა ღვთისა, ის მისი ღირსებით მსახურია. აბდიასთანა კაცი შეიძლება გახდეს ან რაინდი, ან ასკეტი, ანდა მარტვილი. აბდია მარტვილობის გზას დაადგა და ორგზის იმარტვილა. აბდია

ამქვეყნიდან გაქრა და ასე შემოდის ამ რომანში ბოსტონის ცხოვრება, ცხოვრება კეთილი კაცისა, ოღონდ აბდიასებრთა გარეშე. არავინ არ გრძნობს აბდიას არეოფნას, არც კი იციან, რომ ის არსებობდა: „მე მაშინ დავიბადე, როცა ეჭვების ძალებმა გაიმარჯვეს და თან თავის მსრივ ასალ ეჭვებს ბადებდნენ. მე პროდუქტი ვარ ამ პროცესისა“.

აბდია ერთდროულად რწმენისა და დაეჭვების კაცია. აბდია იდეალია. იდეალშივე ერთიანდება რწმენა და დაეჭვებანი. ეს რწმენა ქრისტიანულ ეთიკას ემარება. დაეჭვებანი ეგზისტენციალიცა და, ალბათ, რუსული სასიათიდანაც მომდინარეობს. ათეისტებისთვის აბდია ორთოდოქსი მორწმუნეა, დოგმატიკოს-მორწმუნეთათვის კი ერეტიკოსი. მისი იდეა „ღვთაების კატეგორიის დროში განვითარება კაცობრიობის ისტორიული განვითარებისადმი მიმართებით“. თავისი რწმენითაც და დაეჭვებითაც იგი დოსტოევსკის პერსონაჟებსაც ეხმიანება და ტოლსტოელობასაც. ამიტომაა, რომ აბდია იმედის განსახიერება უნდა ეფიქლიეო, მაგრამ ეს არ განხორციელდა.

აბდია კალისტრატოვი აღამეთა საიგების ხოცვა-ჟლეტამ. მან მოინდომა წინ აღდგომოდა ამას და ეველას ეხვეწებოდა მორიდებოდნენ ღვთის წერომას. აბდია მავთულით შებოჭეს და საიგებით გატენილ ბარაზე შეაგდეს. ბარაზით აღვსილი ობერ-კანდალოვი გაპეერდა, მაგას ჰგონია, რაკი სტალინი არ არის, ვერავინ მოუვლისო, „ჯერ კიდევ სტალინმა თქვა: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო“.

„ასე დაემართება ეველას, კარგად დაიმახსოვრეთ ეს! - იმუქრებოდა და თვალს აყლეებდა საქსაულზე გაკრულ აბდიას. - ვინც ჩვენთან არაა, ისე ჩამოვკიდებ, ენა უმალ გვერდზე გადმოუვარდება. ეველას ჩამოვასრჩობდი, ეველას, ვინც ჩვენი მოწინააღმდეგეა, მთელ დედამიწას ერთ მწკრივად გვერგვივით შემოვავლებდი და მაშინ ვერავინ გაგვიბედავდა სიტეკვის შემობრუნებას, ეველა ფეხის წვერებზე ივლიდა... აბა, გაეგეტიოთ, კომისრებო, კიდევ ერთხელ გადაეკრათ, რაც იქნება, იქნება...“

...აბდია დაიღუჭა და დარჩა მეინეუმის ტრამალი ობერ-კანდალოვებისთანა ხალხს, „ქიმერას“.

ხეზე გაკრული აბდია ფორმალური და არა მსატვრული მსგავსებით იმეორებს ჯვარცმული ქრისტეს სიტეკვებს, მაგრამ ალბათ ავტორს სურს გვითხრას, რომ უმაღლესი ეთიკური პრინციპი მარტივია და ერთადერთი, სურს გვითხრას, რომ უმაღლესი გმირობა ზნეობრივი გმირობაა და არა სოციალური ანდა პოლიტიკური ან სხვა ნებისმიერი რამ სასისა, რომ ადამიანურობა ზეკალსობრივი რაობაა, რომ დღეს აღარ ჩანს, ანდა, ძალზე იშვიათია ზნეობრივი გმირი.

ასეთი პრობლემების გამოცაა, რომ ამ რომანში, „ძმები კარამაზოვების მსგავსად, ძალზე ხშირია განსჯა, რაც აქ ცნობიერებითი სინამდვილეა („ტანჯული ცნობიერებაა“) და არა „საკითხის განხილვა“.

ბოსტონამდელი ნაწილი ამ რომანისა, შეიძლება ითქვას, უქალო სამეარია, ისეთი სამეარო, სადაც ვერ ძლებს ქალი. იქ ქალი ზედმეტია და ქალიც არ ჩანს. ეს იმიტომ, რომ ქალი უფრო გრძნობს, როცა ირღვევა ვიტალური საწყისები. მართალია, აბდია კალისტრატოვის ცხოვრებაში შემოდის ინგა, მაგრამ იგი სულ მალე ქრება. ინგა უფრო აბდიასეული წარმოსახვაა, ვიდრე რეალური ქალი. აბდია ინგაში ანგელოზს ხედავს, ინგა კი ამჯობინებდა, რომ მასში დაენახათ ქალი. აბდიას სიყვარული სიყვარულიც კი არაა, უფრო ხეედაა სიყვარულზე (თვითონვე ამბობს ამას).

ასევე აბდიასეული წარმოსახვით შემოდის რომანში სიმღერა, ისაა აბდიას მაღალსულიერების მაჩვენებელი. მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში, აბდია ისმენს ძველბულგარულ საგალობლებს, სატაძრო სიმღერებს (იქნებ იოანე კუკუზელისას), რომელსაც ათაკინი ბულგარული გუნდი ასრულებდა. ეს იო სულის ზეაღმავანი ტაძრული საგალობლები, რომლებმაც ეველანი აზიარა სიტეეა - ლოგოსს. აბდია გრძნობს, რომ რაღაც სხვაგვარი ცნობიერება მიენიჭა. მას ეჩვენება, რომ ამ ათეულიდან ერთ-ერთში მისი ორეულია, რომ მასთან ერთად იგი მარადიულ სიმღერას მღერის.

„ასე გალობდნენ ისინი, ასე ვგალობდი მეც მათთან ერთად. ასეთ სასწაულებრივ ბურანში ვგრძნობ თავს ჩვეულებრივ, როცა ძველ ქართულ სიმღერებს ვუსმენ. ძნელია აკიხსნათ რატომ, მაგრამ საკმარისია თუნდაც სამი ქართველი ამღერდეს, თუნდაც ეველაზე ჩვეულებრივნი, და იღვრება სული, და სუნთქავს სელოვნება, უბრალო და იშვიათი თანაზომიერების გამოისობით, სულის ზემოქმედების გამოისობით. ალბათ ეს ბუნების მიერ ნაბოძები მათი განსაკუთრებული ნიჭია, კულტურის ტიპია, შეიძლება პირდაპირ უფლის მიერ გარდმოვლენილი. მე არ მესმის რაზე მღერიან ისინი, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მე მათთან ერთად ვმღერი“.

ასეა ნაჩვენები ადამიანთა, ანდა, კულტურათა სულიერი შეხმიანება. კულტურათა სული შეიძლება იოს მუსიკური ტიპის რამ, ეველაფრით ცსადეოფილი და თანაც ეველაფრისაგან მიღმა არსებული.

„კულტურის ტიპის“ სსენება შემთხვევითი არაა. აბდიას დიდი სურვილია ეზიაროს კულტურის ამ ტიპს (ცსადია, მის მიღმა თავად რომანის ავტორია). „კულტურის ტიპი“ მუსიკალური რაობაა და განსასაზღვრავად ძნელია. მისი შეთვისება შეიძლება არა უბრალოდ „სწავლით“, არამედ მასთან ზიარებით.

აქ ძალზე რთული მიმართებანია: ეირგიზი მწერალი, რომელიც ქმნის მაღალი რანგის რუსულ ლიტერატურას, გვიჩვენებს, რომ რუს აბდია კალისტრატოვს, ძველბულგარულ სატაძრო საგალობელთა სმენისას, თუ როგორ ახსენდება ღვთაებრივობა ქართული სიმღერისა. ძველბულგარუ-

ლი სატანური საგალობელი მირმველი საერთო-სლავური ლიტურგიაა. მაშასადამე, აბდია მაშინ განეწყობა მთელი სულითა და გულით ეზიაროს სხვა ტიპის კულტურის მოგლენას, როცა იგი მიუახლოვდა თავისსავე სულს.

ასეთივეა თვით რომანის ავტორის სულიერი გზა: ის თავის ძირებს უნდა მოუბრუნდეს, რათა იგრძნოს ქართული კულტურის რაობა.

...აბდია უსმენს ბულგარულ მომღერლებს და სული გაუნათლდება, ის მისდება აზრს ერთი ადრე წაკითხული ქართული მოთხრობისა - „ექვსი და მეშვიდე". ეს მოთხრობა კიდევ ერთი ღრმა გაზრდაა ქართული სიმღერისა. აბდია ეკვება ამ მოთხრობას (ინგას ეკვება წერილში, თანაც იმის წინ, როცა ანაშისტებთან ერთად უნდა გაემგზავროს სადღაც შორს).

აქ ჩინგიზ აიტმატოვს, ბირობითაც რომ ვთქვათ, სურს დაწეროს ქართული მოთხრობა, ე.ი. არა თავისი მოთხრობა ქართულ სინამდვილეზე, არამედ მის მიერ წარმოდგენილი სასელდობრ, ქართული მოთხრობა; უფრო ზუსტად, მისი სურვილია მიუახლოვდეს ქართულ მოთხრობას, მის სულსა და აქედან ქართულ სულს და თუ ამას იგი აბდია კალისტრატოვის თხრობით ასორციელებს, ესეც გასაგებია.

სული ქართული მოთხრობისა და ქართველი კაცისა აქ ჩანს და ეს კვლავ გვეძლევა სიმღერის წყალობით.

მეინეუმის სავანის ტრაგედია ბუნებაზე ადამიანის ბატონობის უაზრობას ცხადეოფს. ანტილოპების ხოცვა-ჟლეტა გვიჩვენებს, თუ რაოდენ თავშეუკავებელია ადამიანთა სურვილი ბუნებაზე ბატონობისა. ადამიანი გახდა მტერი ბუნებისა, ბუნების დამანგრეველი. ეს რომანი არც ეკოლოგიურ პრობლემებს ეხება და არც სუპერურბანიზმს, რომანი ეხება ბუნების დამთრგუნველ ფსიქოლოგიას, ადამიანის იხეთ სულიერ განწყობილებას, რომელიც სპობს ბუნებას.

ამგვარი ფსიქოლოგია კი ფაქტობრივად აღარაფერით განსხვავდება მსოფლიოს დამანგრეველი სულისკვეთებისაგან. ადამიანი ცხოველებს აღარ ანებებს თავისუფალ ცხოვრებას. ვაკა-ფშაველასთვის ამას სხვაგვარი განზომილება ჰქონდა: ცოდვაო ბუნება, ადამიანმა არ უნდა ისარგებლოს თავისი სიძლიერითო. ახალმა დრომ კი ამისი ახლებური გაზრდა მოიტანა - უბედურიაო ბუნების დამანგრეველი ადამიანი, იგი ვერ ამჩნევს, რომ ამით თვითონაც დაცემისკენ მიდისო. ადამიანი ანგრევს ბუნებას და ამით ანგრევს თავის თავს. ადამიანმა შექმნა ამგვარი დაპირისპირება - ბუნება და ადამიანი, მაგრამ ადამიანი ხომ თვითონაა ბუნება, ის ხომ იგივე ბუნებაა. ხოლო თუ მასში არის ღვთაებრივი სული, ეს სული მას კიდევ უფრო მეტად უნდა აკავშირებდეს ბუნებასთან, რადგან იმგვარივე სული ბუნებაშიცაა.

ამიტომაც დიდად მნიშვნელოვანი ხდება ბუნებისადმი, ასე ვთქვათ, ეთიკური დამოკიდებულება. ეთიკური დამოკიდებულება ბუნებისადმი ძალზე დიდი ადამიანური მოვალეობაა. ეს არაა მხოლოდ ბუნების დაცვა, აღარც მხოლოდ ტრადიციული „შებრალება“ ბუნებისა, ანდა, ბუნებაში ებნა თავის თავისა. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავის თავში ებნა ბუნებისა და არა, - ვიმეორებთ, - ბუნებაში ებნა თავის თავისა, ეს თავის თავში ბუნებისმიერი ვიტალური ძალების შეგრძნებაა, ამგვარი შეგრძნებით აღძრულმა სისარულმა უნდა უკარნახოს ადამიანს დიდი სიკეთე, ბუნებისმიერი სიკეთე, სხვაგვარად: ესაა შეუმღვრეველი ბუნების განცდა თავის თავში. ესაა ეოველგვარი ზემოაღნიშნული „ქიმერის“ უარმეოფელი რამ. „ქიმერა“ ბუნების მტერია. ობერ-კანდალოვები, მიშკა-შაბაშნიკები, კეკა-მბღოლები, ჰამლეტ-გალკინები და მისთანანი დგანან ბუნების წინაშე, ვითარცა ბუნებაზე „ადამიანურად“ ზეაღმატებულნი, ბუნების მებატონენი. მათში თვით ბუნება აღარაა, მათშია „ქიმერა“. რაღაც სამართალი თითქოსდა ამართლებს მათ „ადამიანობას“, ოღონდ, ცხადია, არა ბუნებითი სამართალი. თითქოსდა, რაღაცნაირი სოციალური მიდუსიც ამართლებს ბუნებაზე მათ ბატონობას, თუმცა აღარსადაა ეთიკური მიმართება ბუნებისადმი.

ასე რომ, ეთიკური მიმართება ბუნებისადმი არაა მხოლოდ მეტაფორულად გასაგებელი რამ. ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ ხოლმე ბუნებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებაზე, ამ გრძნობის განვითარებაზე და ა.შ. მაგრამ ვფიქრობთ, გაცილებით მეტად მნიშვნელოვანია და მით უმეტეს, დღეს, ბუნებისადმი ეთიკური დამოკიდებულება. ალბათ, სიახლენი ცნობიერებაში სწორედ ამ მხრივაა მოსალოდნელი...

ადამიანის უდიდესი უბედურებაა მისივე დაუძლეველი ეგოცენტრიზმი. იგი ეგოცენტრიზმით ამართლებს ბუნების წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთანავე, ადამიანი, ასე ვთქვათ, „პატივსაც სცემს“ ბუნებას, როცა მასში სილამაზეს ხედავს. მაგრამ ეგეც ეგოცენტრიზმია, ოღონდ შებრუნებული სახით. ბუნება არც ლამაზია და არც ულამაზო. ბუნება ისეთია, როგორიც არის, სილამაზე ბუნებაში ადამიანს შეაქვს. ადამიანი თავის თავს იფასებს, როცა ბუნებაში ისეთ რამეს ხედავს, რასაც თვით ბუნება „ვერა ხედავს“. ესა ჰგავს ქალის ქებას, იმ მიზნით, რათა თავისი თავი უფრო საინტერესოდ წარმოაჩინონ. ადამიანი აღმერთებდა ბუნებას, რათა უფრო მეტად დაპატრონებოდა მას. ეოველ შემთხვევაში, ბუნების ესთეტიზაციას არ მოუტანია ბუნების გადარჩენა. გასაგებია, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ეს არაა მკვრეტელობითი ფაქტი, ესაა გაცილებით რთული რამ, მაგრამ ამით სულიერებაც ვერვის უარუყია.

ეს ქვეყანა არაა გაჩენილი მხოლოდ ადამიანისთვის და მეტადრე იმისთვის, რათა მთელი ბუნება დაექვემდებაროს ადამიანისეულ წესრიგს. ადამიანი ბიბლიიდანვე უფლებამოსილია „დაიმორჩილოს“ ბუნება, ოღონდ ბუ-

ნებისავე კანონზომიერების კვალობაზე, ღვთაებრივი კანონის, მართალი სამართლის მიხედვით. მხოლოდ ადამიანის სარკეებლობისათვის როდი არსებობს ეს ქვეყანა, თუნდაც მეინუმის ტრამალები, ან თუნდაც ანტილობები, ანდა მგლები... ისინი ბუნებაში თავისთავადი მნიშვნელობით არსებობენ. მათი არსებობა სიკეთეა. ბოროტებად ბუნებას ადამიანი აქცევს. გრიშანის ხალხისთვის ტრამალის ეკავლების „სიკეთეა“ ნარკოტიკული მარცვლები. მათთვის ამით განისაზღვრება „ბუნებისადმი ინტერესი“; მათ გამო ბუნება ბოროტებად იქცევა ისევე, როგორც ბაზარბაის გამო ბოროტებად ექცა ძუ მგელი აკბარა ბოსტონს. ბაზარბაიმ აკბარას ბატარა ლეკვები მოსტაცა გასაიდად და მგლებისგან დაშინებული ბოსტონის ხასლს მიადგა. ადამიანმა ადამიანის „მგლური ბუნება“ გააღვიძა ძუ მგელში, ხოლო მან მგლურად კი არა, ადამიანური სიბოროტით იმია შური ბოსტონზე და მოსტაცა ბატარა ბიჭი, ბოსტონის ვაჟიშვილი კენჯეში. ჰ. ჰესეს რომანში („ტრამალის მგელი“) ადამიანის „გამგელება“ ჩანს, აქ კი ჩანს უარესი: ბუნების „ადამიანურად“ გადაგვარება.

ადამიანმა შეიტანა ბოროტება ბუნებაში და მერე თავის თავში ბოროტების გამოვლენას „მსუცურ ბუნებას“ აბრალებს ნაცვლად იმისა, რომ სატანას დაებრალოს.

ადამიანი ბუნებას ანგრევს არა თავისი ცხოველური ბუნების გამო, არამედ თავისი ადამიანური ბუნებით. სამეაროც კატასტროფისაკენ მხოლოდ ადამიანს მიჰყავს. მან დაანგრია ბუნება მასში ათასგვარი არაბუნებრივი რამის შეტანით: გააფუჭა მიწა, დანაგვიანა წყალი, მოწამლა ჰაერი, არაბუნებრივი ხმებით აავსო გარემო... მთელი სამეაროს კატასტროფა მოიახლოვა.

„ხაონდაქრე“ რომანი-გაფრთხილებაა: ადამიანი დგას ამდენი უბედურების და უკეთურების პირისპირ, დგას მსოფლიო კატასტროფის წინაშე და არ იცის, ვის უნდა მოეკითხოს ეს ეკელაფერი. ბოსტონისთანა ხალხი გაიწირა და მათი წილი ქვეყანა დაიქცა. დარჩა „კაცი-გაზეთი“, რომელიც მზადაა კვლავაც ბოლო მოუღოს ბოსტონისთანა ხალხს. ბოსტონმა მაინც არ დაწყევლა ეს ქვეყანა, რაღაც სიკეთე მაინც დატოვა. დანარჩენთაგან უმეტესი ნაწილი ადამიანებისა არის „ქიმერა“, რომელთაც არ აინტერესებთ საერთოდ არაფერი და, ცხადია, არც ამქვეყნიურობის მომავალი.

აბდია ორგზის ეცვა ჯვარს.

მთელი ეს სიტუაცია თავისთავად დიდი გაფრთხილებაა.

მაგრამ შეიძლება კი ეოფნა-არეოფნის ასეთი ეოვლისმომცველი პრობლემები მარტო ლიტერატურის იმედითღა დარჩეს?...

„აბა, სხვა რომელ ეპოქაში ცხოვრობდა ადამიანი ეოველდღე, დაბადებიდან სიკვდილამდე ისე, რომ მთლიანად დამოკიდებული ეოფილიეო

იმაზე, ეს ძალები ომს გაჩაღებდნენ თუ თავს შეიკავებდნენ? დღეს ვინ არიან ღმერთები, თუ არა ისინი, ამ იარაღის მფლობელნი? ოღონდ ჯერჯერობით არ არის ეკლესიები, სადაც საკურთხეველზე დადებული ბირთვული ჭურვების მაკეტებზე ილოცებდნენ და გენერლებს თაუვანს სცემდნენ... რით არაა რელიგია?

როცა ამ რომანს ვკითხულობდი, გამახსენდა ა. ოპარინის წიგნი „Происхождение жизни“, რომლის თავდაპირველი გამოცემა გაიმეორა აკად. ს. დურმიშიძემ. ამ წიგნში არის თავი - „Мир живой и мир мертвый“. წიგნი ისეა დაწერილი, რომ ბევრ რაიმეს არასპეციალისტიც გაიგებს. აქ ვხედავთ, რომ მთელი არაცოცხალი, უფრო სწორად, სიცოცხლემდელი ბუნების საზრისი თუ მიზანი იყო სიცოცხლე. მის წარმოშობას კი მოუნდა „ჩვენი პლანეტის არსებობის კოლოსალური პერიოდები“.

თუმცა, შეიძლებოდა გვეთქვა, როცა სიცოცხლე არ არის, დროსაც აღარ ენიჭება აზრი. მაგრამ შესაქმე ხომ დროში მოხდა?! ხომ შეიძლება საბედისწერო წამმა მოსპოს ის, რის წარმოქმნასაც კოლოსალური პერიოდები მოუნდა. ამ წიგნიდან ჩანს სიცოცხლე, როგორც გვირგვინი სამყაროსი.

ჩინგიზ აიტმატოვის რომანის არაერთი ადგილი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ადამიანს სანახევრადაც კი ვერ შეუგრძნია, თუ როგორი კატასტროფის წინაშე მიიუვანა ეს ქვეყანა. გასაოცარი და სახიფათოც სწორედ ის არის, რომ ეს ვერ შეუგრძნია ადამიანს, მაგრამ იქნებ ამას ადამიანი ქვეშეცნეულად გრძნობს და ამითაა გამოწვეული მისი დაცემა ობერ-კანდალოვის სუთეულამდე?!. იქნებ იმიტომ ხდება აბდიას ჯვარცმა, ანდა ბოსტონის ტრაგედია?! იქნებ სწორედ ესენია ხვალინდელი დღის უბედურების მაუწუებელნი დღევანდელობაში, ანდა, იქნებ, ეველაფერმა დაკარგა აზრი?! ეს დაეჭვება, - იქნება ეველაფერმა დაკარგა აზრი, - გაცილებით საჭიროა და სიკეთის მომტანი, ვიდრე დამამშვიდებელი, სიფრთხილის მომადუნებელი ფსევდოპოეტური და ფსევდოოპტიმისტური მოწოდებანი.

საოცარია, რომ ამ სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ქვეყნის აღსასრულის იდეა „ადვილად“ უარიეოფოდა იმით, რომ ეს საუკუნეთა მანძილზე არ განხორციელდა. თერმობირთვულმა ერამ და ეკოლოგიურმა უპასუხისმგებლობამ ეს „არგუმენტი“ უცბად მოაძველა.

ამ რომანში აღწერილი ეპიზოდები ხშირად მონუმენტურობით და ამდენადვე ერთგვარი განეენებულობითაა აღბეჭდილი (ასეთია მუინუუმის ტრამალის აღწერა, ნარკომანთა ეოფნა ტრამალში, აბდიას ჯვარცმა, მგლების ხვლა სხვადასხვა მხარეს). ანალოგიურად ზედმეტად ამაღლებული შეიძლება მოგვეჩვენოს აბდიას ღვთისმაძიებლური მსჯელობანი მა-

მა-კოორდინატორთან, ანდა გრიშანისა - აბდიასთან. ჩვენის აზრით, აქ პირობითია „ზედაპირულობა“: ზოგადობა ყოველთვის როდი განაპირობებს ზედაპირულობას. ხშირად საჭიროა კიდეც ზოგადობა, რათა მწერალმა „ფრჩხილებს გარეთ“ გამოიტანოს ზედმეტი რამ და არსს უფრო მიუახლოვდეს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ზედაპირზეევე იჩენს თავს სიღრმისეული კანონზომიერებანი, როგორც ეს ჯვარცმის მისტერიის დროს მოხდა და როგორც ეს ხდება ხოლმე ბუნების დიდი ფერისცვალობის დროს. მასშტაბურობა ლიტერატურულ ხერხად იქცევა.

ეს ეფუძნება გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციებს. შორს რომ არ წავიდეთ, აგიოგრაფია გავიხსენოთ. აგიოგრაფიაში წმინდანის მოქმედება ფასდება განკითხვის დღის მიხედვით. ნებისმიერი კონკრეტული ხიტევა და საქმე განიკითხება აბსოლუტური ჭეშმარიტების კვალობაზე. ხსვაგვარად შეუძლებელია. ამიტომ არასწორია, თუკი კონკრეტული ეოფითი მიმართებებით და ამგვარივე ნიუანსირებით შემოვიფარგლებით. როცა ჩვენ შუშანიკის ღვთაების წინაშე წარდგენაზე და ხაბინო სულიერ ძალაზე ვლაპარაკობთ, ეს ილუზიურობისკენ მისწრაფებით კი არ ხდება, არამედ ეს ხდება აუცილებლობით, რადგან მაშინ ხწორედ ასეთი განზომილებანი არსებობდა. ტაძარი აიგებოდა არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ფონზე, არამედ ცისა და მიწის შუა და მთავარი ხწორედ იყო, თუ როგორ გამოხატავდა ის ამ შუალედობას. ასეთი იყო მაშინდელი ხასისმეტყველება. და თუ ამას ვერ ვიგებთ, ანდა ასეთი რამ არ გვაინტერესებს, ოდენ მიმზიდველი დეტალების კეთილმოეარულ მაძიებლებად ვრჩებით.

აბდია კალისტრატოვი ცისა და მიწის შუა დგას. საერთოდ, ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი სახე და მეტადრე მაშინ, როცა იგი ფიქრობს, თუ როგორი იყო ღმერთი, როგორი უნდა იყოს იგი დღეს (Бог - Современник) და როგორი უნდა იყოს ხვალ, ჩანს თუ არა დღეეანდელობაში ხვალინდელი ღმერთი (Бог Завтра).

ბ. აიტმატოვის ამ რომანში ძალზე ბევრი პარადიგმული ხასეა. არაერთი მათგანი თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც გვხვდება. ზოგიერთი საერთო წეაროებიდან მომდინარეა, კერძოდ, ქრისტედან, პილატედან თუ დონკიხოტობიდან მომდინარე ხასეებია, ხოლო ზოგიერთიც - საერთო პრობლემების მიმანიშნებელია. ასე რომ, შესვედრანი ზოგადი ტიპოლოგიის კონტექსტში ხდება.

დღეეანდელ მწერლობაში უმველეს პარადიგმათა მოხმობა მათი დიდი ესთეტიკური პოტენციალის მაჩვენებელია. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მათი წეაროების მებნა, მაგრამ უმთავრესი მაინც მათი მხატვრული მნიშვნელობანია. საერთოდაც, ლიტერატურათმცოდნეობას, თუ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დარგს, ხსვა უფრო მნიშვნელოვანი მი-

ზანი რადა უნდა ჰქონდეს, თუ არა ლიტერატურული ნაწარმოების არსის წვდომა. აი, სწორედ ესაა უმთავრესი, გნებავთ, აკადემიური ბრობლემა. თორემ გამოვა ისე, რომ აკადემიური ეველაფერი შეიძლება იყოს, გარდა უმთავრესისა. ანდა გამოვა, რომ ეველაფერი საძიებელია, ხოლო უმთავრესი, თითქოსდა, თავისთავად გასაგებია.

ჩ. აიტმატოვის რომანისთანა ნაწარმოებები გვიჩვენებენ, თუ უძველეს პარადიგმებს რაოდენ ძალუძთ განიმსჭვალონ სრულიად თანამედროვე და თანაც სასიცოცხლო პრობლემებით, რომელთა წინაშე ფორმა თითქოსდა კარგავს თავისთავადობას და, ვიტეოდით, თითქოსდა, ფორმა „ქრება“, ან უფრო ზუსტად, ფორმა-შინაარსის იგივეობა მეარდება.

რჩება დიდი მოლოდინი, რომ უნდა აღორძინდეს ბუნება, შრომა და მაღალსულიერება, ე.ი. ეოველივე ის, რაც კი ოდითგანვე უმთავრესი საფიქრალი იყო მწერლობისა, მაგრამ დღეს ესენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, რათა ადამიანის ცნობიერება არ წარიმართოს ეოველივეს დამღუბველი კატასტროფისაკენ.

ჩ. აიტმატოვის „საქონდაქრე“ იმიტომაცაა რომანი-ტრაგედია, რათა რომანი-გაფრთხილება გახდეს.

რევაზ სიხარულიძე



პირველი ნაწილი

I

მზისკენ მიქცეულ მთის ფერდობებზე დღისით ჩამოთბა. ამ, ბავშვის სუნთქვასავით მსუბუქი, ხანმოკლე დათბობის კვალდაკვალ ამინდი მალე შეუმჩნეველად შეიცვალა - მყინვარებიდან ნიავმა წამოუქროლა და ხეობებში უკვე მოიპარებოდა ყოვლის მომცველი ქუფრი ადრეული ბინდი, რომელსაც თან მოჰყვებოდა მომაყალი თოვლიანი ღამის ცივი სირუხე.

ირგვლივ ზღვა თოვლი იდო. ისიქ-ქოლისპირა ქედის გაყოლებაზე მთები ნაბუქარს ჩაეხუმქრა. ქარბუქს ამ მიდამოზე ორიოდე დღის წინ გადაექროლა თავნება სტიქიის ახირებით უცებ აბრიალებული ხანძარივით. საზარელი ამბავი დატრიალდა მაშინ აქ - ქარბუქის წყვდიადში განიმქრა მთები, განმიქრა ცა, განმიქრა მთელი ადრინდელი ხილული სამყარო. შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა, გამოიდარა კიდევაც. ეფება ნამქერებით შებოჭილ მთებს თოვლბუქის ჩაცხრომის კვალად გამახევებელი და ამქვეყნად ყოვლისგან გამომთიშველი სუსხიანი სიწყნარე დაეუფლა.

ოღონდაც სულ უფრო ჯიუტად იზრდებოდა, სულ უფრო მატულობდა გუგუნი დიდტონაჟიანი შვეულმფრენისა, რომელიც იმ საღამოს პირსე უზუნჩატის კანიონში, ქართა საუფლოში, დაბოლქვილი ღრუბლებით მობურული ალა-მონგიუს ყინულოვანი უღელტეხილისაკენ მიიწევდა. უფრო და უფრო ძლიერდებოდა, უფრო და უფრო ახლოვდებოდა ეს გუგუნი, ყოველ წუთს მძაფრდებოდა, ბოლოს აზყაყდა - ერთიანად დაეუფლა სივრცეს და ყოვლისდამთრგუნავი გრიალი მოე-

დო ქედებს, მწვერვალებს, ცად აწიდულ ყინულებს, სადაც ოდენ ბგერა და სინათლე აღწევდა. მრავალგზისი ნახმეკით კლდეებსა და ვიწრო ხეობებში აწყლეავებული გრუხუნი ქვემოთ ისე დაეოკებლად და მრისხანედ მოიწევდა, გეგონებოდათ, კიდევ ცოტაც და, როგორც მაშინ - მიწისძვრის ჟამს, საშინელება დატრიალდებაო.

ასე მოხდა, რომელიღაც უკიდურეს წამს - შვეულმფრენის გზაზე, ქარების მიერ გაშიშვლებულ, კლდოვან ციცაბო ფერდობზე ბგერების შეხლით შეტოკებული მცირე ნაშვავი დაიძრა და მაშინვე შელოცვილი სისხლივით შეჩერდა. მაგრამ ამ უმდგრადი გრუნტის შეტოკებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ერთობ მძიმე ქვა ციცაბო კლდეს მოსწყვეტოდა და ქვევით დამშვებულიყო, სულ უფრო ასწრაფებულიყო, დატრიალებულიყო, გზადაგზა მტვრისა და ღორღის კორიანტელი დაეყენებინა, ხოლო ზედ ფერდობის ძირას ქვემეხის ყუმბარებივით გაეგლიჯა ტირიფისა და კოწახურის ბუჩქები, გაერღვია ნამქერები და გორვა-გორვით ჩაეღწია ნახევრად გაყინული თბილი ნაკადულის მახლობლად, კლდის შვერილის ქვეშ, შამბნარით დაფარულ ნაპრალში მგლების მიერ მოწყობილ ბუნაგამდე.

ძუ მგელი აკბარა ზემოდან ჩამოგორებულ ქვებსა და ჩამოცვენილ თოვლს განზე გაუხტა, ნაპრალის სიბნელეში დაიხია და ზამბარასავით შეიკუმშა, ქეჩოაშლილი საზარლად აბრიალებდა ანთებულ თვალებს, წინ იყურებოდა, მზად იყო ყოველ წამს შესჭიდებოდა მომხდურს. ამაოდ შიშობდა მგელი აკბარა. საშიში გაშლილი ტრამალია, სადაც დადევნებულ შვეულმფრენს ვერსად დაემალები, სადაც იგი დაყინებით მოგდევს ფეხდაფეხ, გეწევა, გაყრუებს ხრახნების ზრიალით, ავტომატის ცეცხლით გცელავს და მთელ ქვეყანაზე ვერაფერი გიხსნის, არ არსებობს ხვრელი, სადაც ყოჩაღი მგელი თავს შერგავ - მიწა ხომ არ გაირღვევა, რომ დევნილი შეგიფაროს.

მთები სხვაა - აქ ყოველთვის შეიძლება მოკურცხლო, სადმე მიიყუჟო, სადმე დაიცადო საფრთხის გადავლამდე. აქ შვეულმფრენი საშიში არაა, მთებში თვითონ ეშინია შვეულმფრენს. მაგრამ შიში განუკითხავია, მით უმეტეს, ნაცნობი, უკვე განცდილი. შვეულმფრენის მოახლოებაზე ძუ მგელი ხმამაღლა აწკმუვლდა, მთლად მოიკუნტა, თავი ბეჭებშუა შერგო, და მაინც უმტყუნეს ნერვებმა, მაინც ვერ დაიურვა თა-

ვი, გააფორებით დაიყმუვლა, უილაჯო, ბრმა შიშით შეპყრობილი გასასვლელისკენ გაშმაგებით გახოხდა, კბილებს ბორტად, გაავებით აღრჭიალებდა, მ'ხად იყო საბრძოლველად, თითქოს იმედოვნებდა, უკუექცია ხეობის თავ'ხე მოგრ'ეხ'ენე რკინის ურჩხ'ელი, რომლის გამოჩენა'ხე ქვეებმაც კი დაიწ'ყეს ცვენა მაღლიდან, როგორც მიწ'ისძვრის დროს იცის ხოლმე.

აკბარას პანიკ'ურ მოთქმა'ხე ბ'ენაგში თავი შემოჰყო მისმა ხეადმა ტაშჩაინარმა. მას შემდეგ, რაც ძ'ე მგელს სხე'ელი დაუმძიმდა, ტაშჩაინარი მეტწ'ილად შამბნარში მოფარებ'ულ ადგილას ცხოვრობდა. ტაშჩაინარი, ან'ე ქვისმკვნეტელი, როგორც იმ არემარის მეცხვარეებმა ყოვლისშემმ'ესვრელი ყბების გამო შეარქვეს, აკბარასთან მიხოხდა და დასამშვიდებლად აბ'ეხბ'ეხდა, მიუწ'ვა, თითქოსდა თავისი სხეულით თავდასხმისაგან იფარავდა. აკბარა ეკვროდა, ს'ულ უფრო ეწ'ებებოდა და წკმუტ'ენებდა, საცოდავად ევედრებოდა უსამართლო ცას, ვიღაცას თ'ე თავის წ'�ულ ბედს, და კიდევ დიდხანს კანკალებდა ერთიანად. მაშინაც ვერ დაიოკა თავი, როცა შვეულმფრენი ალა-მონგიუს ძალ'ემ მყინვარს იქით გაქრა და მისი ხმა ღრ'ებლების მიღმა მიწ'ყდა.

კოსმოს'ური სიწ'ყნარის ს'ვავიეით ერთბაშად ჩამოწ'ოლილ ამ მთის სიჩ'უმეში ძ'ე მგელს უცებ ცხადლივ მოესმა თავის არსებაში, უფრო სწ'ორად მ'ეცელში ატეხილი ცხოველი ბაგ'ენი. როცა აკბარა ჯერ კიდევ თავისი მონადირ'ული ცხოვრების პირველ ხანებში ერთხელ დიდ დედა კ'ურდღ'ელს დაახტა და მოგ'ედა, ასევე მოეჩ'ვენა მაშინ კ'ურდღ'ლის მ'ეცელში რაღაც ' უხილავ, თვალისაგან დაფარ'ულ არსებათა ამგვარივე ბიძგები. იმ ' უცნაურმა ამბავმა გააკვირვა და დააინტერესა ცნობისმოყვარე ახალგაზრდა მგელი. გაოცებ'ული, ყ'ურებდაცქვეტილი ეჭვით დასცქეროდა მოგ'ედ'ულ მსხვერპ'ლს. ეს ისე უცნა'ური, გა'ეგებარი რამ იყო, თამაშიც კი სცადა უხილავ არსებებთან, ' ხ'ესტად ისევე, როგორც კატა ეთამაშება ცოცხალმკვდარ თაგვს. ახლა კი თავად იგრძნო იმგვარივე ცოცხალი ტვირთი - თავის არსებობას ამცნობდნენ ისინი, რომელნიც კვირანახევარში ან ორ კვირაში ქვეყანას ' უნდა მოვლენოდნენ, თ'ე რიგ'ს'ე იქნებოდა ყ'ველაფერი. ჯერჯერობით კი დედის საშოს შენივთებ'ულნი, დედის არსების ერთს'ულნი და ერთხორცნი იყვნენ; ამიტომ განიცადეს ჩანასახოვანი, მ'ქრქალი, საშოსმიერი ქვეცნობიერების წ'ყალობით იგივე ძრწ'ოლა, იგივე სასოწ'არკვეთილება, რაც დედამ

განიცადა. ეს იყო გარესამყაროსთან, მომლოდინე მტრულ სინამდვილესთან მათი პირველი არაპირდაპირი ურთიერთობა. სწორედ ამიტომ შეინძრნენ მუცელში და ასე გამოეხმაურნენ დედის ტანჯვას. პაწია არსებებსაც დაეუფლა შიში, ხოლო ეს შიში მათ დედის სისხლმა აგრძნობინა.

აკბარამ მიაყურადა, მის გაცოცხლებულ საშოში თუ რა ხდებოდა მისდა უნებურად, და აღელდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, სიმამაცით აღენთო, გადაწყვიტა, უთუოდ დაეცვა, საფრთხისგან დაეფარა თავისი სისხლი და ხორცი. დაუფიქრებლად შეებმებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო. მასში გაიღვიძა შთამომავლობის შენარჩუნების დიდმა თანდაყოლილმა ინსტინქტმა და იმავ წამს იგრძნო, როგორ მოაზღვავდა სინაზე, მოთხოვნილება - მოჰფერებოდა, გაეთბო მომავალი ლეკვები, ძუძუ ეწოვებინა მათთვის ისე, თითქოსდა ისინი გვერდით ჰყოლოდა. ეს იყო ბედნიერების წინასწარი შეგრძნება. აკბარამ თვალები მილულა, დაიკრუსუნა ნეტარებისაგან, იმის მოლოდინისაგან, რომ რძე მოაწვებოდა მუცელზე ორ მწკრივად ჩარიგებულ, დაწითლებულ-დაბერილ მსხვილ დვრილებში, და მიბნედილად ნელა, ნელა გაჭიმა სხეული, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა ბუნაგი, და საბოლოოდ დამშვიდებული ისევ მიიწია თავისი სისვფაფრიანი ტაშჩაინარისკენ. ძალმოსილი იყო ტაშჩაინარი, თბილი, ხშირბეწვიანი, მოქნილი ტყავი ჰქონდა. ამანაც კი, ამ პირქუშმა ტაშჩაინარმაც შეამჩნია, რას განიცდიდა იგი, დედა-მგელი. ალღოთი მიხვდა, რა ხდებოდა აკბარას საშოში, და ალბათ თვითონაც აუჩუყდა გული - ყური აფშიკა, მოუხეშავი, მძიმე თავი ასწია, ღრმად ჩამსხდარი შავი თვალების ცივ გუგათა დაბინდულ მზერაში რაღაც ჩრდილი, რაღაც გაურკვეველი სასიამოვნო წინათგრძნობა გაუკრთა, თავშეკავებულად დაიბუხბუხა, ბუხბუხს ფთხინვა-ხავილი გამოურია და ამით გამოხატა კეთილი განწყობა, მსადყოფნა - უსიტყვოდ დამორჩილებოდა ლურჯთვალა ძუ მგელს, დაეცვა იგი, და თავისი ფართო, თბილი, ტენიანი ენით გულიანად, ალერსიანად დაუწყო ლოკვა თავზე, განსაკუთრებით ლურჯ თვალებსა და ცხვირზე. აკბარას უყვარდა ტაშჩაინარის ენა მაშინაც, როცა მოუთმენლობისგან აკანკალებული ტაშჩაინარი ეკეკლუცებოდა, ელაციცებოდა და ამბოხებული სისხლისაგან გახურებული ენა გველივით მოქნილი, სწრაფი და ცხოველმოქმედი უხდებოდა, ხოლო თვითონ თავს

თავდაპირველად ისე იჭერდა, ვითომ ყოველივე ამას აინუნში არ აგდებდა, უყვარდა მაშინაც, როცა მსუყე საჭმელის შემდეგ სიმშვიდისა და ნეტარების წუთებში მისი მგლის ენა რბილი და ტენიანი იყო.

ამ ორ მძვინვარე მგელთაგან აკბარა გახლდათ თავი, გონება, უფლება ჰქონდა ნადირობის დაწყებისა, ხოლო ტაშჩაინარი - სანდო ძალა, მისი ნების საიმედო, დაუცხრომელი, განუხრელი აღმასრულებელი იყო. ეს ურთიერთდამოკიდებულება არასდროს ირღვეოდა. მხოლოდ ერთხელ მოხდა უცნაური, მოულოდნელი ამბავი, როცა აკბარას მგელი განთიადამდე დაიკარგა და დაბრუნებულს სხვა ძუს სხვანაირი სუნი მოჰყვა - საზიზღარი სუნი უსირცხვილო მძუნაობისა, რომელიც ერთმანეთს უსევს და ათობით ვერსზე უხმობს ხვადებს. ამ ამბავმა უსაზომოდ გააბოროტა, გაახელა აკბარა, ტაშჩაინარი არ გაიკარა, ანაზდეულად ღრმად ჩაასო შუანი მხარში და დასჯის ნიშნად აიძულა მრავალი დღე ზედიზედ კოჭლობით ევლო მის უკან, ახლოს არ უშვებდა. რამდენს ყმუოდა ბრიყვი ტაშჩაინარი, მაგრამ აკბარა არ ეხმიანებოდა, არ ჩერდებოდა, თითქოს ტაშჩაინარი მისი მგელი არც იყო, თითქოს იგი მისთვის არც არსებობდა, ხოლო თუ ტაშჩაინარი გაბედავდა და მიუახლოვდებოდა, რათა დაეურვებინა, მოფერებოდა, აკბარა მართლა გაეჯიბრებოდა ღონეში. ტყუილა კი არ იყო იგი ამ უცხო მხრიდან მოსული სისვი წყვილის თავი, ხოლო ტაშჩაინარი - ფეხები.

აკბარა ახლა, როცა ცოტათი დამშვიდდა და ტაშჩაინარის ფართო ფერდქვეშ გათბა, მადლიერი იყო თავისი მგლისა, რომ შიშნაჭამს თანაუგრძნო და ამით საკუთარი თავისადმი რწმენა დაუბრუნა. ამიტომაც არ ეწინააღმდეგებოდა ტაშჩაინარის გულიან ალერსს და პასუხად ერთი-ორჯერ ტუჩები გაულოკა, იოკებდა ძრწოლას, რომელიც ჯერ კიდევ ახსენებდა თავს ანაზდეული კანკალით, აყურადებდა, რა გაუგებრად და მოუსვენრად იქცეოდნენ ჯერ კიდევ ამქვეყნად მოუვლენელი ლეკვები და გულისყურს იკრებდა, შეეგუა ყველაფერს: ბუნაგსაც, მთებში ჩამომდგარ დიდ ზამთარსაც, თანდათან მოახლოებულ ყინვიან ღამეებსაც.

ასე ილეოდა ძუ მგლისთვის თავზარდამცემი საშინელი დღე. დედური ბუნების დაუოკებელ ინსტინქტს აყოლილი თავის თავზე კი არა, უფრო იმათზე წუხდა, რომლებიც მალე ამ ბუნაგს უნდა მოვლენოდნენ, რომელთათვისაც მან და მის-

მა მგელმა ეს ბუდე მოძებნეს და მოაწყვეს აქ, შამბნარით, გრიგალის მიერ დალეწილი ხეებისა და ჩამოქცეული ქვების ნაყარით დაფარული კლდის შვერილის ქვემოთ, ღრმა ნაპრალში, რათა შთამომავლობის დასაბადებელი ადგილი ჰქონოდათ, რათა თავიანთი თავშესაფარი ჰქონოდათ დედამიწაზე.

მით უფრო უნდა ჰქონოდათ, რომ ორივენი ამ მიდამოებში სხვა მხრიდან იყვნენ მოსულნი. გამოცდილი თვალი ადგილობრივ თანამოძმეთაგან გარეგნულადაც კი განასხვავებდა. ჯერ ერთი - როგორც ტრამალის მგლებს, ღია ფერისა ჰქონდათ კისრის ბეწვის გადანაკეცები, რომლებიც მხრებზე ღაბაბიდან ქეჩომდე მჭიდროდ შემოვლებოდათ დიდებული მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი მოსასხამივით. აკჯალები, ანუ იგივე სისვფაფრიანები, ისიქ-ქოლისპირა ზეგანის ჩვეულებრივ მგლებზე მაღლებიც იყვნენ, ხოლო თუ ვინმე აკბარას ახლოს ნახავდა, გააოცებდა მისი კრიალა ლურჯი თვალები. ასეთი თვალები უიშვიათესი იყო და შესაძლოა, მარტოოდენ აკბარას ჰქონდა. ძუ მგელს აქაური მეცხვარეები აკდალის, ანუ თეთრქეჩოიანს ეძახდნენ, მაგრამ მალე ენის სახეცვალების კანონთა მიხედვით აკდალი აკბარი გახდა, შემდეგ კი აკბარა, ანუ დიადი, და არავინ უწყოდა, რომ ამ საქმეში განგების ხელი ერია.

ერთი წლის წინათ აქ სისვფაფრიანთა სახსენებელიც არ იყო. როცა გამოჩნდნენ, არავის შეერთებიან, განცალკევებით ცხოვრობდნენ, თავდაპირველად უმეტეს წილად ნეიტრალურ ზონებში დაეხეტებოდნენ, რათა აქაური ადგილ-მამულების მფლობელ მგლებთან შეტაკებას არიდებოდნენ, თავი იმით გაჰქონდათ, რითაც შეეძლოთ. სანადიროდ მინდვრებში, ხალხით დასახლებულ დაბლობ ადგილებშიც კი დარბოდნენ, მაგრამ ადგილობრივ ხროვებს არ მიჰკედლებიან - ლურჯთვალა აკბარა მეტისმეტად დამოუკიდებელი ბუნებისა იყო, რის გამოც უცხოებს ვერ ეთვისებოდა და ვერავის უფროსობას ვერ იტანდა.

დრო ყველაფრის განმსჯელია. შემდგომში გადამთიელმა სისვფაფრიანებმა წელში გამართვა შეძლეს, მრავალი სასტიკი ბრძოლის შემდეგ ისიქ-ქოლისპირა ზეგანზე მიწები იგდეს ხელთ და ახლა უკვე ისინი, გადამთიელნი, გახდნენ ადგილ-მამულების მფლობელნი, ხოლო ადგილობრივი მგლები მათ საზღვრებში შეჭრას ვეღარ ბედავდნენ. შეიძლება ითქვას, ისიქ-ქოლზე ახალმოვლენილი სისვფაფრიანი მგლების

ცხოვრებას საკეთილო პირი უჩანდა, მაგრამ ამას წინ თავისი ისტორია უძღოდა და ნადირებს რომ წარსულის გახსენება შეძლებოდათ, დიდი მიხვედრილობისა და ხალასი აღქმის უნარით დაჯილდოებული აკბარა იძულებული იქნებოდა, ხელახლა განეცადა ყოველივე, რაც შესაძლოა, ახსენდებოდა კიდეც დროდადრო, ცრემლს აღვრეევინებდა და გულისშემძვრელად აკვნესებდა.

იმ დაკარგულ სამყაროში, შორეული მუინყუმის საკანაში, დიდი მონადირული ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა მუინყუმის უსასრულო სივრცეებზე საიგების უსასრულო ჯოგების უსასრულო დევნაში. როცა საქსაულებით დაფარული სავანის ტრამალებში უხსოვარი დროიდან მობინადრე, ოვით დროსაკით უძველესი ანტილოპა-საიგები, წყვილჩლიქოსანთა წარმომადგენელნი, ჯოგის ცხეირკეხიანი ცხოველები, რომელთა მილ-ნესტოები ფილტვებში ისე ძალმოსილად უშვებენ ჰაერს, როგორც ვეშაპები ულვაშებშუა აფრქვევენ წყალს - ოკეანის ნაკადებს, და შეუძლიათ შეუჩერებლად ირბინონ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე; დიახ, როცა ისინი ოდინდელი და განუყრელი მგლებით ოტებულნი ამოძრავდებოდნენ, როცა ერთი დამფრთხალი, დაზაფრული ჯოგი მეზობელ ჯოგს წარიტაცებდა, წარიტაცებდა ასევე მეორეს, მესამეს და ამ საყოველთაო რბოლაში ერთვებოდნენ გზად შემხვედრი დიდ-პატარა ჯოგები, როცა საიგები დედამიწას დატეხილი წარღვნასავით მიქროდნენ მუინყუმში - ბორცვებზე, დაბლობებსა და ქვიშებზე, მაშინ მიწა უკან მიფრინავდა, მათ ჩლიქებქვეშ ისე გუგუნებდა, როგორც გუგუნებს ზაფხულის ჟამს სეტყვა-მერეხში, ჰაერი ივსებოდა მოძრაობის გრიგალისებური სუნთქვით, კაუის მტვრითა და ჩლიქებქვემოდან გამოტყორცნილი ნაპერწკლებით, ჯოგის ოფლის სუნით, გიჟური სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯიბრის სუნით; მაშინ მგლები კვალდაკვალ და გვერდიდან მისდევდნენ საიგებს, ცდილობდნენ იქით გაერეკათ, საითაც მათ საქსაულებში ჩასაფრებული გამოჯეკილი სულთამხუთავნი ელოდნენ. მგლები, რომლებიც საფარიდან ჯიდაოში ეძგერებოდნენ ელვისუსწრაფესად მომქროლავ საიგას, მასთან ერთად გაგორდებოდნენ მიწასე, ასწრებდნენ მისთვის ყელი გამოეღადრათ, სისხლი გამოეშვათ და ისევ განეგრძოთ დევნა, მაგრამ საიგები ხშირად რაღაცნაირად ხვდებოდნენ, სად ელოდებოდნენ ჩასაფრებული მგლები და ახერხებდნენ განსე ჩაევლოთ იმ ადგილე-

ბისათვის. ალეის შემორტყმა კი ხელახლა იწყებოდა კიდევ უფრო მეტი სიშმაგით, მეტი სისწრაფით და ყველანი, ოტებულნიცა და მდევარნიც - [illegible]ულმობელი ყოფიერების ერთი რგოლი - ისევ ეროვებოდნენ რბოლაში, როგორც სიკვდილისწინა აგონიაში (უკან დასახევი გზა მათ აღარ ჰქონდათ), რათა ეცოცხლათ, რათა სიკვდილს გადარჩენოდნენ და ალბათ თვით ღმერთს შეეძლო შეეჩერებინა ერთნიცა და მეორენიც, ოტებულნიცა და მდევარნიც, ვინაიდან საქმე ეხებოდა სიცოცხლის მწყურვალ არსებათა სიკვდილ-სიცოცხლეს, ვინაიდან იმ მგლებს, რომელნიც ასეთ გაშმაგებულ რბოლას ვერ უძლებდნენ, იმათ, რომელნიც - არსებობისათვის ბრძოლაში - რბოლა-ბრძოლაში - შეჯიბრებისთვის არ იყვნენ დაბადებულნი, იმ მგლებს მუხლი ეკვეთებოდათ და სულის ამოსახდომად ეცემოდნენ ქარიშხალივით მიმქროლავ მდევართა მიერ ავარდნილ მტვრის კორიანტელში, ხოლო თუ მაინც ცოცხალნი რჩებოდნენ, სხვა მხარეებში მიიხვეწებოდნენ, სადაც თავს ესხმოდნენ უწყინარ ცხვრის ფარებს, ცხვრებს, რომლებიც სულაც არ ცდილობდნენ სიცოცხლის შესანარჩუნებლად გაქცეულიყვნენ. სამაგიეროდ იქ სხვა საფრთხე არსებობდა, ყველა შესაძლო საფრთხეს შორის უსაშინლესი - იქ, ფარებში, ადამიანები, ცხვრის ღმერთები და იმავე ცხვრის მონები იყვნენ, რომლებიც თვითონ ცხოვრობენ, მაგრამ საშუალებას არ აძლევენ სხვებს სიკვდილს გადაურჩნენ, განსაკუთრებით მათ არ აძლევენ საშუალებას, ვინც მათსე კი არაა დამოკიდებული, თავისუფლება სეგარდმო აქვს მინიჭებული...

ადამიანები, ადამიანები - ადამიანღმერთები! ადამიანებიც ნადირობენ საიგებზე მუინყუმის სავანაში. წინათ ცხენებით მოდიოდნენ, ტყავი ემოსათ, ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი, შემდეგ მოგრიალე თოფები გაიჩინეს და ცხენებს ყიყინით დააგელვებდნენ, საიგები კი გუნდ-გუნდად გარბოდნენ აქეთ-იქით და აბა, ერთი მოგეძებნა საქსაულების მისადევრებში! მაგრამ სხვა დროც დადგა. ახლა ადამიანღმერთებმა მანქანებით დაიწყეს საიგების ალეაში მოქცევა, ზუსტად მგლებივით არაქათს აცლიდნენ და შემდეგ ზესეურად ცხრილავდნენ, მუსრს ავლებდნენ. ბოლო ხანებში კი ადამიანღმერთები შვეულმფრენებით მოფრინავდნენ. ჯერ ჰაერიდან ზვერავდნენ ტრამალში საიგების ჯოგის ადგილსამყოფელს, შემდეგ მონიშნულ კორდინატებში მათ ალეაში აქცევდნენ, ხოლო ხმელეთის სნაიპერები დაბლობებში საათში ასი და მეტი კილომეტ-

რით მიქრიდნენ, რათა საიგებს დამალეა ვერ მოესწროთ, მაღლიდანაც შეეულმფრენები ეხმარებოდნენ, სამიწნეს ადგილსამყოფელს და მოძრაობის მიმართულებას უჩვენებდნენ. გაჩნდნენ მანქანები, შეეულმფრენები, სწრაფმსროლი მაშხანები და ცხოვრება თავდაყირა დადგა მუინყუმის საეანაში...

ლურჯთვალა აკბარა ჯერ კიდევ უწლოვანი იყო, ხოლო მისი მომაყალი მეუღლე - ტაშჩაინარი მასზე ოდნავ მეტი ხნისა, როცა დრო დაუდგათ, ნადირის გამორეკვას შეჩვეოდნენ. თავდაპირველად მხარს ვერ უსწორებდნენ მდევრებს, ეგ იყო, წაქცეულ ანტილოპებს გლეჯდნენ, სულთმობრძაყებს ბოლოს უღებდნენ, შემდგომ კი ღონესა და ამტანობაში ბევრ ქარცეცხლში გამოვლილ მგელს სჯობნიდნენ, განსაკუთრებით სიბერეშეპარულთ. და რომ ყველაფერი ბუნების წესისამებრ წარმართულიყო, მალე ხროვისთვის უნდა ეწინამძღოლათ, მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა...

წელი წელს გააჩნდა. იმ წლის გაზაფხულზე კი საიგები განსაკუთრებულად მომრავლდნენ - ბევრმა ფურ-საიგამ ტყეპი შობა, რადგანაც შარშანდელ შემოდგომაზე გამხდარი ბალახეული ორჯერ ამწვანდა თბილ ამინდში რამდენიმე ბარაქიანი წვიმის შემდეგ. საკვები ბლომად იყო და შობადობაც ამან განაპირობა. დოლის დროისთვის საიგები ჯერ კიდევ ადრეულ გაზაფხულზე მიდიოდნენ მუინყუმის შუაგულში უთოვლო დიდ ქვიშებში, სადაც მგლები ადვილად ვერ შეაღწევდნენ, თანაც ბარქანებზე საიგების დევნა წელის ნაყვა იყო. ქვიშებში ანტილოპას ვერაფრით ვერ დაეწეოდი, სამაგიეროდ მგლების ხროვები ერთიორად იჯერებდნენ გულს შემოდგომასა და ზამთარში, როცა ცხოველთა სეზონური მომთაბარეობის ჟამს ნახევარუდაბნოებსა და ტრამალებში ურიცხვი საიგა მოდიოდა. აი, მაშინ მგლებს თვით ღმერთი უბრძანებდა თავიანთი წილის მონადირებას. ზაფხულში კი, განსაკუთრებით დიდ სიცხეში, მგლები ამჯობინებდნენ საიგებისთვის თათი არ ეხლოთ, რაკი სხვა, უფრო ხელმისაწვდომი საზრდო იყო სამყოფი - მთელ ტრამალზე ურიცხვი ზაზუნა ირეოდა. ის, რაც ზაზუნებს ზამთრის ძილქუშის დროს დააკლდათ, ზაფხულში უნდა აენაზღაურებინათ, უნდა მოესწროთ ყველაფერი, რასაც სხვა ცხოველები სიცოცხლის ერთ წელიწადში ასწრებდნენ. ამიტომ ირგვლივ მთელი მათი მოდგმა ფუსფუსებდა და საშიშროებას არაფრად აგდებდა. ვითომ რატომ არ იყო ეს რეწვა - ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს. სამაგიე-

როდ ‘ამთარში ‘ა‘ ‘ენებს ვერ იპოვიდით, არსად ჩანდნენ. ‘აფხ‘ელის თვეებში კიდევ სხვა მცირე ფრინველ-ნადირი, განსაკუთრებით კაკაბი იყო მგლების დამატებითი საკბილო. ნადავლის მოპოვება - დიდი ნადირობა საიგებ‘ე - კი შემოდგომა‘ე ჩაღდებოდა და ზამთრის დამლეკამდე გრძელდებოდა. [კელავ და კელავ თავისი დრო ჰქონდა ყველაფერს. სწორედ ეს ედო საფუძვლად სავანაში ცხოვრების ბრუნვის მიზანშეწონილობას, დამკვიდრებულს ბუნების მიერ. მხოლოდ სტიქიურ უბედურებას და ადამიანს თუ შეეძლო მ‘ეინყუმ‘ში ამ დასაბამიდან მომდინარე კანონ‘ომიერების დარღვევა.]

II

რიბირაბოზე სავანაში აგრილდა და ახლაღა იგრძნეს შვება ცოცხალმა არსებებმა - სუნთქვა აღარ უჭირდათ: დადგა ყველაზე სასიხარულო ჟამი - ეს-ესაა ჩასახ‘ული დღისა და მიწურული ცხელი, შეხ‘ით‘ელი ღამის გაყრისა, დღისა, რომელსაც თან მოჰყვებოდა მლაშობი ტრამალის თეთრად გამავარვარებელი უწყალო პაპანაქება. მ‘ეინყუმის თავზე სრულიად მრგვალი ყვითელი ბურთივით გადმოდგა მთვარე და მიწა მყარი მოლურჯო შუქით გაანათა. ამ მიწას არც დასასრული უჩანდა, არც დასაწყისი. ყველგან ბნელი, ძლივს გასარჩევი შორეთი ერწყმოდა ვარსკვლავებიან ცას. ხოლო სიწყნარე იყო ცოცხალი, ვინაიდან ყველაფერი, რაც სავანაში ბინადრობდა, ყველაფერი, გველის გარდა, იმ ჟამს სიგრილით ტკბობას ესწრაფვოდა, სიცოცხლეს ესწრაფვოდა. იალღ‘ენის ბუჩქებში ადრე გაღვიძებული ჩიტები წრიპინებდნენ და ფრთხიალებდნენ, საქმიანად მიმოდიოდნენ ზღარბები, ჭიჭინობელებმა, მთელი ღამე რომ ხმა არ გა‘ეჩერებიათ, უფრო ცხოველად ატეხეს ჭრიჭინი, სოროებიდან უკვე თავს ჰყოფდნენ და აქეთ-იქით იჭყიტებოდნენ გაღვიძებული ‘ა‘ ‘ენები, ჯერ კიდევ არ შედგომოდნენ თავიანთი საკვების - საქსაულის ჩამოცვენილი თესლის შეგროვებას. დიდი ბრტყელთავა კიოტა მთელი ოჯახით‘ერთ დაფრინავდა ერთი ადგილიდან მეორეზე. მისი ხ‘ეთი ბრტყელთავა ბახალა დაი‘არდა, შეიბუმბლა, ხ‘ეთიანი უკვე ფრთებს სცდიდნენ, ისე ფრინავდნენ, როგორც მო‘ეხერხდებოდათ, წამდა‘უწ‘ემ მზრუნველობით გადასძახოდნენ და თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს. მათ მოძახილს ე‘ებნებოდნენ შეცისკრებ‘ული სავანის ათასნაირი ფრინველ-ნადირნი...

და იდგა ზაფხული, ლურჯთვალა აკბარას და ტაშჩაინარის ერთად ცხოვრების პირველი ზაფხული. აკბარამ და ტაშჩაინარმა უკვე თავი გამოიჩინეს, როგორც საიგების მუხლჩაუხრელმა მარეკებმა და მუინყუმის მგელთა შორის უძლიერესი წყვილის სახელი დაიგდეს. მათდა საბედნიეროდ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამქვეყნად შეიძლება ნადირიც იყოს ბედნიერი და უბედური, ორივეს, აკბარასაც და ტაშჩაინარსაც, ბუნებამ ისეთი თვისებები დაანათლა, რომელთაც განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ტრამალის მტაცებლებისთვის ნახევრად უდაბნო სავანაში. ეს გახლავთ მყისიერი რეაქცია, ნადირობისას შორსმჭვრეტელობა, თავისებური „სტრატეგიული" მოსაზრებულობა და, რასაკვირველია, უჩვეულო ფიზიკური ძალა — სირბილში სისწრაფე და დაუოკებლობა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მგლებს დიდი მონადირული მომავალი ელოდა და მათი ცხოვრება აღსავსე იქნებოდა ყოველდღიური საზრდოს ძიების სიძნელეებითა და თავიანთი ხვედრის სილამაზით. ჯერჯერობით კი არავინ უშლიდათ ხელს, განუყოფლად ეგამგებლათ მუინყუმის ტრამალებში, ვინაიდან აქ ადამიანი იშვიათად თუ შემოაღწევდა და მას პირისპირ არც არასდროს არ შესჩეხებიან. ადამიანს ისინი შეეჩეხებიან მოგვიანებით. მგლების კიდევ ერთი განსაკუთრებული შეღავათი (თუ არ ვიტყვით პრივილეგიას) ქვეყნის შექმნის დღიდან ის გახლდათ, რომ, როგორც ცხოველთა მთელ სამყაროს, მათაც შეეძლოთ ყოველდღე ისე ეცხოვრათ, ხვალინდელ დღეზე არ ეკანკალათ და არ ეზრუნათ. ყველაფერში გონიერმა ბუნებამ ცხოველები ყოფიერების ამ წყეული ტვირთისაგან გაათავისუფლა, თუმცა სწორედ ამ წყალობაში იმალებოდა ის ტრაგედიაც, რაც მუინყუმის ბინადართ უდარაჯებდა. ოღონდ ვერც ერთი მათგანი ამას ვერ იგუმანებდა, ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ მუინყუმის ვითომდა უკიდეგანო სავანა, რარიგ ფართო და რარიგ დიდიც უნდა ყოფილიყო იგი, გახლდათ მხოლოდ ერთი ბეწო კუნძული აზიის სუბკონტინენტზე, გეოგრაფიულ რუკაზე ცერის ფრჩხილისოდენა ყვითლად და წაბლისფრად შეღებილი ადგილი, ხოლო ამ ადგილს წლითიწლობით სულ უფრო მძლავრად უტევდნენ ყამირი მიწები, განუყრელად რომ იხვნებოდნენ, უტევდა არტეზიული ჭაბურღილების კვალდაკვალ ტრამალში საკვების ახალი სივრცეების საძიებლად მოხეტიალე ურიცხვი ფარა და ნახირი, უტევდა არხები და გზები, რომლებიც სასაზღვრო ზონებში გაჰყავდათ, რადგან ზედ სავანასთან იყო ერთ-ერთი უდიდესი გაზსადენი; უდაბნოებისა და ნახევარ უდაბნოების სიღრმეში, მათ შორის მუინყუმშიც, დაჟინებით, დიდი დროით იჭრებოდნენ ტექნიკურად სულ უკეთ

შეიარაღებული, თვლებსა და ძრავებზე ამხედრებული, რადიოკავშირით აღჭურვილი, წყლით მომარაგებული ადამიანები, მაგრამ იჭრებოდნენ არა მეცნიერები, რომელთა საგმირო აღმოჩენებით უნდა იამაყოს შთამომავლობამ, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი საქმის, თითქმის ყოველი ადამიანისთვის, თითოეულისთვის ხელმისაწვდომი და შესაძლებელი საქმის მკეთებელნი. უნიკალური მუინყუმის სავანის ბინადართ მით უფრო არ შეეძლოთ სცოდნოდათ, რომ ედამიწაზე კაცობრიობის ყველაზე ჩვეულებრივ რამეებში იმალება სიკეთისა და ბოროტების წყარო და ყველაფერი დამოკიდებულია თვით ადამიანებზე — რას მოახმარებენ ისინი კაცობრიობისათვის ამ ყველაზე ჩვეულებრივ რამეებს: სიკეთეს თუ ბოროტებას, შექმნას თუ განადგურებას. არც იმ სირთულეთა ბაიბურში იყვნენ მუინყუმის სავანის ოთხფეხა და სხვა არსებები, გულს რომ უწყალებდნენ თვით ადამიანებს, რომლებიც მას შემდეგ, რაც მოაზროვნე არსებები გახდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი თავი შეეცნოთ, თუმცა ვერა და ვერ ამოხსნეს ძველისძველი გამოცანა: ბოროტება რატომ ამარცხებს თითქმის ყოველთვის სიკეთეს...

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ადამიანთა მთელი ეს ამბები არაფრით არ შეიძლება მუინყუმის ცხოველებს შეხებოდა, ვინაიდან მათ ბუნებას, ინსტინქტებსა და გამოცდილებას არ ესადაგებოდა. საერთოდაც, აქამდე მკვეთრად არაფერს დაურღვევია დადგენილი ცხოვრების ნირი ცხელ, ნახევრად უდაბნო დაბლობებსა და ბორცვებზე გაშლილი ამ დიდი აზიური ტრამალისა, სადაც მოდებული იყო იალღუნის მხოლოდ აქ გავრცელებული სახეობები, ერთგვარი ნახევრად ბალახი, ნახევრად ხე, ქვასავით მაგარი ქვიშის საქსაული, აგრეთვე ნავროტის ხეშეში ბალახი, ყველაზე მეტად კი ლერწმისებრი ჩინური ვაციწვერა — ეს ნახევრად უდაბნოს მშვენება. ვაციწვერა მთვარის შუქზეც და მზის შუქზეც იმ მოჩვენებითი ოქროსფერი ტყის მსგავსად ციმციმებს, რომელშიც ირგვლივ ყველაფერს დაინახავს და თვითონაც გამოჩნდება, როგორც თავთხელ წყალში, ვინც უნდა ასწიოს თავი, გინდ ძაღლის სიმაღლისა იყოს.

სწორედ ამ მხარეებში იჩარხებოდა ბედი მგლების ახალი წყვილისა — აკბარასი და ტაშჩაინარისა, ხოლო იმ დროისათვის — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოველთა ცხოვრებაში — მათ უკვე ჰყავდათ თავიანთი სიყრმის შვილები, სამი ლეკვი, რომლებიც აკბარამ იმ სამახსოვრო გაზაფხულზე დაყარა მუინყუმში, იმ სამახსოვრო ბუნაგში, იალღუნის ნახევრად გამხმარი კორომის მახლობლად ძირგამორეცხილი ბებერი საქსაულის ქვეშ რომ შეარჩიეს. კორომში მოსახერხებელი იყო ლეკვების საწვრთნელად გაყვანა. ლეკვებს უკვე გამაგრებული ჰქონდათ ყურები, თითოეული მათგანი თავის

ზნეს იძენდა (თუმცა ერთმანეთთან თამაშის დროს ყურები ისევ ლეკ-ვურად ელურსებოდათ), ფეხებშიც საკმაო ძალას გრძნობდნენ და მშობლებს დაუკითხავად სულ უფრო ხშირად მისდევდნენ კვალდა-კვალ დიდსა და მცირე ლაშქრობებში.

მცირე ხნის წინათ ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობისას, როცა მთელი დღე-ღამე იყვნენ მოცილებულნი ბუნაგს, მგლებს კინაღამ მოულოდ-ნელი უბედურება დაატყდათ თავს.

იმ სისხამ დილით აკბარამ ლეკვები მუინყუმის სავანის შორეულ განაპირა ადგილას წაიყვანა, სადაც ტრამალის სივრცეებზე, განსა-კუთრებით მივარდნილ ხევებსა და ღრანტეებში, იზრდებოდა ღეროი-ანი ბალახი, რომლისთანა გულისწამღები, მომჯადოებელი სუნი არაფერს არ ჰქონდა. თუ ამ მაღალ ბალახეულში დიდხანს იტრია-ლებდი და ყვავილის მტვერს შეისუნთქავდი, თავდაპირველად ისეთი შეგრძნება გაგიჩნდებოდა, თითქოს უჩვეულო სიმსუბუქით მოძრაობ-დი, მიწას მოწყვეტილი სიამით დასრიალებდი, შემდეგ კი ფეხები გი-დუნდებოდა და ძილი გეძალებოდა. აკბარას ეს ადგილები პატარაო-ბიდან ახსოვდა და აქ წელიწადში ერთხელ, ბანგ-ბალახის ყვავილო-ბის დროს მოდიოდა. გზადაგზა ტრამალის წვრილ-წვრილ ცხოვე-ლებზე ნადირობდა ხოლმე. უყვარდა დიდ ბალახში ოდნავ გაბრუება, ბალახის სუნში კოტრიალი, სირბილში სიმსუბუქის შეგრძნება და შემდეგ დაძინება.

ამჯერად აკბარა და ტაშჩაინარი უკვე მარტო არ ყოფილან, უკან მოსდევდათ უშნოდ ფეხებაყლანწული სამი ლეკვი. ლეკვებს რაც შეიძლება მეტი რამ უნდა გაეგოთ ლაშქრობებისას, პატარობიდანვე შეჩვეოდნენ თავიანთ მომავალ სამფლობელოებს. სურნელოვანი მდე-ლოები, რომელთა გასაცნობად მოჰყავდა ძუ მგელს ლეკვები, ამ სამფლობელოთა განაპირას მდებარეობდა. შემდეგ იშლებოდა სხვა, თვალუწვდენელი სამყარო, მგლების მტრული სამყარო, სადაც შეიძ-ლებოდა ადამიანები შეხვედროდათ, საიდანაც დროდადრო ორთ-ქმავლების შემოდგომის ქარების ზუზუნის მაგვარი ხანიერი კივილი აღწევდა. აკბარა ახლა აქეთ სავანის ამ მხარეს მოუძღვებოდა თავის ტაშჩაინარს და ლეკვებს.

აკბარას უკან ტაშჩაინარი მოძუნძულებდა, ლეკვებს ძალა მოს-ჭარბებოდათ და ანცად დაქროდნენ, სულ ცდილობდნენ წინ გამ-ხტარიყვნენ, მაგრამ ძუ მგელი თვითნებობის უფლებას არ აძლევდა — მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ ბილიკზე მის წინ ფეხის დად-გმა არავის გაებედა.

თავდაპირველად საქსაულითა და ავშანით დაფარული ქვიშნარი ადგილები ხვდებოდათ. მზე სულ უფრო მაღლა მიიწევდა და ეს,

როგორც ყოველთვის, ნათელი, ცხელი ამინდის დადგომას მოასწავებდა. მგლების ოჯახი საღამო ხანს უკვე სავანის განაკიდეს მივიდა. მივიდა სწორედ დროზე — დღე-ღამის გაყრამდე. წლეულს ბალახი ისე მაღალი გაზრდილიყო, მოწიფულ მგლებს თითქმის ქეჩომდე სწვდებოდა. მთელი დღე ცხელ მზეზე გამთბარ, ბუსუსებიან ღეროებზე გამოსხმული უთვალადო ყვავილები მძაფრ სუნს გამოსცემდნენ, განსაკუთრებით, ერთნაირად გაბარდნილ ადგილებში, მგლებმა ხანიერი გზის შემდეგ ღრანტეში შეისვენეს. მოუსვენარმა ლეკვებმა კი დასვენების მაგიერ სირბილი დაიწყეს. ყველაფერს ყნოსავდნენ, აკვირდებოდნენ, რაც მათ ყურადღებას იზიდავდა. აქ მგლები, შესაძლოა, მთელი ღამე დარჩენილიყვნენ, მით უმეტეს, მაძღარნი და დარწყულებულნი იყვნენ — გზად რამდენიმე ზაზუნა და კურდღელი მოინადირეს, უამრავი ბუდე დაანგრიეს, ხოლო წყურვილი ხევის ძირას წყაროზე მოიკლეს, მაგრამ ერთმა განსაკუთრებულმა ამბავმა აიძულა სასწრაფოდ გასცლოდნენ ამ ადგილებს, შინ გაბრუნებულიყვნენ, სავანის სიღრმეში ბუნაგისკენ წასულიყვნენ. მთელი ღამე მოდიოდნენ.

აი, რა მოხდა იმ საღამო ხანს: როცა ბანგ-ბალახის სუნით გაბრუებული აკბარა და ტაშჩაინარი ბუჩქების ძირას გაიშხლართნენ, მახლობლად ადამიანის ხმა გაისმა. ადამიანი ჯერ ღრანტეს მაღლა მოთამაშე ლეკვებმა დაინახეს. ლეკვებს ფიქრადაც არ მოსვლიათ და არც შეეძლოთ ევარაუდათ, რომ მოულოდნელად გამოჩენილი არსება ადამიანი იყო. თითქმის შიშველი მავანი სუბიექტი (მას მხოლოდ ამოსაკვრელი ემოსა და შიშველ ფეხებზე კედი ეცვა, თავზე ოდესღაც თეთრი, მაგრამ ახლა უკვე გვარიანად გაზინთული პანამა ეხურა) იმავე ბალახში უცნაურად დარბოდა. ხშირ ბალახნარს ირჩევდა და გამუდმებით წინ და უკან გარბი-გამორბოდა გიჟივით, თითქოს ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. ლეკვები პირველად გაიტრუნენ — საგონებელში ჩავარდნენ, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ კიდევაც, რადგან ასეთი რამ არასდროს ენახათ. შემდეგ გული მოიცეს, ცნობისმოყვარეობაც ვეღარ დაიოკეს და თამაში მოუნდათ ამ მოსამართი სათამაშოსავით მორბენალ უცნაურ, არნახულ ტიტველ ორფეხა მხეცთან. ახირებულმა კაცმაც შეამჩნია ლეკვები და, რაც ყველაზე საკვირველია, იმის მაგივრად, რომ გაფაციცებულიყო, ეფიქრა, აქ უცებ რატომ გაჩნდნენ მგლებიო, ლეკვებთან მივიდა და ალერსიანად გაუწოდა ხელები.

— ერთი ამათ შეხედე, ვინ არიან ესენი? — ამბობდა აქოშინებული და სახეზე ოფლს იწმენდდა. — მგლის ლეკვები არიან, თუ თავბრუ დამეხვა და მეჩვენება? აჰ, არა, სამია, მერედა, რა ლამაზები, რა დიდები არიან უკვე! აჰ, ჩემო მხეცუნებო! საიდან მოხვედით და

საით გაგიწევიათ? რას აკეთებთ აქ? მე ეშმაკმა გადმომაგდო, თქვენ კი რამ მოგიყვანათ ამ ტრამალებში, ამ წყეულ ბალახში? აბა, მოდით ჩემთან, მოდით, ნუ გეშინიათ! ჰაიტ, თქვე ჩერჩეტო მხეცუნებო!

უგუნური ლეკვები მართლა დაჰყვნენ კაცის ალერსს. პატარა კუდებს აქიცინებდნენ, ანცად გაეკვრნენ მიწას და კაცთან მიხოხდნენ, სურდათ სირბილში გასჯიბრებოდნენ მას, მაგრამ ამ დროს ღრანტედან აკბარა ამოვარდა, უმალ იგრძნო საფრთხე, ყრუდ დაიღმუვლა და ტრამალის მიწურვილი მზის სხივებით ვარდისფრად განათებულ შიშველი კაცისკენ გაიჭრა. ცქაფ და შუანებით ყელს გამოღადრავდა, ან მუცელს გამოფატრავდა. გააფთრებით გამოვარდნილი მგლის დანახვაზე კაცი მთლად გამოლენჩდა, ჩაცუცქდა და შიშით თავზე ხელები იტაცა. სწორედ ამან გადაარჩინა. აკბარამ სირბილში რატომღაც, განზრახვა შეიცვალა და გადაახტა კაცს — შიშველსა და უმწეოს — რომელიც შეიძლება ხელად მიესიკვდილებინა. გადახტომისას დაინახა მისი სახის ნაკვთები, შემზარავი შიშით გაქვავებული თვალები, იგრძნო მისი სხეულის სუნი. გადაახტა, მოტრიალდა და ახლა იმ მხრიდან გადმოევლო, შემდეგ ლეკვებს მიეჭრა და დაიფრინა, მწარედ კბენდა კუდზე, ღრანტისკენ მიერეკებოდა. ღრანტის პირზე ტაშჩაინარს შეეჩეხა, რომელსაც კაცის დანახვაზე ქეჩო საშინლად ამაგვროდა. აკბარამ უკბინა ხვადსაც, ისიც მოაბრუნა, შემდეგ ყველანი ჯგროდ ჩაცვივდნენ ხევში და თვალის დახამხამებაში გაქრნენ...

ამ დროსღა მოეგო გონს ის შიშველი, ახირებული კაცი და მოკურცხლა... დიდხანს გარბოდა ტრამალში უკან მოუხედავად და სულმოუთქმელად...

ეს იყო აკბარას და მისი ოჯახის პირველი უცაბედი შეხვედრა ადამიანთან... მაგრამ ვის შეიძლება სცოდნოდა, რას მოასწავებდა ეს შეხვედრა...

დღე იწურებოდა და ჩამავალი მზის, მთელი დღის მანძილზე გახურებული მიწის ულმობელი ალხი უნელდებოდა. მზე და ტრამალი მარადიული სიდიდეებია: მზის მიხედვით იზომება, რაოდენ დიდია ტრამალი, მზით განათებული სივრცე. ხოლო ტრამალის თავზე გადმოხურული ცა იზომება იმით, რა სიმაღლეზე იჭრება ძერა. იმ საღამო ხანს მუინყუმის სავანის თავზე ბოლოთეთრა ძერების მთელი გუნდი ბოინობდა. ისინი უმიზნოდ და თავდავიწყებით ლივლივებდნენ, ფრენდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ სურდათ ეფრინათ ყოველთვის გრილ ფოშფოშგადაფენილ უღრუბლო სიმაღლეზე. ერთი მეორის კვალდაკვალ ერთი მიმართულებით წრეზე ტრიალებდნენ, თითქოსდა ამით სიმბოლურად გამოხატავდნენ ამ მიწისა და ამ ცის

მარადიულობას და სიმყარეს. ძერები არავითარ ხმას არ გამოსცემდნენ. მდუმარედ დასცქეროდნენ იმას, თუ რა ხდებოდა იმ წამს ძირს, მათ ფრთებქვემოთ. ეს არისტოკრატიული მტაცებლები ყოვლისმწვდომი მხედველობის წყალობით, სწორედ მხედველობის წყალობით (სმენა მათთვის მეორეხარისხოვანი გრძნობაა) გახლდათ სავანის ციური მცხოვრებნი, რომლებიც ცოდვილ მიწაზე მხოლოდ საზრდოსთვის და ღამის გასათევად ეშვებოდნენ.

ალბათ იმ წუთს, იმ თვალშეუწვდომი სიმაღლიდან ძერები როგორც ხელისგულზე, ისე ხედავდნენ ხვადსა და ძუ მგელს, პატარა ბორცვზე მიმოფანტულ იალღუნის ბუჩქებსა და ჩინური ვაციწვერას ოქროსფერ ბარდნარში მიმოფანტულ სამ ლეკვს. მგლის ოჯახის ყველა წევრს ენა გადმოეგდო და ბორცვზე ისვენებდნენ. აინუნში სულაც არ იყვნენ, რომ ციური ფრინველნი უთვალთვალებდნენ. ტაშჩაინარი ნახევრად წამოწოლილიყო თავის საყვარელ პოზაში — წინ თათები გადაეჯვარედინებინა, ხოლო თავი წამოეწია. მას ძალუმი ქეჩო ჰქონდა, ძვალმსხვილი იყო და ტანმძიმე, რითაც ყველასგან გამოირჩეოდა. ტაშჩაინარის გვერდით ძუ მგელი აკბარა დაყუნცულიყო. მსხვილი მოკლე კუდი აეწია და რაღაცით ქანდაკებას ჰგავდა. იგი მყარად დაყრდნობოდა მიწას სწორი, დაძარღვული თათებით. თეთრად მჩინარი მკერდი და შეწეული მუცელი, რომელზეც ორ რიგად ჰქონდა ჩამწკრივებული ახლა უკვე მომჩვარული დვრილები, ხაზს უსვამდნენ მისი ბარკლების ძარღვიანობასა და ძალას. ლეკვები კი იქვე ტრიალებდნენ. მათი დაუდგრომელობა, აბეზარობა და სიანცე მშობლებს არ აღიზიანებდა. ხვადიცა და ძუც არაფერს უშლიდნენ: ილაღონ-ინავარდონ.

ძერები კი ისევ ბოინობდნენ და ისევე გულგრილად დასცქეროდნენ, რა ხდებოდა ქვემოთ მუინყუმში მიმწუხრზე. მგლებისა და ლეკვების მახლობლად, ოდთავ განზე, იალღუნის წარაფში საიგები ძოვდნენ. ისინი ბევრნი იყვნენ. იალღუნებში გაბნეული დიდი ჯოგი თითქმის მგლების გვერდით, მაგრამ კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯოგის მოშორებით ძოვდა. ძერებს ტრამალის ანტილოპები არ აინტერესებდათ, თორემ ათობით კილომეტრზე გადაჭიმული სავანის მაცქერალნი დარწმუნდებოდნენ, რომ აქ აუარებელი, ასობით და ათასობით საიგა ბინადრობდა, რადგან ისინი მათთვის ბარაქიან ამ ნახევრად უდაბნო არეალში ოდითგან აურაცხელნი იყვნენ. საიგები საღამოხანის სიცხის განელებას უცდიდნენ და ღამღამობით მიდიოდნენ ხოლმე დასარწყულულებლად სავანაში — ფრიად იშვიათი და ტენის შორეული წყაროებისკენ. ცალკეულმა ჯგუფებმა კი ახლავე გასწიეს იმ მხარეს და უფრო და უფრო აჩქარებდნენ ფეხს, რადგან დიდი მანძილი უნდა გაევლოთ.

ერთი ჯგუფი ისე ახლოს მიიწევდა მგლების ბორცვის გვერდით, ვაციწვერას სინათლეგალანდულ ბალახში ცხადად ჩანდა საიგების სწრაფად მიმქროლავი ფერდები და ზურგები, ხარსაიგების პატარა-რქებიანი ოდნავ დახრილი თავები. საიგები ყოველთვის თავდახრილნი მოძრაობენ, რითაც თავს არიდებენ ჰაერის ზედმეტ წინააღმდეგობას. აკი ყოველ წუთს მზად იყვნენ გასაქცევად. ასე მოაწყო საიგების ცხოვრება ბუნებამ ევოლუციის ჟამს. სირბილი მათი მთავარი უპირატესობაა. ყოველ საფრთხეს გაქცევით აღწევენ თავს. მაშინაც კი, როცა არაფერი აშინებთ, ჩვეულებისამებრ დაოთხილი მირბიან, თან დინჯად, დაუცხრომლად და მტკიცედ, მგლების გარდა გზას არავის უთმობენ, რადგან მრავალრიცხოვანნი არიან, საიგების ძალა კი მრავალრიცხოვნებაა.

ახლა საიგები ბუჩქებში დამალული აკბარას ოჯახის გვერდით მიიწევდნენ და კვალდაკვალ ჯოგის სუნითა და ჩლიქებქვემოდან ავარდნილ მტვრით აღვსებულ ქარს აყენებდნენ. ბორცვზე მყოფი ლეკვები აღელდნენ, ინსტინქტურად აწრიალდნენ. სამივე დაძაბულად ყნოსავდა ჰაერს, ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, მაგრამ გასაქცევად იწევდნენ იმ მხარეს, საიდანაც აღწევდა ჯოგის ეს ამაღელვებელი სუნი, ძალიან უნდოდათ, შევარდნილიყვნენ ვაციწვერას ბარდნარში, რომელშიც უამრავი საიგა წამისწამად ბუნდოვნად ილანდებოდა. მგლებს — მშობლებს — აკბარას და ტაშჩაინარს კი ყურიც არ გაუბარტყუნებიათ, თუმცა ზუსტად ორი ნახტომით შეეძლოთ იქვე მიმავალი ჯოგის გვერდით გაჩენილიყვნენ და გააფთრებით, თავაწყვეტით დასდევნებოდნენ, საიგებისთვის ძალ-ღონე გამოეცლიათ იმ ერთიან სრბოლაში, სიკვდილის ზღვარზე გაჩაღებულ იმ სრბოლა-შეჯიბრში, როცა გგონია, რომ მიწა და ცა თავდაყირა დგება, სადღაც მკვეთრ მოსახვევში ხერხი ეხმარათ და ერთი-ორი ანტილოპა ძირს დაენარცხებინათ. ამას რა უნდოდა, მაგრამ შესაძლოა არ გამართლებოდათ, ვერ დასწეოდნენ მსხვერპლს, ასეც ხდებოდა. როგორც უნდა ყოფილიყო, აკბარას და ტაშჩაინარს არც უფიქრიათ საიგების გამოდევნება, არც განძრეულან, თუმცა შეიძლება ითქვას, ნადავლი თითქოს თვითონ უვარდებოდათ ხელთ. საამისო მიზეზი ჰქონდათ — იმ დღეს მაძღრები იყვნენ და ამ გაუგონარ სიცხეში კუჭგამოტენილნი რომ გააფთრებით გამოსდევნებოდნენ მოუხელთებელ საიგებს, სიკვდილი არ ასცდებოდაბ. მთავარი კი მაინც სხვა რამ გახლდათ: ლეკვებს ჯერ არ დასდგომოდათ ამდაგვარი ნადირობის ჟამი. სრბოლაში სუნთქვა შეეკვრებოდათ და მიზანს ვერ მიაღწევდნენ, სული დაუკუტდებოდათ, შემართების სურვილს დაკარგავდნენ, სითამამე გაუქრებოდათ. ზამთარში, ნადირის დიდი გამორეკვის სეზონში კი — აი, როცა ძალას შეიმატებდნენ, ხოლო იმ დროისათვის უკვე თით-

ქმის ერთი წლისანი იქნებოდნენ, — შეეძლებოდათ თავი გამოეცადათ, შეეძლებოდათ დარწმუნებულიყვნენ თავიანთ გამძლეობაში, შეეძლებოდათ საქმეს ზიარებოდნენ. მანამდე არ ღირდა ფუთფუთი. ო, ის კი მართლა დიდებული ჟამი იქნებოდა!

აკბარა ოდნავ განზე გაუხტა მონადირული აღტკინებითა და მოუთმენლობით აღსავსე ლეკვებს, რომლებმაც თავი შეაწყინეს, სხვა ადგილას დაყუნცდა და კვლავინდებურად თვალჩაციებით გააყოლა მზერა დასარწყულებლად მიმავალ ანტილოპებს, ვერცხლისფერ ვაციწვერებში ისე რომ მისრიალებდნენ გვერდი-გვერდ, როგორც ტოფობის დროს თევზები მდინარის სათავისკენ — სულ ერთ მხარეს და სულ ერთმანეთის ალი-კვალნი. ოღონდ აკბარას მზერაში გამოსჭვივოდა თავისებური აზრი: დაე, ახლა გაგვეცალონ საიგები, დადგება დრო და სავანის არც ერთი სულიერი აქედან ფეხს არსად გაადგამსო. ხოლო ლეკვები ახლა მამას უწუხებდნენ გულს, პირქუში ტაშჩაინარის გამოფხიზლებას ცდილობდნენ.

აკბარამ უცებ წარმოიდგინა ზამთრის პირი, დიდი ნახევარუდაბნო, ერთ მშვენიერ დღეს განთიადისას ერთიანად გადათეთრებული ახალმოსული თოვლით, თოვლით, რომელიც მიწაზე მთელი ან ნახევარი დღე რჩება და მგლებს დიდი ნადირობის დაწყებას ანიშნებს. იმ დღიდან საიგებზე ნადირობა მგლების მთავარ საქმედ იქცევა. დიახ, დადგება ის დღე! აკბარამ ისე ცხადად წარმოიდგინა ძირს გაშლილი ბური, შეჭირხლული, თეთრი, ნაღვლიანი ვაციწვერები, თოვლის სიმძიმით მოხრილი იალღუნის მცირე ბუჩქები და სავანაზე გადმომდგარი მონისლული მზე, უნებლიეთ შეტოკდა, თითქოს უცაბედად სუსხიანი ჰაერი ჩაისუნთქა, თითქოს თათების ყვავილთა თანავარსკვლავედივით შეკრული, მკვრივი ბალიშები წაძგიბულ თოვლზე დაადგა და სრულიად გარკვევით წაიკითხა თავისი ძალუმი ნაკვალევიცა და უკვე წამოზრდილი, მოღონიერებული ლეკვებისაც, რომელთაც უკვე განსაზღვრული ჰქონდათ თავიანთი მიდრეკილებანი და რომელთა ეს მიდრეკილებანი შეიძლებოდა მათივე ნაფეხურების მიხედვით გამოეცნო, წაიკითხა იქვე დაჩნეული დიდი ანაბეჭდები ტაშჩაინარისაც — ბუდიდან ოდნავ გამოყოფილი ნისკარტებივით ბრჭყალებიანი ძალუმი ყვავილედები. ტაშჩაინარის თათები ყველაზე ღრმად და ყველაზე ძლიერ ჩაზნექენ თოვლს, ვინაიდან იგი ბრგეა, ცოტა არ იყოს, მძიმე დაბაბი აქვს; იგი ძალაა, ანტილოპების ყელში ელვის უსწრაფეს გაელვებული დანაა და ყოველი განგმირული საიგა სავანის თეთრ თოვლს ალისფერი სისხლის ნაკადით შეღებავს, როგორც ფრინველი ცხელი წითელი ფრთების აქნევით, რათა იცოცხლოს მეორე სისხლმა, დაფარულმა მგლების რუხ ტყავში, ვინაიდან მათი სისხლი სხვა სისხლის ხარჯზე ცხოვრობს —

ასე داააწესა ყოველივე საწყისის საწყისმა, სხვა წესი არ იქნება და აქ არავინაა მსაჯული, რაკი აქ არც უდანაშაულონი არიან, არც დამნაშავენი. დამნაშავეა მხოლოდ ის, ვინც ერთი სისხლი მეორისთვის შექმნა (მარტოოდენ ადამიანს ხვდა წილად სხვა ხვედრი: პური მოიპოვოს შრომით და ხორცი გამოზარდოს შრომით — თავისი თავისთვის შექმნას ბუნება).

ხოლო მუინყუმის პირველ თოვლზე დაჩნეული ის ანაბეჭდები — მგლების ყვავილედები, დიდები და მათზე ოდნავ პატარები, ძირს გაშლილ ნისლში გვერდი-გვერდ გაიბაწრებიან და ქარს მოფარებულ ღარტაფში ბუჩქებს შორის შეჩერდებიან — მგლები აქ შეიცდიან, მიიხედ-მოიხედავენ და დატოვებენ იმათ, ვინც საფარში უნდა დარჩეს...

მაგრამ აი, ახლოვდება ნანატრი ჟამი — აკბარა ეპარება საიგებს, რამდენზეც შეიძლება გახოხდება, თოვლზე გართხმული, გაყინულ ბალახს გაკრული, სუნთქვაშეგუბებული ისე ახლოს მიადგება მობალახე საიგებს, მათ თვალებს დაინახავს, ჯერ კიდევ უშფოთველთ, შემდეგ უეცრად დაეცემა ჩრდილივით, და დადგება მგლის ცის გახსნის ჟამი! აკბარამ ისე ცხოვლად წარმოიდგინა ის პირველი ნადირის გამორეკვა — პატარებისთვის ჩატარებული გაკვეთილი — უნებურად დაიწკმუტუნა და ძლივს შეიკავა თავი, რომ ადგილს არ მომწყდარიყო.

აჰ, რა დევნა გაჩაღდება პირველი თოვლით გადათეთრებულ სავანაში! საიგების ჯოგები თავპირისმტვრევით მოკურცხლავენ, თითქოსდა ხანძარს გაურბიანო, და თეთრ თოვლს მყის დააჩნდება მიწის შავი ნაჭრევი. ხოლო იგი, აკბარა, საიგებს კვალდაკვალ დაედევნება. აი, ყველაზე წინ მიფრინავს, მას თითქმის ფეხდაფეხ მოსდევენ ლეკვები, ჭაბუკი მგლები, სამივე სიყრმის შვილი, მისი შთამომავლობა, ქვეყნად განგების ნებით მოვლენილი ნადირობისთვის. მათ უკან კი მოქრის ტაშჩაინარი, მძლეთამძლე მამა, დაუცხრომელი მორბენალი, მხოლოდ ერთი მიზნისთვის რომ იღვწის — საიგები ისე მოქანცოს, საფარისკენ გაირეკოს და ამით ნადირობის გაკვეთილი ჩაუტაროს თავის ნაშიერებს. დიახ, ეს იქნება დაუოკებელი სრბოლა! და მომავლისკენ თვალმიპყრობილ აკბარას იმ წამს თვით ნადავლზე უფრო ის ეწადა, რაც შეიძლება მალე გაჩაღებულიყო ნადირობა და ფრთამალი ფრთოსნებივით გაფრენილიყვნენ ტრამალში ნადირს დადევნებულნი. ეგ გახლდათ მისი მგლური ცხოვრების აზრი...

ასეთი იყო ძუ მგლის ოცნებები, მისივე ბუნების მიერ შთაგონებული, ვინ იცის, შესაძლოა ზეგარდმო მოვლენილი, ოცნებები, რომლებიც მოგვიანებით მწარედ მოაგონდება, გულში ტკივილს აგძნობინებს, ხშირად და უსაშველოდ დაესიზმრება... და მისი ყმუილი სასყიდელი იქნება იმ ოცნებებისა. ყველა ოცნების გზა ხომ ასეთია

— ჯერ გონებაში ისახება, შემდეგ კი უმეტეს წილად იმსხვრევა, რომ ზოგი ყვავილივით და ხესავით უფესვოდ წამოზრდა გაბედა... ასეთია ყველა ოცნების გზა და ესაა მისი ტრაგიკული აუცილებლობა კეთილისა და ბოროტის შეცნობისას...

III

ჩამოდგა ზამთარი მუინყუმში. ერთხელ უკვე ჩამოთოვა, ნახევარუდაბნოსთვის საკმაოდ ბარაქიანი თოვლი დადო. თოვლმა მცირე ხნით გადაათეთრა მთელი სავანა, რომელმაც იმ დილით თავისი თავი გაქვავებულ თეთრ თვალუწვდენელ ოკეანედ იხილა, სადაც სანავარდო ასპარეზი გასჩენოდათ ქარსა და ბურბურას და სადაც ბოლოს ისეთმა სიწყნარემ დაისადგურა, როგორც კოსმოსში, როგორიც უსასრულობაში იცის, ვინაიდან ქვიშებმა დარწყულება მოასწრეს, ხოლო დატენიანებული თაყირები[1] დარბილდნენ და სიხეშეშე გაუქრათ... ჩამოთოვამდე კი სავანას ყიყინით გადაუქროლეს ბატების გუნდებმა, ისე მაღლა და ხმიერად გადაუფრინეს მუინყუმის ტრამალებს ჩრდილოეთის ზღვებისა და მდინარეების საზაფხულო ადგილებიდან ჰიმალაის მხარეს, სამხრეთისკენ, ინდისა და ბრაჰმაპუტრას ძველისძველი წყლებისკენ მიმავლებმა, სავანის ბინადრებს რომ ფრთები ჰქონოდათ, ყველანი უკან გაჰყვებოდნენ. მაგრამ თითოეულ ქმნილებას თავისი სამოთხე აქვს წინასწარ განწესებული... ტრამალის ძერებმაც კი, რომელნიც იმავე სიმაღლეზე ბოინობდნენ, იმათაც კი განზე გაიწიეს...

ზამთრისთვის აკბარას ლეკვებმა შესამჩნევად აიყარეს ტანი, ერთმანეთს აღარ ჰგავდნენ, როგორც პატარაობისას, სამივე მოუხეშავ, ასაკოვან მგლად იქცა, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ზნე ჰქონდა. ცხადია, ძუმგელი მათ სახელებს ვერ დაარქმევდა: რაკი ღმერთმა ასე ინება, ვინ შეეწინააღმდეგებოდა. სამაგიეროდ, ადამიანისგან განსხვავებით სუნით და სხვა საჩინო ნიშნებით ადვილად შეეძლო ნაშიერები ერთმანეთისგან გამოერჩია და მოეხმო. მაგალითად, ლეკვთაგან ყველაზე ტანსრულს ტაშჩაინარივით ფართო შუბლი ჰქონდა, ამიტომაც დიდთავად აღიქვამდა; საშუალოს, რომელიც დიდთავასავით ტანსრული იყო, ამავე დროს გრძელი ფეხების პატრონი, რის გამოც მომავალში მგელ-მარეკი დადგებოდა, ფეხმარდად მიიჩნევდა. მესამე კი, ზუსტად დედასავით ლურჯი თვალები და საზარდულზე მასავით თეთრი ნიშანი რომ ჰქონდა, ეს დედის ანცი რჩეული, აკბარას უტყვ ცნობიერებაში თვალისჩინს ნიშნავდა. აი,

---

[1] თაყირი — მცენარეულ საფარს მოკლებული სწორი, თიხოვანი სივრცე.

ვინ იქნებოდა ხვადების განხეთქილებისა და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებების საბაბი, როგორც კი სიყვარულის ჟამი დაუდგებოდა...

ხოლო დამით მოსული პირველი თოვლი სისხამ დილას მოულოდნელი ზეიმი იყო ყველასათვის. უცნობი საგნის სუნმა და შესახედაობამ, საგნისა, რომელმაც ბუნაგის ირგვლივ მთელ მიდამოს სახე უცვალა, თავდაპირველად შეაკრთო ლეკვები, შემდეგ მათ თოვლი მოეწონათ და დაბზრიალდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ სირბილში, ფართხალებდნენ თოვლში, ფრუტუნებდნენ, სიამოვნებისაგან წკმუტუნებდნენ. ასე დგებოდა აკბარას სიყრმის შვილებისთვის ის ზამთარი, რომლის დამლევს უნდა განშორებოდნენ დედა მგელს, მამა მგელს და ერთმანეთს, განშორებოდნენ, რათა ყოველ მათგანს ახალი ცხოვრება დაეწყო.

საღამოს ისევ ჩამოთოვა და დილას, ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე, ტრამალში უკვე სინათლე იდგა, ჰაერი გამჭვირვალე იყო, როგორც დღისით. ყველგან სიმშვიდეს და სიწყნარეს დაესადგურებინა და მძაფრმა შიმშილმა ზამთრის ჩვეულებისამებრ კუჭი აუწვა ყველას. მგლების ხროვა მიდამოს აყურადებდა — დრო იყო საშოვარზე წასვლისა, საზრდოს მოპოვებისა. აკბარა საიგებზე სანადიროდ თანამზრახველთ ელოდა სხვა ხროვებიდან. ჯერჯერობით კი არავინ ეხმიანებოდა. ყველა აყურადებდა და ელოდა იმ ნიშნებს. აი, დიდთავას სული კბილით უჭირავს, დაძაბული წამოყუნცულა, ჯერ კიდევ არ იცის, რა სიძნელე ახლავს ნადირობას, ფეხმარდიც მზადაა, თვალისჩინი ლურჯ თვალებში შესცქერის დედას, მის მზერაში ერთგულება და გამბედაობა გამოსჭვივის. იქვე ოჯახის მამა — ტაშჩაინარი მიდი-მოდის. ყველა ელოდა, რას ბრძანებდა აკბარა. მაგრამ მათ კიდევ ჰყავდათ უმაღლესი მეფე — მეფე-შიმშილი, მეფე ხორცის დაამინებისა.

აკბარა წამოდგა და გაძუნძულდა, რადგან ლოდინის დრო აღარ იყო. ყველანი მას მიჰყვნენ.

ყველაფერი დაახლოებით ისე იწყებოდა, როგორც ძუ მგელს ეზმანებოდა, როცა ლეკვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. და აი, დადგა დრო-ჟამი ჯგუფურად ნადირობისა ტრამალში. გავა კიდევ მცირე ხანი და მარტოხელა მგლები აცივებასთან ერთად მგელთა არტელში გაერთიანდებიან და ზამთრის მიწურულამდე ერთად ინადირებენ.

აკბარას და ტაშჩაინარს კი თავიანთი პირმშონი უკვე გამოსაცდელად, საიგებზე სანადიროდ მიჰყავდათ. ეს იყო მათი ნაშიერების პირველი დიდი ნადირობა.

მგლები ტრამალში ისე მიიწევდნენ, სადაც როგორ მოუხერხდებოდათ, ხან ნაბიჯით მიდიოდნენ, ხან ძუნძულით და იმ ფეხდაუკა-

რებ თოვლზე ნადირის კვალის ყვავილებს აღბეჭდავდნენ, როგორც ნიშნებს ძალისას და მტკიცე ნებისყოფისას, ალაგ მოხრილნი მილაწლაწებდნენ ბუჩქებში, ალაგ ჩრდილებივით სხლტებოდნენ. ახლა ყველაფერი მხოლოდ მათზე და მათ იღბალზე იყო დამოკიდებული...

აკბარა გზად ერთ ბექზე აიჭრა, რათა ირგვლივ მიმოეხედა, გაირინდა, ლურჯი თვალები შორეთს ჩააბეჭდა და ქარმოყოლილ ათასგვარ სუნს ყნოსვით გარჩევა დაუწყო. იღვიძებდა დიადი სავანა, თალის მისაწვდენზე, ნისლში საიგების ჯოგები — ერთწლიანი მოზარდეულის დიდი ჯგუფები ილანდებოდა. ასეთი მოზარდეული ამ დროს ახალ ჯოგებს ქმნის. წლევანდელი წელი საიგებისთვის დიდი ნამატის წელი იყო, მაშასადამე, ხელსაყრელი წელი მგლებისთვისაც.

ძუ მგელი ვაციწვერათი დაფარულ ბექზე ცოტათი მეტ ხანს შეყოვნდა: ახლა ნაღდი გზა უნდა აერჩია — ქარის მიხედვით გაერკვია, რომელ მხარეს წასულიყვნენ, რომ შეუცდომლად დაეწყოთ ნადირობა.

სწორედ ამ დროს საიდანღაც — გვერდითა მხრიდან და ზემოდან უცნაური გრიალი მოისმა. და ტრამალს გუგუნი მოედო, მაგრამ იგი არაფრით არ ჰგავდა მეხის ხმას, სრულიად უცხო იყო, სულ უფრო ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. ტაშჩაინარმა თავი ვერ შეიკავა და თვითონაც აიჭრა ძუ მგელთან. უცებ ორივემ შიშით უკან დაიხია — ცაზე რაღაც ხდებოდა, ცაზე რაღაც არნახული, საზარლად მოგრუხუნე ფრინველი გამოჩნდა; იგი ოდნავ გვერდულად ცხვირწახრილი მოფრინავდა სავანის თავზე, მოშორებით კიდევ ერთი ამისთანა ფრინველი მოჰყვებოდა. შემდეგ ორივე იქაურობას გაშორდა და ხმაური ნელ-ნელა მიწყდა. ფრინველები შვეულმფრენები გახლდათ.

ამრიგად, მუინყუმის ცა ორმა შვეულმფრენმა ისევე უკვალოდ გადასერა, როგორც თევზები დაცურავენ წყალში, მაგრამ ამით არც მაღლა, არც დაბლა არაფერი შეცვლილა, თუ არ ვიგულისხმებთ იმას, რომ ეს საჰაერო დაზვერვა იყო, რომ ეთერში იმ წუთებში გადაიცემოდა მფრინავების რადიოცნობა, თუ რა ნახეს და სად, რომელ კვადრატებში, როგორია ყველგანმავლებისა და მისაბმელიანი სატვირთო მანქანების მისასვლელი გზები მუინყუმში.

მგლებს კი აბა რა გაეგებოდათ, წუთიერი ძრწოლის შემდეგ უმალ გადაავიწყდათ შვეულმფრენები და ისევ გაძუნძულდნენ ტრამალში საიგების მიჯნებისკენ, ბაიბურში არ იყვნენ, რაკი საამისო უნარი არ გააჩნდათ, რომ სავანას ყველა ბინადარი უკვე შეათვალიერეს, უკვე მონიშნეს რუკაზე დანომრილ კვადრატებში და მასობრივად გაჟლეტდნენ, რომ მათი განადგურება დაგეგმილი, კოორდინირებული იყო და მათკენ უკვე მოქროდა ურიცხვ ძრავასა და თვალზე ამხედრებული სიკვდილი...

აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ ტრამალის მგლებს, რომ მათი ოდინდელი საზრდო — საიგები — ხორცის ჩაბარების გეგმის შესავსებად სჭირდებოდათ, რომ „განმსაზღვრელი წლის“ ბოლო კვარტალში ოლქში ფრიად ნევროზული მდგომარეობა შეიქმნა — „ხუთწლედის გეგმას ვერაფერს უშვრებოდნენ“ და საოლქო სამმართველოს ვიღაც გერგილიანმა მუშაკმა უცებ წინადადება წამოაყენა მუინყუმის ხორცის რესურსები „აემოქმედებინათ“. იდეის არსი ასეთი გახლდათ: მნიშვნელოვანია არა მარტო ხორცის წარმოება, არამედ ხორცის ფაქტიური ჩაბარება, ესაა ერთადერთი გზა, რომ სირცხვილი არ ჭამონ ხალხისა და მომთხოვნი ზემდგომი ორგანოების წინაშე. საიდან უნდა სცოდნოდათ მათ, ტრამალის მგლებს, რომ ცენტრებიდან რეკავდნენ ოლქში. ვითარება მოითხოვდა, თუნდაც მიწაში ჩამძვრალიყვნენ, მაგრამ ხორცის ჩაბარების გეგმა შეესრულებინათ; კმარა ჯანჯლობა: ხუთწლედის დამამთავრებელი წელია, რას ვეტყვით ხალხს, სადაა გეგმა, სადაა ხორცი, სადაა ვალდებულების შესრულება?

„გეგმა უსათუოდ შესრულდება უახლოეს დეკადაში, — უპასუხებდა საოლქო სამმართველო. — ადგილებზე არის დამატებითი რეზერვები, მივეძალებით, მოვითხოვთ...“

ტრამალის მგლები კი იმ ჟამს არაფრის ბაიბურში არ იყვნენ, შემოსავლელი გზებით გულმოდგინედ ეპარებოდნენ სანუკვარ მიზანს ისევ ძუ მგელ აკბარას წინამძღოლობით, უხმაუროდ ადგამდნენ თათებს რბილ თოვლზე. მიუახლოვდნენ უკანასკნელ საზღვარს, საიდანაც შეტევა უნდა დაწყებულიყო, და ვაციწვერების მაღალ კინტებს შორის მიიმალნენ — მათსავით თვითონაც მოწაბლისფრო კოლბოხებს ჰგავდნენ. აკბარას მგლები აქედან, როგორც ხელისგულზე, ისე ხედავდნენ ყველაფერს. იალღუნის ფართო ველზე ბალახობდა, ხარბად ძოვდა ახალდათოვლილ ვაციწვერას და ჯერჯერობით საფრთხეს ვერ გრძნობდა ტრამალის ანტილოპების რიცხვმრავალი ჯოგი — ქვეყნის გაჩენიდან სულ ერთფერი, თეთრფერდებიანი, წაბლისფერქედიანი ანტილოპები. აკბარა ჯერჯერობით იცდიდა, აუცილებლად უნდა დაეცადა, რათა ნახტომის წინ ძალა მოეკრიბათ, ყველა ერთბაშად გაჭრილიყო საფარიდან და შეუჩერებლივ გამონთებოდნენ მსხვერპლს, შემდეგ კი დევნისას გაირკვეოდა, რა ექნათ. ახალგაზრდა მგლები მოუთმენლობისაგან მშფოთვარედ ატოკებდნენ კუდს, ყურებს ცქვეტავდნენ, სისხლი აუდუღდა თავშეკავებულ ტაშჩაინარსაც, რომელიც მზად იყო შუანები ჩაერჭო მიწეული მსხვერპლისათვის, მაგრამ აკბარა თვალებში დაგზნებულ ცეცხლს მალავდა, ჯერ ნახტომის ნიშანს არ იძლეოდა, უფრო ნაღდ წუთს ელოდა — მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმატების მიღწევა: საიგები ისე

ელვისუსწრაფესად სწყდებოდნენ ხოლმე ადგილს, ამას ვერც ერთი ნადირი ვერ ახერხებდა. ამიტომ იმ წუთის შერჩევა იყო საჭირო.

უცებ თითქოს ცაზე მეხი გავარდაო, ისევ გამოჩნდნენ შვეულმფრენები. ამჯერად ძალიან სწრაფად მოფრინავდნენ და ერთბაშად დაბლა-დაბლა სახიფათოდ წამოვიდნენ აფორიაქებული საიგებისკენ. საიგები შემზარავ თავდასხმას დაოთხილნი გაერიდნენ. ეს მოხდა უცბად, საოცრად სწრაფად — დამფრთხალი, გაგიჟებული ასეულობით ანტილოპა, რომლებმაც ელქაჯები და ორიენტაცია დაკარგეს, შიშის ზარმა მოიცვა, ვინაიდან ამ უწყინარ ცხოველებს ძალა არ შესწევდათ მფრინავ ტექნიკას წინ აღდგომოდნენ. შვეულმფრენებს კი ზუსტად ეს უნდოდათ — ოტებული ჯოგი მიწას გააკრეს, წინ გაუსწრეს, შემდეგ მეზობლად მყოფ სხვა, ასევე მრავალრიცხოვან ჯოგს შეაჯახეს და აი, ასე, სულ ახალ და ახალ შემხვედრ ჯოგებს ატეხდნენ თავს მუინყუმში დატრიალებულ ამ მეორედ მოსვლას, თავგზას ურევდნენ შიშის ზარით მსრბოლავ ტრამალის უამრავ ანტილოპას, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა სავანის წყვილჩლიქოსან ბინადართა უბედურებას, რომლის მსგავსიც მათ არასდროს არაფერი განუცდიათ. და არა მარტო წყვილჩლიქოსნები, მგლებიც, მათი განუყრელი თანამგზავრები და მარადიული მტრებიც ასეთივე დღეში აღმოჩნდნენ.

შვეულმფრენების ეს შემზარავი თავდასხმა აკბარას და მისი ხროვის თვალწინ მოხდა. მგლები ჯერ გაირინდნენ, შიშისაგან ვაციწვერას ფესურებს შეენივთნენ, მაგრამ შემდეგ თავი ვეღარ შეიკავეს და ამ წყეული ადგილიდან მოძურწეს. მგლები უნდა გამქრალიყვნენ, გაეკურცხლათ, სადმე უხიფათო ადგილას გადახვეწილიყვნენ, მაგრამ სწორედ რომ ვერ გადაიხვეწებოდნენ. მათ შორს გაქცევა ვერ მოასწრეს, უცებ მიწა ისე შეირყა და აგუგუნდა, როგორც გრიგალის დროს იცის — შვეულმფრენების მიერ ტრამალში საჭირო მიმართულებით ოტებული ურიცხვი საიგა საშინელი სისწრაფით მიილტვოდა მგლების კვალდაკვალ. მგლებმა ვერც განზე გადახვევა მოასწრეს, ვერც მიმალვა, ღრუბელივით წამოგრაგნილი, ყოვლის შემმუსვრელი, უკნიდან წამოწეული ვეება ცოცხალი ნაკადის გზაზე აღმოჩნდნენ და, წამით რომ შეჩერებულიყვნენ, უეჭველად გადათქერავდნენ, გადაქელავდნენ საიგების ჩლიქები, ისე სწრაფად მოქროდა ცხოველთა ეს შეუპოვარი, ერთიანად თავგზააბნეული სტიქიონი და თუ ცოცხალნი გადარჩნენ, გადარჩნენ იმიტომ, რომ ნაბიჯს არ მოუკლეს, პირიქით, შიშისგან სულ უფრო მოუჩქარეს და ახლა თვითონ აღმოჩნდნენ ტყვეობაში, ამ დიდი ოტების გულში, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ოტებისა — თუ ჩავუკვირდებით, — მგლები ხომ თავს შველიდნენ თავიანთ მსხვერპლთან ერთად, რომ-

ლის დასაგლეჯად და დასანაკუწებლად ეს წუთია მზად იყვნენ. ახლა კი თავად გაურბოდნენ საერთო საფრთხეს საიგების მხარდამხარ, ახლა ისინი თანასწორნი იყვნენ ულმობელი ბედის წინაშე. ამას — მგლები და საიგები რომ ერთად გარბოდნენ — სავანა ტრამალის დიდი ხანძრების დროსაც არ მოსწრებია.

აკბარამ რამდენჯერმე სცადა ოტებულთა ნაკადიდან გამომხტარიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო — შესაძლოა გვერდიგვერდ მომქროლავ ასეულობით ანტილოპას გადაეთქერა. ამ გააფთრებულ სასიკვდილო დაოთხილ რბოლაში აკბარას მგლები ჯერ კიდევ ჯგუფურად მიიწევდნენ და აკბარას საშუალება ჰქონდა, მათთვის თვალი მოეკრა — აი, ისინი, მისი პირველი ნაშიერნი, შიშისაგან თვალებგადმოკარკლულნი, ანტილოპებს შორის არიან, განწირულნი სისწრაფეს უმატებენ, აი, დიდთავა, აი, ფეხმარდი, მათ ძლივს ეწევა, სულ უფრო სუსტდება თვალისჩინი. შვილებთან ერთად თვითონ მისი ტაშჩაინარიც, მუინყუმის რისხვა ტაშჩაინარიც თავზარდაცემული მირბის. განა ამაზე ოცნებობდა ლურჯთვალა ძუ მგელი? დიდი ნადირობის ნაცვლად საიგების ჯოგში მორბიან, ძალა არ შესწევთ რაიმე იღონონ, საიგები ისე მოაქროლებენ, როგორც მდინარე ნაფოტს... პირველად თვალისჩინი დაიღუპა. ჯოგმა გადათქერა, მხოლოდ წკმუტუნი გაისმა და ისიც წამში ჩაახშო ათასობით ჩლიქის თქარუნმა...

ხოლო მარეკი შვეულმფრენები საიგებს ორი მხრიდან მოჰყვებოდნენ, რაციით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, კოორდინაციას ახდენდნენ, ოტებულთ თვალს ადევნებდნენ, რომ აქეთ-იქით არ გაფანტულიყვნენ, კიდევ არ დასჭირვებოდათ სავანაში ჯოგების დევნა, და სულ უფრო მეტად უნერგავდნენ შიშს საიგებს, აიძულებდნენ უფრო სწრაფად ერბინათ, ვიდრე გარბოდნენ. მუზარადებში ხრიწინებდა მარეკების აგზნებული ხმა: „მეოცე, მისმინე, მეოცე! აბა, მისცხე! კიდევ მისცხე!“ ისინი, მფრინავები, შესანიშნავად ხედავდნენ, ტრამალში, თეთრ ახალნათოვარზე როგორ მოისწრაფოდა არნახული საშინელების შავი უწყვეტი მდინარე. და პასუხად ყურსაცვამებში მხნედ ისმოდა: „არის მივცხო! პა-პა-პა, ერთი შეხედე, მათ შორის მგლებიც მირბიან! სანახაობა თუ გინდა, ეგაა? თავს ვეღარ დაიხსნით, რუხებო! წირვა გამოგივათ, ძვირფასებო! აქ „აბა დამაცადე!“ არ გეგონოთ!“

ასე მოერეკებოდნენ მფრინავები ანტილოპებს მოსაქანცად, როგორც ნავარაუდევი ჰქონდათ, და ეს ვარაუდი ზუსტი იყო.

ხოლო როცა ანტილოპები დიდ ველს მიაწყდნენ, იქ დახვდათ ისინი, რომელთათვისაც დილიდან იღვწოდნენ შვეულმფრენები, იქ ელოდათ მონადირენი, უფრო სწორად დამხვრეტნი. თავახდილ

ყველგანმავალ „უაზებზე“ ამხედრებულმა დამხვრეტებმა საიგები წინ გარეკეს და ავტომატებით გზადაგზა ხვრეტდნენ მიბრჯნით, დაუმიზნებლად ესროდნენ, ცელავდნენ, როგორც ბალახს ბოსტანში. „უაზებს“ უკან მიჰყვა მისაბმელიანი სატვირთო მანქანები, ხალხი ძარებში ერთიმეორის მიყოლებით ისროდა ნადავლს და მუქთ მოსავალს იწვევდა. ზორბა ჭაბუკებმა ხელად აითვისეს ახალი საქმე, მსწრაფლ უღებდნენ ბოლოს სულთმობრძავ საიგებს, დასდევდნენ, დაჭრილებს, სულს აფრთხობინებდნენ, მაგრამ მათი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გასისხლიანებულ ცხოველისთვის ფეხებში ხელი ჩაევლოთ და ერთი აქნევით შეეგდოთ ძარაზე! სავანამ რომ სავანად დარჩენა გაბედა, ამისთვის ღმერთებს სისხლიან ხარკს უხდიდა — ძარებზე საიგების გორები დგებოდა.

ხოლო ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა. დამხვრეტნი მანქანებით შეიჭრნენ მორეკილი ქანცგაწყვეტილი საიგების შუაგულში და მარჯვნივ და მარცხნივ ცელავდნენ მათ, სულ უფრო მატებდნენ შიშისზარსა და სასოწარკვეთილებას. ირგვლივ ისეთმა აპოკალიფსურმა შიშმა დაისადგურა, სროლისგან დაყრუებულ ძუ მგელ აკბარას ეგონა, რომ მთელი ქვეყნიერება დაყრუვდა და დამუნჯდა, რომ ყველგან ქაოსი გამეფდა და თვით თავზემოთ უხმოდ მოგიზგიზე მზესაც მასთან ერთად გააფთრებით მოსდევდნენ, რომ მზეც აწყდებოდა აქეთ-იქით და თავის შველას ცდილობდა, რომ უცებ შვეულმფრენებიც დამუნჯდნენ და გრუხუნ-გრუხუნის გარეშე უხმოდ დასტრიალებდნენ უფსკრულში გადაშვებულ ტრამალს ვეებერთელა მდუმარე ძერებივით... ხოლო დამხვრეტ-მეავტომატენი უხმოდ ისროდნენ „უაზების“ ძარებზე ჩაჩოქილნი, უხმოდ მიქროდნენ მანქანები, დროდადრო რომ მაღლა ხტებოდნენ, უხმაუროდ ილტვოდნენ დაგიჟებული საიგები და უხმოდ ეცემოდნენ ტყვიებით დასეტყვილნი, სისხლდანთხეულნი... ამ აპოკალიფსურ მდუმარებაში ძუ მგელ აკბარას გამოეცხადა ადამიანის სახე. გამოეცხადა ისე ახლოს, ისე საშინლად და ისე მკაფიოდ, შეძრწუნდა და კინაღამ მანქანის თვლებში მოჰყვა. „უაზი“ ხომ მის მხარდამხარ, გვერდით მოქროდა. ხოლო ის კაცი წინ იჯდა მანქანაში, წელამდე გადმოკიდებულიყო და დროდადრო ხტოდა. მინის თვალსაფარი ეკეთა, მოლურჯო-ჭარხლისფერი, ქარდაკრული სახე ჰქონდა, შავ პირთან მიკროფონი ეჭირა და რაღაცას გაბღაოდა მთელ ტრამალს, მაგრამ მისი სიტყვები არ ისმოდა. ალბათ კაცი დევნას მეთაურობდა. იმ წუთს ძუ მგელს ხმაურისა და ხმების გაგონება, ადამიანის ლაპარაკის მიხვედრა რომ შესძლებოდა, გაიგონებდა, რასაც კაცი რაციით გაჰყვიროდა: „კიდეებიდან ესროლეთ! დასცხეთ კიდეებიდან! შუაგულში ნუ ისვრით, გადაქელავენ, თქვე მკვდარძაღლებო!“ კაცს ეშინოდა, რომ მოკლულ საიგებს მათ კვალზე მსრბოლნი გადაქელავდნენ.

მიკროფონიანმა კაცმა უცებ შეამჩნია, რომ იქვე, მანქანის გვერდით თავის გადასარჩენად ოტებულ ანტილოპებს შორის მგელი მირბოდა, რომელსაც კიდევ რამდენიმე მგელი მისდევდა. კაცი მოიკრუნჩხა, ჩახრინწული ხმით ღვარძლიანად რაღაც დაიბღავლა, მიკროფონი მიაგდო და შაშხანას დასწვდა. შაშხანას თან იმარჯვებდა, თან ტენიდა. აკბარა აბა, რას გააწყობდა, ვერ ხვდებოდა, რომ მინის თვალსაფრიანი კაცი შაშხანას უმიზნებდა. რომც მიმხვდარიყო, სულ ერთია, ვერაფერს იღონებდა — ალყით შებოჭილს არც გასხლტომა შეეძლო, არც შეჩერება, ხოლო კაცი უმიზნებდა და უმიზნებდა. უცებ რაღაცამ მწვავედ გაჰკრა ფეხებში. აკბარა გადაყირავდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა, რათა საიგებს არ გაეთელათ და მომდევნო წამში დაინახა, რა მაღლა შეხტა ჰაერში ტყვიანაკრავი მისი დიდთავა, ყველაზე დიდი მის პირმშოთა შორის, როგორ ენთხეოდა სისხლი, როგორ ეცემოდა ძირს ნელ-ნელა, ნელ-ნელა ტრიალდებოდა გვერდზე, იჭიმებოდა, თათებს უბაგუნებდა მიწას. შეიძლება ტკივილისაგან ყმუილი აღმოხდა, შეიძლება უკანასკნელი ღმუილი, მაგრამ აკბარას არაფერი ესმოდა. ხოლო მინის თვალსაფრიანმა კაცმა თვალზემოთ გამარჯვებულივით შეარხია შაშხანა და მომდევნო წამს აკბარა უკვე დიდთავას უსულო სხეულს გადაახტა. ეს იყო და მის ცნობიერებაში ისევ შემოიჭრა რეალური სამყაროს ბგერები — ხმები, ხმაური, სროლის შეუწყვეტელი გრიალი, ავტომანქანების ყურთასმენის წამღები პიპინი, ადამიანების ყვირილი, კივილი, სულთმობრძავი ანტილოპების ხრიალი, შვეულმფრენების გუგუნი თავზემოთ... ბევრ საიგას მუხლი ეკვეთებოდა და ვეღარ დგებოდა, ჩლიქებს სცემდა მიწას, მაგრამ ძალა არ შესწევდა მოძრაობისა, სული ეხუთებოდა, გული უსკდებოდა. მათ იქვე უღებდნენ ბოლოს მოკლულთა ამკრეფნი, დანას ღონივრად უქნევდნენ და ყელს უღადრავდნენ, გაშმაგებით მოფართხალე, ცოხალ-მკვდარ საიგებს ფეხებში სტაცებდნენ ხელს და სატვირთო მანქანების ძარაზე ისროდნენ. საშინელება იყო ამ ერთიანად ტანსაცმელგასისხლიანებულ ადამიანთა ცქერა...

ზესკნელიდან თუ ვინმეს ფხიზელი თვალი იცქირებოდა, უთუოდ დაინახავდა როგორ ხორციელდებოდა ხოცვა-ჟლეტვა და რა დაემართა მუინყუმის სავანას, მაგრამ, მგონი, ისიც ვერ მიხვდებოდა, რა მოჰყვებოდა ამას და კიდევ რას იზრახავდნენ ადამიანები...

მუინყუმში დევნა მხოლოდ საღამოხანს დამთავრდა, როცა ყველას — დევნილებსაც და მდევრებსაც — ძალა გამოეცალათ და ტრამალში ჩამობინდება დაიწყო. როგორც ვარაუდობდნენ, შვეულმფრენები ბაზაში საწვავს აიღებდნენ, ხვალ დილით უკანვე დაბრუნ-

დებოდნენ და დევნა განახლდებოდა. ასეთივე ვარაუდით, აქ კიდევ სამი-ოთხი დღის ამგვარი სამუშაო იქნებოდა, თუ ირწმუნებდნენ, რომ მუინყუმის ტრამალების დასავლეთ, ყველაზე ქვიშნარ ნაწილში წინასწარი საშვეულმფრენო-საჰაერო გამოკვლევის თანახმად საიგების კიდევ ბევრი ჯოგი ბინადრობდა, რომელნიც ჯერ არავის დაეფრთხო და რომელთაც ოფიციალურად მხარის გამოუვლენელი რეზერვები ერქვა. ხოლო რაკი გამოუვლენელი რეზერვები არსებობდა, ამიტომ და ამგვარად ხსენებული რეზერვები მხარის ინტერესების გულისთვის. აუცილებლად სასწრაფოდ უნდა გამოეყენებინათ გეგმის შესასრულებლად. ასეთი გახლდათ უაღრესად ოფიციალური დასაბუთება მუინყუმის „ლაშქრობისა". მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველგვარი, ოფიციალური დასკვნების მიღმა ნიადაგ დგანან ესა თუ ის სასიცოცხლო გარემოებანი, რომელნიც განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას. გარემოებანი კი საბოლოო ანგარიშით ადამიანები არიან თავიანთი ზრახვებითა და ვნებებით, ზადითა და სათნოებით. ამ თვალსაზრისით არც მუინყუმის ტრაგედია ყოფილა გამონაკლისი. ტრაგედიის ღამეს სავანაში იმყოფებოდნენ ბოროტმოქმედების ნებით. თუ ძალაუნებურად აღმსრულებელნი.

ხოლო ძუ მგელი აკბარა და მისი ტაშჩაინარი (მთელი ხროვიდან ესენი გადარჩნენ) ტრამალზე სიბნელეში მიძუნძულებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს გასცლოდნენ დევნის ადგილებს. ძლივს მილასლასებდნენ — მთელი ბალანი მუცელქვემოთ და ლაჯებში, თითქმის გავამდე ტალახით და ჭყაპით დასველებოდათ. დაჭრილი, დაჩეჩქვილი ფეხები ისე უხურდათ, თითქოს ცეცხლზე გაეცლოთ, მიწაზე ყოველი შეხება ტკივილს ჰგვრიდათ. ერთი სული ჰქონდათ, შეჩვეულ ბუნაგში დაბრუნებულიყვნენ, მიკუნჭულიყვნენ და ყველაფერი დაევიწყებინათ, რაც მათ უბედურ თავს დაატყდა.

მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ. ბუნაგის მისასვლელთან მოულოდნელად ადამიანები შეეჩეხნენ. მშობლიური ხევის ნაპირას მანქანის თვლებზე დაბალ იალღუნის ბარდნარში შეჭრილი ვეება სატვირთო მანქანა იდგა. მანქანის გვერდით სიბნელეში ადამიანთა ლაპარაკი ისმოდა. მგლები მცირე ხნით შეჩერდნენ და მდუმარედ გაუხვიეს გაშლილი ტრამალისკენ. რატომღაც სწორედ ამ წუთას თვალისმომჭრელად აინთნენ ფარები და სიბნელე გაკვეთეს. თუმცა ისინი საწინააღმდეგო მხარეს ანათებდნენ, მგლებმა უმალ კოჭლობით, ხტუნვა-ხტუნვით მოკურცხლეს, უგზო-უკვლოდ გაიქცნენ. აკბარა უფრო მეტად წინა თათებით კოჭლობდა... დაბეგვილი ფეხები რომ გაეციებინა, ისეთ ადგილებს ირჩევდა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო დილანდელი თოვლი. თოვლზე ნაღვლიანად და გულისდამამძიმებლად მიიწევდა მისი ნაკვალევის დაჭმუჭვნილი

ყვავილები. ლეკვები დაიღუპნენ. უკან დარჩა სამუდამოდ დაკარგული ბუნაგი. ახლა იქ ადამიანები იყვნენ...

ისინი ექვსნი იყვნენ, ექვსნი მძღოლ კეპასთან ერთად, ექვსი შემთხვევით შეხვედრილი ადამიანი, დახოცილ ცხოველთა ამკრეფნი, რომლებმაც ღამე სავანაში გაათენეს, რათა დილაადრიან შედგომოდნენ საქმეს, როგორც აღმოჩნდა, ფრიად ხელსაყრელ საქმეს — ერთ ცალ ცხოველში ათ შაურს ღებულობდნენ. მართალია, უკვე სამი ძარა აავსეს, მაგრამ დღე-ღამის გაყრამდე მაინც ვერ შესძლეს ყველა დახოცილი და გაჭყლეტილი საიგის აკრეფა. დილით უნდა მოეძებნათ დანარჩენები და შეეყარათ მანქანებზე, რათა გაეგზავნათ და გადაეტვირთათ მისაბმელიან ტრანსპორტზე, რომელსაც ბრეზენტგადაფარებული ნადავლი მუინყუმის ზონიდან გადაჰქონდა.

იმ საღამოს ჰორიზონტზე ძალიან ადრე ამოგორდა მთვარე, მთლად რომ მომრგვალებულიყო და ყოველი მხრიდან ჩანდა მქრქალ, ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ თოვლშერჩენილ ტრამალში. მთვარის შუქი ხან ანათებდა, ხან ჩრდილში აქცევდა სავანის ხეებს, ღრანტეებს, ბორცვებს, მაგრამ ამ უკაცური ადგილებისთვის ესოდენ უჩვეულო ვეება სატვირთო მანქანის სილუეტი კიდევ დიდხანს ჰგვრიდა შიშს მგლებს: როცა უკან მოიხედავდნენ, ყოველთვის კუდს ამოიძუებდნენ და უფრო სწრაფად მირბოდნენ, თუმცა მაინც ჩერდებოდნენ და კვლავ დაძაბულად იცქირებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ გაეგოთ, რა ხდებოდა — რას აკეთებდნენ ადამიანები მათ ძველ ბუნაგთან, რატომ გაჩერდნენ იქ და კიდევ დიდხანს იქნებოდა თუ არა იმ ადგილას ეს ვეებერთელა თავზარდამცემი მანქანა. სიტყვამ მოიტანა და მანქანა იყო „მაზი“ — სამხედრო დანიშნულების ბრეზენტით გადახურული ყველგანმავალი, რომელსაც ისეთი მკვრივი თვლები ჰქონდა, იფიქრებდით, ამათ კიდევ ასი წელი ვერაფერი გაცვეთსო. მანქანის ძარაზე სახვალიოდ გასაგზავნი ათობით დახოცილი საიგის გვერდით კაცი იწვა. კაცს ხელები შეკრული ჰქონდა, გეგონებოდათ, ტყვედ ჩაუგდიათო. იგი გრძნობდა, როგორ ცივდებოდა და მაგრდებოდა დახოცილი საიგები. ისე მათი ტყავი მაინც ათბობდა, თორემ კარგი დღე არ დაადგებოდა. მაღლა ბრეზენტის კარვის ღიობში მთვარე მოჩანდა. კაცი ისე უცქეროდა დიდ მთვარეს, როგორც სიცარიელეს, ფერმკრთალ სახეზე ტანჯვა ეხატა.

ახლა ხელებშეკრულის ხვედრი იმ ადამიანებზე იყო დამოკიდებული, რომლებთან ერთადაც მოვიდა აქ და რომელთა აზრით, ისიც ფულის შოვნის სურვილმა ჩამოიყვანა ამ მიდამოებში...

ძნელი დასადგენია, რაა ადამიანის ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში ადამიანთა ათასგვარი ურთიერთობის, ათასგვარი ხასიათის

უსასრულო კომბინაციები იმდენად რთულია, არავითარ თანამედროვე კომპიუტერულ სისტემას არ შესწევს ძალა ყველაზე ჩვეულებრივ ძეხორციელთა ბუნების ზოგადი მრუდის ინტეგრირებისა. და ეს ექვსნი, უფრო სწორად ხუთნი, ვინაიდან ყველგანმავლის შოფერი კეპა თავისთვის იყო, — უნდა ითქვას, ამ კაცთაგან მას ერთადერთს ჰყავდა ოჯახი, თუმცა არსებითად მათი სულიერი ნათესავი გახლდათ, მათგან არ განსხვავდებოდა, — ერთი სიტყვით, ეს ექვსი შეიძლება იმის მაგალითად გამომდგარიყო, რომ არსებობს საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა შეიძლება კომპიუტერული ინტეგრირების გარეშეც იოლას გავიდეთ, აგრეთვე იმის მაგალითადაც, რომ გზანი უფლისანი შეუცნობელია, როცა ლაპარაკია ადამიანთა თუნდაც სრულიად უმნიშვნელო კოლექტივზე. მაშასადამე, უფალს ნებავდა, ყველანი ერთმანეთის ალი-კვალნი ყოფილიყვნენ, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა მუინყუმში შევიდნენ.

უპირველეს ყოვლისა, ესენი გახლდათ უსახლკარონი, მაწანწალები, რასაკვირველია, კეპას გარდა: სამ მათგანს ცოლი გაექცა, ყველანი მეტნაკლებად უიღბლონი იყვნენ, მაშასადამე, მეტწილად ქვეყნიერებაზე გაბოროტებულნი. შეიძლება გამონაკლისად მიგვეჩნია მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, რომელსაც უცნაური, ძველი აღთქმის სახელი — აბდია — ერქვა ასეთი სახელი მოხსენებულია ბიბლიაში — მეფეთა მესამე წიგნში. იგი დიაკვნის შვილი იყო, სადღაც ფსკოვის მახლობლად ცხოვრობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ სასულიერო სემინარიაში შევიდა, როგორც საეკლესიო მსახურის იმედისმომცემი შთამომავალი, მაგრამ ორი წლის შემდეგ ერესისთვის გამოაგდეს. ახლა ყველგანმავალ „მაზში" ხელებშეკრული იწვა და თვით ობერის განჩინებით მისაგებელს ელოდა, რადგან ამბოხების მოწყობა სცადა.

ყველანი, აბდიას გამოკლებით, თავგამოდებული, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდნენ თავს, პროფესიული ლოთები იყვნენ. ისევ საეჭვოა, მასავით ლოთი ყოფილიყო კეპა, რაც უნდა იყოს, მანქანის მართვის უფლებას უნდა გაფრთხილებოდა, თორემ ცოლი თვალებს ამოკაწრავდა. მიუხედავად ამისა, მუინყუმში იმ ღამეს მაინც სხვებზე არანაკლებ გამოიბრუჟა და აბდიას ამ მხრივაც ეჭვის თვალით შეხედეს — ეს მაწანწალა კი ვინ გვიგდია, რომ არ სვამსო, მაგრამ არა, აბდია გაჯიუტდა, არ დალია, რითაც ობერის კიდევ უფრო დიდი სიძულვილი მოიმკო.

ობერი — ამ კაცმა ხელქვეით ამკრეფებს უბრძანა მისთვის მოკლედ ასე ეწოდებინათ, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა, რომ სიტყვა ობერი უფროს ნიშნავდა, ის კი ჩამოქვეითებამდე მართლაც უფროსი ლეიტენანტი იყო საჯარიმო ბატალიონისა. როცა ობერი ჩამოაქვე-

ითეს, კეთილმოსურნენი შეწუხდნენ — სამსახურებრივ გულმოდგინებას შეეწირაო. ასე ფიქრობდა თვითონაც, უფროსების უსამართლობით ერთობ განაწყენებული, ხოლო არმიიდან გამოძევების ნამდვილ მიზეზზე კრინტს არ სძრავდა, დუმილს ამჯობინებდა. ანდა რად სჭირდებოდა ლაპარაკი, როცა საქმე ჩავლილი იყო. სინამდვილეში ობერის გვარი კანდალოვი გახლდათ, თავდაპირველად კი, შესაძლოა, ხანდალოვიც, მაგრამ ეს ამბავი არავის აღელვებდა — ნაღდი ობერია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითო.

ხუნტაში მეორე კაცი მიშაში აღმოჩნდა. ხუნტა რაზმს საერთო დასტურით შეერქვა და ერთადერთი, ვინც ობერს სასხვათაშორისოდ შეესიტყვა სახელწოდების გამო, საოლქო დრამატული თეატრის ყოფილი მსახიობი ჰამლეტ-გალკინი იყო. „ჯანდაბას ხუნტა, არ მიყვარს, ბიჭებო, ეს ხუნტები. ჩვენ ხომ საფარიზე მივდივართ, ჰოდა, საფარი დავირქვათ", — თქვა მან, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა, შესაძლოა, ნაკლებგასაგებმა „საფარიმ" მყარი „ხუნტის" ფონზე წაგო. ამრიგად, ხუნტაში მეორე კაცი აღმოჩნდა ვინმე მიშაში, ხოლო თუ სრულად ვიტყვით მის სახელს — მიშკა-შაბაშნიკი, ღვთის გარეგანი, რომელსაც შეეძლო თვით ობერიც კი მოუსავლეთში გაეგზავნა. მიშაშს ჩვეულად ჰქონდა ყველაფერზე „ამის დედა" დაეყოლებინა. ეს მისთვის იგივე იყო, რაც ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა. აბდიას შეკვრისა და მანქანის ძარაზე დაგდების იდეა სწორედ მან შესთავაზა ხუნტას და ხუნტამაც დაუყოვნებლივ აღასრულა.

ხუნტაში ყველაზე უბრალო ადგილი ეჭირა მსახიობ ჰამლეტ-გალკინს. გალოთებულმა ჰამლეტ-გალკინმა ნაადრევად დატოვა სცენა და შემთხვევიდან შემთხვევამდე ნაშოვნი ფულით გაჰქონდა თავი. ახლა აგერ ზუსტად სარფიანი საქმე გამოუჩნდა — ფეხებში ხელი სტაცე და მანქანის ძარაზე შეაგდე რაღაც ანტილოპა თუ საიგა, რა განსხვავებაა, ჰოდა, მიიღე იმდენი, რამდენსაც მთელი თვე ვერ გამოიმუშავებ, ამას დაუმატე ობერის პრემიაც (თუმცა საიჯარო ანარიცხების ანგარიშზე) — ერთი ყუთი არაყი მთელ ძმაბიჭობაზე.

ხუნტაში ყველაზე ხათრიანი და უწყინარი გახლდათ ადგილობრივი ყმაწვილ კაცი, მუინყუმის მახლობლად მცხოვრები უზიუკბაი, ანუ უბრალოდ აბორიგენი. აბორიგენ-უზიუკბაის ერთი ფასდაუდებელი თვისება ჰქონდა: მისხალი თავმოყვარეობა არ გააჩნდა, რაც უნდა გეთქვა, ყველაფერზე დაგეთანხმებოდა და ბოთლი არაყის გულისთვის თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე გასწევდა. აბორიგენ-უზიუკბაის მოკლე ბიოგრაფია ასეთი იყო: ადრე ტრაქტორისტად მუშაობდა, შემდეგ გადაბმულ სმას მიჰყო ხელი, ტრაქტორი ღამით გზაზე მიატოვა, ხოლო ტრაქტორს გამვლელი მანქანა დაეჯახა და კა-

ცი დაიღუპა. უზიუკბაიმ ორიოდ წელი იყურყუტა ციხეში. ამასობაში ცოლი ბავშვებითურთ გაშორდა, თვითონ კი ქალაქში აღმოჩნდა, როგორც აღურიცხველი სამუშაო ძალა. სასურსათო მაღაზიაში მოღვაწეობდა მტვირთავად, სვამდა სადარბაზო შესასვლელებში. სადარბაზო შესასვლელშივე აღმოაჩინა თვითონ ობერმა და გამოჰყვა კიდევაც უკანმოუხედავად, თუმცა რისთვის-ვისთვის უნდა მოეხედა... ობერ-კანდალოვისთვის უარის თქმა კი არ შეიძლებოდა— მას მართლაც ჰქონდა სოციალურად ორიენტირებული ალღო...

ასე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს ობერ-კანდალოვის მეთაურობით ასე მოჰყვნენ დევნის ტალღას მუინყუმის სავანაში...

და თუ ბედზე, თუ მოვლენათა განმსაზღვრელ სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებაზე ვილაპარაკებთ, ღმერთია მოწამე, ობერ-კანდალოვს არავითარ საზრუნავს არ გაუჩენდა უიღბლო სემინარიელი აბდია, რომ ამას, აბდიას, თავის დროზე დაესრულებინა სწავლა და შესაბამისი ხარისხი მიეღო ხელთ დასხმით. სიტყვამ მოიტანა და მისმა ყოფილმა სემინარიელმა მეგობრებმა, ოდესღაც ისეთივე ქარაფშუტებმა, როგორიც ყველა მოსწავლეა, რაკი ერთხელ ცხოვრების გზა აირჩიეს, აბდიაზე, აწ განსვენებული დიაკვნის შვილზე, გაცილებით უფრო მტკიცენი და, რაც ყველაზე მთავარია, ჭკვიანები აღმოჩნდნენ და სასულიერო განათლების გასრულების შემდეგ წარმატებით მიიწევდნენ საეკლესიო კარიერის საფეხურებზე. მათ შორის რომ აბდიაც ყოფილიყო — თავდაპირველად იგი ღვთისმეტყველ მამათა საყვარელ და ფრიად ნიჭიერ ყმაწვილად ითვლებოდა — მაშინ საეჭვოა, ობერ-კანდალოვს გადაჰყროდა, თუნდაც იმიტომ, რომ ობერ-კანდალოვს მღვდლები გულწრფელად მიაჩნდა დროის გაუგებრობად და ეკლესიის ზღურბლზე თავის სიცოცხლეში არ გადაუბიჯებია ცნობისმოყვარეობის გამოც კი.

თუკი რომ... მერედა ვის ეცოდინებოდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. კარგია, წინასწარ იცოდე... მაგრამ ვინ ვის სთხოვს ანკეტის შევსებას, როცა კაცი კაცს ერთი გზობისთვის ეძახის — ერთად წავიდეთ ცოტა ფულის საშოვნელადო. ეს ხომ იგივეა, კარტოფილის სათხრელად წაჰყვე კოლექტივს. ოღონდ მათ ბოლქვების ნაცვლად დახოცილი ცხოველები უნდა აეკრიფათ... ობერ-კანდალოვს რომ სცოდნოდა, ვაგზალში შეხვედრილი მოხეტიალე აბდია დარტყმული და შერეკილი იყო, მუინყუმის ქვიშებში იძულებული არ გახდებოდა თავი ემტვრია, როგორ მოქცეოდა, სად გადაეკარგა, რანაირად მოეშორებინა უმტკივნეულოდ ეს ველური აბდია, რომელმაც კინაღამ ჩაუშალა ყველაფერი, რასაც ასე გულმოდგინედ აჭახრაკებდა, რაც წარსულის აღდგენის იმედს უსახავდა. ვინ იფიქრებდა, რომ აგრე უცნაურად, დაუჯერებლად, თანაც სულელურად შეიკვანძე-

ბოდა ყოველივე. ამ ფიქრებით გულდამძიმებულ ობერ-კანდალოვს ძალიან უნდოდა დალევა, როგორც იტყვიან, გულის გადაყვავილება. ეგ საქმე კი კარგად ემარჯვებოდა — ჯერ ნახევარი ჭიქა არაყი გადაჰკრა სულმოუთქმელად, შემდეგ კიდევ ნახევარი ჭიქა და კიდევ ნახევარი, რათა ისე გაბრუებულიყო, ისე არეოდა თავგზა, რომ ცა ქუდად მოსჩვენებოდა და დედამიწა ქალამნად, ერთიანად დაეკარგა გონება... ჯოჯოხეთი დაეტრიალებინა, მაგრამ ამისიც ეშინოდა, რადგან იცოდა, რა შავ დღეში ჩავარდებოდა...

მაინც საიდან გამოუტყვრა ეს აბდია! და ისევ, თუ ბედზე, თუ სხვა მოვლენათა წინასწარ განმსაზღვრელი მიზეზების სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ ეს ყველაფერი ამ ამბამდე დიდი ხნით ადრე და აქედან შორს დაიწყო...

სასულიერო სემინარიიდან ერეტიკოს-ახალმოაზროვნის ტვიფრით გამოგდებული აბდია იმხანად საოლქო კომკავშირული გაზეთის შტატგარეშე თანამშრომლად მუშაობდა. ეს ცოტა ხნის წინანდელი სემინარიელი, რომელიც გვარიანად წერდა მკითხველთა საყვარელ თემებზე, გაზეთის რედაქციის ყურადღებას იქცევდა. ეკლესიის მიერ შეჩვენებული აბდია ხელს აძლევდა მას თვალსაჩინო ანტირელიგიური პროპაგანდისათვის. სემინარიელობაზე ხელმოცარულ ყმაწვილს კი თავის მხრივ ახალგაზრდულ პრესაში მისთვის მახლობელ ზნეობრივ თემებზე წერილების ბეჭდვა აინტერესებდა. ამასთანავე გაზეთში გამოქვეყნებული მისი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ფიქრები მკითხველებს იზიდავდა, და არა მარტო ახალგაზრდებს, განსაკუთრებით საოლქო პრესის წამლეკავი გულის გამაწვრილებელ-დიდაქტიკური მოწოდებებისა და სოციალური ჯადოსიტყვების ფონზე. ჯერჯერობით რედაქციისა და აბდიას ზიარი ინტერესები თითქოსდა ხორციელდებოდა, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, უფრო სწორად, ერთი სულიერის გარდა არავინ უწყოდა, რა ზრახვები ედო გულში ამ ახალგაზრდა, ადრეულა განმაახლებელს. აბდია კალისტრატოვი იმედოვნებდა მომავალში, როცა უკვე ჟურნალისტის სახელს განიმტკიცებდა, ეპოვა რაღაც მისაღები ფორმა, რაღაც სასაზღვრო იდეოლოგიური ზოლი, რომელიც საშუალებას მისცემდა არქაული სარწმუნოების დოგმატური პოსტულატების საპირისპიროდ, მისი რწმენით, ესოდენ აქტუალური და ესოდენ უაღრესად მნიშვნელოვანი ახალი აზრები გამოეთქვა ღმერთისა და ადამიანის რაობაზე თანამედროვე ეპოქაში. სასაცილო ის გახლდათ, რომ აბდიას წინაშე იდგა ორი აბსოლუტურად მიუვალი და შეურყეველი ციხესიმაგრე, რომელთა ძლიერებას საფუძვლად ედო მათივე ურყეობა და ტოტალური ურთიერთშეუთავსებლობა. ეს იყო ერთის მხრივ — დროის მედეგი, ათასწლოვანი, უცვლელი კონცეფციები აღდგომისა, გულმოდგინედ

რომ იცავენ სარწმუნეობის სიწმინდეს ნებისმიერი თუნდაც კეთილის მზრახველი ახალი აზრებისაგან და მეორეს მხრით — რელიგიის სრულიად უარმყოფელი მეცნიერული ათეიზმის მძლეთამძლე ლოგიკა. ეს უბედური აბდია კი, როგორც დოლაბებს შორის, ისე იყო მათ შორის მოქცეული. მაგრამ გულში თავისი ცეცხლი ენთო. „კაცობრიობის ისტორიული განვითარების მიხედვით დროში ღმერთის კატეგორიის განვითარების“ იდეებით შეპყრობილი ერეტიკოსი აბდია კალისტრატოვი იმედოვნებდა, რომ ბედი ადრე თუ გვიან შესაძლებლობას მისცემდა ხალხისთვის გაემხილა თავისი დასკვნების არსი, ვინაიდან, როგორც თავად ფიქრობდა, ყველაფერი ისე ეწყობოდა, ხალხი თვითონაც მოინდომებდა შეეცნო თავისი დამოკიდებულებანი ღმერთთან პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, როცა ადამიანის ძალმომრეობა უაღრესად კრიტიკულ ფაზებს მიაღწევდა. აბდიას დასკვნები ჯერჯერობით დაუწმენდავი, საკამათო გახლდათ, მაგრამ ოფიციალურმა ღვთისმეტყველებამ ასეთი თავისუფლებაც არ აპატია და ეპარქიის წარმომადგენლებმა სასულიერო სემინარიიდან გააძევეს, როცა უარი თქვა ახალი აზრების ერესი მოენანიებინა.

აბდია კალისტრატოვს თეთრი, მაღალი შუბლი ჰქონდა. როგორც მისი თაობის ბევრ ყმაწვილკაცს, თმა მხრებამდე სწვდებოდა, ხშირი წაბლისფერი პატარა წვერი მაინცდამაინც არ უხდებოდა, მაგრამ კეთილ გამომეტყველებას კი აძლევდა. ნაცრისფერი გადმოკარკლული თვალები აღგზნებულად უკვესავდა, მათში უკრთოდა სულის და აზრის მისთვის ნიშანდობლივი დაუდეგრობა და ეს დაუდეგრობა დიდ სიხარულსაც ანიჭებდა, რაკი მისი მეშვეობით მოვლენებს შეიცნობდა და ამასთანავე, უამრავ მძიმე განსაცდელს აგემებდა გარშემო მყოფ ადამიანთაგან, რომელთათვისაც სიკეთე სურდა...

აბდია მეტწილად კუბოკრულ პერანგს, სვიტერსა და ჯინსს იცვამდა, სიცივეში კი — თხელ პალტოს და მამისეულ ძველ ბეწვის ქუდს იხურავდა. ასე ჩაცმული გამოჩნდა იგი მუინყუმის სავანაში...

მანქანის ძარაზე რომ ხელებშეკრული ეგდო, ეს ათასგვარ მწარე ფიქრებს ჰგვრიდა, მაგრამ ყველაზე მძაფრად სიმარტოვეს შეიგრძნობდა. გაახსენდა რომელღაც აღმოსავლელი პოეტის ნახევრად დავიწყებული გამონათქვამი: მარტო ხარ ათასკაციან ბრბოშიც, თავთან პირისპირ მყოფიც მარტო ხარ“, და მით უფრო გულმდუღარედ, გაწამებით ფიქრობდა იმ არსებაზე, იმაზე, ვინც ერთი ხანია მისთვის ამქვეყნად ყველაზე ახლობელი გახდა, მისი ფიქრების მუდმივ თანამგზავრად იქცა, როგორც ჰიპოსტასი მისივე არსისა — და ახლა არ შეეძლო იგი განერიდებინა, არ შეეძლო მისთვის თავისი გრძნობები და განცდები არ გაეზიარებინა, ხოლო თუ მართლა არსებობს ტელეპათია, როგორც განსაკუთრებულად დაძაბულ ვითარებაში

მყოფი ახლობელი ადამიანების ზემგრძნობიერი ურთიერთობა, იმ არსებას იმ ღამეს სულის უცნაური ტანჯვა უნდა განეცადა და უბედურების წინათგრძნობა გასჩენოდა...

აბდია ამ წუთში ბოლოს და ბოლოს მიხვდა იმავე აღმოსავლელი პოეტის პარადოქსული სიტყვების სამართლიანობას, რომელსაც წინათ დასცინოდა და არ სჯეროდა, რომ შეიძლება ამტკიცო: „ნუვინ იქნება შეყვარებული, ვისაც ნამდვილი სიყვარული ძალუძს...“ რა სისულელეა! და ჩუმად ტიროდა ახლა იმ არსებაზე მოფიქრალი, ესმოდა, რომ თუ იგი არ იქნებოდა ქვეყნად, არ ეყვარებოდა იგი ასე იდუმალად, ასე უსაზღვროდ, როგორც საკუთარი სიცოცხლე სიკვდილის წინ, არ გაუჩნდებოდა ეს დაუყუჩებელი ტკივილი, ეს ნაღველი, ეს დაუძლეველი, გიჟური და მტანჯველი სურვილი — დაუყოვნებლივ, ახლავე დაეხსნა თავი, განთავისუფლებულიყო და გაქცეულიყო მასთან ამ ღამით, გადაევლო სავანა, გაქცეულიყო რკინიგზის ტრანსკონტინენტურ ზოლზე მიკარგულ სადგურ ჟალპაკსაზში, რათა მაშინდელივით თუნდაც ნახევარი საათით გაჩენილიყო მის კართან, დიდ უდაბნოთა საზღვარზე მდებარე საავადმყოფოს მახლობელ იმ პატარა სახლში, რომელშიც ის ასული ცხოვრობდა... მაგრამ, რაკი დახსნის ძალა არ შესწევდა, სწყევლიდა თავის, შესაძლოა ზედმეტ ერთგულებას მისდამი — ამ აზიურ მხარეში ხომ სწორედ მისი გულისთვის დაბრუნდა, მეორეჯერ ჩამოვიდა, აღმოჩნდა აქ, მუინყუმში, სადაც იწვა კიდევაც გათოკილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული. მაგრამ აბდიას ქალის მიმართ მით უფრო უმძაფრდებოდა გრძნობები, რაც უფრო განუხორციელებელი იყო სურვილი მისი ნახვისა, მით უფრო სტანჯავდა სიმარტოვის შეგრძნება; ეს გრძნობები კი ამასთანავე ამცნობდა ღმერთთან შენივთების მადლსაც, ვინაიდან ახლა გაუცხადდა, რომ სიყვარულის სახით მოვლენილი ღმერთი ადამიანს ცხოვრების უმაღლეს ბედნიერებას ანიჭებს და ღმერთის გულუხვობას აქ დასასრული არ უჩანს, როგორც არ უჩანს დასასრული დროის მდინარებას, ხოლო სიყვარულის დანიშნულება განუმეორებელია ყოველ შემთხვევაში და ყოველ ადამიანში...

— დიდება უზენაესს! — წაიჩურჩულა მთვარის მაცქერალმა აბდიამ და გაიფიქრა: „ნეტავ იმ ასულმა იცოდეს, რაოდენ დიდია ღვთის წყალობა, როცა უფალი გულში სიყვარულს ნერგავს...“

ამ დროს მანქანასთან ნაბიჯების ხმა გაისმა და ვიღაც ქშენითა და ბოყინით აძვრა ძარაზე. ეს მიშაში იყო. მიშაშის კვალდაკვალ გამოჩნდა კეპას თავიც. ეტყობა, მათ უკვე მოესწროთ ჩაცეცხვლა, რადგან აბდიას არყის სუნი ეტაკა ცხვირში.

— შენ რაო, ამის დედა, წევხარ? აბა, ადექი, მღვდელო ძაღლო-

მაღლო, ობერი ხალიჩაზე გიხმობს, ხელახლა უნდა აღგზარდოს, — ბურდღუნებდა მიშაში ბუნაგში მყოფი დათვივით და საიგების ლეშებზე მოიწევდა.

კეპამ თავის მხრივ ხითხითით დაურთო:

— ხალიჩა არ იქნება, მუინყუმის მიწაზე საკუთარ უკანალზე დაბრძანდება.

— ხალიჩა მომინდომა ახლა ამან, — ბოყინით ჩაუბოხისხმავა მიშაშმა, — ასეთი საქმისთვის, ამის დედა, ციმბირში უნდა უკრა თავი! გაბითურება მოგვინდომა, ლამის ბერად აღკვეცა დაგვიპირა, ფეხი არ ჩაგივა!

—

IV

აბდია კალისტრატოვმა ინგა ფიოდოროვნას ადრე რამდენიმე წერილი გაუგზავნა სადგურ ჟალპაკ-საზში. ინგაც უგზავნიდა საპასუხო წერილებს ქალაქის ფოსტაში, მოკითხვამდე. ვინაიდან იმხანად აბდიას მუდმივი მისამართი არ ჰქონდა. დედა ბავშვობაშივე გარდაეცვალა და მამამისი დაქვრივებული დიაკონი კალისტრატოვი მთელ თავის სიკეთეს და დიდ ნაკითხობას (იგი საღვთისმეტყველო წიგნებსაც კითხულობდა და საეროსაც) ვაჟისა და აბდიაზე სამი წლით უფროსი ქალიშვილის აღზრდას ახმარდა. აბდიას და ვარვარა ლენინგრადში წავიდა სასწავლებლად, პედაგოგიურ ინსტიტუტში სურდა შესვლა. იქ არ მიიღეს, როგორც კულტის მსახურის შვილი, ვინაიდან ინსტიტუტი საშუალებას მისცემდა სკოლაში ესწავლებინა. ამიტომ კონკურსით ჩაირიცხა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ჩარჩა კიდევაც ლენინგრადში, გათხოვდა იქ, ოჯახი შექმნა და ახლა მხაზველად მუშაობდა რომელიღაც საპროექტო ინსტიტუტში. ხოლო აბდიას გზა სასულიერო სფეროში ედო. თვითონ სურდა ეს, მამას კი მასზე უფრო მეტად უნდოდა, განსაკუთრებით იმ ამბის შემდეგ, რაც ვარვარას პედაგოგიურ ინსტიტუტში გადაჰხდა. როცა აბდიამ სემინარიაში სწავლა დაიწყო, დიაკონი კალისტრატოვი ბედნიერებას გრძნობდა, თავი ამაყად ეჭირა — უხაროდა, რომ ოცნება აუსრულდა, რომ უქმად არ ჩაუვლია მის გარჯას და შეგონებებს, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება. მაგრამ მალე გარდაიცვალა და, შესაძლოა, ეს ბედის წყალობაც იყო, ვინაიდან ვერ გადაიტანდა ერეტიკულ მეტამორფოზას, რაც განიცადა მისმა შვილმა აბდიამ, რომელიც ახალმა აზრებმა გაიტაცეს სამყაროსავით მარადიულ, ღვთისმეტყველების, ანუ ღვთიური ძალის უსასრულობისა და უცვლელობის ერთხელ და სამუდამოდ დამამკვიდრებელი მოძღვრების სარბიელზე.

ხოლო, როცა აბდია კალისტრატოვმა საოლქო ახალგაზრდულ გაზეთში დაიწყო თანამშრომლობა, პატარა ოთახი, სადაც დიაკონმა

კალისტრატოვმა მრავალი წელი ოჯახთან ერთად იცხოვრა, ეკლესიის სხვა ახალდანიშნულ მსახურისთვის დაიჭირვეს, ყოფილ სემინარიელს აბდია კალისტრატოვს კი, როგორც კაცს, რომელსაც აღარაფერი აკავშირებდა ეკლესიასთან, წინადადება მისცეს, დაცალეო.

ამასთან დაკავშირებით აბდიამ დას ვარვარას უხმო, რათა იმას თავისი შეხედულებისამებრ გადაერჩია და ლენინგრადში წაეღო მშობლების ნაქონი, მისთვის საჭირო ნივთები, ძირითადად ძველებური ხატები და სურათები, როგორც სამახსოვრონი და სამემკვიდრონი. თვითონ მამისეული წიგნები დაიტოვა. ეს იყო და-ძმის უკანასკნელი შეხვედრა — ყოველ მათგანს თავისი ხვედრი ჰქონდა. ამის მეტად ერთმანეთი აღარ უნახავთ. მათი ურთიერთობა საკუთრებით ნორმალური გახლდათ, მაგრამ ცხოვრების გზები — სხვადასხვა. იქიდან მოკიდებული აბდია კერძო ბინებში ცხოვრობდა, თავდაპირველად ცალკე ოთახებში, შემდეგ კუთხეებში, ვინაიდან ცალკე ოთახების ქირის გადახდა გაუჭირდა. ამიტომაც წერილებს ფოსტაში, მოკითხვამდე უგზავნიდნენ.

საოლქო კომკავშირული გაზეთი სწორედ ამ დროს აპირებდა აბდიას გაგზავნას შუა აზიაში. ამის უშუალო საბაბი გახდა მისი იდეა — შეესწავლა და აღეწერა ქვეყნის ევროპული რაიონების ახალგაზრდობაში ნარკოტიკული საშუალების შეღწევის გზები და საშუალებანი. ეს ნარკოტიკული საშუალება იყო ანაშა, მცენარე, რომელიც შუა აზიაში, ჩუს და მუინყუმის ტრამალებში ხარობს. ანაშა ღვიძლი და არის ცნობილი მარიუხანისა, განსაკუთრებული სახეობა ველური კანაფისა. ამ კანაფის ფოთლები, უფრო ყვავილები და ყვავილის მტვერი ძლიერმოქმედ, გამაბრუებელ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც მოწევის დროს ევფორიას — ნეტარების ილუზიას იწვევს,ხოლო დიდი დოზა — დათრგუნვის ფაზას, რასაც შემდეგ აგრესიულობა — ირგვლივ მყოფთათვის საშიში სიგიჟე მოჰყვება.

აბდია კალისტრატოვმა მგზავრობა დაწვრილებით აღწერა თავის საგზაო ნარკვევებში. აღწერა, ტრამალში მოულოდნელად როგორ გადაეყარა მგლების ოჯახს. როგორც თვითმხილველმა, როგორც გამაბრუებელი საწამლავის გავრცელებით შეწუხებულმა მოქალაქემ, ტკივილითა და მშფოთვარებით გადმოსცა ყველაფერი, რაც განიცადა, მაგრამ ნარკვევების გამოქვეყნებას საშველი არ დაადგა: რედაქციაში ისინი ჯერ ტაშისკვრით მიიღეს, მაგრამ დაბეჭდვა მაინც შეყოვნდა, შემდეგ კი საერთოდ შეჩერდა.

აბდია კალისტრატოვი თავის წარუმატებლობებსა და განცდებზე წერდა სწორედ ინგა ფიოდოროვნას, რომელიც ბედის ნაბოძვარად, ყველაზე ახლობელ ადამიანად მიაჩნდა — ინგა მდინარესავით აცოცხლებდა და მკვდრეთით აღადგენდა ყოველდღიური ცხოვრებისათ-

ვის. აბდია მალე მიხვდა, რომ ინგასთან მიმოწერა მისთვის ცხოვრების მთავარი მოვლენა იყო, და, შესაძლოა, თვით მისი არსებობის გამამართლებელი ხვედრიც.

აბდიამ ინგა ფიოდოროვნას წერილი გაუგზავნა და შემდეგ ამ ამბით ცხოვრობდა, მეხსიერებაში ხელახლა აღიდგენდა დაწერილს და თითქოს შენიშვნებს უკეთებდა. ეს იყო დიდ მანძილზე ურთიერთობის უცნაური ფორმა — მისი ტანჯული სულის უწყვეტი გამოსხივება დროსა და სივრცეში.

„...შემდეგ მრავალი დღე ვფიქრობდი, ხომ არ შეგაცბუნეს ჩემი წერილის დასაწყისმა სიტყვებმა: „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა"! ეს სიტყვები იმიტომ მოვიყვანე, რომ საეკლესიო ტრადიციებზე აღვიზარდე. ისინი ყოველთვის კამერტონის მაგივრობას მიწევს სერიოზული საუბრის დაწყების წინ, სულში ლოცვის განწყობას მიქმნის და ამ წესს არ ვარღვევ, თუმცა ზედმეტადაც კი გახსენებთ, რომ წარმოშობით სასულიერო წოდებას ვეკუთვნი და სემინარიელი ვიყავი. თქვენდამი დამოკიდებულება ნებას არ მაძლევს, გვერდი ავუარო ნებისმიერ გარემოებას, რომელიც კი მე შემეხება.

ამაზეც ვფიქრობდი, რომ თქვენობით გწერთ, თუმცა განშორების ჟამს ერთმანეთს შენობით მივმართავდით. მაპატიეთ, მაგრამ რაღაც დამემართა, თუმცა დიდი ხანი არაა, რაც თქვენგან შორს ვიმყოფები. ისე, ყველა ახირებული ცდილობს თავი უაზროდ ამართლოს. ეს სიტყვამ მოიტანა. თქვენ მაინც ნება მომეცით აგრე შორს თქვენობით მოგმართოთ. ასე გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს. და თუ ბედად გვიწერია შეხვედრა, რაც ჩემს გულში ჩამარხული ოცნებაა და ამიტომაც განსაკუთრებულად იდუმალი (ამ ოცნებებს ბავშვებივით ვეალერსიავები, ვზრდი და მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია; წარმომიდგენია, რა ბედნიერებაა შენი შვილების სიყვარული, თუ ისინი ოცნებებივით გიყვარს), ეს ოცნებები კი დაიბადა, როგორც სულის სწრაფვა ღვთაებრივი სრულყოფისაკენ, მარად მიმზიდველი, უსასრულო სრულყოფისაკენ. ჰოდა, მათი წყალობით ჩემდა შეუცნობლად ვუპირისპირდები არარსობის საშიშროებას, შესაძლოა იმიტომ, რომ სიყვარული სიკვდილის ანტითეზაა; ამიტომაცაა იგი შობის საიდუმლოს შემდეგ სიცოცხლის მნიშვნელოვანი მომენტი. ყოველივე ამას ვიმეორებ, როგორც შელოცვას, რათა შეხვედრა გვეწეროს, და აღგითქვამთ შეხვედრისას არ შეგაწუხოთ — აღგითქვამთ შენობით მოგმართოთ... ჯერჯერობით კი ბევრი რამა მაქვს სათქმელი...

ინგა ფიოდოროვნა, ვიმედოვნებ, გახსოვთ, რომ შევთანხმდით, როგორც კი გაზეთში გამოქვეყნდებოდა მასალები, რომელთა გულისთვის თქვენს მხარეში ჩამოვედი, მათ დაუყოვნებლივ გამოგიგ-

ზავნიდით ავიაფოსტით. სამწუხაროდ, დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი ნარკვევები ჭაბუკებზე, ანაშას მადევრებზე და ყველაფერზე, რაც ჩვენი დღეების ამ სამწუხარო მოვლენასთანაა დაკავშირებული, უახლოეს ხანაში დაიბეჭდება. ვამბობ, ჩვენი დღეებისმეთქი, ვინაიდან ანაშა ამ მიწაზე უხსოვარი დროიდან იზრდებოდა, როგორც სარეველა ბალახი, თხუთმეტი წლის წინათ კი, ეს თვითონ იცით და მე თქვენ — სპეციალისტს — აბა, რაღას გიყვებით, მაგრამ მაპატიეთ, სულ ერთია, მოგიყვებით, ინგა ფიოდოროვნა, და მოგიყვებით სწორედ თქვენ, რადგან მხოლოდ ეგ აძლევს ახლა რაღაც აზრს მთელ ამ საქმეს, — ჰოდა, თხუთმეტი წლის წინათ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამტკიცებენ, არავის უფიქრია ამ ბოროტების, ანუ, როგორც ანაშისტები უწოდებენ, ბალახ-ბულახის მოგროვება არც მოსაწევად და არც სხვა რამ საჭიროებისათვის. ეს ბოროტება სულ ახლახან აღმოცენდა, დასავლეთის საკმაო გავლენით. და აი, ახლა მთავაზობენ დავჯერდე იმას, რომ რაღაც მოხსენებითი ბარათი მივწერო რომელიღაც ინსტანციებს — ეს პირდაპირ გაუგებარია. ვხვდები, რა ძაღლის თავიცაა აქ დამარხული, მაგრამ მხოლოდ გულისწყრომა და სიცილი შეიძლება გამოიწვიოს ტყუილუბრალო შიშმა, რომ ერთობ სენსაციური მასალები ნარკომანიაზე ახალგაზრდებს შორის (სიზუსტისათვის უნდა დავსძინო, ნაკლებშეგნებული ახალგაზრდების ერთ ნაწილში) პრესტიჟს შეგვირყევს. ეს ხომ სწორედ სირაქლემას პოლიტიკაა... აბა, რისთვის გვჭირდება ის, ეს პრესტიჟი, თუკი ასე ძვირი დაგვიჯდება!

ინგა ფიოდოროვნა, წარმომიდგენია, ამ სტრიქონების კითხვისას რა შემწყნარებლურად იღიმებოდით, უფრო სწორად, იღიმებოდით ჩემს გულუბრყვილო აღშფოთებაზე, შეიძლება, პირიქითაც, იღუშებოდით, მოღუშვა კი, სიტყვამ მოიტანა და, ძალიან გიხდებათ, როცა იღუშებით, სახე ისე გეწმინდებათ და შეფრფვინვილი გიხდებათ, როგორც ახალგაზრდა მონაზვნებს, რომლებიც მართლა არიან შეურვებულნი ღვთაების არსის წვდომით; ამ ქრისტეს სასძლოთა ჭეშმარიტ სილამაზე ხომ მათი ზეშთაგონებულებაა. ეს რომ ხმამაღლა, თანაც სხვების თანდასწრებით მეთქვა, პირფერობის წადილს დაემსგავსებოდა. მაგრამ უკვე ვთქვი, რომ თქვენდამი ჩემს დამოკიდებულებაში სრულიად არაფერია ისეთი, რაც უნდა დამეკნინებინა ან გამეზვიადებინა. და თუ თქვენი შეფიქრიანებული სახე მეხსიერებაში აღორძინების ხანის ფერწერის ღვთისმშობელს აღმიდგენს, ეს უკიდურეს შემთხვევაში ხელოვნებათმცოდნეობაში ჩემს არასაკმარის გამოცდილებას მიაწერეთ. რაც უნდა იყოს, ვიმედოვნებ, ჩემი გულწრფელობა გჯერათ... აკი ყველაფერი აქედან დაიწყო — პირველივე სიტყვიდან მერწმუნეთ და ცხოვრების ახალი კაბადონი გადამიშალეთ...“

* * *

დღეს გაზეთის რედაქციაში მივედი ჩემი მასალის გამო და კვლავ იგივე სურათი დამხვდა — არაფერი შეცვლილა, არც არავითარი ძვრაა, არც არავითარი იმედის ნაპერწკალი. არავის შეუძლია გასაგებად ამიხსნას, ტრამალის ნარკვევებმა, რომლებსაც რედაქცია თავდაპირველად დიდი ზარ-ზეიმით შეეგება, ახლა რატომღა გაუქრო ენთუზიაზმი მის მუშაკებს. მერედა რამდენმა გულწრფელად აღიარა დასმული პრობლემების აქტუალობა. გაზეთის მთავარი რედაქტორი ახლა ყოველნაირად ცდილობს თავი გამარიდოს, მასთან დარეკვა შეუძლებელია, მდივანი სულ იმიზეზებს, არ სცალიაო — ხან სხდომა აქვს, ხან — გაზეთის ნომერს გეგმავს, ხან, როგორც მდივანი, ხაზგასმულად ამბობს, ზემდგომ ინსტანციებშია გამოძახებული.

და კვლავ მარტოსული მივუყვები ნაცნობ ქუჩებს. შემთხვევით ჩამოსული უცხო კაცივით, თითქოს აქ არ ვიყო დაბადებული და გაზრდილი, ისეთი სიცარიელესა და სიმარტოვეს ვგრძნობ სულში. ზოგი ნაცნობი გამარჯობას არ მეუბნება — მათთვის ვარ ეკლესიიდან განკვეთილი, სემინარიიდან გაძევებული ერეტიკოსი და ა. შ. და ა. შ. მხოლოდ ერთი რამ მითბობს გულს, ნიადაგ მახლავს ერთი სანუკვარი საზრუნავი — წერილი. მივაბიჯებ და ვფიქრობ, რას მივწერ ინგას, ვფიქრობ, რომ მორიგ წერილში მოვუყვები ყველაფერს, რაც ჩემი ვარაუდით დააინტერესებს, ყველაფერს, რასაც შეუძლია საბაბი მომცეს ფიქრები გავუზიარო. არასდროს გამივლია გულში, საყვარელ ქალზე ფიქრი და მისთვის წერილების მიწერა ჩემი ცხოვრების აზრი გახდება-მეთქი. ერთი სული მაქვს, თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა გამიჩნდეს, გავემგზავრო იქ, სადაც შევხვდით ერთმანეთს. ნეტავ ჩქარა გამიჩნდეს! მივაბიჯებ და ამაზე ვფიქრობ. ალბათ სხვებსაც ჰქონიათ ასეთი დღეები, როცა გარკვეული ხნის სიყვარული ცხოვრების მთავარ აზრად მიაჩნდათ და ბედნიერნი იყვნენ, მე კი მათგან განსხვავებით სიყვარული სიკვდილამდე არ გამინელდება და ჩემი ცხოვრების აზრი მხოლოდ ის იქნება...

აგერ, უკვე ფოთლებიც ცვივა ბულვარზე, ხოლო ის, რაზეც ვწერდი, აკი ზაფხულის დამდეგს მოხდა. რედაქცია იმ დღეებში მხარს უჭერდა ჩემს იდეას, მაჩქარებდა. აბა, რა ვიცოდი, რომ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, კუდს ამოიძუებდა. არ მიფიქრია, თუ ესოდენ მოურეველი იქნებოდა უცნაური პრინციპი — მასობრივ პრესაში ვბეჭდოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენთვის უპრიანია, პრესტიჟულია.

იმ დღეებში კი უცნობ და ჩემთვის, პროვინციელი რუსისთვის, მიმზიდველ სამხრეთ მხარეებში მომავალი ხანგრძლივი მგზავრობის

მეტი არაფერი მახსოვდა. ვაპირებდი, წავსულიყავი, როგორც ანაშას ერთ-ერთი მადევარი და არა გარეშე მეთვალყურე, შევერთებოდი ანაშისტების საიდუმლო კომპანიას. რა თქმა უნდა, ასაკით მათზე უფროსი ვიყავი, მაგრამ შესახედავად არც ისე დიდი, რომ ამის გამო ისინი დამეეჭვებინა. რედაქციის აზრით ჯინსსა და გაცვეთილ სპორტულ ფეხსაცმელს სავსებით შეიძლებოდა უბრალო ბიჭად ვექციე, თანაც წვერსაც თუ მოვიპარსავდი. მოვიპარსე კიდევაც. არავითარი უბის წიგნაკები არ მიმქონდა, მეხსიერება მეიმედებოდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმ წრეში შემეღწია, გამომერკვია, რატომ მაინცდამაინც ეს ბიჭები აღმოჩნდნენ იქ, რა უბიძგებდათ გამორჩენისა და სპეკულაციის გარდა. აუცილებლად შიგნიდან უნდა შემესწავლა ამ მოვლენის პიროვნული, სოციალური, ოჯახური გარემოებანი, არც ფსიქოლოგიური გარემოებანი უნდა დამევიწყებინა.

სწორედ საამისოდ მოვემზადე. ეს მოხდა მაისში. ზუსტად მაისში იწყებს ყვავილობას კანაფი — ანაშა, ზუსტად მაისის დღეებში იწყებენ მისი ყვავილის შეგროვებას ისინი, ვინც საგანგებოდ მიემგზავრება ამ ბანგისთვის მუინყუმისა და ჩუსპირა ტრამალებში. ყოველივე ეს ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ჩვენი პატარა ქალაქის ერთ-ერთი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ვიქტორ ნიკიფოროვიჩ გორდეეკიმ მიამბო. როცა მარტონი ვრჩებოდით და ათასგვარ რამეზე ვსაუბრობდით, ხუმრობით მამა აბდიას მეძახდა. იგი შედარებით ახალგაზრდა იყო, ჩემი დის ვარვარას მეგობარი გახლდათ. ხოლო მისი ღვიძლი დისშვილი პაშა, პახომი, რომელსაც თურმე თვითონ დაარქვა ეს სახელი, აი, ეს პაშა, როგორც შემდგომ გამოირკვა, ანაშისტების წრეში მოხვდა. არც მშობლებმა, არც ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა ამის შესახებ ადრე არაფერი იცოდნენ.

ერთხელ პაშა თურმე მშობლებს დაეთხოვა და რიაზანში წავიდა ბაბუასთან, რომელთანაც ხშირად დადიოდა. მისი გამგზავრებიდან ხუთი დღის შემდეგ ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა ყაზახეთის რომელიღაც შორეული სადგურიდან სატრანსპორტო პროკურატურის გამომძიებლის ჯასლიბეკოვის დეპეშა მიიღო. დეპეშა ამცნობდა, პაშა დაპატიმრებულია რკინიგზით ნარკოტიკების დანაშაულებრივი გადატანის გამოო.

ვიქტორ ნიკიფოროვიჩი მაშინვე მიხვდა, გამომძიებელმა ჯასლიბეკოვმა რატომ მაინცდამაინც სწორედ მას გამოუგზავნა დეპეშა და არა მშობლებს. პაშას ეშინოდა მამისა, უხეში და სასტიკი კაცისა. ვიქტორ ნიკიფოროვიჩი უმალ გაფრინდა ალმა-ათაში, ხოლო იქიდან ორი დღის შემდეგ მატარებლით ჩააღწია ტრამალის სადგურში. პაშა სასოწარკვეთილი დახვდა. ბიჭს სასწრაფო გასამართლება და განსაკუთრებული ბრძანებულებით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სა-

ძი წლით პატიმრობის განაჩენი ემუქრებოდა. გასამართლება კი არ ასცდებოდა — სამხილი ხელთ ჰქონდათ. ვიქტორ ნიკიფოროვიჩი შესაძლებლობისამებრ ცდილობდა, დისშვილისთვის გაეგებინებინა, რომ სხვა გზა სამწუხაროდ არ იყო და კანონის ძალით დაისჯებოდა. ურჩევდა, როგორ დაეჭირა თავი, რა ელაპარაკა სასამართლოზე, აღუთქვა, ყველაფერს ავუხსნი შენს მშობლებს და კოლონიაშიც გინახულებო. ეს ყველაფერი ჯასლიბეკოვის თანდასწრებით ხდებოდა. უცებ ჯასლიბეკოვმა თქვა:

— ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, თუ თავს იდებთ, რომ თქვენი დისშვილი ამიერიდან მსგავს დანაშაულს აღარ ჩაიდენს, ჩემი პასუხისმგებლობით გავანთავისუფლებ. რატომღაც მომეჩვენა, რომ შეძლებთ, ეს ყმაწვილი ჭეშმარიტების გზაზე მოაქციოთ. თუ კიდევ დაიჭირეს ანაშის წაღებისათვის, როგორც რეციდივისტს, ისე გაასამართლებენ. ჰოდა, თვითონ გადაწყვიტეთ ეგ საქმე.

რა თქმა უნდა, ვიქტორ ნიკიფოროვიჩს ისე გაუხარდა, უმალ დაუდგა თავდებად პაშას, აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა გამომძიებლისათვის. ხოლო ჯასლიბეკოვმა უთხრა:

— თქვენ კი, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, გთხოვთ იქ, თქვენთან ადგილზე დაგვეხმაროთ. სცადეთ და პრესაში სერიოზული საუბარი წამოიწყეთ ამ თემაზე. თქვენ ხომ მასწავლებელი ხართ. ჩვენ ვებრძვით თვით დანაშაულობებს, როცა ისინი მომხდარია ან ხდება. ხოლო ვინ და რა მიერეკება ამისთანებს, შეიძლება ითქვას, ბიჭბუჭებს შორს, უკაცურ ადგილებში, არათუ დეკლასირებულ ელემენტთა, ზოგჯერ გამოუსწორებელ რეციდივისტთა წრეში, არ ვიცით. ჩვენ კი ამ მოზარდებს ვსჯით, იძულებულნი ვართ, ვალდებულნი ვართ, დავსაჯოთ. ძალიან კარგი ჰქენით, რომ უმალ გამოგვეხმაურეთ, დაუყოვნებლივ ჩამოხვედით, რითაც დიდად დაგვეხმარეთ, სამაგიეროდ ბევრი ნათესავი — მერედა რაოდენ ბევრი — საერთოდ არ ჩამოდის და თხუთმეტი წლის კაცი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ხვდება. ხოლო იქ რა ხდება? რა გზას დაადგებიან, რას ისწავლიან? უვარგისნი, დამახინჯებულნი გამოვლენ იქიდან. თვითონ მოგეხსენებათ, ციხე დალხინების გამო არ არსებობს. ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, გული მტკივა ჯელაფერ ამას რომ ვუყურებ. დამიჯერებთ? მხოლოდ შარშანდელ სეზონში რკინიგზის ჩვენეულ მონაკვეთზე ას მოზარდზე მეტი დავსაჯეთ, ახლა რამდენი ვერ შევამჩნიეთ, რამდენი ვერ დავიჭირეთ. მოდიან და მოდიან ყოველი მხრიდან — არხანგელსკიდან დაწყებული კამჩატკით გათავებული. მოისწრაფვიან როგორც თევზები ქვირითის დასაყრელად. რამდენი შეიძლება დავსაჯოთ? ყველას ხომ ვერ დასჯი. ანაშისტებმა რეწვის მთელი სისტემა შექმნეს. მათ შორის არიან მეგზურები — აქაურებიცა და სხვა მხრისანიც, —

რომლებსაც ისინი იმ ადგილებში მოჰყავთ, სადაც ანაშა ხარობს. ჩვენ მეგზურებსაც ვსჯით. მერედა იცით, ანაშისტები რას უშვრებიან მატარებლებს? ტრამალში აჩერებენ, ოღონდ სამგზავროებს ვერ ეკარებიან, რადგან უმალ ჩაავლებენ ხელს. მათ ვიღაც ამარაგებს სპეციალური შემადგენლობის ფხვნილით. თუ ღამით ამ ფხვნილს შპალებზე, რელსებზე დაყრიან, ფარების სხივებსე იქმნება ილუზია, თითქოს რკინიგზას ცეცხლი უკიდია: შპალები იწვის, რელსები იწვის და მემანქანე, რა თქმა უნდა, მატარებელს აჩერებს — ტრამალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ჩამორბის ლიანდაგზე, მაგრამ არა, არაფერი იწვის, ყოველივე რიგზეა. ანაშისტები კი ამასობაში ვაგონებში ადიან თავიანთი ჩანთებითა და ჩემოდნებითურთ. ახლანდელი მატარებლები გრძელია — ერთ კილომეტრზეა გაჭიმული, აბა ერთი სცადე, თვალყური მიადევნო! ანაშისტები ადიან ვაგონებში და მატარებელს საკვანძო სადგურამდე მიჰყვებიან, სადაც ბილეთებს ყიდულობენ. სადგურში კიდევ უამრავი ხალხი ირევა! წადი და არკვიე, ვინ ვინ არის. თუმცა ბოლო ხანებში მილიციამ საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლები გაიჩინა, რომლებიც სუნით აგნებენ ანაშას. თქვენს დისშვილსაც ძაღლის დახმარებით ჩაავლეს ხელი...

და კიდევ ბევრი რამ გაიგო ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა იმ ადგილებში. სწორედ მან გამიზიარა ეგ ამბები, მაგრამ მე ასეთი საუბრისთვის შინაგანად მანამდეც ვიყავი მზად. დიდი ხანია მაწვალებდა აზრი — მეპოვა ჩემი თანატოლების გონებისა და გულისკენ სავალი გაუკვალავი ბილიკები. იქნებ, ცოტა არ იყოს, თვითდაჯერებულად ვფიქრობდი, ეს ჩემი მოწოდებაამეთქი. ყოველ შემთხვევაში, ამის გაკეთება გულწრფელად მინდოდა, რაც, მგონი, გარკვეულწილად ჩემი წარმოშობით აიხსნება. ზოგიერთ წერილში უკვე ვილაპარაკე, თუმცა ერთობ ზოგადად, რა დამღუპველია ახალგაზრდობისთვის ლოთობა. დაახლოებით ამასვე ვწერდი ნარკომანიაზეც და დასავლეთის სამწუხარო გამოცდილებას ვიმოწმებდი, მაგრამ არსებითად სხვის სიტყვებს, სხვის მოსაზრებებს ვეყრდნობოდი. ხოლო თვალსაჩინო და გულში ჩამწვდომი მასალისათვის, სადაც ჩემი საკუთარი ფიქრები და განცდები იქნებოდა გადმოცემული ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით მოზარდებში ნარკომანიის შემთხვევებთან დაკავშირებით, შემთხვევებისა, რომელთაც სამწუხარო შედეგი მოსდევდა — პიროვნების თვითრღვევიდან დაწყებული, გათავებული სადისტურ მკვლელობებამდე — შემთხვევებისა, რომლებიც ყველასთვის იყო ცნობილი და იმავე დროს ბევრი ცრუმორწმუნეობით არიდებდა თავს, როგორც ჭირს — აი, ასეთი მასალისათვის მაკლდა პრობლემის ღრმა ცოდნა და რეალიები. ზუსტად ამ დროს კი

ვიქტორ ნიკიფოროვიჩ გოროდეცკიმ, ვინც საკუთარ თავზე იწვნია ეს ყოველივე, გადაწყვიტა, ჩემთვის თავისი ფიქრები და სულიერი ტკივილი გაეზიარებინა. ანაშის მადევარი ძველი მეგობარ-ამხანგებისაგან პაშას ჩამოსაშორებლად მისი მთელი ოჯახი — დედა, მამა, ბავშვები — იძულებული გახდა, საცხოვრებელი უფრო ნაკლები ფართობის ბინაზე გადაეცვალა და სხვა ქალაქში გადასულიყო. ყოველივე ამას ვიქტორ ნიკიფოროვიჩი მწუხარებით და გულისტკივილით მომიყვა.

ამ ამბავმა მიბიძგა მტკიცედ მომეკიდა ხელი ჩაფიქრებული საქმისათვის.

* * *

ჩამოვედი მოსკოვში, საიდანაც ყაზანის ვაგზლიდან კანაფის ტრამალებში უნდა გავმგზავრებულიყავი. საქმე ისაა, რომ ზუსტად აქ, ყაზანის ვაგზალში იქმნებოდა მადევართა ჯგუფი — ასე უწოდებდნენ ანაშისტები თავს. მადევრები, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ჩრდილოეთისა და ბალტიისპირეთის სულ სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ. ყველაზე უფრო მოფუთფუთე წერტილები კი არხანგელსკი და კლაიპედა იყო. ალბათ იმიტომ, რომ ანაშა იქ შეიძლებოდა შორეულ ნაოსნობაში მიმავალი მეზღვაურებისათვის მიეყიდათ. მადევრების კვალის მისაგნებად ყაზანის ვაგზალში უნდა მომეძებნა მეგობარგული მეტსახელად უთო, რომლის სამკერდე ნიშანზე ნომერი ოთხმოცდაშვიდი იქნებოდა აღნიშნული და პაშას მიერ ნახსენები ერთ-ერთი მეგობრისაგან მოკითხვა გადამეცა. უთოს საბილეთო სალაროებში ნაცნობი ჰყავდა და მადევრების გამგზავრებას უდავოდ გარკვეული სასყიდლის საფასურად უზრუნველყოფდა, მაგრამ კერძოდ ვინ წარმართავდა საქმეს ვერ გავიგე. ეტყობა, რგოლს ვიღაცა მეთაურობდა საიდუმლოდ. აი, ეს უთო აგვარებდა მადევრების ჯგუფის ორგანიზებულ გამგზავრებას, ესე იგი, ყველასათვის ერთ მატარებელზე უნდა ეშოვა ბილეთი, მაგრამ სასურველი იყო სხვადასხვა ვაგონში. როცა უფრო დავუახლოვდი მადევრებს, გავიგე, რომ ანაშას ყველა მომპოვებელს პირველ მცნებად ჰქონდა — ჩავარდნის შემთხვევაში არამც და არამც არ გაეცათ ერთმანეთი; ამიტომაც ხალხში ნაკლებად უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა.

აგერ სამი ვაგზლის ნაცნობი მოედანი, სადაც რამდენჯერ ვყოფილვარ ჩამოსვლისას თუ მოსკოვიდან წასვლისას. საზარელი ჯგლეთა იყო ხოლმე, განსაკუთრებით მეტროში და ვაგზლებზე. ვერ გაძვრებოდი, ვერ გააღწევდი ხალხის დუნდგოში, ვის და საიდან არ

შეატრიალებდა ნაფოტივით სამი ვაგზლის ცოცხალი მორევი. მიუხედავად ამისა, მიყვარდა მოსკოვში ჩასვლა, როცა უკვე ცენტრის ახლოს შედარებით ფართო სივრცეზე გავაღწევდი, ქუჩებში ხეტიალი, ბუკინისტურ მაღაზიებში ყიალი, აფიშებთან და რეკლამებთან დგომა და, თუ მოვახერხებდი, ხელახლა შევლა ტრეტიაკოვის გალერეაში ან პუშკინის მუზეუმში.

ამჯერად იაროსლავის ვაგზალზე ელექტრომატარებლიდან ჩამოვედი და ხალხის ნაკადს ყაზანის ვაგზლისაკენ მივყევი. უცებ შევამჩნიე, რომ ვფიქრობდი — რა კარგად ვცხოვრობდი და რა კარგად ვგრძნობდი თავს წინათ, როცა ჩემთვის ვიყავი, მცირე გულისწადილი მქონდა, არაფერი მაწუხებდა, არავითარი საზრუნავი არ მიზღუდავდა განსაკუთრებით დროს და ხელს არ მიშლიდა მოსკოვის ქუჩებში მეხეტიალა-მეთქი. ახლა კი ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ვეება ყაზანის ვაგზალში სასწრაფოდ უნდა მომეძებნა ის მეკავშირე მებარგული, მეტსახელად უთო, სამკერდე ნიშანზე ნომერი ოთხმოცდაშვიდი რომ ეწერა. ღმერთო, რამდენია ეს მებარგული, უფრო სწორად მეურიკე ყაზანის ვაგზალში. თუ უთო ოთხმოცდამეშვიდე იყო, მებარგულნი საერთოდ ალბათ ასზე ნაკლებნი არ იქნებოდნენ. მართლაც, ამ ორომტრიალში უთოს პოვნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ნახევარი საათი მაინც დამეკარგა იმაზე, რომ მეურიკეთა ყველა შესაძლო გაჩერების ადგილი შემომევლო. ბოლოს უთო ტაშკენტში მიმავალ მატარებელთან ვნახე ბაქანზე: ვიღაცის ბარგს ალაგებდა — ჩემოდნები და კოლოფები სასწრაფოდ გადაჰქონდა ურიკიდან ვაგონში, გზადაგზა ცოცხლად ეხუმრებოდა გამცილებლებს და იმეორებდა ვაგზალში გავრცელებულ ერთ მოსწრებულ გამონათქვამს: „თუ ფული გაქვს, კაცი გქვია". შორიახლო დავიცადე, ვიდრე განთავისუფლდებოდა, მგზავრები ვაგონებში შეილალებოდნენ, ხოლო გამცილებლები მატარებლის გასწვრივ კუპეების ფანჯრებთან შეჯგუფდებოდნენ. ბოლოს უთოც გამოვიდა ტამბურიდან, ქოშინებდა, ფეხის ქირას ჯიბეში იჩრიდა. მოწითალო ბრგე ჭაბუკი, თვალებმოუსვენარ ეშმაკ ხვად კატას ჰგავდა, კინაღამ წინდაუხედაობა გამოვიჩინე — ლამის თქვენობით მივმართე, ლამის ბოდიში მოვუხადე, შეგაწუხეთ-მეთქი.

— გამარჯობა, უთო, როგორაა საქმეები? — ვუთხარი, რაც შემეძლო მოურიდებლად.

— საქმე ისეა, როგორც პოლონეთში, ვისაც ფორანი აქვს, პანიც ისაა, — მიპასუხა ცოცხლად, თითქოს ასი წლის ნაცნობები ვიყავით.

— მაშ, პანიც ყოფილხარ! — ვუთხარი და ურიკაზე ვანიშნე.

— აბა, რა გეგონა! ჩვენ, ძმაო, ვიცით, ვისა აქვს ფული თავსაყრელად. შენ კი რაო, ჩავიჩა? რაიმეს გადატანა ხომ არ გინდა? აქა ვარ!

— გადატანა თვითონაც შემიძლია, — ვიხუმრე მე. — საქმე მაქვს შენთან.

— აბა, თქვი, რა საქმე გაქვს.

— აქ არა, იქით გავიდეთ.

— აგრე იყოს, ჩ ა ვ ი ჩ ა, გავიდეთ.

გრძელ ბაქანს გავუყევით ვაგზლის შენობისაკენ. ტაშკენტის მატარებელი დაიძრა, ფანჯრების მწკრივით, მინების იქით მდგომ ადამიანთა სახეების მწკრივით ჩაიარა, ხოლო მეზობელ ლიანდაგზე საიდანღაც გამოსული სხვა მატარებელი ჩამოდგა. მატარებლები რამდენიმე რიგად იდგნენ, ხალხი ფუსფუსებდა, ჩქარობდა, რადიო წამდაუწუმ აცხადებდა მიმავალი და მომავალი მატარებლების ნომრებს.

როცა ვაგზლის შენობას მივუახლოვდით, უთომ ურიკა კუთხეში გადაიყვანა, სადაც ხალხი არ იყო. მივიხედ-მოვიხედე და ვუთხარი, ლომ-ვეშაპმა მოგიკითხა-მეთქი. ლომ-ვეშაპი პაშას მეგობარი ეგორი იყო. მადევრები რატომ ეძახდნენ ასე, არ ვიცი.

— თვითონ ლომ-ვეშაპი სადაა? — იკითხა უთომ.

— იბრიდება, — მივუგე მე. — კუჭის წყლულმა გააწამა.

— აშკარად ვატყობდი, — სინანულით, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებით მიირტყა შუბლზე ხელი უთომ. — ვეუბნებოდი, ჩ ა ვ ი ჩ ა, წინათაც ვეუბნებოდი, ნუ სულელობ, თავს ნუ იღუპავ-მეთქი. ის ხომ ექსტრას ხმარობდა, ჰოდა, მეტისმეტი მოუვიდა და წყლულიც დაირტყა.

სახეზე თანაგრძნობა გამომეხატა, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, არ ვიცოდი, რა ექსტრა იყო ეს — არაყი თუ სხვა რამ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მივხვდი, არ დამეზუსტებინა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ექსტრაში იგულისხმებოდა სათამაშო პლასტილინის მაგვარი პლასტილინისაგან — კანაფის ყვავილის მტვრის მასისაგან გამოყოფილი უაღრესად ძვირფასი ნედლეული (სიტყვამ მოიტანა და პლასტილინის ამბავი ვიცოდი, ვიქტორ ნიკიფოროვიჩმა მიამბო), ოპიუმის მსგავსი განსაკუთრებული საბოლოო ნარკოტიკული ნივთიერება. ექსტრა ქიმიურ ლაბორატორიაში შეიძლება საინექციო ფხვნილად ჰეროინუმად გარდაიქმნას. ჰეროინუმი ლომვეშაპისთანებისა და სხვა მადევრებისთვის ხელმიუწვდომელი იყო, მაგრამ თუ დიდი სურვილი გაუჩნდებოდათ, შეეძლოთ ექსტრა ეხმარათ — ენის ქვეშ ამოედოთ, დაეღეჭათ, არაყი დაეყოლებინათ, პურთან ერთად ჩაეყლაპათ. ექსტრას ხმარებას ისინი ტვინში ლეწვას ეძახდნენ. მაგრამ მაინც ყველაზე ხელმისაწვდომი და უბრალო საშუალება იყო ანაშის მოწევა — ვის როგორ ერჩია — სუფთა სახით, თუ თუთუნში შერეული. ეს ალბათ ტვინში ლეწვაზე ნაკლები არაა,

თუმცა კვამლის მოქმედება სწრაფად ნელდება, ვიდრე სხვა საშუალებებისა.

ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი სხვა რამ „ხალხინ-გოლისკენ" მგზავრობისას გავიგე. „ხალხინ-გოლს" ეძახდნენ ადგილებს, სადაც ანაშა ხარობდა. ამ „ხალხინ-გოლის" გამო კინაღამ ისევ ხათაბალაში გავეხვიე.

— ჩ ა ვ ი ჩ ა, შენც „ხალხინ-გოლისკენ" მიდიხარ? — თითქოსდა სასხვათაშორისოდ მკითხა უთომ.

პირველად ენა დამება, ვერ გავიგე, რა იყო „ხალხინ-გოლი", შემდეგ კი მოვისაზრე:

— თითქოს. საერთოდ კი მივდივარ, აბა, სხვა რა საქმე მაქვს.

— მაშინ, აი, რა. ბილეთები ნუ გეფიქრება, ჩ ა ვ ი ჩ ა. ყველაფერი იქნება. რაც შეეხება დანარჩენს, ამას უკვე, როცა ბალახს ჩამოიტანთ, თვითონ დოგი გაარკვევს. ეგ ჩემი საქმე არაა.

ვინ იყო დოგი, ვინც ბილეთებით გვამარაგებდა, რა უნდა გაერკვია შემდეგ, არ ვიცოდი და ვერც გავიგე, ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდა. სამგზავროდ, უთოსთან ლაპარაკისას შევიტყვე, რომ „ხალხინ-გოლში" დღესვე ვერ წავიდოდით, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ყველა მადევარი არ იყო ჩამოსული. მურმანსკელი ორი მადევარი ღამის მატარებელს უნდა ჩამოჰყოლოდა. კიდევ ერთი, არ ვიცი, საიდან მოდიოდა, მხოლოდ დილით ჩამოვიდოდა. ეს სულაც არ მაწუხებდა, რადგან მოსკოვში ზედმეტი დღით დარჩენაც რაღაცას ნიშნავდა.

ხვალ დათქმულ დროს ყაზანის ვაგზალში უნდა მოვსულიყავი, თუმცა მოსვლა რად მინდოდა, სულ ერთია, ღამის გათევა აქ მომიწევდა. გამომშვიდობებისას უთო დაინტერესდა, ზურგჩანთა და პოლიეთილენის პაკეტები თუ მქონდა ბალახის, ანუ ანაშის ჩასადებად. ზურგჩანთა და პაკეტები ჩემოდანში მაქვს-მეთქი, ვუთხარი. მაშინ უთომ მირჩია, მაღაზიებში მინის ან პლასტმასის ჰერმეტული კოლოფი მეშოვა, რათა მასში ყვავილის მტვრის მასა, ეგრეთ წოდებული პლასტილინი მომეგროვებინა.

— თუ მარჯვედ მოიქცევი, ცოტა პლასტილინს მოაგროვებ, თუმცა პლასტილინის მოგროვება უბრალო რამ არ გეგონოს, — ამიხსნა მან. — თვითონ იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი რამ მსმენია. აქ არის ერთი ლიოხა, ორ სეზონში „ჟიგული" გაირტყა. დასეირნობს ახლა მოსკოვში, მანქანიდან აწიტებს... სამუშაო კი სულ ათი დღისა თუ იქნება...

დავშორდით ერთმანეთს. ჩემოდანი შემნახველ საკანში შევაგდე და მოსკოვში გასასვლელად წავედი.

მაისი ილეოდა. მე მგონი, მოსკოვისთვის ზაფხულის დამდეგამდე

დარჩენილ დღეებზე უკეთესი დრო არ არსებობს, თუმცა უზომოდ ლამაზია შემოდგომაც, ადრეული შემოდგომაც, როცა გამვლელთა თვალებშიც კი ისარკება ჰაერის გამჭვირვალობა, ფოთლების ოქროსფერი. მაგრამ მე უფრო სწორედ მოსკოვური ზაფხულისპირი მომწონს — დღისითაც საამოა ქუჩებში ყოფნა და თეთრი ღამეების დროსაც, როცა დილამდე მეფობს რიბირაბოს სხივნათელი ქალაქშიც და ქალაქს გადმოხურულ ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალზეც.

ვაგზლიდან სუფთა ჰაერზე გამოსვლას დავეშურე, მაგრამ გამახსენდა, რომ ცენტრში მეტროთი უფრო უკეთ მივაღწევდი. ამიტომ ისევ ზღვა ხალხის მდინარებაში ჩავერთე. საღამოს პიკის საათამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და სიბნელისა და სინათლის მოგუგუნე შენაცვლება-შენაცვლებაში თავისუფლად მივატანე ცენტრს. სვერდლოვის მოედანზე ჩემს საყვარელ სკვერში შევიხედე. მრგვალი სკვერი ამწვანებული და აჭრელებული იყო, როგორც მადლიანი კუნძული ირგვლივ გამეფებულ უწყვეტ მოძრაობასა და გარს შემომდგარ შენობებს შორის. თითქმის შეუცნობლად მივიწევდი გამვლელთა ნაკადში ჯერ მანეეისკენ — ვფიქრობდი, იქ შეიძლება რაიმე გამოფენა იყოსმეთქი, მაგრამ მანეეი დაკეტილი დამხვდა. შემდეგ ძველ უნივერსიტეტს, პაშკოვის სახლს ჩავუარე, ვოლხონკისკენ გავემართე და იქიდან პუშკინის მუზეუმისკენ გავსწიე. არ ვიცი, რატომ — სულში საოცარი სიმშვიდე და სიკეთე მედგა. შეიძლება იმიტომ, რომ ცენტრში პიკის საათის წინ ასეთ სიმშვიდეს მოსკოვის ქუჩები ბადებს, ან შეიძლება აგურისფერი სილუეტი კრემლისა, რომელიც ქალაქის ამ ნაწილს მყარი მთაგრეხილივით დაუფლებია. „რა იხილეს ამ კედლებმა და კიდევ რას იხილავენ?“ — ვფიქრობდი და ქუჩაში თავისთავად შობილ ამ ფიქრებში დამავიწყდა, რომ ახლახან წვერი მოვიპარსე, ამის გამო კი წამდაუწუმ ვეხებოდი შიშველ ნიკაპს, რამდენიმე ხნით დამავიწყდა ისიც, რომ ვცდილობდი ყაზანის ვაგზალში ჩაბუდებული ბოროტების მღვრიე გულში შემეღწია.

არა, ბედი მაინც არის, იგი განსაზღვრავს კეთილ და ცუდ მოვლენებს. და ბედის გაღიმებაც იმას ჰქვია, რაც მე შემემთხვა და რაზეც პუშკინის მუზეუმისკენ მიმავალს სულაც არ მიფიქრია. მე ხომ იმ იმედით მივდიოდი, ექსპოზიციაში შეიძლება რაიმე სიახლე იყოსმეთქი, თუმცა არც ეს იყო აუცილებელი. მოვივლიდი დარბაზებს და ძველ შთაბეჭდილებებს განვიახლებდი. მაგრამ ზედ შესასვლელთან, პატარა ბაღის წინ ჩემკენ მომავალმა წყვილმა გამაჩერა.

— ბიჭო, ბილეთი არ გინდა? — მკითხა ვიღაც ტიპმა, რომელსაც ხასხასა მწვანე ფერის ყელსახვევი ეკეთა და ახალი წითელი ფეხსაცმელი ეცვა. ფეხსაცმელი აშკარად უჭერდა. ბიჭს და მის თანამ-

გზავრ გოგოს სახეზე მოუთმენლობა და ნაღველი ეხატათ.

— როგორ, ბილეთები არ არის? — დავინტერესდი, რადგან რიგი არსად ჩანდა.

— ო, არა, ეს კონცერტის ბილეთებია, ოღონდ ორივე აიღე.

— რომელი კონცერტისა? — ვკითხე მე.

— აბა, რა ვიცი, რომელიღაც საეკლესიო გუნდია.

— მუზეუმში? — გამიკვირდა მე.

— იღებ თუ არა? ორ ბილეთს სამ მანეთად გაძლევ, აიღე.

ორივე ბილეთი ავიღე და მუზეუმისკენ გავეშურე, არ მსმენია, პუშკინის მუზეუმში კონცერტი გაემართოთ. მაგრამ როგორც ადმინისტრატორთან გავარკვიე, ეს რამდენიმე ხანია მუზეუმში მუშაობდა კლასიკური მუსიკის, უმთავრესად რჩეული კამერული მუსიკის ლექტორიუმის მაგვარი რაღაც და ცნობილი მუსიკოსები უკრავდნენ, ამჯერად კი — ეს უკვე საოცრება იყო! — დარბაზში, რომელსაც იტალიური ეზო ერქვა, ძველი ბულგარული საეკლესიო საგალობლების კონცერტი იმართებოდა. აი, რა არ მომელანდებოდა სიზმრად! ნუთუ სლავური ლიტურგიის მამის იოანე კუკუზელის საგალობლები შესრულდებოდა! სამწუხაროდ, ადმინისტრატორმა ქალმა დაწვრილებით არაფერი იცოდა. მხოლოდ ეს მითხრა, წარჩინებულ სტუმრებს ელოდებიან, მგონი, თვით ბულგარეთის ელჩი მოვაო. რა ჩემი საქმე იყო, ვინ მოვიდოდა, მაგრამ ავღელდი და გამიხარდა, რადგან მამაჩემისგან ბევრი რამ მსმენოდა ბულგარული საგალობლების შესახებ. ჩემი სახიფათო მგზავრობის წინ კი უკეთეს საჩუქარს რას მივიღებდი. კონცერტი ნახევარ საათში დაიწყებოდა. მე მუზეუმში ხეტიალი არ დამიწყია, გარეთ გამოვედი, რათა სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა და დავმშვიდებულიყავი.

აჰ, მოსკოვი, მოსკოვი, მდინარე მოსკოვისპირა ამ შვიდ ბორცვთაგან ერთერთზე წამომართული მოსკოვი მაისის დღის მიწურულს! ყველაფერი საამოა და აზრიანი ქალაქში, როცა სულში ჩრდილის ნასახი არაა და ცხოვრების ხანმოკლე ჰარმონია მეფობს. თავისუფლად, ღრმად ვსუნთქავდი, ცაზე ნათელი იდგა, მიწაზე — სითბო, მე მუზეუმის წინ ბაღის თუჯის ღობის გასწვრივ ბოლთას ვცემდი.

დამენანა, რატომ არავის ველი-მეთქი. შეიძლება იმის გამო, რომ ორი ბილეთი მქონდა. და რა გასაგები და ბუნებრივი იქნებოდა, ვინმე ასული წუთი წუთზე ყოფილიყო მოსასვლელი, მე კი დამენახა ქუჩის გაღმა, დამენახა, როგორ ემზადებოდა გზის გადმოსაჭრელად, როგორ ეშინოდა, არ დაგვიანებოდა, ხოლო მე, აღელვებულს მის გამო, ასე მშვენიერი, სიფრთხილეს მოკლებული ჩერჩეტი გოგოს გამო, გამწარებით მენიშნებინა, არავითარ შემთხვევაში ქუჩა არ გად-

მოერბინა; აგერ რამდენი მანქანა დაქროდა, რამდენი ხალხი იყო ყველგან, და მხოლოდ მას მოჰქონდა ბედნიერება, ჩემთვის განკუთვნილი ბედნიერება; ასული გამიღიმებდა — ჩემი სახის გამომეტყველებაზე ხომ ნაფიქრს მიმიხვდებოდა. და მაშინ დავასწრებდი, მე თვითონ გავიქცეოდი მის შესახვედრად, ქუჩის გადაღმა, ჩემი თავი არ მაწუხებდა, მარჯვე ბიჭი ვარ, გადავირბენდი ქუჩას, თვალებში ჩავხედავდი და ხელზე ხელს მოვკიდებდი. ასეთი სცენა ყოველად უმიზეზოდ წარმოვიდგინე, მაგრამ უცებ მართლა შემომაწვა სიყვარულის ნაღველი და მერამდენედ გავიფიქრე, აქამდე არ შემხვედრია ის, ვინც ბედმა წინასწარ განმისაზღვრა ჩემი სატრფო ყოფილიყო-მეთქი. მაგრამ არსებობს კი იგი, ასეთი წინასწარ განსაზღვრული ასული, მე ხომ არ მოვიგონე და უბრალო ამბავს ხომ არ ვართულებ? ამაზე ბევრს ვფიქრობდი და ყოველთვის მწუხარედ ვასკვნიდი: მგონი, თვითონ ვარ ყველაფერში დამნაშავე — ან მეტისმეტად ბევრს ველოდები, ანდა ჩემისთანა კაცი ქალიშვილებს არ აინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში ჩემი თანატოლები ამ აზრით გაცილებით იღბლიანები და ფხიანები აღმოჩნდნენ. თავის გასამართლებლად შეიძლება ის გამოდგეს, რომ სასულიერო სემინარია ხელს მიშლიდა ახალგაზრდულ ცხოვრებაში ჩავრთულიყავი, მაგრამ სემინარიიდან წამოსვლის შემდეგაც ვერაფერი მოვინაგრე ამ სარბიელზე. რატომ? აი, ახლა მართლა რომ გამოჩნდებოდეს იგი, ვისაც უმალ შევიყვარებდი, უპირველეს ყოვლისა, ამას ვეტყოდი: წავიდეთ, მოვუსმინოთ სატაძრო საგალობლებს და ვპოვებთ ჩვენს თავს. მაგრამ შემდეგ ეჭვები დამესია: საგალობლები რომ მოსაწყენად და ერთფეროვნად, არცთუ გასაგებად ეჩვენოს, რაც მთავარია, ერთია სარიტუალო გალობა ტაძარში, და მეორე — საერო შენობაში, ჭრელ ხალხში. ისე ხომ არ გამოვა, ვთქვათ და, ბახის ქორალებს ფიზკულტურის სტადიონზე ასრულებდნენ ანდა კიდევ ხალისიან მარშებს შეჩვეული საავიაციო მედესანტეების ყაზარმაში?

პუშკინის მუზეუმთან სარკესავით გაკრიალებული მანქანები ჩერდებოდა, უცხოეთის ტურისტების ავტობუსიიც კი ჩამოდგა. მაშასადამე, კონცერტის დაწყების დრო იყო. იტალიური ეზოს შესასვლელთან ხალხი შეჯგუფულიყო. ყველანი, კაცებიცა და ქალებიც ერთმანეთს ჰგავდნენ რაღაცით. ასეა, როცა ადამიანები ერთად ელიან რაიმე ქმედებას, ამბავს. ვიღაც კითხულობდა, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო. მე ერთი ბილეთი სტუდენტს მივეცი. იგი ალბათ ახლოშხედველი იყო ან სხვა სათვალე ეკეთა. მივეცი და თვითონ შევწუხდი. სტუდენტმა ხალხში ხურდის გადათვლა დაიწყო, თან ხელიდან უცვივდებოდა. ვთხოვე, თავი დაენებებინა ფფულის თვლისთვის, ვუთხარი, ბილეთები ნაჩუქარია და ამიტომ შენ გაძლევ ასევე საჩუქ-

რად-მეთქი, მაგრამ სტუდენტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა და, როცა უკვე დარბაზში შევდიოდი, ის ხურდა ქურთუკის ჯიბეში ჩამიყარა. ფული, რასაკვირველია, მჭირდებოდა. როგორც იტყვიან, საკუთარ, მაგრამ ხმელა პურზე ვიყავი და მაინც... შემაცბუნა იმანაც, რომ დედაქალაქის საზოგადოება შესაფერისად იყო გამოწყობილი, მე კი ძველი გაცვეთილი ჯინსი, გადაღეღილი ქურთუკი და ვეება ფეხსაცმელი მეცვა; წვერიც გაპარსული მქონდა, რასაც ძლივს შევეჩვიე, თითქოს რაღაც მაკლდა — მე ხომ შორეულ გზას უნდა გავდგომოდი რომელიღაც უცნობი კანაფიანი ტრამალისკენ და, ვინ იცის, ანაშას რანაირ მომპოვებლებთან ერთად. მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანები გახლდათ.

მაღალ ორსართულიან იტალიურ ეზოში, როგორც მომეჩვენა, ექსპონატები თავ-თავიანთ ადგილებზე იყო, მხოლოდ დარბაზის შუაგულში დაედგათ მჭიდრო რიგებად სკამები, რომლებზეც ჩვენ დავსხედით კიდევაც. აქ არც სცენა ჩანდა, არც მიკროფონები და არც ფარდები. იქ, სადაც პრეზიდიუმი უნდა ყოფილიყო, ნაპირზე პატარა კათედრა იდგა. ორი წუთის შემდეგ ყველა ადგილი შეივსო, ვიღაცები შესასვლელთანაც კი იჭუჭკებოდნენ. დამსწრეთა შორის, ეტყობა, ბევრი ერთმანეთს იცნობდა, ყველა ცხოვლად ესაუბრებოდა ერთმანეთს, მხოლოდ მე ერთი ვდუმდი, ჩემთვის ვიყავი.

მაგრამ აი, საიდანღაც, გვერდითა კარიდან ორი ქალი გამოვიდა. ერთმა მათგანმა, პუშკინის მუზეუმის თანამშრომელმა მსმენელებს გააცნო მეორე ქალი — როგორც თვითონ თქვა, ბულგარელი კოლეგა, სოფიის ალექსანდრე ნეველის ტაძართან არსებული მუზეუმის მუშაკი. დარბაზში ხმაური მიწყდა. ბულგარელი ახალგაზრდა ქალი იყო, თმა სადად დაევარცხნა, კარგი ფეხსაცმელი ეცვა, ლამაზი ფეხები ჰქონდა, რაც რატომღაც თვალში მეცა. მან მკაცრად გადმოიხედა დიდი მუქი სათვალის ზემოდან, მოგვესალმა და რიგიანი რუსულით პატარა მოხსენება წაგვიკითხა. გვიამბო, საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ძველი ხელნაწერების, ხატწერისა და ნაბეჭდი წიგნის ფასდაუდებელ ექსპონატებთან ერთად ჩვენს მუზეუმში, კრიპტაში — ტაძრის ნახევრად სარდაფულ დარბაზებში, საღამოს კონცერტებზე — ეს ღიმილით გვაუწყა, — ხალხს ვაცნობთ ხოლმე შუა საუკუნეების საეკლესიო საგალობლების ნიმუშებსაც, რომელთაც მომღერლები ასრულებენ. ამ მიზნით პუშკინის მუზეუმის მოწვევით ჩამოვედით სწორედ კაპელა „კრიპტასთან" ერთადო.

— ვთხოვოთ! — შესთავაზა ბულგარელმა მსმენელებს, რომლებმაც ტაში დაუკრეს.

შემოვიდნენ მომღერლები. კაცმა რომ თქვას, ისინი აქვე, იმ კარს უკან აღმოჩნდნენ, საიდანაც ჩვენ შემოვედით. სულ ათი კაცი იყო,

ამასთან ყველა ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას, ჩემი კბილა. ყველას ერთნაირი საკონცერტო კოსტიუმი ემოსა, თეთრი პერანგის გულისპირზე გახამებული ყელსახვევი-პეპელა ეკეთა, ყველას შავი ფეხსაცმელი ეცვა. დარბაზში არც საკრავები იყო, არც მიკროფონები, არც საესტრადო ხმის გამაძლიერებლები, არც ფიცარნაგი სცენისთვის და, რა თქმა უნდა, არც არავითარი შუქის მანიპულატორები. მხოლოდ ოდნავ მოუკლეს სინათლეს.

და თუმცა მჯეროდა, რომ აქ ისეთი მსმენელები მოვიდოდნენ, რომელთაც იცოდნენ, რას წარმოადგენდა კაპელა, რატომღაც მაინც შემეშინდა მომღერლების გამო. რამდენი ხალხი შეიკრიბა ახლა, ჩვენი ახალგაზრდობაც ელექტრონულ ზრიალს იყო შეჩვეული და ესენი ბრძოლის ველზე უიარაღოდ გამოსულ ჯარისკაცებივით ჩანდნენ.

მომღერლები ნახევარწრედ განლაგდნენ, მჭიდროდ მიაყრდნეს მხარი მხარს. სახეზე სიმშვიდე და გულისყური ეხატათ, თითქოს სულაც არ აფიქრებდათ თავიანთი თავი. და კიდევ ერთი უცნაურობა შევამჩნიე მათ — ყველანი რატომღაც თითქოს ერთმანეთს ჰგავდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ახლა საერთო საზრუნავი, საერთო შემართება, საერთო სულიერი აღტყინება დაუფლებოდათ. ასეთ წამებში ხომ ყველაფერი და, შესაძლოა, თითოეულის ყოველდღიური ცხოვრების სხვა დროს ძალიან მნიშვნელოვანი რამეც კი პირწმინდად ითიშება ცნობიერებიდან — ზუსტად ისე, როგორც ბრძოლის დაწყების წინ ყველა მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ გაიმარჯვოს.

ბულგარელმა ქალმა, რომელიც ისევ ისე სერიოზულად იცქირებოდა მუქი სათვალის ზემოდან, კონცერტის დაწყების წინ მოკლე ისტორიული ცნობა მოგვაწოდა, რომ ბულგარული ეკლესია თავისებურია, ბიზანტიური ფესვები ასაზრდოებს, მაგრამ თავისი თავისებურებანი, თავისი ლიტურგია აქვს. ილაპარაკა აგრეთვე რამდენიმე დეტალზე, რომლებიც ბულგარული სიმღერის ეროვნულ ტრადიციებს ეხებოდა, და კონცერტის დაწყება გამოაცხადა.

მომღერლები მზად იყვნენ: მათ კიდევ მცირე ხანს იყუჩეს, სუნთქვას აწესრიგებდნენ, კიდევ უფრო მჭიდროდ მიეყრდნენ ერთმანეთს მხრებით. ჩამოდგა სამარისებური სიჩუმე, დარბაზი თითქოს დაცარიელდა, ისე აინტერესებდა ყველას, რას შესძლებდა ეს ათი კაცი, როგორ შეჰბედეს ამ საქმეს და რის იმედი ჰქონდათ. და აი, მარჯვენა მხარეს ნაპირიდან მესამე მომღერლის — ეტყობა, ჯგუფის თავკაცის — თავის დაქნევაზე გალობა დაიწყეს და ხმები აფრინდნენ.

იმ სიჩუმეში თითქოს ნელა დაიძრა ფერსოებმოელვარე, მანებმოელვარე ღვთაებრივი საჰაერო ეტლი, უხილავ ტალღებზე გაქროლ-

და დარბაზის მიღმა, უკან დატოვა ხმების სიხარულით აღსავსე, მოზეიმე კვალი, რომელიც დიდხანს არ ცხრებოდა და მიწყივ ახლდებოდა სულის დაუშრეტელი სანახებიდან.

თავიდანვე გახდა ნათელი, რომ კაპელამ ისეთ ჟღერადობას, ხმების ისეთ მიმოხვრასა და შეთანხმებულობას მიაღწია, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია მიაღწიოს ათმა სხვადასხვა ადამიანმა, რა ვოკალურ მონაცემებსა და ოსტატობასაც უნდა ფლობდნენ ისინი. ხოლო თუ ეს გალობა ნებისმიერი, განსაკუთრებით თანამედროვე მუსიკალური საკრავების თანხლებით შესრულდებოდა, ათ ბურჯზე დაყრდნობილი ასეთი უნიკალური შენობა უეჭველად დაინგრეოდა. იშვიათ ბედისწერას შეეძლო მოეხდინა სასწაული, რომ სწორედ ისინი, ის ღვთივ გამორჩეული ათი მომღერალი დაახლოებით ერთსა და იმავე დროს დაიბადა, გადარჩა და ერთმანეთი აღმოაჩინა, განიმსჭვალა მოვალეობის შვილური გრძნობით წინაპრების წინაშე, წინაპრებისა, რომლებმაც ოდესღაც ტანჯვით მოიპოვეს იგი, უფალი, მოგონილი, მიუწვდომელი და სულისაგან განუყოფელი, — აკი მარტოოდენ ამ გზით შეიძლებოდა შობილიყო ასეთი გასაოცარი ჭეშმარიტი საგალობელი. ამიტომაც იყო ცხოველმყოფელი მომღერალთა ხელოვნება, ცხოველმყოფელი მხოლოდ ამოფრქვეულ ბგერებსა და გრძნობებში ჩაქსოვილი ვნებით, გატაცებით, ძალმოსილებით, როცა დასწავლილი საღვთო ტექსტები საბაბია, მხოლოდ ფორმალური მიმართვაა უფლისადმი, ხოლო პირველ ადგილზე აქ ადამიანის სულია, საკუთარი სიდიადის მწვერვალებისკენ მსწრაფი.

მსმენელები მოჯადოებულნი, მოხიბლულნი იყვნენ, ფიქრებს მისცემოდნენ. თითოეულ მათგანს შემთხვევა მიეცა ცალკე, მარტოდ მყოფი შენივთებოდა იმას, რაც საუკუნეობით იქმნებოდა გონების ტრაგიკულ ცდომილებათა და გაცისკროვნებათა შედეგად (გონებისა, თავის თავს მარად სხვაგან რომ ეძიებს), თანაც ყველასთან ერთად, კოლექტიურად აღექვა სიტყვა, რომელიც ათმაგად ცხოველმყოფელს ხდის გალობას მასთან უამრავი სულის თანაზიარობის გამო. წარმოსახვა იმავე დროს თითოეულ მათგანს იტაცებდა იმ ბუნდოვან, მაგრამ ყოველთვის უზომოდ სანატრელ სამყაროში, საკუთარი მოგონებებით, ოცნებებით, სევდით, სინდისის ქეჯნით, ადამიანის მიერ ცხოვრების გზაზე ნაწვნევი დანაკლისითა და სიხარულით შექმნილ სამყაროში.

მე ვერ ვხვდებოდი და, სიმართლე რომ ითქვას, მაინცდამაინც არც მსურდა მივმხვდარიყავი, რა მემართებოდა ამ დროს, ჩემი აზრები და გრძნობები რამ მიაჯაჭვა ეგზომ დაუძლეველი ძალით ამ ათ მომღერალს, შესახედავად ჩემისთანა ადამიანებს, მაგრამ მათი ნაგალობევი ჰიმნები თითქოსდა აღმოიფრქვეოდნენ ჩემგან, ჩემი საკუთა-

რი სურვილებიდან, დაუნჯებული ტკივილებიდან, ჩემთა წუხილთა და აღტაცებათაგან, რომელნიც აქამომდე გამოსავალს ვერ პოულობდნენ ჩემი არსებიდან. და მე მათგან განთავისუფლებული, იმავე დროს ახალი შუქით აღვსილი და გონებაგანათებული მომღერალთა ხელოვნების წყალობით ვწვდებოდი საეკლესიო საგალობლების თავდაპირველ არსს — ამ ძახილს ცხოვრებისას. ძახილს მაღლა ხელებაპყრობილი ადამიანისას, რომელიც ლაპარაკობდა მარადიულ წყურვილზე — განემტკიცებინა თავი თვისი, შეემსუბუქებინა ხვედრი თვისი, ეპოვა საყრდენი წერტილი სამყაროს თვალუწვდენელ სივრცეებში, ტრაგიკულად ჰქონოდა იმედი, რომ უფლის გარდა კიდევ არსებობენ რაღაც ზეციური ძალები და ისინი გულისნადების განხორციელებაში დაეხმარებოდნენ. უდიდესი ცდომილებაა! ო, რა დაუოკებლად ისწრაფვის ადამიანი ზეცას მისწვდეს მისი ხმა! და ამის გამო რამდენი ენერგია, რამდენი აზრი ჩააქსოვა რწმუნებას, მონანიებას, სადიდებელს, ამის გამო რაოდენ აიძულებდა თავს, ყოფილიყო თვინიერი, მორჩილი, უდრტვინველი, მიუხედავად თავისი მეამბოხე სისხლისა, მიუხედავად თავისი სტიქიისა, სტიქიისა, რომელსაც მარად სწყურია ამბოხებანი, სიახლენი, უარყოფანი. ო, რა გაჭირვებით და წვალებით ახერხებდა ამას. რიგვედა, ფსალმუნები, შელოცვები, ჰიმნები, შამანობა! და კიდევ რამდენი ლოცვა-ვედრება წარმოითქვა უსასრულო საუკუნეებში; ისინი რომ ნივთიერად საგრძნობნი ყოფილიყვნენ, მთელ დედამიწას წალეკავდნენ ნაპირებიდან გადმოსული მწარე-მლაშე ოკეანეების დარად. რა ვაი-ვაგლახით იშვებოდა ადამიანში ადამიანურობა...

ესენი კი, ეს ათნი, ღვთის მიერ შეკავშირებულნი, გალობდნენ, რომ ჩავყურსულიყავით საკუთარ თავში, ქვეცნობიერების მბრუნავ მორევში, ჩვენში გაგვეცოცხლებინა წარსული, სული და მწუხარება გარდასული თაობებისა, რათა შემდეგ ავმაღლებულიყავით, აღვფრენილიყავით ჩვენივე თავის, ქვეყნიერების მაღლა და საკუთარი ხვედრის სილამაზე და აზრი გვეპოვა — რაკი ერთხელ მოგვენიჭა სიცოცხლე, მისი სასწაულებრივი წესწყობილება შეგვეყვარებინა. ეს ათი ისე თავდავიწყებით, ისე ღვთის საკადრისად გალობდა — ალბათ თვითონაც არ იცოდნენ — სულში აღვიძებდნენ უზენაეს აღტყინებას, რაც ადამიანს იშვიათად ეუფლება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოძულებულ ზრუნვასა და ფაციფუცში. და ამის გამო მსმენელნი შეუცნობლად იღვსებოდნენ სათნოებით, სახეზე მღელვარება ეხატათ, ზოგიერთს თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

რარიგ მიხაროდა, რარიგ ვემადლიერებოდი შემთხვევას, რამაც აქ მომიყვანა, რათა ჩემთვის ეს ზეიმი ერგუნებინა მაშინ, როცა ჩემმა ცხოვრებამ თითქოსდა გადაინაცვლა დროისა და სივრცის გარე სარ-

ბიელზე, სადაც სასწაულებრივად ეთავსებოდა ერთმანეთს მთელი ჩემი ცოდნა და განცდები წარსულის მოგონებებშიც, ამწყოს შეცნობის ჟამსაც და მომავალზე ოცნებებშიც. ამ ფიქრებში გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ არავინ მიყვარდა, და სევდამ სიყვარულზე, რომელიც ჩემს სისხლში სახლობდა და თავის დროს ელოდა, მკერდში გაჩენილი შემაღონებელი ტკივილით მამცნო თავი. ვინ არის ის ასული, სად არის, როდის და როგორ მოხდება ყოველივე? რამდენჯერმე უნებურად გავხედე კარს — შესაძლოა, მოვიდა, იქ დგას, უსმენს გალობას და ელოდება, როდის დავინახავ-მეთქი. როგორ დამენანა, რომ იმ დროს და იმ დარბაზში არ იყო, როგორ დამენანა, რომ მაშინ შეუძლებელი იყო მისთვის გამეზიარებინა ის, რაც მაღელვებდა და ჩემს წარმოსახვას ასაზრდოებდა. და კიდევ ამას ვფიქრობდი — ნეტავ ბედმა ამ ამბის გამო რაღაც სასაცილოს არ გადამყაროს, ისეთი რამ არ დამმართოს, რის გახსენებაც შემდეგ თვითონ შემრცხვება-მეთქი.

რატომღაც დედა მომაგონდა... მაშინ სულ პატარა ვიყავი. ზამთრის ნათელი დილაა, ბულვარზე თოვლის კანტიკუნტი ფანტელები ცვივა. თვალებმოღიმარი დედა სახეში მიცქერის, გადაღეღილი პალტოს ღილებს მიკრავს და რაღაცას მეუბნება. მე კი გავრბივარ, დედა მხიარულად მეწევა. ქალაქს ზარების ხმა ეფინება. ხმა ბორცვზე წამომდგარი ეკლესიიდან მოედინება. იქ ამ დროს წირავს მამაჩემი, პროვინციელი დიაკონი, კაცი, რომელიც თავგამოდებული მორწმუნეა და იმავე დროს, როგორც ახლა ვხვდები. მშვენივრად ესმის მთელი პირობითობა იმისა, რაც ადამიანმა შექმნა ღვთის სახელით და ღვთის გულისთვის... ხოლო მე, მამისადმი თანაგრძნობის მიუხედავად, სულ სხვა გზას დავადექი, არა იმას, რაც თვითონ ეწადა. და გულს მიმძიმებდა შეგნება, რომ მამა იმ ქვეყანას მშვიდად წავიდა, მე კი აქეთ-იქით ვაწყდები, უარვყოფ წარსულს, თუმცა ამასთანავე აღტაცებას მგვრის ის ოდესღაც ყოვლად ძლიერი იდეის გარდასული სიდიადე, ძალმოსილი გამომსახველობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდა და ცდილობდა, ყველა მატერიკზე და კუნძულზე მოექცია უსჯულოთა სულები, რათა სამარადჟამოდ, სამარადისოდ დამკვიდრებულიყო სამყაროში, თაობებში, შეხედულებებში, დაეოკებინა და მორჩილების სიღრმეებში ჩაენთქა ადამიანთა მარად მშფოთვარე ეჭვების მარადი გამოწვევა, როგორც მეხამრიდს ჩააქვს მიწაში მეხი. მადლობა მათ — რწმენასა და ეჭვს, ყოფიერების ძალებს, ცხოვრების ორმხრივ მამოძრავებელთ.

მე მაშინ დავიბადე, როცა ეჭვების ძალებმა გაიმარჯვეს და თან თავის მხრივ ახალ ეჭვებს ბადებდნენ. მე პროდუქტი ვარ ამ პროცესისა, კაცი, ერთმა მხარემ რომ შემაჩვენა და არ მიმიღო მეორე

მხარემ მთელი ჩემი სირთულეების გამო. რას იზამ. ისტორია ჩემისთანების ხარჯზე გადის ფონს, სულს ითქვამს... ასე ვფიქრობდი, როცა ძველბულგარულ საგალობლებს ვუსმენდი.

ხოლო ის საგალობლები სრულდებოდა ერთიმეორის მიყოლებით, სრულდებოდა იმ დარბაზში, როგორც გარდასულ დროთა გამოძახილი. საგალობლებში — „მსხვერპლსამწუხრო", „ყრმათა მოწყვედა" და „ანგელოსი ღაღადებს"— გამოხატულ ბიბლიურ ვნებებს რწმენისათვის სხვა წამებულთა მკაცრი მგზნებარე საგალობლები ენაცვლებოდა და თუმცა ეს ყველაფერი მეტწილად ვიცოდი, მაინც აუწერლად მატყვევებდა თვით სანახაობა — ეს ათი მომღერალი თუ როგორ ხდიდა ჯადოსნურს ცნობილ ამბავს, გარდასახავდნენ დიდ ხელოვნებად, რომლის ძალმოსილება ხალხის სულის ისტორიულ ტევადობაზეა დამოკიდებული — ვინც მეტი იტანჯა, მეტიც შეიცნო...

ყურს ვუგდებდი სოფიელ მომღერლებს, გაბრუებულთ, აფოფინებულთ საკუთარი სიმღერით, ვუცქეროდი მათი სახის მეტყველებას და უცებ აღმოვაჩინე, რომ ერთი მათგანი, მარცხნიდან მეორე — ერთადერთი ქერა ყმაწვილი დანარჩენ ოდნავ შავგვრემან და შავთმიან ბულგარელებს შორის ძალიან მგავდა მე. საოცრება იყო აგრერიგად შენი მსგავსის ხილვა. ყმაწვილს ნაცრისფერი თვალები, ვიწრო მხრები — ალბათ ბავშვობაში მასაც კნაჭას ეძახდნენ — გრძელი ქერა თმა, ასევე გრძელი, ძარღვიანი, გამხდარი ხელები ჰქონდა. იგი შესაძლოა სიმორცხვეს ასევე სძლევდა სიმღერით, როგორც მე ხანდახან იძულებული ვხდებოდი შებოჭილობა საუბრის ჩემთვის მახლობელ თეოლოგიურ თემებზე გადატანით დამეძლია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა სულელურად გამოიყურება ასეთი სერიოზული საუბარი ახალგაცნობილ ქალთან. ნაცრისფერთვალა მომღერალი გარეგნულადაც მგავდა — ლოყები ჩაცვივნოდა, ცხვირი ოდნავ კეხიანი ჰქონდა, შუბლს ორი ნაოჭი უსერავდა სიგრძივ; ყველაზე ყურადსაღები კი ის იყო, რომ წვერი ზუსტად ჩემნაირად მოეშვა. უნებურად წინანდელი წვერისკენ გავიწოდე ხელი და ისევ გამახსენდა, რომ ძველ გზას უნდა გავდგომოდი ანაშას მომპოვებლებთან ერთად. და გავვოცდი ამის გაფიქრებაზე: სად, რისთვის მივდივარ? რა კონტრასტია — ღვთაებრივი ჰიმნები და ვაგზლის უთოების ბნელი გატაცებანი უკეთური ბალახის უკეთური კვამლით, მაგრამ ადამიანის ნამდვილი ცხოვრება ხომ მისი სიკეთითა და ბოროტებით ყველა დროში ტაძრების კედლების მიღმა მიედინებოდა. ჩვენი თანამედროვეობაც გამონაკლისი როდია...

აი, ასეთი მსგავსება აღმოვაჩინე იმ კონცერტზე. შემდეგ უკვე თვალს არ ვაშორებდი ჩემს ორეულს, ვაკვირდებოდი, როგორ მღეროდა, როგორ ეჭიმებოდა სახე, როგორ აღებდა პირს, როცა ყველაზე

მაღალ ნოტებს იღებდა. თანავუგრძნობდი, თავი მის აღგილას წარ-მოვიდგინე, მეგონა, ჩემი განსახიერებაა-მეთქი. ამგვარად, თითქოს-და გალობაში ვმონაწილეობდი. ყველაფერი მიმღეროდა, შეკვენივთე გუნდს და უჩვეულო, გულის ამაჩვილებელ ძმობას, სიდიადეს, ერთობას შევიგრძნობდი, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ შევხვდით ერთმანეთს — დავაკაცებულნი, ძალ-ღონით სავსენი. და ჩვენი მოზეიმე ხმები მიელტვის ზეცას, ფეხქვეშ მიწაც მტკიცეა და მყარი. და ასე ვიმღერებთ, სანამ გვემღერება, ვიმღერებთ დაუსრულებლად...

ასე გალობდნენ ისინი, ასე ვგალობდი მეც მათთან ერთად. ასეთ სასწაულებრივ ბურანში ვგრძნობ თავს ჩვეულებრივ, როცა ძველ ქართულ სიმღერებს ვუსმენ. ძნელია აგიხსნათ რატომ, მაგრამ საკმარისია თუნდაც სამი ქართველი ამღერდეს, თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივნი, და იღვრება სული, და სუნთქავს ხელოვნება, უბრალო და იშვიათი თანაზომიერების გამოისობით, სულის ზემოქმედების გამოისობით. ალბათ ეს ბუნების მიერ ნაბოძები მათი განსაკუთრებული ნიჭია, კულტურის ტიპია, შეიძლება პირდაპირ უფლის მიერ გარდმოვლენილი[მე არ მესმის რაზე მღერიან ისინი, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მე მათთან ერთად ვმღერი]

ვფიქრობდი ამაზე, ვუსმენდი მომღერლებს და უცებ გონება გამინათდა, ჩავწვდი დედაარსს ერთხელ წაკითხული ქართული მოთხრობისას „ექვსი და მეშვიდე". პატარა მოთხრობა იყო, მისთანებით სავსეა პერიოდული პრესა და ვერ ვიტყვი, რაიმეთი გამოირჩეოდა-მეთქი. მოთხრობა უფრო ფაბულური იყო, ვიდრე ფსიქოლოგიური, უფრო რომანტიკული, მაგრამ ამ ამბის ფინალი დიდი ხნით დამამახსოვრდა, ფინალი რატომღაც ხიწვივით ჩამრჩა არსებაში.

შინაარსი მოთხრობისა, უფრო სწორად ბალადისა — „ექვსი და მეშვიდე" /მისი ნაკლებცნობილი ავტორის რთული გვარი არ მახსოვს/ ასევე ფრიად გაცვეთილია. გიზგიზებს რევოლუცია, მიმდინარეობს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რევოლუცია მტერთან უკანასკნელ შეტაკებებში იმტკიცებს თავს, საქართველოშიც, მაშასადამე, ტიპური ისტორიული დასასრული დგება — საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებს, სულ უფრო წმენდს შეიარაღებულ კონტრრევოლუციონერთა უკანასკნელი ნაშთებისგან ყველაზე მივარდნილ მთის სოფლებსაც კი. მოქმედებს ასეთ შემთხვევებში ძირითადი კანონი — თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ. მაგრამ სისასტიკე საპასუხო სისასტიკეს შობს — ესეც ძველი კანონია. განსაკუთრებით მძვინვარე წინააღმდეგობას იჩენს მამაცი გურამ ჯოხაძის, ახლომახლო მთების ჩინებული მცოდნის, ადრინდელი მწყემსი-მხედრის,

ახლა კი კლასობრივ ბრძოლაში გახლართული, დაურიდალი, მოუხელთებელი თავდამსხმელის რაზმი. მაგრამ მისი დღეებიც დათვლილია, უკანასკნელ ხანებში ზედიზედ მარცხდება. რაზმში ჩეკისტია შეგზავნილი. ჩეკისტი არაფრად აგდებს, რომ შეიძლება გამომეღვნდეს, რა სულიერიცაა, საქმე უკუღმა დაუტრიალდეს, მაგრამ გურამ ჯოხაძის ნდობას იხვეჭს — მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი ხდება. საქმეს ისე აგვარებს, დიდი ბრძოლის შემდეგ შეთხელებულ რაზმთან ერთად უკან დახეულ ჯოხაძეს მდინარის გადასასვლელზე ჩასაფრებული მტერი ხვდება. როცა ჯოხაძე და მისი რაზმი მდინარესთან ცხენებს გააფთრებით მიაგელვებენ და შიგ შეაგდებენ, ჩეკისტს თითქოს მოსართავი უწყდება და ბარდებთან ცხენიდან ვარდება, ხოლო ჯოხაძის ცხენოსანთა დიდი ჯგუფი გაფიცხებული ცხენებით მიიწევს მთის განიერი მდინარის ჩქერებში. და როცა მდინარის შუაგულს მიაღწევენ, საიდანაც ისინი ყოველი მხრიდან ჩანან, ორი წინასწარ დადგმული და შენიღბული დაზგის ტყვიამფრქვევი მდინარის ორივე ნაპირიდან ცელავს მათ, ჯვარედინ ხანჯლურ ცეცხლში აქცევს. საზარელი ვაი-უშველებელი იმართება, იღუპებიან ადამიანები, იხრჩობიან მთის მდინარეში. მაგრამ გურამ ჯოხაძე — მას ბედი არ იმეტებს! — ცეცხლიდან გამოღწევას ახერხებს, უკან ტრიალდება და თავისი ღონიერი ცხენის შემწეობით ნაპირ-ნაპირ მიქრის შამბნარში. უკან კი მიჰყვება ცოცხლად გადარჩენილი რამდენიმე ერთგული მხედარი, მათ შორის ჩეკისტიც, რომელიც დაუყოვნებლივ შეუერთდა მათ, როგორც კი მიხვდა, რომ ოპერაცია მთლიანად ვერ განხორციელდა და მეთაური გადარჩა.

ეს ტყვიამფრქვევებით დახვრეტა მდინარეზე გურამ ჯოხაძის რაზმის საბოლოო განადგურებას, ფაქტიურად სრულ მოსპობას მოასწავებდა.

როცა გურამ ჯოხაძე ბოლოს და ბოლოს მდევრებს თავს აღწევს და მოქანცულ ცხენს აჩერებს, ირკვევა, რომ რაზმიდან სულ შვიდი კაცი გადარჩა გურამ ჯოხაძის ჩათვლით, და მეშვიდე იყო ჩეკისტი, სახელად სანდრო. ცხადია, ამიტომაც ერქვა მოთხრობას „ექვსი და მეშვიდე“.

სანდროს ნაბრძანები ჰქონდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ბანდის მეთაური გურამ ჯოხაძე მოესპო. გურამ ჯოხაძის მოსპობაში დიდ თანხას იძლეოდნენ, მაგრამ ახლა მთავარი თანხა არ გახლდათ, მთავარი ის იყო, როგორ აღესრულებინა ბრძანება, ვინაიდან უკვე ნათელი გახდა, რომ ჯოხაძე აღარ ჩაებმებოდა ბრძოლაში, სადაც მისი მოკვლა შესაძლებელი იქნებოდა. ახლა ხომ ხაფანგში მომწყვდეული მხეცივით არსებითად მარტო იყო დარჩენილი და მხოლოდ თავისი თავის, თავისი ფხიანობის მოიმედე ჯოხაძე ას თვალს და ას ყურს

გამოისხამდა. ცხადია, სიცოცხლეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დათმობდა...

და აი, ამ ამბის დასასრული. მან ყველაზე უფრო შემძრა...

მდინარეზე საშინელი ჟლეტვის შემდეგ გურამ ჯოხაძე, რომელმაც ხეობების თითოეული გასასვლელ-გამოსასვლელი იცის, იმავე დღეს, საღამოხანს ერთ მიუვალ ადგილზე — თურქეთის საზღვრის მახლობლად მთაზე შეფენილ ტყეში ჩერდება. და ცხენებისთვის უნაგირის მოხდისთანავე დაღლილობისგან მიწაზე ეცემა ყველა — ექვსი და მეშვიდე. ხუთი იმავ წუთს იძინებს მკვდარივით, ხოლო ორს რული არ ეკიდება. რული არ ეკიდება ჩეკისტ სანდროს, სატანჯველი გასჩენია, ფიქრობს — რა ჰქნას, უკეთ როგორ აისრულოს საწადელი, როგორ მიაგოს მისაგებელი გურამ ჯოხაძეს. არც მამაც გურამ ჯოხაძეს ეკიდება რული დამღუპველი კატასტროფის შემდეგ — განიცდის რაზმის განადგურებას, სტანჯავს ხვალინდელი დღე. და მხოლოდ ღმერთმა უწყის, კიდევ რაზე ფიქრობს რევოლუციის მიერ გათიშული ეს ორი შეურიგებელი მტერი.

მათი სასთუმლის მარჯვნივ სავსე მთვარე იდგა, ტყე ღამისებრ გულდამამძიმებლად და დაყურსულად ირხეოდა, ქვემოთ მდინარე დაუყუჩებლად მიდგაფუნებდა ქვებზე და მთები ირგვლივ ქვის მდუმარებაში გარინდულიყვნენ. უცებ გურამ ჯოხაძე ზეზე წამოხტა, თითქოსდა რაღაცით შეშფოთებული.

— არ გძინავს, სანდრო? — გაკვირვებით ჰკითხა მეშვიდეს.

— არა, შენ რაღას წამოხტი? — იქით ჰკითხა სანდრომ.

— ისე. არ მეძინება, ამ ადგილზე რატომღაც გული არ მიჩერდება. მთვარე ნამეტანი ანათებს. წავალ, გამოქვაბულში დავწვები, — ჯოხაძემ თავისი ნაბადი, იარაღი და უნაგირი წამოკრიფა და წასვლისას დასძინა: — დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკებთ. დიდი ხანიც აღარ დაგვრჩა სალაპარაკოდ.

იგი წავიდა და გამოქვაბულის პირას მოიწყო დასაწოლი — აქ მწყემსობისას ბევრჯერ შეუფარებია თავი ცუდ ამინდში. ახლაც შეაფარა ან იმისთვის, რომ უზომო უბედურება გამოეგლოვა, ან წინათგრძნობამ უკარნახა, ისე მოეკალათებინა, ვერსაიდან მიდგომოდნენ, ხოლო თვითონ, პირიქით, ყველა დაენახა, ვინც კი გამოქვაბულს მოუახლოვდებოდა. სანდრო შეშფოთდა: როგორ გავიგო მეთაურის ეს თითქოსდა საზრიანი საქციელი? რაიმეს ხომ არ ხვდებაო?

ასე გაილია მათთვის ეს ღამე, დილით კი გურამ ჯოხაძემ ბრძანა, ცხენები შეკაზმეთო. და არავინ უწყოდა, რას ფიქრობდა, რას იზრა-

ხავდა. როცა ცხენები უკვე შეკაზმული იყო, როცა უკვე ყველა მდუმარედ იდგა მის წინ და ცხენები აღვირით ეჭირათ, გურამ ჯოხაძემ ამოიოხრა და თქვა:

— არა, არ ვარგა მშობლიური მიწიდან ასე წასვლა. დღეს გამოვემშვიდობებით მიწას, რომელმაც გვზარდა, შემდეგ აქეთ-იქით წავალთ-წამოვალთ. ჯერჯერობით კი აქა ვართ და ისე მოვიქცეთ, როგორც საკუთარ სახლში.

მან ორი მხედარი ღვინის და საჭმლის მოსატანად ჩაგზავნა უახლოეს სოფელში, სადაც ერთგული ხალხი ჰყავდა, ორიც-სანდრო და მეორე ჭაბუკი — აქ დატოვა საკოცონე ფიჩხის მოსაგროვებლად და ცხენების სადარაჯოდ. ხოლო თვითონ სხვა ორთან ერთად სანადიროდ წავიდა — უნდოდა, თუ ღმერთი კეთილი თვალით გადმოხედავდა, გამოსამშვიდობებელი ვახშმისთვის რომელიმე გარეული ფრინველი მოეკლა, იქნებ შველიც.

რა ექნა ჩეკისტ სანდროს — ჯოხაძეს უნდა დამორჩილებოდა და დალოდებოდა შესაფერ დროს, როცა ბრძანების აღსრულებას შეძლებდა. ჯერჯერობით კი საქმეს საამისო პირი არ უჩანდა.

საღამოს ექვსი და მეშვიდე კვლავ შეიყარნენ: ტყის განაპირას, გამოქვაბულთან ცეცხლი გააჩაღეს, სოფლიდან ამოტანილ ხამ ტილოზე დააწყვეს გურამ ჯოხაძის ერთგული ხალხის მიერ ამოგზავნილი პური, ღვინო, მარილი, საჭმელი. კოცონი აგიზგიზდა. შვიდი ცეცხლს მიუახლოვდა.

— ყველა ცხენი შეკაზმულია და ყველა ჩვენგანი მზადაა ცხენს მოახტეს? — იკითხა გურამ ჯოხაძემ.

პასუხად ყველამ მდუმარედ დაუქნია თავი.

— მისმინე, სანდრო, — შენიშნა გურამ ჯოხაძემ, — კარგი შეშა მოგიქუჩებია, რიგიანად ეკიდება ცეცხლი, მაგრამ ასე შორს რად დაგიწყვია?

— ნუ წუხხარ, გურამ, ამ საქმეს მე მოვუვლი. ცეცხლზე მე ვაგებ პასუხს. შენ კი შენი თქვი.

და გურამ ჯოხაძემ თქვა:

— მეგობრებო, საქმე წავაგეთ. როცა მხარეები იბრძვიან, რომელიღაც იმარჯვებს, რომელიღაც მარცხდება. ამიტომაც იბრძვიან ისინი. ჩვენ სისხლს ვღვრიდით, ჩვენს სისხლსაც ღვრიდნენ. ამ მხრიდანაც და იმ მხრიდანაც ბევრმა სანუკვარი სიცოცხლე გასწირა. რაც მოხდა, მოხდა. პატიებას ვთხოვ დაღუპულ მეგობრებს და დაღუპულ მტრებს. როცა მტერი ბრძოლაში იღუპება, იგი მტერი აღარაა. ახლა ბრძოლის განგრძობა რომ შემეძლოს, მაინც ვთხოვდი პატიებას დაღუპულებს. მაგრამ ბედმა ზურგი გვაქცია, ამიტომ ხალხის უმრავლესობამაც გვიგანა. მიწასაც კი, სადაც დავიბადეთ და

გავიზარდეთ, არ სურს აქ დავრჩეთ. აქ ჩვენი ადგილი აღარაა და არც არავინ შეგვინდობს. მე რომ გამემარჯვა, ჩემს მტრებს არ შევიწყალებდი, ამას გულზე ხელდადებული ვამბობ. ახლა ისღა დაგვრჩენია, უცხო შორეულ მხარეებში გავაღწიოთ. აი, ამ დიდი მთის გადაღმა თურქეთია, ყურის ძირშია. ოდნავ განზე, იმ ქედის იქით, მთვარე რომ ამოდის — ირანი. ამოირჩიეთ, ვის საით გინდათ წასვლა. მე თვითონ თურქეთში, სტამბოლს მივდივარ. იქ მტვირთავად ვიქნები გემებზე. ახლა ყოველმა ჩვენგანმა უნდა გადაწყვიტოს, სად მოიდრიკოს ქედი. ჩვენ შვიდნი დავრჩით. და რამდენიმე ხნის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით გავსწევთ შვიდ უცხო მხარეს. ამქვეყნად მიმოფანტულთ ყველას მოგვიწევს საკუთარი მწარე ფიალის გამოცლა. ამიერიდან ვეღარ შევხვდებით. ეს უკანასკნელი დღეა, როცა ჩვენ, ცოცხლად გადარჩენილი შვიდი კაცი, ერთად ვართ, ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთს ვუსმენთ. მაშ, გამოვემშვიდობოთ ურთიერთს და გამოვემშვიდობოთ მიწას ჩვენსას, გამოვემშვიდობოთ ქართულ პურსა და მარილს, გამოვემშვიდობოთ ღვინოს ჩვენსას. ასეთ ღვინოს ვერსად დააკარებ პირს. გამოვემშვიდობებით და ჩვენ ჩვენი გზით წავალთ. თან არაფერი მიგვაქვს, ნაფხვენიც კი ქართული მიწისა. შეუძლებელია სამშობლო წაიღო, შეიძლება მხოლოდ სევდა წაიღო, სამშობლოს თან წაღება რომ შეიძლებოდეს ტომარასავით, მაშინ იგი ფეხის ფრჩხილადაც არ ეღირებოდა. მაშ, დავლიოთ უკანასკნელად და უკანასკნელად ვიმღეროთ ჩვენი სიმღერები...

ღვინო ტიკისა იყო, გლეხური, გაჯერებული მიწიერით და ზეციერით. ტვინს მწველად შეუღიტინა და დარდ-ვარამის გადმოშლის საღერღელს პირი მოუხსნა. სულში ხელახლა შეეჭიდა ერთმანეთს მხიარულება და ნაღველი. და თავისთავად წარმოდინდა სიმღერა, ისე, როგორც მთის ფერდობზე ქვებში უცებ წყარო გამოატანს და ყველაფერი აყვავდება და გამრავლდება, რასაც კი მისი წყალი გზადაგზა შეეხება. და წყნარად გააბეს მამა-პაპათა სიმღერა, და წყნარად ძლიერდებოდა სიმღერა იგი, ძალუმად რაკრაკებდა ფერდობიდან ჩამომდინარე წყაროსავით. შვიდივე ჩინებულად მღეროდა, ვინაიდან არ არსებობს ქართველი, რომელიც არ მღეროდეს, მღეროდნენ ხმაშეწყობილად, ყველა თავისებურად და თავისი შესაძლებისამებრ, და სიმღერა დაიგზნო, როგორც კოცონი, რომლის გარშემოც ისინი იდგნენ.

ასე იწყებოდა გამოსამშვიდობებელი საგალობელი შვიდისა, უფრო სწორად, ექვსისა და მეშვიდესი, რომელსაც წუთით არ ავიწყდებოდა თავისი საქმე. არც ერთ მათგანს, უპირველეს ყოვლისა, გურამ ჯოხაძეს დაუსჯელად ფეხი არ უნდა გაედგა საზღვარგარეთ. მას, ჩეკისტს, არ შეეძლო ამას შერიგებოდა — ასე მიუთითე-

ბდა ბრძანება და ეს ბრძანება უნდა აღესრულებინა.

ხოლო სიმღერა სიმღერას ენაცვლებოდა, ისმებოდა ღვინო, რომელსაც, რაც უფრო მეტს სვამ, მით უფრო მეტი ხალისით ისმება, მით უფრო ეკიდება ცეცხლი სულს, ისევ და ისევ რომ სწყურდება ღვინო და სიმღერა.

წრეზე მდგომნი ხელებს ხანდახან ერთმანეთს გადახვევდნენ, ხანდახან წამისწამად ისევ ჩამოყრიდნენ ძირს, ხანაც ცისკენ აღაპყრობდნენ, როცა სურდათ მათი ხმა მისწვდენოდა ღვთაებრივ ძალას, იდუმალსა და აურიდებელს, მაგრამ ყოვლისშხილველსა და ყოვლისმცოდნეს. როგორ, თუ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის, საით მიერეკება მათ თავიანთი მიწიდან? და ცხოვრება რატომაა აგრე მოწყობილი, რომ ადამიანები ერთმანეთს ეომებიან, ებრძვიან, იღვრება სისხლი, იღვრება ცრემლი და ყოველ მათგანს თავი მართალი ჰგონია, სხვა კი — მტყუანი. სადღაა ჭეშმარიტება, და ვისა აქვს უფლება მისი წარმოთქმისა? სადაა ის წინასწარმეტყველი, ვინც მათ სამართლიანად განსჯიდა?.. ხალხის მეხსიერებაში შემონახული ეს ძირძველი სიმღერები ხომ არ უბნობდა ამას, ხომ არ გადმოსცემდა ჰანგში გაცხადებულ ტანჯვას, რომელიც მამა-პაპებმა ძველისძველად იგემეს, კეთილისა და ბოროტის დასაბამიერ ჭირნახადობად გაიაზრეს, მისივე სილამაზითა და მარადიულობით იგრძნეს. ამიტომაც იმ შვიდის ბაგეებში ერთი სიმღერა მეორეს შობდა და მომღერალნი არ იშლებოდნენ, მეშვიდე, სანდრო კი დროგამოშვებით ტოვებდა წრეს, რათა შეშა მოეტანა და კოცონისთვის შეეკეთებინა. მართლადა, ტყუილად /ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი აქვს ცხოვრებაში/, ტყუილად კი არ დაახვავა ტყეში უამრავი ფიჩხი. სამაგიეროდ ახლა თვითონ განაგებდა ცეცხლს. მღეროდა კიდევაც სხვებივით, მთელი არსებით — სიმღერები ხომ ყველას თანაბრად ეკუთვნის. არ არსებობს სიმღერები მხოლოდ მეფეთა სამღერალი და სხვათათვის აკრძალული, ისევე, როგორც არ არსებობს მარტოოდენ მდაბიოთა შესაშვენი სიმღერები. იმღერე და იმხიარულე, ინაღვლე და იტირე, ვიდრე ცოცხალი ხარ...

გიყვარდა და თრთოლვით ელოდი პაემანზე, გადაგიყვარა და რარიგ იტანჯებოდი, რარიგ გეწადა, სული ამოგხდომოდა, რადგან გული არ გაგიზიარა, გინდოდა სიკვდილის წინ გემღერა და ეს სიმღერა მას მოესმინა. რარიგ გეფერებოდა დედა ბავშვობაში, სად აღესრულა მამა, როგორ ბრუნავდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლაში შენი მეგობრები, რომელ ღმერთებს უშლიდი გულს უბიწო და სპეტაკი აღტყინების ჟამს. და გიფიქრია, რა არის ადამიანის დაბადება, გიფიქრია, რომ სიკვდილი მუდამ შენს გვერდითაა, ვიდრე

სულს არ განუტევებ, ხოლო სიკვდილის შემდეგ სიკვდილი ქრება, სიცოცხლე კი სიკვდილზე მაღლა დგას. სიცოცხლეზე დიდი სასწაული სამყაროში არ არსებობს — ამიტომაც ერიდე კვლას, მაგრამ თუ მტერი მოგიხტა, დაიცავი მიწა შენი; და მშობელ მიწასავით გაუფრთხილდი სატრფოს პატიოსნებას. თუ გამოგიცდია, რაა განშორება და რომ იგი ზურგზე მთის წამოკიდებასავით გაუსაძლისია, რომ უსატრფოოდ არაფერი გგვრის სიხარულს: არც ყვავილი, არც სინათლე, არც ხვალინდელი დღე — და, კიდევ, ვინ იცის, რას უბნობენ სიმღერები — განა ყველაფერს გადმოსცემ...

და განშორების ჟამს გულდამძიმებულად და აღმაფრენით მომღერალი შვიდი ქართველივით, ერთმანეთისთვის უფრო გულისგული და ახლობელი ადამიანები, იმ ღამეს ქვეყნად არ არსებობდნენ. მათ კიდევ უფრო ადუღაბებდა სიმღერის სტიქია. წინაპრებმა მაინც რა ბევრი რამ განიცადეს და უკვდავი ჰარმონიით აღსავსე რამდენი გულითადი სიტყვა მოიგონეს შთამომავლობის სასიკეთოდ. როგორც შეიძლება ფრინველი ფრენით გამოარჩიო, ასევე ქართველი ქართველს სიმღერით გამოარჩევს ათ ვერსზე და იტყვის, ვინაა, საიდანაა, რა სჭირს, რა უტრიალებს სულში — მხიარულ ქორწილში იყო თუ დარდ-ვარამი კლავს...

მთვარემ უკვე საკმაოდ აიმაღლა მთებზემოთ. მთვარე მკრთალ შუქს ჰფენდა მთელ დედამიწას — ქარის დაქროლვაზე ტყე შემპარავად არხევდა ხეთა შავ კენწეროებს, დახშული ხმით ხმაურობდა მდინარე, ბზინავდა, ვერცხლისფრად ციაგებდა სველ რიყის ქვებზე. ღამეული ფრინველები ლანდებივით უხმაუროდ გადაქროდნენ კოცონთან მომღერალი ადამიანების თავზე და შეკაზმული ცხენებიც, მოთმინებით რომ ელოდნენ თავიანთ პატრონებს, ფხიზელ ყურებს ცქვეტდნენ, თვალებში ცეცხლის ათინათები უცეკვავდათ... იმ ცხენებს გზა ედოთ უცხოეთისკენ და წასვლის ჟამიც ახლოვდებოდა...

მაგრამ სიმღერები, ეტყობა, არ დასრულდებოდა. გურამ ჯოხაძეს თითქოს ყველა სიმღერის ჩამოთავება სურდა: „აბა, იმღერეთ, მეგობრებო, სვით ღვინო, ამიერიდან ვეღარასოდეს ჩავდგებით წრეში და სმენას ვეღარასოდეს დაგვიტკბობს ქართული ჰანგები“... ხან ცალ-ცალკე მღეროდნენ, ხან ერთად, ხან საკუთარ სიმღერაზე ცეკვავდნენ გულდაგულ და გააფთრებით, როგორც სიკვდილის წინ ცეკვავენ, და ისევ დგებოდა წრეზე შვიდი, უფრო სწორად ექვსი და მეშვიდე. ხოლო სანდრო წამდაუწუმ ტოვებდა წრეს — შეშას აყრიდა კოცონს — და კოცონსაც მცხუნვარება ემატებოდა.

გადაწყვიტეს, ბოლო სამღერა ეთქვათ, შემდეგ — კიდევ ერთი, კიდევ ერთი გამოსამშვიდობებლად, ვერა და ვერ წყნარდებოდნენ, ისევ შექუჩდნენ წრეზე, ჩაჰკიდეს თავი და ქვესკნელიდან მომდინარე

გუგუნივით ფიქრიანად, ძალუმად ზღვავდებოდა ჰანგი. ხოლო სანდრო ისევ წავიდა შეშის მოსატანად, თუმცა კოცონს ბრიალი გაუდიოდა. ყოველივე ზედმიწევნით ჰქონდა აწონილ-დაწონილი — შეშის ნაყარიდან თვითონ ნათლად ხედავდა ექვსივეს, წრეზე მდგომთ, ხოლო ისინი, თვალისმომჭრელ კოცონთან მომღერალნი, ცუდად ხედავდნენ მას... მძიმე მაუსერი გამზადებული — ჩახმახშეყენებული ჰქონდა. დადგა ანგარიშსწორების გარდაუვალი ჟამი, მისაგებელის მიგების ჟამი. ასწია მრავალმუხტიანი მსწრაფმსროლი მაუზერი, ხელზე დაიყრდნო და სიბნელეში მეხივით დაქუხებული პირველი გასროლით ძირს დასცა მეთაური გურამ ჯოხაძე, და ბაგეთაგან აფრენილი სიმღერის სიტყვები ჯერ კიდევ არ გაციებულიყო, რომ უმალ ზედიზედ მიაწვინა დანარჩენები, რომელთაც ვერც კი მოასწრეს იმის გაგება, რა მოხდა. და ამრიგად, და კიდევ ერთხელ მოკვდინების ბიწიერ ჩარხის ტრიალში, კიდევ ერთხელ დაღვრილი სისხლისთვის სისხლი დაიღვარა.

[დიახ, ადამიანთა ურთიერთობების კანონები მათემატიკურ გამოთვლებს არ დაგიდეგს და ამ აზრით დედამიწა სისხლიანი დრამების კარუსელივით ბრუნავს... ნუთუ ამ კარუსელმა ქვეყნიერების დასასრულამდე უნდა იბრუნოს, ვიდრე დედამიწა მნათობის ირგვლივ ტრიალებს?]

ტყვიები მიზანს არ ასცდენია. მხოლოდ ერთი რაზმელი უცებ გაშმაგებით წამოიწია ხელებზე, მაგრამ სანდრო მიეჭრა, კეფაში ესროლა და ისევ დააწვინა... დაბმულ ცხენებს ელდა ეცათ, განზე გახტნენ და ისევ გაირინდნენ.

ისევ ენთო კოცონი, ხმაურობდა მდინარე, თავ-თავიანთ ადგილებზე იდგნენ ტყე და მთები, მთვარეც თავის ადგილას იდგა უდრტვინველ ცარგვალზე, მხოლოდ სიმღერა შეწყდა, ასე დიდხანს რომ ეღერდა იმ საღამოს...

სანდროს სახე გათეთრებული ჩანდა ღამეში. ჰაერი არ ჰყოფნიდა, დასწვდა ტიკს და შიგ ჩარჩენილ ღვინოს მიეძალა, რათა გულგვამში დაგზნებული ცეცხლი გაენელებინა... ისე სვამდა, ღვინო ეღვრებოდა, სული უგუბდებოდა... შემდეგ დაცხრა, მშვიდად დაუარა კოცონის გარშემო სხვადასხვანაირად მიმოყრილ მოკლულთ, იარაღი ახსნა, მათივე უნაგირების კოტაზე ჩამოჰკიდა, ცხენებს ლაგამ-ავშარა წააძრო და ყველა გაუშვა. შვიდივე გაუშვა, მათ შორის თავისი ქურანაც. და გასცქეროდა, ცხენები, რომლებმაც თავისუფლება იგრძნეს, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ჩაჰყვნენ მდინარეს, მთისძირა სოფელს, ადამიანებს მიაშურეს... ცხენები ხომ მუდამ იქით მიდიან, სადაც ადამიანები ცხოვრობენ...მაგრამ აი, ნალების ჭახაჭუხიც მიჩუმდა და ქვემოთ დაწალიკებით მიმავალი ცხენების ლან-

დები მთვარის შუქდაფრქვეულ მონანავე ფოშფოშში გაუჩინარდნენ...

ყველაფერი მოთავებული იყო. სანდრომ კიდევ ერთხელ მდუმარედ ჩამოუარა იქვე განგმირულ ექვსს, მათ ოდნავ მოშორდა და მაუზერის ლულა საფეთქელზე მიიდო. მთებში კიდევ ერთხელ დაირხა გასროლის მეცხეული ნახმეკი. ახლა უკვე მეშვიდემ შეწყვიტა თავისი სიმღერა...

ასე გასრულდა ის ქართული ბალადა.

ეს გამახსენდა უცებ, როცა მუზეუმში ბულგარელ მომღერლებს ვუსმენდი, რომლებიც ძველ ბულგარულ საეკლესიო საგალობლებს ასრულებდნენ. ეს საგალობლები შექმნეს ადამიანებმა, საუკუნეთა სიბნელიდან რომ შეფრფვინვით და გაშმაგებითაც კი შეჰღაღადებენ უზენაესს, მათივე შექმნილს, მათ მიერვე სულიერ რეალობად გარდაქმნილ არარეალობას, ადამიანებმა, რომელთაც სწამთ, რომ ამქვეყნად ისე მარტონი არიან, მხოლოდ სიმღერებსა და ლოცვებში მიაგნებენ უფალს.

მთელი ის ამბავი რაღაც წამებში გამახსენდა და განვიცადე. აზროვნების სიჩქარეს სინათლის სიჩქარე ვერაფრით ვერ შეედრება. აზრი, რომელიც წარსულში გადადის და შეუძლია უკუმიმართულებით დროსა და სივრცეში იმოძრაოს, ყველაფერზე სწრაფია...

ახლა დავიჯერე, რომ მართლაც ასე უნდა მომხდარიყო იმ წლებში. ავტორი მოთხრობას „ექვსი და მეშვიდე" ამგვარად ამთავრებდა: სანდრო, ანუ მეშვიდე, სიკვდილის შემდეგ რაღაც ორდენით დააჯილდოვესო.

მაგრამ სამოქალაქო ომების ტრაგედიები ერების ტრაგედიებად რომ არ შეტრიალებულიყო, ცხოვრება ძირფესვიანად რომ არ შეეცვალა ზოგის წინააღმდეგობას ახალფეხადგმული ისტორიისადმი და ზოგის სულსწრაფობას ამავე ისტორიის დასაჩქარებლად გამართულ ბრძოლაში, საიდან გაჩნდებოდა რევოლუციის ნახნავში ეს საშინელი ორნატები და განა ქართული ბალადა ასე დასრულდებოდა? საზღაური საზღაურით ფასდება... მას, მეშვიდეს, ხომ შეეძლო გაეხარა, თავი არ მოეკლა, მაგრამ მოიკლა ძნელად ასახსნელ მიზეზთა გამო. ყველას შეუძლია ეს მიზეზები თავისებურად ახსნას. მე კი იმ ჟამს, როცა ბულგარული საგალობლების ნავს მივყვებოდი და ამაღლებული სულის თეთრი იალქანი მიმაცურებდა, სულისა, რომელიც მარადის სერავს ყოფიერების შორს გაშლილ ოკეანეს, ვიფიქრე, ქართული ამბის ამგვარი დასასრულის მიზეზი სიმღერებია, რომლებშიც შვიდივეს რწმენაა-მეთქი დაუნჯებული...

როცა შენთვის რამეს აღმოაჩენ, შენს არსებაში ყველაფერი შეხმატკბილებულია, სული გინათდება. ვუცქერდი, სანუკვარი ჰიმნების მგალობელ სოფიელთა თვალებში რაოდენი უბიწოება, ერთ-

გულება და აღმაფრენა სხივცისკარობდა, დაძაბულობისაგან სახეზე რარიგ გადასდიოდათ ხვითქი და მშურდა, რომ მათთან არ ვიყავი, არ ვიყავი ის, ჩემი ორეული.

აი, იმ სულში შემოჭრილი ნათელის კვალად უცებ გავიფიქრე: რამ შვა ადამიანში ეს ყველაფერი: მუსიკა, სიმღერები, ლოცვები, რა საჭიროება იყო მათი და არის? ალბათ შვა იმან, რომ ადამიანი ქვეცნობიერად გრძნობს, რაოდენ ტრაგიკულია მისი ყოფნა ცხოვრების ორომტრიალში, როცა ყველაფერი მოდის და ყველაფერი მიდის, ისევ მოდის და ისევ მიდის და ადამიანი იმედოვნებს, ასეთნაირად გამოხატოს, გამოსახოს, უკვდავყოს თავი. აკი, როცა ყველაფერი დასრულდება, როცა მილიარდი წლის შემდეგ ქვეყნიერების მომავალი აღსასრული დადგება და ჩვენი პლანეტა მოკვდება, ჩაქრება, სხვა გალაქტიკებიდან მოსულმა მსოფლიო შეგნებამ უდიდეს სიჩუმესა და სიცარიელეში უსათუოდ უნდა გაიგონოს ჩვენი მუსიკა და სიმღერა. აი, გაჩენის დღიდან ჩვენს არსებაში რაა ჩაკირული ამოუძირკვავად — ვიცოცხლოთ სიცოცხლის შემდეგაც! რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ადამიანისთვის შეიმეცნოს, რაოდენ აუცილებელია სჯეროდეს, რომ სიცოცხლის ასეთი გახანიერება ძირითადად შესაძლებელია. [ალბათ ადამიანები მოიფიქრებენ, რომ თავის შემდგომად დატოვონ რაღაც მარადიული ავტომატური მოწყობილობა, რაღაც ვოკალურ-მუსიკალური მარადიული ძრავა — ეს იქნება კაცობრიობის ყველა დროის კულტურის ყოველივე საუკეთესოს ანთოლოგია. და, როცა მომღერლების გალობით ვტკბებოდი, მჯეროდა, რომ ისინი, ვინც ამ სიტყვებსა და მუსიკას გაიგონებს, მიხვდებიან, იგრძნობენ, რა წინააღმდეგობებით აღსავსენი, რა გენიოსები და ტანჯულები იყვნენ დედამიწაზე ადამიანები, ეს ერთადერთი გონიერი არსებანი.]

[სიცოცხლე, სიკვდილი, სიყვარული, თანაგრძნობა და შთაგონება — ყველაფერი მუსიკაში გამოისახება, ვინაიდან მასში, მუსიკაში მივაღწიეთ თავისუფლებას, რომლისთვისაც მთელი ისტორიის მანძილზე ვიბრძოდით, დაწყებული ადამიანის ცნობიერების პირველი გაელვებიდან, მაგრამ რომლის მიღწევა მხოლოდ მუსიკაში მოვახერხეთ. და მხოლოდ მუსიკა სძლევს ყველა დროის დოგმებს და ყოველთვის მომავლისკენ ისწრაფვის... ამიტომაც ძალუძს თქვას ის, რის თქმაც ჩვენ ვერ შევძელით...]

[დავცქეროდი საათს და შიშნეულად ველოდი, რომ ჩემს საყვარელ პუშკინის მუზეუმში კონცერტი დამთავრდებოდა, რომ შემდეგ უნდა წავსულიყავი ყაზანის ვაგზალში, სულ სხვა სამყაროში და სულ სხვა ცხოვრებაში ჩავბმულიყავი, იმ ცხოვრებაში, რომელიც უხსოვარი დროიდან ფუთფუთებს ამაოებისა და ორომტრიალის მორევში, სა-

დაც არ ჟღერს და არაფერს ნიშნავს ღვთაებრივი სიმღერები... მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ვყოფილიყავი იქ...

V

შუადღე გავიდა, მატარებელი ვოლგისპირა მხარეებში მიქროდა და კუპირებულ ვაგონებში უკვე დამკვიდრდა, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, მრავალდღიანი მგზავრობისთვის ნავარაუდევი მყარი საგზაო ცხოვრება, საერთო ვაგონში კი, რომლითაც აბდია კალისტრატოვი მიდიოდა, შეიძლება ითქვას, კომუნალური ცხოვრება სუფევდა. მატარებელში ჭრელი ხალხი იყო, ყველას თავისი მიზეზი ჰქონდა მგზავრობისა და ეს ყოველივე ბუნებრივი გახლდათ — ადამიანებს სჭირდებოდათ, ადამიანები მიემგზავრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ანაშას მადევრები, აბდია კალისტრატოვის თანამგზავრები. აბდია ხვდებოდა, რომ ამ მატარებელს სულ ცოტა ათი კაცი მოჰყვებოდა, მაგრამ თვითონ ჯერჯერობით მხოლოდ ორს იცნობდა, იმათ, რომლებსაც მკვირცხლმა მებარგულმა უთომ ვაგზალში მიაკედლა. ესენი იყვნენ მურმანსკელი ავარები — ერთი ცოტა უფროსი, ოცი წლის პეტრუხა და მეორე ჯერ მთლად ბავშვი, თექვსმეტი წლის ლიონია, მაგრამ იგი, ლიონიაც სარეწზე უკვე მეორედ მიდიოდა, ამიტომ თავი ქარცეცხლში გამოვლილ კაცად მიაჩნდა და ყოყოჩობდა კიდევაც. მურმანსკელები პირველად თავშეკავებულად იქცეოდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ აბდია მათი კაცი იყო, რომ მადევრობას საიმედო ხალხის რეკომენდაციით იწყებდა. საქმეებზე ქარაგმულად ლაპარაკობდნენ, ძირითადად ტამბურში პაპიროსის წევისას. ხალხი ახლა ვაგონში პაპიროსის მწეველებს ვერ იტანდა, მით უმეტეს, ამდენი მგზავრი გროვდებოდა და ჰაერი ისედაც შეხუთული იყო; მადევრები ამიტომ გამოდიოდნენ ტამბურში სალაყბოდ და მოსაწევად. პირველად პეტრუხამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ აბდია პაპიროსს მათი ყაიდის ბიჭებივით არ ეწეოდა.

— შენა, აბდია, არასოდეს მოგიწევია? ქალივით გეშინია ნაფაზის დარტყმა.

აბდია იძულებული გახდა ეცრუა:

— ოდესღაც ვეწეოდი და მივატოვე...

— გეტყობა კიდევაც, მე კი პატარაობიდანვე ვეწევი. ჩვენი ლიონკაც მაგარი მწეველია, ბებერივით აფუილებს, თუ შემთხვევა მიეცა, არც სმას აკლებს ხელს. თუმცა ახლა ჩვენთვის დალევა არ შეიძლება, სამაგიეროდ შემდეგ ვთუთქავთ.

— ეს ხომ ჯერ პატარაა?

— ვინაა პატარა, ლიონკა? პატარაა და კენჭია. აი შენ, მგონი,

პირველად მოდიხარ დიდ საქმეზე. ეს გასეირნება არ გეგონოს. ამან კი ყველა ხვრელი იცის.

— ბალახსაც ეტანება თუ მარტო მადევარია? — დაინტერესდა აბდია.

— ლიონკა? მაშ როგორ, ეწევა. ახლა ყველა ეწევა, მაგრამ მოწევა ჭკვიანურად უნდა, — დაიწყო მსჯელობა პეტრუხამ. — ზოგი იმდენს ჩაყლაპავს, გონება უბნელდება, ამისთანები საქმეში არ გამოდგებიან. გუდაფშუტები არიან. ყველაფერს ამტუტებენ. მერედა როგორი ბალახია, სიხარულს განიჭებს, სულ სამოთხეში გამყოფებს.

— სიხარულს რით განიჭებს?

— იმით, რომ აგერ, ვთქვათ, პატარა ნაკადული მიედინება. იმოდენაა, გადააბიჯებ, გადააფურთხებ, შენთვის კი მდინარეა, ოკეანეა, სიამეა! ესეც შენი სიხარული. სიხარული ხომ ისეთი რამაა, საიდან უნდა გაჩითო? აი, მაგალითად, პურს იყიდი, ტანსაცმელს იყიდი, ფეხსაცმელსაც იყიდი, არაყსაც ფულით სვამენ. ბალახი კი, თუმცა ბევრი მაყუთი სჭირდება, განსაკუთრებულ სიამეს გგვრის: თითქოს სიზმარში ხარ და ირგვლივ ყველაფერი ისეა, როგორც პირდაპირ კინოში. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ კინოს ასობით და ათასობით კაცი მიშტერებია, აქ კი მხოლოდ შენა ხარ, აქ სხვას არავის ესაქმება, ხოლო ვინც ცხვირს შემოყოფს, იმას შეიძლება სიფათში ცეცხლო — ეგ შენ არ გეკითხება, როგორც მინდა, ისე ვცხოვრობ, სხვის ბოსტანში ნუ გადადიხარ-თქო. აი, როგორაა საქმე. — პეტრუხამ მცირე ხნით იყუჩა, გამჭრიახ თვალებს ჭუტავდა, აბდიას, ცოტა არ იყოს, თავხედურად გადაუკრა სიტყვა: — ჰა, აბდია, ბალახი ხომ არ გაგესინჯა, სიამოვნებისთვის წაიკაიფებ, შემიძლია საკუთარი მარაგიდან გიწილადო...

— არა, მირჩევნია საკუთარი გავსინჯო, — იუარა აბდიამ; — აი, როცა ჩემს წილს დავდებ, მაშინ სხვა ამბავია.

— ესეც სწორია, — დაეთანხმა პეტრუხა. — შენი შენია. — ერთხანს გაყუჩდა და გადაწყვიტა, ისევ განეგრძო: — ჩვენს საქმეში, აბდია, მთავარია სიფრთხილე, იმიტომ, რომ ირგვლივ ყველა ჩვენი მტერია: ყოველი ბებია, ყოველი მედლებიანი ვეტერანი, ყოველი პენსიონერი. სხვებზე აღარას ვამბობ. ყველას ერთი სული აქვს, მსჯავრი დაგვდოს და შორს კატორღაში მოგვაყუჩოს, რომ თვალით არ დაგვინახოს. ამიტომაც ამგვარი წესი გვაქვს — ისე უნდა მოიქცე, თითქოს არაფერს წარმოადგენ, ერთი გოიმი ვინმე ხარ, სანამ მაყუთი ბლომად არ მოგიტეხავს. შემდეგ კი აი, როგორ ვიცით? როცა ჯიბეში ფული მიჭყავის, ყველას დედა ვატირე ერთიანად... ისე, თუ რამე მოხდა, აბდია, ჩაკვდი, ჩაძაღლდი და შენიანები არ გასცე. ეგ კანონია. ხოლო თუ ვერ გაუძელი, ასე და ამგვარად — წირვა

გამოგივა, შეუძლიათ ძაღლივით გაგასაღონ. ზონაშიც რომ იყო, სულ ერთია, მოგწვდებიან. ეს ხუმრობა-თამაში არ გეგონოს.

თანდათან გამოირკვა, რომ პეტრუხა სადღაც სხვადასხვა მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო ზაფხულის დადგომისთანავე, მუინყუმის მხარეებში მიემგზავრებოდა, იცოდა, სად იყო ანაშით მდიდარი ადგილები. ამბობდა, ბალახნარი განსაკუთრებით ხევებში იმდენია, მთელ მსოფლიოს ეყოფაო. შინ მხოლოდ ღრმად მოხუცი ლოთი დედა ჰყავდა. ძმები აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ, იმიერპოლარეთში გაზსადენზე მუშაობდნენ. როგორც პეტრუხა ამბობდა, ხან სიცივეში, ხან ქინქლებში შოულობდნენ ფულს ეს გაღლეტილები. თვითონ კი ერთს გაისეირნებდა თვალებდაბრეცილ აზიაში და შემდეგ მთელი წელი ჭერს აფურთხებდა, ოღონდაც ნერწყვი ჰყოფნოდა. ლიონკას უფრო უარესად ჰქონდა საქმე. დედა ვინ ჰყავდა, არ იცოდა. თავიდანვე ჩვილ ბავშვთა სახლში განამწესეს. როცა სამი წლის გახდა, ვიღაც მურმანსკელი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, რომელიც უმთავრესად კუბაში დადიოდა, თავშესაფარში ცოლთან ერთად გამოცხადდა და ბიჭი ყოველგვარი წესის დაცვით იშვილა. თვითონ საკუთარი შვილები არ ჰყავდა. ხუთი წლის შემდეგ კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. კაპიტნის ცოლი კავალერთან ერთად სადღაც ლენინგრადში გაშპა, კაპიტანმა სმა დაიწყო, სამუშაოდ ნავსადგურში გადმოვიდა. ლიონკა სკოლაში გაჭირვებით სწავლობდა, ხან მამობილის დეიდასთან ცხოვრობდა, ხან მის ბუღალტერ ძმასთან. ბუღალტრის ცოლი კი ცერბერი იყო. ჰოდა, ყველაფერი ერთიმეორეს წაეწყო, ბიჭიც ხელიდან წავიდა, გამხეცდა, კაპიტანი სულ მიატოვა და ერთ მარტოხელა ომის ინვალიდს მიეკედლა. ეს ყოფილი წყალქვეშელი კეთილი კაცი იყო, მაგრამ ლიონკაზე გავლენას ვერ ახდენდა. ბიჭი ისე ცხოვრობდა, როგორც მოეპრიანებოდა, სადმე გაგრიალებას მოინდომებდა და მიგრიალებდა, დაბრუნებას მოისურვებდა და ბრუნდებოდა. ეს მეორე სეზონი უკვე ანაშის ჩამოსატანად დადიოდა. ეტყობა, თვითონაც ძლიერ შეუყვარდა უკეთური საწამლავი მაშინ, როცა მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო და მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა...

აბდია კალისტრატოვმა ძალიან შეიკავა თავი და ყველა აღმაშფოთებელ წვრილმანს არ გამოპასუხებია, ვინაიდან ამოცანად ჰქონდა დასახული — ჩასწვდომოდა იმ მოვლენათა ბუნებას, რომლებიც სულ ახალ და ახალ ჭაბუკებს ხვევდა თავის ბადეში. და რაც უფრო მეტს უკვირდებოდა ამ სამწუხარო ამბებს, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ეს ყველაფერი ჰგავდა რაღაც წყალქვეშა დინებას, როცა ცხოვრების ზღვის ზედაპირზე მოჩვენებითი სიწყნარეა, რომ ბიწიერების მშობელი კერძო და პირადი მიზეზების გვერდით

საზოგადოებრივი მიზეზებიც არსებობდნენ და შესაძლებლობას ქმნიდნენ ახალგაზრდობის ამდაგვარი ავადმყოფობა გაჩენილიყო. მიზეზთა შემჩნევა ერთი შეხედვით ძნელი გახლდათ — ისინი მოგაგონებდათ მთელ სხეულში ავადმყოფობის გამავრცელებელ, ერთმანეთთან შეკავშირებულ სისხლძარღვებს. არავითარი აზრი არ ჰქონდა და თუ ჰქონდა, ძალიან მცირე, ამ მიზეზების გამოკიდებას ერთი კაცის ბარობაზე. აქ აუცილებელი იყო სულ ცოტა მთელი სოციალური ტრაქტატის დაწერა. ყველაფერს კი პრესაში და ტელევიზიაში დისკუსიის გამართვა სჯობდა. აი, რა მოინდომა აბდიამ. პირდაპირ გადამთიელს ჰგავდა. ის კი მართლა გადამთიელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მის სემინარიულ შეზღუდულობას და ყოველდღიური ცხოვრების უცოდინარობას. შემდეგ დარწმუნდება: არავის აინტერესებს ასეთ რამეებზე გულახდილი ლაპარაკი, რასაც ყოველთვის ხსნიან ვითომცდა ჩვენი საზოგადოების პრესტიჟის გულშემატკივრობით, თუმცა, არსებითად, უპირველეს ყოვლისა მთავარი ისაა, არ სურთ ზედმეტი საფრთხე შეუქმნან საკუთარ მდგომარეობას, დამოკიდებულს სხვა პირთა აზრსა და გუნება-განწყობილებაზე. ეტყობა, საზოგადოების რომელიღაც ნაწილის უკეთურებაზე განგაშის ასატეხად, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საჭირო იყო არ შეგშინებოდა, ჩემს თავს არ ვავნოო. აბდია კალისტრატოვს თავისდა საბედნიეროდ და საუბედუროდ ამგვარი ფარული შიში არ აწუხებდა. მაგრამ ეს ცხოვრებისეული აღმოჩენები ჯერ წინ ელოდა. ახლა მხოლოდ ფეხს დგამდა ამ გზაზე, მხოლოდ შეეხო სინამდვილის ამ მხარეს და სწყუროდა იგი გზააბნეულ ადამიანთა სიბრალულის გამო შეეცნო საკუთარი გამოცდილებით, უნდოდა თუნდაც რამდენიმეს მიშველებოდა არა ჭკუის სწავლებით, საყვედურითა და გაკიცხვით, არამედ საქმეში თავისი მონაწილეობით და თავისი მაგალითით დაემტკიცებინა, დამღუპველი მდგომარეობისაგან დახსნა მხოლოდ საკუთარი თავის განახლებით რომ შეიძლებოდა და ამ თვალსაზრისით ყოველ მათგანს რევოლუცია უნდა მოეხდინა თუნდაც თავისი სულის ფარგლებში. მაგრამ ისევ და ისევ არ ფიქრობდა, რა ძვირად დაუჯდებოდა ასეთი გულდაჯერებული იდეები.

ახალგაზრდა იყო. განა მარტო ახალგაზრდა... გენახათ, როგორ სწავლობდა სემინარიაში ქრისტეს ისტორიას — მისი ტანჯვა ისე განიცადა, გულამომჯდარი ტიროდა, როცა წაიკითხა გეთსიმანიის ბაღში ქრისტე იუდამ გასცაო! სამყაროს უდიდეს უბედურებად მიიჩნია იმ ცხელ დღეს, იმ თხემის ადგილზე ქრისტეს ჯვარზე გაკვრა. მაგრამ მაშინ ნაკლებგამოცდილ ბიჭს არ უფიქრია: იქნებ ამქვეყნად არსებობს კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც სამყარო ყველაზე მეტად თავის შვილებს სწორედ უწმინდესი იდეებისა და

ეკლესიადილისათვის სჯისო? შეიძლება ლირდა ეფიქრა: იქნება ესაა ამგვარი იდეების არსებობის ფორმა და გამარჯვების საშუალებაო? იქნებ მართლა ასეა! იქნებ სწორედ ეგაა ასეთი გამარჯვების საზღაური, მაშინ?

თუმცა აბდია ჯერ კიდევ ადრე ესაუბრა ამ საკითხზე ვიქტორ გოროდეცკის, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ტოლები იყვნენ, მამის სახელით მიმართავდა. ხოლო ეს საუბარი მანამდე გაიმართა, ვიდრე აბდია სასულიერო სემინარიიდან წამოსვლას გადაწყვეტდა.

— აბა, რა უნდა გითხრა? იცი, ყრმაო მამაო, ნუ მიწყენ, აბდია, თუ ხანდახან ყრმაო მამაოს გეძახი, მაგრამ სიტყვების უკეთესი შეთანხმება არ იქნება, — ეუბნებოდა გოროდეცკი აბდიას, როცა თავის სახლში მასთან ერთად ჩაის სვამდა. — შენ სემინარიიდან წამოხვალ, ალბათ ეკლესიიდან მოგვკვეთენ, დარწმუნებული ვარ, მოძღვარნი არ მოითმენენ, რომ ისინი ხმალში გამოიწვიო და ისე დატოვო... მით უმეტეს, მოდიხარ ეკლესიისთვის, ასე ვთქვათ, იშვიათი და ძალიან უსიამოვნო მიზეზით — არა იმიტომ, რომ რაიმე უსამართლობა იწვნიე, გაწყენინეს, შეგაგვიწროვეს, არც იმიტომ, რომ რომელიმე საეკლესიო პირს წაეჩხუბე, არა, ყრმაო მამაო, ეკლესიას შენს წინაშე ბრალი არაფერში მიუძღვის... მასთან კავშირს, ასე ვთქვათ, წმინდა იდეური მოსაზრებების გამო წყვეტ.

— დიახ, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, ასეა. აშკარა მიზეზები არ არსებობს, წყენაო — ეს მეტისმეტი გამარტივება იქნებოდა საკითხისა. საქმე სულაც არ მეხება მე, უბრალოდ ტრადიციული რელიგიები სადღეისოდ მოძველდა, არ შეიძლება სერიოზულად ილაპარაკო რელიგიაზე, რომელიც ნავარაუდევი იყო გაღვიძებული დაბალი ფენების გვაროვნული შეგნებისთვის. თვითონ მოგეხსენებათ, თუ ისტორია შეძლებს რწმენის მსოფლიო ჰორიზონტზე ახალი ცენტრალური ფიგურა წამოსწიოს — ფიგურა თანამედროვე ღმერთისა, რომელსაც სამყაროს ახლანდელ მოთხოვნილებათა შესაბამისი ახალი ღვთაებრივი იდეები ექნება, მაშინ კიდევ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სარწმუნოება რაღაცად ეღირება. აი, ჩემი წამოსვლის მიზეზი.

— მესმის, მესმის! — ლმობიერად გაუღიმა გოროდეცკიმ აბდიას. ჩაი მოხვრიპა და განაგრძო, — ეს ყველაფერი თავზარდამცემად ეღერს. მაგრამ ვიდრე შენს თეორიას შევეხებოდე, უნდა გითხრა, რომ ვზივარ ახლა, ვსვამ ჩაის და ნამდვილად მიხარია, რაკი მე და შენ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ. ასეთი გაუგონარი ერესისათვის კათოლიკურ ევროპაში სადმე, ესპანეთში ან იტალიაში, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რის თქმაც გაბედე, ხოლო მე წინააღმდეგ

მოვისმინე, ორივეს, ყრმაო მამაო ჩემო, ჯერ ხელ-ფეხსა და თავს მოგვკვეთდნენ, შემდეგ კოცონზე დაგვწვავდნენ, შემდეგ ჩვენს ნაშთს დაფქვავდნენ და ნაფქვავს ქარს გაატანდნენ. ო, რა სასტიკად და სიამოვნებით გაგვისწორდებოდა ინკვიზიცია! თუ წმიდათაწმიდა ინკვიზიციამ ერთი უბედური მხოლოდ იმისთვის დაწვა, რომ დააბეზღეს — უმანკო ჩასახვის ხსენებაზე იდუმალად ჩაიღიმაო, მაშინ უნდა ვიფიქროთ...

— ვიქტორ ნიკიფოროვიჩ, უკაცრავად, მაგრამ უნდა შემოგესიტყვო, — ჩაიცინა აბდიამ. იგი ნერვიულად იკრავდა სემინარიელის შავი სერთუკის ღილებს. — მესმის, გვარიანად გაგამხიარულე, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, ახლა რომ ინკვიზიცია არსებობდეს და ხვალ კოცონზე დაწვა მემუქრებოდეს ჩემი ერესის გამო, არც ერთ სიტყვას არ გადავთქვამდი.

— მჯერა, — თავი დაუქნია გოროდეცკიმ.

— ეს იდეა შემთხვევით არ დამბადებია. გამიჩნდა მას შემდეგ, რაც შევისწავლე ქრისტიანობის ისტორია და თანამედროვეობას დავაკვირდი [და მე დავიწყებ ღმერთის ახალი, თანამედროვე ფორმის ძიებას, თუნდაც ვერასოდეს ვპოვო იგი...]

— კარგია, რომ ისტორია ახსენე, — შეაწყვეტინა გოროდეცკიმ. — ახლა მე მომისმინე. შენი ახალი ღმერთის იდეა აბსტრაქტული თეორიაა, თუმცა, ჩვენი ინტელექტუალების ენით რომ ვთქვათ, რაღაცით ფრიად აქტუალურია. ეს შენი მოსაზრებები, როგორც ძველად ამბობდნენ, გონების ნაყოფია. შენ აპროგრამებ ღმერთს, ხოლო ღმერთი არ შეიძლება სინამდვილისაგან განყენებულად გამოიგონო, რა მიმზიდველი და დამაჯერებელიც უნდა ჩანდეს ეს საქმე. მესმის, ქრისტე რომ ჯვარზე არ გაეკრათ, ღმერთი არ იქნებოდა. ეს უნიკალური, მთელ ქვეყანაზე სამართლიანობის დამკვიდრების იდეით შეპყრობილი პიროვნება ჯერ მხეცურად მოკლეს ადამიანებმა, შემდეგ კი განადიდეს, ხოტბა შეასხეს, დაიტირეს, ბოლოს ხანგრძლივი ტანჯვით მოიპოვეს. აქ კი ერთმანეთს ერწყმის თაყვანისცემა და თვითბრალდება, მონანიება და იმედი, სასჯელი და შეწყალება — და კაცთმოყვარეობა, სხვა ამბავია, რომ შემდეგ ყველაფერი დამახინჯდა და გარკვეული ძალების გარკვეული ინტერესებისთვის გამოიყენეს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ყველა მსოფლიო საეკლესიო იდეის ბედი. ჰოდა, დაუფიქრდი, რა უფრო ძალმოსილია და მიმზიდველი, რა უფრო მახლობელია — მარტვილი ღმერთი, რომელმაც თავი გასწირა, ჯვარს ეცვა იდეის გულისთვის, თუ სრულქმნილი უმაღლესი არსება, თუნდაც თანამედროვე ყაიდაზე მოაზროვნე, ეს აბსტრაქტული იდეალი.

— მე ვფიქრობდი ამაზე, ვიქტორ ნიკიფოროვიჩ. მართალი ხართ.

მაგრამ არ შემიძლია, უარვყო ის აზრი, რომ დადგა დრო, ახალი თვალით შევხედოთ წარსულს, რარიგ ეჭვმიუტანელიც უნდა იყოს იგი, ღმერთის ცნებას, რომლის ახსნა დიდი ხანია აღარ შეესაბამება სამყაროს რაობის ახლანდელ ცოდნას. ეს ხომ აშკარაა. ნუ ვიკამათებთ. ფრიად შესაძლებელია, რომ ვეყრდნობი აბსტრაქციას, ვეძებ იმას, რაც არ უნდა ვეძებო. რა გაეწყობა! დაე, ჩემი აზრები არ ეთავსებოდეს კანონიკურ ღვთისმეტყველებას. ვერაფერს მოვუხერხებ ჩემს თავს. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ვინმე გადამარწმუნებდა.

გოროდეცკიმ ისე გაშალა ხელები, ნათქვამს მიგიხვდიო, აგრძნობინა:

— მესმის შენი, მამაო აბდია, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად უნდა გაგაფრთხილო — ეკლესიის მსახურთა თვალსაზრისით ღმერთმაძიებლობა ყველაზე საშინელი დანაშაულია ეკლესიის წინაშე. იგივეა, რაც მთელი სამყაროს თავდაყირა დაყენება განიზრახო.

— ვიცი, — მშვიდად მიუგო აბდიამ.

— მაგრამ უფრო მეტად არ უყვართ ღმერთმაძიებლობა ერისკაცებს, გიფიქრია ამაზე?

— ეს პარადოქსია, — გაუკვირდა აბდიას.

— ნახავ, აღდგომა და ხვალაო...

— როგორ? აქ მათი პოზიციები ერთმანეთს თანხვდება?

— არათუ თანხვდება, ღმერთმაძიებლობა არავის სჭირდება...

— უცნაურია, მაშ, ყველაზე საჭირო რამ არავის სჭირდება...

— ვფიქრობ, შავ დღეში ჩავარდები, მამაო აბდია. მე შენს ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდი, მაგრამ არც წინ გადაგეღობები, — უთხრა დასასრულს გოროდეცკიმ.

მართალი იყო გოროდეცკი. ყველაფერი მართალი თქვა. რამდენიმე ხნის შემდეგ აბდია კალისტრატოვს საშუალება მიეცა მისი სიმართლე ერწმუნა.

ეს პატარა ამბავი სემინარიიდან აბდიას გამოძევებამდე მოხდა. იმ დღეს ქალაქში ჩამოვიდა და სემინარიის რექტორატი ვაგზალში დიდის პატივით შეხვდა მნიშვნელოვან პიროვნებას — საპატრიარქოს სასწავლებლების კოორდინატორს — მამა დიმიტრის. მას სემინარიაში ასევე მამა კოორდინატორს ეძახდნენ. კეთილსახიერი და კეთილგონიერი მამა კოორდინატორი ამჯერად საგანგებო შემთხვევის გამო ჩამობრძანდა. ერთი ყველაზე საუკეთესო სემინარიელი აბდია კალისტრატოვი ერესის გზას დაადგა — თანამედროვე ღმერთის საეჭვო იდეა წამოაყენა და აშკარად მოინდომა საღვთო წერილის ხელახლა გაჩხრეკვა. რასაკვირველია, მამა კოორდინატორი ჩამოვიდა, როგორც მოძღვარი და მშვიდობისმყოფელი, სურდა გზას აცდენილი ყმაწვილი თავისი ავტორიტეტით ეკლესიის წიაღში დაებრუ-

ᲡᲘᲙᲘᲡᲐ და უსიამოვნებას გარეთ არ გაეკონა. ამ თვალსაზრისით. ეკლესია არაფრით არ განსხვავდებოდა საერო ინსტიტუტებისგან, რომელთათვის ყველაზე მთავარი ისაა, სახელი არ შეელახოთ. აბდია კალისტრატოვის ადგილზე რომ მეტი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე სხვა ყმაწვილი ყოფილიყო, კოორდინატორის მამობრივ განზრახვას გულთან მიიტანდა, მაგრამ აბდიამ სრულიად გულწრფელად ვერ გაუგო ეკლესიის გამოჩენილ მსახურს, რითაც მას ძალიან გაურთულა საქმე.

აბდია მამა კოორდინატორთან სასაუბროდ შუადღით იხმეს და მასთან სამ საათამდე დარჩა. თავდაპირველად მამა კოორდინატორმა შესთავაზა, ერთად ვილოცოთ ეკლესიის საკურთხეველთანო. ეკლესია მთავარი კორპუსის ერთ-ერთ დარბაზში იყო გამართული

— შვილო ჩემო, უთუოდ ხვდები, რომ მინდა სერიოზულად გესაუბრო, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, კეთილინებე და საკურთხეველთან მიმაცილე, — სთხოვა მამა კოორდინატორმა აბდიას, თან გადმოკარკლულ, მოწითალო თვალებს არ აშორებდა. — ვგრძნობ, რომ ჯერ ერთად უნდა ვილოცოთ.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მღვდელმთავარო, — უთხრა აბდიამ [— მე მზად ვარ. პირადად ჩემთვის ლოცვა უზენაესზე განუწყვეტელი ფიქრის კონტრაპუნქტია. მე მგონი, თანამედროვე ღმერთზე ნიადაგ ვფიქრობ]

— აგრე ნუ ვიჩქარებთ, შვილო ჩემო, — თავშეკავებულად შეესიტყვა მას კოორდინატორი და სავარძლიდან წამოდგა. მან მოუყრუა კიდევაც თანამედროვე ღმერთზე, კონტრაპუნქტზე ნათქვამ თამამ ფრაზას, დიდად გამოცდილმა ეკლესიის მსახურმა არ ისურვა თავიდანვე გაემწვავებინა საუბარი. — ვილოცოთ. უნდა გითხრა, — განაგრძო მამა კოორდინატორმა. — რაც უფრო მეტ ხანს ვცხოვრობ ამქვეყნად, მით უფრო ვრწმუნდები, რაოდენ სათნოა უფალი! რაოდენ კეთილმოწყალედ გვეპყრობა და ბედნიერი ვარ, რომ ძალმიძს ეს თავდავიწყებულ ლოცვაში ვიგრძნო. უსასრულოდ გვპატიობს ყველაფერს. ჭეშმარიტად უსასრულოა უზენაესის სიყვარული ჩვენდამი. შესაძლოა, ჩვენი ლოცვები მისთვის მხოლოდ და მხოლოდ დაუფიქრებელი ტიტინია, მაგრამ ჩვენი და ღმერთის ურღვევ ერთიანობას გამოხატავს.

— მართალი ხართ, მღვდელმთავარო, — უთხრა კარებში მდგომმა აბდიამ.

შემდეგ, რაკი აგრე გამოუცდელი იყო და მოთმინება არ ჰყოფნიდა, ვერ გაუძლო საუბარში ზრდილობისათვის საჭირო პაუზას და უმალ გულახდილად თქვა თავისი სათქმელი:

[— შემოგბედავთ და მოგახსენებთ, რომ ღმერთი, ჩვენი გაგებით,

მარადისმყოფია, მაგრამ რაკი დედამიწაზე აზროვნება ვითარდება, ახალ-ახალი ცოდნით ივსება, იბადება დასკვნა: ღმერთსაც ხომ უნდა ჰქონდეს განვითარების თვისება? თქვენ როგორღა ფიქრობთ, მღვდელმთავარო?

აქ კი მამა კოორდინატორმა პასუხს თავი ვერ აარიდა.

— ნამეტანი ფიცხი კი ხარ, შვილო ჩემო, — უთხრა აბდიას. მღვდელმთავარი დროდარო ყრუდ ახველებდა და სქელი ქსოვილის შესამოსელს ისწორებდა. — ღმერთზე ასე მსჯელობა ახალგაზრდობითაც კი არ შეგშვენის. ჩვენ არ ხელგვეწიფება მარადისმყოფი შემოქმედის შეცნობა. იგი ჩვენს გარეშე არსებობს. მატერიალიზმიც კი აღიარებს, რომ სამყარო ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობს. ღმერთი კი მით უმეტეს.

— უკაცრავად, მღვდელმთავარო, მაგრამ უმჯობესია ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ. ჩვენი ცნობიერების გარეშე ღმერთი არ არსებობს.

— დარწმუნებული ხარ?

— დიახ, ამიტომაც ვამბობ.

— რა გაეწყობა, ნუ ავხსნით იმას, რაც ისედაც ნათელია. ვთქვათ, ვაწყობთ პატარა სასწავლო დისკუსიას. მას ჩვენ ლოცვის შემდეგ მივუბრუნდებით. ჯერჯერობით კი, იყავ მოწყალე, და ტაძარში გამყევი.

უკვე მარტო ის ფაქტი, რომ მამა კოორდინატორმა აბდიას პატივი დასდო ერთად ელოცათ აკადემიურ ეკლესიაში, საგანთა ლოგიკის მიხედვით კეთილმოსურნეობის ნიშნად უნდა მიგვეჩნია და სემინარიელსაც, რომელსაც გარიცხვა ემუქრებოდა, თითქოს უნდა ესარგებლა ამ მისთვის ხელსაყრელი ვითარებით.

ისინი დერეფანში მიაბიჯებდნენ — წინ მამა კოორდინატორი, მის გვერდით, ნახევარი ნაბიჯით უკან აბდია კალისტრატოვი. აბდია უცქეროდა მღვდლის წარმოსადეგ ტანს, მტკიცე სიარულს, იატაკზე მოფოფიალე შავ, ხალვათ ანაფორას, კოორდინატორს რომ განსაკუთრებულ სიდიადეს სძენდა, და ამ კაცში იგრძნო საუკუნეების მანძილზე დაუნჯებული ის ძალა, რომელიც დარაჯად უდგას რწმენის კანონებს და ადამიანის ყოველ საქმეში უპირველეს ყოვლისა საკუთარ ინტერესებს იცავს. სწორედ მას, ამ ოდითგან მოპირისპირე ძალას უნდა შეჯახებოდა აბდია ცხოვრებაში ჭეშმარიტების ძიების გზაზე. მაგრამ ახლა ორივე მიდიოდა უფალთან, რომლისაც ორივეს სწამდა თავთავისებურად და რომლის სახელით ვალდებულნი იყვნენ სხვების გულში ჩაენერგათ ყველასთვის საერთო აზრები, თუ რა იყო სამყარო და რა ადგილი ეჭირა ადამიანს იქ. ერთიცა და

მეორეც უფალზე ამყარებდა იმედს, ვინაიდან იგი ყოვლისმცოდნე და ყოვლად მოწყალე იყო. ამრიგად, ისინი მიდიოდნენ...

აკადემიურ ეკლესიაში იმ დროს არავინ იყო. ამიტომ არცთუ პატარა ჩანდა. სხვა მხრივ ჩვეულებრივი ეკლესია გახლდათ, ოღონდ დაბინდული საკურთხევლის სიღრმეში სანთლის მქრქალ შუქზე ერთობ თეთრად კრთოდა ქრისტეს ჩამუქებული თმით მოარშიებული, დაჟინებით, მდურვით მომზირალი სახე. მას მიაპყრო მზერა და ფიქრები ორივე მუხლმოყრილმა კაცმა — მწყემსმა და ახალგაზრდა მოწაფემ, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა თავისუფლად მსჯელობის უნარი. აქ იმ იმედით მოვიდნენ, პირადად ესაუბრათ უფალთან, ვინაიდან უფალს შეეძლო დღე-ღამის ნებისმიერ დროს სინქრონული დიალოგი გაემართა მასთან ლაპარაკის ურიცხვ მსურველთან, პრაქტიკულად მთელ კაცობრიობასთან დედამიწის ნებისმიერ წერტილში. აი, ამიტომ გახლდათ იგი ყველგან მყოფი.

ამჯერადაც ასევე იყო ყველაფერი: ლოცვისას ორივეს სურდა გამოეთქვა თავიანთი შეშფოთებაც, მწუხარებაც, გაემართლებინა ღვთის რწმენაზე დაფუძნებული თავიანთი მოქმედებანიც და შეეცადნენ თავიანთი თავი დაეკავშირებინათ წარმოსახვითი სამყაროსთვის, რომელშიც ესოდენ მიკროსკოპული ადგილი ეჭირათ ესოდენ მიკროსკოპული დროით. ორივე მათგანი პირჯვარს იწერდა და შემოქმედს მადლს მოახსენებდა, რომ ბედად ეწერათ ამქვეყნად მოვლენა, ორივე მათგანი შესთხოვდა, როცა უკანასკნელი დღე მოაწევდა, ნება მიეცა ისე მომკვდარიყო, ბაგეზე მისი სახელი შერჩენოდა...

შემდეგ ორივე ისევ დაუბრუნდა თავიანთ საქმეებს იმ კაბინეტში და გულახდილი საუბარი გააბეს.

— ასე რომ, შვილო ჩემო, ჭკუის სწავლებას არ დაგიწყებ, — თქვა მამა კოორდინატორმა და უფრო მოხერხებულად მოიკალათა ტყავის სავარძელში აბდია კალისტრატოვის წინ. აბდია სკამზე იჯდა, ხელები მორჩილად დაეწყო გამხდარ მუხლებზე, რომლებიც მკაფიოდ გამოჭკვეთოდა სემინარიელის ნაცრისფერ სამოსში.

აბდია მკაცრ საუბარს ელოდა და ასეთმა დასაწყისმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა — მღვდელმთავრის თვალებში ვერც მრისხანება ამოიკითხა, ვერც უკეთური ზრახვები, პირიქით, მამა კოორდინატორი ფრიად მშვიდად გამოიყურებოდა.

— გისმენთ, მღვდელმთავარო, — მორჩილად მიუგო სემინარიელმა მამა კოორდინატორს.

— ასე რომ, ვიმეორებ, დატუქსვას და ჭკუის დარიგებას არ დაგიწყებ. ზემოქმედების ასეთი პრიმიტიული ხერხები საშენო არაა. მაგრამ სიტყვებმა, რომელთაც შენ წარმოთქვამ — არა იმდენად ქარაფშუტობის, რამდენადაც სიფიცხის გამო — არ შეიძლება გული

არ ატკინოს კაცს. ამასთანავე ალბათ შეამჩნიე, რომ გელაპარაკები როგორც ტოლი ტოლს. უფრო მეტიც, შენ საკმაოდ გონიერი ხარ და... ეკლესიის ინტერესების გამო გულახდილად გეტყვი: შენი გონება კი არ უნდა უპირისპირდებოდეს მის მოძღვრებას, პირიქით, განუყოფლად და უცილობლად უნდა ემსახურებოდეს უფლის აღთქმებს. არც ვმალავ ამას. თუმცა შემეძლო შენთვის ყურებიც ამეწია მამაშვილურად, ვინაიდან კარგად ვიცნობდი განსვენებულ მამაშენს. ჩვენ კეთილად ვუგებდით ერთმანეთს. მამაშენი ჭეშმარიტად ქრისტიანული სათნოებით აღსავსე კაცი იყო, ამასთანავე ფრიად განათლებული. მაგრამ აი, ბედმა შენთან შემახვედრა, აბდია, განსვენებული დიაკვნის ინოკენტი კალისტრატოვის, კანცელარიული ენით რომ ვთქვათ, მრავალი წელი ეკლესიის მსახურის შვილთან. მერედა რა გამოდის? არ ვფარავ, თავდაპირველად ბევრი კარგი რამ მესმოდა შენზე, მაგრამ ახლა აქ, თავად ხვდები, შემაშფოთებელმა გარემოებებმა მომიყვანეს. ჩანს, სარწმუნოების რევიზიას შესდგომიხარ, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ მოწაფე ხარ, თუ შენს სტატუსს გავითვალისწინებთ. შენი სრულიად შემთხვევითი გამონათქვამებიდანაც კი იმის გაგება მოვასწარი, რომ უფრო ასაკის გამო დასდგომიხარ ცდომილების გზას. მსურდა ასე მეფიქრა. საქმე ისაა, სიყმაწვილეს ათასგვარი მიზეზის წყალობით განსაკუთრებული თავდაჯერებულობა მოსდგამს, რასაც სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად ავლენს თავისი ტემპერამენტისა და აღზრდის კვალად. ოდესმე გსმენია, ხანში შესულ, ცხოვრებაში მრავალჭირნახულ კაცს სიცოცხლის დასასრულს ღმერთისადმი რწმენა დაეკარგოს ან თავისებურად განემარტოს საღვთო ცნებები? არა, ასეთი რამ თუკი ხდება კიდეც, უეჭველად ხდება ძალიან იშვიათად. ღვთაებრივის არსი სულ უფრო ღრმად შეიცნობა სწორედ ასაკის მატებასთან ერთად. სიტყვამ მოიტანა და აკი ახალგაზრდა იყო ყველა ევროპელი ფილოსოფოსი, კერძოდ ეგრეთ წოდებული ფრანგი ენციკლოპედისტები, რომლებმაც რევოლუციის წინა მშფოთვარე ეპოქაში რელიგიას ათეისტურად შეუტიეს და ეს შეტევა აგერ უკვე თითქმის სამასი წელი გრძელდება? ასე არაა?

— დიახ, მღვდელმთავარო, ახალგაზრდები იყვნენ, — დაუდასტურა აბდიამ.

— აი, ხომ ხედავ? განა ეს არ ნიშნავს, რომ სიყმაწვილისთვის ნიშანდობლივი ამგვარი ექსტრემიზმი — ახლა ეგ მოდური სიტყვაა — უწინარეს ყოვლისა, მისი ასაკობრივი თავისებურებაა?

— დიახ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს, რომლებიც, თქვენი აზრით, მღვდელმთავარო, ექსტრემისტები აღმოჩნდნენ, სამართლიანად ვთქვათ, ამასთანავე ხომ ჰქონდათ საკმაოდ საფუძვლიანი შეხედულებანი.

— უთუოდ, უთუოდ, — საჩქაროდ დაეთანხმა მამა კოორდინატორი. — მაგრამ ეგ განსაკუთრებული საკითხია. ყოველ შემთხვევაში ისინი მღვდელმსახურები არ იყვნენ, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ რელიგიასთან, მათი პირადი საქმე იყო, ამიტომაც სხვა რამ მოეთხოვებათ, შენ კი, შვილო ჩემო, მომავალი მწყემსი ხარ.

— მით უმეტეს, — შეაწყვეტინა აბდიამ. — იდეის მიხედვით ხომ ადამიანებმა მთლიანად უნდა ირწმუნონ ჩემი და ჩემი ცოდნისა.

— ნუ ჩქარობ, — მოიღუშა მამა კოორდინატორი. — თუ არ აპირებ ჩემი ნათქვამი შენსავე კეთილდღეობისათვის შეიგნო, სხვანაირად ვილაპარაკოთ. ჯერ ერთი, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც რწმენის წვდომის გზაზე წინააღმდეგობის ჟინი დაუფლებია. ეკლესია შენისთანა დაეჭვებულებს ბევრს იცნობს თავის არსებობის მანძილზე. მერე რა? ყოველ დიად საქმეს თავისი დურდო ახლავს. ასეთი წარმავალი ვითარებანი და შემთხვევითობანი იყო და იქნება კიდევაც. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სრულიად გარდაუვალია მათი ბოლო: სუბიექტი ან მტკიცე უარს ამბობს თავის ეჭვებზე და კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებითა და თავგამოდებით უცილობლად აღიარებს ჭეშმარიტ რწმენას, რის გამოც ზემდგომი მამები შეცოდებას უტევებენ, ანდა თუ სიჯიუტეს და წინააღმდეგობას გამოიჩენს, იმ ერეტიკოსს ეკლესიის წიაღიდან განაძევებენ და შეაჩვენებენ. შენთვის ნათელია, რომ მესამე გზა არ არსებობს, რომ მესამე გზა გამორიცხულია? შენს ახალ აზრებს არ აღიარებენ. გასაგებია შენთვის?

— დიახ, მღვდელმთავარო, მაგრამ ვფიქრობ, მესამე გზა უფრო თვით ეკლესიისთვისაა აუცილებელი, ვიდრე ჩემთვის.

— კარგი ერთი, — დამცინავად გააქნია თავი მამა კოორდინატორმა. — გაგონილა ასეთი რამის მოჩმახვა! — წამოიძახა და აბდიას ნიშნის მოგებით შესთავაზა: — მაშ, მოიღე მოწყალება და გვიბრძანე, ეს რა მესამე გზა განუმხადე წმინდა ეკლესიას. რაღაც რევოლუცია ხომ არა? ისტორია ხომ ჯერ არ იცნობს ამგვარ რამეს...

— ესაა მარადიული დახავსებულობის დაძლევა, დოგმატიზმისგან განთავისუფლება, ადამიანის სულს თავისუფლება — შეიმეცნოს ღმერთი, როგორც საკუთარი ყოფიერების უმაღლესი არსი...

— სდექ, სდექ! — პროტესტი განაცხადა მამა კოორდინატორმა. — სასაცილოა ეგ შენი თვითშემოქმედება, ძვირფასო!

— მღვდელმთავარო, თუ თქვენ გამორიცხავთ აზრის თვითმყოფადობას, როგორც ასეთს, მაშინ, სამწუხაროდ, ჩვენი საუბარი წყლის ნაყვაა!..

— დიახაც წყლის ნაყვაა! — გაცხარდა მამა კოორდინატორი და წამოდგა. — გონს მოდი, ყმაწვილო, — იჭექა მან. — უკუაგდე ამპარ-

ტავნობა! დამლუპველ გზას ადგახარ! უბედურო, გგონია, რომ ღმერთი მხოლოდ ნაყოფია წარმოსახვისა და ამიტომ ადამიანი თითქმის ღმერთია ღმერთსა ზედა, მაშინ, როცა თვით ცნობიერება ზეციერმა ძალამ შექმნა. ნებაზე მიუშვებ ახალ აზრებს და არარად აქცევ ათასწლოვან აღთქმებს და აკრძალვებს, რომლებიც ასე ძვირად, ნათელხილვებისა და ტანჯვის ფასად დაუჯდათ ადამიანებს, რათა ღვთაებრივი საფუძვლები თაობებში გამოეტარებინათ. აი, სად უმიზნებ, დოგმატისხმისგან განსათავისუფლებლად რომ იღვწი, მაშინ, როცა დოგმატები ღვთის მადლით მოგვეცა. ეკლესიას შეუძლია ახალი აზრების გარეშე იდგეს, როგორც იდგა. უდოგმატებოდ კი სარწმუნოება წარმოუდგენელია. ხოლო თუ საქმე ამაზე მიდგა, დაიმახსოვრე: დოგმატიზმი ყველა მდგომარეობისა და ყველა ხელისუფლების უპირველესი საყრდენია. დაიმახსოვრე: როცა შენ ახალი აზრებით ღმერთს ვითომდა აუმჯობესებ, სინამდვილეში უგულებელყოფ და მზად ხარ შენით შეცვალო იგი! მაგრამ კიდევ კარგი, რომ არც შენზე და არც შენისთანებზეა დამოკიდებული, როგორ მოგვექცეს ღმერთი — ხოლო შენი ღვთისგმობა მხოლოდ შენ გსპობს. ღმერთი კი უცვლელად და მარადის ჰგიეს! ამინ.

აბდია კალისტრატოვი ტუჩებგათეთრებული იდგა მამა კოორდინატორის წინ: ტანჯავდა მისი დაუოკებელი აღშფოთება, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა:

— მომიტევეთ, მღვდელმთავარო, არ ღირს ზეციურ ძალებს მივაწეროთ ის, რაც თვით ჩვენგან მომდინარეობს. რატომ შეგვქმნიდა ღმერთი ესოდენ არასრულყოფილებს, უკეთუ შეეძლებოდა თავი აერიდებინა იმისათვის, რომ ჩვენ, მის ქმნილებებს, ერთდროულად არ გვქონოდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა — ძალა სიკეთისა და ძალა პოროტებისა. რისთვის შეგვქმნიდა ესოდენ ეჭვიანებს, ბიწიერებს, მზაკვრებს, მზაკვრებს თვით მის მიმართ. თქვენ იღვწით, რომ დაადგინოთ სარწმუნოების აბსოლუტი, საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჩავწვდეთ სამყაროსა და ჩვენი სულის არსს, მაგრამ ეს ხომ ულოგიკობაა — ნუთუ ქრისტიანობის არსებობის ორი ათასი წლის მანძილზე არ ძალგვიძდა ერთი სიტყვა მაინც დაგვემატებინა იმისთვის, რაც ითქვა ლამის ბიბლიამდელ დროში? თქვენ იბრძვით ჭეშმარიტების მონოპოლიისთვის, მაგრამ ეს ხომ მაინც თავის მოტყუებაა, ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს ისეთი მოძღვრება, თვით ღვთივ მოცემული, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლომდე შეეცნოს ჭეშმარიტება. და თუ არსებობს, მაშასადამე, ეს მოძღვრება მკვდარი ყოფილა.

აბდია კალისტრატოვი გაჩუმდა და ჩამომდგარ სიჩუმეში ქალაქის ეკლესიის ზარის რეკვა გაისმა. ისეთი მახლობელი და ნაცნობი

იყო ეს ზარის ხმა — სიმბოლური კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის — აბდიასაც მოუნდა ამ ბგერებივით გაფრენილიყო, განლტოლვილიყო, გამქრალიყო უსასრულობაში...

— ყმაწვილო, მეტისმეტად სცდები ზღვარს, — ცივი, უცხო კილოთი წარმოთქვა მამა კოორდინატორმა. — შენთან თეოლოგიის საკითხებზე კამათი არ უნდა წამომეწყო, ვინაიდან შენი ცოდნა ფრიად უმწიფარია და საეჭვოც კი; ადამიანთა მოდგმის მტრის — ეშმას წაქეზებით ხომ არ ლაპარაკობ? ისე, გამომშვიდობებისას ერთ რამეს გეტყვი: ამგვარი აზრებით თავს წააგებ, ვინაიდან ერისკაცებიც ვერ ითმენენ იმათ, ვინც ეჭვის თვალით უცქერის ფუძემდებელ მოძღვრებას; აკი ნებისმიერი იდეოლოგია იჩემებს, რომ თავადაა საბოლოო ჭეშმარიტების მატარებელი. შენც უსათუოდ შეეჯახები ამ საკითხს. ხოლო საერო ცხოვრება გაცილებით სასტიკია, ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს, და ძვირად დაგიჯდება შენი სიტუტუცე, გაიხსენებ ჩვენს საუბარს. მაგრამ კმარა, ემზადე სემინარიიდან წასასვლელად, განიკვეთები ეკლესიიდან — ღმრთის სახლიდან!

— ჩემი ეკლესია მუდამ ჩემთან იქნება, — უკან არ იხევდა აბდია კალისტრატოვი. — ჩემი ეკლესია თვითონ ვარ. მე არ ვცნობ ტაძრებს და მით უმეტეს არ ვცნობ მღვდელმსახურებს, განსაკუთრებით ისეთებს, როგორნიც დღეს არიან.

— რა გაეწყობა, ბიჭიკო, ღმერთმა ჰქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ სოფელი მორჩილებას გასწავლის, ვინაიდან იქ უსათუოდ თავად უნდა მოიპოვო ლუკმაპური. ეს წესი კი აქამდე მბრძანებლობდა მილიონობით შენისთანაზე...

მამა კოორდინატორის გაფრთხილებანი შემდეგ მართლაც არა ერთხელ და ორჯერ გახსენებია აბდია კალისტრატოვს, მაგრამ ყოველთვის მოსჩვენებია, რომ მთავარი რამ თავისი ხვედრისა, რაღაც უმაღლესი აზრი ჯერ კიდევ წინაა, როგორც ხილული ჰორიზონტის მოხაზულობა, რომ ყველა მოულოდნელი გართულება, ცხოვრებისეული გაჭირვება ამ მთავარის, უმაღლესი აზრისკენ სავალ გზაზე მხოლოდ დროებითია და დადგება დღე, როცა ბევრი ადამიანი მას, აბდიას მაგალითად დაისახავს. მერედა, განა ეს არაა ჩემი არსებობის მიზანიო? — ასკვნიდა კალისტრატოვი.

იმ დღეებში, როცა აბდია ანაშის მადევრებთან ერთად კანაფის ტრამალებისკენ მიდიოდა და მატარებლის ფანჯრიდან დილიდან საღამომდე გასცქეროდა უდაბურ სივრცეებს, თავის თავს ეუბნებოდა: „აი, ახლა თავისუფალი ხარ, არაფერი გბოჭავს რედაქციის დავალების გარდა, როგორც გინდა, ისე მოიქცევი. მერედა, რა იხილე

წამების გზაზე? აჰა, იგი, ცხოვრება, თავისი სახით, მის პირისპირ დგახარ. ადამიანები, როგორც ასი წლის წინათ, ისე მიდი-მოდიან მატარებლით და შენ ერთი მგზავრთაგანი ხარ, მადევრებიც ჩვეულებრივი მგზავრები არიან, მაგრამ პოტენციურად თავზეხელაღებული ხალხია — ისინი ხომ ერთადერთი საშინელი ბიწიერების მეშვეობით პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ის მწარე კვამლი თითქოს არაფერია, ტკბილი ბანგია, მაგრამ ადამიანში ადამიანს სპობს. მერედა როგორ დაიცავ მათ, როცა თვითონვე სწირავენ თავს? იცი, რა ასაზრდოებს ყველაფერ ამას? რა მიზეზები განაპირობებს? დუმხარ — არ იცი, რანაირად შეისწავლო, როგორ ახსნა, რა იღონო? განა სემინარიის კედლებიდან თავად არ მოიწევდი ცხოვრების უფსკრულისკენ, რათა ეს ცხოვრება თუნდაც რაღაცით გაგეუკეთესებინა? სემინარიელმა ამხანაგებმა იდეალისტად მოგნათლეს. ალბათ საამისო საფუძველი ჰქონდათ. ახლა კი უკვე ფიქრობ, სჭირდები თუ არა იმ მადევრებს, აუცილებელია თუ არა მათთვის, რომ საქმეები და საქციელი გაუქქო. მერედა, რა შეგიძლია გაუკეთო? გადაარწმუნო, აიძულო სხვანაირად იცხოვრონ? ჰოდა, ვიდრე შენ ეწამები, ფიქრობ, რა და როგორ მოეწყოს, ისინი მიდიან, მტკიცე მიზანი დაუსახავთ, სწყურიათ საქმე კარგად წაუვიდეთ და ეს მიაჩნიათ ბედნიერებად. მაინც რანაირად გადაარწმუნებ, რანაირად მოაქცევ ჭეშმარიტების გზაზე? თუ საქმეში არ ჩაერიე, არ დაეხმარე, ადრე თუ გვიან სასჯელს დაადებენ, კოლონიებში გაუშვებენ, მაგრამ ამას უბედურებად მიიჩნევენ და არა დანაშაულად. უნდა შეგეძლოს ბოროტებას აარიდო, განწმინდო მონანიებით, აიძულო თვითონ თქვან უარი დანაშაულებრივ რეწვაზე და ნამდვილ ბედნიერებად სხვა რამ მიიჩნიონ. რა დიდებული იქნებოდა ეს! მაგრამ რა უნდა მიიჩნიონ ბედნიერებად? ჩვენი რეკლამირებული ფასეულობები? მაგრამ ისინი ხომ საკმაოდ გაუფასურებული და გავულგარებულია. ღმერთი, რომელიც მათთვის პატარაობიდანვე ზღაპარი, ბაბუკა-ბებუკას სასაცილო რაღაცაა და მეტი არაფერი? საბოლოო ანგარიშით რას გააწყობს სიტყვა, როცა არსებობს შესაძლებლობა ხელად დაეპატრონონ დიდ-ძალ თანხას? ახლა ყველას გაზეპირებული აქვს მოარული აფორიზმი — მადლობას საქმეს ვერ ჩააკერებ, სამაგიეროდ ფული ფულია! მადევრების მიერ ნაშოვნი ეს ფული კი ალბათ არა მარტო ჩვენი, ადვილი შესაძლებელიცაა, სხვებისაც იყოს — აი, რამდენი მადევარი მოდის სანავსადგურო ქალაქებიდან — მურმანსკიდან, ოდესიდან, ბალტიისპირეთიდან, ამბობენ, შორეული აღმოსავლეთიდანაც არიანო. სად მიდის ანაშა და პლასტილინისა და ექსტრას ნაწარმი? მაგრამ განა საქმე ისაა, სად მიდის? რატომ ხდება ეს, რატომაა შესაძლებელი ასეთი რამ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოებაში,

რომელმაც მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა, ჩვენს სოციალურ სისტემას ბიწიერება ვერ გაეკარებაო. ო, ნეტავ მოვახერხებდე და ისეთ წერილს დავწერდე, მრავალთ უმრავლესი ადამიანი გამოეხმაუროს, როგორც ღვიძლ საქმეს, როგორც საკუთარ სახლში გაჩენილ ხანძარს, როგორც საკუთარი შვილების უბედურებას. როცა სიტყვას ბევრი არცთუ მოუკერძოებელი ადამიანი დაუჭერს მხარს, იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს მოერიოს ფულს და დაამარცხოს ბიწიერება! ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ასე მოხდეს, რომ სიტყვა ამაოდ არ ითქვას, თუ მართლა „პირველითგან იყო სიტყვა," მან ისევ გამოავლინოს პირვანდელი ძალა... ნეტავ ასე ვიცხოვროთ, ნეტავ ასე ვიფიქროთ...

მაგრამ, ღმერთო, ისევ შენ მოგმართავ: რა არის სიტყვა ტკიცინა ფულთან შედარებით? რა არის ქადაგება საიდუმლო ბიწიერებასთან შედარებით? როგორ უნდა დასძლიო სიტყვით ბოროტება? მომეცი ძალა, ნუ მიმატოვებ ჩემს გზაზე, მე მარტო ვარ, ჯერჯერობით მარტო, ისინი კი, ადვილი გამორჩენის წყურვილით შეშლილნი, ურიცხვნი...

* * *

მატარებელმა მოსკოვ-ალმაათამ უკან მოიტოვა სარატოვის მიწები. უკვე მეორე დღე-ღამეა ყაზახეთის მხარეებში მიიწევდა. აბდია კალისტრატოვი პირველად იყო კონტინენტის თურანის მხარეში და აოცებდა მხარის სიდიდე და მასშტაბები, რუსეთის მიერ ოდესღაც მოპოვებული გეოგრაფიული სივრცეები, თვალწინ იშლებოდა მართლაც უნაპირო შორეთი: თუ ციმბირთან ერთად ვიგულისხმებთ, გონებაში წარმოიდგინა აბდიამ, ეს ხომ ხმელეთის თითქმის ნახევარია... მერედა, რა იშვიათად ჩანს დასახლებული ადგილები... ქალაქები, სოფლები და აულები, სადგურები, რკინიგზის ასაქცევები, სახელდახელო ბაკები და სახლები რკინიგზას ეკვროდნენ, როგორც ფუნჯით კანტიკუნტი წანასმები ტრამალის თვალუწვდენელ ტილოზე, რომელიც მხოლოდ დაგრუნტულია, საღებავით არაა დაფარული და უღიმღამო ერთფეროვნება დაჰკრავს... ამ მხარეში კიდით კიდე გადაჭიმულიყო ტრამალები. ახლა აქ ყვავილობის ისეთი ხანა იდგა, როცა დიდი და მცირე ბალახი თავის აპოთეოზს აღწევს, მიწას სულ რამდენიმე დღით ეცვლება სახე, რათა შემდეგ ისევ გააუფერულოს ულმობელმა მზემ და კვლავ მთელი წელი ელოდოს გაზაფხულს...

ვაგონების ოდნავ გაღებულ ფანჯრებში ზღვად შემოდიოდა ტრამალის მოყვავილე ბალახის სურნელი. სურნელი განსაკუთრებით

მძაფრად იგრძნობოდა, როცა მატარებელი რომელიღაც უცნობ, ყოველი მხრიდან მოშიშვლებულ მცირე სადგურზე ყოვნდებოდა. ამ დროს გინდოდა დახუთული ვაგონიდან გამოჭრილიყავი და ლაღად გერბინა ბალახში. ბალახი ულამაზო ჩანდა, მაგრამ აბზინდას ისეთ სუნს გამოსცემდა, რომელსაც ერთდროულად ნიადაგის ნაჟურისა და სიმშრალის ნასუნთქი დაჰყვებოდა. უცნაურია, ფიქრობდა აბდია, ნუთუ ის წყეული კანაფი-ანაშაც ასე თავისუფლად იზრდება და ასე მომაჯადოებელ სუნს აფრქვევს? თითქოს უფრო მძაფრი და ცხარე სუნი უნდა ჰქონდეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რასაც გულახდილობის წუთებში მადევრები ჰყვებიან. რაც მთავარია, მადევრების თქმით, ანაშა გრძელღეროიანია, თითქმის წელამდე სწვდება ადამიანს. განა ყველგან ხარობს. გარკვეულ ადგილებში იზრდება და, მადლობა ღმერთს, ყველგან არ შეგხვდება. მისი გულისთვის უნდა იარო, იგი უნდა ეძებო. ანაშას მოპოვება რომ უფრო იოლად შეიძლებოდეს, ადვილი წარმოსადგენია, რა ამბები დატრიალდებოდა. ჰოდა, აი, მიდიან მადევრები შორეული სანავსადგურო ქალაქებიდან, ქვეყნის ერთი კიდედან მეორეში, ჯადოთი შეკრულებივით მიდიან გამაბრუებელი ანაშას საძებნელად. ჯერ კიდევ შორია, ჯერ კიდევ უნდა იარონ და კაცმა არ იცის, რით დამთავრდება ყველაფერი, რა მოჰყვება ამ საქმეს.

აბდია კალისტრატოვს ხანდახან ავიწყდებოდა თავისი საიდუმლო მგზავრობის მიზანი, წარმოსახვაში ხატავდა, ვინ და როდის სახლობდა ამ მხარეებში, იხსენებდა ამასთან დაკავშირებით წაკითხულ წიგნებს, ფილმებს, რომლებიც მოწაფეობისას ენახა, და უხაროდა, რომ ჯერ კიდევ ხვდებოდა გარდასული ცხოვრების ნიშნები და ნაკვალევი: წაბლისფერი აქლემების ჯოგები, ტრამალში მიტოვებული ქალაქებივით მიმოფანტული სასაფლაოები — მაზარები, რამდენიმე ალაჩოყისგან შემდგარი პატარა აულები, ხანდახან თვალმისაწვდენზე გამკრთალი იურტა — ეული კარავი და გულს უწურავდნენ სამყაროში მიკარგული ამ ძველი საცხოვრისის ბინადრები. დროდადრო ჩაიქროლებდნენ მხედრები — ეულად, ხან გუნდად, ზოგს ჯერ კიდევ ეხურა წაწვეტებული ქუდი, როგორსაც ძველად იხურავდნენ, და ძველებურად აკაზმულ ცხენზე იჯდა. და ფიქრობდა აბდია: რანაირად ცხოვრობენ აქ ადამიანები და დარდისა და უწყლობისგან რად არ იხოცებიან ამ უზარმაზარ სივრცეზე? ღამღამობითაც რანაირად სძლებენ? რას გრძნობს აქ ადამიანი ღამეული კოსმოსის პირისპირ? ალბათ რარიგ აშინებს და ზარავს სამყაროს უსაზღვროებაში თავისი სრული სიმარტოვის შეგრძნება; ალბათ ამიტომაც სიხარულს ჰგვრის ჩავლილი მატარებლები და სულაც არ უშლის ნერვებს, როგორც დიდი ქალაქების მცხოვრებთ. იქნებ პირიქითა-

ცაა: ტრამალის ღამეების დიდებულება სულში დიად ლექსებს ბადებს. [პოეზია ხომ ადამიანის სულის თვითგანმტკიცებაა მსოფლიო სივრცეში...]

მაგრამ ამგვარი ფიქრები მცირე ხნით ეუფლებოდა აბდიას. კვლავ აგონდებოდა, რომ ანაშას მადევრებთან ერთად მგზავრობდა, რომ საქმე ჰქონდა კანონის თვალსაზრისით დამნაშავე პირებთან და იძულებული გახდებოდა საგაზეთოდ ჩაფიქრებული სოციალურ-ზნეობრივი რეპორტაჟის გამო გარკვეულ დრომდე შერიგებოდა ამ ცხოვრებას, ანაშისტების გულში ჩაბუდებულ ბოროტებას. ასეთ წუთებში გულის კოვზთან უნებურ სიცივეს გრძნობდა, კუჭში — უსიამოვნო შეგრძნებას, ურჟოლის მომგვრელი ბუნდოვანი მღელვარება ეუფლებოდა, თითქოს თვითონ იყო ერთ-ერთი მადევარი, ამ დანაშაულებრივ საქმეებში გარეული კაცი. და ხვდებოდა იმათ შინაგან მდგომარეობას, ვისაც გულზე საიდუმლო ტვირთი აწევს, ხვდებოდა, რომ რა დიდიც უნდა იყოს დედამიწა, რა სიხარულის მომგვრელიც უნდა იყოს ახალი შთაბეჭდილებანი, სულ ერთია, არაფერს ნიშნავს, არაფერს მისცემს არც გონებასა და არც გულს, თუკი ცნობიერებაში არის თუნდაც პაწაწინა მტკივნეული წერტილი, რომელიც თანდათან განსაზღვრავს ადამიანის გუნებასაც და მის დამოკიდებულებასაც გარშემო მყოფთა მიმართ. როცა აკვირდებოდა მასთან ერთად კანაფის ტრამალებში მიმავალ მადევრებს და ცდილობდა, გულახდილად, აელაპარაკებინა ისინი, ფიქრობდა, ყოველ მადევართანამგზავრს, მიუხედავად გარეგნული თვითდაჯერებულობისა, ალბათ ტანჯავს თავისი საქმიანობა, განუშორებელი შიში აუცილებელი მისაგებელის წინაშეო, და ეცოდებოდა ყველანი. ამ ტანჯვის, შიშის გარდა ხომ სხვა რამით ვერ ახსნიდი მათ ყოყოჩობას, თავხედურ ჟარგონს, ბანქოს თამაშს, არყის სმას, გაბედულებას — გამარჯვება ან სიკვდილი — ვინაიდან სხვაგვარი ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. ამ ადამიანთა სულის დახსნა ბიწიერებისგან, განთავისუფლება ნიადაგ თანმდევი შიშისგან, რომელიც ჰაერში მიმოფრქვეული შხამივით სწამლავდათ — აი, რა ეწადა აბდია კალისტრატოვს, შემწედ უხმობდა მთელ თავის ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მართალია, მდიდარს არა, მაგრამ არცთუ მცირე ცხოვრებისეულ გამოცდილებას; ცდილობდა ამ დიადი ზრახვის აღსრულების მისადგომები მოეძებნა და ხვდებოდა, რომ სემინარიიდან წამოსული, ოფიციალურ ეკლესიას განშორებული, სულიერად მაინც რჩებოდა მოქადაგედ, და თუ ადამიანებს ჭეშმარიტებისა და სიკეთის სიტყვას ისე მიუტანდა, როგორც თვითონ ესმოდა — ეს იქნებოდა ყველაზე დიდი რამ, რის აღსრულებასაც შეძლებდა ცხოვრების გზაზე. ამ საქმის განსახორციელებლად აუცილებელი არ იყო ეკლესიის მსა-

ხური ყოფილიყავი, საჭირო გახლდათ ერთგულება იმისა, რასაც ეთაყვანებოდი. სინამდვილეში კი აბდიას, კეთილი სურვილებით აღვსილ ყმაწვილს, ჯერჯერობით სრულად ვერ წარმოედგინა, რას ბედავდა გონებისა და გულის კარნახით. აკი ერთია გულდაჯერებით ოცნება, ოცნებებში ბიწიერების დათრგუნვა და მეორე — სიკეთის ქმნა რეალურ ადამიანთა შორის, რომელთაც სულაც არ სწადიათ სათნოების გზაზე აყენებდეთ ვიღაც აბდია, მათნაირივე მადევარ-მომპოვებელი, ვინც ცხრა მთას იქით მათსავით მიეხეტება მუქთი ათასობით მანეთისთვის. რაში ეკითხება, თუ აბდია კალისტრატოვი კეთილშობილურ სურვილს შეუპყრია, უნდა მათი ბედი სინათლისკენ სიტყვის მეშვეობით შემოაბრუნოს, ვინაიდან ურყევად სწამს, რომ ღმერთი ცოცხლობს სიტყვაში და სიტყვამ რომ ღვთაებრივი ძალით იმოქმედოს, ნაღდი და სპეტაკი ჭეშმარიტებიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს სჯეროდა აბდიას, როგორც მსოფლიო კანონი, მაგრამ ჯერჯერობით ერთი რამ არ იცოდა: ბოროტება სიკეთეს მაშინაც კი უპირისპირდება, როცა სიკეთეს ბოროტების გზაზე შემდგართა დახმარება სურს... ამას აბდია შემდგომ გაიგებდა...

VI

მეოთხე დღის განთიადზე გამოჩენილი თოვლიანი მთების კუზიანმა განტოტებებმა მადევრებს აუწყა, რომ მატარებელი ჩუს და მუინყუმის ტრამალებს უახლოვდებოდა. სწორედ იქით მიემგზავრებოდნენ ისინი. თოვლიანი მთები მხოლოდ საერთო ორიენტირი გახლდათ ამ სივრცეებზე და, როცა მატარებელი ტრამალებში უფრო შორს შეიჭრებოდა, მხედველობის არედან გაქრებოდა მაგრამ აი, მიწის განაკიდეს გამოჩნდა მზე და ყველაფერს მშვიდი შუქი მოჰფინა, ვინ იცის, უკვე მერამდენჯერ. ესოდენ სხვადასხვა ბედის ადამიანებით სავსე მატარებელმა მთები გვერდზე მოიტოვა, ტრამალში ვაგონების გრძელ მწკრივად გაბრწყინდა და ბურით მოცული დაბლობისკენ გადაუხვია — იქით, საიდანაც მთები არ ჩანდა...

მადევარ-მომპოვებლები სადგურ ჟალპაკ-საზში უნდა ჩამოსულიყვნენ. აქედან კი თვითონ უნდა განეგრძოთ საკუთარი პასუხისმგებლობით, რისკით — თითოეულს ცალ-ცალკე უნდა ევლო, მაგრამ ერთიანი ჩანაფიქრის, ერთიანი ბრძანების შესაბამისად. და აბდია კალისტრატოვს ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, ვინ იყო იგი, მთავარი ამ საქმეში, რომელიც მათ ფხიზლად ადევნებდა თვალს, რომელზეც ზერექვერედ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

სადგურ ჟალპაკ-საზამდე სამი საათის სავალი რჩებოდა. მადევრები ჩასასვლელად მზადებას შეუდგნენ. პეტრუხამ დილიდანვე

მგზავრების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან წუხანდელი სმის შემდეგ დიდხანს იბანდა საპირფარეშოში. იგი თვით მთავარს უნდა ხლებოდა საბოლოო მითითებების მისაღებად. გუშინ საღამოს ძმაკაცებთან ერთად შამპანურით დაიწყო, მაგრამ შამპანური მათთვის ბავშვური გართობა იყო, ლიმონათივით სვამდნენ და შემდეგ არაყი შეუნაცვლეს. კინწი მოსწყდათ კიდევაც. მცირეწლოვანი ლიონკა მოიღვენთა და აბდიამ ძლივს დააყენა ფეხზე. როცა შეახსენეს, მალე ჟალპაკსაზი იქნებაო, მხოლოდ ამან აიძულა, თავისთვის ძალა დაეტანებინა და საწოლზე დამჯდარიყო. დაჯდა და გაბურძგვნილი თავი სუსტ გაჩხინკულ ჭუჭყიან კისერზე ჩამოეკიდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ღლაპი დანაშაულებრივი გზით საკმაო ფულს შოულობდა და რომ მისი ცხოვრება უკვე დაღუპული იყო.

მატარებელი თანაბრად და სწრაფად მიდიოდა ტრამალების სწორ სივრცეებზე. აქ, სადღაც, რომელიღაც ვაგონში, იმყოფებოდა თვით მთავარი. მასთან გაუჩქარა გამოლენჩებულმა პეტრუხამ, რომელმაც, საბოლოოდ რომ გამოფხიზლებულიყო, ერთი ჭიჭა სქელი და კუპრივით შავი ჩაი სულმოუთქმელად დალია. ეტყობა, თვით მთავარი სასმელს მაინცდამაინც არ ეტანებოდა. აბდია კალისტრატოვმა მთელ გზაზე ვერა და ვერ მოახერხა შორიდან მაინც დაენახა, თუმცა ყველანი ერთი მატარებლით მგზავრობდნენ. ვინ იყო, როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად? აბა, ასობით მგზავრში რას გამოიცნობდი. მაგრამ, ვინც უნდა ყოფილიყო, ფხიზლობდა კი უღრანში განაბული ლელქაშის ნადირივით, მთელ გზაზე თავი არაფრით გამოუმეღავნებია. პეტრუხა მალე დაბრუნდა ნაცემი ძაღლივით, პირქუში, გაბოროტებული, ძალიან დასერიოზულებული. რასაკვირველია, მთავარმა ზუსტად ჩამოსვლის წინა ღამეს გამართული ღრეობისათვის დედ-მამის სული ამოუტრიალა. არც გაემტყუნებოდა — ჟალპაკ-საზში ჩასვლისთანავე ანაშას მომპოვებლები საქმეს უნდა შესდგომოდნენ, რეგვენი პეტრუხა კი ისე გამოტყვრა, მთელი კვირა თავის ტკივილი გააწამებდა. პეტრუხამ უკმაყოფილოდ შეხედა აბდიას, თითქოს კალისტრატოვმა რაღაც დაუშავა, და წაიბურტყუნა:

— წავიდეთ, უნდა გელაპარაკო.

გავიდნენ ტამბურში, გააბოლეს. ვაგონის თვლებს რაკუნ-გრიალი გაჰქონდა.

— აი, რა, აბდია, მაშასადამე, დაიხსომე, — დაიწყო პეტრუხამ.

— ჰო, გისმენ, — შეიჭმუხნა აბდია.

— შენ კი ცხვირს ძალიან ნუ იბზეკ! — გაავდა პეტრუხა. — ნეტა ვინ მიგდიხარ, თუ იცი?

— რას ამბობ, პიოტრ, — სცადა აბდიამ მისი დაშოშმინება. — ტყუილ-უბრალოდ რად უნდა გაბრაზდე? რა ვქნა, არ ვსვამ, შენ კი

სვამ, ლანძღვა რა შუაშია? ისა სჯობს მითხრა, ამის შემდეგ რა ვაკეთოთ.

— რასაც მთავარი იტყვის.

სწორედ ამას გეკითხები. რა თქვა მთავარმა?

— შენი საქმე არაა, — გააწყვეტინა პეტრუხამ. — შენ ახალი ხარ. ამიტომ ჩემთან და ლიონკასთან ერთად წამოხვალ. ერთი სიტყვით, სამნი ვიქნებით. სხვა ბიჭები თავ-თავიანთთვის მიდიან, ზოგი ცალკე, ზოგი ძმაკაცთან ერთად.

— გასაგებია. ოღონდ სად უნდა წავიდეთ?

— ეგ შენ არ გეკითხება. მე წამომყვები. შევალთ ჟალპაკ-საზში და თვითონ გავუდგებით გზას. მეურნეობა „მუინყუმამდე" იქით მიმავალი მანქანებით ჩავაღწევთ. შემდეგ უკაცური ადგილები იწყება და უკვე ფეხით ვივლით.

— ოჰო?

— აბა, რა გეგონა, „ჟიგულით" ჩამიყვანენო? არა, ბიძია! იქ თუ ვინმე შეამჩნიეს, შეიძლება ხელიც ჩაავლონ, მაგრამ ვინც მანქანით ან მოტოციკლით ჩავა, იმისი საქმე მთლად წასულია.

— კარგი ერთი! თვითონ ის კი, თვითონ მთავარი სად იქნება, ვისთან ერთად მოდის?

— შენი რა საქმეა? — აღშფოთდა პეტრუხა. — რას კითხულობ წამდაუწუმ მის ამბავს? მოდის, არ მოდის, იქნებ სულაც არ მოდის. რაო, ანგარიშები უნდა ჩაგაბაროს, თუ როგორაა საქმე?!

— როგორ და ფერისნაირად. რაკი ჩვენი უფროსია, ყოველი შემთხვევისათვის უნდა ვიცოდეთ, სად იქნება.

— აი, სწორედ ეს არ უნდა იცოდე! — ქედმაღლურად განუცხადა პეტრუხამ აბდიას. — ჩვენი საქმე არაა, სად იქნება და როგორ იქნება. თუ დასჭირდი, მიწაში გიპოვის. — პეტრუხამ მრავალმნიშვნელოვნად იყურა, თითქოს ამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. შემდეგ აბდიას ჯიქურ მიაშტერა ამღვრეული, ჯერ კიდევ სასმელგამოუნელებელი თვალები. — შენ, კი, აბდიაი, მთავარმა შემოგითვალა: თუ ისე იმუშავებ, როგორც საჭიროა, ჩვენი მუდმივი მადევარი იქნები, ხოლო თუ ბოზი ხარ, გირჩევნია, მოუსვა აქედანო. აი, ჩავალთ სადგურში და ჩუმად წადი, საითაც გენებოს, ხელს არ გახლებთ, მაგრამ საქმეში რომ გახვალ, მორჩა, თავს ველარ დაგვაღწევ. იბოზებ და დედა გეტირებაო, გაიგე?

— რა თქმა უნდა, გავიგე. რაა აქ გაუგებარი. პატარა ხომ არა ვარ, — მიუგო აბდიამ.

— მაშ, დაიმახსოვრე: მე მისი ნათქვამი გითხარი, შენ მოისმინე, მერე არ დამიწყო, არ ვიცოდი და ვერ გავიგეო, ბოდიში და მაპატიეო.

— გეყოფა, პიოტრ, — გააწყვეტინა აბდიამ. — უაზროდ ნუ იმეორებ ერთსა და იმავეს. თავში არც მე მიყრია ბზე. ვიცი, რა საქმეზე მივდივარ, ისიც ვიცი, რა მინდა. შენ კი გიჯობს, ჩემი რჩევა ყურად იღო. დღეიდან მოკეტე და ლიონკას არ დაალევინო. ბრიყვია. შენტ რისთვის სვამ? აი, გავსწევთ იმ მხარეებში და გამოთაყვანებულებმა, თანაც ამ სიცხეში, რა უნდა ვიშოვოთ?

— გეთანხმები, — მოუჭრა პეტრუხამ და შვებით გაიღიმა, სველი ტუჩები დამანჭა. — რაც მართალია, მართალია. დამიჯერე, აბდია, წვეთს არ გავიკარებ და არც ლიონკას მივცემ ნებას. მორჩა, გათავდა!

ერთხანს ხმა არ გაუღიათ იმით კმაყოფილებს, რომ საუბარი ურთიერთ სასარგებლოდ დამთავრდა. მატარებელმა რწევა-რწევით გაუჩქარა საკვანძო სადგურ ჟალპაკ-საზისკენ, სადაც საწევები და მემანქანეები შეიცვლებოდნენ. ჩამომსვლელი მგზავრები უკვე ბარგს ალაგებდნენ. ლიონკამაც შეშფოთებით შემოიხედა ტამბურში. თავისტკივილისგან სახე შეჭმუხვნოდა.

— რას შვრებით აქ? — დაინტერესდა იგი. — არ მოვემზადოთ? ერთ საათში ჩავალთ.

— არხეინად იყავი, — მიუგო პეტრუხამ. — რა გვაქვს მოსამზადებელი. მე შენ გეტყვი, გოგოები გველოდება. ზურგჩანთას მოვიკიდებთ და ჰაიდა.

— ლიონია, — დაუძახა ბიჭს აბდიამ. — მოდი აქ. თავი გტკივა? — ლიონკამ დამნაშავესავით გააქნია თავი. — აი, მე და პიოტრმა გადავწყვიტეთ, რომ დღეის ამას იქით წვეთს არ გაიკარებ. თანახმა ხარ? — ლიონკამ მდუმარედ დაუქნია თავი. — აბა, წადი, ჩვენ ახლავე მოვალთ. მოვასწრებთ, ნუ წუხხარ.

პეტრუხამ საათს დახედა და თქვა:

— დრო ყელამდე გვაქვს. საათზე მეტი. — როცა ლიონკა წავიდა, აბდიას უთხრა: — მართალი თქვი ლიონკაზე. ეს ჩათლახი თვითონ იქაჩება დასალევად, დალევს და ფეხზე ვეღარ დგება, მაგრამ ახლა მორჩა. საქმე საქმეა. ეს ისე, გზაზე ცოტა წავიგლახავეთ. თან არ გეგონოს, ფული ლიონკას დავახარჯვინე. შეიძლება თვითონ რალაც იმასქნას... მე კი ჩემი ფულით ვსვამ.

— განა ესაა მთავარი, — გულმტკივნეულად შეეპასუხა აბდია. — საცოდავია ეგ ბიჭი.

— მართალს ამბობ, — მიხვედრილი კაცივით ამოიოხრა პეტრუხამ. ეტყობა, გულწრფელმა საუბარმა რომელიღაც აზრი მოაგონა, რომელიც კარგა ხანია არ ასვენებდა. — მისმინე, აბდია, აქამდე, ესე იგი, ჩვენამდე, რას აკეთებდი ან სად მუშაობდი? სპეკულანტი ხომ არა ხარ? თავს ნუ მოიკატუნებ. ამიერიდან ან ერთ მაგიდასთან

უნდა ვიქეიფოთ რესტორანში, ანდა კამერიდან განავლიანი ვედრო ვათრიოთ. ჩამოყაჭე ყველაფერი.

აბდიას არაფერი დაუმალავს:

— არავითარი სპეკულანტი მე არა ვარ, არც არავითარი თავის მოკატუნება მჭირდება. აქამდე სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი.

პეტრუხა ასეთ რამეს ალბათ სულაც არ ელოდა.

— მოიცა, მოიცა! სემინარიაშიო, მაშ, მღვდლობას სწავლობდი?

— ჰო, ასე გამოდის...

— ოჰო! — თვალები გადმოკარკლა პეტრუხამ, ტუჩები მოპრუწა და გიჟივით დაუსტვინა. — მერედა, რისთვის წამოხვედი იქიდან, თუ გამოგაგდეს?

— წამოვედი კიდევაც და გამომაგდეს კიდევაც. ერთი სიტყვით, წამოვედი.

— მაინც რა მოხდა? ღმერთი ვერ გაიყავით, თუ რა? — ეშმაკურად განაგრძო პეტრუხამ. — მოდი და ნუ გაგეცინება!

— ეტყობა, ვერ გავიყავით.

— ერთი მითხარი, რაკი ყველაფერი იცი... ღმერთი არის თუ არა?

— ამის თქმა ძნელია. ზოგისთვის არის, ზოგისთვის არა. ყველაფერი თვით ადამიანზეა დამოკიდებული. რამდენ ხანსაც იცოცხლებს ხალხი ამქვეყნად, იმდენ ხანს იფიქრებს, ღმერთი არის თუ არაო.

— კი, მაგრამ სადაა იგი, აბდია, თუ ვთქვათ, არის?

— ჩვენს ფიქრებში და ჩვენს სიტყვებშია...

პეტრუხა გაყუჩდა. ნათქვამს უკვირდებოდა. უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ არაკუნდა ვაგონების თვლები — მათი ხმაური ვიღაც გამვლელი მგზავრების მიერ ტამბურის ღიად დატოვებული კარიდან შემოდიოდა. პეტრუხამ კარი დახურა. თვლების ჩამცხრალ რაკარუკს მიაყურადა, და ბოლოს თქვა:

— გამოდის, რომ მე ღმერთი არა მყავს. შენ კი გყავს თუ არა, აბდია?

— არ ვიცი, პიოტრ. მინდა ვიფიქრო, რომ მყავს, მინდა მყავდეს...

— მაშასადამე, გჭირდება?

— ჰო, ჩემთვის აუცილებელია...

— მოდი და ელაპარაკე ამას, — დაიღრინა პეტრუხამ. ეტყობა, რაღაც ეწყინა. — მაშ, რა ჩემ ფეხებად მოგვყვები ჩვენ, თუკი ღმერთი გჭირდება?

აბდიამ გადაწყვიტა, ჯერჯერობით საუბრის გაღრმავების დრო არ დამდგარა და აქ არც საამისო ადგილიაო.

— ფულიც ხომ საჭიროა, — უთხრა შემრიგებლურად.

— ე, როგორ აჭიკჭიკდი. ან ღმერთი ან ქარის მოტანილი ფული. თვითონ კი მაინც ფულს გამოედევნე, არა!

— ჰო, ჯერ ასეა, — იძულებული გახდა აბდია, ეღიარებინა.

ამ საუბარმა აბდიას ფიქრის საბაბი მისცა. ჯერ ერთი, ნათლად გამოარკვია, რომ ის, ვინც ანაშას მადევრების მგზავრობას მთელი გზა უხილავად უწევდა კონტროლს, უაღრესად უნდო, ანგარიშიანი, ალბათ სასტიკიც იყო და, თუ დაეჭვდებოდა, ოპერაციის რომელიმე რგოლში არასასიკეთო რამ ხდებაო, ყველაფერს გააკეთებდა, რათა შური ეძია, რომ თავისი თავი და თანამდგომნი საფრთხეში არ ჩაეგდო. ეს მოსალოდნელი იყო. ამიტომაც არსებობდა ნარკოტიკებით ვაჭრობა. მეორე, რაც პეტრუხასთან და სხვებთან ლაპარაკიდან დაასკვნა აბდიამ, ის იყო, რომ აზრი ჰქონდა მადევრებზე სიტყვით ზემოქმედებას, რომ მოქადაგეს ნდობით აღსავსე საუბრები უნდა გაემართა, სიტყვით უნდა ჩაეგონებინა სიკეთე და არაფრად ჩაეგდო მოსალოდნელი საფრთხე /აკი თავგანწირულ მისიონერებსაც ოდესღაც აფრიკის ველურ ტომებთან მიჰქონდათ ქრისტეს სიტყვა და ამით საფრთხეში იგდებდნენ სიცოცხლეს/, ვინაიდან სიცოცხლის ფასად სულთა ხსნა შეიძლება საბოლოო შედეგი, ბედი, აზრი ყოფილიყო მისი ცხოვრებისეული გზისა და ასე ცხონდებოდა თვითონ.

სადგურ ჟალპაკ-საზში დაახლოებით თერთმეტ საათზე ჩავიდნენ. ჟალპაკ-საზი საკვანძო გადასაჯდომი სადგური იყო, საიდანაც ორი ტოტი განთიადისას ალანდული შორეული თოვლიანი მთებისკენ გადიოდა. ამიტომ აქ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი უამრავი მგზავრი იყრიდა თავს, რაც მადევრებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა: სადგურის ფაციფუცში შეიძლება მათი არსებობა ვერავის შეემჩნია. ყველაფერი ისე მოგვარდა, უკეთესი არ იქნებოდა. აბდიას გაუკვირდა, რა მოურიდებლად და საქმიანად შეაღწიეს მადევრებმა ვაგზლის სასადილოში სადილობის დროს. აბდიას ჩათვლით აქ სულ თორმეტი კაცი აღმოჩნდა /ასე მოეჩვენა აბდიას/, ვისაც გზა უნდა განეგრძო ტრამალში ანაშას მოსაპოვებლად. მადევრები განცალკევებით უსხდნენ მაგიდებს — თითო-თითოდ, ორ-ორნი, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთი დაენახათ, თუმცა აშკარა ურთიერთობას თავს არიდებდნენ, არც გარეგნულად გამოირჩეოდნენ მგზავრთა შორის — ლიონკასთანა პატარები და პეტრუხასთანა მოზარდები აქ ქვეყნის ირეოდნენ. ყველა საიდანღაც მოდიოდა თუ სადღაც მიდიოდა ზაფხულის შუა სეზონში — ეს იყო ნიშანდობლივი ნარევი აზიური და ევროპული სახეებისა... მართალია, სასადილოში წამდაუწუმ შემოდიოდნენ მილიციის მუშაკები, რათა თვალ-ყური ედევნებინათ წესრიგისათვის, სადგურშიც ყოველ ნაბიჯზე ტრიალებდა მილიციელი, მაგრამ მადევრები ამას აინუნში არ აგდებდნენ. მათ სწრაფად

ისადილეს და ადგილი დაუთმეს სხვებს, რომელნიც თავის რიგს ელოდნენ, რომ საჭმელი ეჭამათ. შემდეგ რაღაც უხილავ ნიშანზე შეუმჩნევლად მიდგნენ-მოდგნენ თავ-თავიანთი ბარგითურთ — ზურგჩანთით თუ პატარა პორტფელითურთ, რომლებშიც პური, კონსერვები და სხვა საჭირო რამ ეწყოთ. ასე წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ადგილებზე, გაუჩინარდნენ მუინყუმისპირა ტრამალების უნაპირო სივრცეებში.

პეტრუხა, აბდია და ლიონკა ერთად წავიდნენ, როგორც ჰქონდა ჩაფიქრებული და დადგენილი მთავარს, რომლის დანახვა აბდიამ ვერა და ვერ მოახერხა, მაგრამ ეჭვი არ იყო, უხილავად ხელმძღვანელობდა მთელ ოპერაციას. პეტრუხა, ლიონკა და აბდია ყველაზე შორეულ მხარეს, თითქმის მუინყუმისკენ მიდიოდნენ, ჩამოვლილ საბარგო მანქანას მიჰყვებოდნენ საბჭოთა მეურნეობა „უჩქუდუქის" განყოფილებამდე. მგზავრობის ქირა ოცდახუთი მანეთი პეტრუხამ მთავარის მიერ მოცემული ფულიდან გადაიხადა. მათ ყოველი შემთხვევისათვის მოიგონეს, თითქოს კერძოდ მომუშავე ხელოსნები იყვნენ. აბდიას ხუროდ — ამ მხარეებში ყველაზე საჭირო კაცად — უნდა გაესაღებინა თავი. სიტყვამ მოიტანა და მისი ხუროობა ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა: მამამ ბავშვობაშივე შეასწავლა ეგ საქმე და მართლაც გვარიანი ხურო დადგა. პეტრუხამ აბდიას ზურგჩანთაში, ესეც ყოველი შემთხვევისათვის უბრალო ხელსაწყოები — რანდა, ნაჯახი, სატეხი — ჩაუწყო, რომლებიც წინდახედულად წამოეღო შინიდან. თვითონ პეტრუხა და ლიონკა კი თითქოს მებათქაშეები და მღებავები, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ, ახლა არდადეგები ჰქონდათ და საშოვარზე წამოვიდნენ შორეულ „უჩქუდუქში", მუინყუმისპირეთის ტრამალში უნდოდათ სახლების მშენებლობაზე ფული ეშოვათ. ამგვარი ვერსია სავსებით ჰგავდა სიმართლეს.

პაპანაქება იდგა, მაგრამ გადახდილ სატვირთო მანქანის ძარაზე არა უშავდა რა — არც ისე აცხუნებდა და ტრამალის გრილი ნიავიც უბერავდა. გზა კი, როგორც ყველა თემშარა, არაფრად ვარგოდა, მთლად გაფუჭებული იყო.

როცა შოფერი მანქანას ოღროჩოღროებთან დაამუხრუჭებდა, თვლებქვემოდან მტვრის ისეთი ბუღი იჭრებოდა, ხელებს თუ დაინიავებდი და დროდადრო ამოახველებდი, თორემ სხვას ვერაფერს გააწყობდი. ერთად-ერთი რამ, რის გამოც შეიძლებოდა ამ მძიმე გზას შერიგებოდი, ირგვლივ გაშლილი სივრცეები იყო. უნებურად გულში გაივლებდი: ფრთები რომ მომცა, დედამიწას გადავუფრენდიო... „ახლა თითქოსდა თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ დედამიწა

პლანეტაა, — ფიქრობდა კაბინასთან მდგომი აბდია. — მერედა რარიგ ევიწროვება პლანეტა ადამიანს, რარიგ ეშინია, ვერ დავეტევი ზედ, საზრდოს ვერ ვიშოვი, ვერ შევეგუები ჩემივე მსგავსთო. მიზეზი ის ხომ არ არის, რომ წინასწარი შეგონების, შიშის, სიძულვილის შედეგად პლანეტა სტადიონის ზომამდე დაჰყავს, სადაც ყველა მაყურებელი მძევალია, ვინაიდან ორივე გუნდმა მოგების გულისთვის თან მოიტანა ბირთვული ბომბები, ხოლო გულშემატკივრები ყოველივეს მიუხედავად ღრიალებენ: გოლი, გოლი, გოლი! აი, სწორედ ესაა პლანეტა. მაგრამ თითოეული ადამიანის წინაშე ხომ კიდევ მარადიული ამოცანა დგას — ადამიანად დარჩეს დღეს, ხვალ, ყოველთვის. ამით იქმნება ისტორია. საით მივდივართ ახლა, რა უაღრესად მნიშვნელოვანი საჭიროებისათვის ეძებენ ადამიანები საწამლავს თავისთვის და სხვებისთვის, რა უბიძგებს მათ ამ საქმისკენ და რას პოულობენ საკუთარი თავის უარყოფის საშინელ გარემოში!"

* * *

უჩქუდუქში, ამ მართლაც გადაკარგულ და ღვთისგან დავიწყებულ ყაზახურ სოფელში, მადევრებმა უმალ იშოვეს საქმე — მორიგდნენ, ერთი მეცხვარის დაუმთავრებელ სახლში რამდენიმე დღე კედლები ელესათ, აგრეთვე სადურგლო სამუშაოები შეესრულებინათ. თვითონ მეცხვარეს საძოვარზე ფარა ჰყავდა წაყვანილი, ოჯახიც თან ახლდა, სახლი კი მეზობლად მცხოვრები ერთი ნათესავისათვის ჩაებარებინა: იქნებ შარშანდელივით გამოჩნდნენ კერძოდ მომუშავენი და დამიმთავრონო. მართლაც, დაბარებულივით მოვიდნენ პეტრუხა, აბდია და ლიონკა — ეს სამი ყოჩაღი მადევარი.

სამივე ამ სახლში ცხოვრობდა, რაკი გადახურული იყო და სიცხეებიც იდგა. კერია ეზოში გამართეს და რაღაცებს ხარშავდნენ კიდევაც. უნდა ითქვას, თავდაუზოგავად მუშაობდნენ. თვითონ პეტრუხა უთენია დგებოდა, მაშინვე აღვიძებდა თავისი არტელის წევრებს — აბდიას და ლიონკას, შემდეგ ყველანი საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, დაბნელებამდე წელს იწყვეტდნენ, ვახშმობდნენ ცეცხლის შუქზე და პეტრუხა მხოლოდ ამ დროს აძლევდა თავს უფლებას ცოტათი სული მოეთქვა და ფიქრებს მისცემოდა.

— აი, შენ, აბდია, გიყურებ და ძალიან კმაყოფილიცა ვარ — მუშაობ, როგორც წესი და რიგია. პატრონი, რა თქმა უნდა, ფულს მოგვცემს, მაგრამ ასეთი ფული, თუ გინდა იცოდე, ჩვენ ფეხებზე გვკიდია! ეს რა ფულია! აქ ისე, სხვის თვალის ასახვევად ვმუშაობთ. აი, როცა აქედან დავიძვრებით და კარგ ადგილზე ამოვყოფთ თავს,

რათა ორივე ხელით დავგლიჯოთ ის ყვავილი, სხვა ამბავი იქნება. ერთი დღე იხეტიალე ტრამალში, სამაგიეროდ მთელი წელიწადი მინისტრივით იცხოვრე. ლიონკა, შენ ხომ იცი! ეგრე არაა?

— ცოტა ვიცი, — მიუგო ლიონკამ, რომელიც სულ უფრო ნაკლებად იღებდა ხმას.

— ოღონდ იცოდეთ, ბიჭებო, — მკაცრად აფრთხილებდა მათ პეტრუხა, — სიტყვა არავისთან დაგცდეთ, არც აქაურ მეზობელთან, არც სხვა ვინმესთან. კეთილი ხალხია, მაგრამ მაინც, მოკვდით და სიტყვა არ დაგცდეთ, განსაკუთრებით, თუ ვინმე გამოტყვრა და გამოკითხვა დაიწყო. შენ, აბდია, თქვი: არაფერი ვიცი და არც მეკითხება, აგერ ის, მაშასადამე, მე, ჩვენი ბრიგადირია და იმას ელაპარაკე-თქო, მე კი პატარა კაცი ვარ, არაფერი გამეგება-თქო. გასაგებია?

აბა, რა უნდა გეპასუხა ამაზე — გასაგებია და მაშასადამე, იყოს გასაგები... ეგ არაფერი, აბდიას უფრო ის აწუხებდა, რომ ხმას ვერ ამოიღებდა, ვერ შეეცდებოდა, როგორმე გავლენა მოეხდინა ბიჭებზე, რომლებიც მოლიპულ გზას დასდგომოდნენ და სწყუროდათ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ის დანაშაულებრივი ფული მოეხვეჭათ. არადა სული სთხოვდა, სწორედ ხმა ამოეღო. სამწუხაროდ ამის უფლებას თავს ვერ მისცემდა. ვთქვათ და მოეხერხებინა აზრისა და სიტყვის ძალით შეერყია მადევრების რწმენა, აეძულებინა თავიანთ ზნედაცემულობაზე დაფიქრებულიყვნენ, ვთქვათ, ამ ორს შეესმინა გონების ხმა და გადაეწყვიტათ ხელი აეღოთ ასეთ ცხოვრებაზე, ვთქვათ, მაგრამ ვერ გაბედავდნენ და ვერ შეძლებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რაღაც მკაცრი ურთიერთთავდებობით უმტკიცესად იყვნენ გადაჯაჭვულნი სხვებთან, რომელთაც დაუწერელი უფლება ჰქონდათ, ისინი ღალატისათვის დაესაჯათ. მერედა, როგორ მოესპო ეს ბიწიერი ჯადოწრე? აბდიას მხოლოდ ერთი რამ ანუგეშებდა: როცა საკუთარი გამოცდილებით გაიგებდა, როგორ მოქმედებდნენ მადევარი ანაშისტები, ყოველივეს დიდ საგაზეთო წერილში აღწერდა, ხალხს თვალებს აუხელდა და ამით შეძლებდა კეთილშობილურ საქმეს გამოსდგომოდა. ეს იქნებოდა, როგორც თავად იმედოვნებდა, ახალგაზრდობის ფეხწაცდენილი ნაწილის სულის გადასარჩენად გამართული ზნეობრივი ბრძოლის დასაწყისი. მხოლოდ ამის შეგნება ეხმარებოდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ თვითონაც უნებურად გაერია მადევრების საქმეებში და პეტრუხას ჯგუფის წევრი გახდა.

უჩქუდუქში ყოფნის მესამე დღეს ერთი პატარა ამბავი მოხდა, რისთვისაც აბდიას დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, პეტრუხა კი ძალიან შეშფოთდა. თვითონ პეტრუხა იმ დროს ცოტა ხნით იყო

წასული, მოხუც მეზობელს, ომის ინვალიდს მოტოციკლში ჩაუჯდა და საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში გაჰყვა. იქ კონსერვები, სიგარეტი და შაქარი უნდა ეყიდა მარაგად, რადგან მეორე დღეს უთენია აპირებდნენ ტრამალში გასვლას, თითქოსდა სხვა ადგილას მიდიოდნენ საქმის ასაღებად.

ლიონკა სახლის შიგნიდან შელესვას ამთავრებდა, აბდიას ჩრდილში მოეკალეთებინა და ფარდულის კარს კრავდა. უცებ ქუჩიდან მოტოციკლის თრახთრახი მოისმა. აბდიამ მიმოიხედა, თვალებზე ხელი მოიჩრდილა. სახლის გვერდით დიდი მოტოციკლი გუგუნით გაჩერდა და მძღოლი მსუბუქად გადმოხტა ძირს. აბდიას გასაკვირად მოტოციკლისტი სრულიად ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. ნეტა როგორ მართავს ამ მძიმე მანქანას, თანაც ასეთ გზებზე? — გაივლო გულში აბდიამ. ქალმა თასმაჩამოკიდებული მრგვალი მუზარადი მოიხადა, ქარსაცავი სათვალე მოიხსნა, თავი გააქნია და მხრებზე სქელი ქერა თმა გადმოიშალა.

— ოფლად გავიღვარე! — გაიღიმა ქალმა და თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა. — მერედა რანაირად გავიმტვერე, ღმერთო ჩემო! — მხიარულად წამოიძახა, თან მტვერს იფერთხავდა. — გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ, — დარცხვენით მიუგო აბდიამ. მას პეტრუხას სულელური დარიგება გაახსენდა და გაიფიქრა: „ვინ არის? რატომ ჩამოვიდა?“

— მასპინძელი შინაა? — იკითხა ისევ ისე ალერსიანად მოღიმარმა მოტოციკლეტისტმა.

— რომელი მასპინძელი? — ვერ მიხვდა აბდია. — სახლის პატრონი?

— რაღა თქმა უნდა.

— ახლა აქ არ არის, სადღაც საძოვარზეა.

— თქვენ რა, არ გინახავთ?

— არა, არ მინახავს. არა, ვნახე, თვალი მოვკარი, ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა, მაგრამ მე არ დავლაპარაკებივარ.

— უცნაურია, როგორ არ დალაპარაკებიხართ, თქვენ ხომ, მგონი, აქ მუშაობთ, სახლს უშენებთ, არა?

— უკაცრავად, მაგრამ მართლა ვერ მოვასწარი დალაპარაკება. მგონი, ჩქარობდა. მას ჩემი უფროსი ელაპარაკა. პიოტრი ჰქვია. ახლა აქ არაა. მალე უნდა მოვიდეს.

— ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, უკაცრავად, რომ მოგაცდინეთ. ორმანის ნახვა მინდოდა. მეცხვარეა და იცის, რაც მაინტერესებს. ამიტომაც შემოვუარე, ვიფიქრე, შინ მივუსწრებმეთქი. კარგი, ბოდიში, მგონი, ხელი შეგიშალეთ.

— არა, რას ბრძანებთ.

ქალმა ისევ დაიხურა თასმაჩამოკიდებული მუზარადი, ძრავა აამუშავა, წასვლისას თვალსაფარიდან გამოხედა აბდიას და თავი ოდნავ დაუქნია. აბდიამაც პასუხად თავისდაუნებურად დაუქნია ხელი. შემდეგ მისი ფიქრები დიდხანს უტრიალებდა ამ თითქოსდა უმნიშვნელო, შემთხვევით ეპიზოდს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სულში ეჭვმა გაჰკრა: ეს მოულოდნელი სტუმრობა ანაშაზე წასვლის წინადღეს ცუდს ხომ არაფერი მოასწავებს, ქალმა რაიმე ხომ არ იუნოსაო. არა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. როცა ქალმა მოტოციკლი გააქროლა და უკან მტვრის კორიანტელი დატოვა, აბდიამ იგი თვალნათლივ, ზედმიწევნით ზუსტად წარმოისახა გონებაში, თითქოს გულში ჩაიდო, მთელი სიცოცხლის მანძილზე დაემახსოვრებინა. და ახლა გაკვირვებით და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ კარგი მოყვანილობისა იყო, ტანმომცრო, საშუალოზე ცოტა მაღალი, მაგრამ ყველაფერი ქალური და ანანაზომიერი ჰქონდა, როგორც სურდა თვით აბდიას. „არა, არ ვხუმრობ, — ისე ამბობდა, თითქოს ვინმეს ეკამათებოდა. — ქალი სწორედ ასეთი უნდა იყოს! სწორედ ასეთი უნდა იყოს ქალი". აბდიას დაამახსოვრდა ქალის მადლმოფენილი სახის უჩვეულოდ ნაზი ნაკვთები, მუქი თაფლისფერი, ლამის შავი, მოსხივეცისკარე თვალები. მას მხრებზე თავისუფლად ჩამოშლილი, სახეზე შემოვლებული თმა მთლად ქერა ჰქონდა და მუქი თვალებისა და ქერა თმის ეს შეხამება განსაკუთრებულ სიტურფეს მატებდა. აბდიას ყველაფერი მოსწონდა ქალისა: პატარა, ოდნავ შესამჩნევი ნაჭრილობევიც ლოყაზე /იქნება ბავშვობისას დაეცა?/, ისიც, რომ ასე კარგად ეცვა ჯინსი, ქურთუკი, ყელჩაკეცილი გაცვეთილი ჩექმები, ისიც, რომ ასე გულდაჯერებულად დაჰყავდა მოტოციკლი: თვითონ აბდიამ ხომ მარტო ველოსიპედის ტარება იცოდა... მერედა, როგორ დაირცხვინა, როცა ქალმა ჰკითხა, მასპინძელი სადააო, თვითონ კი — ვნახე, არა, არ მინახავს, არა, ვნახეო... პირდაპირ ღლაპივით უპასუხა, ნეტავ ასე რამ დააბნია? აბდია კალისტრატოვს იზიდავდა, ძალიან იზიდავდა ქალზე ფიქრი, თუმცა თითქოსდა მოსაგონარიც არაფერი ჰქონდა — მოვიდა, უეცრად წავიდა, მორჩა და გათავდა. მაინც ვინ არის, საიდან გამოჩნდა, ყველაფერზე ეტყობა, საიდანღაც ჩამოვიდა, მაგრამ რა მიზნით, მერედა რა უნდა ჰქნას ასეთმა ქალმა ასეთ უდაბურ ადგილებში?..

პეტრუხამ რომ გაიგო, ვიღაც უცნაურმა ქალმა მოტოციკლით შემოიარაო, ერთობ აფორიაქდა და დიდხანს და თავმომაბეზრებლად კითხულობდა, რას ლაპარკობდა, რა აინტერესებდა, აბდია, შენ რას პასუხობდიო. აბდიაც იძულებული გახდა რამდენჯერმე სიტყვასიტყვით ეამბნა ქალთან საუბარი.

— რაღაც სხვა ამბავია, რაღაც სხვა ამბავია, — ეჭვიანად აქნევდა თავს პეტრუხა. — ცუდია, რომ აქ არ ვიყავი, მაშინვე ვიცნოსავდი, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. იცი, აბდიაი, ჭკვიანი და წიგნიერი ხარ, მაგრამ მე შენზე უკეთ მოვაგვარებდი ყველაფერს, გამოვკითხავდი, რაზე მოვიდა, გამოვირკვევდი, ვინ იყო და რა უნდოდა, შენ კი, ძვირფასო, დაიბენი, ვატყობ, დაიბენი, თუმცა გაგაფრთხილე, ასეთ დროს როგორ მოქცეულიყავი.

— ნეტა რას განიცდი? — აბდია ცდილობდა პეტრუხასთვის გული გაეკეთებინა. — ასეთი შესაშინებელი ნეტა რა მოხდა?

— რა და, შეიძლება კვალში მეძებრები ჩაგვიდგნენ. იქნებ დასაზვერად და ამბების გასაგებადაა მოგზავნილი?

— მოეშვი სისულელის ჩმახვას!

— საინტერესოა, რას იტყვი, როცა ციხეში მოგაყუჩებენ ანდა მთავარი პასუხს მოგთხოვს, მან კი მეძებრებზე მკაცრად იცის პასუხის მოთხოვნა: ტყავს გაგაძრობს ან შეიძლება გაგასაღოს. იცი მაინც, რა არის გასაღება?

— დამშვიდდი, პიოტრ. რაც გელის, არ აგცდება. ამაზე ადრე უნდა გეფიქრა. აი, ლიონკა ჯერ პატარაა, მერედა ვინ გააბრიყვა? ან კიდევ შენ, რამდენი წლისა ხარ — ოცის ხარ, თუ არა? ჰოდა, რეგვენივით ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავ, ზედმეტ სიტყვას ვერ იტყვი, მთავარი არ განვარისხოო, ჯობდა, ჩაკვირვებოდი, შემდეგ რა იქნება. ესაა დასაფიქრებელი.

აბდიას ცდას წარმატება არ მოჰყოლია, პეტრუხა მაშინვე გაბრაზდა.

— ამეებს მოეშვი, აბდია, ლიონკასაც თავი დაანებე. შენ რომ მღვდლობას სწავლობდი, ეგ დაივიწყე. შენი ლამაზი სიტყვები ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს, მთავართან კი ჩვენ ფულს ვაკეთებთ. გასაგებია? ლიონკა ობოლია, ვის რაში სჭირდება, სამაგიეროდ ყელამდე ფული აქვს. როცა მინდა, მაშინ ვსვამ, როცა მინდა, მაშინ ვჭამ! შენი იგავ-არაკები კი კუჭს ვერ ამოავსებს. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ძმაკაცებთან ერთად ხოშიანად ატარო დრო, მაგიდები იზნიქებოდეს, გოგოები ესტრადაზე ისე მღეროდნენ, ჯიგარში გხვდებოდეს. აი, ჩემი ძმები, ძალიან გამრჯენი, ძალიან მშრომელნი არიან, მაგრამ ერთი განახა, როგორ შოულობენ ამ მანეთს! ვირივით მუშაობენ. მე კი შემიძლია ეგ მანეთიანი უკან გამოვისვა. ფული მარტო რეგვენს არ უყვარს. ხომ სწორია, ლიონკა?

— სწორია, — ლიონკა თანხმობის ნიშნად ნეტარი ღიმილით უქნევდა თავს, გული არაფერზე ეთანაღრებოდა.

ეს უფრო ყურის გახედნა იყო უფრო საფუძვლიანი საუბრის გასამართად. აბდია გრძნობდა, რომ ახლა ნამეტანი გადამლაშება არ

ღირდა, თორემ არავინ დაუჯერებდა, მადევარ-ანაშისტია და უპირველეს ყოვლისა ფულის შოვნა სწყურიაო.

მეორე დღეს რიბირაბოზე ადგნენ. შორეთში ცა პირს იტეხდა, ახლომახლო მიმოფანტულ კარ-მიდამოებს ჯერ კიდევ ეძინათ, ძაღლებიც კი არ ყეფდნენ, როცა სამი მადევარი უხმაუროდ გაუდგა გზას, ბოსტან-ბოსტან მიიწევდნენ გაშლილი ტრამალისკენ. პეტრუხას თქმით, არც ისე შორს იყვნენ წასასვლელნი. მან იცოდა, საით უნდა ევლოთ. აბდიას აღუთქვა, როგორც კი კანაფ-ანაშას დავინახავ, მაშინვე გაჩვენებო.

მალე აჩვენა კიდევაც. საკმაოდ მკვრივი, ღეროიანი, სწორი მცენარე, რომელსაც ღეროს გარშემო ყვავილედების ფოჩი ჰქონდა შემოვლებული, სწორედ ის ანაშა აღმოჩნდა, რის გულისთვისაც ისინი ევროპიდან აზიაში ჩამოვიდნენ. „ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ანაშას მაცქერალი აბდია. — გარეგნულად რა ჩვეულებრივი, თითქმის შამბივით მცენარეა და რაოდენი სიტკბოება აქვს, რომ ზოგნი ამ ბანგისთვის სულს ლევენ! აქ კი შენს ფერხთაა!“ დიახ, ეს ანაშა იყო. მზე უკვე ამოვიდა და დააცხუნა, მადევრები კი უკაცურ ტრამალში იდგნენ, სადაც ვერც ერთ ხეს ვერ დაინახავდით, მწკლარტე ველური კანაფის ყვავილის ფურცლებს თითებით სრესდნენ და განურინებელ სუნს ისუნთქავდნენ. მერედა, რა უცნაურ ხილვებს არ უბადებდა ანაშა მის მწევლებს მრავალი საუკუნის მანძილზე! აბდია ცდილობდა, წარმოედგინა ადრინდელი აღმოსავლური ბაზრები /მათ შესახებ წიგნებში წაეკითხა/ ინდოეთში, ავღანეთში ან თურქეთში, სადმე სტამბოლში ანდა ჯაიპურში ძველ ციხესიმაგრეთა კედლებთან, ოდესღაც ცნობილი სასახლეების კარიბჭეებთან, სადაც ანაშას დაუფარავად ყიდდნენ, ყიდულობდნენ, იქვე ეწეოდნენ, სადაც თითოეული თავისებურად, თავისი ფანტაზიის კვალობაზე ხედავდა მოჩვენებებს — ვის ჰარამხანების სიტკბოება ეზმანებოდა, ვინ შაჰის მოოქროვილ სპილოებზე დადგმული დიდებული ჩარდახების ქვეშ იჯდა და მოზეიმე ქუჩებში — ჭრელი ხალხის დუნდგოსა და ბუკის გრიალში მისეირნობდა, ვის ჩამკვდარი ცნობიერების წიაღში შობილი სიმარტოვის უკუნეთი ეჩვენებოდა, უკუნეთი, რომელიც ბადებს დაუოკებელ მძვინვარებას, სურვილს — მთელი სამყარო მოისპოს, დაიფერფლოს დაუყოვნებლივ, ახლავე, დაუხანებლად!.. ეს ხომ არ იყო ოდესღაც აყვავებული აღმოსავლეთის საბედისწერო დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი? ნუთუ გონების ამამღვრეველი ეს ტკბილი ბანგია ველური კანაფი, რომელიც უბრალოდ და ჩვეულებრივად იზრდება ამ მშრალ ტრამალებში?..

— აი, იგი, მშობლიური! — სიხარულით ამბობდა პეტრუხა და ხელს აშვერდა ტრამალს. — გახედე, აგერ კიდევ, აგერ კიდევ. ეს სულ

ისაა, ანაშაა! მაგრამ მოგროვებას აქ არ დავიწყებთ, ეგ რაა! ეს სხვათა შორის გაჩვენეთ. მე ისეთ ადგილებში წაგიყვანთ, ჭკუას დაკარგავთ...

მადევრებმა გზა განაგრძეს და ერთ საათში კანაფის ისეთ ხშირ შამბნარს წააწყდნენ, მარტო მის სუნზე შეზარხოშებულებივით გახალისდნენ. აქ კანაფი თავსაყრელად იყო და საქმეს შეუდგნენ: კრეფდნენ ანაშის ფოთლებსა და ყვავილებს და გასაშრობად ფენდნენ. პეტრუხა ამტკიცებდა, გაშრობა ორ საათზე მეტ ხანს არ უნდა გრძელდებოდესო. გაჩაღდა მუშაობა... და ყველაფერი ისე მიდიოდა, უკეთესი არ იქნებოდა, მაგრამ უცებ საიდანღაც შვეულმფრენის გუგუნი მოისმა. შვეულმფრენი დაბლა, ზედ ტრამალის თავზე მოიწევდა, თითქოს მადევრებისკენ მოფრინავდა.

— შვეულმფრენი, შვეულმფრენი! — ბავშვივით ხმამაღლა და მხიარულად აბღავლდა ლიონკა და ასკინკილას მოჰყვა.

მაგრამ პეტრუხა არ დაბნეულა.

— დაწექი, სულელო! — დაუყვირა და დედა შეუკურთხა.

სამივე პირქვე დაწვა, ბალახში მიიმალნენ. შვეულმფრენმა ოდნავ განზე ჩაიარა და საეჭვოა, მფრინავებს მადევრები შეემჩნიათ, მაგრამ პეტრუხა ვერა და ვერ დაწყნარდა და დიდხანს ტუქსავდა ლიონკას, ეგონა, შვეულმფრენი საგანგებოდ მათ დასაზვერად მოფრინდა.

— აბა, რა, — ბჭობდა იგი. — ზემოდან ყველაფერი ჩანს. თითოეული თაგვი ჩანს. ჩვენ კი, სულელებს, ასი ვერსიდან გვხედავენ. მფრინავი რაწამს დაგვინახავს, მაშინვე რაციით აცნობებს, სადაც საჭიროა, და თუ მილიცია მანქანებით დაგვესხა თავს, ვერსად წაუხვალ, ხელები უნდა ასწიო. გათავებულია შენი საქმე.

მაგრამ მალე პეტრუხასაც დაავიწყდა შვეულმფრენის ამბავი, საჭირო იყო მუშაობა. სწორედ იმ დღეს დატრიალდა წარმოუდგენელი ამბავი: აბდია მგლების ოჯახს გადააწყდა. ეს კი ასე მოხდა.

მადევრებმა შეისვენეს, წაიხემსეს და პეტრუხამ თქვა:

— მისმინე, აბდია. შენ უკვე თითქმის შეგვეთვისე, ჩვენი ძმაბიჭი გახდი. ჰოდა, აი, რას გეტყვი. მაშასადამე, ახალბედებისათვის, შენისთანებისთვის ასეთი კანონი გვაქვს. მაშასადამე, თუ პირველად ხარ საქმეზე, მთავარს გამოსაღები, ანუ საჩუქარი უნდა მიართვა, როგორც გინდა, ისე გაიგე.

საქმის ასეთი შემობრუნებით გაკვირვებულმა აბდიამ ხელები გაასავსავა.

— რა საჩუქარი?

— მოიცა, რას დაფეთდი? შენ რა, გგონია, მაღაზიაში უნდა ირბინო საჩუქრის საყიდლად? იქამდე რას მიირბენ. აი, მე, მაშასა-

დამე, რაზე გეუბნები. პლასტილინი უნდა მოაგროვო, თუნდაც ასანთის კოლოფის ოდენი. აგერ ბალახში გაირბენ-გამოირბენ, გეტყვი, როგორ კეთდება ეს. ხოლო იმ პლასტილინს, მაშასადამე, შეხვედრისას მიართმევ მეგობრობის ნიშნად. შენ ხომ ჭკვიანი კაცი ხარ, ყველაფერი გესმის: მთავარი უფროსია, შენ — ქვეშევრდომი, რა ნდობა ექნება შენი...

აბდია დაფიქრდა: ამას ხომ ჩემთვის თავისი აზრი აქვს — პლასტილინის, ანაშის მტვრის მასის, ყველაზე ფასეული პროდუქტის მეშვეობით ბოლოს და ბოლოს მთავართან შეხვედრის საშუალება მექნებაო. მერედა, როგორ სჭირდებოდა მასთან შეხვედრა! უცებ შეძლებდა იმ კაცთან ლაპარაკს, ვისაც ყველა მადევარი ემორჩილებოდა. „ძალაუფლება, ძალაუფლება. სადაც ორი კაცია, იქ უკვე ძალაუფლებაცაა!" — მწარედ ჩაიცინა აბდია კალისტრატოვმა.

— კარგი, — უთხრა აბდიამ პეტრუხას, — მაშასადამე, პლასტილინს მოვაგროვებ და მთავარს მივცემ. მაგრამ როდის მივცემ, სადგურში ხომ არა?

— ზუსტად არ ვიცი, — გამოტყდა პეტრუხა. — შეიძლება ხვალ მისცე.

— როგორ ხვალ?

— როგორ და ისე. შინ დაბრუნების დროა. კმარა. ხვალ კი ოცდაერთი რიცხვია. ხვალ დილის ოთხ საათამდე ადგილზე უნდა დავერჭოთ. ჰოდა, დავიძრებით.

— რომელ ადგილზე?

— იმ ადგილზე, — საქმეში ჩახედულობით იბღინძებოდა პეტრუხა. — შევიკრიბებით და გაიგებ. სამასოცდამეათე კილომეტრზე.

აბდიას მეტი აღარაფერი უკითხავს. ისედაც მიხვდა, რომ სამასოცდამეათე კილომეტრი ჩუს განშტოებაზე რკინიგზის რომელიღაც მონაკვეთი იყო. ახლა თავიდათავი სხვა რამ გახლდათ — მთავარს ალბათ იქ შეხვდებოდა და ალბათ ხვალ. ჰოდა, არ სჯობდა დრო არ დაეკარგა და ამ პლასტილინის შეგროვება დაეწყო?

საქმე მარტივი აღმოჩნდა, მაგრამ მეტისმეტად ილაჯის გამწყვეტი და ბარბაროსული. უნდა გაშიშვლებულიყავი და შამბნარში გერბინა, რათა კანაფის ყვავილების მტვერი სხეულზე მიგკვროდა. აბდიაც ამას აკეთებდა. ჰოდა, იმ დღეს კარგა გვარიანად ირბინა, ამდენი თავის სიცოცხლეში არ ურბენია! კანაფის მტვერი ძლივს შესამჩნევი, თითქმის მიკროსკოპული, თითქმის უფერული გახლდათ და სხეულს კი ეკვროდა, მაგრამ ამ ლამის უხილავი ფენის ჩამოწმენდა არცთუ იოლი იყო — რაც უნდა გეღონა, ხელთ ერთი ბეწო შეგრჩებოდა. აბდიას თაკარა მზეზე წინ და უკან მხოლოდ იმის შეგნება არბენინებდა, რომ ეს აუცილებლად სჭირდებოდა, რათა

მთავარს შეხვედროდა, რათა მასალები დაეგროვებინა, მადევრების ქცევის ფარული მამოძრავებელი ძალები გამოეაშკარავებინა და სიტყვის, გაზეთის მეშვეობით მთელი ქვეყნიერებისთვის გულისტკივილით შეეღაღადებინა.

აბდია ტრამალში ანაშის უფრო ხშირ ბარდნარს ეძებდა და სირბილ-სირბილში გვარიანად დაშორდა ძმაკაცებს. ამ დროს ცხადლივ თუ წარმოსახვაში სიმსუბუქის, ჰაერში ლივლივის საკვირველი შეგრძნება დაეუფლა. ვერც მიხვდა, როგორ მოხდა ეს. ცაზე უშურველად ანათებდა მზე. ჰაერი აღევსო სითბოს, ფრენდნენ და ერთმანეთს სტვენით ეხმიანებოდნენ რომელიღაც ფრთოსნები. გამორჩევით გალობდნენ ტოროლები, წამისწამად კრთებოდნენ პეპლები თუ სხვა მწერები და ისინიც ათასგვარ ბგერას გამოსცემდნენ — ერთი სიტყვით, ეს იყო მიწიერი სამოთხე, სწორედ სამოთხე. და იმ სამოთხეში გაშიშვლებული აბდია კალისტრატოვი /მას მხოლოდ პანამა ეხურა, სათვალე ეკეთა, ამოსაკვრელი და კედები ეცვა/, მტვრისგან შემთვრალი თეთრკანიანი, გამხდარი ჩრდილოელი, ტრამალში მოსამართი სათამაშოსავით წინ და უკან დარბოდა, უფრო მაღალ და ხშირ ბალახს ირჩევდა. მის გარშემო აყვავებული კანაფის აშლილი მტვრის კორიანტელი იდგა და ჰაერში ატაცებული ამ საწამლავის დიდი ხნის სუნთქვით აბდიას წარმოსახვაში, ბუნებრივია, სხვადასხვა მოჩვენება იბადებოდა. განსაკუთრებით ერთი რამ ახარებდა: გუშინ ნანახ ქალს მოტოციკლზე უკან ეჯდა და მიქროდა. სულაც არ აცბუნებდა, რომ ღონიერი მოტოცხენის საჭეს თვითონ კი არ მართავდა, როგორც ნამდვილ მამრს შეეფერებოდა, მგზავრი იყო ქალისა და იჯდა იქ, სადაც ჩვეულებისამებრ ქალები სხედან ხოლმე. მაშ, რა ექნა, თუკი მოტოციკლის ტარება არ შეეძლო და ტექნიკის საერთოდაც არა გაეგებოდა რა. ისე ძალიან მოსწონდა ამ ქალთან ერთად ერთი მოტოციკლით რბოლა. ქალს თმა ჩაფხუტიდან ეშლებოდა, ქარში უფრიალებდა და აბდიას სახეზე ეხებოდა ქარის ხელებივით, ტუჩებზე, თვალებზე ეკვროდა, კისერში უღიტინებდა და ეს მშვენიერება იყო. ქალი ხანდახან უკან იხედებოდა, აბდიას ანცად უღიმოდა, თვალები უბრწყინავდა — როგორ უნდოდა აბდიას, ასე გაგრძელებულიყო მარადიულად... დაუსრულებლად...

აბდია მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მახლობლად მგლის სამი ლეკვი დაინახა. საიდან გამოტყვრნენ? თვალებს არ უჯერებდა. ლეკვები კუდს აქიცინებდნენ, უნდოდათ მოახლოებოდნენ, მასთან ეთამაშათ, შიშობდნენ, მაგრამ არ გარბოდნენ. ყმაწვილებივით მაღალი კანჭები, ნახევრად აფშეკილი, სუსტი ყურები, წაწვეტებული დრუნჩები და ცქაფი, სასაცილოდ მიმნდობი თვალები ჰქონდათ. ყოველივე ამაზე აბდიას რატომღაც ისე მოერია გრძნობა, ყველაფერი

დაავიწყდა, ალერსიანად დაუწყო მათ მოხმობა, გართობა, მიტყუება, თავად კი სახე ერთიანად უბრწყინავდა ადამიანური კეთილგანწყობით. სწორედ ამ დროს თვალი ჰკიდა თეთრი ელვის კაშკაშს, მისკენ გამოქანებული ძუ მგლის თეთრ დაკრეჭილ კბილებს... ეს ისე მოულოდნელად, ისე სწრაფად, მაგრამ თანაც ისე ნელა და შემზარავად მოხდა, ვერც კი იგრძნო, მუხლები როგორ მოეხარა თავისთავად, თავზე ხელები როგორ იტაცა და ჩაიკუნტა. არ იცოდა, რომ სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე. ძუ მგელი კი მისგან უკვე სამ ნაბიჯზე იყო და მძვინვარე ნახტომით უცებ თავზე გადაევლო, სახეში ნადირის სუნი შეაფრქვია. ამ წუთს კაცისა და მგლის თვალები ერთმანეთს შეეფეთა. აბდიამ დაინახა ძუ მგლის ლურჯი ცეცხლოვანი მზერა, მისი უჩვეულოდ ლურჯი და სასტიკი თვალები, და ტანში სიცივემ დაუარა. ძუ მგელი კი ამასობაში კიდევ ერთხელ ქარის სისწრაფით გადმოევლო თავზე, ეცა ლეკვებს და შეუჩერებლივ გაირეკა წინ, კბილებიც მვცლია, უცბად შეაბრუნა ღრანტედან თავამოყოფილი საშინელი მხეცი — ქეჩოაბურძგვნილი ვეება მგელი და სუყველა თვალის დახამხამებაში გაქრა, თითქოს ქარიშხალმა წარიტაცაო...

ხოლო აბდია დიდხანს გარბოდა ტრამალში ზარდაცემული ყვირილით, გონება ებინდებოდა, სხეული უმძიმდებოდა, აბლანდულ ფეხებქვეშ მიწაც ერყეოდა, ეწადა დაცემულიყო, დაგდებულიყო, დაეძინა. გულის რევა დაწყო და იგრძნო, რომ სიკვდილმა მოაკითხა. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ იმდენი ნებისყოფა შერჩა, საზიზღარ ნარწყევს გაცლოდა და ისევ გარბოდა, ვიდრე თავიდან არ მოუვლიდა პირღებინება, ცხრად არ მოკაკვავდა, ჯოჯოხეთურ ტკივილებს და ჩხვლეტას არ დაუწყებდა მუცელში. ამ დროს მტვრის საწამლავს ანთხევდა, კრუნჩხვებისგან ეწამებოდა, კვნესოდა და ლუღლუღებდა: „ო, ღმერთო, შემიწყვიტე ეს პირღებინება, მაკმარე! აღარასდროს, აღარასდროს მოვაგროვებ ანაშას! მეყოფა, არ მინდა, არ მინდა ვყნოსავდე და ვგრძნობდე ამ სუნს. ღმერთო, შემიწყალე...“

როცა ბოლოს პირღებინება შეუწყდა და თავისი ტანსაცმლის მოძებნა დააპირა, მასთან პეტრუხამ და ლიონკამ მოირბინეს. მგლებთან შეხვედრამ საშინლად იმოქმედა მადევრებზე. განსაკუთრებით ლიონკას დაეცა თავზარი.

— კარგი ერთი, სული ნუ გძვრება! აგრე რა გაკანკალებს! — ეცა პეტრუხა. — როცა ხალხი ოქროს საძიებლად მიდიოდა, იცი, რა ხდებოდა, მაგრამ უკან არ იხევდნენ... შენ კი მგლების შეგეშინდა. ისინი ხომ უკვე ცხრა მთას იქით გადაიკარგნენ...

— მაშინ ოქროსთვის მიდიოდნენ, — თქვა ლიონკამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— რა განსხვავებაა? — შეუღრინა პეტრუხამ.

ამ ვითარებით ისარგებლა სწორედ აბდიამ.

— განსხვავება არის, პიოტრ, — უთხრა პეტრუხას. — თანაც ძალიან დიდი. ოქროსაც ბევრი ბოროტება მოჰყვება, მაგრამ მას დაუფარავად მოიპოვებენ. ანაშა კი ყველას წამლავს. ჩემს თავზე გამოვცადე. კინაღამ სული გავაფრთხე. მთელი ტრამალი ნარწყევით მოვსვარე...

— კარგი რა, ცოტათი მოიწამლე მიუჩვევლობის გამო, ეგაა და ეგ. მერედა ვინაა დამნაშავე, — უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი პეტრუხამ. — აქ ძალით ხომ არ მოუთრევიხარ ვინმეს? სულ ღმერთსა და იმაზე ლაპარაკობ, რაა კარგი და ცუდი. რას გვიფუჭებ საქმეს? სულ რას გვიმღვრევ წყალს? ისე, ფული სადაც ჩნდება, შენც იქა ხარ, კინაღამ მგლებს ჩაუვარდი ხახაში!

— მე წყლის ამღვრევა კი არა დაწმენდა მინდა. — აბდიამ გადაწყვიტა, რომ იძულებული გახდებოდა, სათქმელი უფრო აშკარად ეთქვა, ვიდრე ვარაუდობდა. — აი, შენ, პიოტრ, თითქოს ჭკვიანი ყმაწვილი ხარ, მაგრამ შეუძლებელია, არ გესმოდეს, რა დანაშაულს სჩადიხარ...

— ჩავდივარ! შენ კი რას აკეთებ?!

— მე უნდა გიხსნათ!

— გვიხსნა! — ავად იყვირა პეტრუხამ. — შენ როგორ უნდა გვიხსნა? აბა, ერთი ჩამოყაჭე!

— ჯერ ღმერთისა და ხალხის წინაშე მოვინანიებთ...

აბდიას გასაკვირად მდევრებს არ გაუცინიათ. მხოლოდ პეტრუხამ გადააფურთხა, თითქოს პირში რაღაც სისაძაგლე ჩაუვარდა.

— მოვინანიებთ! მოიგონა ამანაც, — წაიბუზღუნა პეტრუხამ. — შენ მოინანიე, ჩვენ კი ფულს გავაკეთებთ. ჩვენ ფული გვჭირდება, გაიგე, — მარტივია და ნათელი. შენ კი მოინანიე! და თუ ხუმრობ, აბდიაი, ცოტა ფრთხილად იხუმრე. მთავარი გაიგებს, თავგზას რომ გვიბნევ, და შენს ადგილსამყოფლამდე ვერ ჩააღწევ, დაიმახსოვრე! როგორც მეგობარს, ისე გეუბნები. ტვინს ნუ გვირევ — ჩვენ, უპირველეს ყოვლისა ფული გვინდა! ლიონკა, უთხარი, რა გჭირდება — ღმერთი თუ ფული?

— ფული! — მიუგო ლიონკამ.

აბდიამ ერთხანს იყუჩა, გადაწყვიტა დაეცადა, საუბარი სხვა დროისთვის გადაედო.

— აბა, გვეყოფა, ვილაპარაკეთ და კმარა, მოვემზადოთ, — შემრიგებლურად ბრძანა პეტრუხამ. — შენი პლასტილინი კი, აბდიაი, მაშასადამე, ფაფუ, არა?

— სამწუხაროდ, ფაფუ. ძუ მგელი რომ მეცა, თვითონ არ ვიცი,

სად რა დავტოვე. ტანსაცმელიც სადღაცაა, წავალ მოვძებნი...

— ტანსაცმელი მოიძებნება, სად დაიკარგება, პლასტილინის მოგროვებას კი ველარ მოასწრებ. წასვლის დროა. კარგი, მთავარს მოვუყვებით, რაც მოხდა, გაგიგებს. არ გაგიგებს და შემდეგ მოაგროვებ...

ისინი შუაღამემდე მიაბიჯებდნენ რკინიგზის მხარეს, თან ანაშათი გატენილი ზურგჩანთები მიჰქონდათ. სიარული არც ისე უჭირდათ—რა მძიმე უნდა ყოფილიყო გამომშრალი ბალახი, — მაგრამ ანაშას მძაფრი სუნი, რომელსაც პოლიეთილენის პარკებიც კი ვერ აკავებდა, თავბრუს ახვევდათ, ძილს ჰგვრიდათ. შუაღამეს მადევრები სადღაც ტრამალში დაეყარნენ დასაძინებლად, რათა უთენია გაეგრძელებინათ გზა. ლიონკა აბდიასა და პეტრუხას შუა ჩაეკვეხა — იმ ამბის შემდეგ მგლების ეშინოდა. რა გასაკვირია, ჯერ ბავშვი იყო. დაწვნენ და ყველაფერი პირიქით მოხდა: სიარულის დროს ხომ ზეზეურად ეძინებოდათ, მაგრამ როცა დაწვნენ, აბდიას დიდხანს არ მოჰკიდებია რული. ლიონკას თხოვნამ, შუაში ჩამაწვინეთო, ძალიან აუჩუყა გული. ვინ იფიქრებდა, რომ ამისთანა ყმაწვილს მგლების ეშინოდა. მაგრამ რა ძალა უნდა ჰქონოდა ბიწიერებას, პატარაობიდან დამახინჯებულ წარმოდგენებს ცხოვრებაზე, როცა ლიონკამაც კი ამას წინათ პეტრუხას თვალის დაუხამხამებლად უპასუხა, ფული ჩემთვის ღმერთზე უფრო მნიშვნელოვანიაო. ღმერთი, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა პირობითად, როგორც უბიწო ცხოვრების სიმბოლო. აი, რაზე ფიქრობდა აბდია...

ტრამალის ღამეებს თავისი სილამაზე აქვთ ზაფხულში. დგას მიწისა და ცის სიდიადით შობილი უსაზღვრო სიჩუმე, უთვალავი ბალახის სუნთქვით ნასაზრდოები სითბო, ჩანს ყველაზე ამაღელვებელი სახილველი — მოციმციმე მთვარე და ურიცხვი ვარსკვლავი; თვალსა და ვარსკვლავს შუა სივრცეში მტვრის ნასახი არ ჭაჭანებს, ისეთი სისპეტაკე სუფევს, რომ აქეთ, ამ იდუმალ სამყაროს სიღრმეში ილტვის უპირველეს ყოვლისა ადამიანის ფიქრები იმ იშვიათ წუთებში, როცა იგი ცხოვრებისეულ საქმეებს ეთიშება. ოღონდ დასანანია, რომ ეს ჟამი დიდხანს არ გრძელდება...

ხოლო აბდია იმაზე ფიქრობდა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისე აეწყო, როგორც თვითონ უნდოდა: მადევრებთან ერთად კანაფის ტრამალებამდე ჩააღწია, თავისი თვალით ნახა და, როგორც იტყვიან, საკუთარ ზურგზე გამოსცადა ყოველივე. ახლა მოსაგვარებელი რჩებოდა ურთულესი რამ — მატარებელში მოკალათება და გამგზავრება. მადევრებისათვის ყველაზე სახიფათო იყო ანაშის გატანა. მათ მილიცია უმთავრესად აზიის სადგურებში იჭერდა, რუსეთის ნაწილში საქმე უფრო ადვილდებოდა. ხოლო თუ მოსკოვამდე და უფრო შორს,

თავიანთ ადგილებამდე ჩააღწევდნენ, ეს უკვე სრული გამარჯვება იქნებოდა. იზეიმებდა პატარა ადამიანების მიერ პატარა წარმატებით აღსრულებული დიდი ცხოვრებისეული ბოროტება...

ამას აბდია ფიქრითაც კი ვერ ურიგდებოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ არც იმის ძალა შესწევდა, რაიმე ეღონა, რათა არათუ აღეკვეთა, ვთქვათ, ეს დანაშაული, არამედ გარდაექმნა მადევრების აზროვნება, გადაერწმუნებინა ისინი, განზრახვა შეეცვლევინებინა. აბდიაზე გაცილებით ძლიერი იყო ის, ვინც მას უპირისპირდებოდა და სადღაც აქ, ამ ტრამალებში იმყოფებოდა, ვინც უხილავად მბრძანებლობდა ყველა მადევარზე, მათ შორის თვით აბდიასაც უწევდა კონტროლს, ის, ვისაც მადევრები მთავარს უწოდებდნენ. სწორედ იგი, მთავარი გახლდათ გამგებელი, უფრო მეტიც — მიკროდიქტატორი ანაშასთვის გამართული ლაშქრობისა, ხოლო აბდია, რომელიც ისე იყო მათთან, როგორც ყაჩაღებს მიკედლებული მოხეტიალე ბერი, მეტი რომ არა ვთქვათ, სასაცილო ჩანდა... მაგრამ ბერი, ღვთიური იდეალისტი და ფანატიკოსი, ყველა ვითარებაში ბერად უნდა დარჩენილიყო... მას სწორედ ეს ხვედრი ელოდა...

აბდია იმაზეც ფიქრობდა, რა უცნაური ამბავი გადახდა დღეს — როგორ გამოტყვრნენ ეს უგუნური, ფეხებგრძელი წამოჩიტული ლეკვები, ადამიანი რომ ვიღაც სასაცილო, უწყინარი ცხოველი ეგონათ და მასთან ცელქობა მოუნდათ, და ეს ლურჯთვალა გამძვინვარებული ძუ მგელი რა გაავებული იყო! შემდეგ ყველაფერი რა კარგად დამთავრდა. მაინც რა აზრი იმალებოდა იმაში, რომ თავზე ორჯერ გადაახტა? კაცმა რომ თქვას, ძუსა და ხვადს სრულიად ადვილად შეეძლოთ ერთ წამში დაეგლიჯათ შიშველი, — პანამა და ამოსაკვრელი რა მოსატანია, — უმწეო ქალაქელი იდიოტი, ისე შიშველი, ისე უმწეო, ანეკდოტად თუ გაეგონება კაცს. და აი, დაუჯერებელია — ბედმა მგლების სახით შეიწყალა: ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ სჭირდება ამ ცხოვრებას? მერედა, რა მშვენიერი, რა მარდი იყო უჩვეულოდ ლურჯთვალა, მძვინვარე და თავის ნაშიერთათვის შეძრწუნებული ძუ მგელი. დიახ, იგი თავისებურად მართალი გახლდათ და მადლობის ღირსიც, რომ თავზე არ დაახტა, უბედურება არ დაატრიალა, მაგრამ აბდიასაც ხომ არაფერში მიუძღოდა ბრალი. ფიქრობდა ამას აბდია და წყნარად გაეცინა. წარმოიდგინა, რა კისკისი აუტყდებოდა იმ მოტოციკლისტ ქალს, მაშინ რომ დაენახა. ალბათ მასხრად აიგდებდა, როგორც ცირკის კლოუნს. უცებ აბდია შიშმა შეიპყრო: ვაითუ მოტოციკლი უეცრად სადღაც უკაცურ შუა ტრამალში ჩაუქრეს, მარტოდმარტოს მგლები დაესხნენ თავს?! და ცრუმორწმუნედ დაუწყო ლურჯთვალა ძუ მგელს შელოცვა: „მისმინე, მშვენიერო დედა მგელო! შენ აქ ცხოვრობ და იცხოვრე,

როგორც გენებოს, როგორც ბუნებამ გიბრძანა. მხოლოდ ამას გევედრები, უცებ მოტოციკლი რომ ჩაუქრეს, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ღმერთები გწამს, თუ შენი ლეკვები გწამს, ნუ გაეკარები! ნუ ავნებ! თუ მისი, მძლავრ მანქანაზე ამხედრებული აგრერიგად მშვენიერი ქალის მზერით დატკბობა მოგესურვება, გვერდით გაედევნე, გზის პირას გაედევნე, მალულად გაედევნე, ფრთები გამოისხი და ფრენით მიჰყევი. იქნებ, თუ ბუდისტებს დავუჯერებთ, ლურჯთვალა ძუ მგელო, მასში შენი და შეიცნო, ადამიანის სახით მოვლენილი? ხომ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს — მერე რა, რომ მგელი ხარ, ის კი ადამიანი, თქვენ ხომ ორივენი მშვენიერნი ხართ, თითოეული თავისებურად? არ დაგიმალავ, მთელი არსებით შევიყვარებდი; დიახ, ბრიყვი ვარ, რა თქმა უნდა, ბრიყვი, მაშ, რა ვარ! მხოლოდ იმედგადაწურულ ბრიყვებს შეუძლიათ ასე ოცნება. იმ ქალმა ხომ რაღაცნაირად გაიგოს, რაზე ვფიქრობ, დიახაც ბევრს იცინებდა, დიახაც ბევრს იკისკისებდა! მაგრამ თუ ეს სიხარულს მოჰგვრის, იცინოს...“

ჯერ კიდევ ასე თუ ისე ბნელოდა — ტრამალზე რიბირაბო დგებოდა — როცა პეტრუხამ გაღვიძება დაუწყო აბდიას და ლიონკას. უკვე უნდა ამდგარიყვნენ და სამასოცდამეათე კილომეტრისკენ წასულიყვნენ. რაც ადრე გაუდგებოდნენ გზას, მით უკეთესი იქნებოდა, ვინაიდან დანიშნულ დროზე მარტო ისინი კი არა, კიდევ მადევრების ორი-სამი ჯგუფი უნდა მოსულიყო იმ ადგილზე და გამომშრალი ანაშა მოეტანათ. შემდეგ რომელიმე გამვლელ საბარგო მატარებელს გააჩერებდნენ, შეასხდებოდნენ და სადგურ ჟალპაკ-საზამდე ჩაიღწევდნენ, იქ კი სხვა მატარებელზე აძვრებოდნენ. ერთი სიტყვით, ახლა მადევრებისთვის გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი იწყებოდა. მთელი ოპერაციისთვის თითქოსდა მთავარს უნდა ეხელმძღვანელა. ის უნდა შეხვედროდა მადევრებს, თუ თვითონ უნდა მოეძებნათ იგი, პეტრუხამ გასაგებად ვერ თქვა. ან არ იცოდა, ან თქმა არ უნდოდა.

და ისევ მოიკიდეს ზურგჩანთები და მიჰყვნენ პეტრუხას. აბდიას აოცებდა პეტრუხას ტოპოგრაფიული ალღო, მახსოვრობა. პეტრუხა წინასწარ ამბობდა, სად როგორი ხრამი იყო, რომელ ჩრდილიანში მოწანწკარებდა წყარო, სად ხევი დახვდებოდათ და დაენანა აბდიას, რომ ასეთი ნიჭი, ასეთი მეხსიერება იკარგებოდა! პეტრუხას ერთიორჯერ გაევლო აქ და რა კარგად იცოდა ყველაფერი!

გლეხის ოჯახიდან ვარო, ამბობდა პეტრუხა. ჰყვებოდა იმასაც, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით აქედან ორას კილომეტრზე იწყებოდა უდაბნო მუინყუმი, სადაც უთვალავი საიგა, ტრამალის ანტილოპა ბინადრობდა და ერთი შეხედვით წესიერი ხალხი სამსახურის “გაზიკებით“ ლამის ორენბურგიდან მოდიოდა სანადი-

როდ. ჩამოდიოდნენ და როგორ ჩამოდიოდნენ — დასაყოლებელი აგერ ცოცხალი დარბოდა, სასმელები ოხრად ჰქონდათ, სულო და გულო, რა გინდოდა, ჰოდა, მეფური ნადირობა იმართებოდა! მაგრამ ნადირობას საფრთხეც საკმაო ახლდა. ზოგჯერ მანქანა ფუჭდებოდა და ტრამალში გზააბნეული მონადირენი წყურვილისგან იღუპებოდნენ, ზამთარში კი ხანდახან ტრამალის ქარბუქი უსწრებდათ. შემდეგ მათ ძვლებსდა პოულობდნენ. ერთი მონადირე ჭკუაზე შერყეულა და შემდეგ შვეულმფრენით ეძებდნენ თურმე. შვეულმფრენი უკან მისდევდა, უნდოდათ გადაერჩინათ, ის კიდევ შვეულმფრენს გაურბოდა, ემალებოდა. დიდხანს დასდევდნენ და, როცა დაიჭირეს, ლაპარაკის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა. ცოლი კი თურმე სხვას გაჰკიდებოდა, ო, ეს უნამუსო! — ამბობდა პეტრუხა. — ყველანი ასეთები არიან! აი, მე არც ვფიქრობ ქალის შერთვას. ქალაქში მყავს ერთი ხოშიანი ქალი, მივუგდებ „შმოტკების“ ფულს და მორჩა, სიტყვას იძლევა — არავითარი ბავშვები არ იქნებაო. ყველაზე მთავარი კი ისაა, მოტოციკლი უკვე ვიყიდე, ჩეხოსლოვაკიური სპორტული მოტოციკლი, ფარდულში მიდგას. ახლა კი, მაშასადამე, „ჟიგულს“ დავირტყამ. „ჟიგული“ პრობლემა არაა, ერთი „ვოლგა“ გამახერხებინა, ის, ახალი, „მერსედესის“ მაგვარი, აი, ისეთი ჩამაგდებინა ხელში, საკასეტეც რომა აქვს, ჩართავ და ისე გიმღერებს, ჯიგარში მოგხვდება. ბლატია საჭირო, ყველგან ზედმეტ-ზედმეტი გინდა. მერე ადექი და შენი „ვოლგით“ გაქროლდი ვორკუტაში. დამინახონ ძამიკოებმა. ჰე-ჰე, მათი ცოლები შურით დასკდებიან. საბარგულში ნაირ-ნაირი სასმელი მექნება, უფრო მეტად უცხოური, თან ჩვენებური არაყიც — უკეთესს ვერ ნახავ, რა თქმა უნდა. აბა, როგორ არ შეგშურდეს, ვითომ ივანუშკა-დურაჩოკი იყავი და ახლა... ამიტომაც დავდივარ მადევრად და თქვენც, ძვირფასო ძმაკაცნო, სახეირო საქმეზე დამყავხართ. იცხოვრე, ვიდრე ყისმათი გაქვს, არ გაქვს და თათი წოვე, სანამ მუცელი არ გაგებერება.

აბდია უსმენდა ამ ერთი შეხედვით უმაქნის, უბრალო ლაყბობას, რითაც პეტრუხა თავსაც ირთობდა და თანამგზავრებსაც ართობდა და ფიქრობდა თავისაზე, იმაზე, რომ ადამიანი იხლიჩება გამდიდრების ცდუნებას, ტოტალურ მიმბაძველეობასა და პატივმოყვარეობას შორის, რომ ეს არის მასობრივი შეგნების სამი ვეშაპი. ყველგან და ყოველ დროში დგას ობივატელის ურყევი სამყარო, დიდ და პატარა ბოროტებათა თავშესაფარი, თვალსაზრისის ამაოება და სიღატაკე, რომ ძნელია იპოვო ისეთი ძალა დედამიწაზე, რელიგიის ჩათვლით, რომელსაც შეეძლებოდა ობივატელის სამყაროს ყოვლადძლიერი იდეოლოგია დაეძლია. სულის რამდენი თავგანწირული აღმაფრენა შელეწვია ამ ურყევ, ვთქვათ, ამორფულ ციხესიმაგრეს...

ისიც, რომ ახლა იგი ანაშას მომპოვებლების შეხვედრის ადგილას მიდიოდა, მოწმობდა იმავეს — სული უმწეოა, თუმცა დაუცხრომელია... ასეთია, ეტყობა, მისი ხვედრი. აბდია მთელი გზა გულში ამზადებდა თავს მთავართან შესახვედრად. იგი მზად უნდა ყოფილიყო საბრძოლველად...

სამასოცდამეათე კილომეტრზე ორი საათით ადრე მივიდნენ — სამ საათზე უკვე ადგილზე იყვნენ. რკინიგზის გაყოლებაზე გამავალ ხევს რომ უახლოვდებოდნენ, პეტრუხამ თანამგზავრები გააფრთხილა: ზურგჩანთები იქ დამალეთ, სადაც მე გეტყვით, თავს ნუ გამოყოფთ, მიმავალი მატარებლების წინ ნუ გამოჩნდებით, ყოველ წუთს ელოდეთ ჩემს მითითებებსო.

მაინც გვარიანად დაიღალნენ — მაშ, რა იქნებოდა, ერთ დღეში ამდენს რომ გაივლიდნენ! ესიამოვნათ ხევში რბილ მდელოზე გაშხლართვა, სადაც ერთმანეთში არეული იყო სალბი და ვაციწვერა. საამოდ ჩაესმოდა ყურს, თუ როგორ ისახებოდა შორს მატარებლის გუგუნი, როგორ ძლიერდებოდა იგი, როგორ გუგუნებდა და ძაგძაგებდა რელსები მოვარდნილი კილომეტრიანი მძიმეწონიანი შემადგენლობების გადავლისას, რა მრისხანედ მოქროდნენ მატარებლები, თვლებს მოაგრიალებდნენ, რკინისა და მაზუთის სუნი მოჰქონდათ და რა დიდხანს არ წყდებოდა შორს მოძრაობის ხმაური, რომელიც თანდათან ინთქმებოდა გარემომცველი სიწყნარის ოკეანეში... მიქროდნენ სამგზავრო მატარებლებიც, ერთნი — ერთ მხარეს, მეორენი — მეორე მხარეს. აბდიას გული შეუთრთოლდასავით — მას ბავშვობიდანვე უყვარდა იმის ცქერა, თუ საით მიქროდნენ სამგზავრო მატარებლები, ვინ კრთებოდა ფანჯრებში, ვისი სახეები. აჰ, ბედნიერებო, თან წამიყვანეთო, — ამბობდა ხოლმე, მაგრამ ახლა ამ წამიერ სიხარულსაც ვერ იგემებდა, რადგან იძულებული გახდა, ბუჩქს უკან მიმალულიყო და თავი არ აეწია. ყველაზე უარესი ის გახლდათ, რომ თვითონ მონაწილე უნდა გამხდარიყო ან თუნდაც თვითმხილველი ამ უბანზე ერთ-ერთი საბარგო მატარებლის ბანდიტური გაჩერებისა. არა, მატარებლის გაძარცვას არავინ აპირებდა, მაგრამ მადევრებს საშუალება ეძლეოდათ ვაგონებში შემხტარიყვნენ, შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად წარიმართებოდა — მატარებელში მიმალულნი გზას განაგრძობდნენ...

მატარებლები მიდიოდნენ და მიდიოდნენ. შემდეგ ჩამოდგა ხანგრძლივი პაუზა და სრული სიჩუმე. აბდიას ლამის ძილმა წაართვა თავი, მაგრამ ამ დროს გაისმა სტვენა. პეტრუხამ მიაყურადა, თვითონაც დასტვინა და პასუხად ისევ გაისმა სტვენა.

— აბა, აქ მშვიდად მელოდეთ, — თქვა პეტრუხამ. — მე კი წა-

ვალ, მეძახიან. უჩემოდ ფეხი არსად გაადგათ, გაიგე, აბდია, გაიგე, ლიონკა, მატარებლის გაჩერება არც ისე ადვილია. გოგრა უნდა გაანძრიო.

თქვა ეს პეტრუხამ და გაუჩინარდა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. უცნაურად გამოიყურებოდა. რაღაც უჩინარი ცვლილება ეტყობოდა. გაიძვერულად იცქირებოდა, აბდიას თვალებში არ უყურებდა. აბდია ასეთ შემთხვევებში ეჭვებს და უსარგებლო ფიქრებს თავს არიდებდა — ვინ იცის, რა მოგეჩვენება, იქნებ კაცს, ვთქვათ, უცებ მუცელი ასტკივდაო... ამიტომ მშვიდად იკითხა:

— რაო, პიოტრ, როგორაა საქმეები?

— ჯერ არა უშავს, ნორმალურადაა. მალე საქმეს შევუდგებით.

— მატარებელს გავაჩერებთ?

— მაშ. ყველაზე ნაღდი მატარებლით წასვლაა. ყველაფერს კი სჯობს შემადგენლობა სადგურში შეღამებულზე ჩავიდეს და სათადარიგო ლიანდაგზე დადგეს.

— თურმე რა ყოფილა.

ისინი გაჩუმდნენ. პეტრუხამ სიგარეტს მოუკიდა, მოქაჩა და სხვათა შორის თქვა:

— აქ ერთ ჩვენს მეგობარს ფეხი გადაუბრუნდა. გრიშანი ჰქვია. ახლა ვნახე. არ გაუმართლა გრიშანს. ამ ფეხის გადამკიდე, რას მოაგროვებ, კაცი ჯოხით დადის. ცუდ გუნებაზეა, რასაკვირველია. ჰოდა, იქნებ ცოტ-ცოტა ვუწილადოთ ყველამ, რამდენიც ვიქნებით ჩვენ აქ, ერთი ათი კაცი მოვქუჩდებით და ვუწილადოთ. ყველანი ცოტ-ცოტას მივცემთ ანაშას და ვიხსნით კაცს.

— კი, ბატონო, — მიუგო აბდიამ. — ლიონკას აგერ სძინავს, მაგრამ, მე მგონი, არც ეს იწუწურაქებს.

— ო, ლიონკა ჩვენი ბიჭია! შენ კი, აბდია, იქნებ გრიშანთან წასულიყავი და გესაუბრა. წიგნიერი კაცი ხარ, გუნებას გამოუკეთებდი დაკოჭლებულს...

— მთავარი სადღაა, იქ ხომ არ იქნება? — დაუფიქრებლად ჰკითხა აბდიამ.

— რა გააჭირე საქმე ამ მთავარის წარამარა ძახილით, — გაბრაზდა პეტრუხა, — რა ვიცი სადაა? მე შენ გრიშანზე გელაპარაკები, შენ კი მთავარი აგიჩემებია. თუ საჭირო იქნა, მოგვძებნის, თუ არა, ჩვენ არაფერი გვეკითხება. ნეტა რას წუხხარ გაუთავებლად?

— კარგი, გეყოფა. უნებლიეთ გკითხე, დამშვიდდი. ის, გრიშანი მაინც სადაა? რომელ მხარეს?

— აი, იქით, წადი ეგერ, იქაა, ჩრდილში, ბუჩქის ძირას ზის. წადი, წადი!

აბდიაც იმ მხარეს წავიდა და გრიშანი დაინახა. გრიშანი ბალახში დადგმულ გასაშლელ პატარა სკამზე იჯდა, ხელში ჯოხი ეჭირა. შუბლს პატარა კეპი უფარავდა. მოძრავი კაცი ჩანდა. აბდია ჯერ მისულიც არ იყო, რომ უკან მოიხედა და მუშტში ჩაახველა. მოშორებით კიდევ ორი იჯდა. სულ სამნი იყვნენ და აბდია მიხვდა: მთავარი სწორედ ეგ იყო... ნაბიჯი შეანელა, იგრძნო, როგორ დაუარა ტანში სიცივემ და გულმა ბაგაბუგი დაუწყო...

მეორე ნაწილი

I

— გაუმარჯოს დაზარალებულს, — თქვა აბდიამ რაც შეიძლება ჩვეულებრივად, ცდილობდა ამით აჩქარებული გულის ძგერა გაენელებინა.

გრიშანი მეთევზის გასაშლელ პატარა სკამზე იჯდა და ჯოხს ათამაშებდა. აბდიას მისალმებაზე ცალი თვალი მოჭუტა.

— კი, ბატონო, გაუმარჯოს, მაგრამ ვინ მესალმება?

— ვინც ჯერ შენი ჯანმრთელობა უნდა მოიკითხოს.

— ა, თურმე რა ყოფილა! დიდად მადლობელი ვარ, ერთობ მადლობელი ვარ, თუმცა მხოლოდ ჯერჯერობით კითხულობ. უკაცურ ტრამალში ასეთი ყურადღება ორმაგად ძვირფასია. დიახაც! ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ, ასე არაა?

„ეს კი ენამჭევრი ყოფილა და თუ ნაკითხიცაა, უბედურებაა. აი, რას არ მოველოდი, მართლა არ მოველოდი. კოკობზიკობს, მჭევრმეტყველად მოაქვს თავი, — გაიფიქრა აბდიამ. — რას ნიშნავს ეს? თამაშობს მთავარი?“ აბდიამ გულში ისიც მოინიშნა, რომ გრიშანს ყურადსაღები გარეგნულად არაფერი მოეძევებოდა. ყოველივე საშუალო ჰქონდა: ზომიერად წაბლისფერთმიანი იყო, ოდნავ მაღალი და გამხდარი, ტანსაცმელი თვალში მოსახვედრი არ ჰქონია, როგორც ჩვეულებისამებრ მისი ასაკის ადამიანებს აქვთ — ეცვა ჯინსი, „ელ-

ვაშესაკრავიანი“ ნახმარი პერანგი და ეხურა უბრალო კეპი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო ჯიბეში ჩაეჩურთა. გრიშანს ფეხი რომ არ ჰქონოდა დაშავებული და მსხვილი ნუერიანი ჯოხი არ სჭეროდა, სხვათაგან ძნელად გამოარჩევდი, ხელად გაუჩინარდებოდა ხალხში. ოღონდ მიხი თვალები დაგამახსოვრდებოდა, თუ მეტხანს დააკვირდებოდი. ცქაფი თაფლისფერი თვალების გამომეტყველება ნიადაგ ეცვლებოდა, შესაძლოა, თვითონაც ვერ ამჩნევდა, რა ხშირად ჭუტავდა მათ, ცერად იყურებოდა, ახამხამებდა წარბებს, რითაც მოგაგონებდა კუთხეში გამომწყვდეულ მტაცებელ ნადირს, რომელიც უნდა გეცეს, გიკბინოს, მაგრამ ვერ ბედავს და მაინც ფაფხურობს, მუქარით იბღუნძება. ასეთი შთაბეჭდილების შექმნას შეიძლება ხელს უწყობდა გამოხრული ზედა საკბეჩი კბილი, რომელიც ლაპარაკისას უჩანდა. „ხომ შეეძლო ოქროს გვირგვინი გადაეკრა, მაგრამ რატომღაც არ იკრავს, — გაიფიქრა აბდიამ. — ალბათ არ უნდა ზედმეტი ნიშანი ჰქონდეს“.

— ფეხზე რა დაგემართა? გადაგიბრუნდა? მაშასადამე, ყურადღება მოგიდუნდა, არა? — დაინტერესდა აბდია ზრდილობის გამო.

გრიშანმა გაურკვევლად გააქნია თავი.

— ჰო, შეიძლება ითქვას, ცოტათი დავიშავე. ყურადღება მომიდუნდა. მართალი ხარ შენ, აბდია, მგონი, ასე გქვია, ხომ?

— ჰო, აბდია მქვია.

— იშვიათი სახელია, ბიბლიური, — ხმამაღლა ფიქრობდა გრიშანი, თან განგებ წელავდა, აგემოვნებდა სიტყვებს. — აბდია — ნაღდად სამრევლო ჩამოსხმაა, — დაასკვნა დაფიქრებით. — ჰო, ოდესღაც ხალხი ღვთით ცხოვრობდა. აი, საიდან გაჩნდა რუსეთში პრეჩისტენსკები, ბოგოლეპოვები, ბლაგოვესტოვები. შენ ალბათ გვარიც შესაფერისი გექნება, არა?

— კალისტრატოვი ვარ.

— ხომ ხედავ, ემთხვევა... მე უფრო უბრალო სახელი, პროლეტარული სახელი მქვია — გრიშანი. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაშ, ასე, მართალი ხარ შენ, აბდია კალისტრატოვ, ყურადღება მომიდუნდა. აქედან ცოტა არ იყოს, საშიში დასკვნა გებადება: ადამიანი თუ წმინდა წყლის ბრიყვი არაა, უსათუოდ ძირს უნდა იყუროს. უტვინო თავი ფეხებს აძლევდა ძალასო. როგორც ხედავ, ხეიბარი გავხდი. ბანალური ამბავია, კაცმა რომ თქვას.

— და რა მოჰყვა ამას? — ჰკითხა აბდიამ. მას მხედველობაში ჰქონდა პეტრუხას ნართაული ნათქვამი.

— რაო, ვერ გავიგე, — ყურები ცქვიტა გრიშანმა.

— რადა, ამ ბანალურმა ამბავმა შენი საქმის წარმატებაზე იმოქმედა ხომ? — ასე არ უნდა გავიგოთ შენი ნათქვამი? — აუხსნა აბდიამ.

— ო, ეს სხვა ლაპარაკია! — გრიშანი უმალ შეიცვალა, თავი დაანება ფუჭ მსახიობობას. — თუ საქმეზე ლაპარაკობ, მართალი ხარ. მაგრამ ახლა მთავარი ეგ არაა, ეგ არ მაწუხებს, თორემ რა თქმა უნდა, ამას შენც ხვდები, რატომ დაგიწყებდი ახლა ლაპარაკს, რად მინდა ეს წყალწყალა ჯლაყუნი... ერთი სიტყვით მე აქ განმკარგულებელი ვარ, ანდა, ვთქვათ, არმიის ზემდეგი და ჩემთვის ყველაზე მთავარია ფრონტის ხაზი ისე გავარღვიო, ცოცხალი ძალა შევინარჩუნო.

— რით შემიძლია გამოგადგე ასეთ შემთხვევაში? და საერთოდ უპრიანია მოსაუბრება, — შესთავაზა აბდიამ. — მეც ხომ სწორედ ამ ცოცხალ ძალაზე მაქვს სათქმელი...

— ჰო, რაკი ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, კი არ უნდა მოვისაუბროთ, მოვილაპარაკოთ, — დააზუსტა გრიშანმა. — მე სწორედ ეს მქონდა მიზნად. აი, მაგალითად, ასე ვთქვათ, ჩვენს შორის იბადება კითხვა, — ეშმაკურად გადაუკრა გრიშანმა. მან ცოტა ხანი იყუჩა, შემდეგ იმ ორ მადევარს, რომლებიც განზე ისხდნენ და საუბარში არ ერეოდნენ, უბრძანა: — რას უზიხართ აქ უსაქმოდ. გასწით, მოემზადეთ!

მადევრებიც მდუმარედ წავიდნენ იმის შესასრულებლად, რაზეც, ეტყობა, წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი. ბრძანების გაცემის შემდეგ გრიშანმა საათს დახედა.

— ერთ საათში დავიწყებთ ჩასხდომის ოპერაციას. ნახავ, როგორ კეთდება ეს, — აღუთქვა აბდიას. — აქ სიმკაცრეა. ისეთი დისციპლინა გვაქვს, როგორც დესანტში. ჩვენ კი სწორედ დესანტი ვართ, სამშობლოსათვის თავდადებული დესანტი. ღირსეული დესანტი. შენც ისე უნდა იმოქმედო, როგორც გიბრძანებენ, ყოველგვარი „შემიძლია“ — „არ შემიძლიას“ გარეშე. თუ ყველანი საჭიროებისამებრ ვიმუშავებთ, საღამოს იმ ჩვენს ჟალპაკ-საზში ჩავაღწევთ.

გრიშანი მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა. შემდეგ ღვარძლიანად შეხედა აბდიას და ჩაიცინა, რის დროსაც გამოხრული კბილი გამოუჩნდა:

— ახლა კი მთავარზე ვილაპარაკოთ. იმაზე, თუ რამ მოგიყვანა ჩვენთან. ნუ აჩქარდები, ნუ ასწრაფდები. ჰო, ეგრეთ წოდებულ დამნაშავეთა სამყაროში, სადაც უცნაურად აღმოჩნდი (რაზეც შემდგომ კიდევ გვექნება ლაპარაკი), შენი ექსპოზიცია ასეთია: მადევარი ხარ, ჩვენთანა ხარ შეკრული და ძალიან ბევრი რამ იცი. თითქოს ბრიყვს არა ჰგავხარ, მაგრამ ხომ თვითონ ამოყავი თავი ხაფანგში. ჰოდა, ახლა წყნარად იყავი, ჩემი დიდი ნდობა არანაკლებ დიდ ფასად დაიმსახურე.

— რას გულისხმობ?

— ვფიქრობ, თვითონ მიხვდები...

— მიხვედრა ერთია, პირდაპირ თქმა — მეორე.

ორივე გაჩუმდა, ელოდნენ, როდის ჩაიხრიგინებდა მატარებელი, — თითოეული თავისებურად ემზადებოდა ახლა უკვე გარდაუვალი ორთაბრძოლისათვის. აბდიამ იმ წუთს გაიფიქრა, რა უცნაურად ეწყობა ადამიანთა ურთიერთობანი: აქაც კი, გაშლილ ტრამალში, სადაც თითქოს ყველა თანასწორია, სადაც ყველას ერთნაირი შანსი მოეძევება, ყველას ერთნაირად ემუქრება მარცხი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო, თუ ბედმა გაუღიმათ, ერთნაირი წარმატება ხვდებათ წილად, ადამიანებმა საკუთარ სისხლივით თან მოიყოლეს უძლეველი კანონები, რომელთა თანახმად, კერძოდ გრიშანს, რაღაც დაუწერელი უფლება აქვს გამგებლობისა, ვინაიდან აქ ისაა ყველაფრის ბატონ-პატრონიო.

— მაშ, შენ ბრძანებ, პირდაპირ ვილაპარაკოთო, — დაარღვია სიჩუმე გრიშანმა. — კეთილი, — გაურკვევლად ჩააგრძელა და უცებ, თითქოს გაახსენდაო, ცბიერად დაუმატა: — მისმინე, მგლები მართლა დაგესხნენ თავს?

— ჰო, მაგარი ამბავი იყო, — დაუდასტურა აბდიამ.

— ხომ არ გეჩვენება, აბდია კალისტრატოვ, რომ ბედმა სიცოცხლე იმიტომ შეგინარჩუნა, ახლა მე რამდენიმე კითხვაზე მიპასუხო? — გაიღიმა გრიშანმა და გამოხრული კბილი გამოაჩინა.

— ვთქვათ, ასეა.

— მაშ, მორჩი ლაყაფს. უნდა ამიხსნა აქ, ახლავე, ადგილიდან ფეხმოუცვლელად: რას მიმტუტებ ბიჭებს?

— ერთი შესწორება, — შეაწყვეტინა აბდიამ.

— რა შესწორება? რა შესწორება შეგაქვს კანონპროექტში?

— ვცდილობ, ისინი ჭეშმარიტ გზაზე დავაყენო, ხოლო, მაშასადამე, „ამტუტება“ ამას არაფრით არ ესადაგება.

— ამეებს მოეშვი, ამხანაგო კალისტრატოვ. ყველას თავისებურად ესმის ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი. ამ ოინებს თავი დაანებე. აქ კამათში ვარჯიშის ადგილი არაა. მინდა ვიცოდე, რის გაგება გსურს, რა გნებავს გამოადნო შენი თავისთვის, წმინდაო მამაო?

— შენ გულისხმობ რაღაც პირად სარგებლობას, არა?

— უსათუოდ, მაშ, სხვა რა უნდა ვიგულისხმო? — ფართოდ გაშალა ხელები გრიშანმა და კმაყოფილებით დამცინავად გაიღიმა.

— თუ ამას გულისხმობ, არაფრის, სრულიად არაფრის გამოდნობა არ მნებავს, — მოუჭრა აბდიამ.

— ჩინებულია! — თითქმის სიხარულით შეჰყვირა გრიშანმა. — უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ! ყოველივე ერთმანეთს ემთხვევა. მაშ, გამოდის, რომ იმ შეშლილი იდიოტების ბრწყინვალე ჯილაგის წარმომადგენელი ხარ, რომლებიც...

— შესდექ! ვიცი, რის თქმაც გინდა.

— მაშ, მუინყუმში წამოხვედი, როგორც ანაშის მომპოვებელი, „შემოგვიძვერი, გაგვიშინაკაცდი, და ეს გააკეთე არა იმიტომ, რომ დიდი ფული ქრისტესავით შეგიყვარდა, არა იმიტომ, რომ არსად წაგესვლებოდა, როცა სემინარიიდან გამოგაგდეს და ყოველი გზა მოჭრილი გქონდა? იმ მღვდლების ადგილზე მე შენ ხელად ჭიტლაყის ჯვრით გამოგაბუნძულებდი — შენ ხომ ასეთი, როგორიცა ხარ, მათაც არ სჭირდები. მღვდლები ხომ ძველებურად მიერეკებიან, შენ კი ყველაფერს გულით, სერიოზულად ეკიდები...

— ჰო, სერიოზულად. შენც სერიოზულად მომეკიდე, — განუცხადა ბდიამ.

— რატომაც არა! გგონია, შენი არ მესმის, მე კი კარგად გხედავ, რაც ხარ. დარტყმული ხარ, საკუთარი იდიოტიზმის ფანატიკოსი. ამიტომაც წამოხვედი აქეთ, თორემ აბა, სხვა რა ძალა გადმოგაგდებდა? ჩამობრძანდი, მაშასადამე, კეთილშობილური მიზნით, ჩამობრძანდი. როგორც მესია, რომ თვალები აგვიხილო ჩვენ — ზნედაცვეთილებს, ანაშას მწარმოებლებს, აკრძალული ბანგით მოვაჭრეებს და სპეკულანტებს. ჩამოხვედი, რათა გაავრცელო ძველისძველი ჭეშმარიტი იდეები, რომელთა გაცვეთილი ჭეშმარიტებანი შარდის სუნივით იგრძნობა ცხრა მთას იქითაც. ჩამოხვედი, რათა მოგვაშლეკინი ბორტება, რომ მოვინანიოთ, გარდავიქმნათ, რომ ტოტალური ნეტარების შენს მიერ გაღმერთებული სტანდარტები მივიღოთ. აკი დასავლეთიც ამტკიცებს, თქვენში ყველა ერთ თარგზე აზროვნებსო, — გრიშანი უცებ ფეხდაშავებული კაცისთვის შეუფერებელი სიმარდით წამოდგა ტილოს სკამიდან და აბდიასაკენ გააბიჯა, გაცეცხლებული სახე ლამის სახეზე მიადო. — შენ კი მაცხოვარ-ემისარო, გივიერია, რა ძალა გიპირისპირდება?

— მიფიქრია, ამიტომაც ვარ აქ. და გაფრთხილებ: ვეცდები ჩემსას მივაღწიო თქვენსავე სასარგებლოდ, რაც უნდა დამიჯდეს, ნუ გიკვირს.

— ჩვენსავე სასარგებლოდ! — დაიმანჭა გრიშანი. — არხეინად იყავი. არ მიკვირს, რად უნდა გამაკვირვოს იმან, რისთვისაც ჭკუაზე შეირყა ჯერ კიდევ ის, ვინც ჯვარზე აცვეს, ადამიანთა მოდგმის მაცხოვარი... ჯვარზე ხელები გაუჭიმეს, მიალურსმნეს, თავი ჩაჰკიდა, ტანჯული სიფათი მიიღო და აჰა, — დატკბით, იტირეთ და წუთისოფლის დასასრულამდე თაყვანი მეცითო. მავანმა და მავანმა ჭკუის კოლოფმა, იცი, გვარიანად მოიგონა საუკუნო საქმე — ჩვენივე თავისაგან გვიხსნან ჩვენ! მერე რა, ვინ და რა იქნა დახსნილი ამ წუთისოფელში? მიპასუხე! რაც გოლგოთამდე იყო, ახლაც ესევეა ყოველივე. სულ იგივეა ადამიანი, ადამიანში მას შემდეგ არაფერი

შეცვლილა. ჩვენ კი სულ ველოდებით, რომ ვიღაც მოვა და გვიხსნის ცოდვილებს. აი, შენღა, კალისტრატოვიღა აკლდი ამ საქმეს. ჰოდა, გამოგვეცხადე კიდევაც. გამოგვეცხადე და უმალ დატრიალდი, — გრიშანს სახე დამცინავად დაემანჭა. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ახალო ქრისტევ!

— ჩემზე შეგიძლია, რაც გინდა ის ილაპარაკო, მაგრამ ქრისტეს სახელს ცუდად ნუ ახსენებ! — სიტყვა გააწყვეტინა აბდიამ. — შენ გაღშფოთებს, გაკვირვებს ჩემი აქ გამოჩენა, მაგრამ ეს გასაკვირი არაა — ჩვენ ხომ უსათუოდ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. დაფიქრდი! ნუთუ ვერ ხვდები? შენ მე თუ არა, სხვა უნდა შეგტაკებოდა უცილობლად. მე კი ეს შეხვედრა გამოვთვალე...

— ალბათ მეც გამომთვალე, არა?

— შენც. ჩვენი შეხვედრა გარდაუვალი იყო. ჰოდა, გამოვცხადდი და დავტრიალდი, როგორც შენ ამბობ.

— სავსებით ლოგიკურია, დასწყევლოს ეშმაკმა, ჩვენ ხომ ერთმანეთს გვერდს ვერ ავუვლით. აქ ალბათ თავისი არამზადული კანონზომიერებაა, მაგრამ ნუ გიხარია, მაცხოვარო კალისტრატოვ, შენს თეორიას პრაქტიკულად არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ისე, კმარა ფილოსოფოსობა, თუმცა საკმაოდ საინტერესო სუბიექტი ხარ. კმარა, შენი ამბავი გარკვეულია! აი, რას გირჩევ კეთილი გულით, რაკი საქმე ასე შებრუნდა: წადი შენი გზით, კალისტრატოვ, უპირველეს ყოვლისა, იხსენი თავი შენი, ახლა ხელს არავინ გახლებს, ხოლო ის, რაც ტრამალში მოაგროვე, თუ გინდა დაარიგე, დასწვი, ქარს გაატანე, შენი ნებაა. ოღონდ იცოდე, ამიერიდან ჩვენი გზები აღარასოდეს შეიყაროს! — თქვა გრიშანმა და ჯოხი მრავალმნიშვნელოვნად დაუკაკუნა ქვას.

— მე კი არ შემიძლია შენი რჩევა ყურად ვიღო. ჩემი მხრიდან ეგ არ მოხდება.

— შენ მართლა ნაღდი იდიოტი ხარ! რა გიშლის ხელს?

— ღმერთისა და ჩემი თავის წინაშე პასუხს ვაგებ თითოეული თქვენგანის გამო... შენ ამას ალბათ ვერ გაიგებ...

— არა, არა! რატომ გგონია? — შეჰყვირა გრიშანმა, რომელიც ისე განრისხდა, ფერი დაკარგა და ხმას აუწია. — სხვათა შორის თეატრალების ოჯახში გავიზარდე და, მერწმუნე, შენი თამაში შევაფასე და გავიგე. მაგრამ ნამეტანი ხომ არ გაგიტაცა ამ თამაშმა? ნებისმიერი, თუნდაც გენიალური თამაშის შემდეგ ხომ ფარდა ეშვება. ფარდა, ამხანაგო კალისტრატოვ, ახლაც დაეშვება ერთადერთი მაყურებლის თვალწინ. დაშოშმინდი და ნუ მაიძულებ, ზედმეტი ცოდვა დავიდო. გასწი, ვიდრე გვიან არაა.

— შენ ცოდვაზე ლაპარაკობ. მესმის, რასაც გულისხმობ, მაგრამ ბოროტმოქმედებას საკუთარი თვალით ვხედავდე და თავს ვარიდებდე, ეს ჩემთვის იგივე მძიმე შეცოდებაა. ჩემთვის სულაც არაა სულ ერთი, რა მოუვა, ვთქვათ, მცირეწლოვან ლიონკას, პეტრუხას და შენს გარშემო შემოკრებილ სხვა ბიჭებს. მათ შორის შენც.

— გაგიჟდები კაცი! — შეაწყვეტინა გრიშანმა. — რატომ აძლევ თავს ჩვენს ცხოვრებაში ჩარევის უფლებას? ბოლოს და ბოლოს ყველა უფლებამოსილია თავისი ბედი თვითონ განაგოს. შენც პირველად გხედავ ჩემი ცხოვრების გზაზე. მერედა ვინა ხარ, რომ ჩემზე და სხვებზე ზრუნავ, თითქოსდა ზეგარდმო გაქვს მონიჭებული რაღაც უფლებამოსილებანი. გასწი აქედან! და ბედს ნუ სცდი. თუ დარტყმული ხარ, ღმერთი შეგეწიოს, ჩვენ კი როგორმე იოლას გავალთ უშენოდ. გაიგე!

— სამაგიეროდ მე ვერ გავალ იოლას. შენ უფლებამოსილებას ითხოვ? ჩემთვის მანდატი არავის მოუცია. სიმართლე და მოვალეობის შეგნება — აი, ჩემი უფლებამოსილებანი. შენ უფლება გაქვს მათ ანგარიში გაუწიო ან არ გაუწიო, მე კი მათ განუხრელად ვასრულებ. შენ ახლა განაცხადე, ყველა უფლებამოსილია თავისი ბედი თვითონვე განაგოსო. შესანიშნავად ეღერს, მაგრამ იზოლირებული ბედი არ არსებობს, არ არის ერთი ბედის მეორისაგან განმაცალკევებელი მიჯნა, გარდა დაბადებისა და სიკვდილისა. ხოლო დაბადებასა და სიკვდილს შორის ყველანი ერთმანეთში ვართ გადახლართულნი მორგვის ძაფივით. შენ ხომ, გრიშან, და მათ, ვინც შენს ხელქვეით აღმოჩნდა, ამ ტრამალებიდან ახლა გამორჩენის მიზნით ანაშასთან ერთად უბედურება და განსაცდელი მიგაქვთ სხვა ადამიანებთან. წარმავალი ცდუნების შედეგად თქვენს წრეში, სასოწარკვეთილებისა და ზნედაცემულობის წრეში, ადამიანებს ითრევთ.

— შენ კი რომელი ჩვენი მოსამართლე ხარ? განა შენ უნდა განსაჯო, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიქცეთ?

— სულაც არა ვარ მოსამართლე. ერთი თქვენგანი ვარ, მაგრამ მხოლოდ...

— რა „მაგრამ მხოლოდ"?

— მაგრამ მხოლოდ მე მესმის, რომ მაღლა არის ღმერთი, როგორც სინდისის და კეთილმოწყალების უზენაესი საზომი.

— ისევ ღმერთი! მერედა ამით რა განდა კიდევ გვითხრა?

— ის, რომ ღვთის სიკეთე ჩვენს ნება-სურვილში ვლინდება. ღმერთი ჩვენშია, ჩვენი შეგნების მეშვეობით მოქმედებს ჩვენზე.

— რა საჭიროა საქმის აგრე გართულება? მერედა რა გამომდინარეობს აქედან? რას მოგვცემს ეს?

— როგორ თუ რას! ადამიანი ხომ თავის თავს გონების ძალის

წყალობით ისევე განაგებს, როგორც ღმერთი. აბა, რა არის ბიწიერების გულწრფელი შეგნება? ჩემი აზრით ესაა ბოროტების დაგმობა ჩვენს არსში ღმერთის დონეზე. ადამიანი თვითონ განსაზღვრავს ახალ შეხედულებას საკუთარი არსის შესახებ.

— რით განსხვავდება შენი შეხედულება მასების შეგნებისაგან? ჩვენ კი ამ შეგნებას გავურბივართ, რომ ბრბოს ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ. ჩვენ თქვენი საფერნი არა ვართ. ჩვენ ჩვენთვისა ვართ.

— შეცდომაა. თავისუფლება მხოლოდ მაშინაა თავისუფლება, როცა კანონის არ ეშინია, თორემ ფიქცია იქნება. შენს თავისუფლებას კი სულ შიშისა და კანონისმიერი დასჯის მუდმივი ზაფრა თრგუნავს...

— მერე რა? შენ რა გენაღვლება — ეს ხომ ჩვენი არჩევანია და არა შენი?

—დიახ, შენია, მაგრამ იგი მარტო შენ არ გეხება. გაიგე, არსებობს გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა. აქვე, პირდაპირ ტრამალში ნათელი ცის ქვეშ მოინანიეთ, თავს ერთხელ და სამუდამოდ მიეცით სიტყვა, რომ ამ საქმეს ზურგს აქცევთ, უარს იტყვით გამორჩენაზე, რასაც შავი ბაზარი გპირდებათ, უარს იტყვით მანკზე, ეძიეთ გზა შერიგებისა საკუთარ თავთან, აგრეთვე იმასთან, ვისაც უფალი ჰქვია და ერთიანი გონებით გვაერთიანებს...

— მერე რა იქნება?

— მერე თქვენ ისევ შეიძენთ ადამიანურ არსს.

— ლამაზად ეღერს, დალახვროს ეშმაკმა! მერედა რა უბრალოდ! — გრიშანი მოიღუშა. იგი ნუჟრებიან ჯოხს ათამაშებდა. შეიცადა, ვიდრე ფერდობს მოფარებული კიდევ ერთი სატვირთო მატარებელი ჩაიქროლებდა. როცა ხმაური მიწყდა, გულახდილობის საღერღელაშლილ აბდიას ჩამომდგარ სიჩუმეში მკაცრად, დამცინავად მიაბეჭდა თვალები და უთხრა: — აი, რა, ფრიად პატივცემულო აბდია, მე მოთმინებით მოვისმინე შენი მსჯელობა, როგორც იტყვიან, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, და დიდად უნდა გაგიცრუო იმედი: ცდები, თუ თვითკმაყოფილებით ფიქრობ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ელაპარაკო ღმერთს შენს ფიქრებში, რომ მე კონტაქტი არ გამაჩნია მასთან, რომ მარტოოდენ შენა გაქვს ასეთი პრივილეგია, შენ — სამართლიანად მოაზროვნეს, მე კი — არა. აი, ახლა კინაღამ სული შეგიგუბდა გაკვირვებისაგან, სმენა მოგჭრა იმან, რომ ღმერთთან კონტაქტი შეიძლება ჰქონდეს ჩემისთანასაც, ხომ?

— სულაც არა. უბრალოდ სიტყვა „კონტაქტი“ აქ, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა. პირიქით, მიხარია, რომ ეს შენგან მესმის. იქნებ შენში რაღაც შეიცვალა?

— არამც და არამც! რა გულუბრყვილობაა. და იცოდე, კალის-

ტრატოვ, — ოღონდ ენა მუცელში არ ჩაგივარდეს, — ღმერთთან მე ჩემი მისასვლელი გზა მაქვს, მასთან სხვანაირად შევდივარ, უკანა შესასვლელიდან. შენი ღმერთი არც ისე მომთხოვნი და მიუწვდომელია, როგორც გეჩვენება...

— და რა შედეგს აღწევ, როცა ღმერთთან უკანა შესასვლელიდან შედიხარ?

— არანაკლებ შედეგს, ვიდრე შენ. მე ადამიანებს ვეხმარები იგემონ ბედნიერება, კაიფში შეიცნონ ღმერთი. ვაძლევ იმას, რის მიცემაც თქვენ არ შეგიძლიათ არც ქადაგებით, არც ლოცვებით... მე ჩემს ხალხს ღმერთთან უფრო ოპერატიულად ვაახლოებ, ვიდრე სხვა გააკეთებს ამას, ვინც უნდა იყოს.

— აახლოებ ფულით ნაყიდ ღმერთთან? საწამლავის დახმარებით? ბანგის მეშვეობით? და ამას ღმერთის შეცნობის ბედნიერებას უწოდებ?

— აბა, რა? ალბათ ფიქრობ, ეს ღვთის გმობა, მკრეხელობააო! რა თქმა უნდა! მე ვბღალავ შენს სმენას. შენი კონკურენტი ვარ, გესმის! გზა გადაგიჭერი. დიახ, დასწყევლოს ეშმაკმა, დიახ, ფული, დიახ, ნარკოტიკები! მაშ, თუ გინდა იცოდე, ყველაფერი ფულია. რა გგონია, ფულს განსაკუთრებული ღმერთი ჰყავს? რაო, ეკლესიებსა და სხვა დაწესებულებებში ფული არ გჭირდებათ?

— ეს სულ სხვა ამბავია!

— მოკეტე! ნუ გაახურე! ამქვეყნად ყველაფერს ყიდიან, ყველაფერს ყიდულობენ, შენს ღმერთსაც მათ შორის. მაგრამ მე მაინც ხალხს საშუალებას ვაძლევ იკაიფოს და განიცადოს ის, რასაც თქვენ სიტყვებით, თანაც მხოლოდ იმ ქვეყანას ჰპირდებით. მხოლოდ კაიფი განიჭებს ნეტარებას, სიმშვიდეს, თავისუფლებას სივრცესა და დროში. ვთქვათ, ეს ნეტარება წუთიერია, ვთქვათ, მოჩვენებითია, ვთქვათ, მხოლოდ ჰალუცინაციებში არსებობს, მაგრამ ბედნიერებაა და მოიპოვებ მხოლოდ ტრანსის დროს. ხოლო თქვენ, წმინდანებს, ამ თავის მოტყუების შესაძლებლობაც კი არა გაქვთ.

— ერთი რამ მართალი თქვი — ეს ყველაფერი თავის მოტყუებაა.

— აბა, როგორ გინდოდა? ხუთიოდ კაპიკად გეპოვა სიმართლე? ასე არ ხდება, წმინდაო მამაო! რაკი სხვა ბედნიერება არ არსებობს, კაიფი მისი მწარე შემცვლელია.

— მერედა ვინ გთხოვს შეცვალო ის, რაც არ არსებობს! ეგ ხომ ბოროტი განზრახვაა. აი, რა არის ეს!

— ცოტა ფრთხილად, ცოტა ფრთხილად, კალისტრატოვ! მე ხომ, თუ ჩახვდები, თქვენი დამხმარე ვარ!

— როგორ?

— როგორ და ფერისნაირად — აქ საუცნაურო არაფერია! ადა-

მიანს შექმნის დღიდან უამრავი რამ აღუთქვეს, რამდენ საოცრებას არ დაჰპირდნენ დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ: ეს სამოთხე გექნებაო, ეს დემოკრატიაო, ეს თანასწორობაო, ეს ძმობაო, ხოლო ბედნიერება კოლექტივში ყოფნააო, გინდა — იცხოვრო კომუნებში, სიბეჯითისთვის კი ყოველივესთან ერთად ედემში გაცხოვრებთო. სინამდვილეში რა აღმოჩნდა? მხოლოდ სიტყვების რახარუხი. მე სამაგიეროდ, თუ გინდა იცოდე, გულს ვაყოლებინებ წყურვილდაუმცხრალთ, საქმეაწეწილთ. მე მეხამრიდი ვარ, ადამიანები უკანა შესასვლელით მიმყავს აუხდენელ ღმერთთან.

— ო, შენ უფრო საშიში ყოფილხარ, ვიდრე მეგონა! იმის წარმოდგენაც კი შეგზარავს კაცს, რა მსოფლიო შფოთის დატრიალება შეგეძლო! შენში ალბათ პატარა ნაპოლეონი ჩაკვდა.

— აუწიე! რატომ დიდი არა? თავისუფლება მომცენ და ვიცი, როგორ გავშალო ფრთები! უცებ რომ დასავლეთში აღმოჩნდეთ, განა მარტო ასეთ საქმეებს დავატრიალებდი. მაშინ კამათს ვეღარ გამიბედავდი და სიკეთეს და ბოროტებას ჩემი თვალით გაზომავდი...

— არ მეეჭვება... მაგრამ საშინელსაც ვერაფერს ვხედავ შენს სიტყვებში. ახალს არაფერს ამბობ. შენ, გრიშან, იმის ხარჯზე მუქთახორობ, რომ ადამიანებმა რწმენა დაკარგეს, ამის კულტივირება კი ერთობ ხელსაყრელია. ყველაფერი ცუდია, ყველაფერი სიცრუეა, ხოლო რაკი ასეა, კაიფში ჰპოვე ნუგეში. აბა, ერთი სცადე და, როცა ადრინდელს, ყოველივეს გმობ, ადამიანებს სამყაროზე ახალი შეხედულება შეუქმენი! რწმენა კაიფი არ გეგონოს, რწმენა მრავალი თაობის ტანჯვის პროდუქტია, რწმენისათვის ათასწლობით და ყოველდღიურად უნდა გაისარჯო. შენ კი სამარცხვინო რეწვით გსურს შეცვალო დღის და ღამის მონაცვლეობა, მარადიული წესრიგი. და ბოლოს, ქება-დიდებით იწყებ და იძულებული ხდები ლანძღვა-გინებით დაამთავრო — შენ მიერ ხოტბაშესხმული კაიფის შემდეგ ხომ სიგიჟის ხანა და სულის საბოლოო დეგრადაცია იწყება. ბოლომდე რატომ არ ამბობ სათქმელს? გამოდის, რომ შენი კაიფი პროვოკაციაა: მოჩვენებით ღმერთთან რომ მიდიხარ, იქვე ხომ ეშმაკის ხელებში ექცევი. რა ვუყოთ ამას?

— არაფერიც. ამქვეყნად ყველაფერს თავისი მიეგება. ამასაც. ისევე, როგორც სიცოცხლეს სიკვდილი მიეგება... ეს აზრად არ მოგსვლია? რატომ გაყუჩდი? შენ, ღვთისმოსავო, ჩემი კონცეპცია, რასაკვირველია, არ გეჭაშნიკება!

— ანტიქრისტეს კონცეპცია? არამც და არამც!

— ჰა-ჰა! რა არის ეს შენი ქრისტიანობა ანტიქრისტეს გარეშე? მისი წინააღმდეგობის გარეშე? ვის სჭირდება? რის მაქნისია? ჰოდა, გამოდის, რომ მე თქვენთვის აუცილებელი ვარ! თორემ ისე ვის

უნდა ებრძოლო. როგორ უნდა აჩვენო შენი იდეების მეომრული სულისკვეთება?

— ო, დიდი გამოქექილი ვინმე ხარ! — უნებლიეთ გაეღიმა აბდიას. — მზად ხარ წინაუკუმაობით დაიძვრინო თავი, მაგრამ თუ ენამჭევრობ, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ. ანტიპოდები ვართ, ერთმანეთს ვერ ვეთავსებით — ამიტომ მაძევებ აქედან. შენ ჩემი გეშინია. მაგრამ მაინც ვიჟინებ: მოინანიე, მადევრები შენი ობობას ქსელიდან გაანთავისუფლე. მე დახმარებას გთავაზობ.

გრიშანი მოულოდნელად გაჩუმდა. შუბლი შეიკრა, მდუმარედ მოჰყვა ბოლთის ცემას, სიარულში ჯოხს იბიჯგებდა. შემდეგ შეჩერდა.

— ამხანაგო კალისტრატოვ, თუ გგონია, რომ შენი მეშინია, ძალიან ცდები. დარჩი, არ გაძევებ. ახლა ჩვენ საბარგო მატარებელზე ასვლას დავიწყებთ. ასე ვთქვათ, ტრანსპორტს ორგანიზებულად დავესხმებით თავს.

— უკეთესია თქვა, ყაჩაღურადო, — შეუსწორა აბდიამ.

— როგორც გერჩიოს, ყაჩაღური თავდასხმა გინდა თქვა და იყოს ყაჩაღური, მაგრამ გაძარცვის მიზნით კი არ ვესხმებით თავს, არამედ იმისათვის, რომ არალეგალურად ვიმგზავროთ. ხოლო ესენი სხვადასხვა რამაა. შენი სახელმწიფო ხომ თავისუფალ მიმოსვლას გვიკრძალავს...

— სახელმწიფოს თავი დაანებე. აბა, თქვი, რა გინდა შემომთავაზო?

— განსაკუთრებული არაფერი. ყაჩაღური, როგორც შენ ინებე დაზუსტება, ჩასხდომის დროს, — გრიშანმა რკინიგზისკენ გააქნია თავი, — ყველანი ერთად ვიქნებით, ერთმანეთის თვალწინ. ჰოდა, სცადე, გადაარწმუნო ისინი, მცირეწლოვანი ლიონკები და შეუპოვარი პეტრუხები, იხსენი სული მათი, მაცხოვარო! არაფრით, ერთი სიტყვითაც არ შეგიშლი ხელს. იგულისხმე, რომ აქ არ ვარ. და თუ ამ ხალხის გაყოლიებას, შენი ღმერთისაკენ მოქცევას მოახერხებ, მაშინვე გაგეცლები, როგორც დამარცხებისას ეცლებიან ბრძოლის ველს. გამიგე? თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ! — მოუჭრა აბდიამ.

— მაშ, იმოქმედე! ხოლო, რაც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ, არავის ეცოდინება. ვიტყვით, რაღაც-რაღაცეებზე ვისაუბრეთ-თქო.

— გმადლობ! მაგრამ მე დასამალი არაფერი მაქვს, — მიუგო აბდიამ.

გრიშანმა მხრები აიჩეჩა.

— აბა, შენ იცი, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, „შენ იტყვი“.

მაისის ერთ-ერთ ბოლო საღამოს შვიდი საათი იყო, მაგრამ მზე

წინანდებურად თვალისმომჭრელად და მცხუნვარედ ანათებდა ტრამალის თავზე. საეჭვოდ გაშეშებული, ვერცხლისფერი ღრუბლები მთელ დღეს რომ დაბმულებივით იდგნენ და თავდაპირველად უფერულად გამოიყურებოდნენ, საღამოს დაიგრაგნენ, ყომრალ ზოლად ჩამოაწვნენ ჰორიზონტს და აბდიას გულში აუხსნელი მღელვარების გრძნობა ჩაუბუდეს. ეტყობა, ჭექა-ქუხილი ახლოვდებოდა.

მატარებლები კი სულ მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით. მათი მძიმე თვლების გადავლაზე მიწა ძაგძაგებდა და ზანზარებდა. „რამდენი მიწა, რამდენი სივრცე და სინათლეა, ადამიანს კი მაინც რაღაცა აკლია, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლება, — ფიქრობდა აბდია, ტრამალების უკიდეგანო სივრცეებს რომ თვალს ავლებდა. — ხალხის გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია და მასთანაც ყოფნა უმძიმს. აი, ახლაც, როგორ მოვიქცე? რა გავაკეთო, რომ გრიშანის ბადეში მოხვედრილი ყველა მადევარი ისე მოიქცეს, როგორც გონება უკარნახებს, და არა ისე, როგორც აიძულებენ თანამზრახველნი იმიტომ, რომ ეშინიათ, ან იმიტომ, რომ თანადასელობის გრძნობა აქვთ, უპირველეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ ძალა არ შესწევთ ამ ნარკომანიის იეზუიტის გავლენას მოერიონ. არა, იეზუიტი ცოტაა! საშინელი, უსაზარლესი გაიძვერაა. რა ვქნა, რა ვიღონო?“

და დადგა ჟამი. მადევრები, ვიდრე მატარებელს გააჩერებდნენ, ბალახებსა და ბუჩქებს მოფარებულნი ორ-სამ კაციან ჯგუფებად განლაგდნენ რკინიგზის გაყოლებაზე. პირობითი ნიშანი სტვენა იყო და, როცა შორით, შორეულ მოსახვევში მხოხავი გველივით გამოჩნდა საბარგო მატარებელი, სტვენის გაგონებისთანავე ყველა მოემზადა შესახტომად. ანაშიანი ზურგჩანთები და ჩემოდნები ხელთ ჰქონდათ. აბდია პეტრუხასა და ლიონკასთან ერთად რკინიგზის შეკეთებისას მორჩენილი ღორღის ნაყართან გაწვნენ. მათ შორიახლო იყვნენ გრიშანი და ორი სხვა მადევარი: ერთს, წითურთავიანს, კოლია ერქვა, მეორეს — ცხვირკეხიანს — მახაჩი, ალბათ მახაჩკალიდან იყო და ამიტომ. სხვების შესახებ აბდიამ არაფერი იცოდა, მაგრამ, ცხადია, კიდევ ორმა-სამმა მადევარმა მოხერხებული თავშესაფარი იპოვა და ისინიც გადამწყვეტი ნახტომისათვის ემზადებოდნენ. ის ორნი კი, რომლებიც გრიშანმა იმისათვის გააგზავნა, რომ რკინიგზაზე ექიმიკოსათ — ხიდზე ხანძრის ილუზია შეექმნათ და ამით მემანქანე ეიძულებინათ, მატარებელი გაეჩერებინა, — შორს იმყოფებოდნენ, იქ, სადაც რკინიგზის მაჩვენებელზე „330 კმ“ ეწერა და ლიანდაგი პატარა ხიდზე გადიოდა. ხიდი გაზაფხულის წყალდიდობისას ჩარეცხილ ღრმა ხევზე იყო გადებული. სწორედ ამ მოფარებულ ადგილას ქიმიკოსობდა ის ორი, რომელთაც მადევრები დივერსებს

ეძახდნენ.

მატარებელი სწრაფად ახლოვდებოდა და აბდია გრძნობდა, რომ ყველა ძალიან ნერვიულობდა: როგორ და რას მოახერხებენ? შეძლებენ თუ არა სწრაფად ახტნენ ვაგონებზე, თანაც როგორი აღმოჩნდება მატარებელი, მთლიანად რომ ცისტერნებისაგან იყოს შედგენილი, სადღა მოიკალათებენ? თუ სამხედრო ეშელონი გამოდგა და დაცვა ეყოლა, მაშინ მოგჭამა ჭირი ყველაფერმა.

ლიონკამ მღელვარებისგან აკანკალებული ხელებით მოუკიდა სიგარეტს. პეტრუხამ მაშინვე მრისხანედ დაუცაცხანა:

— აბა, გადააგდე! მოგკლავ, შე დამპალო.

მაგრამ გალურჯებულ-გაფითრებული ლიონკა ისევ ჩქარ-ჩქარა ქაჩავდა სიგარეტს. პეტრუხა მხეცივით ეცა, ღონივრად მოქნეული ხელი თავზე დაჰკრა და ქუდი გადაუგდო. არც ლიონკა დარჩა ვალში — დარტყმას დარტყმით უპასუხა, ხერხი იხმარა და პეტრუხას წიხლი ჰკრა. პეტრუხა მთლად გაშმაგდა და გააფთრებული ცემა-ტყეპა გაიმართა.

აბდია იძულებული გახდა წამომდგარიყო:

— შეწყვიტეთ ჩხუბი, ახლავე შეწყვიტეთ. პეტრუხა, ლიონკას თავი დაანებე. როგორ არ გრცხვენია!

პეტრუხა კი ახლა აბდიას ეცა გააფთრებით:

— შენ რაღას ეჩრები საქმეში, რეგვენო მღვდელო! რა ჩილიკასავით წამოდექი, შენ ხომ ერთ ვერსზე ჩანხარ! — პეტრუხამ ამ სიტყვებით აბდიას მთელი ძალით მოქაჩა შარვლის ტოტზე და ორივენი — ჩხუბით გაფიცხებულნი, აქოშინებულნი — ერთმანეთის ლანძღვით ჩაგორდნენ თავიანთ ადგილებზე.

მატარებელი კი უკვე ახლოს იყო. მადევრების მღელვარება უნებურად აბდიასაც გადაედო. ლაპარაკი არ უნდა, უჩვეულოდ დაძაბული და საშიში წუთი იდგა.

აბდიას ბავშვობიდანვე უყვარდა მატარებლისათვის თვალის გადევნება. ის ხომ ომის შემდგომ ორთქლმავლებს მოესწრო, იმ რომანტიკულ მანქანებს, რომლებიც კვამლის მძლავრ სვეტებს და ორთქლის ბოლქვებს ისროდნენ და კივილით ავსებდნენ მიდამოს, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი თრთოლვით დაუწყებდა ლოდინს მატარებელს — მას ხომ უკანონოდ და, უფრო მეტიც — ძალად უნდა შეეღწია ვაგონში.

წყვილ ლოკომოტივზე გამობმული მძიმე საბარგო მატარებელი კი სულ უფრო ახლოვდებოდა. მის მოახლოებაზე აბდიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა, კანი დაეხორკლა. ძველი ორთქმავლები ახლანდელ დიზელებს რას შეედრებოდნენ. დიზელებს ძალა შიგნით ჰქონდათ

დამალული და ვაგოხების თვალუწვდენელ მწკრივს ეწეოდნენ. ურიცხვი თვალი კი სულ მიგორავდა და მიგორავდა, ვაგონებქვემოდან მძაფრი ქარი, გუგუნი და თვლების რაკარუკი მოქროდა. აბდია უცქეროდა გამალებით და თვალდასანახად მოძრავ მატარებელს და არ სჯეროდა, რომ ამ მძიმე და ვეება შემადგენლობის გაჩერება შეიძლებოდა.

ზედიზედ მიქროდნენ ვაგონები — ვაგონ-ბაქნები, ცისტერნები, ხე-ტყის საზიდები, სატვირთო და დახურული კონტეინერები. აგერ. უკვე ნახევარმა მატარებელმა ჩაიქროლა და აბდიამ გაიფიქრა, მადევრები ვერაფერს შეძლებენ, სულ ტყუილად ფაფხურობენ, წარმოუდგენელია ასეთი სისწრაფით მომავალი უზარმაზარი შემადგენლობის გაჩერებაო, მაგრამ უცებ მატარებლის სიჩქარემ იკლო. აბდია თვალებს არ უჯერებდა: მატარებელი თითქმის გაჩერდა. ამ დროს ყურთასმენის წამღები სტვენა გაისმა. სტვენას სტვენით უპასუხეს.

— წავედით! — ბრძანა პეტრუხამ. — წინ!

მათ ზურგჩანთებს და ჩანთებს დაავლეს ხელი და სვლაშენებული ვაგონებისაკენ გაქანდნენ. ყველაფერი სწრაფად და ელვისებურად კეთდებოდა, როგორც, საფარიდან თავდასხმისას. უნდა ჩასჭიდებოდი ან ხელი წაგევლო რაიმესთვის, მოგესწრო ნებისმიერ ვაგონზე, ნებისმიერ ბაქანზე აფოფხება, ოღონდ ასულიყავი და შემდგომ უკვე ვაგონების სახურავებზე შეგეძლო გადასვლა-გადმოსვლა, უფრო ხელსაყრელ ადგილას მოკალათება. აბდიას თვალში ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც საშინელ სიზმარში: იგი აქეთ-იქით აწყდებოდა ვაგონების ლამის ცამდე აწვდილი დახშული კედლის წინ, ქვეცნობიერად უკვირდა, რა მაღალი იყო ვაგონები და მაზუთის რა მძაფრ სუნს გამოსცემდნენ თვლები, რომლებიც შეიძლებოდა ყოველ წამს დაძრულიყვნენ. ყოველივეს მიუხედავად, შემდეგ ფაცხა-ფუცხით მიფოფხავდა ზემოთ, ვიღაცას ეხმარებოდა, მასაც ვიღაც ეხმარებოდა. მატარებელი ერთი-ორჯერ მუქარით შეჯაჯგურდა, აღრჭიალდა, აჭრიალდა — აგერ-აგერ თვლებქვეშ მოჰყვებოდი კაცი, — მაგრამ ყველაფერი მოგვარდა, უკეთესი არ იქნებოდა. როცა მატარებელი ისევ შეინჯღრა, ისევ სწრაფად გაუტია, რათა დაკარგული დრო აენაზღაურებინა, აბდიამ მიმოიხედა და დაინახა, რომ ცარიელ საბარგო ვაგონში იმყოფებოდა თავის განუყრელ თანამოღვაწეებთან — პეტრუხასა და ლიონკასთან ერთად. აქვე იყო გრიშანიც. მარტო ღმერთმა უწყის, როგორ მოახერხა მტკივანი ფეხით ვაგონზე ახტომა. მას თან ახლდა ის ორი მადევარი — მახაჩი და კოლია. ყველას ფერი დაჰკარგვოდა და ქშინავდა, მაგრამ სახეზე სიხარული და კმაყოფილება ეტყობოდათ. აბდიას არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე იღბ-

ლიანად დასრულდა და ყველაზე რთულმა წუთმა გაიარა. ახლა ანაშას მომპოვებლები ჟალპაკ-საზისკენ მიდიოდნენ, იქიდან კი გზა უკვე დიდი მიწისაკენ, დიდი ქალაქებისკენ, ხალხმრავალი ადგილებისკენ მიემართებოდა...

ხუთი საათი უნდა ევლოთ. მადევრებს გაუმართლათ: მათ მიერ დაპყრობილ ცარიელ ვაგონში ხის ყუთები აღმოჩნდა. ალბათ ვაგონის დაცლის შემდეგ აღარ დაივჩს, ახლა კი მადევრებმა დასაჯდომად გამოიყენეს. გრიშანის ბრძანებით ყველა ისე განლაგდა, გარედან ვერ დაენახათ. ვაგონში საკმაო სინათლე იქნებოდა, რომ კარი თუნდაც ცალ მხარეს გაეღოთ, მით უმეტეს, მაღალი სარკმელები ღია იყო ჰაერის გასანიავებლად.

მატარებელი პირველად რომელიღაც ასაქცევზე გაჩერდა. მადევრებმა კარი მჭიდროდ დახურეს და გაყუჩდნენ. მატარებლის გასვლას დახუთულ ჰაერსა და სიცხეში ელოდნენ. მაგრამ შემადგენლობასთან არავინ გამოჩენილა. პეტრუხამ ფრთხილად გაიხედა და გრიშანს მოახსენა — ჯელაფერი რიგზეა. ირგვლივ არავინ ჩანსო. როგორც კი შემხვედრმა სამგზავრო მატარებელმა ჩაიგრიალა, საბარგო ისევ დაიძრა. შემდეგ გაჩერებაზე მახაჩმა მთელი კანისტრა ცივი წყლის შოვნა მოახერხა და ვაგონში ცხოვრება განახლდა — გამოცოცხლდნენ, ორცხობილათი და კონსერვებით წაიხემსეს და უკვე ოცნებას მიეცნენ, თუ რა მადიანად მიირთმევდნენ ცხელ საჭმელს ჟალპაკ-საზის სადგურის სასადილოში.

მატარებელი კი თავისი მარშრუტით მიიწევდა ჩუს ტრამალებში მთების მხარეს...

მაისის იმ ხანიერ საღამოს ჯერ კიდევ სინათლე იდგა. ლაპარაკობდნენ მთისას, ბარისას, მაგრამ ყველაზე მეტად საჭმელზე, ფულზე. პეტრუხამ თავისი მოხდენილი დიაცი გაიხსენა, რომელიც მურმანსკში ელოდებოდა. ამაზე მახაჩმა წმინდა კავკასიური ექსპრესიით უთხრა:

— მისმინე, პეტრუხა, ძვირფასო, მურმანსკის გარდა ვერსად ახერხებ ქალის შოვნას? რაო, მოსკოვში უკვე არ შეიძლება ცოტას გაიმასქნება? ჰა-ჰა-ჰა! მოსკოვში ქალები არ არიან?

— შენ ჯერ ცხვირი არ მოგიხოცავს, რა გაგეგება ამ საქმისა? — გაუბრაზდა პეტრუხა. — რამდენი წლისა ხარ?

— რამდენ-რამდენის! რამდენისაც ვარ, ყველა წელი ჩემია! ჩვენთან, კავკასიაში ჩემისთანები კარგა ხანია ბავშვებს აკეთებენ! ჰა-ჰა-ჰა!

ამ საუბარმა ყველა გაამხიარულა. აბდიაც კი, რომელიც დროდადრო გრიშანს გადახედავდა, უნებლიეთ იღიმებოდა. გრიშანი განზე იჯდა და შიგადაშიგ შემწყნარებლურად ჩაიცინებდა ხოლმე.

წინანდებურად თავის გასაშლელ სკამზე მოეკალათებინა და ხელში ისევ ის ნუჟრებიანი ჯოხი ეჭირა. სხვა მადევრებს მხოლოდ იმით თუ ჰგავდა, რომ მათსავით იაფფასიან სიგარეტს ეწეოდა.

ასე მხიარულად მიდიოდნენ მადევრები, ეგუებოდნენ ცარიელ საბარგო ვაგონს. ლიონკამ ვაგონის კუთხეში მიიძინა, სხვებიც აპირებდნენ წაძინებას, თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ჩანავლებულიყო ცხრა მთას იქით და ირგვლივ ყველაფერს ანათებდა. მადევრები სიგარეტს აბოლებდნენ, უმნიშვნელო რაღაცაზე საუბრობდნენ. უცებ გაჩუმდნენ. შემდეგ ჩურჩული გააბეს, შიგადაშიგ გრიშანს გასცქეროდნენ.

— მისმინე გრიშან, — მიმართა გრიშანს მახაჩმა. — ჩვენ აქ, იცი, საერთო კრებაზე გადავწყვიტეთ, წავიკაიფოთ. ჰა, რას იტყვი? დრო გვაქვს. წავიკაიფოთ? მე, ძვირფასო თამადა, ისეთი მოსაწევი მაქვს, იფ-იფ, მხოლოდ ბაღდადელ ქურდს თუ მოუწევია.

გრიშანმა სწრაფად შეხედა აბდიას: როგორაა საქმეო? ცოტა ხანს იყუჩა, შეიცადა და მახაჩს მიუგდო:

— მიდით!

ყველა გამოცოცხლდა, მახაჩს შემოეხვივნენ. მან კი ქურთუკიდან ამოაძვრინა სწორედ ის მოსაწევი, რომლის მოწევა მხოლოდ ბაღდადელ ქურდს შეეძლო. დიდი პაპიროსი გაახვია, პირველმა მოქაჩა და შემდეგ წრეზე ჩამოატარა. ყოველი მათგანი მოწიწებით ისუნთქავდა ანაშას კვამლს და პაპიროსს სხვას გადასცემდა. როცა პეტრუხას ჯერი დადგა, მან თვალები დახუჭა და ხარბად დაარტყა ნაფაზი, შემდეგ პაპიროსი აბდიას გაუწოდა:

— აბა, აბდია, შენც ჩაყლაპე ცოტა! ჰა, მოსწიე! ნუ ინაზები, ღმერთმანი, გოგო ხომ არა ხარ?

— არა, პიოტრ, არ მოვწევ და ნურც ეცდები მომაწევინო! — ცივი უარი უთხრა აბდიამ პეტრუხას.

პეტრუხამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო:

— რა ხუცესიც იყავი, ისევ ის დარჩი! დიდი ამბავი, ამ ხუცესნახუცარს დამიხედეთ! გვინდა, კარგი გაგიკეთოთ, შენ კი სულში იფურთხები.

— მე შენ სულში არ გაფურთხებ, პიოტრ, არა ხარ მართალი!

— შენ ლაპარაკში აბა, ვინ გაჯობებს! — ხელი ჩაიქნია პეტრუხამ, კიდევ ერთხელ მოქაჩა პაპიროსი და მახაჩს გადასცა. მან კი კავკასიური სიმარდით გრიშანს გაუწოდა.

— ახლა კი, ძვირფასო თამადა, შენი რიგია! შენი სადღეგრძელოა.

გრიშანმა მდუმარედ მოიცილა მისი ხელი.

— როგორც გენებოს უფროს-ბატონო! — დანანებით გააქნია თავი მახაჩმა და პაპიროსმა ისევ ჩამოუარა წრეს. ლიონკამ აჩქარებით მო-

ქაჩა, შემდეგ წითურმა კოლიამ, შემდეგ პეტრუხამ და ისევ მახაჩმა. მალე მწველებს გუნება-განწყობილების შეცვლა დაეტყოთ, თვალები ხან ებინდებოდათ, ხან უბრწყინდებოდათ, ტუჩებზე უმიზეზო, ბედნიერი ღიმილი ეფინებოდათ, მხოლოდ პეტრუხამ ვერ დაივიწყა წყენა, სულ ალმაცერად, უკმაყოფილოდ უცქეროდა აბდიას და ცხვირში ბურდღუნებდა, მღვდლები სულ ქვემძრომები არიანო.

გრიშანი კუთხეში თავის სკამზე იჯდა და მშვიდად, სუპერმენის შემწყნარებლური, ირონიული, თავხედური ჩაცინებით ადევნებდა თვალს წევის სეანსს. ღია კართან მდგომ აბდიას დროდადრო სწრაფად, გამანადგურებლად გადახედავდა ხოლმე. მისი მზერა იმაზე მეტყველებდა, რომ კმაყოფილებას ჰგვრიდა, რაც აქ ხდებოდა, და უთუოდ ხვდებოდა, რად უღირდა ეს ყველაფერი ალალმართალ აბდიას.

აბდია მიხვდა, რომ როცა გრიშანმა მადევრებს გზაში კაიფის ნება მისცა, ამით საჩვენებელი სპექტაკლი მოუწყო: ხედავ, როგორი ამბავია? ხედავ, რა ძლიერი ვარ და რა უძლურია შენი მაღალი სწრაფვანი ბოროტებასთან ბრძოლაშიო.

აბდიას თავი ისე ეჭირა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რას აკეთებდნენ მადევრები, მაგრამ გულში შფოთავდა, იტანჯებოდა, რომ ძალა არ შესწევდა, გრიშანს წინ აღსდგომოდა, არ შეეძლო ისეთი პრაქტიკული რამ მოემოქმედნა, რაც მადევრებს გრიშანის ზეგავლენას გამოგლეჯდა. სწორედ ამ დროს თავშეკავებულობამ უღალატა, ვეღარ მოერია სულ უფრო მოძალებულ სიბრაზეს. მოთმინების ძაფი კი ისევ პეტრუხამ გაუწყვიტა. მან შესთავაზა პაპიროსის ნარჩენი მოეწია, რომელიც ყოველ მოქაჩვაზე სულ უფრო ინერწყვებოდა, ვიდრე ბოლოს ავისმომასწავებელი ყვითელ-მწვანე ფერი არ დაედო.

— ჰა, აბდია, ცხვირ-პირს იქით ნუ იბრუნებ, ჩვენო ხუცო! მე ხომ წრფელი გულით გაძლევ. ამ ნარჩენშია მთელი სიამე, ტვინს გადაგიტრიალებს, — უჩხიკინებდა პეტრუხა.

— გული ნუ გამიწყალე! — სიტყვა გააწყვეტინა გაღიზიანებულმა აბდიამ.

— გული ნუ გამიწყალე კიდევ რაღაა! შენთვის სულს არ ვიშურებ, შენ კი იბღინძები, სიფათს მანჭავ!

— კარგი, მოიტა, მოიტა! — უთხრა აბდიამ გაჯავრებით, ხელი გაიწოდა პაპიროსის ჩანავლებული ნარჩენისაკენ, გამოართვა, მაღლა ასწია, თითქოს პეტრუხას უჩვენებსო, და ვაგონის ღია კარში მოისროლა. ეს ისე სწრაფად მოხდა, ყველას, მათ შორის გრიშანსაც, მოულოდნელობისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა. ჩამომდგარ სიჩუმეში უფრო ხმამაღლა და უფრო მრისხანედ გაისმა რელსებზე სწრა-

ფად მიმქროლავი თვლების რაკარუკი. — ნახე? — გამომწვევად მიმართა აბდიამ პეტრუხას. — ყველამ დაინახეთ, რა ვქენი? — განრისხებით მოავლო თვალი ანაშის მომპოვებლებს. — ასე იქნება ყოველთვის!

პეტრუხა და მის კვალდაკვალ სხვებიც გაოცებულნი შებრუნდნენ გრიშანისკენ: თვალებით ეკითხებოდნენ: ეგ როგორ გავიგოთ, უფროსო, ეს რა მეტიჩარა გამოტყვრაო.

გრიშანი დემონსტრაციულად დუა დამცინავად გადაჰქონდა მზერა აბდიადან მადევრებზე. პირველად მახაჩს გაუწყდა მოთმინების ძაფი.

— თამადა, რას დუმხარ? რაო, დამუნჯდი?

— არა! არ დავმუნჯებულვარ! — გამოაჯავრა გრიშანმა და აშკარა ღვარძლით მკაცრად დაუმატა: — ამ ტიპს სიტყვა მივეცი, ხმა არ ამოვიღო. დანარჩენი თვითონ გაარკვიეთ! მეტს აღარაფერს გეტყვით...

— მართალია? — გაოცებით ჰკითხა მახაჩმა აბდიას.

— მართალია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — იყვირა აბდიამ. — პირობა დავდე, ვამხილო ეს, — თავი გააქნია გრიშანისკენ, — ეს ეშმაკი, რომელმაც დამღუპველი საცდურით მიგიტყუათ და არ გავჩუმდები, რადგან სიმართლე ჩემს მხარეზეა! — აბდია თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა, რას აკეთებდა და რას ყვიროდა, სხვების ანაშიან ზურგჩანთებს შორის თავისი ამოარჩია. გრიშანის გარდა ყველა წამოხტა ადგილებიდან. ვერ გაეგოთ, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ამ მორიდებულ ხუცს, აბდია კალისტრატოვს.

— აი, ბიჭებო, უყურეთ! — აბდიამ ზურგჩანთა მაღლა შეარხია. — ამ ჩანთით დაღუპვა, ჭირი, საწამლავი მიგვაქვს ადამიანებისათვის. მიგაქვთ თქვენ, არამი ფულით გაბრუებულთ, შენ პიოტრ, შენ, მახაჩ, შენ, ლიონია, შენ, კოლია, გრიშანზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. თქვენ თვითონ იცით, ვინ არის იგი!

— მოიცა, მოიცა, აბდია! აბა, ძვირფასო, ერთი აქ მოიტა ეგ ზურგჩანთა! — დაიძრა მისკენ პეტრუხა.

— მომშორდი! — უბიძგა აბდიამ. — არ მომეკარო! მე ვიცი, როგორ გავანადგურო ეს ადამიანთა საწამლავი.

მადევრებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ აბდიამ ზურგჩანთას პირი მოხსნა და ვაგონის გარეთ ქარში დაიწყო ბერტყვა. საწამლავი — მერედა თურმე რამდენი შეეგროვებინა კანაფის ყვითელშწვანე ყვავილედები და ფურცლები — რკინიგზის ვაკისის გაყოლებაზე გაფრინდა, შემოდგომის ფოთლებივით ტრიალებდა და ლივლივებდა. ქარს მიჰქონდა ფული — ასობით და ათასობით მანეთი! მადევრები წამით გაირინდნენ, მონუსხულებივით მისჩერებოდნენ აბდიას.

— ნახეთ! — იყვირა აბდიამ და ზურგჩანთაც მოისროლა გარეთ. — ახლა კი მომბაძეთ! ერთად მოვინანიებთ და ღმერთი შეგვიყვარებს, მოგვიტევებს! მოდი, ლიონკა, პიოტრ! გადაყარეთ, ქარს გაატანეთ წყეული ანაშა!

— გაგიჟდა! სადგურში მეძებრების ხელში ჩაგვყრის. დაიჭირეთ, დასცხეთ მღვდელს! — იბღავლა გონდაკარგულმა პეტრუხამ.

— მოიცათ, მოიცათ! მომისმინეთ! — ყვიროდა აბდია და ცდილობდა, რაღაც აეხსნა მათთვის, როცა დაინახა როგორ გააფთრდნენ ანაშამოწეული მადევრები, მაგრამ უკვე გვიან იყო. მადევრები გაცოფებული ძაღლებივით დაესივნენ. პეტრუხა, მახაჩი, კოლია ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე უბაგუნებდნენ მუშტებს. მხოლოდ ლიონკა ცდილობდა ამაოდ მოჩხუბრების დაშორებას, გაშველებას.

— კარგით რა! — იძახდა და უმწეოდ დარბოდა მოჩხუბრების გარშემო, მაგრამ მათ შეჩერებას ვერ ახერხებდა. აბა, ერთბაშად სამთან რას გახდებოდა. და გაჩაღდა ხელჩართული ხათქახუთქი.

— დასცხე! გამოათრიე! გადააგდე ვაგონიდან! — ბღაოდა გააფთრებული პეტრუხა.

— დაახრჩვე მღვდელი! ძირს გადაუშვი! — კვერს უკრავდა მახაჩი.

— არ გინდათ! ნუ მოკლავთ! არ გინდათ მოკვლა! — ღრიალებდა გაფითრებული, აცახცახებული ლიონკა.

— მომშორდი, არამზადავ, მოგკლავ! — ხელიდან დაუსხლტა ლიონკას გაშმაგებული კოლია.

აბდია შეძლებისდაგვარად იგერიებდა მუშტებს, ცდილობდა ღია კარს მოშორებოდა, აქეთ-იქით მოქანავე ვაგონის შუაგულში გაეღწია: ახლა თვალნათლივ ირწმუნა ნარკომანების მძვინვარება, სისასტიკე, სადიზმი — წეღან კი რა ნეტარებით იღიმებოდნენ აღტკინებით მოცულნი. აბდიას ესმოდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გაიმართა, რომ ძალები უაღრესად უთანაბრო იყო. სამი მადევარი, სამი ზორბა მძვინვარე ჭაბუკი ებრძოდა და აბა, როგორ გაუმკლავდებოდა, მას ხომ მხოლოდ ლიონკა უჭერდა მხარს და ისიც სათვალავში არ ჩაიგდებოდა. გრიშანი მთელი.ამ ხნის მანძილზე წინანდებურად იჯდა თავის ადგილას, როგორც მაყურებელი ცირკში ან თეატრში, მაგრამ ღვარძლს არ მალავდა.

— ოჰო-ჰო! აი, ეს მესმის! — ქირქილებდა, მასხარაობდა გრიშანი. მაინც მიუსია ისინი ერთმანეთს, წინასწარ ივარაუდა, რომ შეეჯახებოდნენ, და ახლა გამარჯვების ნაყოფს იმკიდა — უცქეროდა, როგორ კლავდნენ კაცს მის თვალწინ.

აბდიას ესმოდა, რომ საქმეში მხოლოდ გრიშანის ჩარევას შეეძლო მისი ხვედრი შეეცვალა. საკმარისი იყო, ეყვირა — „მიშველე

გრიშან!“ — და მადევრები მაშინვე დაშოშმინდებოდნენ, მაგრამ აბდიას არაფრით არ შეეძლო გრიშანი საშველად ეხმო. ერთი გზაღა რჩებოდა — ვაგონის სიღრმეში გაეღწია, კუთხეში მიკუნჭულიყო, იქ კი დაე, ეცემათ, დაელეწათ, რაც უნდოდათ, ის ექნათ, ოღონდ გაქანებული მატარებლიდან არ გადაეგდოთ — ეს ხომ უეჭველ სიკვდილს მოასწავებდა...

მაგრამ კუთხემდე მიღწევა არც ისე ადვილი იყო. მთელი ძალით მოქნეული მუშტების ხათქა-ხუთქი, ჭიტლაყები პირდაღებული კარისკენ უბიძგებდა, ხოლო იქ ზედმეტი წამით რომ შეყოვნებულიყო, მადევრები დაუფიქრებლად გადააგდებდნენ ვაგონიდან. და ისევ და ისევ დგებოდა ზეზე, ჯიუტად ცდილობდა, შორეული კუთხისკენ გაეღწია, იმედოვნებდა, ნარკომანებს არაქათი გამოეცლებათ, ან გონს მოვლენო. ამ გაშმაგებულ თავ-პირის მტვრევაში პირველი ლიონკა დაეცა ძირს. მას კოლიამ ჩასცხო თავში, რომ ხელი არ შეეშალა მღვდელთან, წმინდანთან და, მაშასადამე, მადევრების მტერთან — აბდიასთან ანგარიშის გასწორებაში. უნამუსოდ გაჰქონდა თხლაშათხლუში მადევრების მუშტებს — აკი საქმე უნამუსოდ ნაშოვნ ფულს ეხებოდა.

— დასცხე, დასცხე! გულბოყვში, გულბოყვში! — ბორგავდა პეტრუხა, აბდიას უკანიდან ეცა და ხელები დაუჭირა, მახაჩს, წინ დაუყენა. იმანაც, ხარივით გაშმაგებულმა, გამძვინვარებულმა დაუზოგავად ჩაარტყა მუცელში. აბდია ცხრად მოიკაკვა, სისხლი ამოახველა და მიმქროლავი ვაგონის იატაკზე დაენარცხა. სამივემ კარისკენ წაათრია, მაგრამ აბდია ჯერ ისევ უწევდა მათ წინააღმდეგობას, ხელებით იატაკს ებღაუჭებოდა, ფრჩხილები სძვრებოდა, ცდილობდა თავი დაეხსნა, დასხლტომოდა მადევრებს, გრიშანი კი, ვითომც აქ არაფერი ხდებაო, ვაგონის კუთხეში თავის სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ნუურებიან ჯოხს ათამაშებდა. სახეზე უშფოთველი, კმაყოფილი გამომეტყველება ეხატა. აბდიას კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა, შეწყალება ეთხოვა, ეყვირა: „მიხსენი, გრიშან“!, გრიშანსაც იქნებ შეეწყნარებინა, დიდსულოვნება გამოეჩინა და სასიკვდილოდ არ გაეწირა, მაგრამ აბდიას კრინტი არ დაუძრავს და მისმა თავმა სისხლიანი კვალი გაავლო იატაკზე — მადევრებმა ვაგონის ღია კართან მიახოხიალეს. და აქ შეიბნენ კიდევ ერთხელ, უკანასკნელად. მადევრები შიშობდნენ, აბდია შეუჩერებლივ რომ გადავაგდოთ, თან არ გადაგვიყოლოსო. აბდიამ მოახერხა და კარში, უფრო სწორად კარგარეთ დაეკიდა, სახელურის რკინის კავს ჩაეჭიდა. ქარი გრიგალივით ეძგერა და კარს მიაკრა. მაგრამ მარცხენა ფეხით რაღაც ლითონის შვერილი მოსინჯა და ზედ დაებჯინა. და ალბათ არასდროს ჰქონია იმდენი ძალა, ისეთი წყურვილი ცოცხლად გადარ-

ჩენისა, როგორც იმ წუთს, როცა ცდილობდა უბედურებისთვის გაეძ-ლო— თავი რომ დაენებებინათ, შესაძლოა ზემოთ აფორთხებულიყო, უკან ვაგონში შეცოცებულიყო, მაგრამ მადევრები ფეხს ისე ურტყამ-დნენ თავში, როგორც ფეხბურთის ბურთს, უშვერად აგინებდნენ, სისხლით მოთხვარეს, ის კი ისე ჩაფრენოდა სახელურს, კაცი ვერ ააგლეჯდა. უკანასკნელი წუთები განსაკუთრებულად საზარელი იყო.

პეტრუხა მახაჩი და კოლია მთლად გამხეცდნენ. გრიშანმაც ველარ შეიკავა თავი, კართან მიიჭრა: ახლა შეიძლება აღარ ეთვალთმაქცა, შეიძლებოდა იმის ცქერით დამტკბარიყო, როგორ დაილეწებოდა და სულს გაა)რთხობდა აბდია კალისტრატოვი. და იდგა, ელოდა გარ-დაუვალ წუთს, როცა მადევრები აბდიას ბოლოს მოუღებდნენ. ერთი სიტყვით, გრიშანმა ჩინებულად იცოდა თავისი საქმე. აბდია კა-ლისტრატოვს სხვას აკვლევინებდა. ხვალ კი, თუ მკვდარ აბდია კა-ლისტრატოვს იპოვიდნენ და არ დაიჯერებდნენ, რომ მატარებლი-დან გადმოვარდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გადმოხტა, გრიშანი არაფერ შუაში იქნებოდა — პირადად მას ხელი არ დაუკარებია. იტყვის: ბიჭები წაკინკლავდნენ, წაიჩხუბნენ, რასაც უბედურება მოჰ-ყვა — ჩხუბის დროს ფეხი დაუცდაო.

უკანასკნელი რამ, რაც აბდიას დაამახსოვრდა, ის იყო, რომ მა-დევრები სახეში წიხლებით სცემდნენ, მათი ფეხსაცმელი სისხლით შეიღება და ქარს ყურებში აბრიალებული ცეცხლივით გაჰქონდა ბა-ბანი. ტყვიასავით დამძიმებული სხეული აბდიას სულ უფრო ეწეოდა ძირს, საშინელ, ულმობელ სიცარიელეში. მატარებელი კი მიქ-როდა და ქარის შემოტევას იგერიებდა, მიქროდა იმავე ტრამალში და ქვეყნად არავის ედარდებოდა იგი, განწირული, დაღუპვის ბეწვზე ჩა-მოკიდებული აბდია კალისტრატოვი. მზეც იმ უსაზღვროდ ხანიერი დღის დამლევს ტანჯვითა და ძრწოლით გადმოკარკლულ თვალებს უბრმავებდა, მასთან ერთად არარსებობის შავ უფსკრულში ეშვებო-და. მადევრები აბდიას რამდენს ურტყამდნენ წიხლს, მაგრამ ხელებს არ უშვებდა სახელურს. მაშინ პეტრუხამ ხელი სტაცა ჯოხს, რომ-ელიც გრიშანს თითქოსდა შემთხვევით ეჭირა სხვის დასანახად, — აჰა, აიღე, გეთაყვა, და დასცხე, დასცხე ხელებზე, რომ სახელურს გაუშვასო. პეტრუხამაც აიღო და უკანასკნელად საბოლოოდ დაჰკრა...

აბდია ტკივილის ერთიან მორგვად დაქანდა ძირს. უკვე აღარ გრძნობდა, როგორ დაგორდა ფერდობზე, როგორ ილეწებოდა და კანი ეტყავებოდა, როგორ ჩაიქროლა ეშელონის კუდმა იქ, სადაც დაეცა, როგორ მიეფარა თვალს მატარებელი და თან წაიყოლა მისი ყოფი-ლი თანამგზავრები, როგორ მიწყდა თვლების რაკარუკი.

მალე მზე ჩაქრა, ჩამოდგა წყვდიადი და დასავლეთით ნაცრის-

ფერ-შავ ცაზე საავდრო ღრუბლები ჩამოწვა...

იმ ბედკრული ადგილის გვერდით კი უკვე სხვა მატარებლები მიქროდნენ, და ის, ვინც სიცოცხლის გასახანგრძლივებლად შეწყალება არ ითხოვა, დამხობილი იწვა რკინიგზისპირა ნარვალის ფსკერზე. ხოლო ყველაფერი, რაც ჭეშმარიტების გაშმაგებული ძიებისას შეიცნო, ყველაფერი, რასაც ამტკიცებდა, ახლა განრიდებული იყო, დაღუპული იყო. და ღირდა განა თავი გაეწირა და უარი ეთქვა გადარჩენის შესაძლებლობაზე? საქმე ხომ არც მეტი, არც ნაკლები საკუთარ სიცოცხლეს ეხებოდა და სულ ორიოდ სიტყვის წარმოთქმაღა სჭირდებოდა: „მიხსენი, გრიშან!" მაგრამ ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს...

ჭეშმარიტად არა აქვს ზღვარი უფლის პარადოქსებს... აკი ერთხელ ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა ერთმა ასევე ახირებულმა გალილეველმა თავი ისეთ დიდ ვინმედ წარმოიდგინა, ორიოდ ფრაზა არ დათმო და სიცოცხლეს შეელია. ამის გამო, რასაკვირველია, მისი აღსასრული დადგა. ხოლო ადამიანები, თუმცა მას შემდეგ ათას ცხრაას ორმოცდაათი წელი გავიდა, ვერა და ვერ მოდიან გონს, სულ მსჯელობენ, კამათობენ და წუხან — როგორ და რა მოხდა მაშინ, როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ დატრიალებულიყოო. და ყოველთვის ეჩვენებათ, თითქოს ეს ამბავი ზუსტად გუშინ იყო — ეგზომ ცხოველია ელდა. და ყველა თაობა — ხოლო იქიდან მოკიდებული რამდენი ასეთი თაობა გაჩნდა, ვინ მოთვლის, — ხელახლა მოდის გონს და აცხადებს, ჩვენ რომ იმ დღეს, იმ წუთს თხემის ადგილზე ვყოფილიყავით, არაფრით არ დავასჯევინებდით გალილეველსო. აი, როგორ ფიქრობენ ახლა. მაშინ კი ვინ იფიქრებდა, რომ საქმე ასე შეტრიალდებოდა, რომ იმ დღის გარდა ყველაფერს საუკუნეების დავიწყების ბურუსი გადაეფარებოდა...

და მაშინაც, სიტყვამ მოიტანა და, იყო პარასკევი, და ისიც, ვისაც შეეძლო საკუთარი სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ასევე ვერ მიხვდა თავის გადასარჩენად, თავის სასარგებლოდ ორიოდე სიტყვა ეთქვა...

II

ცხელი იყო ის დილა იერუსალიმში და კიდევ უფრო ცხელ დღეს მოასწავებდა იგი. პროკურატორი პილატე პონტოელის ბრძანებით ჰეროდეს სასახლის კამაროვან აივანზე მარმარილოს კოლონადის ქვეშ საკარცხული დაედგათ. აქ ორპირი ნიავი უბერავდა და საკარცხულში მჯდომ პილატე პონტოელს სანდლებიან ფეხებს უგრილებდა. დიდ ბაღში ოდნავ აშრიალებდნენ კენწეროებს მაღალი ალვის ხეები,

რომელთაც წელს ნაადრევად შეყვითლებოდათ ფოთლები.

აქედან, ქვიანი მაღლობიდან, სასახლის კამაროვანი აივნიდან ქალაქის ხედი იშლებოდა. ქალაქის მოხაზულობა მერხევ ბურში მქრქალდებოდა — ჰაერი სულ უფრო ცხელდებოდა, — იერუსალიმის მიდამოებიც კი, რომლებიც ყოველთვის მკაფიოდ ჩანდა, ბუნდოვნად ილანდებოდა თეთრი უდაბნოს საზღვარზე.

იმ დილას ბორცვის მაღლა, თითქოს ცაზე უხილავი ძაფით ჰკიდიაო, უხმაუროდ, ლივლივით ტრიალებდა ეული ფრინველი. ფრთები ფართოდ გაეშალა და დროის თანაბარ მონაკვეთებში დიდ ბაღს თავზე უფრენდა. ან არწივი იყო, ან ძერა. ცხელ ცაში ასე დიდხანს და ერთფეროვნად ფრენას იმათ გარდა ვერც ერთი ფრინველი ვერ შეძლებდა. იესო ნაზარეველმა, რომელიც პროკურატურის წინ იდგა და ფეხს ინაცვლებდა, შემთხვევით ახედა ფრინველს. პროკურატორი ამაზე განრისხდა და შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი.

— სად აპყრობ თვალებს, იუდეის მეფევ? ეს სიკვდილი დაგტრიალებს თავს! — უთხრა იესოს ღვარძლიანად და მკაცრად.

— სიკვდილი ყველა ჩვენგანს დასტრიალებს, — წყნარად მიუგო იესომ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, და ხელისგული უნებურად მოისვა შეშუპებულ, ჩაშავებულ მოჭუტულ თვალზე: როცა იგი სინედრიონში გასასამართლებლად მიჰყავდათ, ბაზართან თავს დაესხა მღვდლებისა და უხუცესთა მიერ წაქეზებული ბრბო. ზოგი სასტიკად სცემდა, ზოგი სახეში აფურთხებდა და იმ წუთს მიხვდა, რარიგ საშინლად სძულდა მღვდელთმთავარ კაიაფას ხალხს, მიხვდა, რომ არავითარ შეწყალებას არ უნდა დალოდებოდა იერუსალიმის სამსჯავროსგან. მიუხედავად ამისა, ადამიანურად აკვირვებდა და აოცებდა ბრბოს სისასტიკე და ორგულობა, თითქოს აქამდე ვერავინ ხვდებოდა, რომ იგი მაწანწალა იყო, თითქოს აქამდე სუნთქვაშეკრულნი არ უსმენდნენ მის ქადაგებებს ტაძრებსა და მოედნებზე, თითქოს არ ხარობდნენ, როცა ქალაქის კარიბჭეში რუხ ხრდალ ვირზე ამხედრებული შედიოდა, უკან კი პატარა ჩოჩორი მიჰყვებოდა, თითქოს ვირს ფეხებში ყვავილებს არ უყრიდნენ და იმედიანად არ გაიძახოდნენ: „ოსანა ძესა დავითისსა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

ახლა იგი პილატე პონტოელის წინ სამოსდაგლეჯილი იდგა და ელოდა, რა მოხდებოდა შემდგომ.

პროკურატორი ძალიან გუნებაწამხდარი იყო და, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, გაბრაზებული გახლდათ თავის თავზე — თავის ზოზინსა და აუხსნელ ყოყმანზე. ასეთი რამ ჯერ არ დამართნია, არც მაშინ, როცა რომის მოქმედ ჯარებში იყო, არც, მით უმე-

ტეს, პროკურატორობის დროს. განა მართლა სასაცილო არაა — იმის მაგივრად, რომ უმალ დაემტკიცებინა სინედრიონის განაჩენი და თავი აერიდებინა ზედმეტი გარჯისთვის, დაკითხვას აჭიანურებდა და ამაზე დროსაც ხარჯავდა და ძალასაც. ხომ ასე ადვილი იყო თითქოსდა, გამოეძახებინა მისი გადაწყვეტილების მომლოდინე იერუსალიმის მღვდელმთავარი თავისი კუდებითურთ და ეთქვა: აჰა, წაიყვანეთ თქვენი ბრალდებული და, რაც გადაუწყვიტეთ, ის უყავითო. მაგრამ პილატე პონტოელს რაღაც უშლიდა ხელს, ამ აგრერიგად უბრალო საქმის მოგვარებაში. მერედა ღირდა ეგ მასხარა ამდენ ვაი-ვაგლახად?

მაგრამ წარმოგიდგენია, რა ყოფილა ეს ახირებული! ამბობენ, იუდეველთა მეფეაო, უფალს უყვარს და უფალმავე მოუვლინა იუდეველთ, როგორც ღვთიური სამართლიანი მეფობის პირდაპირი განმახორციელებელი, ხოლო ამ მეფობის დროს არ იარსებებს კეისრისა და კეისართა, მათი ნაცვლებისა და მლიქვნელური სინაგოგების ხელისუფლება, ყველანი თანასწორნი და ბედნიერნი იქნებიან აწ და მარადისო. მერე და, ვინ გინდა, რომ უმაღლეს ხელისუფლებას არ ეპოტინებოდა, ასეთ ცბიერსა და ვერაგს კი აქამდე არავინ იცნობს — შემთხვევა რომ მიეცეს და თვითონ იგდოს ხელთ ხელისუფლების საჭე, ალბათ ზუსტად დღევანდელი მმართველივით მოიქცევა, ვინაიდან ამქვეყნად ცხოვრების სხვა გზა არაა და არც იქნება. თვითონ ბოროტგანმზრახველმაც ჩინებულად იცის ამის შესახებ, მაგრამ თავისას აკეთებს! მიმნდობ ადამიანებს ახალ სამეფოს ჰპირდება და ამით ინადირებს მათ.

თუ მართალია, რომ ამბობენ, ყველა ადამიანი თავისი იჭვნეულობის კვალად განსჯის სხვას, აქ სწორედ ასეთი შემთხვევა გვქონდა: პროკურატორი იესოს იმ აზრებს მიაწერდა, რომელთაც თვითონ ესათუთებოდა და გულის სიღრმეში საიდუმლოდ ინახავდა, თუმცა მათი განხორციელების იმედი არ ჰქონდა. ყველაზე მეტად სწორედ ეს აღიზიანებდა პილატე პონტოელს და მსჯავრდადებული ცნობისმოყვარეობასაც უღვიძებდა და იმავე დროს სიძულვილსაც უნერგავდა. პროკურატორი ფიქრობდა, რომ ჩასწვდა იესო ნაზარეველის ზრახვას: ამ მომავლის მჭვრეტელმა წმინდაწყლის ბაწანწალამ ჩაიფიქრა ქვეყნისქვეყნად აეტეხა შფოთი, ხალხისთვის აღეთქვა ახალი სამეფო და მოესპო ის, რის დაუფლებასაც თვითონ აპირებდა მომავალში. არა, რანაირად! ვინ იფიქრებდა, რომ ეს საცოდავი იუდეველი გაბედავდა ეოცნება იმაზე, რაზეც რომის იმპერიის მცირე აზიის პროვინციების გამგებელს პილატე პონტოელს არ შეეძლო ეოცნება, უფრო სწორად თავს არ აძლევდა უფლებას ეოცნება. ასე არწმუნებდა, ასე განაწყობდა თავს, ასეთი დასკვნა გამო-

ჰყავდა ბევრისმნახველ პროკურატორს მაწანწალა იესოს საკმაოდ უჩვეულო დაკითხვის დროს /უჩვეულო ის იყო, რომ თავის თავს ყოველთვის მის ადგილზე წარმოიდგენდა/ და მრისხანებას ჰგვრიდა ამ არნახული უზურპატორის განზრახვა. პილატე პონტოელს სულ უფრო ეკიდებოდა ცეცხლი, სულ უფრო აწამებდა ეჭვები, უნდოდა დაუყოვნებლივ მოეწერა ხელი იერუსალიმის სინედრიონის უხუცესთა მიერ წინა დღით იესოსთვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენზეც და გაეჭიანურებინა კიდევაც ეს წუთი, დამტკბარიყო იმით, რომ ბოლომდე გამოევლინა, რით ემუქრებოდა რომის ხელისუფლებას იესოს აზრები და მოქმედებანი...

პროკურატორს ეხამუშა, რომ ცაში ფრინველის ფრენის გამო გამოთქმულ მის შენიშვნას განწირულმა მაწანწალამ გულახდილად და უპატივცემლოდ უპასუხა. შეეძლო გაჩუმებულიყო ან პირფერულად ეთქვა რაიმე, მაგრამ როგორ გეკადრებათ, დარდის გასაქარვებელი მიზეზი იპოვა: სიკვდილი ყველას დასტრიალებს თავსო. „უყურე შენ, თავის თავს თვითონ დასჩხავის უბედურებას, თითქოს მართლაც არ ეშინია სიკვდილით დასჯის“, — ბრაზობდა პილატე პონტოელი.

— რა გაეწყობა, დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს. იცი, უბედურო, რა გელის? — ჩახრინწული ხმით ჰკითხა იესოს პროკურატორმა, რომელიც უკვე მერამდენეჯერ ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს ყავისფერი, მბზინვარე სახიდან, მელოტიდან და ჩაკირული კისრიდან. ვიდრე იესო პასუხისთვის ემზადებოდა, პროკურატორი გაოფლილ თითებს ატკაცუნებდა, ყოველ თითს ცალ-ცალკე იგრეხდა — ჰქონდა მას ასეთი ცუდი ჩვევა. — მე შენ გეკითხები, იცი, რა გელის?

იესოს ფერი მისდიოდა მარტო იმის გაფიქრებაზე, თუ რა ელოდა, მან მძიმედ ამოიოხრა.

— დიახ, რომის ნაცვალო, ვიცი, დღეს სიკვდილით უნდა დამსაჯონ, — ძლივს ამოღერღა მან.

„ვიცი“! — გაიმეორა პროკურატორმა ზიზღითა და სიბრალულით აღსავსე დაცინვით. იგი წინ მდგომ ბედშავ წინასწარმეტყველს თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა.

იესო თავდახრილი, მოჩანჩული, გრძელკისერა და გრძელთმიანი, კულულებაბურდული, ტანსაცმელდახეული და ფეხშიშველი /სანდლები ალბათ ჩხუბში დაეკარგა/ იდგა პროკურატორის წინ, ხოლო მის უკან, სასახლის აივნის მოაჯირში შორეულ ბორცვებზე შეფენილი სახლები ჩანდა. ქალაქი ელოდა პროკურატორის წინაშე დაკითხვაზე მდგომს. საზიზღარი ქალაქი ელოდა მსხვერპლს. დღეს ამ პაპანაქებაში ქალაქს სისხლიანი სანახაობა სჭირდებოდა, მის ღამესავით ბნელ ინსტინქტებს ელდა სწყუროდათ — და რომ ერთიცა

და მეორეც გაცხადდებოდა, მაშინ ქუჩის ბრბოებს სული შეუგუბდებოდათ ღრიალითა და გოდებით, როგორც ტურების ხროვა კივის და ღვარძლიანად ჩხავის, როცა ხედავს, გამძვინვარებული ლომი როგორ გლეჯს ზებრას ლიბიის უდაბნოში. პილატე პონტოელს არა ერთხელ უნახავს ასეთი სცენები მხეცთა შორისაც და ადამიანთა შორისაც, შინაგანად შეძრწუნდა, როცა წამით წარმოიდგინა, როგორ აღსრულდებოდა ჯვარზე გაკვრა, და თანაგრძნობანარევი საყვედურით გაიმეორა:

— შენ თქვი, ვიციო! „ვიცი“ — ეს ის სიტყვა არაა. ამას სრულად მაშინ გაიგებ, როცა იქ იქნები...

— დიახ, რომის ნაცვალო, ვიცი და მაძრწუნებს ამის გაფიქრებაც კი.

— შენ კიდევ სიტყვას ნუ მაწყვეტინებ და იმქვეყნად წასვლას ნუ ჩქარობ. მოასწრებ, — წაიბურდღუნა პროკურატორმა, რომელსაც იესომ აზრის დამთავრება არ აცალა.

— მორჩილად გთხოვ, მომიტევო, მმართველო, თუ შემთხვევით სიტყვა შეგაწყვეტინე, უნებლიეთ მომიხდა, — მოუბოდიშა იესომ. — მე სულაც არ ვჩქარობ. მინდოდა, კიდევ მეცხოვრა.

— და არ ფიქრობ, უარყო შენი უკადრისი სიტყვები? — პირდაპირ ჰკითხა პროკურატორმა.

იესომ ხელები გაასავსავა, თვალებში ბავშვური უმწეობა ეხატა.

— უარსაყოფი არაფერი მაქვს, მმართველო, ეს სიტყვები წინასწარ შთამინერგა მამამან ჩემმან და ვალდებული ვიყავი ხალხისთვის ჩამეგონებინა. მე მისი ნება შევასრულე.

— შენ სულ შენსას იმეორებ, — ხმას აუწია გაღიზიანებულმა პილატე პონტოელმა. სახეზე /მას მსხვილი კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ღრმა ნაოჭები შემოვლებოდა უხეშად მონაკვთული პირის გარშემო/ ზიზღი და სიცივე აესახა. — მე ხომ ვიცი, რაცა ხარ, როგორც უნდა მოიკატუნო თავი, — ისე თქვა, იესოს შესიტყვება ვერ გაებედა. — მართლაცდა, რას ნიშნავს ხალხისთვის მამისა და შენის სიტყვების ჩაგონება? იმას, რომ გამოასულელო ბრბო, ხელში ჩაიგდო! და უწესრიგობის ჩასადენად წააქეზო. იქნებ გინდა მეც ჩამაგონო მისი სიტყვები — მეც ხომ ადამიანი ვარ!

— შენ, რომის მმართველო, ჯერჯერობით ეს არ გჭირდება, ვინაიდან არ იტანჯები და არ გწყურია ცხოვრების სხვანაირად მოწყობა. შენთვის ძალაუფლება ღმერთი და სინდისია. ძალაუფლება კი სრულად გაქვს მონიჭებული და შენთვის იგი უზეშთაესია.

— სწორია, რომის ძალაუფლებაზე უზეშთაესი არაფერია. მგონი, ამის თქმა გინდა, ხომ?

— ასე ფიქრობ შენ, მმართველო.

— ასე ფიქრობდნენ ყოველთვის გონიერი ადამიანები, — შემწუნარებლურად შეუსწორა პროკურატორმა. — ამიტომაც ამბობენ, — ჭკუას არიგებდა იგი იესოს, — კეისარი ღმერთი არაა, მაგრამ ღმერთი კეისარია. თუ დარწმუნებული ხარ, რომ სხვანაირადაა, დამიმტკიცე. აბა! — პროკურატორი დამცინავად მიაშტერდა იესოს. — რომის იმპერატორ ტიბერიუსის სახელით, ვისი ნაცვალიც მე ვარ, შემიძლია ზოგი რამ შევცვალო დროსა და სივრცეში. შენ ხომ ცდილობ ამას დაუპირისპირო რაღაც უმაღლესი ძალა, რაღაც სხვა ჭეშმარიტება, რაც თითქოსდა შენ მოგეძევება. ეს ძალიან საინტერესოა, უაღრესად საინტერესო, თორემ აქ ზედმეტ ხანს არ გაგაჩერებდი. ქალაქში უკვე მოუთმენლად ელიან, როდის აღსრულდება სინედრიონის განაჩენი. აბა, მიპასუხე!

— რა გიპასუხო?

— დარწმუნებული ხარ, რომ კეისარი ღმერთზე ნაკლებია?

— იგი მოკვდავია.

— გასაგებია, რომ მოკვდავია. მაგრამ ვიდრე ცოცხალია, ადამიანებისთვის არსებობს კეისარზე უფრო მაღალი ღმერთი?

— არსებობს, რომის მმართველი, თუ ცხოვრების სხვა საზომს ავირჩევთ.

— ვერ ვიტყვი გამაცინე-მეთქი, — თქვა პილატე პონტოელმა, რომელმაც ვითომდა შეურაცხყოფილმა შუბლი შეჭმუხნა და ხეშეში წარბები ასწია. — მაგრამ ამაში ვერ დამარწმუნებ იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს სასაცილოც კი არაა. არ ვიცი, არ მესმის, ვის და რატომ სწამს შენი.

— ჩემი სწამთ იმათ, რომელთაც ჩემკენ უბიძგებთ ჩაგვრა, საუკუნეობრივი წყურვილი სამართლიანობისა, ჩემი მოძღვრების თესლი ტანჯვით გაპოხიერებულ და ცრემლით მორწყულ ნიადაგს ეცემა, — აუხსნა იესომ.

— კმარა! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი პროკურატორმა. — წყლის ნაყვაა.

ორივე გაჩუმდა, ორივე თავისაზე ფიქრობდა. იესოს გაფითრებულ შუბლზე ოფლმა უხვად გამოჟონა, მაგრამ არც ხელისგულით იწმენდდა, არც დაგლეჯილი ქლამიდის სახელოთი. საამისოდ არ ეცალა — შიშისგან ლამის გული არეოდა და ოფლი ღვარად დაედინა სახეზე, წვეთებად ეცემოდა მარმარილოს იატაკზე გამხდარი, დაძარღვული ფეხების წინ.

— და ამის შემდეგ ისურვებდი, მე, რომის პროკურატორს, შენთვის თავისუფლება მეჩუქებინა? — უეცრად ჩახრინწული ხმით განაგრძო პილატე პონტოელმა.

— დიახ, კეთილო მმართველო, გამიშვი.

— მერედა რას გააკეთებ?

— ღმერთის სიტყვას მოვფენ ქვეყნისქვეყნად.

— აქ ვინმე სულელი არ გეგონოს! — შეჰრა პროკურატორმა და მრისხანებისგან გონდაკარგული წამოიჭრა. — აი, ახლა საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ შენი ადგილი მხოლოდ ჯვარზეა, მხოლოდ სიკვდილს შეუძლია შენი დაშოშმინება.

— ცდები, დიდო მმართველო, სიკვდილი უძლურია სულის წინაშე, — მტკიცედ და მკაფიოდ მიუგო იესომ.

— რაო? რა თქვი? — გაოცდა პილატე პონტოელი, თავის თავში დაეჭვდა, ხომ არ მომეყურაო, იესოს მოუახლოვდა. მრისხანებისა და გაკვირვებისაგან შეშლილი სახე მუქ ყავისფრად დაეფოთლა.

— ის, რაც გაიგონე, მმართველო.

პილატე პონტოელმა ჰაერი ჩაიგუბა ფილტვებში, ცისკენ ანაზდად აღაპყრო ხელები და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს დაჭედილი მხედრული წაღების ბრახაბრუხი გაისმა.

— რა გინდა? — მკაცრად ჰკითხა პროკურატორმა შეიარაღებულ ლეგიონერს, რომელსაც რაღაც პერგამენტი მოშქონდა.

— მიბრძანეს გადმომეცა, — უთხრა ლეგიონერმა მოკლედ და გაეცალა.

პერგამენტი პილატე პონტოელის ცოლის ბარათი აღმოჩნდა. ცოლი წერდა: „პროკურატორო, ჩემო მეუღლევ, გთხოვ, გამოუსწორებელი ვნება არ მიაყენო ამ მოხეტიალეს, როგორც ამბობენ, ქრისტედ წოდებულს. ყველა ლაპარაკობს, უწყინარი წმინდანია, საუცხოო მკურნალი ყოველგვარი სნეულებისაო. ხოლო ის, რომ, თითქოს ღვთის შვილი, მესია და ლამის იუდეველთა მეფეა, ალბათ მოუგონეს. ჩემი განსასჯელი არაა ასეა თუ არა, მაგრამ თვითონ იცი, ალბათ რა შარიანი და შეშლილი ხალხია ეს იუდეველები. მერედა მართალი რომ აღმოჩნდეს ყოველივე? აკი ძალიან ხშირად საზიზღარი ბრბოს ნათქვამი შემდეგ მართლდება. და თუ ამჯერადაც გამართლდა, დაგწყევლიან. ამბობენ, თითქოს ხალხი იესო ქრისტეს მიემხრო. ამიტომ აქაური სინაგოგების მსახურნი და ქალაქის უხუცესნი შეშინდნენ და იესო შეიზიზღეს, მღვდლებმა შურის გამო ცილი დასწამეს და უმეცარი ბრბო აუმხედრეს. ის, ვინც გუშინ ქრისტეს სახელს ლოცულობდა, დღეს ქოლავდა. მე მგონია, თუ ამ სალოსის სიკვდილით დასჯას დათანხმდები, ცუდი სახელი გაგივარდება, ჩემო მეუღლევ. ჩვენ ხომ მუდამ არ ვიქნებით იუდეაში. მინდა რომში საკადრისი დიდი პატივით დაბრუნდე. ნუ იქმნ ამას, პონტოელო. წეღან ქრისტე ბადრაგს რომ მოჰყავდა, დავინახე. რა ლამაზია, პირდაპირ ახალგაზრდა ღმერთია. სიტყვამ მოიტანა და წინადღეს სიზმარი ვიხილე. შემდეგ გიამბობ. ძალიან საგულისხო სიზმარია. იცოდე, სა-

წყევრად ნუ გაიხდი ნურც შენს თავს და ნურც შთამომავლობას!"

— ო, ღმერთებო, ღმერთებო! ნეტა რით განგარისხეთ? — დაიკვნესა პილატე პონტოელმა და მერამდენეჯერ ინანა, რომ ეს შერყეული, დამთხვეული ცრუ წინასწარმეტყველი ზედმეტი სიტყვების უთქმელად და უყოყმანოდ მაშინვე არ გააყოლა ბადრაგს ჯალათებთან, ქალაქგარეთა ბაღში, სადაც ბორცვზე იერუსალიმის სამსჯავროს განაჩენით სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ჰოდა, აი, ახლა ცოლიც ერეოდა საპროკურატორო საქმეებში. პროკურატორი ამას იმით ხსნიდა, რომ ფარულად მოქმედებდნენ იესო ქრისტეს ზურგს უკან მდგომი ძალები, ანდა ყოველ შემთხვევაში ამ საქმის ციური ძალები უწევდნენ წინააღმდეგობას. მაგრამ ზეცის მკვიდრთ მიწიერი საქმეები ნაკლებ აინტერესებთ, ცოლი კი თავისი ქალური გონებით რას გაარკვევს პოლიტიკაში; რად უნდა გაუღვივოს პროკურატორმა მტრობა მღვდელმთავარ კაიაფასა და რომის ერთგულ და თავდადებულ იერუსალიმელ დიდკაცობას კეისრის მაგინებელი ამ საეჭვო კაცის, მაწანწალა იესოს გამო? საიდან მოიგონა ცოლმა, რომ ეს კაცი ახალგაზრდა ღმერთივით ლამაზია? კი, ახალგაზრდაა. ახალგაზრდა და მეტი არაფერი. ხოლო სილამაზისა განსაკუთრებული არაფერი სცხია. აი, ნაცემი ძაღლივით დგას. მერედა, რა ნახა ცოლმა მასში? დაფიქრებულმა პროკურატორმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, გონებაში ბარათის შინაარსს უკვირდებოდა. შემდეგ ამოიოხრა და ისევ ჩაჯდა საკარცხულში. უცებ ერთი აზრი გაუკრთა თავში, რაც ადრეც არაერთხელ დაჰბადებია: თითქოსდა რაოდენ არარანი არიან ადამიანები — კუჭში გადიან, შარდავენ წყვილდებიან, იბადებიან, იხოცებიან, ისევ იბადებიან, ისევ იხოცებიან, რამდენი სიმდაბლე და ავკაცობა აქვთ ჩაბუდებული გულში და მთელ ამ მძულვარებასა და სისაზიზღრეში უცებ საიდანღაც ჩნდებიან უზენაესი არსება, წინასწარმეტყველები, სულის სწრაფვანი. აი, თუნდაც ეს — ისე ირწმუნა თავისი მოწოდება, თითქოს სიზმარში ცხოვრობს და არა ცხადში. მაგრამ კმარა, მოუწევს გამოფხიზლება! დროა, დამთავრდეს ყოველივე!

— და მაინც აი, რა მინდა ვიცოდე, — მიმართა პროკურატორმა იესოს, რომელიც ისევ ისე მდუმარედ იდგა თავის ადგილას. — ვთქვათ, წმინდანი ხარ და არა ბოროტგამზრახველი, მიმნდობ ხალხში შფოთის მთესავი, ვთქვათ, როცა სამართლიანობის სამეფოზე ლაპარაკობ, კეისარს მსოფლიოს ბატონობის უფლებებში ეცილები, ვთქვათ, დაგიჯერე, ჰოდა, მითხარი: რა გაიძულებს მოკვდე? გამიმეღავნე, რა გამოძრავებს? თუ განიზრახე ასეთი გზით გაუხდე მეფედ ისრაელ ხალხს, არ მოგიწონებ, მაგრამ გაგიგებ, ოღონდ თავიდანვე რატომღა ჭრი იმ ტოტს, რომელზეც ჯდომას

აპირებ? როგორ გახდები კეისარი, როცა კეისრის ხელისუფლებას უარყოფ? იცი, რომ ახლა ჩემი ნებაა ცოცხალი დაგტოვო, თუ მოსაკვდინებლად გაგაგზავნო? აბა, რატომ დუმხარ? შიშმა დაგამუნჯა?

— დიახ, რომის ნაცვალო, მეშინია სასტიკი დასჯისა. კეისრობას კი სულაც არ ვაპირებ.

— მაშ, მოინანიე ქალაქის ყველა მოედანზე, დაგმე შენი თავი, აღიარე, რომ შენ ცრუ შორსმჭვრეტელი, ცრუ წინასწარმეტყველი ხარ, ბრბო რომ ჩამოგცილდეს, რომ არ აცდუნო იგი ამაო და დანაშაულებრივი მოლოდინით, ნუ ირწმუნები, თითქოს იუდეველთა მეფე ხარ. არავითარი სამართლიანობის სამეფო არ არსებობს. ყოველთვის სამართლიანია ის, რაც არის. არსებობს ქვეყნად იმპერატორი ტიბერიუსი და ისაა სამყაროს ურყევი ბურჯი, ხოლო სამართლიანობის სამეფო, რომელზე ლაპარაკითაც შენ თავქარიანებს სადრტვინველად აგულიანებ, სისულელეა! დაფიქრდი! ნურც შენ იბნევ გზა-კვალს და ნურც სხვას უბნევ. ისე კი ვინა ხარ, რომ რომის იმპერატორი მოგერიდოს — ვიღაც უცნობი მოხეტიალე, საეჭვო წინასწარმეტყველი, ბაზრის მოლაყბე, როგორებითაც სავსეა იუდეის მიწა. მაგრამ შენ შენი მოძღვრებით საცთური დათესე, რამაც ძალიან შეაფიქრიანა თქვენი მღვდელმთავარი, ამიტომ ამხილე შენი სიცრუე. თვითონ კი სირიაში ან სხვა ქვეყნებში გასწი და მე, როგორც რომის პროკურატორი, ვეცდები დაგეხმარო. დამეთანხმე, ვიდრე გვიან არაა. რად დუმხარ ისევ?

— რომის ნაცვალო, იმაზე ვფიქრობ, რომ ორივენი ისე განსხვავებულნი ვართ, საეჭვოა ერთმანეთს გავუგოთ. რად ვიტყვი სიცრუეს და რად უარვყოფ უფლის მოძღვრებას იმისათვის, რომ შენთვის და კეისრისთვის ხელსაყრელი იყოს, ხოლო ჭეშმარიტებას ევნოს?

— ნუ ურევ, რაც რომისთვის ხელსაყრელია, ის ყველაფერზე მაღლა დგას.

— ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტება დგას, ხოლო ჭეშმარიტება ერთია. ორი ჭეშმარიტება არ არსებობს.

— ისევ მზაკვრობ, მაწანწალავ?

— არც წინათ მიმზაკვრია, არც ახლა ვმზაკვრობ. ჩემი პასუხი კი ესაა: ჯერ ერთი, არ ეგების კაცმა უარყოს ის, რაც ჭეშმარიტების სახელით თქვა, ვინაიდან თავად ენება თქმა. მეორეც — არ ეგების იტვირთოს ცოდვა, რაც თავად არ ჩაუდენია, და მკერდზე ხელი იბრაგუნოს, რათა თავისი სახელის მომყივნებელი ჭორებისგან განიწმინდოს. რაკი ჭორი სიცრუეა, იგი თვითონ გაქრება.

— მანამდე კი თავად მოკვდები, იუდეველთა მეფევ! ამრიგად, სიკვდილი გირჩევნია იმას, რა გზაც უნდა იყოს ხსნისა?

— მე მხოლოდ ხსნის ეს გზა დამრჩენია.

— რომელი ხსნისა? — ვერ გაიგო პროკურატორმა.

— მსოფლიოს ხსნისა.

— გეყოფა თავის მოსულელება! — მოთმინების ძაფი გაუწყდა პილატე პონტოელს. — მაშ, ნებაყოფლობით იღუპავ თავს?

— ასე გამოდის, რადგან სხვა გზა არა მაქვს.

პროკურატორმა შუბლის ღრმა ნაოჭებზე ხელი გადაისვა და დაღლილი ხმით თქვა:

— ო, ღმერთებო, ღმერთებო! როგორ ჩამოცხა, ამინდი ხომ არ იცვლება? — ჩაიბურდღუნა ცხვირში და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: „ნეტა რად მინდა ეს ყველაფერი? რისთვის ვცდილობ ვიხსნა ის, ვინც ამ ხსნაში სარგოს ვერაფერს ხედავს? მეც ახირებული ვარ!“ და თქვა: — მაშ, მე ხელები დამიბანია!

— ნება შენია, ნაცვალო! — მიუგო იესომ და თავი დახარა.

ისინი კვლავ გაჩუმდნენ, ალბათ ორივემ იგრძნო, რომ სასახლის გალავნის მიღმა, დიდებული ბაღების მიღმა, იქ, სადაც იერუსალიმის დაბლობ ადგილებსა და გორაკებზე ქალაქის ქუჩები პაპანაქებაში იხუთებოდა, ყრუ ავისმომასწავებელი სიჩუმე თითქოსდა გუბდებოდა და სადაცაა ზღუდეს გაარღვევდა. ჯერჯერობით იქიდან მათ ყურთასმენამდე აღწევდა მხოლოდ დახშული ბგერები — გუგუნი დიდი ბაზრებისა, სადაც დილიდანვე აირივნენ ერთმანეთში ადამიანები, საქონელი, გამწევი და სასაპალნე პირუტყვი, მაგრამ ამ ორ სამყაროს შორის იყო ის, რაც ორივეს აცალკევებდა და ზედას ქვედასაგან იცავდა: გალავნის გადაღმა ლეგიონერები მიდი-მოდიოდნენ, ხოლო წარაფში იდგნენ მოალყე მხედრები. ჩანდა, ცხენები კუდით როგორ იგერიებდნენ ბუზებს.

პროკურატორმა ერთგვარი შვება იგრძნო, როცა განაცხადა, ხელები დამიბანიაო, რადგან ახლა შეეძლო თავისთვის ეთქვა: „ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული. ღმერთები არიან მოწამენი, არ ვაქეზებდი, რომ თავის აზრზე მდგარიყო, საკუთარი ცხოვრების მოძღვრებისთვის მიეცა უპირატესობა. მაგრამ რაკი უარზეა, დაე, ასე იყოს. ჩვენთვის ეს უკეთესიცაა. თვითონვე მოაწერა ხელი თავის სასიკვდილო განაჩენს...“ ასე ფიქრობდა პილატე პონტოელი და ამით პასუხს უმზადებდა ცოლსაც. შემდეგ გეზად გახედა იესო ნაზარეველს, რომელიც შფოთიერი ღიმილით მდუმარედ ელოდა თავის წინასწარ განსაზღვრულ ხვედრს, და კიდევ ეს გაიფიქრა: „რა უტრიალებს ახლა თავში ამ კაცს? ალბათ მწარედ ნანობს, ესმის, რაც დაუჯდება ეს ბრძნული მოძღვრება, რომლის უარ-

ყოფას ვერ ბედავს. საკუთარ ხაფანგში გაება. აბა, სცადოს ახლა თავის დაძვრენა: ერთი ღმერთი ჰყავს ყველას — მთელ ქვეყნიერებას, ადამიანთა მთელ მოდგმას, ყველა დროს, ერთი რწმენა, ერთი სამართლიანობის სამეფოა ყველასთვისო. საით უმიზნებს? რაღა თქმა უნდა, ასეთ რამეს ყველა მოიგუნებებდა და იესომაც გადაწყვიტა, სწორედ ამით ესარგებლა! მაგრამ ცხოვრებაც აი, ასე გვასწავლის, აი, ასე სჯის მეტისმეტ ეშმაკობას, აი, ასე შეტრიალდება საქმე, როცა გინდა ხელთ იგდო ტახტი, რომელიც არასოდეს არ გეკუთვნოდა. რა მოინდომა! განიზრახა, აემბოხებინა ბრბო, აეჯანყებინა კეისართა წინააღმდეგ, რათა შფოთის ეს სენი ხალხიდან ხალხს გადასცემოდა და მთელ ქვეყანას მოსდებოდა. განიზრახა, სამყაროს მთელი დასაბამიერი წესრიგი თავდაყირა დაეყენებინა. თავზეხელაღებული კაცია! ვერაფერს იტყვი! არა, ამისთანა კაცი არაფრით არ შეიძლება ცოცხალი დატოვო. შესახედავად როგორია — ნაცემი, თვინიერი, მერედა რას მალავს გულში — დახე, რა წამოიწყო. ასეთი გეგმა შეიძლება მხოლოდ უგონიერეს კაცს მოსვლოდა თავში. ვინ იფიქრებდა, რომ ამგვარ რამეს იზრახავდა!"

პროკურატორი პილატე პონტოელი ამ აზრებით თავის თავს ეთანხმებოდა. ისიც ამშვიდებდა, რომ ახლა უსიამოვნო საუბარი არ მოუწევდა მღვდელმთავარ კაიაფასთან, რომელიც სინედრიონის სახელით პირდაპირ ითხოვდა იესო ნაზარეველისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დამტკიცებას.

— ნურა გეეჭვება, ბრძენო მმართველო, შენ შენს თავს დაეთანხმები და ყველაფერში მართალი იქნები, — თქვა იესომ, თითქოს პროკურატორის აზრები გამოიცნოო.

პილატე პონტოელი აღშფოთდა.

— ჩემზე ნუ წუხხარ, — უკმეხად მიახალა იესოს. — რომის საქმე ჩემთვის ყველაფერზე მაღლა დგას, შენ შენს თავზე იფიქრე, უბედურო!

— მომიტევე, დიდო მმართველო, მე ეს სიტყვები ხმამაღლა არ უნდა წარმომეთქვა.

— დიახაც. და კიდევ დაფიქრდი, რომ არ ინანო შემდეგ, როცა უკვე ყველაფერი გვიან იქნება. ცოტა ხნით გავალ და, თუ ჩემს დაბრუნებამდე გადაწყვეტილებას არ შეიცვლი, საბოლოო სიტყვას ვიტყვი. თავი იუდეველთა მეფე, მსოფლიოს საყრდენი ნუ გგონია, ნუ ფიქრობ, რომ ქვეყნიერებას უშენოდ გაუჭირდება. პირიქით, ყველაფერი შენს საწინააღმდეგოდ ხდება და შენი დრო კარგა ხანია გავიდა, მხოლოდ საკუთარი მრწამსის უარყოფით შეგეძლო თავის გადარჩენა. გაიგე?

— გავიგე, მმართველო...

პილატე პონტოელი წამოდგა და განსასვენებელში წავიდა, გზად ფართო წამოსასხამს ისწორებდა. ძვალმსხვილი, დიდთავა, მელოტი, წარმოსადეგი, თავის ღირსებასა და ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული როცა კამაროვან აივანს მიუყვებოდა, ისევ ახედა ცაში მეფურად მოლივლივე ფრინველს. ვერ გაარკვია, არწივი იყო თუ მისივე ჯიშის სხვა რომელიმე ფრთოსანი, მაგრამ ახლა უფრო სხვა რამ აღელვებდა: ფრინველს ვერ მისწვდებოდა, ფრინველი მას არ ემორჩილებოდა — ვერც შეაშინებდა ისევე, როგორც ვერ მოიხმობდა, და ვერც გააძევებდა. პროკურატორმა წარბები უცბად შეჰყარა და მტრულად ახედა ცას: უყურე ამას, ბოინობს და ბოინობს, ამქვეყნად არაფერი ენაღვლებაო. და მაინც გულში გაივლო: ცაში იმპერატორივითაა; იმპერატორის სიდიადეს სიმბოლურად, ეტყობა, შემთხვევით არ გამოხატავს არწივი — მას ხომ ძალუმნისკარტიანი თავი, ხარბი თვალი, რკინასავით მტკიცე ფრთები აქვს. სწორედ ასეთი უნდა იყოს იმპერატორი! მაღლა მეუფებდეს . ხედავდნენ და ვერ სწვდებოდნენ, იმ სიმაღლიდან მართავდეს ქვეყნიერებას — ვერავინ და ვერაფერში უტოლდებოდეს, ღმერთებიც კი თავისი ჰყავდეს, სხვებისგან განცალკევებული, ქვეშევრდომთა მიმართ გულგრილნი, მათი მოზიზღარნი. აი, რა ქმნის ძალას, აი, რა ნერგავს ხელისუფლებისადმი შიშს, აი, რა ამყარებს წესრიგს სამყაროში. ეს ნაზარეველი კი, რომელიც ჯიუტად იცავს თავის მოძღვრებას და განიზრახა, ყველა გაათანასწოროს — იმპერატორიდან დაწყებული მონების ჩათვლით, ვინაიდან ღმერთი ერთიანია და ყველა ადამიანი თანასწორია ღმერთის წინაშეო, ამტკიცებს: სამართლიანობის სამეფო ყველასთვის დადგებაო. გონება აუმღვრია ადამიანებს, ააფორიაქა მდაბიონი, განიზრახა თავის ყაიდაზე მოაწყოს ქვეყნიერება. მერედა, რას მიაღწია? იგივე ბრბო სცემდა და სახეში აფურთხებდა მას, ცრუ შორსმჭვრეტელს, ცრუ წინასწარმეტყველს, მატყუარასა და ყალთაბანდს... და მაინც რა კაცია? თუმცა უსასოო დღეშია, თავი ისე უჭირავს, თითქოს თვითონ კი არა, ისინი მარცხდებიან, ვინც მას სდებს მსჯავრს...

ასე ფიქრობდა პროკურატორი პილატე პონტოელი /რომის იმპერატორის ნაცვალი, შეიძლება ითქვას, თავად ნახევრად იმპერატორი, ყოველ შემთხვევაში ხმელთაშუა ზღვისპირეთის ამ ნაწილში/, როცა მცირე ხნით გავიდა, რათა იესო ნაზარეველი რამდენიმე წუთით მარტო დარჩენილიყო და ეგრძნო ის პირდაღებული უფსკრული, რომლის თავზეც ეკიდა. პროკურატორს უნდოდა გაეტეხა იესოს სული, ეიძულებინა იგი დამამცირებლად ეხოხა, უარი ეთქვა ყველასთვის ერთიან ღმერთზე, საყოველთაო თანასწორობაზე, რომ შემდეგ ხერხემალგადამსხვრეული ქვეწარმავალივით ისრაელიდან გაე-

გდო — დაე, ეწანწალა და უკვალოდ გადაკარგულიყო; ამგვარ ყოფაში კი დიდხანს ვერ იბოგინებდა, სწორედ მასზე გულაყრილი საკუთარი მოწაფეები მოუღებდნენ ბოლოს...

ასე ფიქრობდა, ასე ებრძოდა თავის ეჭვებს ბევრისმნახველი მმართველი პილატე პონტოელი და ახალმოვლენილი ამბოხების ამოძირკვის უფრო უტყუარ, უფრო ხელსაყრელ, უფრო სანიმუშო გზას ეძებდა. კამაროვანი აივნიდან გამავალი ვარაუდობდა, თავის თავთან მარტო დარჩენილი მსჯავრდადებული იგრძნობს, რაც ემუქრება, და, როცა უკან დაბრუნდები, ფეხებში ჩამივარდებაო. ნეტავ სცოდნოდა პროკურატორს, რომ იმ ხანმოკლე წუთებში ეს უცნაური კაცი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, ან, უფრო სწორად, სულ არ ფიქრობდა აგრე, მოგონებებში ჩაიძირა, ვინაიდან მოგონებები ასევე ცოცხალთა ხვედრია და ერთ-ერთი უკანასკნელი სიკეთე სიცოცხლესთან განშორების ზღურბლზე.

როგორც იყო პროკურატორი წავიდა, გვერდითა წალოებიდან ნელ-ნელა გამოვიდა ოთხი გუშაგი და კამაროვანი აივნის თაღსა და ბოლოში დადგნენ, თითქოს მსჯავრდადებულს აქედან გაქცევა შეეძლო. იესომ თავს ნება მისცა, ახლოს მდგომი ერთი ლეგიონერისთვის მიემართა:

— შეიძლება დავჯდე, კეთილო გუშაგო?

— დაჯექი, — მიუგო გუშაგმა და ქვის იატაკს შუბი დაჰკრა.

იესო მარმარილოს კედელთან ქვის საფეხურზე ჩაჯდა, წელში მოხრილი იყო, ფერმიხდილი, ტალღებად ჩამოშლილ გრძელი მუქი თმით მოარშიებული გრძელი სახე ჰქონდა. იესომ თვალები ხელისგულით დაიფარა და ფიქრებს მიეცა. „ნეტავ წყალი დამალვინა, სადმე მდინარეში მაბანავა," — გაივლო გულში და ცხოვლად წარმოიდგინა ნაპირებთან მიმდინარე წყალი — წყალი მიჩქრიალებდა, ლოკავდა მიწას, მდინარისპირა ბალახს — და მოეყურა თქაფუნი, თითქოსდა ნიჩბებს უსვამდნენ და ნავი იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც თვითონ იჯდა, თითქოს ვიღაცას სურდა ნავში ჩაესვა და აქედან წაეყვანა. დედა იყო ნავში. დედა აღელვებული, შიშით მოცული მოცურავდა მისკენ. „დედა! — წაიჩურჩულა იესომ. — დედა, ნეტავ იცოდე, როგორ მიმძიმს! ჯერ კიდევ წუხელ გეთსიმანიაში, ზეთისხილის მთაზე, სულს მიხუთავდა, მაძრწუნებდა კუნაპეტი ღამესავით შემოწოლილი ნაღველი, ვწუხდი, მოწაფეებთან ერთად ვფხიზლობდი და ვერა და ვერ ემშვიდდებოდი, საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილს არაქათი გამომეცალა და მაშინ მივმართე მამაზეციერს ჩემსას: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე, ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ". და აი, სასუმელი ესე

პირთამდე სავსეა, არ ამცდება, ახლოვდება გარდაუვალად. აღსრულდება ის, რასაც შენ, დედა, ალბათ წინასწარ ჭვრეტ და თუ ეს ასეა, მაშასადამე, იცოდი, რა დამემართებოდა, და ო, ღმერთო, როგორღა ცხოვრობდი ამ წლების მანძილზე, ძვირფასო დედავ, მშობელო, სიცოცხლის მომნიჭებელო, რა აზრით და რა იმედით მზრდიდი მე, უფლის ჩანაფიქრით მოვლენილს ამ დიადი და საშინელი დღისათვის, ყველა დღეთა შორის უუბედურესი დღისთვის, ვინაიდან ადამიანისთვის არ არსებობს უფრო დიდი უბედურება, ვიდრე საკუთარი სიკვდილია, ხოლო დედისთვის, როცა მის თვალწინ იღუპება მისი საშოს ნაყოფი, მისი ნაშობი — ორმაგი უბედურებაა. მომიტევე, დედა, მე არ განმისაზღვრავს ბედი შენი, მამაზეციერმან ჩემმან განსაზღვრა. მაშ, უდრტვინველად აღვაპყროთ თვალნი მისკენ და აღსრულდეს ნება მისი!"

იესომ დედა მარიამი რომ გაიხსენა, მაშინვე ერთი ამბავი მოაგონდა, რაც ხუთი წლისას შეემთხვა. იმხანად მისი ოჯახი ეგვიპტეში იმყოფებოდა, სადაც მეფე ჰეროდეს გაექცა. ჰეროდეს სურდა, ახალშობილი ბავშვი — მომავალი იესო ქრისტე — მოეკვდინებინა, რადგან მოგვებმა უთხრეს, იგი იუდეის მეფე იქნებაო. იქ, სადაც იესოს ოჯახი ცხოვრობდა, დიდი წყალუხვი მდინარე ჩაედინებოდა, ალბათ ნილოსი. მდინარე დიდი და განიერი იყო. მარიამი მდინარეზე ბავშვთან ერთად თეთრეულის ამოსარეცხად ჩადიოდა ხოლმე, როგორც ბევრი იქაური ქალი. იმ დღეს კი ერთმა მოხუცმა ნავი ნაპირს მოაყენა, დააბა, დედა-შვილთან მივიდა და ალერსიანად მიესალმა ორივეს. „მამილო! — შეეხმიანა მოხუცს მარიამი. — იქნებ ნება მომცე და ჩემი ბიჭი ნავით გავასეირნო? თავს იკლავს, გასეირნება მინდაო, ტირის, ეს უჭკუო ესა". მოხუცმა მიუგო: „ჰო, მარიამ, ნავი სწორედ იმიტომ მოვიყვანე, პატარა იესო გაასეირნო". მარიამს არ გაჰკვირვებია, რომ მოხუცმა მათი სახელი იცოდა, იფიქრა, ალბათ რომელიმე ახლომახლო მცხოვრებთაგანიაო. მაგრამ როცა გადაწყვიტა, მოხუცისთვის ეთქვა, ნიჩბებს შენ მიუჯექიო, მოხუცი უცებ გაქრა, თითქოს ჰაერში აორთქლდაო. მარიამი არც ამას შეუშფოთებია; ბიჭს ხომ ერთი სული ჰქონდა ნავით გაესეირნა, ძალიან გახარებული იყო და ნავის გარშემო დარბოდა, აგზნებული დახტოდა, დედას აჩქარებდა. დედამაც თეთრეული იქვე ქვებზე დაყარა, შვილი აიყვანა, ნავზე დასვა, თვითონ ნავი ახსნა, მეჩეჩიდან უბიძგა, შეხტა ზედ, შემდეგ ბიჭი მუხლებზე დაისვა და ისინი დინებას დაუყვნენ. რარიგ ხიბლავდა სულს თითქმის ზედ ნაპირთან წყალზე წყნარად ცურვა — სანაპიროს მეჩეჩებზე ირხეოდნენ ლერწმები, კრთოდნენ ჭრელა-ჭრელა ყვავილები, ბუჩქებში ჟივილ-ხივილით ფრთხიალებდნენ, გალობდნენ და სტვენდნენ ხასხასა ფერის ჩიტები, თბილ ჰაერში ზუზუნებდნენ, ირეოდნენ, ჭრიჭინე-

ბდნენ მწერები. რა საუცხოოდ გრძნობდნენ თავს! მარიამმა ხმადაბლა წამოიწყო სიმღერა და ბედნიერი იყო, ხოლო მის შვილიკოს ძალიან ხიბლავდა ნავით ცურვა, რაც კიდევ უფრო ახარებდა მარიამს. უცებ — ისინი არც თუ შორს იყვნენ თავიანთი ადგილიდან და არც თუ შორს ნაპირიდან — მეჩეჩზე გარჩენილი დიდი კორძიანი ხე გაცოცხლდა, ტალღები ააქაფქაფა და დედა-შვილისკენ გამოცურა. ეს იყო ვეება ნიანგი. ნიანგმა გადმოკარკლული თვალები ხარბად მიაშტერა მათ. ბიჭი შეშინდა და იყვირა, მარიამი გაშეშდა, აღარ იცოდა, რა ეღონა. ნიანგმა ნავს კუდი გაჰკრა და კინაღამ გადააბრუნა. მარიამმა ნიჩბები მიაგდო, მაგრად ჩაიხუტა შვილი და ღაღადყო: „ღმერთო! ეს ისაა! შენი შვილი იესოა! შენგნით მოცემული! ნუ მიატოვებ, ღმერთო! იხსენი!“

ქალი ისე შეშინდა, ისღა შეძლო თვალები დაეხუჭა და შემუდარებოდა იმას, ვინც ყველაფერი იყო ქვეყნიერებაზე და მამაზეციერი მისი შვილისა. „ნუ მიგვატოვებ, ის შენ კიდევ დაგჭირდება!“ — შეჰყვირა ღმერთს მარიამმა. ნავი, რომელსაც აღარავინ მართავდა, ხოლო ქვემოდან ნიანგი უბიძგებდა, წინ გაცურდა. როცა მარიამმა ბოლოს და ბოლოს თვალის გახელა გაბედა, მკერდიდან სიხარულის კივილი აღმოხდა — ნავი ნაპირს მისდგომოდა, თითქოს ვიღაცას მოეყვანა, ნიანგი კი გაბრუნებულიყო და შორს მიცურავდა. მარიამი გონდაკარგული გადმოხტა ნავიდან, ნაპირ-ნაპირ გაიქცა, ელდისგან ტიროდა და ბედნიერებისგან იცინოდა. მირბოდა, გულში იკრავდა პატარას, კოცნიდა, ცრემლს აყრიდა, იმეორებდა: „იესო! იესო! ჩემო თვალსაჩინო შვილიკო! მამამ გიცნო! მან გადაგვარჩინა! მან გადაგარჩინა შენ! მან შეგიყვარა, შენ მისი საყვარელი შვილი ხარ, იესო! შენ უბრძნესი გახდები, იესო! და შენ თვალს აუხელ ადამიანებს, იესო! და ისინი გამოგყვებიან, იესო, შენ არასდროს განუდგები ხალხს, არასდროს, არასდროს!“ ასე გოდებდა და გული ულხენდა“ კურთხეულს დედათა შორის“.

ასე გოდებდა და გული ულხენდა მარიამს, უხაროდა, ღვთისშვილი სასწაულით გადამირჩაო, და ვერ ხვდებოდა, რომ ეს სასწაული უფალმა ჩაიდინა, რათა ხალხს სცოდნოდა, ვინ იყო ის, პატარა იესო, შვილი ხურო იოსებისა, ვინც ყრმის გადასარჩენად ჰეროდეს ეგვიპტეში გამოექცა. ამაზე მეტყველებდა შემდეგი ამბავი: როგორც კი მარიამი შვილითურთ ნავიდან გადმოხტა, ნავი სადღაც გაქრა, წყალს ქვემოთ დაუყვა, ხოლო ქალები, რომლებიც მდინარეზე თეთრეულს რეცხდნენ და მარიამის ყვირილზე მოცვივდნენ, შემდეგ ამტკიცებდნენ: როცა მარიამი ატატებულ ბავშვს მოარბენინებდა, ბავშვის თავის გარშემო ოქროსფერი შარავანდი დავინახეთო. და ყველას უხაროდა ეს. გული აუჩუყდათ, ცრემლი მოერიათ, პატარა

იესო დედას რომ ჩაეკონა, მაგრად მოხვია კისერზე ხელები, მისი სუნი შეისუნთქა და უთხრა: „დედა, როცა გავიზრდები, იმ ნიანგს კუდით დავიჭერ, რომ აღარასოდეს შეგვაშინოს!“ ყველა გააცინა ბავშვის სიტყვებმა, შემდეგ კი იხსენებდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო ნავის პატრონი. როგორც გამოირკვა, ამ არემარეში მოხუცს არავინ იცნობდა და მეტად არც არავის უნახავს. ხურო იოსები მრავალი დღე დაეძებდა იდუმალ მენავეს, რათა ბოდიში მოეხადა და ზარალი აენაზღაურებინა, მაგრამ ვერა და ვერ მიაგნო...

აი, რა გადახდა თავს ყრმა იესოს ეგვიპტეში და რა გაახსენდა ახლა კამაროვან აივანზე, როცა დედას სთხოვდა, მომიტევე, რომ მწუხარება და ტანჯვა გარგუნეო. „დედა, გემშვიდობები, — ეუბნებოდა მას. — ნუ მიწყენ, თუ ვერ მოვასწარი ან ვერ შევძელი დასჯის წუთებში მოგმართო. მეშინია სიკვდილისა, ფეხები მიცივდება, თუმცა დღეს აუტანლად ცხელა. მომიტევე, დედა, და ჩემი გაჭირვების ჟამს შენს ხვედრზე ნუ დაიჩივლებ. გამაგრდი. მე კი ადამიანები, რომლებიც ყველაზე მძიმე ტვირთად აწვანან შემოქმედს, ჭეშმარიტებისკენ რომ მოვაქციო, მათ ეს ჭეშმარიტება საკუთარი სიკვდილით უნდა განვუმტკიცო. სხვა გზა არა მაქვს. ადამიანებთან მისასვლელი სხვა გზა არ არსებობს და მე მივდივარ მათთან. მომიტევე და მშვიდობით, დედა! დასანანი კია, რომ იმ ნიანგს კუდში ვერ ვწვდი. ამბობენ, ნიანგები ძალიან დიდხანს ცოცხლობენ, ადამიანზე ორ-სამჯერ მეტ ხანსო. რომც დამეჭირა, არაფერს დავუშავებდი, ისე გავუშვებდი... იყოს თავისთვის... და კიდევ აი, რა გავიფიქრე, დედა, თუ ის მენავე მოხუცისსახიანი ანგელოზი იყო, შესაძლოა, სხვა სამყაროში შევხვდე... ვითომ გაიხსენებს იმ ამბავს? აი, მესმის ნაბიჯების ხმა, მოდის ჩემი უნებლიე ჯალათი — პილატე პონტოელი. მშვიდობით, დედა, წინასწარ გემშვიდობები“.

პილატე პონტოელი კამაროვან აივანზე ისეთივე მტკიცე ნაბიჯით დაბრუნდა, როგორითაც წავიდა აქედან. გუშაგები მისი მოსვლისთანავე გავიდნენ და აივანზე მხოლოდ იესო და პილატე დარჩნენ პირისპირ. პროკურატორმა მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით შეხედა მისი გამოჩენისთანავე ზეზე წამომდგარ იესოს და მიხვდა, რომ ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც თავად უნდოდა — მსხვერპლი თვითონ განუხრელად უახლოვდებოდა უკანასკნელ ზღვარს. მაგრამ პილატე პონტოელმა ამჯერადაც გადაწყვიტა, ხელაღებით არაფერი გაეკეთებინა, საქმე ისედაც საჭირო მიმართულებით მიიწევდა.

— რა გაეწყობა, როგორც ვატყობ, საუბარი დამთავრებულია, — თქვა პილატე პონტოელმა უცბად. — არ გადაიფიქრე?

— არა.

— ამაოდ! კიდევ იფიქრე!

— არა! — თავი გააქნია იესომ. — დაე, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც საჭიროა.

— ამაოდ! — გაიმეორა პილატე პონტოელმა არცთუ თავდაჯერებულად, მაგრამ სული შეუტოკდა — იგი იესო ნაზარეველის სიმტკიცემ შეაყოყმანა, თან არ უნდოდა, იესოს თავის თავი უარეყო და გადარჩენის გზა ეძებნა, შეწყალება ეთხოვა. იესო მიხვდა ყველაფერს.

— ნუ წუხხარ, — გაიღიმა მან თვინიერად. — მჯერა, გულწრფელად ლაპარაკობ. მესმის შენი. მეც ძალიან მინდა ვიცოცხლო. მხოლოდ არყოფნის ზღურბლზე ხვდება ადამიანი, რა ძვირფასია მისთვის სიცოცხლე. დედაჩემიც მეცოდება — ძალიან მიყვარს, ყოველთვის მიყვარდა, ბალღობიდანვე, თუმცა არ ვამჟღავნებდი. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, რომის ნაცვალო, დაიმახსოვრე: შენ, ვთქვათ, შეგეძლო ერთი სული გეხსნა, ამისთვისაც დიდი მადლობის ღირსი იქნებოდი. მე კი ვალდებული ვარ ვიხსნა ბევრი და ისინიც კი, რომლებიც ამქვეყნად ჩვენს შემდგომ გაჩნდებიან.

— იხსნა? როცა დედამიწაზე აღარ იქნები?

— დიახ, როცა ადამიანთა შორის აღარ ვიქნები.

— შენს თავს დააბრალე ყველაფერი, ამ საუბარს მეტად აღარ მივუბრუნდებით, — მტკიცედ განაცხადა პილატე პონტოელმა, რომელსაც აღარ სურდა თავი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. საკარცხულთან შეყოვნდა და იესოს უთხრა: — ოღონდ ბოლო კითხვაზე მიპასუხე... — პილატე პონტოელი მცირე ხნით გაჩუმდა, გაბანჯგვლული წარბები შეჭმუხნა, დაფიქრდა. — მითხარი, შეგიძლია, საუბარი გააგრძელო? — დაუმატა უცებ ნდობით. — თუ არ შეგიძლია, თავს ძალას ნუ დაატან, არ შეგაყოვნებ, შენ მთაზე გელოდებიან.

— როგორც გნებავს, მმართველო, მე შენს ხელთა ვარ, — მიუგო თანამოსაუბრემ და პროკურატორს კამკამა ლურჯი თვალები შეავლო. იესოს თვალებში აზრის ისეთი ძალმოსილება და ძალისხმევა გამოსჭვივოდა, თითქოს მთაზე სულაც არ ელოდა ის გარდაუვალი სასჯელი, და პილატე გაოცდა. მან უცებ ასევე მოულოდნელად მოახსენა იესოს მადლობა:

— გმადლობ. მაშ, უკანასკნელ კითხვაზე მიპასუხე. ახლა უკვე ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო. ვილაპარაკოთ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა. მე შენზე არა ვარ დამოკიდებული, შენც ახლა, როგორც თვითონ ხვდები, სრული თავისუფლების ზღურბლზე ხარ. ასე რომ, ვიყოთ გულახდილნი, — შესთავაზა პილატემ და თავის ადგილას დაჯდა. — მითხარი, მართლა ეუბნებოდი მოწაფეებს, შენს მიმდევრებს, — როგორც იცი, მე შენი მოძღვრება არ მწამს, — ჰოდა,

შენს მიმდევრებს მართლა ეუბნებოდი და არწმუნებდი, რომ თუ ჯვარზე გაგაკრავენ, მესამე დღეს აღსდგები, ხოლო აღდგომის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს დედამიწაზე დაბრუნდები და საშინელ სამსჯავროს მოუწყობ იმათაც, ვინც ახლა ცოცხალია, და იმათაც, ვინც აწი გაჩნდება, ყველა სულდგმულს, ყველა თაობას სამყაროს შექმნის დღიდან? რომ თითქოს ეს იქნება შენი მეორედ მოსვლა ქვეყნად? მართლა?

იესომ უცნაურად ჩაიცინა, გეგონებოდა, თავის თავს ეუბნება, თურმე რა ყოფილაო, მარმარილოზე შიშველი ფეხები შეინაცვლა. ერთხანს იყუჩა, თითქოს გულში წყვეტს, პროკურატორს უპასუხოს თუ არაო.

— ეს ყველაფერი იუდა ისკარიოტელმა მოჭორა? — ჰკითხა დამცინავად. — და ეგ ამბავი ძალიან გაწუხებს, რომის ნაცვალო?

— არ ვიცი, იუდა ვინაა, მაგრამ მე ასე მითხრეს პატივცემულმა ადამიანებმა, უხუცესებმა. რაო, მაშ, ეს ფუჭი სიტყვებია?

— როგორც გინდა, ისე მიიჩნიე, მმართველო, — ცივად მიუგო იესომ. — არავინ გახვევს თავს იმას, რაც უცხოა შენი გონებისთვის.

— მე ხომ სერიოზულად გელაპარაკები, არ ვიცინი, — იესოს დარწმუნებას დაეშურა პროკურატორი. — მხოლოდ ვფიქრობ, რომ ამიერიდან მე და შენ ასე ველარ ვისაუბრებთ. როგორც კი აქედან გაგიყვანენ, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გექნება. მაგრამ ისე მინდა გამოვარკვიო, სიკვდილის შემდეგ დაუბადებლად როგორ გამოცხადდები დედამიწაზე და როგორ მოუწყობ სამსჯავროს ყველა სულდგმულს? სად იქნება ეს სამსჯავრო, ცაში თუ სხვაგან სადმე? რამდენ ხანს უნდა ელოდონ შენზე მონდობილი ადამიანები ამ დღეს, რომ სამარადისო განსვენება ეღირსოთ? ნება მომეცი, ჯერ მე ვთქვა, როგორ ვუყურებ ამ ამბავს; შენი ანგარიში უბრალოა. იმის იმედი გაქვს, რომ ყოველ ადამიანს იმქვეყნადაც კარგი ცხოვრება სურს. აჰ, ამ მოკვდავ ადამიანს ნიადაგ რაღაც სურს, ნიადაგ რაღაც სწყურია. იოლია მისი ცთუნება დაპირებებით და იგი იქაც, საიქიოშიც ძაღლივით გამოგედევნება უკან. მაგრამ კარგი, ვთქვათ, ასე იყოს, როგორც შენ ქადაგებ, წინასწარმეტყველო, მაგრამ შენი სიცოცხლე უკვე იწურება, მისი გახანგრძლივება მხოლოდ საუბრით შეგიძლია...

— შემეძლო სულაც არ გამეხანგრძლივებინა.

— მაგრამ მთაზე ისე ხომ არ წახვალ, რომ ჩემს კითხვას არ უპასუხო. მე მგონი, ასე წასვლა სიკვდილზე უარესია.

— განაგრძე.

— ჰო, ვთქვათ, შენი მოძღვრება სწორია. მაშ, მითხარი: როდის დადგება შენი მეორედ მოსვლის დღე? და თუ ადამიანს დიდხანს, წარმოუდგენლად დიდხანს მოუწევს ლოდინი, რა თავში იხლის ამ

შენს მოსვლას? ის, რაც სიცოცხლეში არ აუსრულდება, რა სახეიროა მისთვის? თანაც მართალი გითხრა, წარმოუდგენელია ასეთი დაუჯერებელი ამბის ლოდინი. თუ ბრმად უნდა გჯეროდეს და ისე უნდა ელოდო? მერედა რას მისცემს ეს ადამიანს? რა სასარგებლოა მისთვის?

— შენი ეჭვები გასაგებია, რომის ნაცვალო. შენ უხეშად, მიწიერად აზროვნებ, როგორც შენი მოძღვარნი, ბერძნები. ნუ იწყენ ჩემს შენიშვნას. ვიდრე შენს წინ ისე ვდგავარ მე, როგორც მიწიერი ადამიანი, უფლება გაქვს კამათისა. ამასთან ჩვენ ხომ სხვადასხვანი ვართ, როგორც წყალი და ცეცხლი. ჩვენი მსჯელობანიც განსხვავებულია, ჩვენ სხვადასხვა კუთხით ვუდგებით ყველაფერს. ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, რაც შენ გაწუხებს, მმართველო... მეორედ მოსვლის ლიდინი რომ უსასრულოდ დიდხანს მოუწევს ადამიანს, სწორია. აქ მართალი ხარ. როდის დადგება ის დღე, ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ვინაიდან იმის გონებაშია მოსაზღვრული, ვინც სამყარო შექმნა. რაც ჩვენთვის ათასწლობით გაგრძელდება, მისთვის შესაძლოა ერთი წამი იყოს. მაგრამ მთავარი სხვაა. შემოქმედმა უმაღლესი სიკეთე — გონება — მოგვანიჭა და ნება მოგვცა, ჩვენი შეხედულებისამებრ გვეცხოვრა. თუ როგორ გამოვიყენებთ ზეციურ ნაბოძვარს, ეს იქნება სწორედ ადამიანების ისტორიათა ისტორია. შენ ხომ არ უარყოფ, რომის ნაცვალო, რომ ადამიანის არსებობის აზრი თავისი სულის სრულყოფაა, — ამქვეყნად ამაზე უმაღლესი მიზანი არაა. გონივრული ყოფიერების სილამაზე ისაა, განუწყვეტლივ სულ უფრო მაღლა მიიწევდე სულის ელვარე სრულყოფისაკენ აღმავალ უსასრულო საფეხურებზე. ადამიანისათვის ყველაზე მძიმეა ადამიანი იყოს ნიადაგ. ამიტომ თვით ადამიანებზე იქნება დამოკიდებული რამდენ ხანს მოუწევთ იმ დღის ლოდინი, რომლისაც შენ არ გწამს, მმართველო.

— ოჰო! — პილატე პონტოელი აღელვებული წამოხტა და საკარცხულის საზურგეს ჩაეჭიდა. — მოიცა, მოიცა. ჯერ არავის სმენია, რომ ასეთი რამ ადამიანებზე იყოს დამოკიდებული! მე შენი მოძღვრებისა არა მწამს და ამას ვერ ჩავწვდები. თუ ადამიანებს თავისი ნება-სურვილით შეეძლებოდათ ამგვარი მოვლენის შეყოვნება ან დაჩქარება, ღმერთებს ხომ არ დაემსგავსებოდნენ?

— შენ რაღაცით მართალი ხარ, რომის მმართველო, მაგრამ მე ჯერ ჭორი ჭეშმარიტებისაგან უნდა გამოვყო. ჭეშმარიტებაზე დარხეული ჭორი დიდი უბედურებაა. ჭორი იგივეა, რაც წყალში შლამი, რომელიც ღრმა წყალს თანდათანობით გუბედ აქცევს. ცხოვრებაში ყოველთვის ასეა — ხალხის საკეთილდღეოდ გაჩენილ, გონების გაბრწყინებითა და ტანჯვით მონაღვაწ ყოველ დიად აზრს კაციდან

კაცზე გადასული ჭორი ნიადაგ ამახინჯებს, როგორც თავისი თავის, ასევე ჭეშმარიტების საზიანოდ. აი, რაზე ვლაპარაკობ. ნაცვალო, ვლაპარაკობ იმაზე, რომ მონაჩმახი, რომლისაც შენ გჯერა, ჭორია, ჭეშმარიტება კი სხვა რამაა!

— იქნებ გაგემეღავნებინა ამ ჭეშმარიტების არსი!

— ვეცდები. თავს არ ავარიდებ საუბარს, თანაც ამ საკითხზე უკანასკნელად ვლაპარაკობ. მაშ, იცოდე, რომის მმართველო, ღმერთის ჩანაფიქრი ის კი არაა, რომ ერთხელ უეცრად დადგება დღე, როცა მკვდრეთით აღმდგარი ადამის ძე ციდან დაეშვება, რათა ხალხებს სამსჯავრო მოუწყოს, ყველაფერი პირიქით იქნება, თუმცა მიზანი იგივე დარჩება. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მე კი არ მოვალ, მე, ვისაც აქედან თხემის ადგილამდე გასასვლელი მანძილის ოდენი სიცოცხლეღა დამრჩენია, არამედ თქვენ, ხალხი მოხვალთ ქრისტეში, უზენაეს სიწმინდეში დასავანებლად, თქვენ ჩემთან მოხვალთ, მოხვალთ და ძნელად საცნობ მომავალ თაობებად. და ეს იქნება ჩემი მეორედ მოსვლა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანთა სახით დავუბრუნდები ჩემს თავს ჩემივე ტანჯვის გამოვლის შემდეგ. ადამიანთა სახით დავუბრუნდები ადამიანებს. აი, როგორაა საქმე. მე ვიქნები თქვენი მყოფადი, დროის მიხედვით ათასწლობით უკან დარჩენილი. ისაა უზენაესის ჩანაფიქრი, ისაა, რომ ამ გზით აღამაღლოს ადამიანი თავისი მოწოდების ტახტზე — სიკეთისა და მშვენიერებისადმი მოწოდების ტახტზე, აი, ჩემთა ქადაგებთა აზრი, აი, ჭეშმარიტება, და არა მოარული ჭორი, არა ათასგვარი მონაგონი, რომლებიც მაღალ იდეებს აუხამსებენ. მაგრამ ეს იქნება ადამიანთა მოდგმისთვის ყველა გზას შორის უმძიმესი და უსასრულოდ ხანგრძლივი გზა, რაც შენ სამართლიანად გაშინებს, რომის ნაცვალო. ეს გზა დაიწყება საბედისწერო დღიდან, ღვთის შვილის მოკვდინებიდან და თაობებს მარადიული სინანული არასდროს არ განშორდებათ, ყოველთვის და ხელახლა შეაძრწუნებთ ის საზღაური, რასაც მე გავიღებ დღეს ადამიანების შეცოდებათა გამოსასყიდად, მათი გონების განსანათლებლად და მათში ღვთიური საწყისის გასაღვიძებლად. ამქვეყნად იმიტომ გავჩნდი, ადამიანებს მარადიულ მაგალითად ვყავდე, ჩემი სახელის სასოება ჰქონდეთ და ჩემთან მოდიოდნენ ისე, რომ გამოიარონ ტანჯვა, თავის თავში განუწყვეტლივ ებრძოლონ ბოროტებას, ეზიზღებოდეთ ბიწიერება, ძალადობა და სისხლმწყურვალობა, რომელნიც ესოდენ დამღუპველად თრგუნავენ სულებს, ჯერ არ აღვსილთ უფლისადმი სიყვარულით, მაშასადამე, თავიანთი მსგავსებისადმი, ადამიანებისადმი სიყვარულით!

— მოიცა, იესო ნაზარეველო, შენ ღმერთსა და ადამიანებს აიგივებ?

— გარკვეული აზრით კი. უფრო მეტიც, ყველა ადამიანი, ერთად აღებული, ღმერთის მსგავსია დედამიწაზე. და ღმერთის იმ ჰიპოსტასის სახელია ხვალის ღმერთი, უსასრულობის ღმერთი, რომელიც სამყაროს თავისი შექმნის დროიდან ებოძა. შენ, რომის მმართველო, ალბათ არაერთხელ შეგიმჩნევია, რომ შენი სურვილები ყოველთვის ხვალინდელი დღისკენაა მიმართული. შენ დღევანდელ ცხოვრებას, როგორიცაა ისეთს ურიგდები, მაგრამ უსათუოდ გინდა ხვალ სხვანაირი იყოს და თუნდაც დღეს კარგად გრძნობდე თავს, მაინც გსურს, ხვალ კიდევ უკეთესად იყო. იმიტომაც გვაქვს იმედები, უქრობნი, როგორც ნათელი ღვთისა, ხვალის ღმერთი არის სწორედ უსასრულობის სული, მთლიანობაში კი იგი მოიცავს ადამიანის ქმედებისა და მისწრაფებების მთელ არსს, მთელ ერთობლიობას, ხოლო ამიტომ, როგორი უნდა იყოს ხვალის ღმერთი — მშვენიერი თუ ცუდი, გულკეთილი თუ დამსჯელი — თვით ადამიანებზეა დამოკიდებული. ასე ფიქრი შეიძლება და აუცილებელია, იგივე სურს მოაზროვნე არსებათაგან თვით შემოქმედ ღმერთს. ამიტომაც ხვალინდელ ცხოვრებაზე ამქვეყნად დაე იზრუნონ თვით ადამიანებმა; თითოეული მათგანი ხვალის ღმერთის რაღაც ნაწილაკია. ადამიანი თვითონაა მსაჯული და თვითონ შემოქმედი ყოველი ჩვენი დღისა...

— კი, მაგრამ საშინელი სამსჯავროს საქმე როგორღა იქნება, რომლის აღსრულება ასე მრისხანედ გამოაცხადე საჯაროდ?

— საშინელი სამსჯავრო... შენ კი არ გიფიქრია, რომის მმართველო, რომ იგი დიდი ხანია უკვე სრულდება ჩვენს თავს ზედა?

— ახლა იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება საშინელი სამსჯავროა?

— ჭეშმარიტებასთან ახლოს ხარ, რომის მმართველო. იარო იმ გზით, ადამიანის შეჩვენების დღიდან რომ ტანჯვა-წამებით იწყება, იწვნიო ბოროტმოქმედებანი, საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს რომ აყენებდნენ ადამიანები, რომელნიც ბოროტებისგან ბოროტებას შობდნენ, სიცრუისგან-სიცრუეს, ეს ალბათ რაღაცას ნიშნავდა იმათთვის, ვინც იყო და იქნება ამქვეყნად. ედემიდან ადამიანთა მამამთავარის გაძევების შემდეგ ბოროტების რამოდენა უფსკრულმა დააღო ხახა, რა ომები, სისასტიკე, მკვლელობანი, დევნა, უსამართლობანი, შეურაცხყოფა იგემეს ადამიანებმა! ხოლო ყველა მიწიერი საშინელი შეცოდება — ქვეყნიერების შექმნის დღიდან სიკეთის წინააღმდეგ ჩადენილი — განა საშინელ სამსჯავროზე უფრო საგულისხმო სასჯელი არაა? რა არის ისტორიის დასაბამიერი დანიშნულება —ის, რომ გონიერი არსებანი სიყვარულისა და თანაგრძნობის ღვთაებრივ სიმაღლეებს მიუახლოვოს? მაგრამ რამდენ თავზარ-

დამცემ განსაცდელს იცნობს ადამიანთა ისტორია, მომავალშიც დასასრული არ უჩანს ოკეანის ტალღებივით მობობოქრე ბოროტმოქმედებებს. ამგვარ ჯოჯოხეთში ცხოვრება განა საშინელ სამსჯავროზე უარესი არაა?

— და შენ, იესო ნაზარეველო, განზრახული გაქვს ბოროტების ისტორია შეაჩერო?

— ისტორია? ისტორიას ვერავინ შეაჩერებს, მე კი მინდა ბოროტება აღმოვფხვრა ადამიანთა ქმედებასა და გონებაში — აი, ესაა ჩემი საწუხარი.

— მაშინ ისტორიაც აღარ იქნება.

—რომელი ისტორია? ის, რომელზეც შენ ზრუნავ, რომის ნაცვალო? ამ ისტორიას სამწუხაროდ, მეხსიერებიდან ვერ ამოძირკვავ, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ გაცილებით ახლოს აღმოვჩნდებოდით ღმერთთან. მე შენი მესმის, ნაცვალო, მაგრამ ნამდვილი ისტორია, ადამიანურობის აყვავების ისტორია ჯერ კიდევ არ დაწყებულა დედამიწაზე.

— მოიცა, იესო ნაზარეველო, მე ჯერჯერობით დამეხსენი. მაგრამ როგორ აპირებ ასეთ მიზანთან ადამიანებისა და ხალხების მიყვანას?

— როგორ და სამართლიანობის სამეფოს გამოცხადებით, სამეფოსი, რომელსაც კეისართა ხელისუფლება არ ეყოლება.

— და ეს საკმარისია?

— დიახ, თუ ამას მოინდომებდა ყველა...

— საინტერესოა. რა გაეწყობა, მე შენ ყურადღებით მოგისმინე, იესო ნაზარეველო. შორს ჭვრეტ, მაგრამ მეტისმეტად თავდაჯერებული ხომ არა ხარ, მეტისმეტად ხომ არ გეიმედება ხალხის რწმენა და ხომ არ გავიწყდება მოედნების მდაბალი ბუნება? ამაში ძალიან შალე დარწმუნდები ქალაქის კედლის გადაღმა, მაგრამ ისტორიას ვერაფრით შემოაბრუნებ, ამ მდინარეს აღმა ვერავინ წაიყვანს. მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს: რისთვის აჩენ ხანძარს, რომელშიც ყველაზე ადრე თვითონ დაიწვები? უკეისრებოდ ვერ იცხოვრებს ქვეყნიერება, ვერ იარსებებს ერთთა ძლიერება და მეორეთა მორჩილება, და ამაოდ ცდილობ თავს მოგვახვიო სხვა, შენს მიერ მოგონილი წესრიგი, როგორც ახალი ისტორია. კეისრებს თავიანთი ღმერთები ჰყავთ და თაყვანს სცემენ არა შენს განყენებულ ხვალის ღმერთს, რომელსაც ყველა „ხვალის“ უსასრულობაში გარკვეული საზღვრები არ მოეძევება და ჰაერივით ყველას ეკუთვნის თანაბრად; ხოლო რადგან ყველაფერი, რაც შეიძლება თანაბრად ეკუთვნოდეს ყველას, არარაობა, ნაკლებ ფასეული და ფუჭია, სწორედ ამიტომ კეისრებს უფლება აქვთ მონიჭებული სახელითა თვისითა

იბატონონ თითოეულზე და ყველაზე. მსოფლიოში მმართველ ყველა კეისარს შორის კი ღმერთებმა სახელგანთქმული ტიბერიუსი გამოარჩიეს — მისი სახელმწიფო, რომის იმპერია, ნახევარ მსოფლიოს მოიცავს. ამიტომაც ტიბერიუსის ხელმძღვანელობით მე ვბატონობ იუდეაზე, რაც ჩემი ცხოვრების მიზნად მიმაჩნია და ჩემი სინდისი დამშვიდებულია. არ არსებობს უფრო მეტი პატივი, ვიდრე ემსახურო უძლეველ რომს!

— შენ გამონაკლისი როდი ხარ, რომის ნაცვალო, ლამის თითოეულს სწყურია, თუნდაც ერთ მისივე მსგავსზე იბატონოს. უბედურება სწორედ ეგაა. შენ იტყვი, ქვეყანა ასეა მოწყობილიო. მანკის გამართლება ყოველთვის ადვილია. მაგრამ იშვიათად თუ უფიქრდება ვინმე იმას, რომ ეგ ადამიანთა მოდგმის წყევლაა, რომ ბატონობის მოყვარულობის ბოროტება, რომლითაც დასნებოვნებულია ყველა — დაწყებული ბაზრის მხვეტართა მამასახლისითა და გათავებული მრისხანე იმპერატორებით — ყველა ბოროტებაზე დიდი ბოროტებაა და მის გამო ადამიანთა მოდგმას ერთხელაც იქნება მთლიანად მიეგება მისაგებელი, ხალხები ბატონობისთვის, მიწისთვის ბრძოლაში დაიღუპებიან, ძირფესვიანად, პირწმინდად მოსპობენ ერთმანეთს.

პილატე პონტოელმა მოუთმენლად ასწია ხელი და თანამოსაუბრეს ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— სდექ, მე შენი მოწაფე არა ვარ, რომ მოწიწებით გისმინო! სდექ! სიტყვით ყველაფრის მოსპობა შეიძლება, მაგრამ რაც უნდა იწინასწარმეტყველო, იესო ნაზარეველო, შენი მოწადინება ამაოა. სამყარო, რომელსაც ხელისუფლებანი მართავენ, არ შეიძლება სხვანაირი იყოს. რაზეც იდგა, იმაზევე იდგმება კიდევაც: ვინც ძლიერია, ძალაუფლებაც იმას უპყრია ხელთ და კვლავაც ძლიერნი იქნებიან მსოფლიოს მმართველნი. ხოლო ეს წესი ისევე უცვლელია, როგორც ვარსკვლავები ცაზე. ვარსკვლავებს ვერავინ გადაადგილებს. ამაოდ შეგტკივა გული ადამიანთა მოდგმაზე, ამაოდ ესწრაფვი, იგი სიცოცხლის ფასად გადაარჩინო. ადამიანებს ვერაფერს ასწავლის ვერც ტაძრებში წარმოთქმული ქადაგებანი და ვერც ზეციური ხმები! ისინი ყოველთვის გაჰყვებიან კეისრებს, როგორც ჯოგები მწყემსებს, ქედს მოუხრიან ძალასა და კეთილდღეობას და თაყვანს სცემენ იმას, ვინც ყველაზე ულმობელი და ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება, ადიდებენ მხედართმთავრებს და მათ ბრძოლებს, სადაც სისხლის ღვარები დადინდება ერთთა ბატონობისა და მეორეთა დამორჩილების, დამცირების გულისთვის. სწორედ ყოველივე ამაში გამოვლინდება სულის გმირობა, ხოტბაშესხმული და თაობიდან თაობაში გადაცემული, ყოველივე ამის პატივსაცემად

მაღლა ასწევენ დროშებს და დააქუხებენ საყვირებს, ძარღვებში სისხლი ადუღდება, დადებენ ფიცს: უცხოთ ერთი გოჯი მიწა არ დავუთმოთ, და ხალხის სახელით აუცილებელი გახდება სამხედრო მოქმედებანი, სამშობლოს მტრების მიმართ სიძულვილის გაღვივება: დაე, საკუთარი მეფე გალაღდეს, სხვისი გასრისე, დაამხე, დაიმონე მის ხალხთან ერთად, მიწა კი წაართვიო. დიახ, ეგაა ცხოვრების მთელი სიტკბოება, ყოფიერების მთელი აზრი უხსოვარი დროიდან, შენ კი, ნაზარეველო, გინდა ეს ყველაფერი დაგმო, დასწყევლო, ადიდებ უპოვართა და უძლურთა, გსურს სუყველგან სათნოება სუფევდეს და გავიწყდება, რომ ადამიანი მხეცია, არ შეუძლია გაძლოს უმრად, როგორც ჩვენს ხორცს არ შეუძლია გაძლოს უმარილოდ. დაფიქრდი, რა შეცდომები დაუშვი, თუნდაც ახლა, როცა ბადრაგი თხემის ადგილისკენ წაგიყვანს. გამომშვიდობებისას კი გეტყვი: ბოროტების ფესვად ბოტონობის მოყვარულობა, ქვეყნებისა და ხალხების ძალით დამორჩილება მიგაჩნია, მაგრამ ამით მხოლოდ ამძიმებ შენს დანაშაულს, ვინაიდან ვინც ძალის წინააღმდეგია, ის ძლიერთა წინააღმდეგიცაა. როცა სამართლიანობის სამეფოს აცხადებ, ნამდვილად ჩვენს რომის იმპერიას გმობ მოიარებით, გინდ წინ აღუდგე რომის მზარდ ძლიერებას, მის მსოფლიო ბატონობას; მარტო ასეთი განზრახვისთვის კი სამგზის იმსახურებ სიკვდილით დასჯას!

— რადა ხარ ასეთი გულუხვი, კეთილო მმართველო? ჩემი აზრით ერთგზის დასჯაც საკმარისია. მაგრამ მაინც განვაგრძოთ საუბარი, თუმცა ვიცი, ამ პაპანაქებაში თხემის ადგილზე როგორ იხრუკებიან ჯალათები. განვაგრძოთ, ოღონდ უკვე ჩემი უკანასკნელი, სიკვდილისწინა სურვილის შესაბამისად. ამრიგად, რომის ნაცვალო, დარწმუნებული ხარ, რომ ძალა სწორედ ისაა, რაც შენ ძალად მიგაჩნია. მაგრამ არსებობს სხვაგვარი ძალაც — სიკეთის ძალა, რომლის ჩაწვდომა, მგონი, გაცილებით ძნელი და რთულია, და სათნოებას არანაკლები სიმამაცე სჭირდება, ვიდრე ომებს. მაშ, მისმინე, ნაცვალო, ისე მოხდა, რომ შენ უკანასკნელი კაცი ხარ, ვისაც თხემის ადგილზე ასვლის წინ ვესაუბრები. და მსურს გულისნადები გაგიმხილო, მაგრამ არ იფიქრო, შეწყალებას მთხოვსო...

— ეს პირდაპირ სასაცილო იქნებოდა.

— ამიტომაც გიცხადებ წინასწარ, რათა ამ მხრივ დამშვიდებული იყო, რომის ნაცვალო. ახლა მხოლოდ შენ ერთს გეცოდინება ეგ ამბავი. წუხელ სული მეწამებოდა, როგორც თავდაპირველად მეგონა, უმიზეზოდ არა, განა ჰაერი იყო შეხუთული გეთსიმანიაში — ქალაქგარეთა ბორცვებზე ნიავი ქროდა, მაგრამ ვერ ვისვენებდი, წუხილი, შიში, ნაღველი მიპყრობდა. სულის შემძვრელი ბგერები ამ გულიდან თითქოსდა ცისკენ ისწრაფვოდა. ჩემი მიმდევრები, ჩემი

მოწაფეები ცდილობდნენ ჩემთან ერთად ეფხიზლათ, მაგრამ შვებას ვერ ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ წინასწარ განსაზღვრული ჟამი დადგებოდა, რომ უცილობელი სიკვდილი ახლოვდებოდა და ძრწოლამ ამიტანა... ყოველი ადამიანის სიკვდილი ხომ ქვეყნიერების დასასრულია.

— რატომ? — ღვარძლიანად შეხედა პილატე პონტოელმა ბრალდებულს. — რაღა ვუყოთ, ნაზარეველო, საიქიო ცხოვრების იდეას? შენ ხომ ამტკიცებდი, სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდებაო.

— ისევ ჭორების კვალად სჯი, მმართველო! საიქიოში სული უხმოდაა, როგორც ჩრდილი წყალში — ეს უჩინარი აზრის ანარეკლი დაცურავს იმქვეყნიურ სივრცეში, მაგრამ ხორცს იქ არ შეესვლება. ის ხომ სულ სხვა არეა, არე სულ სხვანაირი შეუცნობელი ყოფისა. იქ დროც სხვანაირად მიმდინარეობს, მისი მსვლელობა დედამიწის განზომილებას არ ესადაგება, საქმე კი ეხება სიცოცხლეს, მიწიერ სიცოცხლეს. მაწამებდა იმის წინათგრძნობა, რომ სრულიად მიტოვებული ვიყავი სამყაროში, და იმ ღამით გეთსიმანიაში მოჩვენებასავით დავეხეტებოდი, ვერ ვისვენებდი, თითქოს გონიერ არსებათა შორის ერთადერთი დავრჩი მთელ ქვეყნიერებაზე, თითქოს დედამიწის თავზე დავფრინავდი და ვერც დღისით, ვერც ღამით ვერც ერთ ცოცხალ ადამიანს ვერ ვხედავდი — ყველაფერი მკვდარი იყო, ყველაფერი ერთიანად გადავლილი ხანძრების დანატოვარ შავ ფერფლს დაეფარა, დედამიწა ერთიანად ნანგრევებში იყო — არც ტყეები ჩანდა, არც ნახნავები, არც ხომალდები ზღვებზე, შორიდან მხოლოდ ოდნავ გასაგონი განუწყვეტელი რეკვის ხმა აღწევდა, როგორც ქარს მოყოლილი მწუხარე კვნესა, როგორც რკინის ღრჭიალი ამოჭრილი მიწის გულიდან, როგორც სამგლოვიარო ზარების რეკვა, მე კი ეული ბუსუსივით დავფრინავდი ცაზე, შიშითა და ავი წინათგრძნობით გაწამებული, ვფიქრობდი — აჰა, ქვეყნიერების დასასრული-მეთქი, აუტანელი ნაღველი მიტანჯავდა სულს: სადღა გაქრა ხალხი, ახლა თავი სადღა შევაფარო-მეთქი? და გულში დრტვინვას მოვყევი: აი, ღმერთო, ის საბედისწერო დასასრული, რასაც ყველა თაობა ელოდა, აი, აპოკალიფსი, აი, გონიერ არსებათა ისტორიის აღსასრული — მერედა რად მოხდა ასე, როგორ შეიძლებოდა ასე დაღუპულიყვნენ, შთამომავლობა გაენადგურებინათ და ძირფესვიანად გამქრალიყვნენ? მე შემაძრწუნა საშინელმა ვარაუდმა: ეგაა მისაგებელი იმისთვის, რომ შენ ადამიანები გიყვარდა და მათ თავი შესწირე. ნუთუ ადამიანთა მძვინვარე სამყარომ თავისი თავი თავისივე მძვინვარებაში ჩაკლა, როგორც მორიელი კლავს თავისივე თავს საკუთარი შხამით? ნუთუ ამ საზარელი დასასრულის მიზეზი გახდა ადამიანების ადამიანებთან შეუთავსებლობა, იმპერიათა საზღვრე-

ბის შეუთავსებლობა, ბატონობისმოყვარულობათა შეუთავსებლობა, შეუთავსებლობა დიდი კეისრებისა, რომელთაც განუყოფელი ბატონობა მოჰყირჭებიათ, ხალხებისა, რომლებიც კეისრებს მიჰყვებიან, ბრმად მორჩილებენ, ფარისევლურ ქება-დიდებას ასხამენ, კბილებამდე არიან შეიარაღებულნი და თავი მოსწონთ ურიცხვ ძმათაშორის ომში გამარჯვებებით? აი, რით დამთავრდა დედამიწაზე ადამიანთა ყოფნა, რომელთაც თავიანთ თავთან ერთად მოსპეს ღვთაებრივი ნაბოძვარი — ცნობიერება. ო, ღმერთო, ვდრტვინავდი მე, რად მიანიჭე გონება და მეტყველება, შემოქმედებისთვის თავისუფალი ხელები იმათ, ვინც თავის თავში ჩაიკლა თავი და მიწა საერთო სირცხვილის სასაფლაოდ აქცია! ასე ვტიროდი და ვგოდებდი უტყვ სამყაროში მარტომყოფი, ვიწყევლიდი ხვედრს და ღმერთს ვეუბნებოდი: ის, რასაც შენ არ ჩაიდენდი, თვითონ ადამიანმა აღასრულა, ვით დამნაშავემ-მეთქი... და იცოდე, რომის მმართველო, ქვეყნიერების დასასრული დადგება არა ჩემ გამო, არა სტიქიურ უბედურებათა გამო, არამედ ადამიანთა მტრობის გამო, რომელთაც ასე ადიდებ შენ თვითმპყრობელური ბანგით მთვრალი...

იესომ სული მოითქვა და განაგრძო:

— აი, ასეთი აზრები მეხვია წუხელ და დიდხანს ვფიქრობდი მათზე, არ მეძინა, ვფხიზლობდი, ვლოცულობდი, გული გავიმაგრე და განვიზრახე, ჩემი მოწაფეებისთვის გამენდო მამის მიერ ზეგარდმო შთაგონებული აზრები, მაგრამ ამ დროს გეთსიმანიაში დიდი ბრბო გამოჩნდა. ბრბოში იუდაც ერია. იუდა სწრაფად გადამეხვია, ცივი ტუჩებით მეამბორა. „გიხაროდენ, მოძღუარ!", — მითხრა მე, მანამდე კი მოსულებს შეაგება: „რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი". იმათაც შემიპყრეს. ახლა კი, როგორც ხედავ, შენს წინაშე ვდგავარ, რომის ნაცვალო. ვიცი, ახლა თხემის ადგილზე წამიყვანენ. მაგრამ ჩემდამი მოწყალება გამოიჩინე, მმართველო, და კმაყოფილი ვარ, რომ სიკვდილის წინ შევძელი შენთვის გამენდო ის, რაც გუშინ გეთსიმანიაში განვიცადე.

— მერედა გჯერა, რომ, რაკი მოგისმინე, ყველაფერი ვირწმუნე?

— შენი საქმეა, ნაცვალო, ირწმუნებ თუ არ ირწმუნებ. ჩვენ ხომ ორ განსხვავებულ სტიქიას ვგავართ. მიუხედავად ამისა, შენ მომისმინე. ხომ არ შეგიძლია თავს უთხრა, არაფერი გამიგონიაო, არც შეგიძლია ამაზე ფიქრი აიკრძალო. მე კი თავს ჩემსას ვეტყვი, რომ საფლავში თან არ ჩავიტანე ის, რასაც გეთსიმანიაში ჩავწვდი. ჩემი სინდისი ახლა დამშვიდებულია.

— მითხარი, ნაზარეველო, შემთხვევით ბაზრებში ხომ არ გიწინასწარმეტყველია?

— არა, მმართველო, რად მეკითხები ამას?

— ვერ გამიგია, თამაშობ, თუ მართალა არა გაქვს შიშის გრძნობა, მართლა არ გეშინია გაუგონარი წამებით დასჯისა. ნუთუ, როცა აღესრულები, შენთვის ასე მნიშვნელოვანი იქნება, რის თქმა მოასწარი და რის ვერა, ვინ მოგისმინა და ვინ არა? ვის რად სჭირდება ეს ყოველივე? ამაოება ხომ არაა ეს, იგივე ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო?

— ამას ნუ ამბობ, მმართველო, ეგ ამაოება არაა! სიკვდილის წინ ხომ აზრები პირდაპირ ღმერთთან აღევლინება; ღმერთისთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს კაცი სიკვდილის წინ და ამის მიხედვით განიკითხავს ადამიანებს, ოდესღაც მის მიერ შექმნილ ცოცხალ არსებათაგან უმაღლეს ქმნილებებს, ვინაიდან ყველაზე ბოლო აზრები ყოველთვის წმინდაა, უაღრესად გულწრფელია და მათში მხოლოდ სიმართლეა, ცბიერებისა არა სცხიათ რა. არა, მმართველო, უკაცრავად, მაგრამ ამაოდ ფიქრობ, რომ ვთამაშობ. მე მხოლოდ ყრმობისას მითამაშნია სათამაშოებით, შემდეგ აღარა. ხოლო მეშინია თუ არა ტანჯვისა, დასამალი აბა რა მაქვს, ამის შესახებ უკვე გითხარი. მეშინია, ძალიან მეშინია! და ჩემს ღმერთს, ყოვლად კეთილ მამას ვევედრები, ჩემთვის გამზადებული ხვედრი ღირსეულად გადამატანინოს, არ აღმომხდეს ცხოველური გოდება ან სხვა რამით თავი შევირცხვინო... მე მზად ვარ, რომის ნაცვალო, მეტად ნუღარ დამაყოვნებ, არ ღირს. დროა წავიდე...

— დიახ, შენ ახლა თხემის ადგილზე წახვალ. ისე, რამდენი წლისა ხარ, იესო ნაზარეველო?

— ოცდაცამეტისა, მმართველო.

— რა ახალგაზრდა ხარ! ოცი წლით ჩემზე ახალგაზრდა, — სინანულით შენიშნა პილატე პონტოელმა და თავი გააქნია. შემდეგ დაფიქრდა და თქვა: — რამდენადაც ვიცი, უცოლო ხარ, მაშასადამე, არც შვილები გყავს, ობლები არ დაგრჩება. ასეც ჩავიწერთ. — იგი გაჩუმდა. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, ერთხანს ხმა არ ამოუღია. კიდევ კარგი, რომ არ ამოუღია, თორემ თავს შეირცხვენდა. ქალი თუ იციო, ამის კითხვა უნდოდა და შეცბა: ეს რა დედაკაცური ცნობისმოყვარეობაა, როგორ შეიძლება, დარბაისელმა კაცმა ასეთი რამეები იკითხოსო.

ამ წუთში პილატე პონტოელმა იესო ნაზარეველს შეხედა. პილატემ იესოს თვალებზე შეატყო, რომ იგი მიუხვდა, რის კითხვა უნდოდა, ისიც შეატყო, რომ ასეთ კითხვაზე არაფრით არ უპასუხებდა. იესოს კამკამა ლურჯი თვალები ჩაუმუქდა, გული დაიხშო. „შესახედავად რარიგ თვინიერია, მაგრამ რა ძალა აქვს!" — გაუკვირდა პილატე პონტოელს და ფეხით მოიძია წამძვრალი სანდალი.

— კარგი, — კითხვა შეატრიალა პილატე პონტოელმა, თითქოს

ამით უნდოდა ქალების თაობაზე თავმოუბმელი საუბრის გამოსწორება. — შენზე ამბობენ,გარემამისშვილიაო, მართალია?

იესომ ალალად და გულკეთილად გაიღიმა და სწორი თეთრი კბილები გამოუჩნდა.

— შესაძლოა, ასეც იყოს ერთგვარად.

— უფრო ზუსტად. მართალია თუ არა?

— მართალია, მართალი, კეთილო მმართველო, — დაუდასტურა იესომ, რომელიც გრძნობდა, რომ პილატე პონტოელს სიბრაზე ერეოდა, ვინაიდან პროკურატორს არც ეს კითხვა შეშვენოდა მაინც და მაინც. — ჩემმა ზეციურმა მამამ სული წმინდის მეშვეობით გამაჩინა.

— კარგია, რომ მეტად აღარავის აუბნევ თავგზას, — კბილებში გამოსცრა დაღლილმა პროკურატორმა. — შენი მშობელი დედა ვინღაა?

— იგი გალილეაშია, მარიამი ჰქვია. ვგრძნობ, რომ დღეს მომისწრებს. მთელი ღამე გზაში იყო. ეს მე ვიცი.

— არა მგონია, შვილის აღსასრულმა გაახაროს, — პირქუშად წარმოთქვა პილატე პონტოელმა, რომელიც აპირებდა ამ სალოს ნაზარეველთან გამართული გაჭიანურებული საუბარი ბოლოს და ბოლოს დაესრულებინა.

პროკურატორი ერთიანად გაიმართა მხრებში კამაროვანი აივნის თაღებქვეშ. მას თეთრი ქათქათა წამოსასხამი ემოსა, წარმოსადეგი იყო, დიდთავა, მსხვილი სახე ჰქონდა, თვალებში სიმტკიცე ედგა.

— მაშ, დავაზუსტოთ წესრიგისთვის, — დაადგინა პილატე პონტოელმა და ჩამოთვლა დაიწყო. — მამა, — რა ჰქვია? — იოსები, დედა — მარიამი. წარმოშობით ნაზარეთიდან ხარ. ოცდაცამეტი წლისა, უცოლო. შვილები არ დაგრჩენია. ხალხს აქეზებდი ასამბოხებლად. იმუქრებოდი, იერუსალიმის დიდ ტაძარს დავანგრევ და სამ დღეში ახალს ავაშენებო. თავს ასაღებდი წინასწარმეტყველად, იუდეის მეფედ. აი, მოკლედ მთელი შენი ისტორია.

იესო ნაზარეველმა პროკურატორს პირდაპირ და სერიოზულად შეხედა სახეში და ხმადაბლა უთხრა:

— ნუ ვილაპარაკებთ ჩემს ისტორიაზე. შენ კი გეტყვი, რომ ისტორიაში დარჩები, პილატე პონტოელო. სამუდამოდ დარჩები.

— კიდევ რას იტყვი! — აგდებულად ჩაიქნია ხელი პილატე პონტოელმა. იესოს ნათქვამი მას მაინც ეამა, მაგრამ უცებ კილო შეიცვალა და დიდის ამბით წარმოთქვა: — ისტორიაში დარჩება სახელოვანი იმპერატორი ტიბერიუსი. დიდება მის სახელს. ჩვენ კი მისი ერთგული თანამოღვაწენი ვართ მხოლოდ და მხოლოდ.

— და მაინც ისტორიაში დარჩები შენ, პილატე პონტოელო, — ჯიუტად გაიმეორა მან, ვინც იერუსალიმის კედლების მიღმა თხე-

მის ადგილისკენ მიემართებოდა...

ის ფრინველი კი, ძერა თუ არწივი, რომელიც დილიდან ჰეროდეს სასახლის თავზე ტრიალებდა, თითქოს ვიღაცას ელოდებაო, ბოლოს იქაურობას გაშორდა და ნელა გაფრინდა იქით, საითაც წაიყვანეს მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ბადრაგით გარშემორტყმული, საშიშ დამნაშავესავით ხელებშეკრული ის, ვისაც ასე დიდხანს ესაუბრებოდა თვით პროკურატორი სრულიად იუდეისა — პილატე პონტოელი.

კამაროვან აივანზე მდგომი პროკურატორი კი გაკვირვებული და თავზარდაცემული ადევნებდა თვალს ფრინველს, რომელიც იმის კვალდაკვალ მიფრინავდა, ვინც თხემის ადგილისკენ მიჰყავდათ...

— რას უნდა მოასწავებდეს ეს? — წაიჩურჩულა პროკურატორმა გაოცებით და მღელვარებით...

III

ტრამალში ნაშუაღამევსღა დაიწყო ზაფხულის ის წვიმა, ასე დიდხანს რომ აპირებდა წამოსვლას, ჯერ კიდევ საღამოს პირიდან ჰორიზონტზე იქუშებოდა და ჩამოსაქცევად ემზადებოდა ელვის მდუმარე სხმარტალსა და ღრუბლების ფორიაქში. მძიმე წვეთები დაუზოგავად უშხაპუნებდნენ გამომხმარ მიწას, შემეგ ნაკადებად ითქრიალეს. წვეთები, სიცოცხლის პირველი საბოძვარნი, სახით იგრძნო აბდია კალისტრატოვმა, რომელიც უკვე გონს მოდიოდა.

აბდია რკინიგზისპირა ნარვალში იწვა, სადაც მატარებლიდან გადმოგდების შემდეგ ჩაგორდა. ცნობაზე მოსულმა პირველად ეს გაიფიქრა: „სადა ვარ? მგონი, წვიმს.“ დაიკვნესა, დაძვრა უნდოდა, მაგრამ გვერდში საშინელი ტკივილი იგრძნო, თავი ტყვიასავით დაუმძიმდა და ისევ დაკარგა გრძნობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მოეგო გონს. მხსნელმა წვიმამ სიცოცხლე შთაბერა. წვიმა გულუხვად და ძალუმად ასხამდა. ფერდობიდან ჩამომდინარე წყალი ნარვალში გროვდებოდა, ადამიანისკენ მიილტვოდა, ბუშტებს იყენებდა, სულ უფრო მაღლა, ყელისკენ იწევდა და აბდია იძულებული გახდა თავს მორეოდა, მოძრაობა ეცადა, ამ საშიში ადგილიდან ამოფორთხებულიყო. პირველ წუთებში, ვიდრე სხეული ძალას იკრებდა და მოძრაობას ეჩვეოდა, ეს ყოველივე განსაკუთრებულ ტანჯვას ჰგვრიდა აბდიას. მას არც კი სჯეროდა, რომ ცოცხალი გადარჩა. ხომ ასე სასტიკად სცემდნენ ვაგონში, საშინელი სისწრაფით მიმავალი მატარებლიდან გადმოაგდეს, მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან, რომ ცოცხალია, ცოცხალია ყოველივეს მიუხედავად! ცოცხალია და შეუძლია იმოძრაოს, თუნდაც იფორთხოს. ესმის,

ხედავს, ახარებს მხსნელი წვიმა, რომელიც ციდან კოკისპირულად მოთქრიალებს,Ჩუბანს დამსხვრეულ სხეულს, უგრილებს ხელ-ფეხს, აგუგუნებულ გახურებულ თავს, და მანამ იფორთხებს, ვიდრე ძალა ეყოფა. საცაა ირიჟრაჟებს, გათენდება, ისევ დაიწყება სიცოცხლე... და მაშინ მოიფიქრებს, რა ჰქმნას, ოღონდ საჭიროა, როგორმე ფეხზე დადგეს...

ამასობაში ერთი მეორის მიყოლებით ხრიგინით ჩაიქროლა რამდენიმე ღამის მატარებელმა... მატარებლები მიაპობდნენ წვიმასა და სიბნელეს... და ისინიც ახარებდნენ აბდიას. ახარებდა ყველაფერი, რაც სიცოცხლეზე მეტყველებდა, ახარებდა, როგორც არასდროს...

აბდიას არ სურდა წვიმას სადმე შეფარებოდა, თუნდაც ამის საშუალება ჰქონოდა. იცოდა, რომ გამაცოცხლებელი წვიმა აუცილებლად სჭირდებოდა. ოღონდაც ხელ-ფეხი ჰქონოდა მთელი და დაბეჟილობაზე, დაშავებულ ადგილებზე, თუნდაც მარჯვენა ფერდში შეჩენილ მწვავე ტკივილზე ერთს არ დაიჩივლებდა... ბოლოს მაინც მოახერხა ნარვალიდან ამოძრომა, უსაფრთხო ადგილას, პატარა ბექზე აფორთხება და ახლა წვიმაში იჯდა, გულს იმაგრებდა, რომ სიცოცხლე განეგრძო...

ასე აღსდგა აბდია არარსობიდან, აღსდგა და აღიდგენდა ყოველივეს, რაც მისი სიცოცხლის არსს შეადგენდა, თან უკვირდა, რა საოცრად ნათელი და ყოვლისმომცველი აზრები მიჩნდებაო...

და უთხრა იმას, ვინც პილატე პონტოელისგან თხემის ადგილისკენ მიჰყავდათ: „მოძღვარო, მე აქა ვარ! რა გავაკეთო, რომ დაგიხსნა, რა გავაკეთო, უფალო? როგორ გადაგარჩინო? ო, როგორ მაშინებს შენი ამბავი, ახლა, როცა ხელახლა გავცოცხლდი!“

ისტორიული სინქრონიზმი — როცა ადამიანს შეუძლია წარმოსახვით ერთბაშად დროით დაშორებული რამდენიმე ამბის, ზოგჯერ ასი და ათასი წლებით ერთმანეთისგან დაშორიშორებული ამბის მონაწილე იყოს — მეტნაკლებად ნიშანდობლივია ყველასათვის, ვისაც კი ეს წარმოსახვის უნარი აქვს. მაგრამ ვისთვისაც წარსულის მოვლენები ისევე მახლობელია, როგორც ამწუთიერი სინამდვილე, ვინც გარდასულ ამბებს ისე განიცდის, როგორც თავის სისხლხორცეულ წარსულს, როგორც თავის ბედ-იღბალს, იგი ტანჯულია, ტრაგიკული პიროვნებაა, ვინაიდან რაკი წინასწარ იცის, რით დასრულდა ესა თუ ის ისტორია, რა მოჰყვა ამ ისტორიას, რაკი ყველაფერ ამას ითვალისწინებს, და არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე, მხოლოდ და მხოლოდ იტანჯება, თავს მსხვერპლად სწირავს სამართლიანობის გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელიც არასდროს არ განხორციელდება. და ეს წყურვილი წარსულის სიმართლის განმტკიცებისა წმინდათაწმინდაა. სწორედ ასე

იბადება იდეები, ასე ხდება ახალ თაობათა წინა თაობებთან და წინას წინა თაობებთან სულიერი შენივთება, ამაზეა დაფუძნებული ქვეყნიერება და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება გამუდმებით იზრდება, მატულობს — სიკეთე და ბოროტება თაობიდან თაობას გადაეცემა ადამიანური სამყაროს მეხსიერების უსასრულობაში, დროისა და სივრცის უსასრულობაში...

ამიტომაცაა ნათქვამი: გუშინდლებმა არ უწყიან, რა ხდება დღეს, მაგრამ დღევანდლებმა იციან, რა მოხდა გუშინ, ხოლო ხვალ დღევანდლები გუშინდლებად იქცევიან.

და კიდევ ესაა ნათქვამი: დღევანდლები ცოცხლობენ გუშინდლებში, ხოლო თუ ხვალინდლები დაივიწყებენ დღევანდლებს, ეს ყველას უბედურება იქნება...

აბდია ძალიან ღელავდა, იმედი ეწურებოდა, როცა პასექის დაწყების წინა დღე დადგა და წინასადღესასწაულო შეხუთულ საღამოს ცდილობდა ქვემო ქალაქში ის სახლი მოეძებნა, სადაც იესომ გატეხა პური და თქვა — ეს ჩემი ხორციაო, დაასხა ღვინო და თქვა — ეს ჩემი სისხლიაო. ხომ შეიძლებოდა უკვე მაშინ გაეფრთხილებინა ქრისტე, საფრთხე გელის, იუდა ისკარიოტელი გღალატობსო, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ გაეცალე ამ საშინელ ქალაქს, რაც შეიძლება, ჩქარა გაუდექი გზასო. აბდია მიმწუხრზე ეძებდა სახლს და აქეთ-იქით აწყდებოდა მიხვეულ-მოხვეულ, დახლართულ ქუჩაბანდებში, რატომღაც სახეზე აკვირდებოდა გამვლელებს, თითქოს შეიძლებოდა აქ ნაცნობები ჰყოლოდა, მაგრამ ვერც ერთი სანდო კაცი ვერ იპოვა იმ მოქალაქეთა შორის, რომელთაც შინ სუფრაზე მიეჩქარებოდათ, ვერც იმათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ღია დუქნებში იხედებოდა. ბევრმა გამვლელმა კი სულაც არ იცოდა, ვინ იყო ეს იესო ქრისტე: ქალაქში მაწანწალებს რა გამოლევსო. ვიღაც გულჩვილმა მოქალაქემ აბდია პასექზე შეიპატიჟა, მაგრამ მან მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა: იმედოვნებდა, მოძღვარს გავაფრთხილებო. აბდიას თავი აატკივა მღელვარებამ, ფანჯრებში მოჭიატე შუქმა, კერაზე შემოდგმული საჭმელების ჰაერში მიმოფანტულმა მძაფრმა სუნმა, სიგრილისთვის ბარაქიანად მორწყულ გზებსა და ეზოებში ავარდნილმა მხუთვარებამ. იგი ქალაქგარეთ, გეთსიმანიაში გავარდა, იქნებ იქ მივუსწრო ლოცვა-საუბარში გამართულ მოძღვარსა და მის მოწაფეებსო. მაგრამ ამაოდ! ამ ნაგვიანევ ჟამს გეთსიმანიაშიც ვერავინ ნახა. ბაღში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. არც იმ დიდი ფიკუსის ხის ძირას იყო ვინმე, სადაც შეიარაღებულმა ბრბომ მოძღვარი დაიჭირა. მოწაფეები გაქცეულ-გამოქცეულიყვნენ, როგორც თვით მოძღვარმა იწინასწარმეტყველა...

მთვარე შორეული ზღვისა და ხმელეთის თავზე მიცურავდა —

შუაღამე უკვე გადასული იყო. ახლოვდებოდა საბედისწერო დღე, რომლის შედეგები საუკუნეების მანძილზე არ აღმოიფხვრება და კიდევ დიდხანს და სხვადასხვანაირად იჩენს თავს კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ გეთსიმანიაში და ბაღებითა და ზვრებით დაფარულ ახლომახლო ბორცვებზე იმ დროს სიწყნარე იდგა, მხოლოდ ღამეული ფრინველები ჟივჟივებდნენ ბუჩქებში, ბაყაყები ერთმანეთს გადასძახოდნენ და დუდუნებდა, მთვარის შუქზე ძველ კლდოვან სადინარში ბზინავდა, ნაკადულებად იტოტებოდა და ხელახლა ერთ ნაკადად იქცეოდა კედრებშეფენილი მთებიდან ჩამომდინარე მარად ფხიზელი კედრონი. ყველაფერი თავის ადგილზე იყო და არსებობდა ისევე, როგორც უხსოვარ დროს; სიწყნარე და სათნოება სუფევდა დედამიწაზე იმ ღამეს და მხოლოდ იგი, აბდია ვერ ისვენებდა, რადგან ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც უნდა აღსრულებულიყო, თავად კი ძალა არ შესწევდა, რაიმე შეეცვალა, რაიმე აღეკვეთა, თუმცა წინასწარ იცოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე. ამაოდ გოდებდა და სასოწარკვეთილი ევედრებოდა ხვალის ღმერთს. ვერ შერიგებოდა იმასაც, რაც ქრისტეს წამებიდან ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის შემდეგ მოხდა, და საკუთარი თავის მოსაძიებლად წარსულ ცხოვრებაში გარდასული ფიქრით დაუბრუნდა იმ საწყისს, საიდანაც მის ბედსაც მოსწვდა დროის ყველა მიმოქცევაში გამოვლილი ძაფი. ეძებდა პასუხს და ხან უკან ათასწლეულებს აპყრობდა მზერას, ხან ისევ დღევანდელ სინამდვილეს უბრუნდებოდა ტრამალის წვიმაში, თავსა და მხრებზე რომ ასხამდა, ხან ხელს იღებდა ყველაფერზე, ხან საღად სწონიდა ფაქტებს.

კეთილი სურვილებით აღტკინებული აბდია ვოლუნტარისტულად ეკიდებოდა ისტორიას — საშინელი სამსჯავროს შესახებ გაცილებით გვიან შექმნილ კონცეფციას, ამ კონცეფციამდე დიდი ხნით ადრე მცხოვრებ ადამიანთა პირით გადმოსცემდა და ერთი სული ჰქონდა ამის შესახებ ეთქვათ პილატე პონტოელისთვის, ვინაიდან პილატეს, იმპერიის ყოვლად ძლიერნი ნაცვლის აჩრდილი დღესაც არ იყო გამქრალი /ახლაც ხომ იყვნენ პოტენციური პილატეები!/. როცა აბდია კალისტრატოვი მოვლენებს წინ უსწრებდა, იმას ეურდნობოდა, რომ ქვეყნიერების დასაბამიერი კანონები ყოველთვის მოქმედებდნენ, თუმცა თავს გაცილებით გვიან ავლენდნენ. ასევე არსებობდა ადრეც საშინელი სამსჯავროს იდეა — ადამიანის გონებას დიდი ხანია აწამებდა აზრი მომავალი ნაცვალგებისა ყველა იმ უსამართლობის გამო, რაც კი დედამიწაზე ხდებოდა.

მაგრამ მაინც ვინ იყო იესო, რომლიდანაც, როგორც ნულიდან, ისე იწყება ათვლა სულის ტრაგიკულ თვითშეგნებაში? და რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მიზეზი

გვქონოდა მარადიული მონანიებისა? ქრისტეს ჯვარზე გაკვრის დროიდან ასე დიდხანს რატომ არ მშვიდდებიან ადამიანები? აკი იმ დღეთა შემდგომ ბევრი რამ, რაც უკვდავებას ჩემულობდა, დავიწყებას მიეცა და ნაცარტუტად იქცა. განა ყოველთვის ახსოვდათ ამასთანავე, რომ ადამიანთა ცხოვრება ყოველდღე სრულყოფილი ხდება: ის, რაც დღეს ახალია, ხვალ დილით უკვე ძველია, რაც დღეს საუკეთესოა, ხვალ კიდევ უფრო მშვენიერის წინაშე ფერმკრთალდება; მაშ, იესოს ნათქვამი რატომღა არ ძველდება და თავის ძალას არ კარგავს? ხოლო ყველაფერი, რაც მოხდა მისი დაბადებიდან ძელზე სიკვდილით დასჯამდე, და უფრო მეტიც — რაც მისგან წარმოდინდა შემდეგ დროსა და თაობებში, ნუთუ ასე აუცილებელი და გარდაუვალი იყო კაცობრიობისათვის? და ბოლოს, რა აზრი ჰქონდა ადამიანთა ისტორიის ამ გზას? რას ჩასწვდნენ? რას მიაღწიეს? და თუ იდუმალი მიზანი კაცთმოყვარეობის იდეა იყო, იდეა ჰუმანიზმისა, როგორც ამტკიცებენ სწავლულები, ესე იგი ადამიანის გზა თავის თავისაკენ, გონებამომადლებული არსების თავის თავში სულის უსასრულო სრულყოფისაკენ, მაშინ დასაბამიდანვე რთულად, სამძიმოდ, და სასტიკად რად ჩაიფიქრეს ის გზა — ვინ და რატომ ჩაიფიქრა? შეეძლოთ თუ არა ადამიანებს ეარსებათ ამ თითოეულის მიერ თავისებურად გაგებული ჰუმანიზმის გარეშე—ქრისტიანული ჰუმანიზმი იქნებოდა ეს თუ მსოფლიო საეკლესიო ჰუმანიზმი, სოციალ-ეგოისტური, კლასობრივი ჰუმანიზმი თუ პრინციპულად აბსტრაქტული ჰუმანიზმი? და რა საჭიროა ჩვენს საუკუნეში იმ გზაზე დიდი ხნის წინათ მოძველებული რელიგია?

მართლაც, რა საჭიროა? აკი ყველამ, ბავშვებმაც კი ყველაფერი კარგად უწყიან? განა მატერიალისტურმა მეცნიერებამ წირვა არ გამოუყვანა ქრისტიანულ სარწმუნოებას, და არა მხოლოდ მას, მტკიცედ და მბრძანებლურად არ აღგავა პროგრესისა და კულტურის გზიდან — ამ ერთადერთი სწორი გზიდან? დღევანდელ ადამიანს თითქოსდა არ სჭირდება სარწმუნოების აღიარება, მისთვის სრულიად საკმარისი იქნება ამ გაქარწყლებულ მოძღვრებათა შესახებ მხოლოდ ზოგადი ისტორიული ცოდნა. ყოველივე ამან ხომ დრო მოჭამა, ყოველივე ეს ხომ განადგურებულია და გარდასული. მაგრამ რას მივაღწიეთ, რა მოგვეძევება რეალისტური მსოფლმხედველობის მიერ დიდი ხანია უკუგდებული, ღვარძლიანად გამასხრებული, თავშეწირვის, კეთილმოწყალე იდეის სანაცვლოდ? რა მოგვეძევება მსგავსი, უცილობლად მისი მჯობი? ახალი ხომ უეჭველად უკეთესი უნდა იყოს ძველზე? მერედა არის ის, ახალი? არის! აგერ-აგერ ისახება ახალი, ძლიერი რელიგია — ჭარბი სამხედრო ძალის რელიგია. აბა, სხვა რომელ ეპოქაში ცხოვრობდა ადამიანი ყოველ-

დღე, დაბადებიდან სიკვდილამდე ისე, რომ მთლიანად დამოკიდებული ყოფილიყო იმაზე, ეს ძალები ომს გააჩაღებდნენ თუ თავს შეიკავებდნენ? დღეს ვინ არიან ღმერთები, თუ არა ისინი, ამ იარაღის მფლობელნი? ოღონდ ჯერჯერობით არ არის ეკლესიები, სადაც საკურთხეველზე დადებული ბირთვული ჭურვების მაკეტებზე ილოცებოდნენ და გენერლებს თაყვანს სცემდნენ... რით არაა რელიგია?

აბდია კალისტრატოვს ხანდახან ასეთი ფიქრები ეუფლებოდა ცხოვრებაზე. ამჯერადაც, როცა აზროვნების განუზომელი ყოვლისმომცველობის წყალობით შეეძლო ჩასწვდომოდა წარსულს, როგორც მის დაბადებამდე არსებული მოვლენების თვისებრიობას, არსს — ახალი წყალი ასე მოედინება ძველი ნაპირების გაყოლებაზე, — იგი იმ დღეთა დასაწყისს დაუბრუნდა, იმ პასექის წინა პარასკევ ღამეს, რათა მოეძებნა მოძღვარი, მიესწრო და გაენდო თავისი შიშ-მღელვარება, ეცნობებინა საუკუნეების შემდეგ ჩამომდგარი შიშ-მღელვარება, ეცნობებინა, რომ ისტორიის არენაზე გამოჩნდა ახალი ღმერთი — ღმერთი გოლიათი, რომელიც პლანეტის უკლებლივ ყველა მცხოვრების ცნობიერებას შავი ჭირივით დაეუფლა თავისი რელიგიით, გარყვნილი და უნივერსალური რელიგიით, ჭარბი სამხედრო ძალის რელიგიით. რას იტყოდა მოძღვარი, როგორ შეძრწუნდებოდა: რა გზას დაადგებოდა ადამიანთა მოდგმა სამხედრო უპირატესობისთვის თავაწყვეტილ შეჯიბრში? თუ მოძღვარი ხელმეორედ გადაწყვეტდა, თვითონ ეტვირთა ჩვენი ცოდვები და კვლავ გაკრულიყო ჯვარზე, საეჭვოა გული აეჩუყებინა ჭარბი სამხედრო ძალის აგრესიული რელიგიის მიერ დამონებული ადამიანებისთვის...

მაგრამ, თავისდა სამწუხაროდ, აბდიამ მოძღვარს ვერ მიუსწრო. იუდამ უკვე გასცა მოძღვარი და იგი წაიყვანეს. და გოდებდა აბდია დაცარიელებულ გეთსიმანიაში ყველაფერზე, რაც იყო, და ყველაფერზე რაც იქნებოდა, მარტოდმარტო მყოფი მთელ ბაღში და მთელ ქვეყნიერებაზე. იგი უკან დაბრუნდა დროსა და სივრცეში, იჩქაროდა, გამოსცდა თავის წინაპრებს, რომლებიც იმხნად ჯერ კიდევ ჩრდილოეთის უღრან ტყეებში ბინადრობდნენ და თაყვანს სცემდნენ ძელებისგან გამოთლილ კერპებს, და რომლებსაც მისი — სახელი — აბდია — ჯერ კიდევ არ გაეგონათ. აი, ასე აღმოჩნდა გეთსიმანიაში. სახელს აბდიას მისი წინაპრები მომავალში სხვებისგან გადმოიღებდნენ, ხოლო თვითონ შორეულ მეოცე საუკუნეში გაჩნდებოდა...

და დიდხანს იჯდა აბდია, ქვითინებდა ფიკუსის ძირას, სადაც მოძღვარიშეიცნეს, დაიჭირეს და წაიყვანეს. და ისე წუხდა, თითქოს მისი წუხილი რაღაცით შეცვლიდა მსოფლიოს ბედს...

შემდეგ წამოდგა და დამწუხრებული წავიდა ქალაქში. იქ ღამე-

ული იერუსალიმის კედლებს მიღმა მშვიდად ეძინა მცხოვრებთ პასექის წინა ღამეს. და ჯერ კიდევ არაფრის ბაიბურში არ იყვნენ. და მხოლოდ იგი, აღელვებული და სულშეძრული, დაეხეტებოდა ქალაქში და ფიქრობდა: სადაა მოძღვარი, რა სჭირს ახლა? შემდეგ უეცრად აზრად მოუვიდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოძღვრის ხსნა და გზადაგზა ფანჯრებზე კაკუნს მოჰყვა: „ადექით, ხალხო, უბედურება ახლოვდება! ჯერ კიდევ ვიდრე დროა, ვიხსნათ მოძღვარი! მე რუსეთში წავიყვან მას, არის პატარა აღთქმული კუნძული ჩვენს მდინარეზე, ოკაზე...“

აბდიას ფიქრით შუა მდინარეში მდებარე იმ აღთქმულ კუნძულზე მოძღვარი სრულიად უშიშრად იქნებოდა, დაფიქრდებოდა ქვეყნის უკუღმართობაზე და შესაძლოა იქ დაჰბადებოდა ახალი აზრი, კაცობრიობისთვის დროთა შორეთში განეჭვრიტა ახალ გზა, ადამიანებისთვის მიენიჭებინა ღვთაებრივი სრულყოფა, რათა მის მიერ ნაკისრი უცილობელი მოვალეობის — მესიანური მიზნის აღსრულებისთვის საჭირო არ ყოფილიყო სისხლი, რათა არ განეცადა ტანჯვა და დამცირება, თუმცა ეს უგუნური მზად იყო ერთიცა და მეორეც ეწვნია ადამიანთა გულისთვის, მჩაგვრელთათვის საშიში და ამიტომაც ესოდენ დაუნდობლად ამოძირკვული სიმართლის გულისთვის: აკი მომავალ თაობათა საბედნიეროდ იტვირთა ის დამღუპველი მოვალეობა, გარდაუვალი მოვალეობა — მის მიერ არჩეულ გზაზე ადამიანები ეხსნა, ეხსნა ძველისძველ უსამართლობებში მონაწილეობის კირთისგან, ვინაიდან ბუნებრივ საგნებში უსამართლობა არ არსებობს, მხოლოდ ადამიანთა შორის მკვიდრობს და ადამიანთაგან მომდინარეობს. მაგრამ განა შეიძლება მიზანს ასეთი ანტიისტორიული საშუალებით მიაღწიო, არის განა რაიმე მტკიცე რწმენა იმისა, რომ მოძღვრის გაკვეთილი არ იქნება დავიწყებული ყოველთვის, როცა ანგარებას გამოდევნებული ადამიანი მოინდომებს მოძღვრის დავიწყებას, თავისი სინდისის ჩახშობას, ჩაკვლას, უამრავ გამამართლებელ მიზეზს იპოვის: იძულებული ვიყავი ბოროტებისთვის ბოროტებით მეპასუხაო. როგორ მოვაშლევინოთ ადამიანს — შემოქმედების გვირგვინს — დამღუპველი გატაცებანი, რომელნიც განუწყვეტლივ ახლავს კეთილდღეობაშიც და გაჭირვებაშიც, სიღატაკეშიც და მეტისმეტ ფუფუნებაშიც, მაშინაც, როცა ძალაუფლება უპყრია ხელთ და მაშინაც, რცა არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია; როგორ მოვაშლევინოთ ადამიანს — შემოქმედების გვირგვინს — სხვაზე ბატონობის დაუცხრომელი წყურვილი, როგორ მოვაშლევინოთ განუწვეტელი ფორთხვა ყოველგვარი უფლებამოსილებისკენ. ადამიანს ხომ თვითკმაყოფილება და ქედმაღლობა უბიძგებს იმბრძანებლოს და იმძლავროს, როცა ძალა აქვს, ხოლო

როცა ძალა არ გააჩნია, მლიქვნელობით, თვალთმაქცობით, ვერაგობით ელტვის იმავე მიზანს; მაშ, რაღაა ცხოვრების ჭეშმარიტი, მიზანი, რაღაა მისი აზრი და ბოლოს და ბოლოს ვის შეუძლია უპასუხოს ამ კითხვას ისე, რომ არც ერთი სულიერი არ დააეჭვოს მისი პასუხის ჭეშმარიტებამ და სიპატიოსნემ.

და შენ, მოძღვარო, თანხმა ხარ უსასტიკეს სასჯელზე, რათა ადამიანმა შეისმინოს სიკეთე და თანაგრძნობა — ის, რაც დასაბამითვე განასხვავებს გონიერს უგუნურისგან, ვინაიდან მძიმეა ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე, ღრმადაა მასში ჩამალული ბოროტების სათავეები. მერედა განა ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ აბსოლუტურ იდეალს — აზროვნების თავისუფლებით ფრთაშესხმული გონება, ამაღლებული პიროვნება, რომელმაც თავის თავში მოსპო ბოროტების ანაქრონიზმი აწ და მარადის, როგორ აღმოფხვრიან გადამდებ ავადმყოფობას? ო, ნეტავ, ამის მიღწევა შეიძლებოდეს! ღმერთო, რად იდე თავს ასეთი ტვირთი გამოუსწორებელი სამყაროს გამოსწორებისა? მაცხოვარო, შესდექი! ისინი ხომ, ვისი გულისთვისაც ჯვარს გაეკვრები, წამებით მოკვდები, ისინი ხომ შემდეგ დაგცინებენ. დიახ, დიახ, იხარხარებენ, ზოგიერთები მასხრადაც აიგდებენ შენს ამაო ღვაწლს ათასობით წლის შემდეგ, როცა მატერიალისტური მეცნიერება ღმერთის რწმენისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს და მონაჩმახად გამოაცხადებს იმას, რაც შენ გადაგხდა: „ახირებულია! ტუტუცია! ვინ სთხოვდა? რატომ, რა საჭირო იყო ამ ჯვარცმის სცენის გამართვა? ამით ვის გააკვირვებ? რა მისცა ამან ადამიანს, რა შესცვალა ადამიანში თუნდაც მისხლისოდენა, თუნდაც იოტისოდენა?" ასე იფიქრებენ ის თაობები, რომელთაც შენი გმირობა უაზრობად მოეჩვენებათ, "რომელნიც იმ დროისათვის ჩასწვდებიან მატერიის აგებულებას, თვით მის თავდაპირველ არსს, გადალახავენ დედამიწის მიზიდულობას, შეაღწევენ კოსმოსურ სფეროებში, სამყაროს საზიზღარი სიხარბით შეეცილებიან ერთმანეთს, გალაქტიკაზე ბატონობას მოიწადინებენ და თუმცა სივრცე უსასრულოა, მათთვის სამყაროც მცირე აღმოჩნდება, ვინაიდან დედამიწაზე წარმატების მიუღწევლობისათვის ჯავრის ამოსაყრელად თავიანთი ამბიციების დასაამინებლად უკან არ დაიხევენ, რომ თვითონ პლანეტა აქციონ ნაცარტუტად, პლანეტა, რომელზეც შენ გულმოწყალების კულტის დადგინებას ცდილობდი. მაშ, დაფიქრდი, რაა ადამიანთათვის ღმერთი, როცა ისინი თავს ღმერთზე მაღლა აყენებენ, რაა ჯვარზე ჩამოკიდებული ახირებული, როცა ყველას უცბად რომ გაანადგურებენ, შენს სახსენებელსაც მოსპობენ დედამიწასა ზედა. ო, საბრალო, ო, გულუბრყვილო ჩემო მოძღვარო, ერთად გავიქცეთ ვოლგაზე, ოკაზე, მდინარის შუა გულში მდებარე

იმ განმარტოებულ კუნძულზე და იქ ისე იქნები, როგორც ციურ ვარსკვლავზე, ყველა ყოველი მხრიდან დაგინახავს, მაგრამ ვერავინ მოგწვდება. დაფიქრდი, ჯერ კიდევ არაა გვიან, კიდევ ღამე და დილა გვაქვს, შესაძლოა, ჯერ კიდევ აიცილო საშინელი ხვედრი? გონს მოდი, ნუთუ შენ მიერ არჩეული გზა ერთადერთი შესაძლო გზაა?

ასეთი აზრებით შეპყრობილი აბდია, რომლის თვალებშიც უსაზღვრო ტანჯვა ისახებოდა, ცხელი, ღამეული იერუსალიმის ქუჩებსა და მოედნებზე დაეხეტებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა ის, ვინც თვით ღმერთმა წარმოგზავნა დედამიწაზე საშინელი და ტრაგიკული ხვედრის საწვნევად, როგორც მარადი მაგალითი და მუნათი ადამიანებისა... მაგრამ ადამიანს ხომ ისეთი თვისება აქვს, ამ მუნათს პირდაპირ თავის თავზე არ მიიღებს და თითოეული მათგანი თავს გაიმართლებს: მე არაფერ შუაში ვარ, უჩემოდ წყდება ქვეყნიერების ბედი და გადაწყდესო... რა უშრეტი ირონია იმალება ამ აზრში, რომლის დამახასიათებელი ნაკლი ადამიანური ბუნების ბოლომდე შეუფასებლობაა...

აბდიამ რამდენჯერმე გაიარა ქალაქის კარიბჭესთან, სადაც ბოლოს მაწანწალა ძაღლს გადაეყარა. ძაღლი სამი თათით დადიოდა, მეოთხე დაშავებული თათი მუცელზე მიეკრა. მან ჭკვიანურად და ნაღვლიანად შეხედა აბდიას. აბდიამაც ახედ-დახედა და უთხრა:

— რას იზამ, კოჭლაუხა, ვატყობ, ჩემსავით უსახლკარო ხარ. წამომყევი.

ძაღლიც განთიადამდე დაეხეტებოდა აბდიასთან ერთად. ყველაფერი ესმოდა იმ ძაღლს. დილით კი კვლავ საზრუნავ-საფიქრალით გაიღვიძა ქალაქმა, ბაზრები დილიდანვე აავსეს ბედუინების მიერ ქვიშებიდან მორეკილმა დასაპალნებულმა აქლემებმა, უფრო მცირე ტვირთით დაზურგულმა სახედრებმა და ჯორებმა, ცხენებშებმულმა გატენილმა ოთხთვალებმა, მხრებზე ნაკრაულებმოკიდებულმა მებარგულებმა, ამოძრავდა ყოველივე — ვნებები, ნივთები, ატყდა ყაყანი — ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საერთო გაწამაწიაში ჩაერთო, მაგრამ ბევრი იერუსალიმელი ქალაქის თეთრკედლებიან ტაძართან შეექუჩდა, საიდანაც ეს აწრიალებული დუნდგო რომის პროკურატორ პილატე პონტოელის საცხოვრისისკენ გაემართა. ბრბოს აბდია კალისტრატოვიც მიჰყვა. მიხვდა, რომ საქმე მოძღვრის ბედს ეხებოდა და ხალხს თვითონაც გაედევნა ჰეროდეს სასახლისკენ, მაგრამ შეიარაღებულმა დაცვამ ნაცვალთან არავინ შეუშვა. ბრბო სასახლესთან შეჩერდა, დაიცადა. ხალხი სულ უფრო მატულობდა, თუმცა დილიდანვე სიცხე იდგა. აქ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა ვნებამ მოიზიდა. რას არ ლაპარაკობდნენ იმ დაუცხრომელ დუნდგოში: ერთნი ამბობდნენ — წინასწარმეტყველ იესო ნაზარეველს პროკურატორი

რომის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით შეიწყალებს, გაუშვებს, რათა იერუსალიმიდან რაც შეიძლება შორს გადაიკარგოს და აქ აღარასოდეს დაბრუნდესო. მეორენი ამბობდნენ, პასექის აღსანიშნავად ერთ-ერთ მსჯავრდადებულს სიცოცხლეს აჩუქებენ და შეწყალებული იესო იქნებაო. მესამეთ უბრალოდ სწამდათ, რომ იესოს თვითონ იაჰვე იხსნიდა ყველას თვალწინ, მაგრამ სუყველანი — ერთნიც, მეორენიც და მესამენიც — იცდიდნენ, იცდიდნენ და არკი იცოდნენ, რა ხდებოდა სასახლის გალავნისა და კედლების მიღმა. ბრბოში ბევრი იმისთანაც ერია, რომლებიც დასცინოდნენ საბრალოს, თავის სასაცილო ტახტისთვის თავი წააგოო, ამასხარავებდნენ განწირულ ახირებულს და დრტვინავდნენ: რას აჯანჯლებს საქმეს პროკურატორი, გასაკეთებელი უმალ უნდა გაკეთდეს, რას ელოლიავება, ხედავ, როგორ აჭერს მზე, შუადღემდე თხემის ადგილზე ყველა შეიხრაკებაო. ეს იესო ნაზარეველი ვისაც გინდა, თავგზას აურევს. ახლა ნაღდად ენას ასხმარტალებს და პროკურატორს აცბუნებს, ვაითუ რომის ნაცვალი ადგეს და გაუშვას, ჩვენ კი მაშინ რაღას ვუდგავართ აქო... იესო ნაზარეველიც კაი ვინმეა — რამდენი რამ აღგვიქვა, მერედა სადაა ის მისი ახალი სამეფო. ახლა თვითონ მაგას ძაღლივით მიახრჩობენ... როგორც ხდება ხოლმეო...

აბდია უსმენდა მათ და აღშფოთებას ვერ მალავდა. „როგორ ბედავთ ასე ლაპარაკს! უმადურნო, სულმდაბალნო! როგორ შეიძლება ასე შებილწოთ და გააუხამსოთ ადამიანის სულის დიადი ბრძოლა საკუთარ თავთან. თქვენ მოძღვრით უნდა იამაყოთ, ხალხო, მისი საზომით უნდა გაზომოთ თქვენი თავი!“ — ყვიროდა სასოწარკვეთილი აბდია კალისტრატოვი, ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა იერუსალიმელთა ბრბოში, მაგრამ არავინ უსმენდა, არავინ ამჩნევდა, რომ იქ იყო. ის ხომ ჯერ კიდევ მომავალ მეოცე საუკუნეში უნდა დაბადებულიყო...

* * *

შუაღამისას წამოთქრიალებულმა წვიმამ ნელ-ნელა იკლო. როგორც მოვიდა, ისე წავიდა, რომ კიდევ სადღაც ღვართქაფად დაშვებულიყო. ბოლოს სულაც გადაიღო, მხოლოდ ხანდახან ნაგვიანევ წვეთებად სწყდებოდა ცას. ამასობაში კი განთიადი ახლოვდებოდა, განბანილი და ვარსკვლავებით მოჭედილი განთიადი. ცას, სიღრმეში რომ ჯერ კიდევ მუქი აქატისფერი ჩანდა, წვიმის შემდეგ ნაპირები უნათდებოდა. სიგრილეს ასუნთქებდა ნტიო ნიადაგი, ღამის განმავლობაში წამოზრდილი ბალახი.

მაგრამ ტრამალის ბინადარ ცოცხალ არსებათაგან იმ წუთებში ცხოვრების სიხარული ისე მძაფრად და მადლიერებით არავის შეუგრძვნია, როგორც აბდია კალისტრატოვმა შეიგრძნო, თუმცა მაინცდამაინც კარგ სულიერ განწყობაზე ვერ იყო.

ისე კი აბდიას გაუმართლა: წინა დღით გახურებულმა ჰაერმა ღამით გაგრილება ვერ მოასწრო და აბდიაც სიცივისგან არ გაფიჩხებულა. მართალია, თავიდან ფეხებამდე გაილუმპა, ნატკენნაგვემი ადგილები აწუხებდა, მაგრამ ტკივილი არაფრად ჩააგდო, გულისყური მოიკრიბა და ნათელჭვრეტის უნარის წყალობით, რაც საშუალებას აძლევდა თავი ერთდროულად წარსულშიც ეგრძნო და აწმყოშიც, სიცოცხლეს ხელახლა აღიქვამდა. ამას ბედის წყალობად მიიჩნევდა და ამიტომ კიდევ უფრო მეტად აფასებდა, ცხოვრებისა და აზროვნების შესაძლებლობა რომ ჰქონდა. იმ დროს, როცა წვიმამ გადაიღო, აბდია უკვე რკინიგზის ხიდის ქვეშ იჯდა, სადაც სიბნელეში გაჭირვებით, კოჭლობით, ვაი-ვაგლახით მიაღწია...

ხიდქვეშ შედარებით სიმშრალე იგრძნობოდა. აბდიამ აქ მაწანწალასავით შემოაღწია და კმაყოფილი იყო, რომ იპოვა ადგილი, სადაც შეეძლო წვიმის გადაღებას დალოდებოდა და ფიქრებს მისცემოდა. ხიდქვეშ გუგუნ-ბუბუნი ისმოდა, როგორც შუა საუკუნეების მაღალკამარებიან ტაძარში. როცა ზემოთ მატარებლები მიქროდნენ, მათი ხმაური საარტილერიო ცეცხლის შორიდან მომწყდარ და თანდათან მიმქრალ გრიალს ჰგავდა. იმ ღამეს მადლმოსილებით, შთაგონებით ფიქრობდა აბდია, აზრი უკვე თავისთავად ისხამდა ფრთებს და მის სულს უსასრულოდ, დაუბრკოლებლად მიაფრენდა თან. აბდია ხან ქრისტეზე ფიქრობდა, ხან პილატე პონტოელზე, გონებით სწვდებოდა იმ გარდასუ დროს. ხიდზე გადაქროლილი მატარებლების გრუხუნი ხელს არ უშლიდა, თავი ეგრძნო ძველ იუდეაში, გოლგოთაზე მოყაყანე ბრბოში და თითქოსდა თავისი თვალით ენახა, რა ხდებოდა იქ; ხან იხსენებდა, რომ მოსკოვში იყო, პუშკინის მუზეუმში, სადაც ბულგარული კაპელა მღეროდა, იგონებდა თავის ორეულს, ბულგარელ მომღერალს, რომელიც ისე საოცრად ჰგავდა, თვალნათლივ ხედავდა მის სახეს, დაღებულ პირს. რა დიად ბგერებს აფრქვევდნენ ბულგარელ მომღერალთა ხმები, რარიგ აღამაღლებდნენ აბდიას სულსა და ფიქრებს! აბდიას მამას დიაკონ კალისტრატოვს ძალიან უყვარდა საეკლესიო გალობა და როცა მას უსმენდა, გული უჩუყდებოდა, ტიროდა ხოლმე. ერთხელ ვიღაცამ ერთი თანამედროვე მონაზვნის საკვირველი ლოცვა გადასცა. ეს იმხანად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელი, ხოლო შემდეგ იმავე სახლის აღმზრდელიც, ომის დროს მონაზვნად აღიკვეცა. მას აქეთ აღიკვეცა, რაც გერმანელთა წყალქვეშა

ნავის მიერ ჩაძირულ სამხედრო ხომალდზე დაეღუპა შეყვარებული, რომელთანაც სულ თვენახევარი იცხოვრა. დიაკონი კალისტრატოვი ყოველთვის ცრემლს ღვრიდა ამ „სულის დოკუმენტს" რომ კითხულობდა, რომელშიც გოდებაც და ლოცვაც იყო შენივთებული. დიაკვანს ძალიან უყვარდა, როცა აბდია, ჯერ კიდევ ბიჭუნა, სახლის საპატიო კუთხეში ძველ პიანინოსთან იდგა და წკრიალა ყმაწვილური ხმით უკითხავდა ჩაძირული ხომალდის ლოცვას. ამ კითხვა-კითხვაში აბდიამ ზეპირად ისწავლა ლოცვა, ის ლოცვა მონაზვნისა, საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელისა.

„ცას რიბირაბო ედება და, ვიდრე ქვეყანას სძინავს მზის ამოსვლამდე, ყოვლისმხილველო და ყოვლად კეთილო, შენ აღგივლენ ჩემს სისხლხორცეულ ლოცვას. ო, მომიტევე, ღმერთო, რომ თავნებობას ვიჩენ და უწინარეს შენ კი არ გიხსენებ, კვლავ ჩემი საქმით გაბეზრებ თავს, მაგრამ მე იმისთვის ვცოცხლობ, რომ ეს ლოცვა ვთქვა, ვიდრე ამქვეყნად ვარსებობ.

შენ, გულმოწყალევ, კურთხეულო და პირუთვნელო, მომიტევე, რომ დაჟინებული მომართვით თავს გაბეზრებ. ჩემს ვედრებაში ანგარება არ ურევია არც ერთ ბეწო ამქვეყნიურ კეთილდღეობას გთხოვ, არც სიცოცხლის დღეთა გახანგრძლივებას გემუდარები. მხოლოდ ნიადაგ შემოგვედრი ადამიანის სულის ცხონებას. შენ, ყოვლისმიმტევებელო, უმეცრებაში ნუ გვამყოფებ. ნებას ნუ მოგვცემ თავი გავიმართლოთ, რომ ამქვეყნად სიკეთე და სიბოროტე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. გონება გაუნათე ადამიანთა მოდგმას. ჩემზე კი სიტყვასაც არ დავძრავ. არ მეშინია ნებისმიერი დასასრულისა, ისე შევხვდები მას, როგორც ჩემდამო სამართლიანს — თუნდ ჯოჯოხეთის ცეცხლში დავიწვა, თუნდ ფეხი შევდგა სამეფოში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ეს ხვედრი შენ გადაწყვიტე, უხილავო და მარადისმყოფო შემოქმედო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ამაზე დიდი თხოვნა არა მაქვს მე, შენს მხევალს, მონაზონს, შენი სიყვარულის სიტყვების მორჩილს, განდეგილს, რომელმაც სასოწარკვეთილმა არაფრად მიიჩნია თავისი ამქვეყნიური ჭირ-ვარამი, სავსებით უარყო პატივმოყვარეობა და ამაოება, რომ თავის ფიქრებში შენს სულს მიახლოებოდა, ღმერთო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ერთ სასწაულსა გთხოვ: დაე, იმ ხომალდმა იმ ძველი კურსით იცუროს ყოველდღე, ყოველღამ, ვიდრე დღე და ღამე შენ მიერ დადგენილი რიგით ენაცვლებიან ერთმანეთს დედამიწის კოსმოსური ბრუნვისას. დაე, იცუროს მან, იმ ხომალდმა, მუდმივ ვახტზე იყოს, სამარადჟამოდ ჰქონდეს ჩამოცმული შალითები ქვემეხთა ლულებზე, და იცუროს ოკეანიდან ოკეანეში, და ტალღები ეხლებოდეს კიჩოზე, და ისმოდეს ამ ტალღების განუწყვე-

ტელი ძალუმი გუგუნი, ზათქი. დაე, ოკეანის შხეფები მოშხაპუნე წვიმად ეფრქვეოდეს, დაე, ისუნთქოს იმ მწარე და ჰაერში მოქარქარე სინოტივით, დაე, ესმოდეს გემბანის ჭრაჭუნი, ტრიუმოდან მანქანების გუგუნი, მაღლით ჩხავილი თოლიებისა, რომლებიც ზურგის ქართან ერთად კვალდაკვალ მოსდევენ ხომალდს. დაე, ხომალდმა იცუროს ოკეანის შორეულ ნაპირზე მდებარე ნათელი ქალაქისკენ, თუმცა ვერასოდეს მიადგება მას...

ესაა ყველაფერი, მეტს არაფერს გთხოვ ჩემი განუწყვეტელი ლოცვით, და მომიტევე, ყოვლად კეთილო და გულმოწყალეო, რომ უცნაური თხოვნით, დაღუპულ ხომალდზე ლოცვით თავს გაბეზრებ. მაგრამ შენ ყველა დიდი იმედის, ამქვეყნიური და არაამქვეყნიური იმედის ლიბო ხარ. შენ იყავი და დარჩები ყველგან მყოფი, ყოვლადშემძლე და ყოველივეს დასაბამი. ამიტომ ვედრებით მოგეახლებით როგორც წინათ, ასევე ახლაც და მომავალშიც. ამიტომ, როცა ამ ქვეყანას განვეშორები და აღარავისთვის მექნება შესავედრებელი, დაე, იმ ხომალდმა ოკეანეში მარადიულობის საზღვარს იქითაც იცუროს. ამინ!"

აბდიას თვითონაც ვერ გაეგო, რატომ გაახსენდა იმ ღამეს მონაზვნის ლოცვა. უცებ გაიფიქრა, უჩქუდუქში მოტოციკლით ჩამოსული ქალიშვილი რომ შემახვედრა, ამ ლოცვას მასაც ვეტყოდიო, და გაეცინა, უნებურად გაეცინა, უწესო ჩერჩეტი უწოდა თავს, წარმოიდგინა, რა თვალით შეხედავდა ქალიშვილი ხიდქვეშ მოხეტიალე ქურდივით ან ხელმარცხიანი ყაჩაღივით საცოდავად მოკუნტულს და რას გაიფიქრებდა მასზე. თვითონ კი, ხედავ, ხომალდის ლოცვის თქმაც მოუნდომა. ქალიშვილი გიჟად მიიჩნევდა, რა თქმა უნდა, და მართალიც იქნებოდა. მაგრამ მაინც აბდიას უნდოდა ქალიშვილი ახლავე ენახა, თუმცა შეიძლებოდა მის თვალში დამცირებულიყო...

და აბდია ხიდქვეშ იჯდა განთიადამდე. მის თავზემოთ ტრამალში მიმქროლავი მატარებლები დაგრუხუნებდნენ. ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, სად არიან ახლა მადევრები, ჩემი ყოფილი თანამგზავრები, რას შვრებიანო, ჟალპაკ-საზიდან ალბათ უკვე გაძვრნენ და თავთავიანთ გზას ადგანანო. პეტრუხა, ლიონკა და სხვები, ან ბაქციასავით მოუხელთებელი გრიშანი სადღა იმყოფებიანო? და ნაბობდა აბდია, რომ მარცხი განიცადა, უხეში შეცდომა დაუშვა, რომ გრიშანმა გაიმარჯვა რომ მისმა ბნელმა საქმემ გაიმარჯვა, რომ ყველაფერი ასე ცუდად დამთავრდა, თუმცა, როგორც თავად მიაჩნდა, ამ დღეებში თავს დატეხილი განსაცდელი მისთვის აუცილებელი იყო. მართალია, მადევრების გარდაქმნა ვერ შესძლო, მაგრამ გახეთში გამოსაქვეყნებელი საინტერესო მასალა კი მოიპოვა, თანაც

ᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲔᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲓᲐ ᲐᲑᲓᲘᲐᲡ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲢᲙᲘᲜᲘᲚᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲕᲚᲘᲡᲐ ᲚᲘᲝᲜᲙᲐᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲐᲘ, ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲝᲔᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ.

ᲐᲑᲓᲘᲐᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐ ᲛᲣᲘᲜᲧᲣᲛᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲔᲑᲨᲘ — ᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲪ ᲛᲒᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲘᲡᲘᲪ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲢᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲡᲘᲡᲕᲘ ᲫᲣ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲨᲣᲐᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲡᲝ. ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲓᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲓᲐ ᲛᲒᲚᲘᲡ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲔᲓᲕᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲮᲔᲓᲐ ᲛᲖᲔᲛ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲮᲘ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ. ᲓᲐᲛᲔᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲐ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲨᲘ. ᲡᲘᲪᲮᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲝ, ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲖᲔ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲘᲗ ᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲓᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲪᲐᲨᲘ ᲢᲝᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲪᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲤᲠᲗᲝᲗᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲟᲘᲕᲘᲚ-ᲮᲘᲕᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲮᲝᲚᲝ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲖᲔ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲛᲝᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲩᲥᲔᲤᲓᲐ.

ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲛᲔᲤᲝᲑᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲪᲘᲡ ᲬᲣᲮᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲦᲚᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲟᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲧᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲛᲖᲔᲛ ᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲩᲐᲛᲝᲐᲗᲑᲣᲜᲐ, ᲐᲑᲓᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲐ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲨᲠᲝ, ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲠᲬᲣᲜᲓᲐ — ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲘᲡᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲤᲮᲠᲔᲬᲘᲚᲘ, ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲔᲔᲘᲚᲘ, ᲓᲐᲚᲘᲑᲠᲣᲚᲘ, ᲓᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲡᲐᲠᲙᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲫᲔᲕᲔᲑᲝᲓᲐ — ᲡᲐᲠᲙᲔᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲔᲮᲔᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲓᲐᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲫᲠᲬᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲡᲐᲠᲙᲝᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐ ᲡᲯᲘᲠᲓᲐ: ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲮᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲙᲐᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ, ᲗᲐᲕᲡ ᲩᲐᲣᲜᲔᲠᲒᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲐᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐᲝ.

ᲮᲘᲓᲥᲕᲔᲨ ᲢᲐᲜᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲮᲓᲘᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲠᲐᲛ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ — ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲝᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲠᲐᲓ ᲕᲐᲠᲒᲝᲓᲐ. ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲕᲘᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲡᲕᲔᲚ ᲑᲣᲠᲙᲕᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘᲧᲝ. ᲮᲝᲚᲝ ᲤᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲐᲓ ᲗᲣ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ. ᲐᲛ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲔᲦᲬᲘᲐ ᲯᲔᲠ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲘᲝᲙᲡᲙᲐᲛᲓᲔ.

ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲮᲕᲘᲐ ᲐᲑᲓᲘᲐᲡ. ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲫᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲓᲘᲡ, ᲕᲐᲠᲕᲐᲠᲐᲡ, ᲗᲐᲜ-

ხმობით იძულებული გახდა გაეყიდა ძველი პიანინო, რომელზეც ბალღობაში დაკვრა ისწავლა. საკომისიო მაღაზიაში პიანინოში ნახევარი საფასური მისცეს, აუხსნეს, მუსიკალური საკრავები ახლა დეფიციტი აღარაა, თავსაყრელად გვაქვს, ძველი მაგნიტოფონებიც კი აღარ ვიცით, სად შევინახოთ, პიანინო კი მით უმეტესო. იძულებული გახდა შეთავაზებულ თანხას დაჰყაბულებოდა, ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდა. ჰოდა, აი, ახლა ხელთ აღარაფერი მოეძევებოდა. უკეთესს ვერაფერს ინატრებდი!

დაიწყო ახალი დღე, მაშასადამე, საჭირო იყო ცხოვრება და ყოფიერების მატერია კვლავ ყელში ეძგერა იდეალისტ კალისტრატოვს.

აბდიამ მთელი ღამე ხიდქვეშ ფიქრებში გაატარა და ახლა უნდა გადაეწყვიტა, როგორ გაეღწია აქედან, ამის გარდა საჭირო იყო არსობის პურზე ზრუნვაც.

დილით ბედმა გაუღიმა. როცა ინათა, გამოირკვა, რომ ხიდქვეშ, სოფლის შარაგზა გადიოდა, თუმცა ეტყობოდა, აქ მანქანები ხშირად არ მოძრაობდნენ. კაცმა არ იცოდა, რამდენ ხანს მოუწევდა გამვლელი მანქანის ლოდინი და გადაწყვიტა, თვითონ მიეღწია რკინიგზის უახლოეს ასაქცევამდე, იქიდან კი რაიმეს გაპყოლოდა ჟალპაკსაზამდე. გადაწყვიტა და ირგვლივ მიმოიხედა, სადმე ჯოხი ხომ არ გდია, დასაბიჯგებლად რომ გამომადგესო. ძალიან სტკიოდა მატარებლიდან მიწაზე დავარდნისას დაშავებული, დასიებული მარჯვენა მუხლი. აქეთ-იქით რომ იხედებოდა, გაეცინა: „ერთიც ვნახოთ და გრიშანმა გადმოაგდო ის ჯოხი, რომლითაც პეტრუხამ ბოლო მომიღო? ახლა ის გრიშანს არაფრად სჭირდება!" ჯოხი, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა, სამაგიეროდ შეამჩნია, რომ ტრამალში ხიდისკენ მანქანა მოქროდა.

მანქანა სატვირთო აღმოჩნდა, რომელსაც ძარაზე ფანერისგან შეჭედილი ჯიხური ედგა. კაბინაში მძღოლის გვერდით ბავშვჩახუტებული ქალი იჯდა. მძღოლმა მანქანა უცებ დაამუხრუჭა. ბრგე, შავტუხა ყაზახი კაბინის ოდნავ ღია ფანჯრიდან გაკვირვებით ათვალიერებდა აბდიას. შემდეგ რატომღაც ჰკითხა:

— ჯელო, ბოშებმა გცემეს?

— არა. ბოშებს არ ვუცემივარ. თვითონ გადმოვვარდი მატარებლიდან.

— მთვრალი ხარ?

— საერთოდ არ ვსვამ.

მძღოლმა და ბავშვიანმა ქალმა თანაგრძნობით ამოიოხრეს, ყაზახურად დაიწყეს ლაპარაკი და ხშირად წარმოთქვამდნენ სიტყვა

„ბიჩარას“[1].

— მოდი, დაჯექი, ჟალპაკ-საზში მივდივართ. ტრამალში მარტო დაიღუპები, ბიჩარა. აქ მანქანები იშვიათად დადიან.

აბდიამ ძლივს შეიკავა მუხანათურად მომდგარი ცრემლი, პატარა ბავშვივით გაიხარა.

— გმადლობთ, ძმაო, — უთხრა მძღოლს და ხელი მკერდზე მიიდო. — სწორედ ეს მინდოდა მეთხოვნა, თუ გზა იქით გექნებოდათ. სიარული მიჭირს, ფეხი დავიშავე. გმადლობთ.

მძღოლი გადმოვიდა და აბდიას მანქანაზე ასვლაში უშველა.

— აქეთ მოდი, აგწევ, ბიჩარა, შენ კი აძვერი, ნუ გეშინია, იქ მატყლია. ჩასაბარებლად მიმაქვს, მეურნეობიდან. სწორედ რომ რბილად იქნები. ოღონდ პაპიროსი არ მოსწიო.

— ისედაც არ ვეწევი. დარდი ნუ გექნებათ, — სერიოზულად აღუთქვა აბდიამ მძღოლს. — მთელი ღამე წვიმა მასხამდა, თავიანფეხიანად დავსველი, აქ კი გავთბები, გამოვშუშდები...

— კარგი, კარგი! მე ისე გითხარი. დაისვენე, ბიჩარა.

კაბინიდან ქალმა გამოიხედა და მძღოლს რაღაც უთხრა.

— ცოლი მეკითხება, ჭამა არ უნდაო? — ღიმილით აუხსნა მძღოლმა აბდიას.

— ძალიან მინდა! — ალალად აღიარა აბდიამ. — გმადლობთ. თუ რამე გაქვთ, მომეცით, თქვენი ჭირიმე, ძალიან დაგიმადლებთ.

აბდიას მოეჩვენა, რომ ცხვრის რძის მაწვნით სავსე ბოთლი და კერიაზე გამომცხვარი სურნელოვანი თეთრი პურის კვერი იმ ღამის ტანჯვის სანაცვლოდ ზეგარდმო მოვლენოდა.

აბდიამ ჭამა და გულიანად დაეძინა ქონისა და ოფლის სუნით აყროლებული მატყლის ბარდანებზე. მანქანა კი მიქროდა ტრამალში, რომელსაც წუხანდელი თავსხმის შემდეგ სიგრილე ჯერ კიდევ შერჩენოდა. გზამ აბდიას ისე არგო, თითქოს ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანსაღდა.

მაშინღა გაეღვიძა, როცა მანქანა გაჩერდა.

— მოვედით. შენ საით მიდიხარ? — მძღოლი მანქანის უკან იდგა და ძარაში იყურებოდა. — ჯეელო! ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, ცოცხალი! გმადლობთ, — მიუგო აბდიამ. — მაშ, უკვე ჟალპაკ-სზში ვართ?

— ჰო, სადგურში ვართ. ჩვენ ახლა ნედლეულის საწყობში უნდა წავიდეთ. შენ საით?

— ვაგზალში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, რომ მიხსენით.

---

[1] ბიჩარა — უბედური, საბრალო.

ბქვენი ცოლისთვისაც დიდი მადლობა მომიხსენებია. ენით ვერ მითქვას, როგორ გემადლიერებით.

აბდიამ ტკივილისგან დაიკვნესა, როცა მძღოლის დახმარებით მანქანიდან გადმოდიოდა.

— მთლად ცუდადა ხარ, ბიჩარა. საავადმყოფოში წადი, — ურჩია მძღოლმა. — ჯოხი იშოვე და სიარული გაგიადვილდება.

ვაგზლის შენობამდე აბდია მთელი ნახევარი საათი მიკოჭლაობდა. კიდევ კარგი, გზად ფიცრის ნატეხი იპოვა და იღლიაში ყავარჯენივით ამოიდო — ასე უფრო გაუადვილდა კოჭლობ-კოჭლობით სიარული.

ხოლო რკინიგზების, ესტაკადების კონსტრუქციების, პროექტორებისა და სატვირთო ამწეების, მიმავალი და მომავალი მატარებლების თავზე, ვაგზლის მოედნის, უფრო სწორად სადგურის ახლომახლო, მთელი ქალაქის თავზე ტრამალში სელექტორის მეშვეობით ქუხდა ბრძანებები. გადაქროდა ლოკომოტივების კივილი, რადიოსამსახური წამდაუწუმ აცხადებდა სამგზავრო მატარებლების წასვლა-წამოსვლას. იმ მიყრუებულ ადგილას ყოფნის შემდეგ აბდიამ უცბად იგრძნო სიცოცხლის მჩქეფარება. ირგვლივ მიდი-მოდიოდნენ, ჩქარობდნენ ადამიანები — ჟალპაკ-საზი ტყუილად როდი იყო თურქესტანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკვანძო სადგური.

ახლა აბდიას უნდა გადაეწყვიტა, როგორ გამგზავრებულიყო, რომელ მატარებელს გაჰყოლოდა და საერთოდ რა ექნა შემდგომ, როცა ჯიბეში სულ ოცდათხუთმეტი მანეთი ედო. პლაცკარტიანი ვაგონის ბილეთი კი, ისიც მხოლოდ მოსკოვამდე — თანაც თუ სალაროში ადგილები ექნებოდათ — ოცდაათი მანეთი ღირდა. მერედა თავი რით გაეტანა? რა ექნა ფეხისთვის, დაჟეჟილ-დალილავებული სხეულისთვის? ადგილობრივ საავადმყოფოში მისულიყო თუ, რაც შეიძლება, ჩქარა გასცლოდა აქაურობას? ფიქრებში გართული აბდია სადგურის დახუთულ და ხალხით სავსე შენობაში მიკოჭლაობდა. დაგლეჯილი ტანსაცმლით, დალურჯებული სახით, თან ასეთი უცნაური ფიცარ-ყავარჯნით უნებლიეთ იზიდავდა ყურადღებას — ბევრი თვალს აჭყეტდა. ბაქანზე, მატარებლების განრიგისკენ მიმავალმა აბდიამ უცებ შეამჩნია, რომ უკან მილიციელი მოჰყვებოდა.

— აბა, მოიცადე, ყმაწვილო! — შეაჩერა მოახლოებულმა მილიციელმა. მისი გაბრაზებული მკაცრი გამოხედვა კარგს არაფერს მოასწავებდა. — რას აკეთებ აქ? ვინა ხარ?

— მე?

— დიახ, შენ.

— წასვლა მინდა. განრიგს ვათვალიერებ.

— საბუები გაქვს?

— რა საბუთები?

— ჩვეულებრივი. პასპორტი, პირადობის მოწმობა, ცნობა, რომ მუშაობ.

— მაქვს, ოღონდ მე, ისა...

— აბა, წარმოადგინე...

აბდიას ენა დაება:

— იცით, მე, ისა, ამხანაგო, ამხანაგო...

— ამხანაგო ლეიტენანტო, — უკარნახა გულფიცხმა მილიციელმა.

— ჰოდა, ამხანაგო მილიციელო, უნდა გითხრათ...

— რაც უნდა მითხრა, შემდეგ გავიგებთ. მოიტა საბუთები.

აბდიამ ჯიბიდან უცებ ვერ ამოიღო სველი, უფორმო, დაჭმუჭვნილი ქაღალდი, რასაც ოდესღაც მისი პასპორტი ერქვა.

— აი, — გაუწოდა მილიციელს. — ესაა ჩემი პასპორტი.

— პასპორტი? — მილიციელმა ეჭვით შეხედა აბდიას. — რას მასულელებ, თუ იცი? ეგაა პასპორტი? ეგ შენთვის შეინახე და უბნის განყოფილებაში წამობრძანდი. იქ გავარკვევთ ვინცა ხარ.

— მე ხომ, ამხანაგო ლეიტენანტო... — გაუბედავად დაიწყო თავისი გარეგნობით, ფიცარ-ყავარჯნით დარცხვენილმა და ირგვლივ სწრაფად შემოჯარული უსაქმურების დანახვაზე შემცბარმა აბდიამ. — მე, იცით, გაზეთის კორესპონდენტი ვარ!

— შენ რა კორესპონდენტი ხარ? — აღშფოთდა მილიციელი, რადგან დაკავებული ყმაწვილი, მისი აზრით, ერთობ აშკარად და თავხედურად ტყუოდა. — აბა, წავიდეთ, კორესპონდენტო!

ირგვლივ მდგომმა უსაქმურებმა ღვარძლიანად გაიცინეს.

— დახე, რა მოიგონა — კორესპონდენტი ვარო!

— იქნებ საგარეო საქმეთა მინისტრობაც დაიბრალოს?

აბდია იძულებული გახდა გულფიცხ ლეიტენანტს გაჰყოლოდა, კოჭლობით გაევლო მოსაცდელი დარბაზი. ახლა უკვე ყველა შემხვედრი აჭყეტდა თვალს, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და იცინოდნენ. ხის დიდ მერხზე ბარგითურთ მოკალათებული ერთი ოჯახის გვერდით ჩავლისას აბდიას ასეთი ლაპარაკი მოესმა:

პ ა ტ ა რ ა გ ო გ ო ნ ა. დედა, დედა, შეხე, ვინაა ეს?

ქ ა ლ ი. ოჰ, შვილიკო, ყაჩაღია. ძია მილიციელს დაუჭერია.

კ ა ც ი. რა ყაჩაღი ეგაა. ერთი ბედასლი ყალთაბანდი და ქურდბაცაცაა, მეტი არაფერი.

ქ ა ლ ი. რას ამბობ, მიშა. შესახედავადაა ასე საცოდავი, თორემ აბა, ბნელ მოსახვევში გადაეყარე — ყელს გამოგჭრის...

ეგ არაფერი, ყველაზე საშინელი და მოულოდნელი ამბავი აბდიას

აწი ელოდა. ლეიტენანტს ვაგზლის უამრავ კართაგან ერთ-ერთში რომ შეჰყვა, ცეცის საკმაოდ ხალვათ ოთახში აღმოჩნდა. ოთახის ფანჯარა მოედანს გადაჰყურებდა. ლეიტენანტის დანახვაზე ტელეფონიან მაგიდასთან მჯდომი ვიღაც დაბალი ჩინის მილიციელი ზეზე წამოდგა.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ლეიტენანტო, — მოახსენა მან.

— დაჯექი, ბეკბულათ. აგერ, ერთი ჩიტიც მოვიყვანე, — თავით ანიშნა აბდიაზე ლეიტენანტმა. — ხედავ, რა დამშვენებულია, თანაც კორესპონდენტია!

აბდიამ მიიხედ-მოიხედა და კინაღამ შეჰყვირა, ისე გააოგნა იმან, რაც ოთახში დაინახა. ოთახს იატაკიდან ჭერამდე ყოფდა უხეშად შედუღებული საარმატურე რკინების გისოსი, რომლის იქით შემოსასვლელ კართან, მარცხენა კუთხეში, როგორც მხეცები სამხეცეში, ისე ისხდნენ მადევრები — ანაშას მომპოვებლები: პეტრუხა, ლიონკა, მახაჩი, კოლია, ორი მადევარი-დივერსი და კიდევ ვიღაც ბიჭები — სულ ათი-თორმეტი კაცი, თითქმის მთელი რაზმი გრიშანის გამოკლებით. თვით მთავარი მათ შორის არ იყო.

— ეგ რა მოგივიდათ, ბიჭებო? როგორ მოხვდით აქ? — უნებურად აღმოხდა აბდიას.

არც ერთი მადევარი არ გამოპასუხებია. არც კი განძრეულან. გალიაში ერთმანეთს მიკრულნი ისხდნენ იატაკზე, ძალიან შეცვლილნი, გულჩათხრობილნი და პირქუშნი ჩანდნენ.

— ესენი შენები ხომ არ არიან? — უცნაურად ჩაიცინა გულფიცხმა ლეიტენანტმა.

— აბა,რა! — განუცხადა აბდიამ. — ჩემი ბიჭები არიან.

— თურმე რა ყოფილა! — გაუკვირდა ლეიტენანტს და ყურადღებით შეხედა აბდიას. — ეს თქვენიანია? — ახლა მადევრებს შეეკითხა ლეიტენანტი.

არავის უპასუხნია. ყველა იატაკს დასცქეროდა, დუმდნენ.

— ჰეი, თქვენ გეკითხებით! — გაბრაზდა ლეიტენანტი. — რას გაჩუმებულხართ? კარგი, ბატონო, დავიცდით. თქვენ ჯერ კიდევ აცეკვდებით, ოგორც კარჩხანა ტაფაზე, გამიხსენებთ, როცა თითოეულს სამასმეჩვიდმეტე მუხლით მიგაბრძანებენ, ჯერ კიდევ იმღერებთ შორეულ მხარეებზე და იმედი ნუ გექნებათ, რომ მცირეწლოვანები ხართ, რომ ადრე ნასამართლევი არ ყოფილხართ. ეგ არ ითვლება. დიახ, დიახ, არ ითვლება. დანაშაულზე წაგასწრეს! — ლეიტენანტმა იატაკზე მიმოფანტული და აბდიას ნაცნობირჩანთებისა და ჩემოდნებისკენ გააქნია თავი. ზოგი მათგანი გახსნილი იყო, ზოგი გარღვეული, აქა-იქ ანაშა გამობნეულიყო და ოთახში ტრამალის კანაფის მქისე სუნი იდგა. მაგიდაზე ტელეფონის გვერდით პლასტი-

ლინიანი ასანთის კოლოფები და მინის პატარა ქილები ეწყო. — ხმას არ იღებთ! ამას დამიხედეთ, განაწყენდნენ! თქვენ დანაშაულზე წაგასწრეს და ისე მოხვდით ჩემთან! — გაიმეორა ლეიტენანტმა. მას სახე თანდათან ექუშებოდა, ხმაში მრისხანება გაერია. — აი, სამხილი! აი, ნივთიერი საბუთები! აი, თქვენი ბანგი! — ამბობდა და ანაშიან ზურგჩანთებს ფეხს ჰკრავდა. — თქვენი ბრბოდან მხოლოდ ერთი არამზადა დაგვიძვრა ხელიდან, მაგრამ მაგ კუთხეში, გისოსს მიღმა ისიც დაბრძანდება, თქვე ნამუსგარეცხილებო, თქვენა. ადექით! ვის ვეუბნები, ადექით-მეთქი! დახე, დამისხდნენ აქ. იდექით და აქეთ იყურეთ. აქეთ მოიხედეთ! ვის ვუბრძანე, აქეთ მოიხედეთ-მეთქი! თქვენისთანა ნაძირალები ვაგონებქვემოდან მესროდნენ და ჩემგან დანდობას ვერ ელირსებით! ჯერ წვინტლი არ მოუხოცავთ ამ არამზადებს და შეიარაღებას იწყებენ! შემდეგ რაღას იზამენ! იცოდეთ, სიკვდილამდე თქვენი მტერი ვარ, მე კი ბრძოლა შემიძლია. სუყველა მატარებელსა და რკინიგზაზე ცოფიანი ძაღლებივით დაგიჭერთ, ვერსად დამემალებით! — ყვიროდა გააფთრებული ლეიტენანტი. — მაშ, გეკითხებით, ვინაა ეს კონკიაჟლარუნა, კორესპონდენტად რომ ასაღებს თავს. ვინაა ეს ტიპი? — ლეიტენანტმა აბდიას ხელი სტაცა და გისოსთან მიათრია. — მიპასუხეთ, ვიდრე ადამიანურად გეკითხებით. თქვენიანია?

წამიერად ყველა დუმდა. აბდია მადევრების დაძმარებულ სახეებს უყურებდა და ვერაფრით შეგუებოდა იმას, რომ გულადი ყმაწვილები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ტრამალში მატარებლებს აჩერებდნენ, კაიფობდნენ და მას გაქანებული მატარებლიდან აგდებდნენ, ახლა გალიაში ისხდნენ — ქამარი არ ეკეთათ, არც ფეხსაცმელი ეცვათ /ალბათ იმიტომ, რომ საპირფარეშოში გაყვანისას არ გაქცეულიყვნენ/ საცოდავები და არარანი იყვნენ.

— უკანასკნელად გეკითხებით, — ლეიტენანტს მღელვარებისგან სუნთქვა ეკვროდა. — ეს ტიპი, რომელიც მე დავიჭირე, თქვენიანია თუ არა?

პეტრუხამ აბდიას უხალისოდ შეხედა და ლეიტენანტს ბოროტად მიუგო ყველას მაგივრად:

— არა, ჩვენიანი არაა.

— პიოტრ, როგორ არა ვარ თქვენიანი? — განცვიფრდა აბდია და თვითნაკეთი ყავარჯნით ზედ გისოსს მიადგა. — რაო, დაგავიწყდით? — უსაყვედურა იმათ, რომელთაც გისოსი აშორებდა. — ძალიან მეცოდებით, — დაურთო ნათქვამს. — როგორ ჩავარდით?

— აქ თქვენი თანაგრძნობის გამოცხადების ადგილი არ გახლავთ, — შეაწყვეტინა ლეიტენანტმა. — ახლა თითოეულს ცალ-ცალკე დაგკითხავთ, — დაემუქრა იგი მადევრებს. — და ვინც იცრუებს — სი-

ცრუე კი სულ ერთია გაირკვევა — იმას მუხლს დაუმატებენ. აბა, თქვი შენ, — მიმართა მახაჩს.

— ჩვენიანი არაა, — მიუგო მახაჩმა და სველი ტუჩები დამანჭა.

— ახლა შენ, — ლიონკას უბრძანა ლეიტენანტმა.

— არაა ჩვენიანი, — უპასუხა ლიონკამ და მძიმედ ამოიოხრა.

— ჩვენიანი არაა, — წაიბურტყუნა წითურთმიანმა კოლიამ.

არც ერთმა არა თქვა, აბდია ჩვენიანიაო.

რა უცნაურიც უნდა იყოს, მადევრების საქციელმა აბდია კალისტრატოვს გული ატკინა. ყველამ რომ უარი თქვა მასზე მოკლედ, მოკვეცით, გადაჭრით, ამან შეურაცხყო და დაამცირა. უცებ იგრძნო, რომ სიცხემ აუწია, თავი უსკდებოდა.

— როგორ, რა პირით ამბობთ, არ ვიცნობთო? — დაბნეული, გაოგნებული კითხულობდა აბდია. — მე ხომ...

— აი, რა „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტო, — დამცინავად შეაწყვეტინა ლეიტენანტმა. — გეყოფა „მე ხომ" და „შენ ხომის" ლაპარაკი. ტვინი ნუ წაიღე. საქმე ისედაც ბევრი მაქვს. გასწი აქედან და ფეხებში ნუ მებლანდები. ნურც ამათ ეტენები. ამისთანებისთვის კანონი არსებობს, კანონი კი ულმობელია — ნარკოტიკების დამზადების, გავრცელებისა და ვაჭრობისათვის დაუყოვნებლივ ადებენ სასჯელს. ამისთანებს დიდ ლაილაის არ უბამენ. შენ კი, მეგობარო კორესპონდენტო, ჩქარა გასწი აქედან. წადი და თვალებში არ შემეჩხირო.

ჩამოდგა სიჩუმე. აბდია კალისტრატოვი ადგილზე ტოკავდა და არ მიდიოდა.

— გაიგონე, რა გითხრა ამხანაგმა ლეიტენანტმა? — ჰკითხა მილიციელმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც ქაღალდებს ავსებდა მაგიდაზე. — წადი, ვიდრე გვიან არაა. მადლობა თქვი და წადი.

— ამ კარის გასაღები გაქვთ? — მიუთითა აბდიამ რკინის კარზე ჩამოკიდებულ ბოქლომზე.

— მერე რა გინდა? მაქვს, რასაკვირველია, — მიუგო ლეიტენატმა, რომელსაც ვერ გაეგო, რა ეწადა აბდიას.

— ჰოდა, გააღეთ, — უთხრა აბდიამ.

— კიდევ რა გინდა! ერთი მითხარი, ვინა ხარ? — აღშფოთდა ლეიტენანტი. — ოხ, მე შენ!

— მინდა, გისოსს იქით ჩამსვათ. ჩემი ადგილი იქაა! — აბდიას სახე ანთებოდა, ისევე დაუფლებოდა სიბრაზე, როგორც მაშინ, ვაგონში, როცა ძვირფას ანაშას ქარს ატანდა. — მოვითხოვ, დამაპატიმროთ და გამასამართლოთ ამ უბედურებივით, რომელთაც ამდენი წინააღმდეგობითა და უთვალავი სიავით სავსე ქვეყანაზე თავ-

გზა არევიათ. მეც ამათსავით უნდა ვაგო პასუხი. მეც ხომ იმავე საქმეს ვაკეთებდი, რასაც ესენი. გააღეთ კარი და ჩამსვით! სასამართლოში დაადასტურებენ, რომ მათსავით დამნაშავე ვარ! შემდეგ ცოდვებს მოვინანიებთ და ეს დაგვეხმარება განწმენდაში...

ამ დროს მილიციელმა ქაღალდები გვერდზე გადასდო და წამოხტა.

— ეს ხომ გიჟია, ამხანაგო ლეიტენანტო. ერთი შეხედეთ. ზედვე ეტყობა, არანორმალურია.

— სრულ ჭკუაზე ვარ, — შეესიტყვა აბდია, — და ზუსტად ამათსავით უნდა დავისაჯო! რაზე მეტყობა სიგიჟე?

— მოიცა, მოიცა, — შეეყოყმანდა ლეიტენანტი. სატრანსპორტო მილიციაში მთელი თავისი მძიმე სამსახურის პერიოდში ალბათ მსგავს უცნაურობას არასოდეს გადაჰყრია: ეგ ამბავი რომ ვინმესთვის მოეყოლა, არ დაუჯერებდნენ.

ჩამოდგა სიჩუმე. უცებ ვიღაცამ დაისლუკუნა, შემდეგ აქვითინდა, ცრემლი ახრჩობდა. ეს ლიონკა იყო, სახე კედლისკენ მიებრუნებინა და ტიროდა. პეტრუხა პირზე ხელს უჭერდა და ყურში მუქარით ჩასჩურჩულებდა რაღაცას.

— აი, რა ამხანაგო, — უცებ მოლბა ლეიტენანტი. — წავიდეთ, ვილაპარაკოთ. მთელი გულისყურით მოგისმენ, ოღონდ სხვა ადგილას. გავიდეთ, ვილაპარაკოთ. წამოდი, წამოდი, გამიგონე.

ისინი კვლავ შევიდნენ ათასი ჯურის მგზავრებით გაჭედილ მოსაცდელ დარბაზში. ლეიტენანტმა აბდია თავისუფალ მერხთან მიიყვანა, დაჯექიო, შესთავაზა და თვითონაც დაჯდა.

— ძალიან გთხოვ, ამხანაგო, — მოულოდნელი ნდობით აღსავსე ხმით უთხრა აბდიას. — მუშაობაში ხელს ნუ მიშლი. ხოლო თუ რამე ისე არაა, როგორც საჭიროა, ნუ გაჯავრდები. ჩვენ ერთობ მძიმე სამუშაო გვაქვს. თვითონაც ნახე. გთხოვ, წახვიდე საითაც გინდა. თავისუფალი ხარ. ოღონდ ჩვენთან აღარასოდეს ჩამოხვიდე. გამიგე, ჰა?

და ვიდრე აბდია აზრს იკრებდა, ფიქრობდა, როგორ აეხსნა ლეიტენანტისთვის თავისი საქციელი, დაპატიმრებული მადევრების ხვედრის შესახებ თავისი მოსაზრებანი როგორ გაეზიარებინა, ლეიტენანტი ადგა, ბრბო გაარღვია და წავიდა.

უსაქმური მგზავრები კვლავ ალმაცერად ათვალიერებდნენ აბდიას: ძალიან გამოირჩეოდა იგი ამ ჭრელ ბრბოში. ნაცემი, სახედალილავებული, ტანსაცმელდაგლეჯილი, ყავარჯნის მაგივრად იღლიაში ფიცარამოდებული ხალხს ერთდროულად ცნობისმოყვარეობასაც აღუძრავდა და ზიზღსაც. თანაც აქ ხომ ეს-ესაა მილიციელმა მოიყვანა.

აბდია კი სულ უფრო ცუდად ხდებოდა... სიცხემ მოუმატა, თავი აუტანლად ასტკივდა. წინა დღის ამბებს, ღამის თავსხმას, გასიებულ ფეხს, მის ნებას რომ არ ემორჩილებოდა, და ბოლოს მოულოდნელ შეხვედრას მადევრებთან, რომელთაც ახლა დანაშაულისთვის საშინელი მისაგებელი ელოდათ, — მისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. აბდიას შეაცივა, ჯერ კანკალი აუვარდა, შემდეგ ისევ სიცხემ აუწია. მოკუნტული იჯდა მერხზე, თავი მხრებში ჩაერგო, ძალა არ შესწევდა ზეზე წამომდგარიყო. ნავსი ყავარჯენი მის ფეხებთან ეგდო.

აბდიას მიმკვდარებულ თვალთა წინ ყველაფერი ისე გაცურდა, როგორც ნისლში. ადამიანთა სახეები და სხეულები მქრქალდებოდნენ, ჰკარგავდნენ მკაფიო მოხაზულობას, იწელებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ, ერთმანეთზე ეწყობოდნენ. აბდიას გონება ებინდებოდა, აზრები ერეოდა, სუნთქვა უჭირდა. ხალხით გაჭედილ დახუთულ, ალხიან დარბაზში შემთხვევით ადამიანებს შორის იჯდა და ამქვეყნად არ იყო. „ვაი, რა ცუდად ვარ, — ფიქრობდა იგი. — მაინც რა უცნაურნი არიან ადამიანები. არავინ არავის არ სჭირდება. რა სიცარიელეა ირგვლივ, რა შორიშორსა ვართ ერთმანეთისგან“. აბდია ელოდა, რომ ჩქარა გამოკეთდებოდა, ჩქარა ისევ ის ძველი აბდია იქნებოდა და შეეცდებოდა, რაღაცით დახმარებოდა იმათ, ვისაც პატიმრობა ემუქრებოდა. ხოლო გუშინ რომ გაქანებული მატარებლიდან აგდებდნენ და იმედოვნებდნენ, ისე დაიმტვრევა, სულს გააცხებსო, ამას არად აგდებდა. ამ დამნაშავეების, არამზადების გონებაჩლუნგი მკვლელების მიმართ სიძულვილი, შურისძიების სურვილი უნდა აღძვროდა და არა თანაგრძნობა, მაგრამ იდეალისტ აბდია კალისტრატოვს ცხოვრების გაკვეთილების შეთვისება არ სურდა და აქ ვერავითარი ლოცვა ვერ უშველიდა. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ანაშის მომპოვებელთა დამარცხება მისი დამარცხებაც იყო, სიკეთის მომცველი ალტრუისტული იდეის დამარცხება იყო. აბდიას ძალა არ აღმოაჩნდა ანაშის მომპოვებლებზე გავლენა მოეხდინა და მათთვის საშინელი ხვედრი აერიდებინა. ამასთანავე არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, ამ ყოვლისმიტევების გამო რარიგ ჰქონდა გული დაკოდილი, ამ ყოვლისმიტევებას რა საბედისწერო შედეგები მოჰყვებოდა...

და მაინც ქვეყნად კეთილი ადამიანებიც არსებობენ. ასეთი ადამიანები ვაგზალში იმ შემთხვევით მგზავრებს შორისაც აღმოჩნდნენ. აბდიას წინ მერხზე ვიღაც ხანში შესული, ჭაღარა, თავსაფრიანი ქალი იჯდა. გვერდით ბარგი ეწყო. ეტყობა, მიხვდა, რომ კაცი ცუდად იყო და დახმარება სჭირდებოდა.

— მოქალაქევ, — დაიწყო და იმავ წუთს ნამდვილ დედასავით ჰკითხა: — შვილო, ცუდადა ხარ? ავად ხომ არ გახდი?

— მგონი, მაგრამ ნუ წუხდებით, — გაღიმება სცადა აბდიამ.

— როგორ თუ ნუ ვწუხდები. ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა დაგმართნია, საიდანმე ხომ არ გადმოვარდი? სიცხე კი დიდი გაქვს, — თქვა ქალმა, როცა შუბლზე ხელი შეახო. — თვალებიც მთლად დაგფიფინებია. იცი რა, შვილო, ფეხი არსად გაადგა, მე წავალ და გავიგებ, აქ ექიმები არიან თუ არა, იქნებ რომელიმე საავადმყოფოში გაგგზავნონ. შენი ასე დატოვება არ შეიძლება...

— ოჰ, ნუ სწუხდებით, რა საჭიროა, — ეუბნებოდა აბდია მიკნავებული ხმით.

— არა, არა. შენ აქ ცოტა ხნით დამიცადე. თვალის დახამხამებაში მოვბრუნდები...

გულჩვილმა ქალმა იქვე მჯდომ პატარა ბავშვებიან ქალს სთხოვა, ბარგს მიმიხედეო, და სადღაც წავიდა.

ქალი რამდენ ხანს არ დაბრუნებულა, აბდიას არ ახსოვდა. იგი უარესად შეიქნა და მიხვდა, რა სჭირდა: ისე სტკიოდა ყელი, ნერწყვის გადაყლაპვაც კი უჭირდა. „ალბათ ანგინა მაქვს", — გაივლო გულში. სულ გამოეცალა ძალ-ღონე და უნდოდა იქვე დაწოლილიყო, პირდაპირ იატაკზე გაშხლართულიყო — მგზავრებს თუნდაც ფეხი დაებიჯებინათ, არ დაეძებდა, — და ბურანში წასულიყო, ბურანში წასულიყო, ბურანში წასულიყო...

აბდია უკვე დაძინებას აპირებდა, მაგრამ მოსაცდელ დარბაზში უცებ გვერდით ხალხი შეინძრა, აგუგუნდა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ მილიციის ოთახიდან მადევრები გამოჰყავდათ. მადევრებს ყოველი მხრიდან შემორტყმოდა მილიციელთა რაზმი. წინ გულფიცხი ლეიტენანტი მოაბიჯებდა და ხალხი გზას უთმობდა. მის უკან ბადრაგის თანხლებით, ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდნენ მადევრები — პეტრუხა, მახაჩი, კოლია, ორი დივერსი და სხვები, სულ ათი კაცი, რომლებიც ვაგზლიდან მიჰყავდათ.

აბდიამ თავს ძალა დაატანა, ძლივს აიღო ყავარჯენი და მადევრებს მიჰყვა. ეჩვენებოდა, თითქოს ძალიან სწრაფად მიდიოდა, მაგრამ მაინც ვერ დაეწია მათ. თავშეყრილი უსაქმურებიც ხელს უშლიდნენ, მადევრებისკენ გაეღწია. ის კი დაინახა, რომ ვაგზლის კართან დახურული მანქანა იდგა, რომელსაც უკან გისოსიანი კარი ჰქონდა. ორი მილიციელი მადევრებს აქედან-იქიდან იღლიებში ავლებდა ხელს და მანქანაში აგდებდა.

შემდეგ მანქანაში ბადრაგიც ჩასხდა, კარი დაიხურა. კაბინაში მძღოლის გვერდით კი ლეიტენანტი დაჯდა და მანქანა ვაგზლის მოედნიდან გაქანდა. ბრბო ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდა.

— ყაჩაღები დაიჭირეს. მთელი ბანდა.

— ნამდვილად ისინი არიან, ხალხს ბინებში რომ უხტებოდნენ და

ხოცავდნენ.

— ოჰ, რა საშინელებაა!

— ყაჩაღები კი არა, მაწანწალები არიან.

— მაწანწალებიო? ახლანდელი მაწანწალები კაცს ისე მოკლავენ, თვალს არ დაახამხამებენ.

— არა, ჩემო კეთილნო, ესენი ანაშას მომპოვებლები არიან. აი, ისინი, ანაშა რომ გააქვთ აქედან. რომ იცოდეთ, რამდენს იჭერენ საბარგო მატარებლებზე...

— რამდენიც უნდა დაიჭირო, მაინც მოძვრებიან.

— რა უბედურებაა ეს...

ასე დამთავრდა მადევრების მწარე ეპოპეა და აბდია სულში აუხსნელ სიცარიელეს გრძნობდა.

აბდია ვერ ისაზრებდა, სად იჯდა წეღან. დარბაზში ალალბედზე წაჩლახუნდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს. სწორედ ამ დროს ის ჭაღარა ქალი შემოხვდა.

— აგერ ისიც! — უთხრა ქალმა თეთრხალათიან მედდას. — სად წახვედი, შვილო, ჩვენ ხომ შენ დაგეძებდით. აი, მედდაც მოვიდა. ალბათ სიცხე გაქვს. ამათ ძალიან ეშინიათ, გადამდები სენი არ სჭირდესო.

— არა მგონია, — მიკნავებული ხმით მიუგო აბდიამ.

მედდამ შუბლი გაუსინჯა.

— დიდი სიცხე გქონია, — უთხრა მან. — კუჭი ხომ არ გაქვს აშლილი? ჩირქოვანი ფაღარათი ხომ არ გაქვს? — დააზუსტა მედდამ.

— არა.

— სულ ერთია. სამედიცინო პუნქტში უნდა წავიდეთ. იქ კიდევ ექიმი გაგსინჯავს.

— კი, ბატონო.

— შენი ბარგი სადღაა?

— ბარგი არა მაქვს...

IV

აბდია კალისტრატოვი ჟალპაკ-საზის სადგურის საავადმყოფოში დააწვინეს. აქ ექიმმა ალია ისმაილოვნამ, ოდნავ პირქუშმა ყაზახმა ქალმა გასინჯა და მკაცრად უთხრა:

— თქვენი მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ფეხის ტრავმა სპეციალისტმა უნდა ნახოს, მანამდე ანტიბიოტიკებით გიმკურნალებთ, რომ სხეული არ მოგეწამლოთ. თქვენ კი ყველაფერი უნდა მომიყვეთ, რაც გადაგხდათ. ამას როგორც ექიმი, ისე გეუბნებით და არა ცნობისმოყვარეობის გამო...

უამრავ შესაძლო შეხვედრასა და განშორებას შორის ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ ხდება ის, რასაც ნამდვილად ღმერთის მიერ ზეგარდმომოვლენილ შეხვედრას უწოდებ. მაგრამ თუ რა დიდია საშიშროება, რომ მსგავს შეხვედრას შესაძლოა არაფერი მოჰყვეს, ამას ადამიანი მხოლოდ შემდეგ სწვდება და მაშინ წამიერად შესძრავს ფიქრი: ვაითუ ის შეხვედრა ამაო გამომდგარიყოო... შეხვედრის შედეგი ხომ უკვე ადამიანებზეა დამოკიდებული და არა ღმერთზე.

რაღაც ამდაგვარი რამ შეემთხვა აბდია კალისტრატოვსაც. მესამე დღეს, საღამოს მასთან საავადმყოფოში მივიდა, ის, ვისზეც მხოლოდ ოცნება შეეძლო, ვინაიდან არ იცოდა, ვინ იყო იგი, ხოლო ოცნება ხომ ყველაფერზე შეიძლება ამქვეყნად.

დღისით, ნემსებისა და აბების შემდეგ, აბდიას სიცხემ დაუწია, საღამოს კი ოცდაჩვიდმეტ გრადუსსა და სამ ხაზზე მაღლა არ ასვლია. ოღონდ ფეხის სიმსივნე ჯერ კიდევ არ დასცხრომოდა, მარჯვენა მხარეს ერთი ნეკნიც გადატეხილი აღმოაჩნდა — რენტგენმა ბზარი აჩვენა. ხოლო საერთოდ უკეთესობა ეტყობოდა, დასაჩივლებელი არაფერი ჰქონდა. ექიმი ალია ისმაილოვნა მკურნალი აღმოჩნდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი არა მარტო ცოდნით, მთელი თავისი იერ-სახით კურნავდა პაციენტს. ყველაფერი, რასაც უნიშნავდა, და თვით მისი ლაპარაკიც ავადმყოფს სიმშვიდეს, რწმენას უნერგავდა, ავადმყოფობასთან ბრძოლაში ეხმარებოდა. ალია ისმაილოვნას ფსიქოთერაპია თავშეკავებული, გონივრული იყო და აბდიამ მთელი თავისი მოულოდნელი ცხოვრებისეული გართულებებისა და თავზარის შემდეგ განსაკუთრებულად მძაფრად იგრძნო, ზოგჯერ რა აუცილებელია ადამიანისთვის სხვათა ზრუნვა და ყურადღება. გულახდილად რომ ვთქვათ, გაუხარდა კიდევაც, რომ ავად გახდა და კარგ ექიმთან მოხვდა — ისე მშვიდად და დიდებულად გრძნობდა თავს პატარა ბაღში ჩადგმულ უბრალო საავადმყოფოში.

პალატის თეთრფარდებიანი ფანჯარა ხეივანს გადაჰყურებდა, იგი ოდნავ იყო გამოღებული. სიცხე ჯერ ისევ იდგა. იმავე პალატაში მწოლი ორი კაცი გარეთ გავიდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და პაპიროსის მოსაწევად, აბდია კი მარტოდმარტო იწვა და სიცხეს წამდაუწუმიზომავდა, ძალიან უნდოდა, ისევ არ ასწეოდა. ფანჯარასთან ჩაიკაკუნეს ფეხსაცმლის წვრილმა ქუსლებმა და ვიღაც ქალმა მორიგე მედდას აბდიას ამბავი ჰკითხა. მალე მედდამ პალატის კარი შემოაღო.

— აგერ წევს.

— გამარჯობათ, — თქვა მოსულმა. — თქვენა ხართ კალისტრატოვი?

— მე ვარ, — მიუგო აბდიამ. იგი თვალებს არ უჯერებდა. ეს ის ქალიშვილი იყო, რომელიც მაშინ უჩქუდუქში ჩამოვიდა, და რომლის ხატება სულ გონებაში უტრიალებდა. აბდია ისე დაიბნა, თითქმის არ უსმენდა ქალიშვილს, მისი სიტყვების აზრს მხოლოდ იმიტომ ხვდებოდა, რომ დიდი ხანია მზად იყო უმალ ჩასწვდომოდა მის ნათქვამს. ქალიშვილს თურმე ინგა ფიოდოროვნა ერქვა. საავადმყოფოს იმიტომ ეწვია, რომ ალია ისმაილოვნამ, რომელთანაც აგერ უკვე სამი წელია მეგობრობდა — იმ დროიდან, როცა აქ სამეცნიერო მუშაობისთვის ჩამოვიდა, — ახალი ავადმყოფის შესახებ უამბო და ძალიან დაინტერესდა: ისინი ხომ, ესე იგი აბდია და ის, ინგა ფიოდოროვნა, ანაშასთან დაკავშირებულ ერთსა და იმავე, რაღაცით ერთმანეთის მსგავს საკითხებზე მუშაობდნენ. რაკი ინგა ფიოდოროვნა მუინყუმის პოპულაციას სწავლობდა /ეს რომ თქვა, ტრამალის სწორედ იმ კანაფ-ანაშის რთული ლათინური სახელწოდებაც ახსენა/, ამიტომ მოვიდა საავადმყოფოში აბდიას გასაცნობად და იმის გასაგებად, რაიმე ინფორმაცია ხომ არ სჭირდებოდა... აკი ჟურნალისტს, როგორც ინგა ფიოდოროვნას გაეგებოდა, მეცნიერული ცნობებიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა.

ოჰ, ღმერთო, რა თავში იხლიდა აბდია მეცნიერულ ინფორმაციას, როცა ინგა ფიოდოროვნას უეცარი გამოჩენით დარეტიანებული რაღაც სასწაულებრივად ხვდებოდა, რაზე ელაპარაკებოდნენ. მხოლოდ ქალიშვილის თვალებს ხედავდა და იმ წამს ეჩვენებოდა, თითქოს მისნაირი თვალები დედამიწის ზურგზე არავის ჰქონდა. ასტრონომი მილიონობით მსგავს ვარსკვლავებს შორის ასე აღმოაჩენს ხოლმე უცნობ ვარსკვლავს, უცოდინარი კაცისთვის კი, ხომ ყველა ვარსკვლავი აბსოლუტურად ერთნაირია. აბდიას ინგა ფიოდოროვნას ერთ შემოხედვაზევე თითქოს სული აუფოფინდა...

ეს ყველაფერი აბდიამ შემდეგ აღიდგინა გონებაში, როცა მარტო დარჩა და ცოტათი დამშვიდდა, იმ პირველ წუთებში კი ნამდვილი იდიოტივით გამოიყურებოდა, თუმცა ინგა ფიოდოროვნას ეს დიდი სიცხისთვის შეეძლო დაებრალებინა. აკი მხოლოდ იდიოტს შეუძლია უცბად წამოროშოს: „საიდან გაიგეთ, რომ მე სულ თქვენზე ვფიქრობდი?“ ქალიშვილმა ამის გაგონებაზე გაკვირვებით ასწია წარბები, რის გამოც უფრო ლამაზი გამოჩნდა, და იდუმალად გაიღიმა. ეს თავისი სიმარტივით ბრიყვული წინადადება რომ ქალიშვილს ბანალობად ან უხამსობად მიეჩნია, ო, როგორ ეწამებოდა შემდეგ აბდია, როგორ შეაჩვენებდა საკუთარ თავს. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ქალიშვილმა თავდაჭერილობა გამოიჩინა და აბდიას სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა. შემდეგ ორივე სიამოვნებით იგონებდა, როგორ ჩამოვიდა უჩქუდუქში ინგა ფიოდოროვნა,

იქ როგორ ნახეს პირველად ერთმანეთი და გემოზე იცინეს იმ წამიერ, მაგრამ ორივესთვის სამახსოვრო შემთხვევაზე. ინგა ფიოდოროვნა კიდევ უფრო გაართო იმ ამბავმა, თუ ერთი დღის შემდეგ აბდია და ორი გამოქექილი მადევარი — პეტრუხა და ლიონკა — ტრამალის თავზე შვეულმფრენის გამოჩენისას როგორ ჩაიმალნენ ბალახში. გამოირკვა, რომ ინგა ფიოდოროვნა იმ შვეულმფრენში იყო ტაშკენტის მცირე სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად: ტაშკენტის ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი თურმე კანაფ-ანაშას გავრცელების ადგილებში მისი ქიმიურ-ბიოლოგიური განადგურების გზებს სწავლობდა. ახლა აბდიასთვის ნათელი გახდა, რომ ამ ბოროტებასთან ბრძოლა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა; ეს გახლდათ ნარკომანიის აღმოფხვრა და ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოსპობა, მაგრამ პრობლემის გადაჭრა ჩვეულებისამებრ არც ისე ადვილი იყო. კერძოდ, ინგა ფიოდოროვნას ნათქვამის მიხედვით სავსებით შესაძლებელი ჩანდა ისეთი ქიმიური ნივთიერების პოვნა, რომელიც კანაფს გაანადგურებდა არა მარტო ვეგეტაციის ფაზაში, არამედ როგორც სახეობას, ოღონდ ამ მეთოდს თავისთავად კიდევ უფრო მეტი ბოროტება ახლდა — იგი ნიადაგს შლიდა: მიწა სულ ცოტა ორასი წლით უვარგისი ხდებოდა. ნარკომანიასთან ბრძოლის გამო მიწის დაღუპვა იმას ჰგავდა, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო. ინგა ფიოდოროვნას ამოცანა სწორედ ამ რთული ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ საშუალებათა გამოკვლევა გახლდათ. ოჰ, ღმერთო, გაიფიქრა აბდიამ, ბუნებას რომ აზროვნების უნარი ჰქონოდა, დანაშაულის რა მძიმე ტვირთად დააწვებოდა მას ეს შემზარავი ურთიერთკავშირი ველურ ფლორასა და ადამიანის ზნეობრივ დეგრადაციას შორის.

* * *

როცა აბდია კალისტრატოვი ინგა ფიოდოროვნასადმი თავის დამოკიდებულებას „თავისი ბედ-იღბლის ახალ ეპოქას“ უწოდებდა, სულაც არ აზვიადებდა რომანტიკულად. პრიოკსში დაბრუნების ზუსტად მეორე დღეს ქალიშვილს დიდი წერილი მისწერა, თუმცა თითქმის რკინიგზის ყოველი სადგურიდან, სადაც კი მატარებელი ხუთ წუთზე მეტ ხანს ჩერდებოდა, ღია ბარათს უგზავნიდა. დაძაბულ გრძნობებში, გატაცებაში, რასაც აბდია ინგა ფიოდოროვნას მიმართ თავისი ცხოვრების გზაზე მასთან შეხვედრის დღიდან განიცდიდა, რაღაც ისეთი დაუცხრომლობა გამოსჭვივოდა, ჩვეულებრივ ტრფიალებას ვერ დაარქმევდი.

აბდია ქალიშვილს წერდა: „ყოვლად გაუგებარია, რა მჭირს!

მე ხომ ვფიქრობდი, საკმაოდ თავშეკავებული კაცი ვარ, ჩემს გონებასა და ემოციებს შორის აუცილებელი წონასწორობა არსებობს-მეთქი. ახლა კი ძალა არ შემწევს საკუთარი თავის გაანალიზებისა, თუმცაღა ჩემდა გასაკვირად არც არაფრის გაანალიზება არა მსურს. მთელი არსებით ტყვე ვარ გაუგონარი ბედნიერებისა, რომელიც მთიდან მომსკდარი ზვავივით დამატყდა თავს; ერთ დოკუმენტურ ფილმში ვნახე, თეთრი თოვლის შვავი როგორ ჰგვის ყველაფერს თავის გზაზე, და ბედნიერი ვარ, რომ ეს შვავი მე ჩამომაწვა. ამქვეყნად არ არსებობდა და არც არსებობს სხვა ჩემებრ ბედნიერი ადამიანი, მხოლოდ მე გამიღიმა ბედმა აგრერიგად და მე, დაირით მოცეკვავე ფანატიკოსი ველურივით მადლობას ვწირავ ბედს ყველა განსაცდელისთვის, რომელნიც წლევანდელ ზაფხულს მარგუნა წილად: სწორედ მან გამაგებინა ის, რაც მხოლოდ ცხოვრების ორომტრიალში შეიძლება გაიგო, და სიცოცხლე შემინარჩუნა. მე ვიტყოდი, რომ ერთი ადამიანისთვის სიყვარული სულის ნამდვილი რევოლუციაა! და თუ ასეა გაუმარჯოს სულის რევოლუციას! გამანადგურებელსა და განმაახლებელს ერთსა და იმავე დროს!

მაპატიე, ინგა, ეს აბდაუბდა, მაგრამ მიყვარხარ, არც ძალა შემწევს, არც სიტყვები მომდევს იმის გამოსახატავად, რა ხარ შენ ჩემთვის...

ახლა ნება მომეცი, სული მოვითქვა. უკვე ვიყავი რედაქციაში. მოკლედ მოვყევი, რაც გადამხდა. მაჩქარებენ, ნარკვევი დაწერეო, ელოდებიან ჩემს ნარკვევს. შესაძლოა ამ საჭირბოროტო საკითხზე ნარკვევების სერიაც გამომივიდეს. და თუ მოლოდინი გამიმართლდა, იმედი მექნება, გაზეთში მუდმივი სამუშაო გავიჩინო. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე ლაპარაკი ადრეა. მთავარი ისაა, რომ ხვალვე ვაპირებ სამუშაოს ჩავუჯდე. მე ხომ განზრახ არ ვიწერდი არაფერს. იძულებული ვიქნები ყოველივე თანამიმდევრობით აღვიდგინო მეხსიერებაში.

რაც უნდა იყოს, არ მასვენებს ბედი მადევრებისა, რომელთაც — ეს სავსებით კანონზომიერია — სამართლიანი და მკაცრი სამსჯავრო ელოდებათ ნარკოტიკების გავრცელებისათვის. არ მასვენებს, ვინაიდან ისინი ჩემთვის ცოცხალი ადამიანები არიან თავიანთი მწარე, დამსხვრეული ბედით. განსაკუთრებით ლიონკა მეცოდება. იღუპება ბიჭი. და აი, აქ ჩნდება ის ზნეობრივი პრობლემა, რაზეც ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით, ინგა. შენ სავსებით მართალი ხარ, რომ ადამიანის ნებისმიერი ბოროტმოქმედება, ნებისმიერი დანაშაული დედამიწის ნებისმიერ წერტილში ყველა ჩვენგანს ეხება, თუნდაც ძალიან შორს ვიმყოფებოდეთ, არც რაიმეს ბაიბურში ვიყოთ და არც გვინდოდეს,

რაიმე ვიცოდეთ. რა დასამალია და ხანდახან ვქირქილებთ კიდევაც: ერთი შეხედეთ, სადამდე დავიდნენ ესენიო, ესე იგი ადამიანები, რომელთაც ჩვეულებისამებრ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ვუწოდებთ. მაგრამ გაზეთები სწორად იქცევიან, როცა საზღვარგარეთ მომხდარ დანაშაულობათა შესახებ წერენ. ამას ღრმა აზრი აქვს, ვინაიდან ქვეყნად არსებობს რაღაც საერთო ბალანსი ადამიანთა გასაჭირისა. ადამიანები ერთადერთი მოაზროვნე არსებები არიან სამყაროში და ეს თვისება — გვინდა თუ არ გვინდა — უწინარეს ყოვლისა თიშავს მათ. ჩვენც დავდგებით ამ აზრზე ჩვენი ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად და ეგ იხსნის გონებას დედამიწაზე.

რარიგ მიხარია, ინგა, რომ შემიძლია მოგწერო იმაზე, რაც განსაკუთრებულად მაღელვებს, რადგან მჯერა — გულში სათანადოდ გამომეხმაურები.

ვშიშობ, თავი არ შეგაწყინო გაუთავებელი წერილებით — სულ მინდა ვწერო და ვწერო მიყოლებით, განუწყვეტლივ, და თუ არ ვწერე, მოთმინების ძაფი გამიწყდება. მე სულ შენს გვერდით უნდა ვიყო, თუნდაც ფიქრებით. ო, როგორ მწადია, კვლავ აღმოვჩნდე მუინყუმის ტრამალებში, კვლავ პირველად გნახო სწორედ იმ მოტოციკლზე, რომლითაც გამოჩნდი უჩქუდუქში და უმალ მომაჯადოვე მე, ახალი საეკლესიო აზრების ქომაგი. მრცხვენია გამოვტყდე, მაგრამ ისე გამაოცა მაშინ შენმა გამოჩენამ, ახლაც არ მშორდება კრძალულებისა და აღფრთოვანების გრძნობა. შენ ციდან დაეშვი, როგორც თანამედროული სახის ქალღმერთი...

ახლა, როცა ეს გამახსენდა, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ვერ შევძელი მადევრებთან საქმის დაჭერისას ისე გამეკეთებინა, ადამიანთა ტანჯვის ბალანსს დაკლებოდა თუნდაც იოტისოდენა წილი ბოროტებისა და სიკეთის წილი მომატებოდა. იმედი მქონდა, რომ ღმერთის შეეშინდებოდათ, მაგრამ ფული მათთვის ყველაფერზე მაღლა აღმოჩნდა. და აი, ახლა მაწამებს ფიქრი, როგორ დავეხმარო თუნდაც იმ მადევრებს, რომლებსაც ღმერთმა გადამყარა და რომლებთან ურთიერთობის რაღაც გამოცდილება მქონდა. მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა მონანიება. აი, რის გზა მინდოდა მეჩვენებინა მათთვის. მონანიება — ერთ-ერთი დიდი მიღწევა ადამიანის სულის ისტორიაში — ჩვენს დროში სახელგატეხილია. იგი, შეიძლება ითქვას, სავსებით გამოეთიშა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ სამყაროს. მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს მონანიების გარეშე, იმ ძვრებისა და გონების განათების გარეშე, რომელთაც განაპირობებს დანაშაულის შეგნება, გამოხატული მოქმედებაში, ზრახვებში, თვითგვემასა და თვითგანსჯაში?..: გზა ჭეშმარიტებისკენ ყოველდღიური გზაა სრულყოფილებისკენ...

ოჰ, ღმერთო! ისევ არ ვიშლი ჩემსას! მაპატიე! ინგა. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გრძნობებითა ვარ აღსავსე, იმის ბრალია, რომ ნიადაგ შენზე ვფიქრობ. ნიადაგ მეჩვენება, თითქოს იმის მეათასედიც ვერ გითხარი, რისი თქმაც მინდოდა...

რარიგ მინდა უფრო ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა გიხილო კვლავ — ჩვენ ხომ მთელი ერთი კვირაა შორიშორსა ვართ...

და ეს მოძალებული ნაღველი ერთადერთი რამაა, რაც კი მაღელვებს. დანარჩენმა ცხოვრებისეულმა პრობლემებმა უცებ დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა და სულაც არ მეჩვენება მნიშვნელოვანნი..."

* * *

ივლისი ილეოდა და დადგა დღე, როცა გაზეთის რედაქციიდან გულდამძიმებული გამოვედი. ერთობ დამწუხრებული ვიყავი, ვინაიდან რედაქტორმა ჩემი ტრამალის ნარკვევების მიმართ უეცრად დამოკიდებულება შეიცვალა. რედაქციაში მომუშავე ამხანაგებიც, რომლებიც ადრე შთამაგონებდნენ, შემტევი მასალის მოსაძიებლად წავსულიყავი, უცნაურად იქცეოდნენ, თითქოს ჩემ წინაშე რაღაც დანაშაული მიუძღოდათ.

მე კი ეს ძალიან მტკენდა გულს. როცა ვგრძნობ ხოლმე, რომ ადამიანები ჩემ წინაშე რაღაც დანაშაულს განიცდიან, ეს ისე მაწამებს, მინდა, რაც შეიძლება სწრაფად განვუქარვო სინდისის ქენჯნა და ჩემს დანახვაზე არაფერი აცბუნებდეთ, ვინაიდან ამ დროს თვითონ ვგრძნობ თავს დამნაშავედ მათი დანაშაულის გამო...

რედაქციიდან მომავალმა თავს სიტყვა მივეცი, იქ აღარასოდეს დამედგა ფეხი და აღარავის მოვხვედროდი თვალში — დაე, თვითონ მიმიწვიონ, როცა მათ დავჭირდები, ხოლო თუ არ დავჭირდები, რა გაეწყობა, მეცოდინება, რომ არაფერი გამოვიდა და არც არაფრის იმედი უნდა მექნეს-მეთქი.

რუსული ზაფხულის ამ ყველაზე მშვენიერ დროს ბულვარს მივუყვებოდი და არა მახარებდა რა. რამდენი ძალა გადავაგე, რა გულმოდგინება გამოვიჩინე, რომ ტრამალის ნარკვევები დამეწერა, რომ მათში ჩემი მოქალაქეობრივი ტკივილი გადმომეცა. ნარკვევებს ვწერდი, როგორც გამოცხადებას და აღსარებას, მაგრამ გაჩნდა რაღაც მოსაზრებანი ქვეყნის პრესტიჟზე /წარმოგიდგენიათ, ჩვენს თავსაც კი რისი გულისთვის ვუმალავთ ყოველივეს?/, რომლებიც ამდენი ვაი-ვაგლახით მონაგრებულ ნარკვევებს დასამარებას უქადდნენ. ენით ვერ ვიტყვი, რა საწყენად დამირჩა ეს. რაც მთავარია, რედაქტორმა ამგვარი რამის თქმა იკადრა:

— თუმცა უნდა მოვიფიქროთ, იქნებ ღირდეს ეს ყველაფერი მოხსენებითი ბარათის სახით წარვადგინოთ ზემდგომ ინსტანციაში შესაბამისი ზომების მისაღებად.

დიახ, ზუსტად ასე თქვა.

მე კი ვერ მოვითმინე და შევესიტყვე:

— როდემდე ვარწმუნოთ თავი, რომ ჩვენში კატასტროფებიც კი ყველაზე უკეთესია.

— რა შუაშია კატასტროფები? — მოიღუშა რედაქტორი.

— იმ შუაშია, რომ ნარკომანია სოციალური კატასტროფაა.

ეს ვუთხარი და წამოვედი. ერთადერთი რამ, რაც შვებას მგვრიდა, ინგას წერილები იყო, რომელთაც ნიადაგ ვკითხულობდი, როგორც კი მის გახსენებაზე გული ამიკვნესდებოდა. არის, ამქვეყნად უთუოდ არის ტელეპათია, თორემ რით აიხსნება, რომ ინგას წერილები წინასწარ ჭვრეტდნენ იმას, რაზეც თავად ვფიქრობდი, რაზეც გული მტკიოდა, რაც ყველაზე მეტად მაღელვებდა და არ მასვენებდა. ეს წერილები სულ უფრო მინერგავდნენ იმედსა და რწმენას: არა, ბედმა არ გამაცურა და, მით უმეტეს, არ დამცინა, თანამედროვე ქალიშვილებს ხომ სულაც არ მოსწონთ ისეთნი, როგორიც მე ვარ — უიღბლო სემინარიელები, რომელთაც ზნეობრივ ფასეულობებზე მოძველებული საეკლესიო შეხედულებანი აქვთ, ხომ ძალიან წავაგებდი სუპერმენი ყმაწვილკაცების ფონზე. ინგას წერილებში კი იმდენ ნდობას, არ მეშინია ვთქვა, პატივისცემას და, რაც მთავარია, სავსებით ნათელ საპასუხო გრძნობას ვამჩნევდი, ფრთები მესხმებოდა და საკუთარ თვალში ვმაღლდებოდი. რა ბედნიერებაა, რომ შემხვდა სწორედ ის, ჩემი ინგა! და, მართლაც, იქნებ ეს ერთმანეთისაკენ ურთიერთლტოლვაა სიყვარულის ჯადოქრობა...

ჩვენ ჯერჯერობით არავითარი ცხოვრებისეული პრობლემები არ გვეხებოდა და მით უფრო მახარებდა, რომ ისინი არსებობდნენ, რომ საჭირო იყო მათი გადაჭრა. აუცილებლად უნდა მეშოვა საშუშაო, რომელიც მუდმივ ჯამაგირს გამიჩენდა. ჯერჯერობით მამისეული ძველი წიგნების გაყიდვით ვირჩენდი თავს, რის გამოც ძალიან მტკიოდა გული. ვფიქრობდი, აზიაში ინგასთან წავსულიყავი, დავმკვიდრებულიყავი იქ, სამსახური დამეწყო და მის გვერდით ვყოფილიყავი, თუნდაც დამხმარე მუშად მოვწყობილიყავი ინგას ექსპედიციაში და ყველაფერი გამეკეთებინა, რომ მას წარმატებით ემუშავა თავის გამოკვლევებზე. ეს გამოკვლევები ხომ ჩემთვის ამიერიდან საკმაოდ საყურადღებო გახლდათ, მოიცავდნენ ორთავეს საერთო ინტერესებს: მე ვცდილობდი, ნარკომანია ზნეობრივი ძალისხმევით აღმომეფხვრა. ინგა ამ ამოცანის გადაჭრას სხვა მხრივ — მეცნიერული გზით ცდილობდა და ძალიან მინადირებდა გულს თავისი

ენთუზიაზმით: ვერ იტყოდი, რომ მისი სამუშაო მოდურ, განსაკუთრებულად პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა, ან უეჭველად სწრაფ სამსახურებრივ კარიერას ჰპირდებოდა. მკაცრად თუ ვიტყვით, ინგა ლამის ერთადერთი ადამიანი გახლდათ, რომელიც სერიოზულად სწავლობდა ველური კანაფ-ანაშის მოსპობის საკითხს, როგორც მეცნიერულ პრობლემას. მე მგონი, ინგას მუშაობის მიმართულების არჩევანში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ იგი ადგილობრივი მცხოვრები — ჯამბულის მკვიდრი — იყო და ესწავლა ტაშკენტში. ყველაფერს ამას, ერთად აღებულს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მისი ინტერესების განსაზღვრაზე არ ემოქმედნა.

ინგას თავის ცხოვრებისეული სირთულეებიც ჰქონდა. ის და მისი ყოფილი ქმარი, სამხედრო მფრინავი, თითქმის სამი წელია უკვე ერთად არ ცხოვრობდნენ. მაშინ გაშორდნენ, როცა ვაჟი გაუჩნდათ. მფრინავი ახლა თითქოს სხვა ქალის შერთვას აპირებდა. ამიტომაც ისინი უკანასკნელად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო მათი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, შვილისადმი. იგორი ჯამბულში იმყოფებოდა ბებიასა და ბაბუასთან, ექიმის ოჯახში, ინგას კი სულით და გულით უნდოდა ბიჭს მუდმივად მასთან ეცხოვრა. ჰოდა, როცა წერილში მომწერა, ვფიქრობ, შემოდგომაზე შვილი თან წამოვიყვანო ჟალპაკ-საზშიო, — აქ ადგილს შეპირებოდნენ რკინიგზელთა საბავშვო ბაღში, — ერთობ გამახარა მისმა ამბავმა და ვუპასუხე, შეგიძლია ყველაფერში ჩემი სრული იმედი გქონდეს-მეთქი.

ეგ იყო და მომწერა, ძალიან მინდოდა, შემოდგომაზე, ჩემი შვებულების დროს შენთან ერთად ჯამბულში წავსულიყავით, ბიჭი და ჩემი მშობლები მოგვენახულებინაო. განა საჭიროა ვთქვა, როგორ ამიჩუყდა გული ერთად მგზავრობის მისეულმა გეგმამ? მეც ვუპასუხე — მზად ვარ ნებისმიერ დროს ჩამოვიდე და შენს განკარგულებაში ვიყო, საერთოდაც ვისურვებდი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩვენს საერთო და, უპირველეს ყოვლისა, შენს ინტერესებს მოვმსახურებოდი, ჩემი ბედნიერება ისაა, შენ გამოგადგე და შენთვის საჭირო ვიყო-მეთქი.

ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, შემოდგომაზე უნდა გადაგვეწყვიტა ჩვენი ბედი. ამ ამბავს მოეცვა ჩემი არსება და ძალიან, ძალიან ვღელავდი, როცა ვფიქრობდი, როგორ წავიდოდით ჯამბულში ინგას იგორთან და მშობლებთან. იქ წასვლაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მგზავრობას კი თანხები სჭირდებოდა. მერედა, რა ძვირი ჯდებოდა თუნდაც ერთი წასვლა. ვიმედოვნებდი, მუინყუმის ნარკვევებში ფულს ავიღებ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა, თანაც განა ჩემი მიზეზით. მეც საოლქო სტამბაში ღამის

კორექტორად დავდექი დროებით და ამ გზით ცოტაოდენ ფულს ვშოულობდი...

ბოლოს დადგა დღეც, როცა ინგას წერილი მივიღე. მეკითხებოდა, ხომ არ შეგიძლია ოქტომბრის დამლევს ჟალპაკ-საზში ჩამოხვიდე — ნოემბრის დღესასწაულებზე ერთად გავემგზავრებოდით ჯამბულშიო...

გიჟივით გავვარდი ქალაქის ტელეგრაფში, რომ ინგასთვის დეპეშა გამეგზავნა... ახლა სასწრაფოდ უნდა გამეყიდა წიგნები და აღებული ფულით გზას გავდგომოდი.

V

ობერ-კანდალოვმა აბდია კალისტრატოვი ვაგზალზე შეამჩნია, როცა მუინყუმში წასაყვან რაზმს ადგენდა.

ვინც ობერ-კანდალოვს ეგ საქმე დაავალა, ჩინებულად იცოდა, რას აკეთებდა. კანდალოვი ფრიად გამოცდილი კაცი იყო, რკინიგზის სახანძრო დაცვის კომენდანტის თანამდებობაზე იღვწოდა, წინათ სამხედრო გახლდათ, თანაც საჯარიმო ბატალიონში მსახურობდა /ეს კი რაღაცას ნიშნავს!/ და ტრამალში სასწრაფო ექსპედიციისთვის უკეთესს ვიღას მოძებნიდნენ. სიტყვამ მოიტანა და კანდალოვს ამასთანავე თავისი საგანგებო მოსაზრებანი ჰქონდა. იმედოვნებდა, რომ თუ ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულებაში საოლქო სამმართველოს სამსახურს გაუწევდა, ამ გზით ძველ სახელს დაიბრუნებდა და საჭირო საოლქო ინსტანციების შუამდგომლობით პარტიაშიც აღადგენდნენ. იგი ხომ პარტიიდან დატაცების ან უხეში ბოროტმოქმედების გამო არ გაურიცხავთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი იშვიათი და, რაც მთავარია, სახელმწიფოსათვის სრულიად უვნებელი ამბისათვის, როგორიც გახლავთ მამათმავლობა; ამ საქმეს კი საჯარიმო ბატალიონის ყაზარმებში აიძულებდა ზოგიერთებს, რამეთუ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა. კარგი, ვთქვათ, ჰქონდა ასეთი ცოდვა, ვთქვათ, იგი, ზევადიანი სამსახურის ზემდეგი, იდეოლოგიურად საეჭვო პიროვნებებს ატანდა ძალას, განსაკუთრებით ათასგვარ სექტანტსა და ნარკომანს, მერედა, ამათი შეცოდება შეიძლება? მერედა რამდენი უნდა ურტყან ამისთვის? აღარ კმარა, რომ ცოლი გაექცა, რის გამოც დაიწყო სმა, თუმცა სასმელს არც წინათ აკლებდა ხელს? ისე, თუკი საქმეს ჩავხედავთ, ძალზე საჭირო კაცია. აი, სერიოზული საქმე დაავალეს და ხელად შექმნა ჯგუფი. შუაღამით წავიდა ვაგზალში, შეათვალიერა ხალხი, გაწაფული თვალით შეამჩნია, ვის ადგა გასაჭირი და ფულის ბლომად და სწრაფად შოვნის იმედით მუინყუმში წაყოლაზე

ვინ დაეთანხმებოდა. ასე გადააწყდა აბდია კალისტრატოვსაც.

აბდია კანდალოვს მარტო გაჭირვების გამო როდი დაეთანხმა: მოხდა მისთვის რაღაც გაუთვალისწინებელი და შემაშფოთებელი ამბავი — ინგა ფიოდოროვნას ჟალპაკ-საზში ვერ ჩამოუსწრო, მიუხედავად იმისა, რომ თვით ინგას წინადადებით ჩამოვიდა. გული დარდით აევსო, თუმცა ვერ გაერკვია, ღირდა თუ არა ეს ამდენ განცდად. აქეთ თვითმფრინავით იმგზავრა. ხოლო რომ გამოფრენილიყო, ამისთვის მოსკოვში უნდა ჩასულიყო. მოსკოვში კიდევ მთელი დღე ეძებდა ბილეთს. ჩამოფრინდა ალმა-ათაში, იქიდან მატარებელს გამოჰყვა. ასე ვთქვათ, ერთ-ორ დღეში გაჩნდა ჟალპაკ-საზში, ხოლო, როცა ბოლოს საავადმყოფოს მახლობლად, ლაბორატორიის ეზოში პატარა სახლს მიაღწია, კარი დაკეტილი დახვდა, გასაღების ხვრელში კი ინგა ფიოდოროვნას ბარათი იპოვა. ინგა სთხოვდა, ვაგზლის ფოსტის მოკითხვის განყოფილებაში წერილი მოეძიებინა. აბდია, ბუნებრივია, ფოსტაში გაიქცა, სადაც მაშინვე მისცეს წერილი. იგი გულისფანცქალით შევიდა პატარა სკვერში, მერხზე ჩამოჯდა და წაიკითხა:

„აბდია, ჩემო ძვირფასო, მაპატიე. რომ მცოდნოდა, ასეთი რამ მოხდებოდა, გაცნობებდი, ჯერ არ წამოხვიდე-მეთქი. ალბათ ჩემმა დეპეშამ ვერ მოგისწრო და უკვე გზას ადგახარ. საქმე ისაა, რომ ჯამბულში მოულოდნელად ჩემი ყოფილი ქმარი ჩამოსულა, ჩვენი იგორკას გამო სასამართლო საქმის წამოწყება უნდა. იძულებული ვარ, სასწრაფოდ გავემგზავრო ჯამბულში. შესაძლოა, იგი რაღაცით გავაღიზიანე და ამიტომ ჩამოვიდა: მე მას პირდაპირ მივწერე, ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებ ჩემთვის ფრიად საინტერესო კაცთან ერთად-მეთქი. ეს უნდა მეცნობებინა, რადგან ჩვენ შვილი გვყავს.

კიდევ ერთხელ მაპატიე, ჩემო საყვარელო, რომ ასეთი რამ მოხდა. იქნებ ეს უკეთესიც იყოს: ამ საკითხის გადაწყვეტა, სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევდა. ჰოდა, სჯობს თავშივე გათავდეს ყველაფერი.

როცა ჩამოხვალ, კარი დაკეტილი დაგხვდება. გასაღებს ჩვენს ლაბორანტს საულა ალიმბაევას ვუტოვებ. საულა შესანიშნავი ადამიანია. თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში და დამელოდე. დასანანია, რომ ალია ისმაილოვნა ახლა შვებულებაშია, მასთან ურთიერთობა შენთვის საინტერესო იქნებოდა. იგი ხომ დიდი პატივისცემით გეკიდება. ვფიქრობ, ერთ კვირაში დავბრუნდები. ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო, რომ ამიერიდან ხელი აღარაფერმა შეგვიშალოს. სულით და გულით მწადია, იგორი ნახო. ალბათ დამეგობრდებით და ძალიან მინდა ერთად ვიცხოვროთ, ხოლო მანამდე,

როგორც ვაპირებდით, ჩემს მშობლებთან ჩავიდეთ და გაიცანი ისინი — ფიოდორ კუზმიჩი და ვერონიკა ანდრეევნა. არ ინაღვლო, აბდია, ჩემო საყვარელო, და არ მოიწყინო. ვეცდები, როგორც ჯობს, ისე გავაკეთო ყველაფერი.

შენი ინგა.

PS. თუ არასამუშაო დროს ჩამოხვედი, ალიმბაევას მისამართი ასეთია: აბაის ქუჩა, №41. მისი ქმარი დაურბეკ იქსანოვიჩია".

აბდიამ წერილი სულმოუთქმელად წაიკითხა და დაფიქრდა. გაოცებული იყო: საქმე სხვანაირად შეტრიალდა, რასაც არაფრით არ ელოდა. გასაღების გამოსართმევად არ წასულა, ვაგზლის მოსაცდელ დარბაზში დარჩა, გადაწყვიტა, ყველაფერი აეწონ-დაეწონა, შემდეგ ჩემოდანი შემნახველ საკანში შეინახა, რომ აქეთ-იქეთ არ ეთრია, და სკვერში წავიდა. იქ ერთხანს იჯდა, ნაცნობ საავადმყოფოსთან გაიარ-გამოიარა, სადგურსა და ქალაქს შორის განმარტოებული ბილიკი იპოვა და ზედ წინ და უკან სიარულს მოჰყვა...

ტრამალში გვიანი შემოდგომა იდგა. უკვე გრილოდა. გაქიაქებული, გაფუებული ღრუბლები, ოკეანის შორეთში მჩინარი ტალღებივით თეთრად კრთოდნენ ზაფხულის განმავლობაში ფერნაქცევ ოქტომბრის ცაზე, ხეები ნახევრად განძარცვულიყვნენ და ძირს გამქრქალებული მეწამულ-ყავისფერი ფოთლები ეყარა. ბოსტნებშიც მოსავალი აეღოთ და ისინი გაფხეკილიყვნენ. ჟალპაკ-საზის ქუჩები გაუკაცურებული, დაღვრემილი იყო. ჰაერში მოფარფატე ოდნავ მბზინვარე ობობას ქსელი უეცრად სახეს ედებოდა. ეს ყოველივე ნაღველს ჰგვრიდა აბდიას. სადგურში, რომელიც თავისი ინდუსტრიული სიმძლავრით ტრამალის უზარმაზარ სივრცეს თრგუნავდა, ხრიგინი, ღრჭიალი ისმოდა, ცხოვრება მაჯისცემასავით ერთი წუთით არ ჩერდებოდა. ურიცხვ ლიანდაგზე ისევ ისე მანევრირებდა მატარებლები, მიდი-მოდიოდნენ ადამიანები, რადიოთი მთელ იმ არემარეს დისპეტჩერების ჩახრინწული ხმა ედებოდა.

აბდიას კვლავ გაახსენდა ზაფხულის ის დღეები, გაახსენდა მადევრების ეპოპეის დასასრული და ამასთან დაკავშირებით, ვინ იცის, უკვე მერამდენჯერ უბრუნდებოდა მონანიების ფიქრებს. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მონანიება ის ცნებაა, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილების კვალობაზე მეტად და მეტად ცხოველმყოფელი ხდება, სინდისის საზომია, საზომი — ადამიანის გონების მიერ კეთილმონაღვაწი, განვრცობილი და დანერგილი. ადამიანის გარდა არავის შეუძლია მონანიება. მონანიება ადამიანის სულის მარადიული და დაუცხრომელი ზრუნვაა საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე ნებისმიერმა სასჯელმა — შეცოდებისა

თუ დანაშაულისათვის ნარგუნევმა — დასჯილის სულში მონანიების გრძნობა უნდა აღძრას, თორემ ისე დასჯა არაფრით იქნება განსხვავებული მხეცის დასჯისგან.

ამ ფიქრებით მოცული დაბრუნდა აბდია ვაგზალში, მოაგონდა ის გულფიცხი ლეიტენანტი და, აბა, გავახსენდები თუ არაო, — გაივლო გულში, თან უნდოდა შეეტყო, რა ბედი ეწია მადევრებს, ანაშის მომპოვებლებს — პეტრუხას, ლიონკას და სხვებს. ეს სურვილი კიდევ ერთმა მიზეზმაც ჩაუნერგა: იგი ყოველნაირად ცდილობდა გარიდებოდა იმას, რაც სტანჯავდა და აწუხებდა, როგორც ჰორიზონტზე ჩამოგრაგნილი საავდრო ღრუბლები, გარიდებოდა ინგა ფიოდოროვნაზე ფიქრებს. მთელ თავის ცხოვრებას და მომავალს ახლა ინგას უკავშირებდა, ცხოვრებას იმით განსაზღვრავდა, თუ როგორ წარიმართებოდა საქმეები შორეულ ჯამბულში და, რაკი უძლური იყო, რაიმე ეღონა, ამ საკითხზე ფიქრი არ შეიძლებოდა, უნდა გაქცეოდა ფიქრებს. სამწუხაროდ, გულფიცხი ლეიტენანტი ვერ იპოვა. როცა ოთახის კარზე დააკაკუნა, უცნობი მილიციელი შემოხვდა.

— რა გინდათ?

— ჰო, იცით, ერთი ლეიტენანტის ნახვა მინდოდა, — დაუწყო ახსნა, მაგრამ წინასწარ გრძნობდა, რომ აქედან არა გამოვიდოდა რა.

— რა გვარია? ჩვენთან ლეიტენანტი ბევრია.

— სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი. რომ მენახა მაშინვე ვიცნობდი.

— მერედა რისთვის გჭირდებათ?

— აბა, როგორ აგიხსნათ — მასთან ლაპარაკი, საუბარი მინდოდა...

მილიციელმა ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა.

— აბა, მოათვალიერე, იქნებ იპოვო შენი ლეიტენანტი.

ოთახში ტელეფონიან მაგიდას ამჯერად უცნობი კაცი უჯდა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. აბდიამ ბოდიში მოიხადა და გამოვიდა. გამოსვლისას თვალი შეავლო რკინის გისოსს, რომლის იქით მაშინ დაპატიმრებული დამნაშავენი ისხდნენ. ახლა ის ადგილი ცარიელი იყო.

და აბდიას ისევ მოეჯარა ერთთავად გულისგამაწვრილებელი ფიქრები, თუმცა ცდილობდა, მათთვის თავი აერიდებინა. ნეტავ რა დღეშია ინგა? აბდია ინგას მიერ დატოვებული გასაღების წამოსაღებად არ მიდიოდა: იცოდა, რომ ცარიელ სახლში გაწამებულ სულთან პირისპირ დარჩენილი უფრო მძაფრად იგრძნობდა სიმარტოვეს. შეეძლო ვაგზალშიც დაეცადა, რომ სცოდნოდა, რა დღეში იყო ინგა და როდის დაბრუნდებოდა. აბდია ცდილობდა, წარმოედგინა, რა ხდებოდა ახლა იქ, ჯამბულში, რარიგ უჭირდა საყვარელ

ქალს, მას კი არაფრით არ შეეძლო დახმარებოდა. ვაითუ მშობლებს შვილიშვილის შენარჩუნების მიზნით ინგასთვის დაეჟინებინათ, ქმარს შეურიგდიო? სავსებით შესაძლებელია ასეც მომხდარიყო. მაშინ აბდია იძულებული გახდებოდა, უკან გაბრუნებულიყო. მან თვალნათლივ წარმოიდგინა ფორმაში გამოწკეპილი, სამხრეებიანი, შთამბეჭდავი შესახედაობის სამხედრო მფრინავი, რომელსაც მაიორზე ნაკლები ჩინი არ ექნებოდა, და მიხვდა, რომ მის გვერდით სულ .არაფერი გამოჩნდებოდა. აბდიას სჯეროდა, ინგა წოდებებს და გარეგნულ პეწს მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ინგას მშობლებისთვის ჰქონდა იმას მნიშვნელობა, ვინ ეყოლებოდათ სიძე — სამხედრო მფრინავი, იგორის მამა, თუ გაურკვეველი საქმიანობის უცნაური კაცი?

საღამოვდებოდა. მწუხრის დადგომასთან ერთად აბდიაც იქუფრებოდა. ვაგზლის გაჭედილ დარბაზში ბინდი და შეხუთული ჰაერი იდგა, გაბოლილი იყო იქაურობა და აბდიას უსაშველო ნაღველი მოეძალა. ეჩვენებოდა, თითქოს სრულიად მარტოა ბნელსა და მოქუშულ ტყეში. შემოდგომის ქარი ხეთა კენწეროებში ზუზუნებს, მალე ჩამოთოვს, თოვლი დაფარავს ტყეს და მას, აბდიას, დაფარავს ერთიანად და ყველაფერი თოვლში ჩაინთქმება, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა... აბდიას სიკვდილი უნდოდა და იმ წუთში რომ გაეგო, ინგა არ დაბრუნდებოდა, ან სხვასთან ერთად დაბრუნდებოდა, რათა ნივთები და წიგნები მოეკრიბა და თავის სამხედრო მფრინავს გაჰყოლოდა, დაუფიქრებლად გავიდოდა და პირველივე მატარებელს დაუწვებოდა...

სწორედ ამ მძიმე ჟამს, შეღამებულზე ჟალპაკ-საზის ვაგზალზე ნახა აბდია კალისტრატოვი ობერ-კანდალოვმა, რომელიც მუინყუმის „საფარისთვის" შესაფერის რაზმს ადგენდა. ეტყობა, ობერ-კანდალოვს გამჭრიახობა არ აკლდა, ყოველ შემთხვევაში შეუცდომლად მიხვდა, რომ აბდიას სული ჰქონდა აფორიაქებული და ვერ ისვენებდა. მართლაც, როცა ობერ-კანდალოვმა შესთავაზა, ერთი-ორი დღით მუინყუმის სავანაში სარფიან საქმეზე გავუტიოთო, მაშინვე დაეთანხმა. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც უქმად არ მჯდარიყო მარტოდმარტო და გულხელდაკრეფილს არ ელოდინა. ამასთანავე გაიფიქრა, რომ ვიდრე მუინყუმიდან დაბრუნდებოდა და იქ ნაშოვნ ფულს ჩამოიტანდა, შესაძლოა ინგა ფიოდოროვნაც გამოჩენილიყო და ყველაფერი გარკვეულიყო: სამუდამოდ დარჩებოდა საყვარელ ადამიანთან /ოჰ, რა ბედნიერება იქნებოდა!/ თუ იძულებული გახდებოდა, აქედან წასულიყო და თავისთვის ძალა დაეტანებინა, რომ ეცოცხლა... ასეთი დასასრულის მას ეშინოდა...

ობერ კანდალოვმა აბდია იმავე საღამოს წაიყვანა სახანძრო და-

ცვის შენობაში. აბდიამ იქ თავისუფალ ტახტზე ღამე გაათია...

დილით მთელი რაზმი მანქანების კოლონას გაჰყვა მუინყუმის სავანაში. სამხიარულო საქმეზე კი მიდიოდნენ...

* * *

ახლა კი აბდია კალისტრატოვს ასამართლებდნენ ისინი, ხუთი ლოთბაზარა — ობერ კანდალოვი, მიშაში, კეპა, ჰამლეტ-გალკინი და აბორიგენ უზიუკბაი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰამლეტ-გალკინი და აბორიგენ-უზიუკბაი გასამართლებას ესწრებოდნენ და ცდილობდნენ, თუმცა გაუბედავად და საცოდავად, როგორმე გაენელებინათ დანარჩენი სამის მძვინვარება.

საქმე ის იყო, რომ აბდიას საღამოს სიგიჟემ მოუარა, როგორც მაშინ ვაგონში, და ახლა ანგარიშს უსწორებდნენ. მუინყუმის საიგებზე ნადირობამ მასზე ისე საშინლად იმოქმედა, მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ეს ხოცვა-ჟლეტა, გამხეცებულ მონადირეებს მოუწოდებდა ცოდვა მოენანიებინათ, ღმერთისთვის მიემართათ, ჰამლეტ-გალკინს და უზიუკბაის სთხოვდა მხარი დამიჭირეთო. თუ ისინი მხარს დაუჭერდნენ, სამივე დატოვებდა ობერ-კანდალოვს, მის დამქაშებს, ატეხდნენ განგაშს, თითოეული მათგანი განიმსჭვალებოდა ღმერთზე, ყოვლადკეთილ შემოქმედზე ფიქრით, იმედი ექნებოდა მისი უსაზღვრო მოწყალებისა, მიტევებას შესთხოვდა იმ ბოროტების გამო, რაც მათ, ადამიანებმა, ცოცხალ ბუნებას მიაყენეს, ვინაიდან მხოლოდ გულწრფელ მონანიებას შეეძლო მათთვის შვება მოეგვარა...

აბდია ყვიროდა, ხელებს ცისკენ აღაპყრობდა და მონადირეებს მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შეესმინათ მისი ღაღადისი, რათა ბოროტებისგან განწმენდილიყვნენ და ცოდვა მოენანიებინათ.

გამძვინვარებული აბდია უცნაური და სასაცილო ჩანდა, ისე ღრიალებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, გეგონებოდათ, ქვეყნიერების დასასრულის წინათგრძნობას შეუპყრიაო, ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი ჯანდაბაში მიფრინავდა, ცეცხლოვან უფსკრულში მიექანებოდა.

აბდიას უნდოდა ღმერთისკენ მოექცია ისინი, ვინც აქ მუქთი ფულის მოსახვეჭად ჩამოვიდა... უნდოდა შეეჩერებინა განადგურების უზარმაზარი მანქანა, მუინყუმის სავანის სივრცეებზე მბორგავი მანქანა, ეს ყოვლისშემმუსვრელი მექანიზებული ძალა...

უნდოდა დაუძლეველის დაძლევა...

ჰოდა, მიშაშის რჩევით თოკებით შეკრეს და სატვირთო მანქანის ძარაზე პირდაპირ დახოცილ საიგებზე დააგდეს.

— იწექი მანდ, მაგის დედა, და სული გააცხე. იყნოსე საიგის სუნი! — დაუყვირა დაძაბულობისგან ახროტინებულმა მიშაშმა. — უძახე ახლა შენს ღმერთს! შეიძლება, მაგის დედა, გაგიგონოს და ციდან შენთან ჩამოფრინდეს...

იდგა ღამე, მთვარემაც გადმოხედა მუინყუმის სავანას, სადაც ხოცვა-ჟლეტვის ტალღამ გადაიარა, სადაც ყველა ცოცხალმა არსებამ და მგლებმაც კი საკუთარი თვალით იხილეს ქვეყნიერების განადგურება...

ხოლო გამანადგურებლები ერთსულოვნად ზეიმობდნენ აბდია კალისტრატოვის გარდა, რომელიც იმ დღეს თავისდა საუბედუროდ აღმოჩნდა მუინყუმში...

და ამისთვის გასამართლებას უპირებდნენ...

* * *

მიშაშმა და კეპამ აბდია ძარადან ჩამოათრიეს, ობერს მიჰგვარეს და აიძულეს მის წინ დაეჩოქა. ობერ-კანდალოვი ცარიელ ყუთზე იჯდა, გაჩიკინებული ლაბადის კალთები გადაეშალა და ფეხები გაეფარჩხა. ქირზის ჩექმები ეცვა. მანქანის დამატებითი ფარებით განათებული უჩვეულოდ ვეებერთელა, შუბლშეკრული უზომოდ გაბორტებული ჩანდა. გვერდით, კოცონთან, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა საიგის დამწვარი მწვადის სუნი, ჰამლეტ-გალკინი და აბორიგენ-უზიუკბაი იდგნენ და იბუზებოდნენ. ორივენი უკვე გვარიანად იყვნენ შემთვრალნი, ამიტომ ობერის მიერ აბდიას გასამართლების მომლოდინენი უაზროდ იღიმებოდნენ, რაღაცაზე ჩურჩულებდნენ, ერთმანეთს უჯიკავებდნენ და თვალს უკრავდნენ.

— აბა? — ამოთქვა ბოლოს ობერმა და ზიზღით შეხედა მის წინ დაჩოქილ აბდიას. — მოიფიქრე?

— ხელები გამიხსენით, — თქვა აბდიამ.

— ხელები? კი, მაგრამ რატომ გაქვს შეკრული, ამაზე თუ გიფიქრია? ხელებს ხომ მხოლოდ მოჯანყეებს, შეთქმულებს, მეამბოხეებს, წესრიგისა და დისციპლინის დამღვევებს უკრავენ! წესრიგის დამრღვევებს, გაიგე? წესრიგის დამრღვევებს!

აბდია დუმდა.

— ჰო, კარგი, ვცდით, ხელები გაგიხსნათ, ვნახოთ, როგორ მოიქცევი, — მოწყალება მოიღო ობერმა. — აბა, შეუხსენით ხელები, — ბრძანა მან. — ისინი ახლა დასჭირდება.

— რა ჩემ ფეხებად უნდა გავუხსნა, მაგის დედა... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მიშაშმა, როცა აბდიას ზურგს უკან თოკს

ხსნიდა. — ამისთანები ლეკვებივით უცებ უნდა ჩაახრჩო წყალში. ამისთანები ცხრად უნდა მოკაკვო და მიწაში ჩააგდო.

აბდიამ მხოლოდ ახლა, თოკის შეხსნის შემდეგ, იგრძნო, როგორ დაბუჟებოდა მხრები და ხელები.

— აბა, სურვილი შეგისრულეთ, — უთხრა ობერ-კანდალოვმა აბდიას. — შენ კიდევ გაქვს გადარჩენის შესაძლებლობა. აჰა, ჯერ დალიე! — მან აბდიას არყიანი ჭიქა გაუწოდა.

— არა, არ დავლევ, — ცივი უარი სტკიცა აბდიამ.

— სულიმც გაგცხებია, შე ვიგინდარავ! — უთხრა ობერმა და არაყი პირდაპირ სახეში შეასხა. აბდია ამას არ მოელოდა და კინაღამ გაიგუდა, ზეზე წამოხტა, მაგრამ მიშაში და კეპი კვლავ დააცხრნენ მიწას მიაკრეს.

— მიჰქარავ, მაგის დედა... დალევ! — ბღაოდა მიშაში. — ხომ ვამბობდი, ამისთანები უნდა დაახრჩო-მეთქი. აბა, ობერ, დაასხი ერთი არაყი, ყრონტში ჩავასხამ, არ დალევს და ძვალ-რბილს გავუერთიანებ.

მიშაშის ხელში ჭიქამ ტკაცანი გაიღო და მისმა ნაპირმა აბდიას სახე გაუსერა. არყითა და საკუთარი სისხლით სულშეგუბებული აბდია მიშაშს გაუსხლტა და ხელებითა და ფეხებით იგერიებდა მას და კეპას.

— ბიჭებო, მოეშვით, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ნუ დალევს, თვითონ დავლიოთ! — საცოდავად აწკმუტუნდა ჰამლეტ-გალკინი, რომელიც მოჩხუბრების გარშემო დარბოდა. აბორიგენ-უზიუკბაი მანქანას მოეფარა და იქიდან შიშნეულად იხედებოდა, არ იცოდა, რა ექნა: იქვე დარჩენილიყო — აგე, რამდენი არაყი დარჩათ დაულეველი, — თუ უბედურებას შორს გასცლოდა... ობერ-კანდალოვი კი ისე იჯდა ყუთზე, თითქოს ტახტზე ბრძანდებოდა და საცირკო წარმოდგენას უყურებდა.

ჰამლეტ-გალკინი ობერს მივარდა:

— გააჩერე ისინი, ობერ, ძვირფასო, მოკლავენ და სამართალში მიგვცემენ.

— სამართალში? — ქედმაღლურად ჩაიზმუვლა ობერმა. — რა სამართალი, რის სამართალი მუინყუმში? სამართალი თვითონ ვარ აქ! წადი და მიმტკიცე, ასე და ისე იყოო. ჰო, იქნებ მგლებმა დაგლიჯეს. ვინ ნახა, ვინ დაამტკიცებს?

აბდიამ გრძნობა დაკარგა და მაწამებლების ფერხთით დაეცა. მათ წიხლები დასცხეს. აბდიამ უკანასკნელად ესღა გაიფიქრა: რა მოუვა ინგას, ის ხომ ჩემსავით არავის და არასდროს არ ეყვარება?

აბდიას უკვე აღარაფერი ესმოდა, თვალთ დაუბნელდა და რატომღაც სისვი ძუ მგელი მოელანდა. სწორედ ის, იმ ცხელ ზაფ-

ხულში კანაფის ტრამალში რომ თავზე გადაახტა...

— მიხსენი, ძუ მგელო, — აღმოხდა უცებ აბდიას.

მან თითქოს ალღოთი იგრძნო, რომ მგლები აკბარა და ტაშჩაინარი ახლა თავიანთ ბუნაგს უახლოვდებოდნენ, რომელსაც იმ ღამით ადამიანები შემოსდგომოდნენ გარს. მხეცებს გული ჩვეული ღამის სათევისკენ მოუწევდათ. აი, ამიტომ დაბრუნდნენ უკან, ალბათ იმედი ჰქონდათ, რომ ადამიანებმა მათი ღარტაფი დატოვეს და სადმე შორს წავიდნენ...

ვეებერთელა სატვირთო მანქანა კი წინანდებურად შემზარავად, შავად ჩანდა ისევ იმავე ადგილას, საიდანაც ყვირილი, ბღლარძუნის დახშული ხმა ისმოდა...

მგლებიც ისევ გახდნენ იძულებულნი, ტრამალისკენ გაეხვიათ, გაწამებულნი, სულშეძრულნი ალალბედზე უზო-უკვლოდ მიილალებოდნენ... ადამიანები დღისით თუ ღამით სიცოცხლეს უმწარებდნენ... და ნელა მიეხეტებოდნენ, და მთვარე ანათებდა მათ კუდამოძუებულ სილუეტებს.

სასამართლო კი, უფრო სწორად თვითგასამართლება გრძელდებოდა... გალეშილი მონადირენი ვერ ამჩნევდნენ, რომ ბრალდებული აბდია კალისტრატოვი, რომელსაც კიდევ ერთხელ დასცხეს მუშტები და წააქციეს, ადგომას თითქმის აღარ ცდილობდა.

— აბა, ადექი, შე მურდალო, — წიხლის კვრითა და დედის გინებით აიძულებდნენ ადგომას ხან მიშაში, ხან კეპა, აბდია კი ჩუმადღა კვნესოდა. გამძვინვარებული ობერ-კანდალოვი მომჩვარულ აბდიას ქეჩოში სწვდა, წამოსწია და თათხვა დაუწყო. იგი თავისივე სიტყვებზე უფრო და უფრო შმაგდებოდა.

— მაშ, ღმერთით დაგვიპირე შეშინება, დაფეთიანება, შე არამზადავ, გინდოდა, ჩვენთვის ღმერთის სახელით ამოგეთხარა თვალები, შე ქვემძრომო, შენა! ჩვენ ღმერთით ვერ შეგვაშინებ, სხვა ხალხი ვართ, ძაღლიშვილო! ერთი გამაგებინე, თვითონ ვინა ხარ? ჩვენ აქ სახელმწიფო დავალებას ვასრულებთ, შენ კი გეგმის წინააღმდეგი ხარ, ძაღლიშვილო! ოლქის წინააღმდეგი ხარ, მაშასადამე, არამზადა და ხალხის მტერი ხარ, ხალხის და სახელმწიფოს მტერი. და შენისთანა მტრების, მავნებლებისა და დივერსანტების ქოქი უნდა გაწყდეს დედამიწაზე! ჯერ კიდევ სტალინმა თქვა: „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეაო". ხალხის მტრები ძირფესვიანად უნდა ამოძირკვნ! არავითარი შეღავათი! თუ მტერი არ ნებდება, დედას უტირებენ. არმიაში მაგისთანა აგიტაციისთვის უმაღლესს უსჯიან, — და მორჩა! — რათა ჩვენი დედამიწა ყოველგვარი უწმინდურობისგან გაიწმინდოს. შენ კი, ეკლესიის ვირთაგვავ, რას აკეთებდი? ბოროტებას ეწეოდი! შლიდი დავალებას! მონასტრით გინ-

დოდა ჩვენი მოტყუება! რომ იცოდე, ისე მიგახრჩობ, შე გადაგვარებულო, როგორც ხალხის მტერს. და მხოლოდ მადლობას მეტყვიან, რადგან იმპერიალიზმის აგენტი ხარ, ქვემძრომო! გგონია, სტალინი არაა? და ვერაფერს გიზამენ, არა? ახლავე დაიჩოქე, შე მღვდლის ნაშიერო, ახლა მე შენი მბრძანებელი ვარ — ზურგი აქციე შენს ღმერთს, თორემ სიცოცხლე არ გიწერია, შე ვიგინდარავ, შენა!

დაჩოქილმა აბდიამ თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა. იგი წამოაყენეს.

— მიპასუხე, ქვემძრომო, — ღრიალებდა ობერ-კანდალოვი, — ზურგი აქციე ღმერთს, თქვი, ღმერთი არ არსებობს-თქო!

— ღმერთი არსებობს — სუსტი ხმით მიუგო აბდიამ.

— ერთი ამას უყურე! — დამდუღრულივით იღრიალა მიშაშმა. — აკი ვამბობდი, ამის დედა... შენ ამას ერთს ეკითხები, ის კი ჯიბრზე სხვას გპასუხობს.

ბოღმით სულშეგუბებულმა ობერ-კანდალოვმა აბდიას ისევ სტაცა ხელი ქეჩოში და შეანჯღრია.

— ღვთისმოყვარულო, ახლა ისეთ კონცერტს გაგიმართავ, შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდება! აბა, იმ ხესთან მიათრიეთ, ჩამოვკიდოთ, ჩამოვკიდოთ ეს ქვეწარმავალი! — ყვიროდა ობერ-კანდალოვი. — ფეხებქვეშ კი ცეცხლი შეეუნთოთ. დაე, ცოტა შეიტრუსოს!

აბდიასაც ხელი სტაცეს და ერთსულოვნად წაათრიეს ღარტაფის ნაპირას ტოტებგაშლილი დაკოჟრილი საქსაულისკენ.

— თოკები წაიღე! — უბრძანა კეპას ობერ-კანდალოვმა.

კეპა კაბინისკენ გაიქცა.

— ჰეი, თქვენ მანდ! უხიუკბაი, ქვეყნის პატრონო, შენი დედ-მამის სული, შენც, რა გქვია, ნეხვო არტისტო, რას დგახარ განზე, ჰა? აბა, მოუსვით, მიაწექით, თორემ არაყს დასაყნოსადაც არ მოგცემთ! — შეაშინა ობერ-კანდალოვმა საცოდავი ლოთები. ისინიც კისრისტეხით გაიქცნენ, რათა უბედური აბდია ხეზე ჩამოეკიდათ.

ხულიგნურმა გართობამ უცებ ავისმომასწავებელი აზრი შეიძინა. უკეთური ფარსი შეიძლება თვითგასამართლებად ქცეულიყო.

— ერთი რამ არა გვაქვს, ამის დედა... ჯვარი და ლურსმნები გვაკლია ამ საზიზღარ ტრამალში! აი, უბედურება, ამის დედა... — წუხდა მიშაში, რომელიც ტკაცუნით ტეხდა საქსაულის ტოტებს. — რომ გაგვეკრა, საქმე ეგ იქნებოდა!

— ლურსმნები რა ჩემ ფეხებად გვინდა, თოკით მივაკრავთ! ლურსმნებით დაკიდებაზე ნაკლები არ იქნება! — გამოსავალი იპოვა ობერ-კანდალოვმა. — ბაყაყივით გავუწელავთ ხელ-ფეხს და ისე მივაკრავთ, ვერც გაინძრევა! დილამდე ეკიდოს, დაე, მოიფიქროს,

არის თუ არა ღმერთი! ისეთ აღმზრდელობით ღონისძიებას ჩავუტარებ, სიკვდილამდე ემახსოვრება ამ მღვდელ-ძაღლიშვილს, ვუჩვენებ სეირს! მაგისთანები გამიწვრთნია არმიაში! აბა, ეცით, ბიჭებო, აბა, სტაცეთ ხელი! აი, იმ ტოტამდე ასწიე, უფრო მაღლა! ხელი აქეთ მოუგრიხე, ფეხი — იქით!

ყველაფერი ერთ წამში მოთავდა, რადგან აბდიას წინააღმდეგობის თავი არ ჰქონდა. დაკორძილ საქსაულზე მიბმული, ხელ-ფეხზე თოკებშემოხვეული აბდია ახალგაძრობილი, გასაშრობად გაფენილი ტყავივით ჩამოეკიდა. მას ჯერ კიდევ ესმოდა ლანძღვა და ყვირილი, მაგრამ უკვე თითქოსდა შორიდან. ტანჯვა არაქათს აცლიდა. მუცელი ღვიძლის მხარეს აუტანლად წვავდა, ისეთი ტკივილი ჰქონდა, თითქოს წელში რაღაც გაუსკდა თუ ჩაუწყდა. ძალა თანდათან ეკარგებოდა და მთვრალი მაწამებლები რომ გულმოდგინედ ცდილობდნენ მის ფეხქვეშ ცეცხლის დანთებას, უკვე აღარ აწუხებდა, მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მაგრამ ლოთებმა ცეცხლი ვერ გააჩაღეს: წინა დღეს ჩამოყრილმა თოვლმა ბალახი და ტოტები დაანესტიანა და არ ინთებოდა... ხოლო ბენზინის დასხმა არავის მოაფიქრდა. მათთვის ისიც კმაროდა, რომ აბდია კალისტრატოვი ბოსტნის საფრთხობელასავით ეკიდა ხეზე. მისმა შესახედაობამაც ერთობ გამოაცოცხლა და ააფორიაქა ყველანი: აბდია ჩამოხრჩობილს თუ ჯვარცმულს ჰგავდა. განსაკუთრებით ობერ-კანდალოვს დაეუფლა ზეშთაგონება, უფრო შთამბეჭდავი და წარმტაცი სურათები ელანდებოდა — ტრამალში ერთი ჩამოხრჩობილი მისთვის რა იყო!

— ასე დაემართება ყველას, კარგად დაიმახსოვრეთ ეს! — იმუქრებოდა და თვალს ავლებდა საქსაულზე გაკრულ აბდიას. — ვინც ჩვენთან არაა, ისე ჩამოვკიდებ, ენა უმალ გვერდზე გადმოუვარდება. ყველას ჩამოვახრჩობდი, ყველას, ვინც ჩვენი მოწინააღმდეგეა, მთელ დედამიწას ერთ მწკრივად გვერგვივით შემოვავლებდი და მაშინ ვერავინ გაგვიბედავდა სიტყვის შემობრუნებას, ყველა ფეხის წვერებზე ივლიდა... აბა, გავუტიოთ, კომისრებო, კიდევ ერთხელ გადავკრათ, რაც იქნება, იქნება...

ობერს დანარჩენებმაც დაუკრეს კვერი და ყველანი ხმაურით გაემართნენ მანქანისკენ. ობერმა კი სიმღერა გააბა, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ მან იცოდა:

ჩავიცმევთ გალიფეს, გვერდზე ჩამოვიკიდებთ
რევოლვერის ბუდეს,
ერთ-ორ, ერთ-ორ...

გახურებული „დოსტი კომისრებიც“ აჰყვნენ: „ერთ-ორ, ერთ-ორ,“ ორი ნახევარლიტრიანი წრეზე ჩამოატარეს და უჭიქოდ გამოყლურწეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანამ ფარები აანთო, დაიქოქა, მობრუნდა, ნელ-ნელა გაუყვა ტრამალს და შეიკრა წყდიადი. ირგვლივ ყველაფერი გაყუჩდა. და დარჩა აბდია, ხეზე მიკრული, მარტოდმარტო შთენილი მთელს ქვეყანაზე. მკერდში წვავდა, ნაგვემ შიგნეულს აუტანელი, გონების დამბინდავი ტკივილი უწამებდა... და ქრებოდა ცნობიერება, როგორც წყალდიდობისას წყალქვეშ მოქცეული კუნძული.

„ჩემი კუნძული ოკაზეა... ვინღა გიხსნის შენ, მოძღვარო?" — ნაპერწკალივით აინთო და ისევ ჩაქრა აბდიას უკანასკნელი აზრი...

ახლოვდებოდა ცხოვრების უკანასკნელი ჟამი...

და აბდიას მზერამინავლებულ თვალებს მოელანდა დიდი წყალი, წყლის უნაპირო, ერთიანი, უკიდეგანო ზედაპირი. წყალი უხმაუროდ ბობოქრობდა, ზედ უხმაურო თეთრი ტალღები ისე მიქროდნენ, როგორც ქარახვეტი დაქრის მინდორზე, კაცმა რომ არ იცის, საიდან და საით. მაგრამ ამ უხმაურო ზღვის მქრქალად მჩინარ კიდეში წყალზე ბუნდოვნად ილანდებოდა ადამიანის გამოსახულება. აბდიამ იცნო წყალზე მდგომი კაცი — მამამისი იყო იგი, დიაკვანი კალისტრატოვი.

უცებ აბდიას საკუთარი, ქაწვილობისდროინდელი ხმა შემოესმა — მამას უკითხავდა მისსავე საყვარელ ლოცვას დაღუპული გემის შესახებ, ისევე, როგორც მაშინ, ბალღობაში, ძველი პიანინოს გვერდით რომ იდგა, ოღონდ ახლა მათ დიდი მანძილი აშორებდათ და წკრიალა ყმაწვილური ხმა მსოფლიო სივრცეს ედებოდა:

„ცას რიბირაბო ედება და, ვიდრე ქვეყანას სძინავს...

...შენ, გულმოწყალევ, კურთხეულო და პირუთვნელო, მომიტევე, რომ დაყინებული მომართვით თავს გაბეზრებ. ჩემს ვედრებაში ანგარება არ ურევია, არც ერთ ბეწო ამქვეყნიურ კეთილდღეობას არ გთხოვ, არც სიცოცხლის დღეთა გახანგრძლივებას გემუდარები. მხოლოდ ნიადაგ შემოგვედრი ადამიანის სულის ცხონებას. შენ, ყოვლისმიმტევებელო, უმეცრებაში ნუ გვამყოფებ. ნებას ნუ მოგვცემ თავი გავიმართლოთ, რომ ამქვეყნად სიკეთე და ბოროტება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. გონება გაუნათე ადამიანთა მოდგმას. ჩემზე კი სიტყვასაც არ დავძრავ. არ მეშინია ნებისმიერი დასასრულისა, ისე შევხვდები მას, როგორც ჩემდამი სამართლიანს — თუნდაც ჯოჯოხეთის ცეცხლში დავიწვა, თუნდ ფეხი შევდგა სამეფოში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ეს ხვედრი შენ გადაწყვიტე, უხილავო და მარადისმყოფო შემოქმედო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ამაზე დიდი თხოვნა არა მაქვს მე...

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ერთ სასწაულსა გთხოვ: დაე, იმ ხომა-

ლდმა იმ ძველი კურსით იცუროს ყოველდღე, ყოველღამ, ვიდრე დღე და ღამე შენ მიერ დადგენილი რიგით ენაცვლებიან ერთმანეთს დედამიწის კოსმოსური ბრუნვისას. დაე, იცუროს მან, იმ ხომალდმა, მუდმივ ვახტზე იყოს, სამარადჟამოდ ჰქონდეს შალითები ჩამოცმული ქვემეხთა ლულებზე, და იცუროს ოკეანიდან ოკეანეში, და ტალღები ეხლებოდეს კიჩოზე, და ისმოდეს ამ ტალღების განუწყვეტელი, ძალუმი გუგუნი, ზათქი. დაე, ოკეანის მოშხაპუნე შხეფები წვიმად ეფრქვეოდეს, დაე, ისუნთქოს იმ მწარე და ჰაერში მოქარქარე სინოტივით, დაე, ესმოდეს გემბანის ჭრაჭუნი, ტრიუმიდან მანქანების გუგუნი, მაღლით ჩხავილი თოლიებისა, რომლებიც ზურგის ქართან ერთად კვალდაკვალ მოსდევენ ხომალდს. დაე. ხომალდმა იცუროს ოკეანის შორეულ ნაპირზე მდებარე ქალაქისკენ, თუმცა ვერასოდეს მიადგება მას... ამინ“.

აბდიას ხმა ნელ-ნელა ცხრებოდა, სულ უფრო შორს მიიწევდა... და ესმოდა ოკეანის თავზე დარხეული თავისი ქვითინი...

და სიწყნარით მოცულ მუინყუმის სავანას მთელი ღამე მთვარის კაშკაშა თვალისმომჭრელი შუქი ეფრქვეოდა და საქსაულზე გაკრულ გაშეშებულ ადამიანს ანათებდა. ადამიანი მოგაგონებდათ ცისკენ მიმქროლავ, ფრთებგაშლილ, მაგრამ ჩამოგდებულ და ტოტებზე დავარდნილ დიდ ფრინველს.

ხოლო ამ ადგილიდან ნახევარ კილომეტრზე ბრეზენტით გადახურული სამხედრო ყაიდის სატვირთო მანქანა იდგა, რომელშიც თავიანთი შავი საქმის აღსრულების შემდეგ დახოცილ საიგებზე ძილში ამონთხეულ რახისსუნიან ნარწყევში ჭერეხივით ეყარნენ ობერ-კანდალოველები. და ჰაერში ხმადაბალი დაძაბული ხვრინვა ისმოდა. ისინი გაშორდნენ აბდიას, რათა ღამით მარტო დაეტოვებინათ, უნდოდათ ჭკუა ესწავლებინათ მისთვის: დაე, იგრძნოს, რომ უჩვენოდაა; მაშინ უთუოდ ზურგს შეაქცევს ღმერთს და ძალის წინაშე ქედს მოიხრისო...

ასეთი სასჯელი აბდიას ყოფილმა მსახიობმა ჰამლეტ-გალკინმა გამოუგონა, იმ დროს, როცა უკვე ბოთლს წამდაუწუმ იყუდებდა და არაყს ნადგომი უგემური წყალივით სვამდა. ეს აზრი ჰამლეტ-გალკინმა ობერ-კანდალოვის საამებლად გამოთქვა — დაე, ამ ღვთისმოყვარულმა შიში იგემოს, დაე, იფიქროს, ხეზე ჩამომკიდეს, გამაკრეს და სულ წავიდნენო, უკან გამოდევნება მოუნდება, მაგრამ ვერ მიართმევენო...

დილით, ცისპირტეხისას მგლები ფრთხილად მიუახლოვდნენ თავიანთ ყოფილ ბუნაგს. წინ მიდიოდა აკბარა, რომელსაც ღამის განმავლობაში ფერდები ჩაუცვივდა, ძვალ-ტყავად ექცა, უკან პირ-

ქუშად, კოჭლობით მოსდევდა დიდთავა ტაშჩაინარი. ძველ ადგილას არავინ ჭაჭანებდა, ადამიანები ღამით სადღაც გამქრალიყვნენ, მაგრამ მგლები მიწაზე ისე აბიჯებდნენ, თუ შეიძლება ეს შედარება მივუსადაგოთ, როგორც დანაღმულ ველზე, წარმოუდგენლად ფრთხილობდნენ. ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ რაღაც მტრულსა და უცხოს: ჩამქრალ კოცონს, ცარიელ ქილებს, დამსხვრეულ მინას, სატვირთო მანქანის ნაკვალევში ჩარჩენილ რეზინისა თუ რკინის მქისე სუნს, დაცლილ ბოთლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ რახის სიმყრალე. მგლები ამ გაბინძურებული ადგილიდან სამუდამოდ წასვლას აპირებდნენ და ღარტაფის ნაპირს გაუყვნენ. უცებ აკბარა განზე გახტა და ადგილზე გაქვავდა — მან ადამიანი დაინახა! ორი ნაბიჯის დაშორებით საქსაულზე ხელებგაჩაჩხული, გვერდზე თავგადაგდებული ადამიანი ეკიდა. აკბარა ბუჩქებში შევარდა, მას ტაშჩაინარიც მიჰყვა. ხეზე ჩამოკიდებული ადამიანი არ ინძრეოდა. ქარი ტოტებში სტვენდა და მის თეთრ შუბლზე თმას არხევდა. აკბარა მიწას გაეკრა, ზამბარასავით დაიძაგრა, ნახტომისთვის გაემზადა. მის წინ იყო ადამიანი, უსაშინელესი არსება, მათი გამაუბედურებელი და შეურიგებელი მტერი: აკბარას საზარელი ბოღმა მოაწვა, გამძვინვარებული ოდნავ უკან დაიწია, რომ წამოვარდნილიყო, დაძგერებოდა და ყელში შუანები ჩაესო, მაგრამ ამ გადამწყვეტ წუთს ხეზე გაკრული იცნო. ნეტა სად ნახა? აჰ, ეს ხომ ის ახირებულია, რომელსაც ზაფხულში შეხვდა, როცა მთელი თავისი ოჯახით ტრამალში გაემართა, რომ სურნელოვანი ბალახის სუნი ესუნთქა. აკბარას გაახსენდა ის წამი და ზაფხულის დღე, ისიც, როგორ ეთამაშებოდნენ მისი ლეკვები ამ კაცს, ისიც, როგორ დაინდო და თავზე გადაახტა, როცა კაცი შიშით ჩაჯდა და თავი ხელებით დაიფარა. გაახსენდა კაცის შიშჩამდგარი თვალების შეშფოთებული გამომეტყველება, გაახსენდა, როგორ გაიქცა იგი, შიშველი და უმწეო...

ახლა ის კაცი უცნაურად ეკიდა დაბალ საქსაულზე, თითქოს ტოტებში გახლართული ფრინველიაო, და ძუ მგელს ვერ გაეგო, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი. კაცი არ ინძრეოდა, ხმას არ იღებდა, თავი გვერდზე ჩამოჰკიდებოდა, პირის კუთხიდან სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოსდიოდა. ტაშჩაინარმაც დააპირა, ჩამოკიდებულ კაცს დასძგერებოდა, მაგრამ აკბარამ იგი გვერდზე მიაგდო, თვითონ ხეზე გაკრულს მიუახლოვდა, ნაკვთებზე დააშტერდა და წყნარად აწკმუვლდა: მას ხომ ის შარშანდელი ყველა ლეკვი დაეღუპა. მუინყუმშიც ხომ მთელი სიცოცხლე მოისპო და ვიღას წინაშე დაეღვარა ცრემლი... ეს კაცი ვერაფრით დაეხმარებოდა, უკვე სიკვდილი მოახლოებოდა, მაგრამ სიცოცხლის სითბო ჯერჯერობით შერჩენოდა. კაც-

მა გაჭირვებით ასწია ქუთუთოები, აწკმუვლებულ ძუ მგელს ჩურჩულით უთხრა:

— მოხვედი...: — და თავი უმწეოდ ჩამოეკიდა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ამ დროს მოისმა ძრავას ხმაური — ტრამალში სამხედრო ყაიდის სატვირთო მანქანა გამოჩნდა. მანქანა მოდიოდა და თანდათან იზრდებოდა, მქრქალად მოაბრწყინებდა კაბინის მომრგვალო მინებს. კანდალოველები დანაშაულის ადგილას ბრუნდებოდნენ...

მგლებმაც არ დაახანეს, ძუნძულით გაეცალნენ იქაურობას, სულ უფრო აჩქარებდნენ ფეხს. უკან მოუხედავად გარბოდნენ — მუინყუმის მგლები სამუდამოდ ტოვებდნენ მუინყუმს, დიდ სავანას...

* * *

აკბარამ და ტაშჩაინარმა მთელი წელიწადი ალდაშისპირა ლელიანში დაჰყვეს. იქ გაუჩნდათ ყველაზე მეტი ლეკვები — სულ ხუთი ლეკვი! ლეკვები რომ წამოიზარდნენ, მგლებს ისევ დაატყდათ თავს უბედურება — ცეცხლი მოეკიდა ლელიანს. აქ ღია მთამადნეულის დასამუშავებელ ადგილებში მისასვლელი გზები გაჰყავდათ და აუცილებელი გახდა ლელიანის დაწვა. ამიტომ ალდაშას ტბის გარშემო ასობით და ათასობით ჰექტარზე ძველთაძველი ლელქაში განადგურდა. ომის შემდეგ ამ მიდამოებში იშვიათი ნედლეულის დიდი საბადოები აღმოაჩინეს და ტრამალში თავის მხრივ კიდევ ერთი ვეებერთელა უსახელო საფოსტო ყუთი იქმნებოდა. ასეთ შემთხვევაში რა იყო ლელქაში, როცა თვით ტბის, თუნდაც უნიკალური ტბის განადგურებას ვერაფერი შეაჩერებდა, რაკი საქმე დეფიციტურ ნედლეულს ეხებოდა. ამდაგვარი საქმისთვის შეიძლებოდა თვით დედამიწა გამოეშიგნათ გოგრასავით.

თავდაპირველად ლელქაშის ჯუნგლების თავზე თვითმფრინავები დაქროდნენ და მაღლიდან რაღაც საწვავის ნარევს ასხამდნენ, რათა მცენარეულობას საჭირო წამს ერთბაშად მოსდებოდა ცეცხლი.

ხანძარი შუაღამით გააჩინეს. ლელქაშს, რომელსაც აალებადი ნივთიერება ჰქონდა მოსხურებული, დენთივით ედებოდა ცეცხლი, ულრან ტყეზე უფრო მაგრად და ძალუმად იწვოდა. ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა, კვამლი ისე ეფინებოდა ტრამალს, როგორც ნისლი ედება მიწას ზამთარში.

როგორც კი დამწვრის სუნმა დაჰკრა და სხვადასხვა კუთხეში ცეცხლი გაჩნდა, მგლები აქეთ-იქით მიაწყდნენ ლელიანში, ლეკვების გადარჩენას შეეცადნენ: კბილებს ავლებდნენ, ხან ერთ ადგილას გადაჰყავდათ, ხან მეორე ადგილას. ალდაშისპირა შაბნარში მეორედ

მოსვლა დაიწყო. ტბის თავზე ურიცხვი ფრთოსანი დაფრინავდა და მათი გულგამგმირავი ჟივილ-ჭყივილი ირგვლივ მრავალ ვერსზე სწვდებოდა ტრამალს. ყოველივე, რაც კი გაუგალ ლელიანში საუკუნეობით ცხოვრობდა — დაწყებული გარეული ღორებითა და გათავებული გველებით — ერთიანად შიშისზარმა მოიცვა — ყველა ცოცხალი არსება აწრიალდა. ასე დაემართა მგლებსაც: მათ ყოველი მხრიდან შემოადგა ცეცხლი, თავს მხოლოდ ცურვით თუ დაიხსნიდნენ. აკბარამ და ტაშჩაინარმა სამი ლეკვი ცეცხლში მიატოვეს, დანარჩენ ორს კბილები ჩაავლეს და შეეცადნენ, ყურე გაეცურათ. როცა ბოლოს მოპირდაპირე ნაპირს მიაღწიეს, დაინახეს, რომ ორივე ლეკვი დახრჩობოდათ, თუმცა ყოველნაირად ცდილობდნენ, წყლის ზემოთ ჰყოლოდათ.

აკბარა და ტაშჩაინარი კვლავ იძულებულნი გახდნენ ახალი მხარეები ეძებნათ. ამჯერად მთებს მიაშურეს. ინსტინქტი კარნახობდათ, რომ ახლა მთები ერთადერთი ადგილი იყო დედამიწაზე, სადაც შეიძლებოდა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

მგლებმა უკან მოიტოვეს ადამიანთა მიერ დაგზნებული, აბოლებული, ჰორიზონტს ჩამოფაფრული ხანძრები და დიდხანს მიდიოდნენ, კურდაის ზეგანზე მიიწევდნენ. რამდენჯერმე იძულებული გახდნენ, ღამით დიდი გზატკეცილები გადაეჭრათ, რომლებზეც ფარანებანთებული მანქანები დაქროდნენ. ამ სწრაფად მიმქროლავ სინათლეებზე საშინელი ჯერ არაფერი შეხვედროდათ. კურდაის შემდეგ აქ-ტიუზის მთებში გადავიდნენ, მაგრამ უშიშრად ვერც იქ იგრძნეს თავი და გადაწყვიტეს, უფრო შორს წასულიყვნენ. აქ-ტიუზის უღელტეხილის გადავლის შემდეგ ისიქ-ქოლისპირა ქვაბულში მოხვდნენ. იმის იქით აღარსად წაესვლებოდათ. წინ ზღვა იყო...

აქ აკბარამ და ტაშჩაინარმა კიდევ ერთხელ ხელახლა დაიწყეს ცხოვრება...

და ისევ გაჩნდნენ ლეკვები — ამჯერად ქვეყანას ოთხი პატარა მოევლინა.

ეს იყო უკანასკნელი, თავგადაკლული ცდა მოდგმის გაგრძელებისა.

მაგრამ იქ, ისიქ-ქოლზეც საშინელი ტრაგედიით დასრულდა მგლების ეს თავგადასავალი...

მესამე ნაწილი

I

ადამიანები ეძებენ ბედს, ბედი კი ადამიანებს... და მიედინება ცხოვრება ამ წრეზე... ხოლო თუ სწორია, რომ ბედი ყოველთვის აღსრულებას ესწრაფვის, მაშინ ასე ყოფილა ამჯერადაც. ყველაფერი საოცრად უბრალოდ და ამის გამო ბედისწერასავით გარდუვალად მოხდა.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ბაზარბაი ნოიგუტოვი იმ დღეს მეგზურობაზე მოურიგდებოდა გეოლოგებს, იმის ბაიბურშიაც არ იყო, თუ მათ მეგზური დასჭირდებოდათ. გეოლოგებმა თვითონ მოძებნეს იგი, თვითონ შესთავაზეს, გამოგვყევიო.

გეოლოგები აქ, ტამანში, ტრაქტორის ნაკვალევს ამოჰყვნენ; ამ გზით საკვები მოჰქონდათ ხოლმე ცხვრისთვის.

— რატომ ჰქვია ამ ადგილს ტამანი? — იკითხა ერთმა.

— რატომ კითხულობ?

— ისე, ცნობისმოყვარეობის გამო...

— ტამანი ლანჩაა. ხედავ, აგერ, ფეხსაცმელის ლანჩას. აქ კი მთების ლანჩაა, ამიტომაც ჰქვია ტამანი.

— თურმე რა ყოფილა! მაშასადამე, აქედან მომდინარეობს ტამანიც და ცნობილი ტამანის დივიზიაც!

— აბა, რა ვიცი, ძმობილო. ეგ გენერლებს მოჰკითხე. ჩვენი საქმე კი, მოგეხსენება, მწყემსობაა.

ჰოდა, მაშასადამე, ამოაღწიეს გეოლოგებმა ტამანამდე, შემდეგ კი, განაცხადებენ, გზა მხოლოდ რუკით ვიცით და უკეთესი იქნება, თუ მთებში ადგილობრივი ვინმე გამოგვყვებაო. რატომაც არ გაპყვებოდა! მით უმეტეს, ფულს იძლეოდნენ. აჩი-ტაშის ხეობაში ოთხი კაცის აყვანას კი რა დიდი ამბავი უნდოდა. იქ გეოლოგები რაღაც სინჯებისმაგვარს აიღებდნენ, ცხადია, ოქროს სინჯებს — ისინი მარტო ოქროს ეძებენ. ხოლო თუ იპოვიდნენ, ამისთვის დიდ ფულად პრემიებს მისცემდნენ. ჰო, ეს, ვთქვათ, მათი საქმე გახლდათ, ბაზარბაი კი საღამოს ტამანის ფარეხში უნდა დაბრუნებულიყო, სადაც თავის ფარით იზამთრებდა. ამით ამოიწურებოდა ყველაფერი.

ბიჭები კი ფულზე სულაც არ დაფიქრებულან, თუმცა ქალაქელები იყვნენ. რაწამს ბაზარბაი გაჭირვეულდა: არა მცალია, მეგზურად ვიარო, საცაა მეურნეობის უფროსობა ჩამოიგრიალებს, თქვენ რა გიჭირთ, მე კი მომიკითხავენ, იტყვიან, სადაა თავჩობანი ბაზარბაი ნოიგუტოვი, სად ოხრობაშია, როცა აგერ-აგერ დოლი დაიწყებაო. ჰოდა, ვინ აგებს პასუხს? — ყმაწვილკაცები მაშინვე ეცნენ, აღუთქვეს, ოცდახუთმანეთიანს მოგცემთო. გინახავთ ამისთანა ბრიყვები! ამათ რად უნდათ ლოლიაობა, ფული ხაზინისაა, ხოლო ხაზინა არ გაღატაკდება. თვითონაც ხომ არასდროს დაიხევენ უკან, თუკი სადმე ფული გამოდნება. ჰოდა, იხადონ, რა უჭირთ. ბაზარბაისთვის გეოლოგების ადგილზე მიყვანა არაფერი ბედენაა, მოახტება ცხენს და შეუბერავს. ის ხომ ისედაც ლამის დღეგამოშვებით დაწანწალებს საჭირო და არასაჭირო საქმეებზე, განსაკუთრებით ქორწილში თუ ქელეხში, სადაც გადაყლურწვა შეიძლება. როცა ჯამაგირის მოსატანად საბჭოთა მეურნეობის კანტორაში მიდის, მთელი ბრიგადა განიცდის: უფროსი მწყემსიც, ორი მორბედი მწყემსიც, ლამის მწყემსიც, განსაკუთრებით ცოლი (იგი მუშად ირიცხება ბრიგადაში) და სადედეს დამხმარე-მენოტოენიც, რადგან ღამით ბრუნდება და ისეა გალეშილი, ცხენზე ძლივს იმაგრებს თავს, თან ხალხის ფული მოაქვს. ამიტომაც საზიზღარმა ცოლმა, მგონი, მეურნეობის დირექტორთან უჩივლა. ჰოდა, ახლა უკვე სამი თვეა მოლარე ბორონბაი თვითონ მოდის და არიგებს ჯამაგირს, ამბობს, წესით ყველამ პირადად უნდა მოაწეროს ხელი უწყისშიო, იაროს, ბატონო, თუ ეხალისება...

აგერ კი ოცდახუთმანეთიანი თითქმის მუქთად ჩადის ჯიბეში. მართალია, აჩი-ტაშის საცალფეხო გზა კლდოვანია, ალაგ-ალაგ ისე ჩახრამულიც, სული შეგიგუბდება, ადვილად მოიტეხ კისერს, მაგრამ მთა აბა რის მთაა, ჰეე? ეგ შენ სტადიონზე სირბილი არ გეგონოს, რისთვისაც მედალსაც ჩამოგკიდებენ კისერზე. თუმცა გასაკვირი რაა — ამქვეყნად არც ძველად იყო სამართლიანობა და არც

ახლაა — აქ ზამთარ-ზაფხულ მთებში ხარ, ასფალტი შენ არა გაქვს, წყალსადენი და ელექტროშუქი, ჰოდა, იცხოვრე როგორც გენებოს, მთელი წელი ედექი ცხვარს აყროლებულ დრემლაში, იქ კიდევ თეთრჩუსტებიანი ვიღაც ცქვიტი ბიჭი სტადიონზე მარდად გაირბენს, ანდა კარში ბურთს გაიტანს — თანაც თავისდა სასიამოვნოდ — და ხალხი სიხარულისაგან ჭკუას კარგავს, ის ცქვიტი ბიჭის სახელდიდებას იხვეჭს, გაზეთებშიც სულ იმაზე წერენ, ის კი, ვინც დილიდან საღამომდე წელში წყდება, არც უქმე დღეები იცის, არც შვებულება, თავს ძლივს ირჩენს, ჰოდა, ჯავრიან გულზე დალევ, მაშ, რა იქნება; შემდეგ ამისთვის ცოლი თავს წაგჭამს და გული გეხურება. აქეთ — ნამატი მოიტაო, არც ერთი ნერბი ბერწი არ დაგირჩეს, წონის ნამატი მოიტა, წმინდა მატყლი მოიტაო, იმუქრებიან, მატყლის მაგივრად სინთეტიკა არ გინახოთო. მერედა სადაა ეს სინთეტიკა, როცა კრეჭვა დაიწყება, ასი კონტროლიორი ბორასავით დაგაცხრება და პირწმინდად გაგცლიან, ბეწვს არ შეგარჩენენ. წმინდა მატყლი ვალუტისათვის გვჭირდებაო... ეტყობა, ძალიან სჭირდებათ ვალუტა... და ეს ყველაფერი სულ წყალში იყრება. აი, დასწყევლოს ეშმაკმა ეს ცხვარიც, ხალხიც და ეს ძაღლუმადური ცხოვრებაც...

ამგვარი უსიხარულო ფიქრები ეხვეოდა ბაზარბაის გზად. ამიტომ სულ დუმდა, ხანდახან თუ მობრუნდებოდა უკან მომავალი გეოლოგებისკენ და მათ სახიფათო ადგილებს უთითებდა... გუნება მოშხამული ჰქონდა და სულ ამ საზიზღარი დედაკაცის გამო... ო, ეგ ქოფაკი, ეგა! უსათუოდ უნდა ახტეს-დახტეს, უსათუოდ ბღავილი უნდა ატეხოს. ახლაც ხომ მორთო წივილ-კივილი, თანაც უცხოთა თანდასწრებით. ხანაც გული შეუღონდება. ჰოდა, მთელი ცხოვრება ასე თავდაყირა მიდის! ძველად ტყუილ-უბრალოდ კი არ ამბობდნენ: ქალი ღამით კატასავით ლაციცაა, დღისით კი გველივითაააო. გაგონილა! აღრიალდა! შენო, მეუბნება, ოღონდაც აქეთ-იქით გაწანწალა და მეტი არა გინდა რაო, ნეტა რად დაგიჭირვეს ამათმა, ამ გეოლოგებმაო, აქ საქმე თავსაყრელადაა, უკვე დოლი დაიწყო, პატარა ბავშვები კისერზე გვკიდია, უფროსები ინტერნატში მთლად წავიდნენ ხელიდან, არდადაგებზე ჩამოვლენ და ჭამის მეტი არაფერი ახსოვთ, ცხრა პირი ტყავი უნდა გადაიძრო და ჩაახეთქო, მე შენ გეტყვი, რამეში ხელს წამოგიკრავენ, გამწარებით ახრჩოლებენ პაპიროსს, ყოველგვარ სიკეთესთან ერთად ეგებ არც არაყს იკლებენ. ინტერნატში მაგათ ვინ უნდა უმეთვალყუროს, დირექტორი ლოთი ჰყავთ, შინაც ვის უნდა მიბაძონ? შენ კი სულ იმაზე ხარ გაფაციცებული, სად გაშპე, სად ჩაისხა მუცელში. კიდევ კარგი, ცხენს თვითონ მოყავხარ შინ, თორემ კარგა ხანია სიმთვრალეში სადმე გზაზე

ჩაძაღლდებოდიო.

ხედავ ამ ბილწ დედაკაცს! რამდენს ვცემ, რამდენს ვასწავლი, მთელი სიცოცხლე დალილავებულ-დალურჯებული დადის. რის გამოც კოკ ტურსუნი — ნაცარა ტურსუნი — შეარქვეს, საზიზღარი ენის დამოკლება კი ვერა და ვერ ისწავლა.

ახლაც ეს თახსირი გეოლოგების თვალწინ უდროო დროს აწივლდა. მერედა ასეთი რამისთვის რამდენჯერ ლამის დაახრჩო. იმ ზომამდე მიჰყავდა, თვალები ეკარკლებოდა! შემდეგ ქალი პირობას აძლევდა, სიტყვას არ შემოგიბრუნებო, და არ შემოუბრუნა! მაგრამ ბაზარბაის არ გასჭირვებია, ხმა ჩაეკმენდინებინა. შინ მიიხმო, რაღაც უნდა გითხრაო, და რაწამს სახლში შევიდა, უსიტყვოდ მიაჭეჭყა კედელს, კინაღამ სული ამოჰხადა. სწორედ ამ დროს ცოლის უკვე დაშრეტილ, გალურჯებულ, დანაოჭებულ სახეში, შიშისგან ამღვრეულ თვალებში განვლილი წლების მთელი ნაღველი და უსასოობა დაინახა, მის მომაკვდინებელ მზერაში, გან-გან გაფლაშულ უკბილო შავ პირში ცხოვრებაში ხელის მოცარვა, ცხოვრებაზე გულისწრომა ამოიკითხა და თავისივე თავი შეზიზღდა.

— უჰ, შე ძუკნა შენა, ერთი კიდევ წამოგიროშავს სისულელე და გაგსრეს გველის წიწილივით! — მრისხანედ უთხრა ცოლს და განზე მიაგდო.

ცოლმა მდუმარედ აიღო ვედრო, კარი გაიჯახუნა და ეზოში გავიდა. ხოლო ბაზარბაიმ სული მოითქვა, გარეთ გამოვიდა, ცხენს მოახტა და გეოლოგებთან ერთად გზას გაუდგა.

კიდევ კარგი, ცხენი გვარიანი ჰყავდა, ის ანიჭებდა ერთადერთ სიხარულს. ცხენი მართლა კარგი გახლდათ, ცხენსაშენიდან გამოყვანილი, ვიღაც ახირებულს ფერის გამო დაეწუნებინა. ვერ იტყოდი, ქურანია თუ წითური ფერი ეგებ სჭარბობსო. მაგრამ ფერი რა მოსატანია? ფეხმარდი იყო, თვითონ იცოდა, სად ევლო მთებში, რაც მთავარია, გამძლეობით გამოირჩეოდა, მგელი ტოლს რას დაუდებდა. სულ უნაგირი ედგა, სიგამხდარე კი არ ეტყობოდა. რაღა თქმა უნდა, კარგი ცხენი ჰყავდა, იმ არემარეზე მისთანა ცხენი, მგონი, არც ერთ მეცხვარეს არ მოეძევებოდა ბოსტონის, მეურნეობის ამ მოწინავის მეტს. მაგარი ვიღაცა იყო ეს ბოსტონი, უნდა ითქვას, წუწურაქის ერთი. ის და ბაზარბაი ერთმანეთს რატომღაც მთელი დღე და მოსწრება ვერ იტანდნენ. ჰოდა, ამ ბოსტონის ცხენზე აუგი არ დაგცდებოდა, ფერიც მშვენიერი ჰქონდა. დონკულიუკი ერქვა ჩალისფერ დონურ იაბოს. გაუმართლა ბოსტონს. აპატივებს ცხენს ბოსტონი, მაშ, როგორ, ცხენზე ვაჟკაცურად უნდა გამოიყურებოდეს, ახლა ხომ ახალგაზრდა ცოლი ჰყავს, ერნაზარის ქვრივი, აი, იმისა, სამი წლის წინათ ალა-მონგიუს უღელტეხილზე ნაპრალში, ყინულებში რომ

ჩავარდა და შიგვე ჩარჩა...

მგზავრები მეტწილად დაწალიკებით მიდიოდნენ და ამიტომ დუმდნენ, ცოლთან ჩხუბის შემდეგ ბაზარბაიც მაინცდამაინც ვერ იყო ლაპარაკის გუნებაზე. ჰოდა, მდუმარედ მიდიოდნენ. ზამთარი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მზიან ფერდობებზე, რომელნიც მინდობილად იმზირებოდნენ თოვლიდან, უკვე გაზაფხული სუნთქავდა. იმ წუთს სიმშვიდე და ნათელი სუფევდა დედამიწაზე. დაბლობში ლურჯად მოკამკამე ვეება ტბის გაღმა მდებარე მთებს უკვე შუადღის მზე წამოადგა.

ბაზარბაიმ გეოლოგები მალე მიიყვანა ხეობის ყელში და აი, მათ თვალწინ უკანასკნელად გაკრთა ისიქ-ქოლის სარკესავით ზედაპირი, მთებს მოეფარა ტბის შემოგარენი, ხოლო მგზავრებს თავზე პირქუშად წამოეხურათ პიტალო კლდეები, დაიწყო მთლიანი ქარაფები. ირგვლივ მხოლოდ ქვები, უკაცრიელი ადგილებია და აქ რა უნდა ეძებონ ამათ? — ჰკვირობდა აქეთ-იქით მაცქერალი ბაზარბაი. მან გადაწყვიტა, როგორც კი გეოლოგებს ადგილზე მივიყვან, უმალ უკან გამოვბრუნდებიო. აჩი-ტაშის ხეობა ისე გრძელი არ იყო, როგორც მისი პარალელური ბაშათისა, რომელიც ტბაზე გამოდიოდა, მაგრამ ბაზარბაის ბაშათის ხეობიდან სახლამდე უფრო მოკლე გზა ედო და ამიტომ მოიგუნება უკან წამოსვლისას ამ ხეობაში გადასვლა. გამოეშვიდობა გეოლოგებს და გადავიდა კიდევაც, მაგრამ ვიდრე ამას იქმოდა, როცა ოცდახუთმანეთიანი ჯიბეში ჩაიდო, მათ ჩაუარაკა:

— თქვენ ხომ, მეგობრებო, მგონია, კაცები გქვიათ, — ჩაიცინა და ულვაშზე ამპარტავნულად გადაისვა ხელი, — არც მე ვარ ძუძუმწოვარა ღლაპი. ჰოდა, ახლა აქედან ვითომ ხახამშრალი უნდა გამიშვათ?

ბაზარბაის დიდი-დიდი ერთი ჭიქა სასმელის იმედი ჰქონდა, გეოლოგებმა კი გულუხვობა გამოიჩინეს და ადგილობრივ კვემრეწვის დამზადებული ნახევარი ლიტრა არაყი აჩუქეს — აჰა, შინ დალიეო! ამასს კი აღარ მოელოდა ბაზარბაი, მყის გამხიარულდა, აფუსფუსდა, გეოლოგებს უჩვენა, სად უკეთ გაიშლებოდა კარავი, სად მოეჭრათ საკოცონე ეკალბარდები, ყველას სათითაოდ ემშვიდობებოდა, ყველას სათითაოდ, დიდხანს ართმევდა ხელს, ცხენისთვის ხურჯინით წამოღებული შვრიაც არ უჭმევია — გაძლებს განა, განა პირველია ეს მისთვისო — საჩქაროდ აიყალყა უნაგირზე და გზას გაუდგა. როგორც ჰქონდა გადაწყვეტილი, ისე მოიქცა: მალე მოძებნა ბილიკი, ნახევრად თოვლით დაფარული ქედი გადმოვლო და ბაშათის ხეობაში დაეშვა. აქ ფერდობებზე მეჩხერი ტყეები შეფენილიყო და მეტი სინათლე იდგა. ბაშათი აჩი-ტაშივით პირქუში არ ჩანდა.

რაც მთავარია, უამრავი ნაკადული და წყარო მოედინებოდა. ამიტომაც ერთქვა ხეობას ბაშათის — წყაროების — ხეობა.

ბაზარბაის მოსვენებას არ აძლევდა ქურთუკზე მოცმული საწვიმრის ჯიბეში ჩადებული ნახევარლიტრიანი. წამდაუწუმ ხელს უთათუნებდა და თვალს აცეცებდა, სად, რომელ ნაკადულთან სჯობს ჩამოხტომაო. ზომა კი იცოდა — ნახევარს დალევდა, წყალს დააყოლებდა და გზას განაგრძობდა. შეზარხოშებული ბაზარბაისათვის მთავარი იყო, როგორმე უნაგირზე დამჯდარიყო, თორემ შემდეგ საიმედო ცხენი თავის ადგილზე მიიყვანდა. იგი უნაგირიდან თავის დღეში არ გადმოვარდნილა და მრავალტანჯული კოკ-ტურსუნი ტყუილად როდი ამბობდა, ჩემი ქმარი ეშმაკების ნათლულიაო.

ბოლოს ბაზარბაიმ მყიფე, გამჭირვალე ყინულის ქერქის ქვეშ ქვებში გატაცებით მოლიკლიკე ნაკადული შეათვალთვალა. ეს ადგილი მოხერხებული ეჩვენა. ირგვლივ ტირიფისა და კოწახურის ბუჩქნარი ჩანდა, თოვლი ნაკლებად იყო, შეიძლებოდა ცხენი დაერწყულებინა და ეჭმია კიდეც მისთვის. ამიტომ ლაგამი წაპყარა, უნაგირიდან შვრიიანი ხურჯინი მოხადა, ხურჯინს ცალ თვალზე შესაკრავი მოუშვა და ცხენს დრუნჩთან მიუტანა. ცხენმა შვრია აახრამუნა, გაღეჭა; შვებით ქშინავდა და თვალებს ლულავდა, თითქოს დაღლილობას უგანებსო. ბაზარბაიმ კი წყლის პირას, კორძიან ხეზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა, ჯიბიდან ნახევარლიტრიანი ამოიღო, შეფრფინვით გახედა სინათლეზე, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი შეამჩნია, მხოლოდ ის შენიშნა, რომ დღე უკვე ილეოდა, მთებში ირიბად წვებოდნენ ჩრდილები, მზის ჩასვლას ერთ საათზე ცოტა მეტი უკლდა. ხოლო ბაზარბაის არსად ეჩქარებოდა. იგი წინასწარ ტკბებოდა არყის ნაცნობი, გამომაყეყეჩებელი ზემოქმედებით, ნახევარლიტრიანი დინჯად გახსნა მსხვილი ფრჩხილით, დაყნოსა, თავი გააქნია და მიიყუდა. ცეცხლოვანი სითხე მანჭვით მოყლურწა რამდენიმეჯერ, შემდეგ ნაკადულიდან პეშვით ამოიღო წყალი და ყინულის ნატეხებიანად შეხვრიპა. ყინულის ნატეხებს ისეთი კნატაკნუტი აუტეხა, ტვინში აუვარდა მათი ხმაური. სახე საზიზღრად დაეჯღანა, ჩაიფხუკუნა, შემდეგ ჩაიჯიყჯიყა, თვალები მილულა, იმ წამს ელოდა, როცა თავი დაებანგებოდა, როცა მთელი სამყარო — მთები, კლდეები — შეყანყალდებოდნენ, თითქოსდა ნისლში გაცურდებოდნენ, მაღლა აფრინდებოდნენ, როცა მის გახურებულ თავს ბუნდოვანი ბგერები, ხმები მოელანდებოდა და გაირინდა, თვალები დახუჭა, მზად იყო სიმთვრალესთან შესანივთებლად. ამ მოდუნების წამს სადღაც, იქვე ძლივს გასაგონი წკმუტუნი მოისმა, თითქოს ბალღმა დაისლუკუნაო. რა უნდა ყოფილიყო? სადღაც იქ, კოწახურის ბუჩქების, ქვების ჩამონაშვავის მიღმა ისევ აწკმუტუნდა ვიღაც სულმ-

თლად ლეკვივით... ბაზარბაი გაყურადდა, კიდევ ერთხელ უნებლიეთ მოყლურწა არაყი, შემდეგ ბოთლი ქვას მიაყუდა, მაგრად მოიწმინდა ტუჩები და წამოდგა. კიდევ ერთხელ მიაყურადა, სმენა დაძაბა და მიხვდა: ზუსტად ასეა, არ შევმცდარვარო. მახლობლად რომელიღაც პატარა მხეცუნები წკმუტუნებდნენ.

იქ მგლის ბუნაგი იყო და აკბარას და ტაშჩაინარის ლეკვები წკმუოდნენ, ამდენხანს სად წავიდნენ ჩვენი მშობლებიო. მუინყუმის სავანიდან გამოქცევის შემდეგ, უშვილძიროდ გატარებული ერთი წლის შემდეგ, ალდაშისპირა ლელიანში აბრიალებული ხანძრის შემდეგ, გაზაფხულის პირზე აკბარას სეზონისათვის ნაადრევი ნაყარი — ოთხი ლეკვი გაუჩნდა.

ხოლო ბაზარბაი უკვე ბუნაგისკენ მიდიოდა, ნადირის სავალს ეძებდა. ფხიზელი რომ ყოფილიყო, ალბათ დაფიქრდებოდა, ღირს თუ არა იქ შეძრომაო. ბუნაგი უცებ ვერ მოძებნა ნაპრალში, მაგრამ გამოცდილებამ უშველა: როცა გულმოდგინედ დაათვალიერა ლიპმოდებული თოვლი, ზედ ნაკვალევის მკაფიო ჯაჭვი შეამჩნია. ნაკვალევი იმაზე მეტყველებდა, რომ მგლები სიფრთხილისათვის თათებს სულ ძველ ნაფეხურებზე დგამდნენ. შემდეგ ბაზარბაიმ ბუჩქებში ქვების ჩამონაშვავში შემოხრული, ნახევრად დაღრღნილი ძვლების მთელ სასაფლაოს წაადგა. მაშასადამე, მგლებს ნადავლის ერთი ნაწილი აქ მოჰქონდათ და მშვიდად შეექცეოდნენ. დაყრილი ბარძაყის ძვლებისა და სახსრების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მგლები ამ მიდამოში კარგა ხანია ცხოვრობდნენ. ახლა ბუნაგის შესასვლელის მოძებნა ადვილი იყო.

ძნელი სათქმელია, რატომ არ შეეშინდა ბაზარბაის ნაპრალში შეძრომა, სადაც შეიძლებოდა მოზრდილი მხეცებიც დახვედროდნენ. დამშეული უგუნური ლეკვები კი გამუდმებით წკმუოდნენ, ამხელდნენ, სად იყვნენ, და მას თითქოსდა თავისკენ უხმობდნენ.

ნეტავ სცოდნოდათ ძუძუთა ლეკვებს, რომ აკბარა ტაშჩაინართან ერთად ამჯერად დალხინებული ცხოვრების გამო არ წასულა სანადიროდ — მგლებს მძიმე წინასაგაზაფხულო დღეები დაუდგათ, როცა ყველა ცოცხალი არსება დამჭლევებულია, როცა ყველაზე უფრო სუსტი ნიამორები და არხარები გარშემო სულ გაწყვეტილია, როცა დოლის მოლოდინში გარეთხების არვეები ძნელად მისადგომ კლდეებში იმყოფებიან, ხოლო შინაური ცხვრის ფარები ამავე მიზეზით ახლა მხოლოდ დაკეტილ ფარეხებში ჰყავთ. ასეთ პირობებში ლეკვებისთვის გამუდმებით ძუძუს წოვება არცთუ ისე ადვილი იყო. აკბარა სუსტდებოდა, სულ გადასხვაფერდა — ცარიელი თავიღა დარჩა, ფეხები დაუწვრილდა, დვრილები ჩამოეფლაშა. მგლები საერთოდ განსაკუთრებულად ამტანი მხეცები არიან — შეუძლიათ რამ-

დენიმე დღე ზედიზედ იშიმშილონ, მაგრამ ლეკვებიანი ძუ ასე ვერ მოიქცევა. აკბარას ცხოვრება აიძულებდა სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო — დიდი ნადირობა წამოეწყო და თუ სიკვდილი ეწერა, მის ძუძუთა ლეკვებსაც სული ამოხდებოდათ.

ტაშჩაინარი ჩვეულებისამებრ უკან მიჰყვებოდა. ისინი სწრაფად უნდა მობრუნებულიყვნენ — სწრაფად დასდევნებოდნენ მსხვერპლს, სწრაფად მოენადირებინათ, სწრაფად, ნაგლეჯ-ნაგლეჯ ჩაენთქათ ხორცი, სწრაფად ამოეყორათ კუჭი და სწრაფად მოერბინათ ბუნაგში საჭმლის მოსანელებლად — ძუს მთავარი საზრუნავი ხომ ლეკვების რძით გამოკვება იყო.

იმ დღეს გზა მზისგულზე სრიალა აღმოჩნდა, ზამთარში მოყინულ ჩრდილოვან ადგილებში კი — გაქვავებული, მაგრამ მგლები სვლას არ ანელებდნენ, ჯიუტად მიქროდნენ მთებში. წლის ამ დროს, როცა წვრილ-წვრილი ცხოველები მიწის ქვეშ იმალებიან, ხოლო გარეულ და შინაურ ჯოგებს ვერ მიუდგები, ცხოვრებას ის ართულებს, რომ დიდ ცხოველებზე — ცხენებზე, ხარ-ძროხაზე, აქლემებზე — მარტო ვერ ინადირებ. ძალიან ღონიერი იყო ტაშჩაინარი, მაგრამ დიდ ნადავლს ბუნაგამდე ვერ მიათრევდა. უკანასკნელად, ორი დღის წინათ დაგლიჯა მთისწინეთში შეხეტებული ვირი. აკბარა ღამით ბუნაგიდან წამოვიდა და ხორცით კუჭი ამოიყორა, მაგრამ ვირები მთისწინეთში ყოველდღე ხომ არ დაეხეტებიან ასე უდარდელად. მათ ჩვეულებისამებრ ადამიანები ახლავთ. აი, დღეს რატომ წავიდა სალაშქროდ თვითონ აკბარაც, რათა ნადირობის ადგილზე მუცელი ამოევსო.

აკბარა თავდაპირველად თავის კანში ვერ გრძნობდა თავს, სულ შფოთავდა, ერთი-ორჯერ უკან მობრუნებაც დააპირა — ლეკვების ამბავი აწუხებდა: მათ ხომ გამუდმებით სჭირდებოდათ სითბო და რძე,— მაგრამ თავს მოერია, აიძულა ბუნაგი დროებით დაეცარიელებინა, ხოლო როცა ტბისპირა მიდამოში კვალს წააწყდნენ, მონადირულმა ინსტინქტმა მასში ყველაფერი დაჩრდილა.

აკბარას და ტაშჩაინარს გაუმართლა: ახალ ნაკვალევზე მიმავალნი ფართო ღარტაფში მოხვდნენ, რომლის განაპირას მარტო ძოვდა, ეტყობოდა, ჯოგს ჩამოცილებული სამი იაკი. მგლებს იაკებთან უკვე ჰქონდათ საქმე ერთი წლის წინათ და ისიც უკიდურესი გასაჭირის გამო. მაშინ ისინი, სხვა მხრიდან მოსული მგლები, იძულებულნი იყვნენ, ყველაფრისათვის მოევლოთ ბრჭყალი, რასაც გადაეყრებოდნენ. ახლა კი დრო სამყოფი ჰქონდათ. ადამიანები ახლომახლო არ ჩანდნენ, მგლებმაც მიიხედ-მოიხედეს და პირდაპირ გადავიდნენ იერიშზე. მოახლოებული მგლების დანახვაზე იაკები გაიქცნენ, მოუქნელად ისროდნენ ტლინკებს და ბღაოდნენ, მაგრამ მგლები მიე-

წივნენ და ისინიც გაჩერდნენ, ფერდები საბერველივით ებერებოდათ. იაკებმა რქებით შემოუტიეს მგლებს. სხვა გზა მათ აღარ ჰქონდათ. სამყაროში რამდენიმე წამით დამყარდა დასაბამიერი წონასწორობა: ცაზე მყოფი მზე, უდაბური მთები, სრული სიწყნარე, უკაცურობა ერთნაირად ეკუთვნოდა მცოხნელ ცხოველებსაც და მტაცებლებსაც. მცოხნელებს უნდოდათ თავი აერიდებინათ შეტაკებისათვის, მაგრამ მტაცებლებს არ შეეძლოთ ასე უბრალოდ შემობრუნებულიყვნენ და წასულიყვნენ, არ შეეძლოთ დაეტოვებინათ გულის შემაღონებელი შიმშილი. უსათუოდ უნდა ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში და თუნდაც ერთი იაკი დაეგლიჯათ, რათა თავიც გადაერჩინათ და შთამომავლობისათვისაც მიენიჭებინათ სიცოცხლე. იაკები არც დიდ-დიდნი იყვნენ, მაგრამ არც პატარანი, არც გამხდარნი, არც ნასუქნი, ზამთრის დამლევისთვის ირგვლივ გაფაფრული ბალანი შემოზრდოდათ. ეს ცხენისკუდიანი ცხოველები მიხვდნენ, რომ ბრძოლა არ ასცდებოდათ. შიშითა და სიბრაზით შეპყრობილებმა თავი ძირს დახარეს, ყრუდ ბუბუნებდნენ და ჩლიქებით მიწას თხრიდნენ. ცაზე კი წინანდებურად ანათებდა მზე, მთებიც, სადაც თოვლმა უკვე დნობა დაიწყო, მდუმარედ შემოდგომოდნენ გაშლილ ყვითელ ღარტაფს, სადაც პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბალახისმჭამელნი და ხორცისმჭამელნი. მგლები შორიახლო უტრიალებდნენ იაკებს, ხტუნვა-ხტუნვით იცვლიდნენ ადგილს, ხელსაყრელ წუთს უცდიდნენ. აკბარას ზუსტად გამოზომილი დრო ჰქონდა — ბუნაგში ლეკვები ელოდნენ და საფრთხეს არ შეეპუა: პირველი ეცა იმ იაკს, რომელიც უფრო სუსტი ეჩვენა. იაკს თვალებში სისხლი მოსდგომოდა, მიუხედავად ამისა, აკბარამ მზერაზე გაუბედაობა შეატყო. ვინ იცის, შეიძლებოდა ცდებოდა, მაგრამ ახლა განზრახვის გადაფიქრება გვიანი იყო. აკბარა კისერში ეცა იაკს. უკვე წამები წყვეტდა საქმეს. ვიდრე გაცოფებული იაკი თავს აქნევდა და ძუ მგლის მოცილებას ლამობდა, რათა იგი რქებით მიეჭედა მიწაზე, ტაშჩაინარი მეორე მხრიდან უნდა დასძგერებოდა, შუანებით ჩაჰფრენოდა ყელში ისე, რომ მყის გადაეჭრა მისთვის ყელის არტერიები, სისხლი დაენთხევინებინა, მისი ტვინი გამოეთიშა.

ასეც მოხდა, მაგრამ ვიდრე მოხდებოდა, იაკმა მანამდე მაინც მოახერხა აკბარას ჩამოგდება და მიწაზე მიკვრა. იგი ბღაოდა და რქებით მაღლა ისროდა აკბარას, წამიც რომ დასცლოდა, საბოლოოდ გასრესდა, გაქელავდა, მაგრამ აკბარა გველივით გამოუსრიალდა, ისევ თავზე დაახტა, ისლივით მჭრელი, ხეშეში ბალნით დაფარულ ღონიერ ქედში ჩააჭდო კბილები. ამ თავდასხმაში გამოვლინდა აკბარას მგლური ბუნების არსი, მისი სასტიკი მგლური ხვედრიმოკლას, რათა იცოცხლოს. მაგრამ მსხვერპლი ისეთი უწყინარი რო-

დი გამოდგა, როგორც საიგა ან კურდღელია, რომლებიც უდრტვინველად ჰმონებენ ძალმომრეობას. გამძვინვარებულ იაკს, თუმცა სისხლისგან იცლებოდა, კიდევ დიდხანს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, იქნებ გაემარჯვა კიდევაც. და მაინც ბოლოს აკბარას მფარველი ვარსკვლავი აღმობრწყინდა: თითქმის იმავ წუთს ტაშჩაინარი გვერდიდან ეცა და ყელში ჩააფრინდა ძუ მგელთან ბრძოლით გართულ იაკს. ტაშჩაინარის ნახტომს, ტაშჩაინარის კბილთა ჩაფრენას სიკვდილი მოჰყვებოდა ნიადაგ. ახლა მან ამ ნახტომში ჩაქსოვა მთელი ძალა. იაკი დაბარბაცდა, საკუთარი სისხლით სულშეგუბებულმა დაიხროტინა და ყელგამოღადრული ბღავილითა და ძაგძაგით დავარდა მიწაზე. თვალები ეყინებოდა. ვიდრე ბრძოლა მიმდინარეობდა, დანარჩენმა ორმა იაკმა მოკურცხლა, საკმაო მანძილი რომ გაირბინეს, ნაბიჯზე გადავიდნენ და აუჩქარებლად წაეხეტნენ ღარტაფში, თითქოს არც არაფერი მომხდარაო.

მგლები კი დასაგლეჯად ეძგერნენ ჯერ კიდევ სულთმობრძაე იაკს. იმის დრო არ ჰქონდათ, მსხვერპლის სიკვდილს დალოდებოდნენ, იმის გასარკვევად არ ეცალათ, რომელი მხრიდან დაეწყოთ მისი ჭამა. აკბარა იაკს საზარდულს გლეჯდა, თათებს და კლანჭებს იშველიებდა და იქვე ყლაპავდა ჯერ კიდევ ცხელი, ცოცხალი ხორცის ნაგლეჯებს. რაც შეიძლება მეტი ასეთი ნაგლეჯი უნდა გადაეყლაპა, რაც შეიძლება ჩქარა გაბრუნებულიყო ბუნაგისკენ, სადაც პატარა ლეკვები ელოდნენ. აკბარას არც ტაშჩაინარი ჩამორჩებოდა. მძვინვარე ბახბუხით, ღონიერი ყბებით ანადგურებდა სახსრებს, ლეშს უფორმო ნაწილებად აქცევდა ბარბაროსი ყასაბივით.

ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო. მხეცები ჯერ ხორცით გამოიტენიდნენ კუჭს, შემდეგ გზას გაუდგებოდნენ, ეცდებოდნენ, ჩქარა მიეღწიათ ბუნაგთან, ღამით კი ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ, რათა კიდევ ერთხელ გამომძღარიყვნენ და დარჩენილი ხორცი სადმე წაეთრიათ მარაგად. მაგრამ ეს შემდეგ მოხდებოდა. ახლა კი სულმოუთქმელად ყლაპავდნენ ხორცის ნაგლეჯებს...

ხოლო კლდის გადმონაშვერის ქვეშით ნაპრალში, სადაც ბუნაგი ჰქონდათ მგლებს, დამშეული ლეკვები ძალაუნებურად წკნაოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და კვლავ ერთად ქუჩდებოდნენ. როცა გარედან ფაჩუნი მოესმათ — ბუნაგში ბაზარბაი მოძვრებოდა, — წკავწკავს მოუმატეს, უღონო ფეხებით გასასვლელისაკენ წაღონღილდნენ, რითაც კიდევ უფრო გაუადვილეს საქმე ადამიანს. ბაზარბაი დაძაბულობისაგან ოფლად გაიღვარა. ვიწრო შესასვლელში ხელის ცეცებით მიძვრებოდა პიჯაკის ამარა, უქურთუკოდ. ლეკვებს ხელი დაავლო, სამი ზედიზედ ჩაისვა უბეში, ბოლოს, მეოთხეს ქეჩოში გაშლილი ხელი სტაცა და გარეთ გამოძვრა. გამოძვრა და თვალები მო-

ჭუტა, ისე ბრწყინავდნენ მაღალი მთები. ბაზარბაიმ მძლავრად ჩაისუნთქა ჰაერი. ირგვლივ ყურთასმენის დამხშობი სიწყნარე იდგა და მას მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ესმოდა. უბეში ჩასმულმა ლეკვებმა ღოღვა დაიწყეს, ხოლო ის, რომელიც ქეჩოთი ეჭირა, შეეცადა თავი გაეთავისუფლებინა. ბაზარბაი ისევ მძიმედ სუნთქავდა. უცებ აჩქარდა, ხელი დასტაცა ქურთუკს და ნაკადულისაკენ გაიჭრა. შემდეგ ყველაფერი თავისი რიგით წარიმართება: ბაზარბაი ოთხ ლეკვს, რომელთა მოტაცება და გაყიდვა განიზრახა, ძალიან მოხერხებულად ჩასვამს ხურჯინში. მათ სარფიანად რომ გაყიდდა, ამაში ერთი ბეწო ეჭვი არ ეპარებოდა: შარშან ხომ ერთმა მეცხვარემ ზოობაზას მთელი ნაყარი მიჰყიდა და თითო ლეკვში ორმოცდაათი მანეთი გაიკრა.

ბაზარბაიმ ცხენს შვრიიანი ხურჯინი გამოაცალა, შვრია სასწრაფოდ გადმოყარა ძირს, ხურჯინის თვლებში აქეთ-იქით ორ-ორი ლეკვი ჩასვა, ხურჯინი უნაგირს გადაჰკიდა, უნაგირის საწყვეტებით დაამაგრა, რათა არ ექანავა, ცხენს ლაგამი ამოსდო და ფეხი უმალ შედო უზანგში. ვიდრე გვიან არ იყო, აქაურობას უნდა გასცლოდა. აი, ბედიც ამას ერქვა! ოღონდ მგლების გამოჩენამდე კი უნდა მოექუსლა — ეს კარგად მოეხსენებოდა. ქვას მიყუდებული არყიანი ბოთლი მაშინღა მოაგონდა, როცა უკვე ცხენზე იჯდა, მაგრამ არაყსაც მიაფურთხა: ჯანდაბას მაგის თავი, ლეკვებში იმდენს ავიღებ, ასეთ ნახევარლიტრიანებს თავსაყრელად ვიყიდიო. ცხენი ააჩქარა. ხეობიდან რაც შეიძლება სწრაფად, მზის ჩასვლამდე უნდა გაეღწია.

შემდეგ ბაზარბაის თვითონ გაუკვირდება, როგორ არ დაფიქრდა, სიფრთხილე არ გამოიჩინა — თან ხომ იარაღიც არ ჰქონდა, ისე შეძვრა ბუნაგში. რა ეშველებოდა, მახლობლად რომ ძუ მგელი, ანდა თვითონ ხვადიც ყოფილიყო... ფურირემი ხომ რა შშვიდია და ისიც კი იცავს თავის პატარებს — მტერს არ ეპუება...

მაგრამ ბაზარბაი ყოველივე ამას მოგვიანებით დაუფიქრდება და თვითონაც გულს შემოეყრება, როცა წარმოიდგენს, რა საზღაური ელოდა საკუთარი ნამოქმედარისთვის. იმ წუთში კი ქურან ცხენს მიერეკებოდა, რომ უფრო სწრაფად ერბინა ბაშათის კლდოვან ხეობაში, სულ მზეს გასცქეროდა. მზე კი მის ზურგს უკან მთების სიღრმეში ეშვებოდა, საიდანაც თითქოსდა ფეხდაფეხ მოსდევდა ადრეული ბინდი. დიახ, უნდა ეჩქარა, რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო მთისწინეთში, ვრცელ ტბისპირეთში, სადაც გაშლილი ადგილები იყო და საითაც გინდოდა, იქით გააგელვებდი ცხენს, ვიწრო ხეობა კი ამის საშუალებას არ იძლეოდა...

რაც უფრო უახლოვდებოდა ბაზარბაი ტბისპირეთს, დასახლე-

ბულ სივრცეებს, მით უფრო ემატებოდა სიმტკიცე და სითავხედე. უკვე უნდოდა გამარჯვებით ეტრაბახა და ფიქრობდა, გზად რომელიმე ძმაკაც მეცხვარეს ხომ არ შეეუარო, რომ ნადავლი ვუჩვენო და დავასველო, ყოველი ლეკვისთვის თუნდაც ას-ასი გრამი გადავკრათ — მე ხომ ვალში არავის დავრჩები, როგორც კი ამათ გავასაღებო. დაენანა, ფაციფუცში ნაკადულთან ბოთლი რად დავტოვე, შიგ ორი მესამედი არაყი ჩარჩა, გზად პირდაპირ მივიყუდებდიო... ო, როგორ უნდოდა თავს მოფერებოდა! მაგრამ გონებამ მაინც უკარნახა, რომ ამას მოასწრებდა, ჯერ კი ლეკვები შინ უვნებლად უნდა მიეყვანა და ეჭმია, მართალია, სიცოცხლისუნარიანნი იყვნენ, მაგრამ მაინც ძუძუს წოვდნენ, ეს-ესაა აეხილათ თვალები, მერედა რა უაზროდ იყურებოდნენ... ოღონდაც იქ, ხურჯინში სული არ ამოხდომოდათ! ბაზარბაი იმის ბაიბურშიც არ იყო, რომ საშინელი მდევრები უკვე მოსდევდნენ და ოდენ ღმერთმა უწყოდა, რით დამთავრდებოდა ჯელაფერი...

იაკის ხორცით კუჭგამოტენილი მგლები ბილიკით ბრუნდებოდნენ ბუნაგში. წინ აკბარა მორბოდა, უკან — ტაშჩაინარი. ერთი სული ჰქონდათ, კლდის ქვეშ ბუნაგში თავიანთ ლეკვებთან მიეღწიათ, მათთან ერთად მორკალულად დაწოლილიყვნენ, დამშვიდებულიყვნენ, შემდეგ კარგა გვარიანად შეესვენათ და ღარტაფში დატოვებულ იაკის ლეშთან დაბრუნებულიყვნენ.

ასეთია ცხოვრება — საქმე აქაც უნდა მოესწროთ და იქაც. ამიტომ ხომ არ ამბობენ — მგელს ფეხები ასაზრდოებსო... ოღონდაც მარტო ფეხები?.. ლეშზე ხომ სხვა მგლებსაც შეიძლებოდა თვალი დარჩენოდათ, ზოგიერთს ხომ ხანდახან სხვისი ნადავლის ხელყოფა არაფრად უღირდა და მაშინ ჩხუბს ვერ ასცდებოდნენ, თანაც დაუნდობელ, სისხლის მღვრელ ჩხუბს. მაგრამ უფლება უფლებაა და ძალა უფლების მხარესაა...

აკბარას ჯერ კიდევ შორს, ჯერ კიდევ ბუნაგის მისადგომებთან გულმა რეჩხი უყო. თითქოს მის გვერდით რომელიღაც ფრინველი ლანდივით მოფრინავდა, ჩამავალი მზის შუქშიც რაღაც საშინელება იგრძნობოდა, თოვლიან მწვერვალებზე დაფენილი შემაშფოთებელი მეწამული ანაშუქი სულ უფრო მუქი და ქუფრი ხდებოდა. ბუნაგს მოახლოებულმა აკბარამ ფეხს აუჩქარა, უკან, ტაშჩაინარისკენ აღარც იხედებოდა, ბოლოს აუხსნელი წინათგრძნობით შეპყრობილმა სულაც ფრთები გამოისხა. უსაშველო შიშ-მღელვარება დაეუფლა, როცა უცხო სუნი იყნოსა: ჰაერში ცხენის მძაფრი ოფლისა და კიდევ გამაბრუებელი რაღაცის საზიზღარი სუნი ტრიალებდა. რა იყო ეს? რის სუნი უნდა ყოფილიყო? ძუ მგელი ნაკადულს გადაევლო, ბუჩ-

ქებში გამავალ ბილიკზე კლდის გადმონაშვერის ქვევით გაჩენილი ნაპრალისაკენ გაიჭრა და ბუნაგში შეძვრა. ჯერ გაირინდა, შემდეგ მონადირე ძაღლივით დაიწკმუტუნა, დაცარიელებული, დაობლებული ბუდის ყველა კუთხე-კუნჭული დასუნა, გარეთ გაიჭრა, შესასვლელთან ტაშჩაინარს დაეჯახა, გაავებით გაჰკრა მხარი, თითქოს დამნაშავე იყო, თითქოს მტერი იყო და არა მამა და მისი მეუღლე. ყოვლად უდანაშაულო ტაშჩაინარი თვითონაც შევარდა ბუნაგში და ძუ მგელს უკვე ნაკადულის პირას დაეწია. აკბარა თავგზააბნეული დარბოდა წინ და უკან და ნაკვალევს ყნოსავდა, მის მიხედვით ხვდებოდა, რა ამბავიც აქ დატრიალებულიყო. ეტყობოდა, ბუნაგს ვიღაც სწვეოდა, ახალი ნაკვალევი აუწყებდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ არემარეზე ადამიანი იმყოფებოდა — აი, დაბნეული შვრიის გრვა, რომელსაც ცხენის ლოპრის სუნი ასდის, აი, ცხენის ჩონჩორიკი, აგერ კი ის რაღაც გამაბრუებელი, საზიზღრად მყრალი სითხე ბოთლში. აკბარა შეძრწუნდა, როცა არყის სუნი ჩაისუნთქა. აგერ ადამიანის ნაფეხურიც, ქირზის ჩექმების ანაბეჭდი. ასეთ ჩექმებს მეცხვარეები იცვამენ. საშინელმა მტერმა, რომელიც აქ ცხენით მოვიდა და რაღაც საძაგელი ნივთიერებით სავსე ბოთლი მოიტანა, ძუ მგელს ბუდე დაუცარიელა, შვილები მოსტაცა! ვაითუ შეჭამა! აკბარა ისევ ეცა ყოვლად უდანაშაულო ტაშჩაინარს, გაცოფებულივით კბენდა, შემდეგ დახშული ბღღვინვით გაედევნა კვალს. ტაშჩაინარიც უკან მიჰყვა.

მგლები შეუცდომლად მისდევდნენ კვალს. კვალი სულ წინ და წინ, ხეობის გასასვლელისაკენ, სულ წინ და წინ, იქით, ადამიანთა მხარეს, ტბისპირეთისკენ მიდიოდა...

ხეობას გაცდენილ ბაზარბაის კი უკვე ჩორთით მიჰყავდა ცხენი გაშლილ ადგილას. დამრეც გორაკებზე, სადაც საზაფხულო საძოვრები გადაჭიმულიყო, და აი, შორს ტბის ბინდწამოპარული ნაპირიც აილანდა. ერთი საათიც და შინ იქნებოდა. მზე ამასობაში მიწის პირამდე დავიდა, მთის მწვერვალებს შორის ჩაწვა, შუქი აკლდებოდა, ინავლებოდა. ისიქ-ქოლიდან ცივმა ნიავმა წამოუქროლა. „ნეტავ ეს მხეცუნები არ გამეყინონ“, — გაიფიქრა ბაზარბაიმ, მაგრამ შესახვევი არაფერი ჰქონდა და გადაწყვიტა, ენახა, რას შვრებოდნენ იქ, ხურჯინში, ცოცხლები იყვნენ თუ არა. აბა, მკვდრები ვის რაღად უნდოდა! ბაზარბაი ჩამოქვეითდა, უნდოდა საწყვეტები გაეხსნა, რათა ხურჯინი ჩამოეღო და ენახა, რა ხდებოდა მის თვლებში, მაგრამ ცხენს შარდვა აუტყდა, ფეხებგაჩაჩხული შარდს აქეთ-იქით აშხეფებდა. ანაზდად შარდვა შუაზე შეწყვიტა და საოცარი ფრთხინვით განზე გახტა, ბაზარბაის ლამის სადავე გამოსტაცა ხელიდან.

— გაჩერდი! — დაუღრიალა ბაზარბაიმ. — ნუ მაიმუნობ!

ცხენი კი, თითქოს ცეცხლს გაურბისო, შეშინებული გაიწია განზე. ბაზარბაის არც მიუხედ-მოუხედავს, მაშინვე მიხვდა, რა აშფოთებდა ცხენს, წამისწამად გაყინული ზურგით იგრძნო, რომ მგლები საცაა თავს წაადგებოდნენ. მიეჭრა ცხენს, ის იყო ხელი სტაცა ფაფარში და ცხენიც ფთხინვით და ტლინკვით გაშმაგებით გაჭენდა. ბაზარბაი წაიხარა, რომ ქარის წინააღმდეგობა უკეთ დაეძლია, აქეთ-იქით იხედებოდა. შორიახლო ორი მგელი მოსდევდა. ცხენი წელან, ეტყობოდა, იმიტომ დაფეთდა, რომ მგლები ბორცვზე ამოიჭრნენ. ახლა ისინი ცდილობდნენ, მისთვის გზა მოეჭრათ. ბაზარბაი ივედრებოდა, გაახსენდა ღმერთები, რომელნიც სხვა დროს ფეხებზე ეკიდა! აუგად იხსენებდა ანაზდეულად გამომტყვრალ გეოლოგებს: აი, ყელზე დაგადგათ ის ოქროებიო! სინანულს გამოთქვამდა, პატიებას სთხოვდა ცოლს: სიტყვას გაძლევ, თუ ცოცხალი გადავრჩი, თითს არ დაგაკარებო! თავ-ბედს იწყევლიდა, რომ ლეკვებს დახარბდა: „ნეტა რად ვახლე ხელი, რისთვის შევძვერი იმ ხვრელში? ერთიმეორის მიყოლებით ამათთვის გოგრა ქვაზე მიმეხლეკინებინა და ყველაფერი მორჩებოდა, ახლა კი რა ვუყო?" ხურჯინი საწყალეტებით მკვიდრად იყო დამაგრებული და ჭენებ-ჭენებაში ვერ მოხსნიდა, თანაც სწრაფად დაიწყო ჩამობინდება. ბინდი გაიფაფრა და უკაცური სივრცეები ამოავსო. არავის აწუხებდა ბაზარბაის საშინელი ხვედრი, მხოლოდ შიშისგან გაგიჟებული ერთგული ცხენი მიქროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ბაზარბაი ყველაზე მეტად იმას ნანობდა, რომ იარაღი არ ჰქონდა, თითო ტყვიას ლეწავდა მგლებს და ყველაფერი დამთავრდებოდა, მიზანს არ ააცდენდა. რა დიდი რამაა თოფი, ყოველ მეცხვარეს აქვს, მაგრამ მუდმივად ვინ დაატარებს! ეჰ, რომ სცოდნოდა! ბაზარბაი მგლების დასაშინებლად რაც შეეძლო ღრიალებდა, მთელ იმედებს ახლა ცხენზე ამყარებდა. კიდევ კარგი, ცხენსაშენიდან ჰყავდა გამოყვანილი.

სამკვდრო-სასიცოცხლო რბოლა იყო გაჩაღებული ჩამობინდებულ ბორცვებზე — წინ მხედარი მიქროდა, რომელსაც ხურჯინით მოტაცებული ლეკვები მიჰყავდა, უკან აკბარა და ტაშჩაინარი მისდევდნენ. მგლებმა მოტაცებული შვილების სუნი იგრძნეს და თავისას ლოცულობდნენ, თავისას წუხდნენ. ნეტავ ცხენს ერთხელ წაებორძიკა, თუნდაც ერთ წამს! იაკის ხორცით აგრერიგად რომ არ გამომტყვრალიყვნენ, განა ისე ირბენდნენ, განა ვერ დაეწეოდნენ მომტაცებელს და არ დაფლეთდნენ, რომ შთამომავლობის განსაგრძობად გამართულ სასტიკ ბრძოლაში სისხლიანი მისაგებელით განემტკიცებინათ სამართლიანობა? სულ სხვა ვითარება იყო მიუნყუმის ტრამალებში საიგებზე ნადირობისას. მაშინ მსხვერპლს მთელი

ძალით დადევნებულნი უცებ კიდევ უფრო უმატებდნენ სიჩქარეს რომ იგი საჭირო მხარეს გაედენათ, მაშინ უზმოზე გამოდიოდნენ საალყოდ და ელვისებური ნახტომისთვის წინასწარ ემზადებოდნენ.

განსაკუთრებით აკბარას უჭირდა სირბილი, რომელმაც მარაგად ბევრი ხორცი შთანთქა, რომ შემდეგ პატარებისთვის ძუძუ ეჭმია. თუმცა არც ის ყრიდა ფარ-ხმალს, მთელი ძალ-ღონით გარბოდა და თუკი მოახერხებდა და მხედარს დაეწეოდა, წამით არ შეყოყმანდებოდა, ისე ჩაებმებოდა ბრძოლაში, როგორადაც არ უნდა დასრულებულიყო იგი მისთვის. რა თქმა უნდა, გვერდით ჰყავდა ტაშჩაინარი, ურყევი ძალა და საყრდენი, მაგრამ ყველა ხომ თავის თავს უკვდება... აკბარა კი მზად იყო ყოველგვარ სიკვდილს შეგებებოდა, ოღონდაც ფეხმარდ ცხენზე ამხედრებულ კაცს მისწეოდა, ოღონდაც მისწეოდა... ოღონდაც...

თუმცა ბაზარბაის ფეხმარდი ცხენი ჰყავდა, ძრწოლით შეამჩნია, რომ მგლები ნელა, მაგრამ მაინც ნაღდად ეწეოდნენ გვერდიდან, მარჯვენა მხრიდან, გზას უჭრიდნენ, რომ ტბის პირისკენ არ გასულიყო. ვერაგ მხეცებს განზრახული ჰქონდათ, მხედარი მოებრუნებინათ, მთებში შეეგდოთ და მაშინ იგი მათ ადრე თუ გვიან პირისპირ შეეყრებოდა. ოღონდ ცხენი მიჰყავდა ადამიანს, მოაზროვნე არსებას, რომელსაც უნარი ჰქონდა ცხოველთა განზრახვა გამოეცნო. მგლები სწორედ ამას ვერ ითვალისწინებდნენ.

კიდევ ერთმა გარემოებამ იხსნა ბაზარბაი. ბედად წინ უახლოესი ფარეხის სინათლეები გამოჩნდა, — აი, ამას ერქვა გამართლება! — და ეს ფარეხი ბოსტონ ურკუნჩიევისა აღმოჩნდა. დიახ, დიახ, სწორედ იმ ურკუნჩიევისა, მოწინავე კულაკისა, რომელიც ბაზარბაის აგრერიგად სძულდა. მაგრამ ახლა ბაზარბაის საიმისოდ არ სცხელოდა, ვინ ვის მოსწონდა და არ მოსწონდა; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, ახლა ყოველი სულიერი საკუთარ სიცოცხლესავით ეძვირფასებოდა. მთავარი ის იყო, რომ გზად ადამიანის საცხოვრისი შეხვდა — ეგ ახარებდა, ეგ იხსნიდა, თუ იხსნიდა! სიხარულით ცას ეწია, ცხენს ქუსლები ჰკრა და ისიც ახალი ძალით გაქანდა იქით, სადაც ადამიანები, ფარები იყვნენ. მაგრამ ბაზარბაის მოეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გავიდა, ვიდრე გაბედავდა და თავს ეტყოდა, შეიძლება ყველაფერი კეთილად დასრულდესო. ბოლოს ტყვიამფრქვევივით აკაკანდა ბოსტონის ელექტროძრავა. აი, უკვე აიშალნენ მეცხვარე ძაღლები, მშფოთვარე ყეფით გამოქანდნენ ბაზარბაისკენ. თუმცა არც მგლები ეხსნებოდნენ — სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ, ცხენს არაქათი ეცლებოდა, ბაზარბაის ყურთასმენამდე უკვე აღწევდა მხეცების ფთქვინვა. „ღმერთო ბაუბედინ, ოღონდ მიხსენი და შვიდ სულ საქონელს შემოგწირავ!“ — შეევედრა ღმერთს ბაზარბაი.

„მაინც გადავრჩი! გადავრჩი!“ — გული ულხენდა ბაზარბაის. რა თქმა უნდა, საათიც არ გავა, რომ თავის აღთქმას დაივიწყებს. ასეთია ადამიანი...

ხოლო იმ წუთს, როცა მეცხვარეებმა მოირბინეს, იგი პირდაპირ მათ ხელებში ჩაესვენა და წამდაუწუმ იმეორებდა:

— მგლები, მგლები მომდევენ! წყალი, წყალი დამალევინეთ!

მგლები კი, ეტყობოდა სადღაც იქვე ტრიალებდნენ, არ მიდიოდნენ, უცდიდნენ, ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. ბოსტონის საზამთრო სადგომში ალიაქოთი ატყდა — დაფაცურდნენ მწყემსები, კეტავდნენ ბაკების კარებს, გაჰყიროდნენ ჩამომდგარ წყდიადში, ერთი მათგანი სახურავზე აძვრა და თოფი რამდენჯერმე დააქუხა. ძაღლებმა ხმამაღალი, გაუთავებელი ყეფა გააბეს, მაგრამ ეზოდან ფეხს არ ძრავდნენ, სინათლის ახლოს ხუსხუსებდნენ. მათმა სიმხდალემ პატრონები აღაშფოთა.

— აბა, ჰე! ეცი! ო, ესენი ნაგაზები კი არა, მთხლეები არიან, — ჩახრინწული ხმით უტევდა ვიღაცა ძაღლებს. — აბა, ეცით! აკტაშ, ჟოლბარს, ჟაისან, ბარპალან! ეცით! აბა, ჰე, აბა, ჰე! ეჰ, თქვენა, კუდი ამოიძუეთ, არა, მგლებთან შებმა გეშინიათ!

— ძაღლი ძაღლია, — შეესიტყვა მეორე. — რას აღრიალდი? შეუძლიათ ცხენზე მჯდომს ჩექმაში სწვდნენ და ძირს ჩამოათრიონ, მგლებს კი ვერ გაუმკლავდებიან! რა გინდა! მგელს ვერც ერთი ძაღლი ვერ შეებმება. მოეშვი, იყეფონ და იყონ თავისთვის!

ბაზარბაიმ უცებ, მთლად უცებ ვერ გაიხსენა, რატომ მოსდევდნენ მგლები, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა ერთმა ჭაბუკმა, რომელსაც მისი ცხენის გატარება უბრძანეს, ჰკითხა:„ბაზარბაი-ბაიკე, რა გაქვს ხურჯინში? თითქოს რაღაც ინძრევა“.

— ხურჯინში? იქ ხომ მგლის ლეკვებია! ეშმაკს წაუღია ესენი, ოთხი ბოლთიურუქია[1]. ბაშათში პირდაპირ ბუნაგიდან წამოვასხი. ამიტომ მომდევდნენ მგლები.

— თურმე რა ყოფილა! მაგარი ამბავია. ამაზე ითქმის გავკეთდიო, თუ ითქმის! პირდაპირ ბუნაგიდან? კიდევ კარგი, თავი მხრებზე შეგრჩა...

— ნახე ერთი, სული ხომ არ გააცხეს ხურჯინში? ხომ არ დამხრჩვალან, ხომ არ გაგუდულან ჭენების დროს?

— შენც ამბობ რა! რა ისეთი აზიზმაზიზები გგონია? ესენი, ბიძია, ძაღლებივით გამძლენი არიან.

— მოდი ვნახოთ, როგორ გამოიყურებიან?

---

[1]ბოლთიურუქი — ძუძუთა ლეკვი

ბოლოს ლეკვებიანი ხურჯინი უნაგირს მოხსნეს და ბოსტონის სახლში შეიტანეს. აი, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა მომხდარიყო ბოსტონის, აქ მთავარი კაცის, ფარეხის უფროსის სახლში, თუმცა თვითონ იმ ღამეს შინ არ იყო: რაიონში კიდევ ერთი მორიგი კრება ტარდებოდა, სადაც ბოსტონ ურკუნჩიევი კიდევ ერთხელ უნდა მჯდარიყო პრეზიდიუმში.

ბაზარბაი ბოსტონის სახლში ლამის გმირივით შეიყვანეს და სხვა რა გზა ჰქონდა, ამ ამბავს უნდა შეგუებოდა. ასე აღმოჩნდა აქ, მართალია, უნებლიეთ, მაგრამ სტუმრად.

ვერ იტყვი, თითქოს წინათ ამ სახლის ზღურბლზე არ გადმოებიჯებინოს. მრავალი წლის განმავლობაში, რაც ბოსტონის მეზობლად, აქედან შვიდ კილომეტრზე ცხვარში მუშაობდა, აქ სამჯერ მაინც იყო ნამყოფი: პირველად, როცა ალა-მონგიუს გადასასვლელზე ნაპრალში ჩაჩეხილი მწყემსის, ერნაზარის ჭირის პური გამართეს, მეორეჯერაც დაკრძალვაზე ჩამოვიდა — ერნაზარის დაღუპვიდან ნახევარი წლის შემდეგ ბოსტონის პირველი ცოლი რომ გარდაიცვალა (კარგი ცოლი იყოო, ამბობდნენ, განსვენებული არზიგული), ჩამოვიდა, როგორც ყველა იმ მიდამოს მეცხვარე და მცხოვრები. დიდძალმა ხალხმა მოიყარა მაშინ თავი, ცხენებს, ტრაქტორებსა და სატვირთო მანქანებს ხომ სათვალავი არ ჰქონდა. მესამეჯერ კი თავისი ნებით არ მოსულა. ოლქის ხელმძღვანელობას გადაეწყვიტა აქ საწარმოო სემინარი მოეწყო, რათა ბოსტონ ურკუნჩიევს მწყემსებისთვის თავისი გამოცდილება გაეზიარებინა. არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ რას იზამდა, ძალა დაატანეს და იძულებული გახდა, თითქმის ნახევარი დღე ესმინა ლექცია, რა და როგორ ეკეთებინათ, რომ ბატკნები არ დახოცოდათ, მატყლი და ხორცი კი უფრო მეტი ჩაებარებინათ, ერთი სიტყვით, როგორ შეესრულებინათ გეგმა. ჰმ, ამათაც ვითომ ამერიკა აღმოაჩინეს — ბაზარბაიმ თავადაც მშვენივრად იცის ყველაფერი: ზამთარში საკვები დროულად უნდა მისცე პირუტყვს, ზაფხულში მთაში უფრო ადრე უნდა ადგე და უფრო გვიან დაწვე, ერთი სიტყვით კარგად იმუშაო, საქონელს თვალი არ მოაშორო, გულშემატკივარი იყო ბოსტონივით. მერედა ეს ქვეყანა მარტო ბოსტონზე კი არაა ჩამოკიდებული. ოღონდ ზოგს საქმე კარგად გამოსდის, ზოგს — ცუდად. აკი ზოგს უმართლებს, ზოგს — არა. აი, ვთქვათ, ბოსტონის ბაზაში ძრავა მუშაობს— მთელი ღამე სინათლე ანთია, ელექტროშუქია სახლებშიც და ფარდულებშიც, ბაკის გარშემოც. მერედა რატომ? ორი აგრეგატის ხელში ჩაგდება შეძლო — როცა ერთი ფუჭდება ან პროფილაქტიკური შეკეთება სჭირდება, მეორეს რთავენ. სხვა მეცხვარეებთან კი, მათ შორის ბაზარბაისთანაც მთელი წლის განმავლობაში ერთი ძრავა

მუშაობს. ერთი ძრავა კი ხათაბალაა: ხან მუშაობს, ხან — არა, საწვავი ხან მოაქვთ, ხან — არა, ხან რაღაც ტყდება, ხან ამ საქმის მცოდნე ყმაწვილი ყველაფერს ფეხებზე იკიდებს და ქალაქში გარბის — იქ ახალგაზრდობა ასჯერ უფრო უკეთ ცხოვრობს და მუშაობსო. ჰოდა, ისე ჩანს, ანგარიშების მიხედვით ელექტროშუქი ყველა ბრიგადაშია, სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი არაა...

და, რაღა თქმა უნდა, ვინაა კარგი? ბოსტონია კარგი, თანაც არ სვამს. ცუდი ვინღაა? ბაზარბაი და მისთანები, ამავე დროს ისინი სვამენ. ჰოდა, რაკი ცუდი ხარ, კისერიც უნდა მოგიგრიხონ. აბა, ერთი განაცხადე წასვლა მინდაო, ლამის მილიცია მოგიქსიონ, პასპორტს წაგართმევენ, არავითარ საბუთს არ მოგცემენ, გასწი და იმუშავე, მეგობარო, არსად წახვიდე, ახლა მეცხვარეობა არავის ნებავს, ამისთანა ბრიყვები ცოტანი არიან, ყველას ქალაქებში ცხოვრება სურს: იმუშავე შენი კუთვნილი დრო და ისეირნე შემდეგ კულტურულად. თუ სეირნობა არ გინდა, შინ დაისვენე, სადაც ყველაფერი მზამზარეულად გაქვს, ღუმელს გახურება არ სჭირდება, სინათლე მთელი დღე-ღამე ანთია, გინდ დღე, გინდ ღამე, წყალსადენი ცხვირწინა გაქვს, ფეხსალაგია და ისიც ყურის ძირშია, დერეფანში... აბა, ცხვარში ცხოვრება ცხოვრებაა? სადედეში სულ მცირე ათასხუთას სულ საქონელს მოუარე, არც დღისით, არც ღამით თავის მოსაფხანად არ გცალია, ბიჭი ხარ და ნეხვში არ იტრიალო, არ გამხეცდე, ცოლს არ სცემო, დამხმარეებს არ სცემო, არ დალიო... შემდეგ ვინღა გამოდის ცუდი? ბაზარბაი და მისთანანი...

უბრალო რამეზე თვალებში თითს გთხრიან — ბოსტონს შეხედე, აი, მოწინავე, აი, მისაბაძი კაციო... ერთი სიფათში უნდა ჩააფარო ამ მოწინავე კულაკს და კარგი იქნება! ისე უმართლებს კი — სამუშაოდ კარგი ხალხი ეტანება, არ გაურბიან, ერთი ოჯახივით არიან. ხოლო ბაზარბაიმ და ბევრმა სხვა თავჩობანმა უკვე დიდი ხანია მიაფურთხეს თავიანთ დადუმებულ ძრავებს, ძველებურად ცხოვრობენ, ნავთის ლამპებს და ხელის ფანრებს ხმარობენ, სამაგიეროდ ბოსტონის ელექტროგენერატორული აგრეგატი მი-1157 პირდაპირ საათივით მუშაობს ფარეხს უკან, მისი ხმა შორს ისმის, მისი სინათლეც შორს ჩანს. მგლებიც ამ ხმაურმა და სინათლემ დააფრთხეს. წელან ბაზარბაის გააფთრებით მისდევდნენ, საცაა მიეწეოდნენ, მაგრამ სინათლის დანახვაზე და ძრავას ხმაურის გაგონებაზე მყის შეჩერდნენ.

ძაღლები განუწყვეტლივ ყეფენ. სადღაც ალბათ ისევ დაეხეტებიან მგლები, მაგრამ მოახლოების ეშინიათ...

მაშ, უმართლებს, აშკარად უმართლებს ბოსტონს — ხედავ, როგორ აქვს ყველაფერი გამართული, მის სახლშიც შუქი კაშკაშებს,

სისუფთავეა, თუმცა ცხვრის სადგომში ცხოვრობს. ბაზარბაი იძულებული გახდა, ფეხთ გაეხადა, ქირზის ჩექმები და ფეხსახვევები შემოსასვლელში დაეტოვებინა და ისე შესულიყო ოთახში, წინდების ამარა გაევლო ქეჩაზე.

თუ კაცს უმართლებს, ნაღდად ყველაფერში უმართლებს. ბაზარბაი ხომ წინათ ვერ ამჩნევდა, რომ უღელტეხილზე დაღუპული ერნაზარის ქვრივი ასეთი წარმოსადეგი და ახალგაზრდა იყო. ახლა კი იგი, გულიუმკანი, ბოსტონის ცოლია და თუმცა მწუხარება გამოიარა; ეტყობა, ბედნიერია. ორმოცს იქნება მიღწეული, შეიძლება ნაკლები ხნისაცაა, ერნაზართან შეძენილი მისი ორი ქალიშვილი ინტერნატში სწავლობს, ხოლო თვითონ ცოტა ხნის წინათ ბოსტონს ვაჟიშვილი გაუჩინა. ისევ გაუმართლა ბოსტონს — ბიჭი დაუბადა, მისი ორი ქალიშვილი კი, რომლებიც პირველ ცოლთან ჰყავდა, თითქოსდა უკვე დათხოვდა. მერე და რა ალერსიანია გულიუმკანი, თანაც სულელი არაა, არა, სულაც არაა სულელი. იცის, რომ ბოსტონი და ბაზარბაი ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ახლა ეს არც კი დაიმჩნია, სტუმარს თბილად შეხვდა, შეიბრალა, თანაუგრძნო: მობრძანდი, ჩვენო გულითადო მეზობელო, მობრძანდი, ხალიჩაზე დაბრძანდი, ოჰ, ეს რა ფათერაკს გადაჰყრიხარ, გაგონილა, მგლები ფეხდაფეხ მოსდევდნენ ადამიანს, მადლობა ღმერთსა და წინაპართა სულებს — არბაკებს, რომ უბედურებას გადაგარჩინეს, ოჯახის უფროსი კი შინ არაა: ისევ რაღაც კრებაა რაიონში, ალბათ, მალე დაბრუნდება, აღუთქვეს, შინ დირექტორის „გაზიკით“ მოგიყვანთო, დაჯექი, დაჯექი, ასეთი შემთხვევის შემდეგ ჩაი უნდა დალიო, ცოტასაც თუ მოიცდი, ცხელ კერძსაც მოგართმევო.

ხოლო ბაზარბაიმ, რაკი ასეთ ხათაბალაში გაება, გადაწყვიტა, დიასახლისი გამოეცადა, რამდენად გულწრფელად ექცეოდა დაუპატიჟებელ სტუმარს, თანაც ძალიან უნდოდა დალევა, იმ ამბის შემდეგ გონს მოსვლა, და მთლად გათავხედდა.

— ჩაი დედაკაცების სასმელია, — თქვა მიუკიბ-მოუკიბავად. — შენთან ბოდიში და უფრო მაგარი რამ არ მოიძევება შეძლებული ბოსტონის ოჯახში? მისი სახელი ხომ ქვეყნის-ქვეყნადაა განთქმული!

ასეთი საზიზღარი ბუნება ჰქონდა ბაზარბაის: ახლა სასმელს მიუტანდნენ თუ არ მიუტანდნენ, არ ენაღვლებოდა, სულ ერთია, კმაყოფილი იყო, რაკი ბოსტონის ცოლს სახე შეეცვალა, სტუმრის პირდაპირობა არ ეჭაშნიკა. ისე რა ბოდიშობა, რის ბოდიშობა, ბეგები მყავს ესენი, თუ ხანები, მეურნეობის ჩვეულებრივი მესაქონლეებიაო, — გაივლო გულში ბაზარბაიმ.

— უკაცრავად კი ვარ, — მიუგო წარბშეკრულმა, გულიუმკანმა, —

მაგრამ თვითონ ბოსტონი სასმელს მაინცდამაინც არ ეტანება...

— ვიცი, ვიცი, არ სვამს შენი ბოსტონი! — აგდებულად შეაწყვეტინა ბაზარბაიმ. — ეს ისე გითხარი, სიტყვაზე. გმადლობ ჩაისთვის. ვიფიქრე, თუ თვითონ არ სვამს, სტუმრებისთვის მაინც ექნება-მეთქი...

— ო, არა, რატომ, — იუხერხულა გულიუმკანმა და თვალი შეავლო ბაზარბაის გვერდით მჯდომ რისკულს, რომლის მუხლებთანაც იდო ლეკვებიანი თარსი ხურჯინი.

რისკული ჰა და ჰა, უნდა წამომდგარიყო და არყის მოსატანად წასულიყო, რომ ამ დროს კარში ბოსტონის მეორე დამხმარე მარატი გამოჩნდა. მარატი ადრე პედინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ ვერ დაამთავრა, თამამი ბიჭი იყო, ოლქში გვარიანად ინავარდა, შემდეგ კი ჭკუაში ჩავარდა და ბოსტონთან დამკვიდრდა.

— მარატ, — მიმართა რისკულმა. — შენ სადღაც ნახევარლიტრიანი გაქვს მოყუჩებული. ვიცი. ნუ გეშინია, თუ რამე მოხდა, ბოსტონთან მე ვაგებ პასუხს. ჩქარა მოიტა, ბაზარბაის ნადავლი დავასველოთ.

— დავასველოთო! ამ წუთში მოვიტან! — კმაყოფილებით გადაიხარხარა მარატმა.

ბაზარბაის, რომელსაც შიშმა წელან ჩვეულებრივი თვითდაჯერებულობა და უარშიობა გაუქრო, ახლა ნახევარმა ჭიქა არაყმა გულიდან ჯავრი გადაჰყარა, ხალიჩაზე ისე გაიშხლართა, თითქოს საკუთარ სახლში ბრძანდებოდა და დაიწყო მოყოლა — რა და როგორ იყო, თან იქ მყოფი მგლის ლეკვები უჩვენა. მან ხურჯინის ორივე თვალი გახსნა, ლეკვები ამოიყვანა და თვითონაც პირველად კარგად შეათვალიერა ისინი. ლეკვები ჯერ უსიცოცხლოდ იყვნენ, თითქმის არაფერს ეპასუხებოდნენ, სულ დამალვას ცდილობდნენ, თითქოს, მფარველს ეძებდნენ, შემდეგ კი გამოცოცხლდნენ, გათბნენ. ღოღვა დაიწყეს ქეჩაზე, აწკავწკავდნენ, ადამიანებს დრუნჩებით ეხებოდნენ, უსაზმნოდ, უაზროდ იცქირებოდნენ — დედას, მის დვრილებს ეძებდნენ. დიასახლისმა სიბრალულით გააქნია თავი:

— ხომ დაიმშნენ ეს საწყლები! ჩვილი მაინც ჩვილია, თუნდაც მგლისა იყოს. შიმშილისაგან რომ დაგეხოცონ? აბა, რად წამოიყვანე?

— რა დახოცავთ? — იწყინა ბაზარბაიმ. — ესენი გამძლენი არიან. ორი დღე რაიმეთი გამოვკვებავ, შემდეგ რაიონს ჩავაბარებ. ზოობაზაში იციან მაგათი მოვლა. უფროსობამ თუ მოინდომა, ყველაფერს გააკეთებს — მგელი რომ მგელია, იმასაც მოაშინაურებს და ცირკში გამოსვლას აიძულებს, ცირკში კი ხალხი ფულს იხდის. იქნებ ესენიც ცირკში მოხვდნენ.

მართალია, დიასახლისმა ყველას გადასდო სიბრალული, მაგრამ

იქ მყოფებმა მაინც ჩაიღიმილეს. ცოცხალი ლეკვების სანახავად მოცვენილმა ქალებმა კი ჩურჩული ატეხეს.

— ბაზარბაი, ჩვენ აქ უდედო ძუძუთა ბატკნები გვყავს, — უთხრა ბაზარბაის გულიუმკანმა. — მათ დამატებით რძით კვებავენ. რა იქნება მგლის ლეკვებს იმ ბატკნების ბოთლები რომ მოუტანონ.

— რაო! — სიცილი ვერ შეიკავა ბაზარბაიმ. — მგლებს ცხვრები გამოკვებავენ! მაგარი ამბავია! მოდი, ვცადოთ!

და დადგა ჟამი, რომლის გახსენება შემდგომ ყოველ მათგანს თავზარს დასცემს. ადამიანებს ისიც ართობდა, რომ მხეცებს ცხვრის რძეს ასმევდნენ, ისიც, რომ ლეკვები მიმნდობნი და სასაცილონი იყვნენ, ისიც, რომ ერთ-ერთი — ძუ — ლურჯთვალა აღმოჩნდა (თავის დღეში არავის სმენია, ძუ მგელს ლურჯი თვალები ჰქონოდა, ასეთი რამ ზღაპრებშიც კი წარმოუდგენელია), ისიც, თუ როგორ მხიარულობდა ჯერ კიდევ მთლად პატარა ბიჭუნა, ბოსტონის ნაბოლარა კენჯეში. უხაროდა კენჯეშს, რადგან შინ უცებ ოთხი მხეცუნა გაუჩნდა. დიდებს გულს უჩვილებდა ამ წლინახევარი ბუთხუზა ბიჭის თავის, მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე ტიტინი, ის თუ, როგორ აენთო თვალები, რა გატაცებით ეთამაშებოდა ლეკვებს. ოთხივე ლეკვიც რატომღაც ბავშვს ეტმასნებოდა, თითქოს ხვდებოდნენ, რომ ის იქ მათთვის ყველაზე მახლობელი არსება იყო. დიდები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: შეხე, პატარა პატარას გრძნობსო, ცდილობდნენ გულიუმკანისგან გაეგოთ, რას ეუბნებოდა ბიჭუნა ლეკვებს. გულიუმკანი კი ბედნიერი ღიმილით გულში იკრავდა შვილს, ალერსით ეუბნებოდა:

— ქუჩუკ, ქუჩუგომ, ლეკვო, ჩემო ლეკვუნავ! ხედავ, შენთან პატარა ლეკვებმა მოირბინეს. შეხე, რა თოთოები არიან, რა რუხები არიან. ამათთან ხომ იმეგობრებ?

ამ დროს ბაზარბაიმ თქვა ერთი წინადადება, რომელსაც შემდეგ ასევე გაიხსენებენ:

— სახლში ერთი მგლის ლეკვი იყო და ახლა ხუთი გახდა. გინდა მგლის ლეკვი იყო? მოდი, ბუნაგში შეგაგდებ, ბოსტონის ნაბოლარავ, ამათთან ერთად გაიზრდები... .

ყველა გულიანად იცინოდა ხუმრობაზე, სვამდნენ ჩაის. არყისგან დაწითლებულმა ბაზარბაიმ და მარატმა ნახევარლიტრიანი გამოწრუპეს, სასმელს ქონს და შემწვარ ხორცს აყოლებდნენ, სულ უფრო ხალისდებოდნენ. გარეთ კი სიწყნარე ჩამოდგა, ძაღლებმა ყეფა შეწყვიტეს, ხოლო ყველაზე დიდი ძაღლი — წითური ვეება ბანჯგვლიანი ჟაისმანი უცებ ზღურბლზე გამოჩნდა, რადგან კარი მიუხურავი იყო. იგი შეყოვნდა, კუდს აქიცინებდა, ოთახში შემოსვლა ვერ გადაწყვიტა. ძაღლს პურის ნატეხი გადაუგდეს. მან პური ჰაერ-

ში დაიჭირა და ხმამაღლა გააღრაჭუნა კბილები. ამ დროს ნასვამმა მარატმა გასართობად ერთ-ერთ ლეკვს დასტაცა ხელი და ძაღლს მიუყვანა.

— აბა, ჟაისმან, ეცი! ეცი-მეთქი! — უბრძანა და აკანკალებული, უღონო მხეცუნა წინ დაუსვა.

იქ მყოფთა გასაკვირად ჟაისმანმა გაბოროტებით დაიღრინა, კუდი ამოიძუა, თავი ბეჭებში შესწია და იქიდან მოძურწა. და მხოლოდ შემდეგ, უკვე ეზოში, ფანჯრის ქვეშ აყეფდა შიშნეულად და საცოდავად. ყველა იცინოდა, ყველაზე ხმამაღლა კი ბაზარბაი.

— ამაოდ ცდილობ, მარატ! არ არსებობს ძაღლი, რომელიც არათუ მგელმა, მგლის სუნმაც კი არ წაახდინოს! შენ რაო, გინდა, შენი ჟაისმანი ლომი იყოს? ეგეთი რამ არ მოხდება!

სიცილი ყველამ შეწყვიტა, როცა პატარა კენჯეში ატირდა — მას ლეკვი შეეცოდა და იმის შიშით, არაფერი მოეწიოსო, მისკენ გაკუნკულდა, რათა დიდი ადამიანების გაუგებარი ოინებისგან დაეცვა.

ბაზარბაიმ კი ის ოთხი ბედნავსი ლეკვი ისევ ხურჯინში ჩაყარა და მალე წავიდა. მისი ცხენი უკვე დასვენებული იყო და როცა ხელახლა შეკაზმეს, მხნე ჩორთით დასტოვა ბოსტონის საზამთრო სადგომი. ბაზარბაის გვერდით ცხენებს მოაჩაქჩაქებდნენ მხარზე თოფგადაკიდებული მარატი და რისკული. დალევით ორივემ დალია, მაგრამ მარატი უფრო დათვრა და ამიტომ ენას არ აჩერებდა. ამ ძვალმაგარმა ბიჭებმა თავს იდვეს ბაზარბაის გაცილება, რათა როგორმე გაექარწყლებინათ ის სამწუხარო ამბავი, რაც ბოსტონის სახლიდან დაუპატიჟებელი სტუმრის წამოსვლის წინ მოხდა.

ბაზარბაი უკვე ოთახიდან გამოსვლას აპირებდა და იმით კმაყოფილმა, რომ ბოსტონის სახლში ყველა დიდი ყურადღებით ექცეოდა, ლეკვებიანი ხურჯინი მარატს მიაწოდა, აჰა, უნაგირზე გადაკიდეო, თვითონ კი კედელზე მგლის ვეება ტყავის გვერდით ჩამოკიდებული თოფი ჩამოხსნა, ყურადღებით დაათვალიერა და მოეწონა — თოფი დიდებული იყო, მოსევადებული ფოლადი უბზინავდა, თვალს ახარებდა ეს მსხვილი ნადირისთვის განკუთვნილი კუთხვილი მრავალვაზნიანი იარაღი. კედელზე დავლასავით ჩამოკიდებული ტყავი ბოსტონის მიერ სწორედ ამ თოფით მოკლული მგლისა იყო. ეს ყველამ იცოდა.

— მისმინე, გულიუმკან, — დინჯად უთხრა ქალს ბაზარბაიმ, რომელმაც მზერა თოფიდან დიასახლისზე გადაიტანა. ერთი ეს მოფარებულ ადგილას შემახვედრაო... — გაუკრთა უცებ გონებაში. ბაზარბაის ჩვევად ჰქონდა ქალებს თავხედურად სცემოდა ხანდახან პირდაპირ მინდვრად ან გზის პირას, ზოგჯერ აღწევდა საწადელს, ზოგ-

ჯერ — ვერა, მაგრამ არც ამას ნანობდა, არც — იმას. ახლა გულიუმკანს თანდათან უდარებდა თავის ნაგვემ-ნაჩეჩქვ კოკ ტურსუნს და ცხოვლად წარმოიდგინა, ამ წუთში თავის ცოლს როგორ ჩააფარებდა ღონივრად მოქნეულ ხელს იმისთვის, რომ სწორედ იგი შეხვდა ცოლად და არა გულიუმკანი, იმისთვის, რომ მობეზრდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თქვა: — თქვენთან კარგად გრძნობს ადამიანი თავს, შენ კარგი დიასახლისი ხარ. ჰო, რა მინდოდა, მეთქვა? იცი, გულიუმკან, მეშინია, მგლები ისევ არ გამომედევნონ. რა იქნება, რომ ეს თოფი წავიღო, ხვალ ვინმე ჩემიანს გამოვატანდი...

— თუ ღმერთი გწამს, ადგილზე დაკიდე, — მკაცრად უთხრა გულიუმკანმა. — ბოსტონი ნებას არავის აძლევს ამ თოფს გაეკაროს. არ უყვარს, როცა მის თოფს ხელს ჰკიდებენ.

— შენ კი უმისოდ არ შეგიძლია თოფს ხელი ახლო? — პირქუშად ჩაიცინა ბაზარბაიმ და ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ მიჯგვლითავდა ამ დედაკაცს, ხელსაყრელი შემთხვევა რომ მისცემოდა.

— რას ამბობ! მოვა ბოსტონი და, თოფს რომ თავის ადგილზე ვერ ნახავს, რად მინდა ასეთი ამბავი... თანაც ვაზნები სადაა, არ ვიცი. თვითონ ინახავს სადღაც. ერთ ვაზნასაც არავის აძლევს.

ბაზარბაიმ გონებაში მაგრად შეუკურთხა ბოსტონს, თავისი თავიც ზედ მიაყოლა: განა არ ვიცოდი, რა გულისამრევი კრიჟანგია ბოსტონი, ეტყობა, ცოლიც მისი ალი-კვალიაო. კინაღამ უთხრა გულიუმკანს, ოხრად დაგრჩენია ეს თოფიო, მაგრამ ამ დროს რისკულმა იხსნა იგი, როგორც იტყვიან, ვითარება განმუხტა.

— ტყუილა წუხხარ, ბაზაკე. თუ გინდა, მე და მარატი თვით სახლამდე მიგაცილებთ, თოფებს წამოვიღებთ, — აღუთქვა სიცილით. — დრო საკმაოდ გვაქვს, მთელი ღამე ჩვენს ხელთაა. ამ თოფს კი მართლა სჯობს ხელი არ ახლო, ადგილზე დაჰკიდე. არ იცი განა: ბოსტონი ბოსტონია, წესრიგი უყვარს!

უკვე გარეთ გამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ კენჯეში ატირდა, ძიამ ტომარაში რად ჩაჰყარა ლეკვები და სად მიჰყავსო. ამიტომ რისკული იძულებული გახდა ორიოდე წუთით შეყოვნებულიყო მის დასამშვიდებლად. ბიჭი ტრიალებდა, დედას ხელიდან უსხლტებოდა, ლეკვები არ ეთმობოდა და ითხოვდა, დამიბრუნეთო...

ხოლო როცა ეზოდან გავიდნენ, ნასტუდენტარმა მარატმა ერთი სასაცილო ამბავი მოჰყვა, რომელსაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, თანამგზავრები უნდა გაეხალისებინა:

— ამას წინათ რაიონში ისეთი მსოფლიო სკანდალი მოხდა, სიცილით ჭიპზე გასკდები. არ გაგიგია, ბაზაკე?

— არა, არ გამიგია, — გამოტყდა ბაზარბაი.

— არა, მართლაც მსოფლიო სკანდალი მოხდა. მე არ მოგიკვდე!

— მოჰყე, მოჰყე, სტუდენტო! — შეაქეზა რისკულმა, რომელიც ცხენს ქუსლების კვრით აჩქარებდა.

— მაშასადამე, ერთი საოლქო უფროსი ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქტორს ურეკავს, თქვენი გაზეთის „სოციალიზმის განთიადის“ ფურცლებზე კაპიტალისტური ამერიკის პროპაგანდას რატომ ეწევითო? ხოლო რედაქტორს — ოდესღაც ერთად ვსწავლობდით, მაგისთანა მხდალსა და მლიქვნელს იშვიათად შეხვდები, — ამ სიტყვებზე ენაც კი აებლუკა. „ჩჩვენ ამერიკაზე არრაფერი არ დაგვიწერრია! ბოოდიში, რა პროპპაგანდაზე ლლაპარაკობთ? უფროსმა კი დაუცაცხანა: „რას ჰქვია, არ დაგიწერიათ? მაშ, რა სათაური წერია შავით თეთრზე — „ბოსტონი მოგვიწოდებს მხარი ვუსწოროთ“? — „ეს ხომ ჩვენი მოწინავე მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევია, მასზე, მის მუშაობაზე წერია“. — „გასაგებია, რომ მასზე წერდით, მაგრამ ბევრი გაზეთში მხოლოდ სათაურს კითხულობს“. ჰა-ჰა-ჰა! აი, ცირკი თუ გინდა! როგორია, ჰა? „რა გზას დავადგეთ?“ — კითხულობს რედაქტორი. „მოწინავეს უბრძანეთ, სახელი შეიცვალოს“, — პასუხობს უფროსი.

— მოიცა, — შეაწყვეტინა ბაზარბაიმ. — რაო, ამერიკაშიც ჰყავთ თავიანთი ბოსტონი?

— არა, რას ამბობ, — გამხიარულდა მარატი. — ბოსტონი ქალაქია ამერიკაში, ერთ-ერთი მთავარი ქალაქი, ცოტათი პატარა თუ იქნება ნიუ-იორკზე, ჩვენში კი ბოსტონი რუხ ქურქს ნიშნავს. ბოს — რუხი, ტონ — ქურქი. ახლა გაიგე?

— ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! მართალია! — დაეთანხმა ბაზარბაი და გული დასწყდა, რომ ეგ ამბავი დიდი არაფერი თაბაუთი იყო და ბოსტონს ვერას ავნებდა. — სწორედ ასეა. ბოსტონი რუხ ქურქს ნიშნავს...

იმხანად ღამემ თავისი ვარსკვლავებიანი საფარველი გადაჰხურა ყველაფერს — მთებსაც, ცასაც, შორეულ ტბასაც, რომლის ძალუმი ამოზნექილი ზურგი ძლივს ილანდებოდა სიბნელეში, სამი მხედარი ტამანისკენ მილაზღანდარობდა და ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ იმ ღამეს მკვიდრი, ურღვევი კვანძებით გადაინასკვნენ სულის შემძვრელი ბედ-იღბალნი... და აი, უკვე სულ უფრო ძლივს გასაგონად, გაურკვეველად აღწევდა ბოსტონის სადგომამდე მათი ლაპარაკი და ფლოქვების ჭახაჭუხი ქვებზე... უკან დარჩა ბოსტონის ძრავას ჩვეული რახრახი, ძრავას შუქი მთიან მხარეს ჩამოწოლილ სიბნელეს სტაცებდა მწყემსთა საცხოვრებლების პატარა წრეს და მთისწინეთს.

სადღაც მახლობლად კი მგლები იმალებოდნენ...

II

გულიუმკანმა ბიჭუნა დიდ ხვეწნა-მუდარითა და ალერსით დააწვინა დასაძინებლად, თვითონ არ წვებოდა, ქმარს ელოდა, ბოსტონი საცაა უნდა დაბრუნებულიყო. როცა ეზოში ერთხმად აყეფდნენ ძაღლები, ქალმა მხრებზე თბილი შალი მოისხა და ფანჯარას მიეკრა. დირექტორის „გაზიკმა“ სიბნელე ანთებული ფარებით გაკვეთა, დიდი ფარეხის გვერდით მობრუნდა, სადაც ნერბები ჰყავდათ. გულიუმკანი ხედავდა, როგორ გადმოვიდა კაბინიდან ბოსტონი, გამოემშვიდობა ვიღაცას, კარი მიაჯახუნა, შემდეგ მანქანა როგორ მკვეთრად შემოტრიალდა და უკან გაბრუნდა. გულიუმკანმა იცოდა, რომ ბოსტონი უცებ არ შემოვიდოდა შინ. ჯერ ბაკებს და ფარდულებს შემოივლიდა, სათივეში შეიხედავდა, ღამის მწყემს კუდუმრატს გამოკითხავდა, რა და როგორაა, როგორ გაიარა დღემ, ცხვარი ხომ არ დახოცილა, ნერბებს ნაადრევად ხომ არ მოუგიათ ბატკნები, ახლები ხომ არ დაიბადნენო...

გულიუმკანი ადრევე მომზადებული შეშით ქურას ანთებდა, რომ ნამგზავრი ქმრისთვის ცხელი საჭმელი და კარგი ჩაი დაეხვედრებინა (უჩაიოდ ბოსტონს ცხოვრება არაფრად უღირდა), თან აყურადებდა, როდის მოისმებოდა ზღურბლიდან მისი ნაბიჯის ხმა. წინასწარ უხაროდა, რომ წარმოიდგენდა პატარა კენჯეში როგორ გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა თბილ საწოლში, ტუჩებს გააცმაცუნებდა მამის გაყინულ ულვაშების შეხებაზე. ბოსტონი ჩვეულებისამებრ თვითონ აწვენდა ხოლმე ბიჭუნას. მანამდე დიდხანს ეთამაშებოდა, ზოგჯერ თვითონვე ბანდა ვარცლში, მას შემდეგ, რაც სახლს კარგად გაათბობდა და კარ-ფანჯრებს დახურავდა. მეზობლების აზრით ბოსტონს სიბერეში მეტისმეტად შეუყვარდა შვილები, წინათ ასეთი არ ყოფილა, შვილებზე უფრო სამუშაო უყვარდაო. უფროსი შვილები უკვე თვითონ იყვნენ მშობლები, თავიანთი ცხოვრება ჰქოდათ, ხანდახან თუ შემოივლიდნენ მამასთან. ნაბოლარა კი ყოველთვის ყველაზე ტკბილია და ყველაზე მეტადაც უყვართ მშობლებს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ გულიუმკანზე უფრო კარგად ვის ეცოდინებოდა პატარა კენჯეშისადმი ბოსტონის სიყვარულის ჭეშმარიტი და მწარე მიზეზი. მათ ხომ — არც ბოსტონს და არც გულიუმკანს — არასდროს უფიქრიათ, თუ ცოლ-ქმარი გახდებოდნენ და ბიჭი გაუჩნდებოდათ: გულიუმკანის ადრინდელი ქმარი ერნაზარი რომ უღელტეხილზე არ დაღუპულიყო და შემდეგ ბოსტონის პირველი ცოლი არზიგული არ გარდაცვლილიყო, ეს ამბავი არასდროს მოხდებოდა. ახლა ცდილობენ, გარდასული ამბავი არ გაიხსენონ, თუმცა იციან: მარტოდ ყოფნისას თითოეული წარსულზე ფიქრობს... ბიჭუნა კი მა-

თი დამაკავშირებელი საერთო რგოლია და მეტისმეტად ძვირად დაუჯდათ. როცა ბოსტონი უღელტეხილის გზას მიიკვლევდა, მისი დამხმარე ერნაზარი ხომ მის თვალწინ დაიღუპა, ღრმა ნაპრალის ძირში ჩარჩა... მარტოოდენ ბიჭუნას შეეძლო ბოსტონის სულში არსებული ნარღვევის ამოვსება, ვინაიდან ძველთაგანვე თქმულა — მხოლოდ დაბადებას შეუძლია სიკვდილს შეენაცვლოსო...

მაგრამ აი, გაისმა ნაბიჯების ხმა და გულიუმკანი მკვირცხლად შეეგება ქმარს, ჩექმების გახდაში მიეშველა, მიუტანა წყალი, საპონი, პირსახოცი, მდუმარედ უსხამდა წყალს ხელებზე. ისინი ჯერჯერობით არაფერს ამბობდნენ, ლაპარაკს შემდეგ ჩაიზე გააბამდნენ, და ბოსტონი საუბარს დაიწყებდა თავისი საყვარელი ფრაზით: „ახლა კი მისმინე, რა არ ხდება ქვეყანაზე", დაწვრილებით მოჰყვებოდა, რა ნახა, რა გაიგო ახალი. ასეთ წუთებში, განსაკუთრებით, როცა მარტონი იყვნენ, თავს კარგად გრძნობდნენ. შინაურული საუბარი ნაცნობი ნავმისადგომია, სადაც წინასწარაა ცნობილი, სად მეჩეჩია და სად — ღრმა წყალი. ახსოვს გულიუმკანს, უკვე ჭირის პურის შემდეგ, როცა არზიგულის გარდაცვალებიდან ერთმა წელმა განვლო და მათ საბოლოოდ გადაწყვიტეს დაქორწინება, აი, სწორედ მაშინ ბოსტონი მთებიდან ჩამოვიდა მასთან, ტბისპირა დასახლებაში, ქვრივის სახლში, ბოსტონის ცხენი ცხენსაბმურზე დატოვეს, თვითონ ადგილობრივ ავტობუსში ჩასხდნენ (ხალხში უხერხულად გრძნობდნენ თავს, პირველად რომ იყვნენ ერთად), რაიონის მმაჩში წავიდნენ, სადაც შეეცადნენ, რაც შეიძლება ჩქარა მოეწერათ ხელი საჭირო ქაღალდებისთვის, და სასწრაფოდ წამოვიდნენ იქიდან. ამ ამბის შემდეგ ავტობუსში ჩასხდომა და ქუჩაში ნაცნობების შეხვედრა აღარ ისურვეს, ტბისკენ ფეხით გასწიეს და მის ნაპირს გულიუმკანის სახლისკენ გამოჰყვნენ. შემოდგომის მშრალ, უქარო დღეს ისიქ-ქოლის კამკამა ლურჯი ზედაპირი ჩვეულებისამებრ ანკარა და უდრტვინველი ჩანდა. ბოსტონმა ფოთლოვანი ტყით შემოსილ ნაპირთან, ბილიკის ბოლოში ნავმისადგომზე ორი ნავი დაინახა და შეჩერდა. ნავებს წყნარი მოქცევა არხევდა, მათ ქვემოთ ტბის ქვიშიანი ფსკერი ჩანდა.

„შეხედე, ირგვლივ წყალი, მთები, მიწაა — ეს სიცოცხლეა. ეს ორი ნავი კი მე და შენა ვართ. საით წაგვიყვანს ტალღა, შემდეგ გაირკვევა. რაც გარდაგვხდა და რაც განვიცადეთ, ვიდრე ცოცხალნი ვართ, ჩვენს გულში იარსებებს. და მოდი, მუდამ ერთად ვიყოთ. მე, შეიძლება ითქვას, მოხუცი ვარ. ზამთარში ორმოცდაცხრა წლისა გავხდები. შენი ბავშვები კი ჯერ პატარები არიან, უნდა ასწავლო და ადგილი მიუჩინო ცხოვრებაში... წავიდეთ, მოვეშზადოთ. ისევ წახვალ მთებში, მეთევზის ქალიშვილო, ოღონდ ამჯერად ჩემთან ერთად...

მარტო ცხოვრება არ შემიძლია...“

გულიუმკანი ატირდა, თვითონ არ იცოდა რატომ, ბოსტანი დიდსანს ამშვიდებდა... შემდეგ, როცა მარტონი რჩებოდნენ და ცხოვრებაზე საუბრობდნენ, გულიუმკანი ხშირად იხსენებდა იმ ორ ნავს. მიტომაც ფიქრობდა ხოლმე, მახლობელ ადამიანთან საუბარი ნაცნობი ნავმისადგომიაო. მაგრამ ამჯერად არ გამოჰპარვია, რომ ქმარი ჩვეულებრივზე უფრო შეურვებული იყო. შემოსასვლელში მოციმციმე ნათურის შუქზე ცოლზე მთელი თავით მაღალი, ახოვანი ბოსტონი პირსახოცს ჭმუჭნიდა, განგებისად ნელა იმშრალებდა დიდ გაუხეშებულ ხელებს. მოჭუტული მომწვანო თვალები დაბღვერილი ჰქონდა, ნამზეური ქარდაკრული სახე, დიდი, მძიმე ნიკაპი გაალისფერებოდა, ჩამუქებული სპილენძის ფერი ედო. რას მოასწავებდა ეს? ბოსტონმა ხელები შეიწმინდა და პირველ ყოვლისა ბიჭუნასთან მივიდა, თავისივე ნახელავ ხის საწოლთან ჩაიჩოქა, ვაჟიშვილს ალერსიანი სიტყვების ჩურჩულში ნაქარევი ტუჩებით აკოცა და უნებლიეთ გაეღიმა, როცა კენჯეშმა მამის კოცნა იგრძნო და ძილში შეიშმუშნა.

— კუდურმატმა მითხრა, აქ შენს არყოფნაში ბაზარბაი იყოო, — თქვა, როცა საჭმელად ჯდებოდა. — არაა ეს კარგი ამბავი...

გულიუმკანმა ნათქვამი თავისებურად გაიგო, გაწითლდა და შეურაცხყოფისაგან ლამის ცეცხლი მოეკიდა:

— კი, მაგრამ რა მექნა? სახლში მთელ ხროვასთან ერთად შემოვარდა, მგლის ლეკვები უნდა გაჩვენოთო. კენჯეშიც მაშინვე იქ გაჩნდა, იმანაც გასართობი ნახა... ჰოდა, ჩაი, მივართვი...

— მე ამაზე არ ვლაპარაკობ. ჯანდაბას მაგის თავი, როგორც მოვიდა, ისე წავიდა. ოღონდ გული მეუბნება, რომ ეს კარგი არ უნდა იყოს...

— ცუდი რადღაა? — ვერ გაეგო გულიუმკანს, რას უარაკებდა ბოსტონი. — შენც ხომ გისვრია მგლებისთვის. აგერ, შარშანდელი ტყავი ჰკიდია, დიდებულად გამოყვანილი, — კედელზე ჩამოკიდებული ტყავისკენ გააქნია თავი ქალმა.

— სწორედაც ჰკიდია, — მიუგო ბოსტონმა და გამოცლილი ფიალა გაუწოდა. — მართალი ხარ, მეც მომიხდა მგლის მოკვლა, რაკი ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ მგელიც არსებობს და ადამიანიც, მაგრამ მგლის ბუნაგი არასდროს გამიჩანაგებია. ხოლო ბაზარბაი უნამუსო კაცია, ლეკვები მოიპარა, მგლებს, ამ მძვინვარე მხეცებს კი ხელი არ ახლო, რითაც ჩვენ საზიზღარი ამბავი დაგვმართა. მგლები აქ ცხოვრობენ, არსად წაესვლებათ და საშინლად გაბოროტებულნი არიან...

ბოსტონის სიტყვებმა გულიუმკანი განაცვიფრეს. დედაკაცურად

ამოიოხრა, მხარზე ჩამოცურებული ნაწნავი გაისწორა და თქვა:

— ნამდვილი უბედურებაა! ნეტა რა ოხრობამ გადმოაგდო ეს უზნეო ჩვენკენ. რისთვის ახლო ხელი ბუნაგს? მეცოდებიან კიდეც ისინი — ყოველ სულიერს ხომ თავისი შვილი უყვარს, ვინ არ იცის ეს. მაშინვე როგორ ვერ მოვისაზრე.

— აი, რას ვფიქრობ, — განაგრძობდა შეფიქრიანებული ბოსტონი. — ნეტა რომელი მგლები არიან? ისინი ხომ არა? — ბოსტონმა იყუჩა და დაუმატა: — კუდურმატის სიტყვებით მგლები ბაზარბაის ბაშათის ხეობის მხრიდან მოსდევდნენ.

— მერე რა?

— ის, რომ სწორედ ის სხვა მხრიდან მოსული მგლები — ტაშჩაინარი და აკბარა არ იყვნენ. არის ასეთი წყვილი.

— ოჰ, კარგი რა, ნუ ხუმრობ! — სიცილი აუტყდა გულიუმკანს. — ნუთუ მგლებსაც სახელები ჰქვიათ ადამიანებივით? შენც იტყვი რა!

— როგორ თუ ვხუმრობ! რომ იცოდე, სულაც არ მეხუმრება. ვიცნობთ ჩვენ ამ მგლებს. აქაურებს არ ჰგვანან. ზოგს უნახავს კიდეც. მძვინვარე, ღონიერი მგლები არიან, ხაფანგში არ ხვდებიან. ვერავინ კლავს. ეს გაიძვერა, ხარბი ბაზარბაი კი რამ გადაჰყარა მათ ბუნაგს, რამ ამოაწყვეტინა ძირფესვიანად მათი ჯილაგი. ნეტა რად გიკვირს, რომ სახელები ჰქვიათ! ხვადის სახელი ტაშჩაინარია, ისე ღონიერია, ცხენს დასცემს ძირს. ძუ აკბარა კი ანაბაშაა[1]. ჭკვიანი ნადირია, ძალიან ჭკვიანი! ამიტომაც განსაკუთრებით საშიშია.

— კარგი რა, ჩემი ვაჟის მამავ, ნუ ხუმრობ! ბავშვი ხომ არ გგონივარ? — უნდობლად გაიცინა გულიუმკანმა. — მგლების შესახებ ისე ჰყვები, თითქოს ბავშვობიდან მათთან გეცხოვროს... ასეთი რამ ვის გაუგონია?

ბოსტონმა ლმობიერად გაუღიმა, მაგრამ ცოტა დაფიქრდა და გადაწყვიტა, ცოლი დაემშვიდებინა.

— ჰო, კარგი, — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ. — ამოიგდე თავიდან ეს ყველაფერი. მინდოდა გამერთე, ეგ იყო და ეგ. მოდი ერთი ლოგინი გაშალე. ძალიან გვიანია. დილით ადრიანად უნდა ავდგე, ხომ იცი, დიდი დოლის დაწყებამდე ორიოდე დღე დარჩა. ზოგმა ნერბი შეიძლება ღამით ანდა დილითაც მოიგოს, განსაკუთრებით იმათ, რომლებსაც ტყუპი ან სამტყუპი ჰყავთ მუცელში.

როცა შუქი ჩააქრეს და ლოგინში ჩაწვნენ, ძილმორეული ბოსტონი (მას კი სწრაფად ეძინებოდა ხოლმე) მხოლოდ მაშინ, თანაც

---

[1] ანაბაშა — ძუ-წინამძღოლი.

გაკვრით მოჰყვა, რა მოხდა რაიონის კრებაზე, რომელზეც უკვე პირველად როდი მსჯელობდნენ, თანამედროვე ახალგაზრდობა რატომ არ ჰკიდებდა ხელს მეცხვარეობას, რა ეღონათ და რა გაეკეთებინათ. ამ დროს გარეთ ცხენის ფლოქვების თქარუნი მოისმა. გულიუმკანი საწოლიდან წამოხტა, ფანჯარასთან საცვლების ამარამ მიირბინა, მხოლოდ თავშალი ესხა მხრებზე, და დაინახა, რომ დიდ ფარეხთან ორი შეიარაღებული მხედარი ჩამოქვეითდა.

— ჩვენები დაბრუნდნენ, რისკული და მარატი, — თქვა ქალმა. — ბაზარბაი გააცილეს.

— აი, ბრიყვები! — წაიბურტყუნა ბოსტონმა და ჩაეძინა კიდეც.

გულიუმკანს კი უცებ არ დასძინებია. ბიჭუნა ბოსტონის ნახელავ საწოლში უფრო შეთბუნა. ბიჭი ძილში მუდამ იხდიდა საბანს, ტანსაცმელს იძრობდა. ბავშვი კი არა, ხათაბალაა — ძილს არ გაცლის, განსაკუთრებით, როცა ძილი გინდაო, — იტყოდა გულიუმკანი. ახლა კი მას ძილი არ ეკარებოდა. დღევანდელი დღე ერთობ გიჟური და ნავსი გამოდგა. ყველაფერი სულ ბაზარბაის ბრალი იყო, რომელიც მოულოდნელად გამოტყვრა საიდანღაც. ხოლო ბოსტონს ასეთი ამბები გონებას ურევდა. არ უყვარდა მას ხმაური და აურზაური, არც ბაზარბაისთანა ხეპრეები, თუმცა მისთვის ცუდი არაფერი უქნია. რა თქმა უნდა, ბაზარბაი ბოსტონთან არ მეგობრობდა, შურდა, რომ ბოსტონს საქმე კარგად მიუდიოდა... მაგრამ საქმის კარგად წარმართვას რამდენი შრომა სჭირდებოდა, ბაზარბაი ამის ბაიბურში არ იყო. ბოსტონი დილაადრიანად რომ ჩაებმებოდა მუშაობაში, შუაღამემდე თავს არ აიღებდა, ყველგან თვითონ ტრიალებდა, ყველაფერი მეურნის თვალს საჭიროებდა...

გულიუმკანი ფანჯარასთან მიდიოდა და ღამის მოთეთრო სიბნელეს აჩერდებოდა. კუზიან მთებს მთვარე ქათქათა სხივებს ათოვდა, კაშკაში გაუდიოდა ვარსკვლავებს, უკლებლივ ყველას. დილით მთვარე ჩავიდოდა და ვარსკვლავებიც ჩაქრებოდნენ, მაგრამ იმ გვიან ჟამს ღამე მარადისმყოფი, დაუსაბამო ჩანდა. მთისწინეთის სამარისებურ სიჩუმეში განაპირას მდგარი ძრავას ჩვეული რახრახი ისმოდა მხოლოდ.

ძნელი სათქმელია, რამდენხანს ეძინა გულიუმკანს, შესაძლოა, მხოლოდ ჩასთვლიმა, მაგრამ ძილში უცებ ძაღლების ყეფასთან ერთად რაღაც გახანიერებული ყმუილი ჩაესმა. გულიუმკანს უნებლიეთ გაეღვიძა, ძილს მოერია და ახლა აშკარად გაიგონა ცისკენ მიმართული სულის შემძვრელი გულამომჯდარი ყმუილი. ყმუილმა შესძრა, ცუდად იგრძნო თავი და ქმრისკენ მიიწია, მიეკრა. ამ დროს ყმუილი მწარე ტირილად იქცა — მასში წამებული მხეცის გაუყუჩებული ტკივილი, კვნესა და ვაება გამოსჭვივოდა.

— ისაა, აკბარაა! — ძილისგან ჩახრინწული ხმით თქვა ბოსტონმა და მსწრაფლ წამოსწია თავი ბალიშიდან.

— რომელი აკბარა? — გულიუმკანი ვერც მიხვდა, რაზე ლაპარაკობდა ბოსტონი.

— ძუ მგელი! — თქვა ბოსტონმა, შემდეგ ყმუილს მიაყურადა და დაურთო — ისიც, ტაშჩაინარიც მოთქვამს, გესმის, სასაკლაოზე გაყვანილი ხარივით ბღავის.

ცოლ-ქმარმა სული განაბა, გაყუჩდა.

ოუ-ოუ-უ-უ-უა-ა-ა-ა-! — კვლავ შორს განივრცო დაუსაბამო ღამეში ველური, ნაღვლით აღსავსე ქვითინი.

— რაო, რაზე ყმუის? — შიშნეულად წაიჩურჩულა გულიუმკანმა.

— როგორ რაზე? დარდობს ნადირი!

ცოლ-ქმარი გაჩუმდა.

— ეს რა უბედურებაა! — ბოსტანმა გულჯავრიანად შეიგინა. — იწექი, ბავშვს უყურე, არ გაიღვიძოს. ნუ გეშინია, პატარა აღარა ხარ! ჰო, სადღაც მახლობლად ყმუის ძუ მგელი, თავის ლეკვებს მისტირის, რა ჯანდაბა უნდა ჰქნა ახლა? წავალ ერთი, ვნახავ, რა ხდება ფარეხში.

ეს თქვა ბოსტონმა და ფაცხაფუცხით ჩაიცვა ტანზე, სინათლე არ ჩაუქრია, ისე გავიდა ფეხთ ჩასაცმელად, შემდეგ ისევ დაბრუნდა ოთახში, შუქი ჩააქრო, გავიდა და შემოსასვლელის კარი გაიხურა. გულიუმკანს ესმოდა, როგორ გაიარა ფანჯრებქვემოთ, თან ბურტყუნით იგინებოდა, როგორ გასძახა ძაღლს: „ჟაისმან, ჟაისმან, აქ მოდი!“ და ნელ-ნელა როგორ მიწყდა მისი ნაბიჯების ხმა. ამ დროს ისევ გაისმა ძუ მგლის გაბმული ყმუილი, მას ხმადაბალი, მოგუდული ყმუილით აჰყვა ხვადი. მათ ყმუილში აზავთებულ მძვინვარებას, მუქარას ტირილი ენაცვლებოდა, შემდეგ ხელახლა იზრდებოდა საშინელი სასოწარკვეთილება, სიბრაზე და მათ ისევ ენაცვლებოდა ვედრება...

შეუძლებელი, აუტანელი იყო ამ ყმუილის მოსმენა. გულიუმკანმა ყურები დაიცო, შემდეგ წავიდა, კარი რაზით გადაკეტა, თითქოს მგლებს სახლში შემოჭრა შეეძლოთ, და აკანკალებული დაბრუნდა საწოლთან. გზაგზა თავშალს იფუთნიდა, არ იცოდა, რა ექნა, ეშინოდა, მგლები ისევ აყმუვლდებიან და პატარას ძილს დაუფრთხობენო. ყველაზე მეტად ის აფიქრებდა, რომ კენჯეში გაიღვიძებდა და ატირდებოდა.

მგლები კი სულ ყმუოდნენ, თითქოსდა სადღაც მახლობლად ტრიალებდნენ, ადგილს იცვლიდნენ, ირგვლივ დაეხეტებოდნენ. მათი ყმუილის პასუხად გაავებით, გამკივანად ყეფდნენ ძაღლები, მაგრამ ეზოს გარეთ გასვლას ვერ ბედავდნენ. და უცებ ყურთასმე-

ნის წამღები სროლის ხმა გაისმა, ერთ სროლას მეორე მოჰყვა. გულიუმკანი მიხვდა, რომ ბოსტონი და ღამის მწყემსი კუდურმატი მგლების დასაშინებლად ისროდნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. გაყუჩნდნენ ძაღლები. გაყუჩდნენ მგლებიც. „მადლობა ღმერთს, თორემ პირდაპირ უბედურება იყო!“ — შვებით გაიფიქრა გულიუმკანმა. და მაინც გული უშფოთავდა. მძინარე კენჯეში აიტაცა და თავისთან, დიდ საწოლში გადაიყვანა, შუა ლოგინში ჩააწვინა, რომ ბავშვი მშობლებს შორის ყოფილიყო. ამასობაში ბოსტონიც დაბრუნდა.

— ძილი გამაწყვეტინეს, ჭირმა წაიღოს სუყველა, — მწყრალად ბურტყუნებდა ბოსტონი, ალბათ მგლებსაც გულისხმობდა, ძაღლებსაც და ყველაფერს, რაც მათ უკავშირდებოდა. — ნამდვილი პირუტყვია ეს ბაზარბაი, ნამდვილი პირუტყვი! — მძვინვარებდა ლოგინში ჩაწოლისას.

გულიუმკანს კითხვებით არ შეუწუხებია ქმარი, ბოსტონს ისედაც არ აცალეს მგლებმა მშვიდი ძილი. დილით ხომ უთენია უნდა ყოფილიყო ბაკში, იმ მეცხვარეებს კი არ ჰგავდა, ლოგინში ნებივრობა რომ ყველაფერს ერჩივნათ.

გულიუმკანს გულზე მოეშვა, როცა დაინახა, როგორ დამშვიდდა ქმარი, როგორ უხაროდა, ბიჭს იხუტებდა, ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. უყვარდა ბოსტონს თავისი კენჯეში, ამიტომაც დაარქვა კენჯეგეი — ესე იგი უმცროსი ბეგი, გვარში უმცროსი თავადი. მწყემსები დასაბამიდან თავადობაზე ოცნებობდნენ და ბედის დაცინვა იყო, რომ სულმუდამ მწყემსებად რჩებოდნენ. არც ბოსტონი იყო გამონაკლისი.

ცოლ-ქმარმა ისევ დაიძინა, ამჯერად შუაში ბიჭუნა ეწვინათ, მაგრამ ისინი მალე კვლავ გააღვიძა მგლის ნაღვლიანმა ყმუილმა. და კვლავ აყეფდნენ შეშფოთებული ძაღლები.

— რა არის ეს! რა ცხოვრებაა ეს! — გულჯავრიანად დაიჩივლა გულიუმკანმა და თვითონვე ინანა თავისი სიტყვები: ბოსტონი მდუმარედ წამოდგა და ჩაცმა დაიწყო სიბნელეში. — არ წახვიდე, — სთხოვა ქმარს გულიუმკანმა, — იყმუვლონ რამდენიც უნდათ. მეშინია. არ მინდა, არ წახვიდე.

ბოსტონი ცოლს არ გასჯიუტებია. და ასე იწვნენ ბნელ სახლში, მთებში ჩამოწოლილ ბნელ ღამეში, და, უნებლიეთ, უგდებდნენ ყურს მგლების ყმუილს. კარგა ხანია გადავიდა შუაღამე, რიბირაბო დგებოდა, მგლები კი გულმუცელს იგლეჯდნენ და ადამიანებს მწუხარე, გაავებული ყმუილით სიცოცხლეს უმწარებდნენ.

— სული ამოგვხადეს, რა უნდათ ნეტავ? — ვეღარ მოითმინა გულიუმკანმა.

— რა უნდათ? ცხადია, თავის შვილებს ითხოვენ, — მიუგო ბოსტონმა.

— მერედა აქ ხომ არაა მათი შვილები. კარგა ხანია წაიყვანეს.

— იმათ კი რა იციან? — მიუგო ბოსტონმა. — მხეცები არიან, მხოლოდ ერთი რამ იციან: კვალი აქ მოვიდა და მათთვის აქ დასრულდა ყველაფერი — მათთვის ქვეყნად სხვა ადგილი აღარ არსებობს. წადი და აუხსენი სინამდვილე. დასანანია, რომ მაშინ შინ არ ვიყავი. ამგვარი საქმისთვის პირუტყვ ბაზარბაის კისერს მოვუგრეხდი. ნადავლი თვითონ წაიღო, ჩვენ კი მის მაგივრად უნდა ვაგოთ პასუხი...

ბოსტონის სიტყვების დასტურად ფარეხს ყმუილმა გადაუარა. ყმუილი ხან ნაღვლიანი იყო, ხან მძვინვარე და გაავებული. მწუხარებით დაბრმავებული მგლები წყვდიადში ტრიალებდნენ და დაეხეტებოდნენ. განსაკუთრებით აკბარა იმდუღრებოდა. ისე მოთქვამდა, როგორც დედაკაცი სასაფლაოზე, და გულიუმკანს გაახსენდა, თვითონაც როგორ მოთქვამდა, როგორ ახლიდა ცედელს თავს, როცა უღელტეხილზე ერნაზარი დაიღუპა. ახლა დაუოკებელი ნაღველი შემოაწვა და რის ვაი-ვაგლახით შეიკავა თავი, რომ ბოსტონისთვის არ ეთქვა, რას ფიქრობდა და გრძნობდა ამ წუთებში.

და ასე იწვა ცოლ-ქმარი თვალმოუხუჭავად, მხოლოდ პატარა კენჯეშს, უცოდველ ყრმას ეძინა გულის ძილით. და ლეკვებმოტაცებული აკბარას გაუთავებელ ყმუილს მიყურადებული დედა უფრო ძლიერ ააფორიაქა შვილმა, თუმცა მას არაფერი არ ემუქრებოდა.

მთებზე ალიონი ჩამოდგა. ილეოდა, ზეცაში ითქმებოდა სიბნელე, ფერი უკრთებოდათ ვარსკვლავებს, რომელთაც ღამის სამსახური მოითავეს, უფრო მკაფიოდ ისახებოდნენ შორეული თუ ახლობელი მთები და მიწა მიწას ემსგავსებოდა...

ამ დროს მგლები აკბარა და ტაშჩაინარი, მთებში მიდიოდნენ, ბაშათის ხეობის მხარეს. მათი სილუეტები ხან კრთებოდნენ ბორცვებზე, ხან ბურუსში ინთქმებოდნენ. მგლები თავდახრილნი მიძუნძულებდნენ — ადვილი გადასატანი როდი იყო შვილების დაკარგვა და მთელი ღამე გაუთავებლად ყმუილი. აქედან შეიძლებოდა გზად იმ ღარტაფში შეევლო, სადაც წინა დღით მოკლული იაკის ხორცის დიდი ნაწილი დარჩა. სხვა დროს არ დააყოვნებდნენ და კუჭს ხელახლა ამოივსებდნენ ახალი ხორცით, მაგრამ აკბარამ ამჯერად არ ისურვა კანონიერ ნადავლთან დაბრუნებულიყო, ტაშჩაინარმა კი ვერ გაბედა უმისოდ, უანაბაშოდ წასვლა.

მზის ამოსვლის ჟამს უკვე ბუნაგის მახლობლად იყვნენ. აკბარა უცებ ელვის უსწრაფესად გაიქცა, თითქოს ძუძუთა ლეკვები ელოდნენ. ეს თავის მოტყუება და ცდუნება ტაშჩაინარსაც გადაედო და ახლა ორივე მიქროდა ხეობაში — ორივეს იმის იმედი მიარბე-

ნინებდა, რომ ჩქარა ნახავდნენ თავიანთ ლეკვებს.

და ყველაფერი ისევ განმეორდა — აკბარა ბუჩქნარებს შორის გამავალ ბილიკზე გაქანდა და კლდის გადმონაშვერქვეშ ნაპრალში შევარდა, ისევ მოყნოსა ცარიელი კუთხეები, ცივი საფენი, ისევ დარწმუნდა, რომ თავისი შვილები — ძუძუთა ლეკვები იქ არ იყვნენ, ამას ვერ შეურიგდა და ისევ გამოიჭრა ბუნაგიდან, დარდისაგან გაგიჟებული ისევ დაეტაკა ტაშჩაინარს, რომელიც უხერხულად შეეჩეხა შემოსასვლელში, და ისევ დაიწყო წრიალი ნაკადულთან, ყნოსავდა წინა დღით ბაზარბაის აქ ყოფნის ნაკვალევს. ამ მიდამოზე ყველაფერი საზიზღარი და მტრული იყო — განსაკუთრებით ქვაზე მიყუდებული ნაკლული არყის ბოთლი. მძაფრმა, მწარე სუნმა ძუ მგელი გადარია, იგი იღრინებოდა, იკბენდა თავს, ხრავდა მიწას, შემდეგ დრუნჩი მაღლა ასწია და გაბმული ხმით აყმუვლდა, მოთქმით ატირდა, თითქოს საშინლად გააბრაზესო, და უჩვეულოდ ლურჯი თვალებიდან ცრემლი ღვარ-ღვარად გადმოსდინდა.

და არავინ იყო ქვეყნად მისი მანუგეშებელი, ვერავინ უპასუხებდა ტირილით ტირილზე. გულცივნი იყვნენ მთანი მაღალნი...

III

მეორე დღეს, დილით, დაახლოებით ათ საათზე, ბაზარბაი ნოიგუტოვი ცხენის შეკაზმვას აპირებდა, რათა რაიცენტრში გაევლო, მაგრამ ამ დროს მისკენ მომავალი მხედარი დაინახა. ნეტავ რა საქმემ მოიყვანა ტამანის საზამთრო სადგომში? მხედარს ყვითელი მოთრიმლული ქურქი გადაეღელა, მელიის ბეწვის ქუდი ეხურა, ცხენი ნელა ჩორთით მოჰყავდა დასავლეთის მხრიდან, მცირე ფერდობის ძირას. კარგად, ჩინებულად იჯდა უნაგირზე. ბაზარბაიმ უმალ იცნო მხედარი; შემდეგ უფრო დააკვირდა ჩალისფერ დონურ იაბოს და დარწმუნდა, არ შევმცდარვარო, — ეს თვით ბოსტონ ურკუნჩიევი იჯდა თავის დონკულიუკზე. ბოსტონის მოულოდნელმა გამოჩენამ უსიამოვნოდ გააოცა ბაზარბაი, ისე უსიამოვნოდ, რომ უნაგირი გვერდზე გადადო და გადაწყვიტა, მოძულე მეზობელს დალოდებოდა. ხოლო მეზობელს რომ არ ეფიქრა, მე მხვდებაო, ბღუჯა ნამჯით ცხენის წმენდას შეუდგა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ საქმეს აკეთებდა. ბაზარბაის ისეთი უცნაური შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ბოსტონი მოულოდნელად წაადგა თავს. მან თვალი მოავლო ბაკს, ფარეხებს, დილაადრიან საქმეებით გართულ მწყემსებს — ყველაფერი რიგზეა თუ არაო. რა თქმა უნდა, ბოსტონს თავის საზამთრო სადგომში უფრო მეტი წესრიგი აქვს, სამუშაოზე ნამდვილი მხეციერით ტრიალებს, მაგრამ მოწინავეც ამიტომაა (ავი ენები ამბობდნენ — იმ დიდებულ

წლებში მას ციმბირში უკრავდნენ თავს, როგორც კულაკსო), ბაზარბაი კი ვინაა — ჩვეულებრივი რიგითი აზიელი მეცხვარე. მისთანებს თვლა არა აქვს მთებსა და ტრამალებში, სწორედ ისინი მწყემსავენ იმ მილიონიან ფარებს, რომელთა ჩლიქები საშუალებას არ აძლევენ ბალახს მიწიდან თავი წამოჰყოს, ფესვებიანად ქელავენ. შემდეგ კი ხომ ყველას თავისას მოჰკითხავენ. ბოსტონი სხვაა, ბაზარბაი — სხვა. ვიდრე ბოსტონი ახლოვდებოდა, ბაზარბაის თავში ფიქრები აუფორიაქდა. „ჩვენმა კულაკმა უცებ რად ინება ასე დილაადრიან მობრძანება? წინათ არასოდეს მოსულა! — საგონებელში ჩავარდა ბაზარბაი. — რატომ მოვიდა? რისი გულისთვის?“ ის იყო გადაწყვიტა, ბოსტონი სახლში შეეპატიჟებინა, რაკი კაცი ეწვია, მაგრამ წარმოიდგინა თავისი საცხოვრებელი, მოუვლელი ბრიგადის სახლი, უპირველეს ყოვლისა, ცოლი, უბედური, ავი კოკ ტურსუნი (განა შეიძლებოდა იგი გულიუმკანისათვის შეგედარებინა!) და ეს აზრი უკუაგდო.

ტამანის საზამთრო სადგომს მოახლოებულმა ბოსტონმა ცხენი ეზოს განაპირას შეაჩერა, აქეთ-იქით მიმოიხედა, და ფარდულთან თვით თავჩობანი რომ შეამჩნია, მისკენ გაემართა. ორივე თავდაჭერილად მიესალმა ერთმანეთს — ბოსტონი ცხენიდან არ ჩამომხტარა, ბაზარბაის თავისი საქმისათვის ხელი არ შეუშვია. სხვათა შორის ასეთი შეხვედრა არც ერთს სწყენია და არც მეორეს.

— კარგია, რომ შინ მოგისწარი, — უთხრა ბოსტონმა და ხელისგული ულვაშზე გადაისვა.

— როგორც ხედავ ადგილზე ვარ, რა დაგჭირვებია, თუ საიდუმლო არაა?

— რომელი საიდუმლო, საქმე მაქვს.

— ჰო, შენისთანა კაცი უბრალო საქმეზე არ მოვიდოდა, — ზვიადად უთხრა ბაზარბაიმ. — მართალს ვამბობ?

— მართალს ამბობ.

— მაშ—, ჩამოქვეითდი, თუ საქმეზე მოხვედი.

ბოსტონი მდუმარედ ჩამოქვეითდა, დონკულიუკი ცხენსაბმურზე მიაბა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არ დავიწყებია — მოსართავი მოეშვა, რათა ცხენს მკერდზე მოჭერილი ღვედებისაგან დაესვენა და თავისუფლად ემოძრავა. შემდეგ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, თითქოს თვალით ზომავდა, რა ხდება ეზოშიო.

— რას უდგეხარ? რას ათვალიერებ? — ცუდად დაფარული სიბრაზით შეეხმიანა ბაზარბაი. — დაჯექი მაგ მორზე, — შესთავაზა, თვითონ თავის ფეხებთან დაგდებულ ტრაქტორის საბურავზე მოიკალათა.

სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთს ისევ ამრეზილად შეხედა. ბა-

ზარბაის არაფერი არ მოსწონდა ბოსტონისა — არც ის, რომ კიდეებზე შავკრაველშემოყოლებული კარგი ქურქი ეცვა და ფართო მკერდზე გადაღეღოდა, რომ ბრგე იყო და ნათელი თვალები ჰქონდა, რომ სახეზე ჩამუქებული სპილენძის ფერი ედო, რომ წუხელ უთუოდ გულიუმკანს ეწვა ლოგინში, თუმცა რა მისი საქმე იყო ეგ.

— აბა, გისმენ, თქვი, რა გინდა, — თავი დაუქნია ბაზარბაიმ.

— იცი, რა საქმეზე მოვედი, — დაიწყო ბოსტონმა. — ხედავ, აგერ ხურჯინი წამოვიღე, უნაგირს დავაკარი. მომეცი ეს ლეკვები. თავის ადგილას უნდა დავაბრუნო.

— რომელ ადგილას?

— ბუნაგში ჩავსვა.

— თურმე რა ყოფილა! — მზაკვრულად დაიღრიჯა ბაზარბაი—. მე კი ვფიქრობდი, რის გულისთვის ინება დილითვე ჩვენთან მობრძანება ჩვენმა მოწინავემ-მეთქი, საქმეები რად მიატოვა და ცხენი რად მოაგელვა-მეთქი. ალბათ გავიწყდება, რომ შენი მწყემსი არა ვარ. მეც შენისთანა თავჩობანი გახლავარ და შენი სიტყვა ჩემთვის სავალდებულო არაა.

— რა შუაშია აქ სავალდებულო-არასავალდებულო. შენ რა, არ შეგიძლია, მშვიდად მომისმინო? თუ გგონია, რომ მგლები გუშინდელ ამბავს დაივიწყებენ, ძალიან სცდები, ბაზარბაი.

— მერე მე რა! არ დაივიწყებენ და ნუ დაივიწყებენ, რა ჩემი საქმეა, ან რა შენი საქმეა?

— ის, რომ წუხელ მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ორივე მგელი ყმუოდა. მანამ არ დაწყნარდებიან, სანამ შვილებს არ დაუბრუნებენ. ვიცი მე მგლის ზნე.

ბოსტონი აქ ისე მოვიდა, როგორც მთხოვნელი და ბაზარბაის ამის გამო ერთი სული ჰქონდა, აგდებულად მოქცეოდა, დაეცინა, ეჩვენებინა, თავად ვინც იყო. ბოსტონი რომ თვითონ ეახლებოდა და ხვეწნას დაუწყებდა, ამას თავის დღეში როგორ წარმოიდგენდა. ამიტომ გადაწყიტა, ეს სახეირო შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა. თან ნიშნის მოგებით გაიფიქრა: კარგია, რომ ღამით მოსვენება არ გქონდათ, კარგია, რომ გულიუმკანთან საალერსოდ არ გეცალა, ნეტავ ყოველთვის ასე იყოსო. შემდეგ ბოსტონს ქვეშქვეშად გახედა და უთხრა:

— ტვინი ნუ წაიღე. ბოსტონ! ბრიყვი ხომ არ გგონივარ! ლეკვები იმიტომ კი არ წამომიყვანია, რომ ლამის ბოდიშ-ბოდიშობით უკან დავაბრუნო. დიდი წარმოდგენისა ხარ საკუთარ თავზე! გარდა ამისა, მე ჩემი ინტერესები მაქვს, შენ —. შენი. ფეხებზე არ მკიდია, შენ და შენს დედაკაცს გეძინათ თუ არა, რაში მენაღვლება.

— ბაზარბაი, დაფიქრდი, უცებ ნუ მეტყვი უარს.

— რა მაქვს დასაფიქრებელი?

ბოსტონმა ძლივს შეიკავა თავი, მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა. ახლა ისღა დარჩენოდა, უკანასკნელი საშუალება გამოეყენებინა.

— ტყუილა იქცევი ასე, — უთხრა ბაზარბაის. — მაშინ, — ბოსტონი ჯერ კიდევ ცდილობდა თავი მოეთოკა. — მაშინ კაცურად მოვრიგდეთ — შენ გაყიდე, მე ვიყიდი! სულ ერთია, უნდა გაყიდო, ჰოდა, მე მომყიდე. თქვი, რამდენი გინდა და საქმე გავათაოთ.

— არ მოგყიდი! — ბაზარბაი ზეზე წამოიჭრა კიდევაც. — არაფრის გულისთვის არ მოგყიდი! გამომიხტა რა ესეც — მომყიდეო! ვითომ შენა გაქვს ფული და მე — არა! ფეხებზე არ მკიდია შენი ფული. ამ ლეკვებს გავყიდი და აღებულ ფულს ღვინოში დავამღერებ, შენ კი არ მოგყიდი, გაიგონე? ფეხებზე მკიდია, ვინ ხარ და რა ხარ! აბა, საჩქაროდ შეჯექი ცხენზე და მოუსვი, ვიდრე ლამაზი ხარ!

— სისულელეს ნუ ამბობ, ბაზარბაი. მოდი, კაცურად მოვილაპარაკოთ. რა განსხვავებაა, ვის მიჰყიდი ლეკვებს?

— შენთვის რაღა განსხვავებაა! შენ მე ნუ მასწავლი, ჭკუა უშენოდაც არ მაკლია. წყნარად, თორემ ისეთ ამბავს დაგათევ შენს პარტიულ კრებაზე, სადაც სულ იბრიქები, სხვა მოწინავეებზე მეტი მოწინავე ვარო და ყველას ჭკუას არიგებ, ისეთ ამბავს დაგათევ, დაგავიწყდეს მზე საიდან ამოდის და სად ჩადის. ისეთ ამბავს დაგათევ, შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდეს!

— ოჰო! — გულწრფელად გაუკვირდა ბოსტონს და ბაზარბაი უნებლიეთ ხელით გაინაპირა. — ჩემს შეშინებას მოეშვი, შენ ის მითხარი, აგრე რამ გადაგრია?

— რამ გადამრია? რამ და იმან! შენ ხელისუფლებას ეწინააღმდეგები. გასაგებია! მარტო შენი თავი გგონია ჭკვიანი! უფროსობა მოითხოვს, ყველგან განადგურდეს მტაცებლებიო, შენ კი გადაწყვიტე, მგლები შეივრდომო, გადაწყვიტე, მოამრავლო ისინი — ხომ ასეა? აბა, დაუფიქრდი შენი კულაკური გოგრით! მე მთელი ნაყარი წამოვიყვანე, მაშასადამე, სახელმწიფოს დიდი, სარგებლობა მოვუტანე, შენ კი გინდა ისინი ბუნაგში დააბრუნო. დაე, გაიზარდნონ, დაე, გამრავლდნენ, ასეა ხომ? თანაც ჩემი მოსყიდვა გინდა!

— შენი მოსყიდვა კი არ მინდა — ნეტამც თვალთ დამიბნელდეს და არ გიყურებდე — ლეკვები მინდა ვიყიდო. ამაოდ მაშინებ, ლამის სასამართლოს გადამცე. ჯერ დაუფიქრდი, ტვინი გაანძრიე, რას აკეთებ და რა ხარ ამის შემდეგ! თავდაპირველად ასაკსრული მგლები უნდა მოიცილო, თუ ეგეთი გმირი ხარ, უპირველეს ყოვლისა ძუ მგელი, რაკი ბუნაგს გადააწყდი. ხოლო თუ ამის თავი არა გაქვს, სხვებს უთხარი, ვისაც ძალა შეგწევთ, ამ საქმეს მიხედეთ-თქო.

— ეს სხვა შენ ხომ არ ბრძანდები?

— თუნდაც მე ვიყო! ახლა გინდ ეგ მგლები გიძებნია და გინდ წყალი ქვიშაში. რაკი ბუნაგი გაუნადგურე, ძესა და ხვადს უკვე ვეღარ მონახავ და ვეღარც მოკლავ. ახლა მთელ ამ არემარეში დაიწყებენ ფრინველ-საქონლის ხოცვა-ჟლეტას, ნებისმიერ წამს შურს იძიებენ ადამიანზე. ჰოდა, ბიჭი ხარ და გაუძელი. გიფიქრია ამაზე?

— არაკუნე, არაკუნე, ბიჭოს, რა ვექილი გამოუჩნდა მგლებს! აბა, დაამტკიცე, რომ ეგრეა. ვინ დაგიჯერებს? მგლებზე ისე ლაპარაკობ, როგორც ადამიანებზე, დაჩვეული ხარ ცრუპენტელობას, ვიცი რაცა ბრძანდები! მე შენ სხვა რამეს გეტყვი. აქ ჩემს დასაბრიყვებლად მოეთრიე... — ბაზარბაიმ სათქმელი არ დაამთავრა, მელოტი თავიდან ქუდი მოიხადა და ბოსტონს მიეჭრა: ზუსტად შუბლდაფერდებულ ხარს ჰგავდა. ისინი პირისპირ ედგნენ ერთმანეთს, ქშინავდნენ, ერთიმეორის სიძულვილი სულს უხუთავდა.

— კიდევ რა გინდა მითხრა? — დაძაბულობისაგან ჩახრინწული ხმით ჰკითხა ბოსტონმა. — თქვი, მეტი დრო არა მაქვს!

— ყოველთვის ვიცოდი, რომ წუწურაქი იყავი, სულ იმას ფიქრობ, მხოლოდ შენკენ მიიხვეტო ყველაფერი, ამიტომაც დაწანწალებ კრებებზე, თითქოს უშენოდ იქ ვერაფერს გახდებიან. ის კი არავინ იცის, რომ შურისგან სული გძვრება ძაღლივით, როცა ვინმეს ბედი უღიმის. ნადავლი სხვამ წამოიყვანა, ნაყარი სხვამ წამოასხა და აღარ იცი, რა ჰქნა, ღამეები არ გძინავს, როცა ვინმეს ხელი მოემართება!

— ფუი! — ვეღარ მოითმინა ბოსტონმა. — ასეთ ქვემძრომთან რა მალაპარაკებს! თვითონაც სულელი ვარ! ეგ რომ მცოდნოდა, აქ რა მომიყვანდა! გეყოფა ლაილაი! მორჩა! ახლა ლეკვები რომც მომცე, ხელს არ დავაკარებ. რაც გინდა, ისა ჰქენი!

გულზე ცეცხლმოდებული ბოსტონი ცხენსაბმურთან მივიდა, მსწრაფლად მოგლიჯა საბელი, ცხენს ისე ურთბაშად მოუჭირა მოსართავი, იგი შეტორტმანდა და ფეხები შეინაცვლა. შემდეგ ბოსტონი უცებ დაებერტყა უნაგირზე. იმ ზომამდე იყო გაავებული, ბაზარბაის ცოლის ძახილი არც გაუგონია. საბრალო ქალს სულ ცოტა დააგვიანდა. როცა სახლიდან გამოვიდა, დაინახა, რომ ქმარი ვიღაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა და ხელებს იქნევდა. „ნეტა ვის ელაპარაკება? ნუთუ თვით ბოსტონი მოვიდა? მაინც რა საქმეზე უნდა იყოს მოსული?“ — გაიფიქრა კოკ ტურსუნმა. იგი უმალ მიხვდა, რომ კაცები დავობდნენ და მთკენ გაეჩქარა, მაგრამ დააგვიანდა — ბოსტონი უკვე თავის ჩალისფერ დონურ იაბოს მიერეკებოდა. განრისხებული ჩანდა. მან თავზე მელიის ბეწვის ქუდი ჩამოიმხო, ცხენს მათრახი გადაუჭირა და გააქროლა, ქურქის კალთები ფრთებივით უფარფარებდა.

— ბოსტონ! ბოსტონ! მოიცადე! მომისმინე! — მიაყვირა სტუმარს კოკ ტურსუნმა, მაგრამ ბოსტონი არ მობრუნებულა — ვინ იცის, შეიძლება ქალის ხმა ვერ გაიგონა, შეიძლება მობრუნება არ ისურვა.

— რად აწყენინე ადამიანს? რაზე კამათობდით? — ჰკითხა ქმარს კოკ ტურსუნმა.

— ეგ არ გეკითხება! და ნუ ღრიალებ, რისთვის ეძახდი? რა არის შენი?

— შენს სიცოცხლეში ერთხელ გესტუმრა და როგორ დახვდი? ვინ გაგაჩინა ნეტავ ასეთი? მტარვალი ხარ და არა ადამიანი!

ცოლის სიტყვებმა ბაზარბაი გადარია, წამოვარდა, მორზე შეხტა და ბოსტონს მიაბღავლა:

— ოხ, მე შენი დედა! ზოგ-ზოგები არ გეგონო! დაჩვეულხარ აქ, ყველამ თავი გიქიციონოს! შენი დედა...

— ხმა ჩაიწყვიტე! გაჩუმდი! — მამაცურად ეცა კოკ ტურსუნი ქმარს და მორიდან ჩამოაგდო. — გირჩევნია, მე მცემო, რატომ ასხამ ადამიანს თავსლაფს? რისთვის?

— მომშორდი, შე ქოფაკო! — მოიცილა ბაზარბაიმ ცოლი. — ნეტა ვისი ტიკი-ტომარა ხარ? ამას დამიხედე, ბაზარბაი მომელაქუცებაო, აჰა, წაიყვანე ლეკვები, როგორც გინდა ისე იყოსო! ზოგ-ზოგები არ გეგონო!

— მაშ, ლეკვების გამო წაეჩხუბე? — გაუკვირდა კოკ ტურსუნს. — მართლა საჩხუბარი მაინც ყოფილიყო! პირდაპირ ქვეყანა გადაბრუნდა! ვაი, სირცხვილო...

IV

იმ დღეს მგლები წავიდნენ, მაგრამ დროებით კი არ წავიდნენ, ბუნაგი მიატოვეს, ღამით არ დაბრუნებულან და სხვაგან დაეხეტებოდნენ — ხან ნაღვლიანად იწვნენ, სადაც მოხვდებოდათ, ხან ისევ დაძრწოდნენ იმ არემარეზე, მაინც და მაინც არ იმალებოდნენ, თავხედურად იქცეოდნენ, თითქოს ადამიანებს აღარ უფრთხოდნენ. იმ დღეებში ბევრმა მეცხვარემ შეამჩნია ისინი სრულიად მოულოდნელ ადგილებში. ძუ მგელი ყოველთვის თავდახრილი მიაბიჯებდა შლეგივით, უკან ხვადი მიჰყვებოდა განუყრელად. ისე ჩანდა, თითქოს დაღუპვას ესწრაფოდნენ, რაკი სულ არ ეპუებოდნენ საფრთხეს. რამდენჯერმე საცხოვრებლებისა და ფარეხების მახლობლად გაიარეს და წარმოუდგენელი აურზაური აატეხინეს ძაღლებს. ნაგაზები გაავებით ყეფდნენ, მძვინვარებდნენ, ბორგავდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს აგერ-აგერ შეუტევდნენ ნადირს, მაგრამ მგლები მათ ზედაც არ უყურებდნენ, ნაბიჯს არ აჩქარებდნენ, მაშინაც კი, როცა

ესროდნენ, ისე განაგრძობდნენ თავიანთ გზას, ვითომც სროლის ხმა არც გაუგონიათო. ამ უცნაური მგლების სიგიჟის ამბავი ყველას პირზე ეკერა. ხალხი უფრო მეტად ალაპარაკდა, როცა აკბარამ და ტაშჩაინარმა მგლური ტაბუ დაარღვიეს და ადამიანებზე დაიწყეს თავდასხმა. ერთხელ დღისით, მზისით ტრაქტორისტს დაესხნენ შუა გზაზე. ჭაბუკს მისაბმელი საზიდრით თივა მიჰქონდა. უცებ საჭე გაიჭედა და ყმაწვილი ტრაქტორის ქვეშ შეძვრა, რათა გაეგო, რა მოხდა. დიდხანს ჯახირობდა იქ, ატრიალებდა ქანჩის გასაღებებს, და აი, შორიახლო შელღობილ თოვლზე მომავალი ორი მგელი დაინახა. მგლები მისკენ მოდიოდნენ. ჭაბუკი ყველაზე მეტად თურმე მგლის თვალებმა განაცვიფრეს. როგორც შემდეგ ჰყვებოდა, მგლები ისე მძვინვარედ იყურებოდნენ, სისხლი გაგეყინებოდა. თანაც ძუ ოდნავ დაბალი იყო ხვადზე და ლურჯთვალა. თვალები აწყლიანებული ჰქონდა, ჯიქურ იმზირებოდა. კიდევ კარგი, ყმაწვილი არ დაიბნა, კაბინაში შეხტომა და კარის დაკეტა მოასწრო. კიდევ კარგი, ძრავა სტარტერის მეშვეობით ჩაირთო, თორემ ხელით ამუშავება მოუწევდა. ბიჭს ნამდვილად გაუმართლა. ტრაქტორი არახრახდა და მგლები განზე გახტნენ, მაგრამ არ წასულან, სულ ცდილობდნენ ხან ერთი მხრიდან მიახლოვდებოდნენ მას, ხან მეორედან.

ერთხელაც მხოლოდ სასწაულით გადარჩა ერთი ყმაწვილი მწყემსი. ეს ამბავიც დღისით მოხდა. მწყემსი სახედრით წავიდა ფიჩხის მოსატანად, სახლიდან არც ისე შორს. როცა ბუჩქებში ნამგლით ძირზე შემხმარ შიმელებს ჭრიდა, საიდანღაც ორი მგელი გამოხტა და სახედარს ეცნენ. სახედარმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე მოაშთვეს. მგლები მას ელვის უსწრაფესად, უხმაუროდ დაესხნენ თავს. ბიჭი გაიქცა. გარბოდა და ნამგალს ხელიდან არ უშვებდა, ფარეხამდე რომ მოაღწია, დაეცა და საშინელი ხმით ატეხა ყვირილი. როცა შეიარაღებული მწყემსები ბუჩქნარისაკენ გაცვივდნენ, მგლები აუჩქარებელი ძუნძულით მიეფარნენ ბორცვაკს. სროლაზეც არ აუჩქარებიათ ფეხი...

მცირე ხნის შემდეგ კი მგლებმა ფარეხის მახლობლად საძოვრად გაშვებული მაკე ნერბების ნამდვილი ხოცვა-ჟლეტვა გამართეს. არავის უნახავს, რა და როგორ მოხდა. მწყემსები მაშინღა მოეგნენ გონს როცა ცოცხლად გადარჩენილი ცხოველები ფარეხში მოცვივდნენ. თხუთმეტი დაგლეჯილი მაკე ნერბი ეყარა საძოვარზე. მგლებს მხეცურად დაეხოცათ ისინი, ყელი გამოეღადრათ, დაეხოცათ უაზროდ — არა იმიტომ, რომ შიმშილი დაეცხროთ, არამედ მოკვლის სურვილი დაეკმაყოფილებინათ.

და დაიწყო აკბარასა და ტაშჩაინარის ბოროტმოქმედებათა აღნუსხვა. და საშინელი სახელი გაუვარდა მათ. მაგრამ ადამიანები

მხოლოდ საქმის გარეგან მხარეს ხედავდნენ და ნამდვილი მიზეზები, შურისძიების ნამდვილი მიზეზები არ იცოდნენ — არ უწყოდნენ, რა უსაშველოდ წუხდა დედა მგელი ბუნაგიდან გატაცებულ შვილებზე...

ბაზარბაი ქეიფობდა, თავაგდებულად იქცეოდა, ლოთობაში ანიავებდა მუქთად ნაშოვნ ფულს, იმ დღეებში დროს ატარებდა ტბის სანაპიროს საკურორტო რესტორნებში. მართალია, ახლა უსეზონობის გამო რესტორნები გამოცარიელებულ-გამოპირქუშებული იყო, მაგრამ არაყი რამდენიც გინდოდა, იმდენი იშოვებოდა ყველგან. ჰოდა, სადაც კი მოხვდებოდა ბაზარბაი (იგი ისე თვრებოდა, მელოტი თავიც კი უწითლდებოდა) სულ ერთსა და იმავეს ჰყვებოდა, თანამეინახეებს მოუთხრობდა, როგორ გააბუნძულა უკან ეს თავის თავზე შეყვარებული, გადიდგულებული ბოსტონი, ეს ქვაწვია და გველი, ეს გამოუაშკარავებელი ფარული კულაკი, რომელსაც წინათ კედელთან მიაყენებდნენ, როგორც კლასობრივ მტერს, და ბოლოს მოუღებდნენ. დასანანია, რომ ის დრო წავიდა. ასეთი ტიპის მიხვრეტა წმიდათა წმინდა საქმეა. ოციან-ოცდაათიან წლებში ყოველ მილიციელს შეეძლო პირდაპირ მისსავე ეზოში მიეხვრიტა კულაკი თუ მდიდარი. ამეებზე წიგნებია დაწერილი, რადიოთიც გადმოსცემდნენ, ერთი კულაკი როგორ ავიწროებდა, ანგარიშში ატყუებდა მოჯამაგირეს, რისთვისაც დღისით, მზისით, ყველას თვალწინ საიქიოს გაისტუმრეს, რომ ღარიბი კაცის დაჩაგვრა არავის მოპრიანებოდა. მაგრამ ბაზარბაის ყველაზე მეტად იმის მოყოლა უყვარდა, ტამანში მასთან მოსულ ბოსტონს კუდით ქვა როგორ ასროლინა, როგორ აგინებდა და დედას უტრიალებდა, თან თავისსავე სიტყვებზე უფრო და უფრო შედიოდა ლაპარაკის ეშხში. თანამეინახენი, მეტწილად ზამთარში უსაქმოდ მოყიალე დომოტდუხჩუები[1], რომლებიც ისე როხროხებდნენ, აშმორებულ და თამბაქოს სუნით ამყრალებულ საზკვების შენობების მინებს ზრიალი გაჰქონდათ, აქეზებდნენ, აგულიანებდნენ მთვრალ ბაზარბაის, კიდევ უფრო უნთებდნენ ცეცხლს მის მკვეხარობას. ეს ლაპარაკ-ლაპარაკი ბოსტონის ყურამდეც აღწევდა. აი, ამიტომ ატყდა ერთხელ დაკა-დაკა მეურნეობის დირექტორთან გამართულ კრებაზე.

უძილობისგან გატანჯულმა, უცებ მოზვავებული, გულის დამამძიმებელი ფიქრებით შეპყრობილმა ბოსტონმა მთელი წინა ღამე იბორგა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საზამთრო სადგომის შორიახლო ისევ დაიწყეს ტრიალი მგლებმა და ისევ გააბეს ის აუტანელი, სულის შემძვრელი სიმღერა, გულიუმკანი ისევ კანკალებ-

---

[1] დომოტდუხჩუ — დასასვენებელი სახლების სეზონური მუშები.

და შიშისაგან და ქმარს ეკვროდა, შემდეგ კი ველარ მოითმინა, მძინარე კენჯეში ისევ გადმოიყვანა თავის საწოლში და მოფერება დაუწყო, სხეულით იფარავდა, თითქოს ბავშვს რაღაც ემუქრებოდა. ამაზე ბოსტონს გუნება ეშხამებოდა, თუმცა ესმოდა, რომ ქალს ეპატიებოდა სიბნელისა და უჩვეულო ბგერების შიში.

ბოსტონმა რამდენჯერმე სცადა გარეთ გასვლა და თოფის სროლა, მაგრამ ცოლმა არ გაუშვა, ერთი წუთითაც არ უნდოდა მარტოდ დარჩენა. შემდეგ ქალმა მაინც ჩაიძინა, თუმცა მშფოთვარედ, ფხიზლად ეძინა, ბოსტონი კი ვერა და ვერ მოერია უძილობას. თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა. და ისე ჩანდა, რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობდა ამქვეყნად, მით უფრო რთულდებოდა და ძნელდებოდა ცხოვრება, და იმდენად არა ცხოვრება, რამდენადაც ცხოვრების აზრის გაგება. ის, რაზეც წინათ არ ფიქრობდა ან გაურკვევლად, სადღაც სულის სიღრმეში ფიქრობდა, ახლა აზრებში ცხადდებოდა და დაჟინებით ითხოვდა, თავისი თავისთვის აუცილებლად ეპასუხა ბოსტონს, რა რა იყო.

ბოსტონი ხომ ბალღობიდან საკუთარი შრომით ცხოვრობდა. მძიმე ბედი ხვდა წილად: მამა ომში დაეღუპა, როცა მეორე კლასში სწავლობდა, შემდეგ დედა გარდაეცვალა, უფროსი და-ძმები თავ-თავიანთთვის ცხოვრობდნენ, ზოგი მათგანი არც იყო ცოცხალი, და ბოსტონი ყველაფერს თავის თავს, მხოლოდ თავის შრომას უმადლოდა. როგორც ახლა ხვდებოდა, მის მიერვე დასახული რაღაც მიზნისკენ მტკიცედ, განუხრელად, ყოველდღე მიიწევდა, მუხლმოუხრელად მუშაობდა და მიაჩნდა, რომ მხოლოდ შრომა შეიძლებოდა ყოფილიყო ცხოვრების აზრი. ასევე გულმოდგინე მუშაობას აიძულებდა ყველა ხელქვეითს.

ბევრი იმათგანი, ვინც მისი სკოლა გაიარა, ბოსტონმა ხალხში გამოიყვანა, მუშაობა ასწავლა, ასწავლა, რომ სწორედ მუშაობით დაეფასებინათ ცხოვრება. ვინც ამ მიზანს არ ესწრაფვოდა, აშკარად არ უყვარდა, აშკარად არ ესმოდა მათი, ამგვარი ადამიანები არაფრის მაქნისებად მიაჩნდა, ცივად და უგულოდ ექცეოდა. იცოდა, რომ ამისთვის ბევრი ზურგს უკან ლანძღავდა, წუწურაქს, კულაკს ეძახდა, ნანობდნენ, რომ ბოსტონი გვიან დაიბადა, თორემ მისი ძვლება ახლა ციმბირის თოვლში იქნებოდაო ჩამპალი. ბოსტონი, როგორც წესი, არავის არავითარ გაკილვაზე არ პასუხობდა, რადგან არასდროს ეეჭვებოდა, რომ ჭეშმარიტება მის მხარეზე იყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თორემ ქვეყნიერება თავდაყირა დადგებოდა. ეს ისევე სწამდა, როგორც ის, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა. მხოლოდ ერთხელ დააჩოქა ბრმა ბედმა და აიძულა ენანა, რის შედეგაც შეიცნო ეჭვის სიმძიმე და სიმწარე...

V

ბოსტონმა და ერნაზარმა, გულიუმკანის განსვენებულმა ქმარმა, იმ ტრაგიკულ ამბამდე ერთად სამი წელი იმუშავეს. კარგი მუშაკაცი იყო ერნაზარი, წუნს ვერ დასდებდი, თანაც საიმედო კაცი — სწორედ მისთანა კაცი სჭირდებოდა ბოსტონს ბრიგადაში. ერნაზარი თვითონ მოვიდა ბოსტონთან და იმ დღიდან დაიწყეს ერთად მუშაობა. პირველად შემოდგომაზე ეწვია ბოსტონს ბეშკუნგეიში, სადაც მას ცხვარი ედგა. მოსალაპარაკებლად ჩამოვედიო, უთხრა. ჰოდა, მოილაპარაკეს კიდევაც ჩაიზე. მომბეზრდაო, ჩიოდა ერნაზარი, შემთხვევით ხალხთან მუშაობა. რაც უნდა ეცადო, თუ თავჩობანი მეურნე არაა, ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. აი, წლები გადის, ორი ქალიშვილი მეზრდება, მალე უნდა დათხოვდნენ, დრო კი სწრაფად გარბის, და მიუხედავად იმისა, რომ წელებზე ფეხს ვიდგამ, მაინც ვალებში ვარ. სახლი ავიშენე, ვინ არ იცის, რა ჯდება სახლის მშენებლობა, შენთან კი, ბოსკე, (ასე ეძახდა ბოსტონს პატივისცემით), არ დაგიმალავ და მუშაობაც შეიძლება და ფულის გაკეთებაც. მატყლისთვის, ბატკნის ნამატისთვის, წონის ნამატისთვის ყოველთვის ფულადი პრემია გაქვს, თანაც განა ცოტა. ჰოდა, ვიფიქრე, მეთხოვა, თუ წინააღმდეგი არ იქნები, მოელაპარაკო დირექტორს, შენთან გადმოიყვანოს პირველ მეცხვარედ, შენს მარჯვენა ხელად. არ მოგატყუებ, თვითონ იცი ეს, თორემ ამ საუბარს არ წამოვიწყებდი...

ბოსტონი ერნაზარს მანამდეც იცნობდა. რაც უნდა იყოს, ერთ მეურნეობაში ცხოვრობდნენ, თანაც გულიუმკანი ბოსტონის ცოლს არზიგულს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა. მაშასადამე, შინაურები იყვნენ, მაგრამ რაც მთავარია, ბოსტონი უმალ ენდო ერნაზარს და შემდეგ ეს არასდროს უნანია.

აი, აქედან დაიწყო ყველაფერი, ამ უბრალო ცხოვრებისეულ ამბიდან. ერთმანეთთან შეწყობა არ გასჭირვებიათ, რადგან ერნაზარი ისევე, როგორც თვითონ ბოსტონი, ნამდვილი მეურნე იყო, სხვების აზრით მისთანა სულელს ცოტას ნახავდით: მეურნეობის საქონელს ისე უვლიდა, როგორც საკუთარს, თითქოს პირადად მას ეკუთვნოდა. ხომ არ აფრენსო? — კითხულობდნენ. აქედან კი გამომდინარეობდა ყველაფერი დანარჩენი — ისევე შრომობდა, როგორც საკუთარი თავისთვის, ისევე ზრუნავდა მეურნეობაზე, როგორც თავის საკუთარ საქმეზე. შრომისმოყვარეობა ერნაზარის ბუნება გახლდათ. შრომისმოყვარეობა ბუნებით მოსდგამდა და ცხოვრებაში უფრო განიმტკიცა იგი, ეს — სამყაროს ნიშნეული თვისება; ეს თვისება ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მომადლებული, ოღონდ ზოგნი მას, ამ თვისებას განიმტკიცებენ, ზოგნი — არა. აბა, ერთი დავფიქრდეთ, რამდენი არიან ისინი, ეს უქნარები, ყველგან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე —

დიდებიც, ყმაწვილებიც, კაცებიცა და ქალებიც. თითქოს არ ესმით ადამიანებს, თუ რამდენი უბედურება და სიღატაკე მოაქვს და მოჰქონდა ყოველთვის სიზარმაცეს. ბოსტონი და ერნაზარი კი ნამდვილი მშრომელები იყვნენ და ამიტომაც სულიერად ნათესავნი. ამიტომაც მუშაობდნენ შეხმატკბილებულად და შეთანხმებულად. უმალ უხვდებოდნენ კიდევაც ერთმანეთს გულისნადებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ, შესაძლოა, სწორედ ამ თვისებამ ითამაშა საბედისწერო როლი მათ ცხოვრებაში...

თუმცა ასეა თუ არა, ვინ იცის... საქმე ისაა, რომ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ბრიგადული და ოჯახური საწარმოო ოჯარა გაჩნდებოდა, ბოსტონ ურკუნჩიევი ალბათ თავის ინტუიციით ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იყინებდა, მას, უფრო სწორად მის ბრიგადას მიჩენილი ჰქონდა მიწა და მუდმივად ესარგებლა ამ მიწით. ეს, მართალია, გულუბრყვილოდ გამოთქმული, ზოგი ორთოდოქსის თვალსაზრისით თავხედური მიზანი გულისხმობდა იმას, რომ მე ჩემი საძოვარი ტერიტორია მქონოდა, ესე იგი ჩემი მიწა, ჩემი ფარეხები მქონოდა, ამასთან მათზე მე მეგო პასუხი და არა მნე-კომენდანტს, რომელიც თავს არაფერზე იცხელებდა, მთებში საზაფხულო საძოვრები მქონოდა, რომ ჩემი ფარითურთ იქით არ ეკრათ თავი, საითაც მოეპრიანებოდათ, ყველას სცოდნოდა, რომ ეს საძოვრები მე მაქვს მიჩენილი, მე, ბოსტონს, და არა სხვა ვინმეს, რომ ყველაფერი თვითონ განმეგო, როგორც პატრონს, მუშაკაცს. მაშინ ასჯერ მეტს გავაკეთებდი და სახელმწიფოს გაცილებით მეტ პროდუქციას ჩავაბარებდი ზეგეგმით, ვიდრე გაუპიროვნებელ მიწაზე საქმიანობისას, სადაც ისე ვმუშაობ, თითქოს მოჯამაგირე-ჯალდამა[1] ვიყო, რომელიც კაცმა არ იცის გაისად შემოდგომაზე სად წავა.

არა, არ დაუჭირეს მხარი ბოსტონის ამ იდეას. თავდაპირველად ყველა ეთანხმებოდა, ჰო, ეს, რა თქმა უნდა, სწორია, გონივრულია, სუყველას უნდა მიეჩინოს ნაკვეთები, დაე, ხალხმა თავი პატრონად იგრძნოს, ოჯახმა, ბავშვებმა იცოდნენ ამის შესახებ და ერთად იშრომონ თავიანთ მიწაზეო, მაგრამ, როგორც კი რომელიმე ადგილობრივი ფხიზელი პოლიტეკონომისტი დაეჭვდებოდა: — ა, ხომ არაა ეს სოციალიზმის წმიდათაწმიდა პრინციპების ხელყოფა? — ყველაფერს დაუყოვნებლივ გადათქვამდნენ და პირიქით ლაპარაკობდნენ, იმას ამტკიცებდნენ, რის დამტკიცებაც საჭირო არ იყო. არავის უნდოდა, ეჭვმიტანილი ყოფილიყო ერესში. და მხოლოდ ბოსტონ ურკუნჩიევი — უმეცარი მწყემსი — ჯიუტად განაგრძობდა თავისი აზ-

---

[1] ჯალდამა — მოჯარე.

რის მტკიცებას მეურნეობის თუ რაიონის თითქმის ყოველ კრებაზე. ბოსტონს უსმენდნენ, აღტაცებაში მოდიოდნენ და იცინოდნენ: ამას რა უჭირს, რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს, დასაკარგი არაფერი აქვს, სამუშაოდან ვერ მოხსნიან, კარიერას ვერ გაუფუჭებენ, ბედნიერი კაციაო! და ყოველთვის მკაცრ პასუხს აძლევდნენ თეორიული პოზიციებიდან, განსაკუთრებით გულმოდგინებას იჩენდა მეურნეობის პარტორგი კოჩკორბაევი, საოლქო პარტსკოლის დიპლომიანი ტიპური სწავლული. ამ კოჩკორბაევთან ბოსტონს თითქმის ანეკდოტური ურთიერთობა ჰქონდა. კოჩკორბაევი რამდენი წელია მეურნეობის პარტორგი იყო და ბოსტონმა ვერა და ვერ გაარკვია — მას გულუბრყვილო ასოკირკიტად მოჰქონდა თავი (ასოკირკიტობა უპირატესობას ანიჭებდა), თუ მართლა ასეთი ბრძანდებოდა. შესახედავად ლოყებწითელ ცვედანს ჰგავდა — ნაპატიები იყო, ნიადაგ ყელსახვევი ეკეთა, ნიადაგ რაღაც საქაღალდე ეჭირა, ნიადაგ შეურვებული ჩანდა, ნიადაგ საქმეებით გართული, — ჩქარ-ჩქარა დადიოდა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს გაზეთს კითხულობსო. ხანდახან ბოსტონი ფიქრობდა: შეიძლება ძილშიც ასე დაწყობილად ლაპარაკობსო.

— ამხანაგო ურკუნჩიევ, — ტრიბუნიდან საყვედურობდა ბოსტონს პარტორგი კოჩკორბაევი, — დიდი ხანია, უნდა იცოდეთ, რომ მიწა ჩვენში საერთო-სახალხო საკუთრებაა. ასეა ჩაწერილი კონსტიტუციაში. მიწა ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის ხალხს, მხოლოდ ხალხს და სხვას არავის. თქვენ კი თქვენთვის მოითხოვთ, შეიძლება ითქვას, კერძო საკუთრებად მოგცენ საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, ფარეხები, საკვები და სხვა ინვენტარი. ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით — უფლება არა გვაქვს სოციალიზმის პრინციპების დამახინჯებისა. მიხვდით, საით უკაკუნებთ და საით გინდათ ჩვენი წაყვანა?

— არსად არავის წაყვანა არ მინდა, — არ ნებდებოდა ბოსტონი. — თუ პატრონი ხალხია და არა მე, დაე, ხალხი წავიდეს და იმუშაოს ჩემს ფარეხში, მე კი შევხედავ, რა გამოვა აქედან. თუ ჩემი საქმის პატრონი მე არა ვარ, მაშ, ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა იყოს პატრონი?

— ხალხი, ამხანაგო ურკუნჩიევ, კიდევ გიმეორებ — საბჭოთა ხალხი, სახელმწიფო.

— ხალხი? მე კი თქვენი აზრით ვინღა ვარ? რაღაც ვერ გამიგია. რატომ არა ვარ მე სახელმწიფო? შენ, პარტორგო, თითქოს ახალგაზრდა ნასწავლი კაცი ხარ, მერედა რას გასწავლიდნენ იქ, თუ შენს სიტყვებს ვერ გავიგებ?

— მე, ამხანაგო ურკუნჩიევ, თქვენი გავლენის ქვეშ ვერ მოვექცევი, ვინაიდან კულაკურ დემაგოგიას აჩაღებთ, მაგრამ დაიმახსოვრე — თქვენი დრო წავიდა და ჩვენ არავის მივცემთ სოციალიზმის საფუძვლების ხელყოფის უფლებას.

— კი ბატონო, თქვენ, უფროსებმა, უკეთ იცით საქმისა, — იღრინებოდა ბოსტონი, — მაგრამ სულ ერთია, ჩემსას არ მოვიშლი — მუშაობით მე უნდა ვიმუშაო და არა სხვამ. ერთი ბეწო რამეზე ხმას მაწყვეტინებთ: ხალხი და ხალხიო! ხალხია პატრონიო! — გაიძახით. კეთილი. მაშინ ხალხმა განსაჯოს: საქონელი წლიდან წლამდე მეტი და მეტი ხდება, მეურნეობაში მარტო წვრილფეხა საქონელი ორმოცი ათასი სულია — ასეთი რამ წინათ არავის სიზმრად არ მოელანდებოდა, თავისუფალი მიწა სულ უფრო კლებულობს, გეგმები კი იზრდება. ჰოდა, თვითონ დაუკვირდით: აქამდე მე ერთ სულ ცხვარს სამ კილოგრამსა და შვიდას გრამ მატყლს ვპარსავდი, ხოლო ოცი წლის წინათ — ეს ყველამ იცის — ორი კილოგრამიდან დავიწყე, ესე იგი ოცი წლის მანძილზე დიდი გარჯით კილოშვიდასი ნამეტი მივეცი სახელმწიფოს. ახლა წლიური გეგმა ერთ სულზე ნახევარი კილოგრამით გაზარდეს. მერედა საიდან მოვიტანო ეს ნახევარი კილოგრამი? ვიჯადოქრო? გეგმას არ შევასრულებ და ბრიგადა ვერაფერს მიიღებს. ადამიანებს კი ოჯახები ჰყავთ. მაშ, რისთვის უნდა მუშაობდნენ, მთელი წელიწადი რისთვის უნდა დასდევდნენ ცხვარს? რანაირად შეიძლება ასეთი გეგმა შეასრულო, როცა ყოველი მეცხვარე ძერასავით მხოლოდ იმას უტრიალებს, რომ მეორეს უფრო უკეთესი საძოვარი წაართვას, რადგან მიწა საერთოა, მისი პატრონი არავინაა. მერედა რამდენი ჩხუბი აუტეხიათ მეცხვარეებს საძოვრების გამო, შენ კი, პარტორგო, თვითონ არაფერს აკეთებ და დირექტორსაც ხელფეხს უკრავ! განა ვერ ვხედავ, ამას?

— მე რას ვაკეთებ და რას არა, ეგ რაიკომის საქმეა, და არც რაიკომი დაეთანხმება თქვენს სახიფათო ავანტიურას, ამხანაგო ურკუნჩიევ!

და ყოველთვის საუბარი ქარს მიჰყვებოდა...

აქ კიდევ მეცხვარეთა ბრიგადაში ბედმა ერნაზარი მოიყვანა და ბოსტონს უახლოესი თანამოაზრე და მოკავშირე გაუჩნდა. მათი ცოლები, არზიგული და გულიუმკანი დასცინოდნენ ხოლმე ქმრებს: რაც ალხანა, ის ჩალხანაო, არც ძილი იციან, არც დასვენება, მუშაობის მეტი არაფერი ახსოვთო. ერნაზარს და ბოსტონს სწორედ მაშინ გაუჩნდათ აზრი საქონელი გამოსაზაფხულებლად ალა-მონგიუს უღელტეხილის გადაღმა გადაერეკათ. იდეა ერნაზარს დაებადა. რაო, ამბობდა, მთელი ზაფხული მთისწინეთში ყოფნას, ყოველი ბალახის ღერისთვის მეზობლებთან აყალმაყალს არ სჯობია საზაფხულოდ

უღელტეხილის გადაღმა გადასვლა, კიჩიბელის საძოვარზეო? მოხუცების თქმით, წინათ ბაი-მესაქონლეებს ჯოგები და ფარები თითქოს იქ დაჰყავდათ. სწორედ იმ დროს შეიქმნა სიმღერა „კიჩიბელი". ბოსტონმა და ერნაზარმა იცოდნენ, რომ კიჩიბელის ჯაილიაუ მაინცდამაინც დიდი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ იქ ზღაპრული ბალახი იზრდებოდა. ხუთ დღეში საქონელი იმდენს იმატებდა წონაში, რამდენსაც გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი ერთი თვის მანძილზე.

ბოსტონი წინათაც ფიქრობდა ამაზე, მაგრამ კიჩიბელის საკითხს ბევრი გაუგებრობა ახლდა. კოლმეურნეობის მესაქონლენი იქ ჯერ კიდევ ომამდე დადიოდნენ საზაფხულოდ — ყინულოვან ალა-მონგიუზე გამავალ ერთადერთ საუღელტეხილო გზას მიჰყვებოდნენ. ომის დროს კი, როცა აულებში მხოლოდ მოხუცები და ბავშვები დარჩნენ, უკვე ვეღარავინ ბედავდა ასეთ ლაშქრობას. შემდეგ გაჭირვებული კოლმეურნეობები ერთ დიდ მეურნეობად გაერთიანდნენ. მეურნეობას რომელიღაც მორიგი ...ხუთწლედის სახელი, ექვსი სიტყვისგან შემდგარი სახელი ეწოდა, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეებმა მდინარე ბერიკ-სუუს მიხედვით „ბერიკი" შეარქვეს. გაერთიანებისა და გარდაქმნის იმ ფაცაფუცში თანდათან დაავიწყდათ, რომ ზაფხულში მთელი ორი თვე ან მეტიც შეიძლებოდა საქონელი დიდი ალა-მონგიუს თოვლიანი უღელტეხილის გადაღმა გადაეყვანათ. იქნებ უკვე აღარც არავის უნდოდა ამსიმაღლე უღელტეხილზე გადასვლა: ასეთ რთულ მთიან გზაზე საქონლის გადასარეკად ხომ ენთუზიაზმი, პატრონის გზნებაა საჭირო, პატრონისა, რომელსაც სურვილი აქვს, რაც შეიძლება უკეთესად შეინახოს თავისი პირუტყვი. ძველად შეხვედრისას ყირგიზები ალბათ ამიტომ ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „მალ ჟან ამანბი?" — ესე იგი ხომ ჯანზეა საქონელი და ჯალაბიო. პირველ რიგში საქონელზე ლაპარაკობდნენ. რას იზამ, ცხოვრება ცხოვრებაა...

ამ ძველთაძველი იდეით ანთებულმა ბოსტონმა და ერნაზარმა ფანქარი მოიმარჯვეს და კიჩიბელის ყველა ვარიანტი ასწონ-დასწონეს: თუნდაც უაღრესად მინიმალური გაანგარიშებით, ესე იგი, თუკი იმასაც გავითვალისწინებდით, რომ იქითობისას და აქეთობისას უღელტეხილის გადალახვის შემდეგ საქონელი წონაში დაიკლებდა, ჩიტი ღირდა ბდღვნად. საქმე დიდ სარგებელს პირდებოდა მეცხვარეებს — პირდაპირი ხარჯები, თუ ქვამარილის გადაზიდვის თანხას არ ჩათვლიდნენ, შრომის საზღაურის გარდა პრაქტიკულად სულ არ ექნებოდათ. მაგრამ ჯერხნობით ეს მაინც მხოლოდ და მხოლოდ მაცთუნებელი გაანგარიშებანი იყო.

ბოსტონმა გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა, განყოფილების

გამგისთვის მიემართა, შემდეგ საბჭოთა მეურნეობის დირექტორისთვის, ხოლო პარტორგს არ გაეკარა. არ უყვარდა იგი, ბევრჯერ დარწმუნდა, რომ ყბედი იყო, სულ ფრთხილობდა: ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლებაო, ოღონდაც კრებებზე გამოსულიყო, გაზეთში ნათქვამი გაემეორებინა, ყელსახვევი გაეკეთებინა და ეკოპწიავა, მეტი არა უნდოდა რა. დირექტორს — მეურნეობის თავკაცს — კი ბოსტონმა უთხრა: იბრაიმ ჩოტბაევიჩ, ასე და ასე ვაპირებთ მე და ერნაზარი, საქმის სასარგებლოდ გვინდა განვაახლოთ ალა-მონგიუს უღელტეხილის მიღმა მდებარე საძოვრები. ჯერ ორნი წავალთ გზის დასაზვერად, დავხედავთ, როგორი ადგილებია კიჩიბელზე, როგორი ბალახი, შემდეგ დავბრუნდებით და მთელი ზაფხულით დავძრავთ იქით ცხვარს. თუ ყველაფერი ჩვენი სურვილისამებრ დამთავრდა, კიჩიბელის საძოვარი ჩემზე გააპიროვნონ. რომელიმე მეცხვარე უღელტეხილის გაღმა გამოყოლას ისურვებს და კი, ბატონო, წამოვიდეს, ადგილი იმასაც ეყოფა, მთავარია, ვიცოდე, რომელ საძოვრებს გამომიყოფენ და რის იმედი უნდა მქონდეს სეზონის მანძილზე. აი, ამის სათქმელად მოვედი თქვენთან. მე და ერნაზარმა გადავწყვიტეთ, ორი დღის შემდეგ გავსწიოთ ალა-მონგიუს უღელტეხილისკენ, საქმეებს კი ჯერჯერობით ცოლებს და დამხმარეებს გადავაბარებთ.

— სიტყვამ მოიტანა და, თქვენი ცოლები როგორ უყურებენ, ბოსკე, ამ წამოწყებას? — დაინტერესდა დირექტორი. — ეს ხომ სახუმარო საქმე არაა?

— თითქოსდა მხარს გვიჭერენ. რა სალაპარაკოა და ჩემი არზიგული ჭკვიანი დედაკაცია, გულიუმკანიც, ერნაზარის ცოლიც, თუმცა უფრო ახალგაზრდაა, სულაც არაა სულელი. ერთმანეთსაც, ვატყობ, კარგად შეეწყვნენ. აი, კიდევ რა მიხარია. თორემ მტრისას დედაკაცების კინკლაობა. სიცოცხლეს გაგიძაღლებენ... წინათ ისეთი ამბები მომხდარა...

კიდევ ილაპარაკეს მათ აქითურზე, იქითურზე. თურმე შემოდგომაზე მოსკოვში ძნელად წარმოსათქმელ სმგ[1]-ზე რაიონის მოწინავეების გაგზავნა იყო გათვალისწინებული და თითქოსდა ბოსტონიც ლამის სიის თავში ეწერა.

— იბრაიმ ჩოტბაევიჩ, არ შეიძლება ცოლიც წამოვიდეს? ჩემი არზიგული დიდი ხანია მოსკოვის ნახვაზე ოცნებობს, — გამოტყდა ბოსტონი.

— მესმის შენი, ბოსკე, — გაეღიმა დირექტორს, — როგორც იტყვიან, ვნახოთ, რა იქნება. რატომაც არ შეიძლება? მხოლოდ პარ-

---

[1] სმგ — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

ტორგის ნებართვაა საჭირო. მე მოველაპარაკები.

— პარტორგს? — დაფიქრდა ბოსტონი.

— ო, ნურაფერი გეეჭვება, ბოსკე. რა, შენ გამო შარს მოსდებს შენს ცოლს? ეს ხომ არაკაცური საქციელი იქნება.

— მთავარი ეგ როდია. რა მნიშვნელობა აქვს, წავალ თუ არ წავალ. ქვეყანა არ დაიქცევა. მე აი, რის თქმა მინდოდა შენთვის, დირექტორო. ძალიან გჭირდება მეურნეობაში ამგვარი პარტორგი? უმისოდ არაფრით არ შეგიძლია გასძლო?

— რა იყო?

— რა იყო და, ვთქვათ, ფორანს ოთხი თვალი აქვს, ოთხივე ადგილზეა, ხოლო თუ მეხუთეს გავუკეთებთ, ის მეხუთე თვითონ ვერ იმოძრავებს და სხვებსაც შეუშლის ხელს. მინდა ვიცოდე, საჭიროა თუ არა ეს თვალი?

— იცი რა... — დირექტორი, წარმოსადეგი, ვეება კაცი, რომელსაც ელამი თვალები, ფართო და ოდნავ ტლანქი სახე ჰქონდა, დასერიოზულდა, მაგიდაზე ქაღალდების გადალაგ-გადმოლაგება დაიწყო, თვალებზე დაღლილი ქუთუთოები ჩამოეფარა.

„ძილი აკლია, მაგის მოსვენება არაა", — გაიფიქრა ბოსტონმა.

— სიმართლე გითხრა, საზრიანი პარტორგია საჭირო, — თქვა დირექტორმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— ეს?

დირექტორმა სახეში შეხედა ბოსტონს.

— აბა, რა ჩვენი საქმეა ამის გარჩევა? რაკი რაიკომმა გამოგზავნა, ვერაფერს გააწყობ.

— რაიკომი. აი, ხედავ, — აღმოხდა ბოსტონს. — ზოგჯერ მგონია, თითქოს განგებ გვიჩვენებს, რომ რაღაცისთვის სჭირდება ასე მოქცევა. გამუდმებით რატომ აფრთხობს ხალხს იმის ჩიჩინით, ვითომ მე სოციალიზმის დანგრევა მინდა? ეს ხომ სიცრუეა. თუკი რამეს ვითხოვ, ხომ საქმისთვის ვითხოვ. ამ მიწას მე არ გავყიდი, ვიღაცას არ მივცემ. მეურნეობის იყო და მასვე დარჩება. მე კი, ვიდრე პირში სული მიდგას, ვიდრე ვმუშაობ, სულ ერთია, ჩემი ჭკუით ვიცხოვრებ.

— ერთსა და იმავეს რად ჩამჩიჩინებ, ასე გამუდმებით, ბოსკე. რასაც შენ მთავაზობ, იმის გაკეთება არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება?

— იმიტომ, რომ არ შეიძლება.

— განა ესაა პასუხი?

— კიდევ რა შემიძლია გიპასუხო?

— მე შენი მესმის, იბრაიმ ჩოტბაევიჩ. შენ ერთხელ მარცხი მოგივიდა. გინდოდა, საქმე უკეთ წარგემართა, მაგრამ კისერი მოგიგრიხეს, დაგაქვეითეს, რაიკომიდან საბჭოთა მეურნეობაში გიკრეს თავი.

— :სწორია და მეტად აღარ მინდა კისერს მიგრეხდნენ: ჭკუა ვისწავლე.

— ხედავ, ყველა თავის თავზე ფიქრობს, მე წინააღმდეგი არა ვარ, კაცმა საკუთარ თავზე იფიქროს, მთავარია, ჭკვიანურად იფიქროს. ის კი არ უნდა დასაჯო, ვინც რაღაც ახალი გააკეთა, არამედ ის, ვისაც გაკეთება შეეძლო და არ გააკეთა. ჩვენში კი ყველაფერი უკუღმაა.

— შენთვის ადვილია სხვისი განსჯა, — გაიცინა დირექტორმა.

— ყველას აგრე ჰგონია. მე კი მომბეზრდა ისე ცხოვრება, თითქოს სტუმრად ვიყო. სტუმრისაგან რა მუშაკი დადგება, თვითონ მოგეხსენება. ჰა, თავდაპირველად ორი-სამი დღე გაფხაკურდება, შემდეგ საქმე მობეზრდება... ჩვენთან რაღა ხდება: მუშაობ, მუშაობ, კოჩკორბაევი კი სულ ცხვირში გიტკაცუნებს: შენ სტუმარი ხარ, შენ პატრონი არა ხარო.

— იცი, რა გითხრა, ბოსკე. შევთანხმდეთ: შენ მე ნუ დამიმოწმებ, მაგრამ ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნევ...

ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს...

სამი დღის შემდეგ ბოსტონმა და ერნაზარმა დილაუთენია გასწიეს კიჩიბელისკენ. ყველას ეძინა, როცა ცხენებს მოახტნენ. ბოსტონი ჩალისფერ ლაფშაზე იჯდა. მისი დონკულიუკი იმხანად ორი წლისა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მთაში კი დინჯი ცხენით მგზავრობა სჯობდა, უღელტეხილს ხომ დაოთხებით ვერ გადაივლიდი. არც ერნაზარის ცხენს ეთქმოდა ცუდი. ცხენები იმ დროისათვის უკვე მოსუქებულნი იყვნენ, სწრაფად მიდიოდნენ. ორივეს გადაკიდებული ჰქონდა შვრიიანი ხურჯინი — თუ ღამის გათევა თოვლში მოუხდებოდათ, იქ დასჭირდებოდათ. თან მიჰქონდათ აგრეთვე ღამის სათევად გამოსადეგი ტყაპუჭები.

ზოგჯერ თვითონ გზა გგვრის სიხარულს, განსაკუთრებით, როცა შენი სულის საფერი თანამგზავრი გყავს და აუჩქარებლად, უბრალოდ მისაუბრობთ. იმ დღეს საოცრად ნათელი ამინდი იდგა — წინ მთები აღმართულიყვნენ, თოვლიანი ქედი თოვლიან ქედს მოსდევდა, ყოველი მომდევნო ქედი უფრო და უფრო დატოტვილი და დათოვლილი იყო, ხოლო თუ მოიხედავდი, უკან, დაბლობში ვეება ტბას დაინახავდი და სულ გინდოდა გეცქირა დაბინდული, სარკესავით გარინდებული ისიქ-ქოლის სილურჯისათვის.

— ეჰ, ნეტავ ისიქ-ქოლის ერთი ბეწო სილურჯე წამაღებინა ხურჯინით, — იხუმრა ერნაზარმა.

— ცხენს რაღას აჭმევდი, შვრიის მაგივრად სილურჯეს? — დასაბუთებულად მიუგო ბოსტონმა.

ორივეს გაეცინა. მათ იშვიათად ჰქონდათ თავისუფალი დრო, ნიადაგ მეცხვარის ყოველდღიურ მძიმე საზრუნავში იყვნენ გაბმული და თუმცა ახლაც იმისათვის მიდიოდნენ, უღელტეხილზე საქონლის გადასარეკი გზა დაეზვერათ, ხოლო წინ კიდევ უფრო მძიმე და მტანჯველი საქმე ელოდათ, იმ წუთში ორივე ბედნიერად გრძნობდა თავს, წინაპრების ბილიკიც მათდამი ჯერხნობით მოწყალებას იჩენდა. ერნაზარი ჩინებულ გუნებაზე იყო, მის იდეას ასე თუ ისე გზასავალი მიეცა. ომიდან მოყოლებული მთელი ორმოცი წელი არავის გადაუვლია ეს უღელტეხილი, მათ კი გაბედეს.

სიტყვამ მოიტანა და ერნაზარს უყვარდა მსჯელობა, კითხვების დასმა. შესახედავად წარმოსადეგი კაცი იყო; ომის შემდგომ არმიაში უკანასკნელ ცხენოსანთა ნაწილებში მსახურობდა და ამდენი წლის გასვლის მიუხედავად ძველებურად მხარბეჭგამართული იყო. გულიუმკანი სიცილით ჰყვებოდა: ერთხელ ჩემი ერნაზარი კინაღამ გამსახიობდა. ჩამოვიდა ვიღაც კინორეჟისორი და შეეხვეწა, რა იქნება, კინოში გადაგიღებო. აქეთ მე მითხრა, შენი, ერნაზარი რომ ამერიკაში ცხოვრობდეს, კინოში კოვბოის ითამაშებდაო. ამაზე მივუგე: ვიცი მე თქვენი კინოები, გამიგონია, ერთი მეჯოგე რომ წაიყვანეს გადასაღებად და დაიღუპა კიდეც — რომელიღაც მსახიობმა ქალმა წააბრძანა, ამიტომ ჩემს ერნაზარს არ დაგანებებ-მეთქი.

ბოსტონი მიდიოდა და ფიქრობდა, როცა შემოდგომაზე კიჩიბელიდან საქონელს ჩამოვრეკავ, ერნაზარს როგორმე უნდა დავეხმარო და ბრიგადა მივაღებინო. კაცი გამუდმებით მუშაობს, დრო არის თავჩობანობა მიენდოს, მწყემსად დატოვება აღარ შეეფერება; მე რომ მეურნეობის დირექტორი ვიყო, ან პარტორგი, არ შემეშლებოდა, როგორი ხალხი როდის და სად დამენიშნა, მაგრამ რას იზამ, ხალხის თქმისა არ იყოს — „ბირი ქემ დუნიე" — ამქვეყნად ყოველთვის რაღაც ისე ვერაა.

მთებში აღარ ხვდებოდათ ტრაქტორები და მხედრები, გზად სულ უფრო იშვიათად ხედავდნენ საზამთრო სადგომებს და ფარეხებს, იცვლებოდა ლანდშაფტიც: აქ ბუნება სხვანაირი — უფრო მკაცრი, ცივი იყო. საღამო ხანს, ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ბოსტონმა და ერნაზარმა კლდოვანი ხეობით ალა-მონგიუს უღელტეხილის ძირამდე მიაღწიეს. შეიძლებოდა დაღამებამდე კიდევ ევლოთ, მაგრამ ასე განსაჯეს: საქონლის გარეკვისას თუნდაც ალიონზე, ვარსკვლავების შუქზე გამოსულიყვნენ, სულ ერთია, მთელი დღის განმავლობაში მთებში დიდ მანძილს ვერ გაივლიდნენ, ხოლო რაკი ასე იყო, მაშასადამე, აქ ხეობაში, ზედ უღელტეხილის დასაწყისში მოუწევდათ ღამის გათევა. მესაქონლენი ასეთ ღამეს შიკამას, უღელტეხილის იერიშის წინა ღამეს უწოდებენ. შიკამასათვის მიდამო ფრიად

ხელსაყრელი აღმოჩნდა — მყინვარებიდან პატარა მდინარე ჩამოედინებოდა, აქ იყო მისი სათავე, შეიძლებოდა ფერდობის ძირას ისეთი ადგილი შეგერჩია, სადაც მყინვარებიდან მონაბერი ქარი ვერ მოაღწევდა. მეცხვარეებმა კარგად იცოდნენ, რომ მყინვარებიდან დაქროლილი, ძვალ-რბილში გამტანი და საშიში ქარი შუაღამით ამოვარდებოდა და მზის ამოსვლამდე ზუზუნებდა. ხოლო შიკამას მუღამი ის იყო, რომ მრავალრიცხოვან საქონელს ღამით მყინვართა ქარისგან დაიფარავდა და დილით განახლებული ძალით შეუდგებოდა უღელტეხილის იერიშს.

მგზავრები ჩამოქვეითდნენ, ცხენებს უნაგირი მოჰხადეს და ღამის გასათევად მზადებას შეუდგნენ. ადგილი ფრიალო კლდის ძირას შეარჩიეს, მოაგროვეს ფიჩხი — ერნაზარს არ დაეზარა ხეობაში საკმაოდ შორს ჩასულიყო, იქ, სადაც მთის დაბალი ხეები იზრდებოდა. შემდეგ ცეცხლთან შინიდან წამოღებული სანოვაგით ივახშმეს, ჩაიც კი აადუღეს თუნუქის ჩაიდანში და ხანიერ გზაზე ნავალმა კმაყოფილმა მეცხვარეებმა მოსვენების თადარიგი დაიჭირეს.

უღელტეხილის ძირას სწრაფად ჩამობნელდა და უცებ აცივდა, თითქოს ზამთარი ჩამოდგაო. ზაფხულიდან ზამთარში გადასვლას ცხენოსნის ერთი დღის გზა სჭირდებოდა მხოლოდ. ალა-მონგიუს მყინვარებიდან სიცივემ ჩამოასუნთქა — ეს მარადიული მყინვარები ხომ სულ ახლოს, როგორც იტყვიან, ყურისძირში იყო. ბოსტონს რომელიღაც გაზეთში ამოეკითხა, რომ მაღლა მყინვარები მილიონობით წელი იმყოფებოდნენ და ხეობებში სწორედ მათი წყალობით ჩქეფდა სიცოცხლე — ნელ-ნელა დნებოდნენ და სათავეს უდებდნენ მდინარეებს, რომელთაც წყალი ცხელ დაბლობებსა და მინდვრებში ჩაჰქონდათ. აი, რა ბრძნულად იყო ყველაფერი მოწყობილი ბუნებაში.

— ერნაზარ, — შეეხმიანა ძილის წინ ბოსტონი. — ხედავ, რა სიცივეა! გრძნობ, როგორ ატანს ძვალ-რბილში? კიდევ კარგი, ქურქები წამოვიღეთ.

— ქურქები რაა, — უპასუხა ერნაზარმა, — წინათ ლოცვით შველიდნენ თავს. ამ ლოცვას უღელტეხილის ლოცვა ერქვა. გახსოვს იგი?

— არა, არ მახსოვს.

— მე კი მახსოვს, როგორ წარმოთქვამდა ბაბუა.

— აბა, თქვი.

— ზუსტად რომ არ ვიცი!

— სულ უთქმელობას მაინც სჯობია. აბა დაიწყე.

— რახან არ იშლი, კარგი. მე ვიტყვი, შენ გაიმეორე. გესმის, ბოსტონ, გაიმეორე: „ო, უფალო ციცი ცისაო, ლურჯო თენგრი, ნუ გაგ-

ვიმწარებ ყინულოვან უღელტეხილზე გადასასვლელ გზას. თუ გინდა საქონელი ქარბუქში ჩაგვიხოცო, ამის სანაცვლოდ ცაში ყვავი წაიყვანე. თუ გინდა ჩვენს შვილებს სიცივემ სული ამოხადოს, ამის სანაცვლოდ ცაში გუგული წაიყვანე. ჩვენ კი ცხენებს მოსართავებს მოვუჭერთ, საპალნეებს უფრო დავუმაგრებთ აზავერებს ზურგზე და შენ მოგაპყრობთ სახეს ჩვენსას, ოღონდ, თენგრი, გზაზე არ გადაგვიდგე, გადაგვატარე უღელტეხილი, მწვანე ბალახისკენ, ცივ-ცივი სარწყულებლებისაკენ გაგვიშვი, სანაცვლოდ კი ეს სიტყვები მიიღე...“ მგონი, ასეა, შემდეგ აღარ მახსოვს...

— დასანანია...

— რაა დასანანი? ახლა ამდაგვარი ლოცვები აღარავის სჭირდება, ახლა სკოლებში ასწავლიან, ეს ყველაფერი ჩამორჩენილობა და სიბნელეაო. აგერ, ხალხი კოსმოსში დაფრინავს.

— კოსმოსი რა შუაშია? მერე რა, კოსმოსში რომ დავფრინავთ, ადრინდელი შელოცვები უნდა დავივიწყოთ? ვინც კოსმოსში დაფრინავს, შეიძლება ყველანი თითებზე ჩამოვთვალო, ჩვენ კი რამდენი ვართ დედამიწაზე და რამდენი ვცხოვრობთ ამ მიწით? ჩვენი მამები, ჩვენი პაპები მიწით ცხოვრობდნენ, რა გვინდა კოსმოსში ჩვენ? დაე, იმათ იფრინონ, იმათ თავიანთი საქმე აქვთ, ჩვენ — ჩვენი.

— სათქმელად ადვილია, ბოსკე, ჩვენი პარტორგის, კოჩკორბაევის ჯურისანი კი ყოველ კრებაზე ლანძღავენ ყველაფერ ძველს, ამბობენ — ქორწილებს ისე არ იხდით, როგორც საჭიროაო, რატომ არ კოცნით ერთმანეთს ქორწილებშიო, პატარძალ-მამამთილი ჩახუტებულ-ჩაკონებულნი რატომ არ ცეკვავენო? სახელებია და იმათაც სხვას არქმევთ შვილებს, როცა მაღლა დამტკიცებული ახალი სახელების სიებიაო, ძველი სახელები სულ უნდა შეიცვალოსო. ზოგჯერაც უცებ აგიხირდებიან — მიცვალებულს საჭიროებისამებრ არ მარხავთ, საჭიროებისამებრ არ ტირითო. ტირილსაც კი გვასწავლიან: ძველებურად არა, ახლებურად უნდა იტიროთო.

— ჰო, ვიცი ერნაზარ, ვითომ არ ვიცი? აი, მოვხვდები მოსკოვში, იქ კი თითქოს შემოდგომაზე მიპირებენ გაგზავნას გამოფენაზე, და კაცურ სიტყვას გეუბნები, ცეკაში მივალ, მინდა გავიგო: მართლა გვჭირდება კოჩკორბაევისთანები, თუ ჩვენდა ჭირად არსებობენ? რომც არაფერი ვუთხრა, რაღაცაზე ატყდება, შენ პარტიის წინააღმდეგი ხარო. ხედავ, მარტო ისაა მთელი პარტია. სიტყვას კი არავინ უბრუნებს. აი, როგორაა ჩვენთან საქმე. თვითონ დირექტორი თავს არიდებს. ჯანდაბა მაგას! უბედურება ისაა, რომ კოჩკორბაევისთანები სხვაგანაც ბევრნი არიან... მოდი, დავიძინოთ, ერნაზარ. ხვალ ხომ ყველაზე ძნელი დღე გველოდება.

ხეობაში, დიდი ყინულოვანი უღელტეხილის ალა-მონგიუს ძი-

რას, ასე, აქეთურ-იქითურზე საუბარში ჩაეძინა იმ ღამეს ორ მეცხვარეს. მთებზემოთ დაბინდულ შორეთში უკვე ბრწყინავდნენ ვარსკვლავები. ყველანი უკლებლივ გამოცვივდნენ ცაზე და ბოსტონს უკვირდა, ეს ჩემი მუშტისოდენა, ეგზომ დიდი და მძიმე ვარსკვლავები მაღლა რატომ ჰკიდიან, რად არ ვარდებიან ძირს, განუწყვეტლივ რად ციმციმებენო. ქვებში კი მძვინვარედ ზუზუნებდა ცივი ქარი... ქარების ღმერთის შამალს ხომ ნიადაგ ეცოტავებოდა ადგილი... ნიადაგ უკმაყოფილო იყო და ნიადაგ რაღაცა ჰქონდა გუმანში...

* * *

ასეთივე მძაფრი, ცივი ქარი სტვენა-სტვენით შემოიჭრა ფანჯრის ღიობებში იმ უკუნ ღამეს, როცა მგლების გულის დამამძიმებელ ყმუილში ბოსტონს ყოველივე განცდილი ხელახლა გაახსენდა. მეხსიერებაში ისევ არჩევდა ძველს, გარდასულს და სულს უფორიაქებდა იმ უვარგისი ადამიანების მიერ მიყენებული წყენა, რომლებიც სხვის უბედურებასაც კი დაცინვისა და ცილისწამებისთვის იყენებენ. ო, რა ძლიერნი არიან ამ საზიზღარი, ძველთაძველი საქმის მოქმედნი! ვინც უნდა იყოს, — გინდ მეფე, გინდ მწყემსი, — ყველას აიძულებენ, იტანჯონ, აიძულებენ, უძილობით გაწამდნენ. ეს უამური ფიქრები ბოსტონს ისე უშხამავდა გუნებას, ღამით ხელახლა გამოჩენილი მგლების ყმუილი ხანდახან თავისი გატანჯული სულის ქვითინად ეჩვენებოდა. ელანდებოდა, თითქოს ეს ავადმყოფი სული დაეხეტებოდა ფარეხებს გარეთ, ეს ის, მისი მწუხარებისგან დაბრმავებული სული ტიროდა და მოთქვამდა ძუ'აკბარასთან ერთად. და არ შესწევდა არავითარი ძალა ძუ მგლის ყმუილი აეტანა, უნდოდა ხმა ჩაეწყვეტინებინა მისთვის. „უყურე, რა ჯიუტია! აბა, რა ვუყო? რას გადამეკიდე? — გაღიზიანდა ბოსტონი. — რა ვქნა, ვერაფრით დაგეხმარე. ვეცადე, მაგრამ ვერაფერი გავახერხე. აკბარა, მერწმუნე, ვერ გავახერხე. და ნუღარ იყმუვლებ ამის მეტად! არ არიან ისინი აქ, არ არიან აქ შენი ლეკვები, ვერ მიაგნებ, რამდენიც უნდა ირბინო, დაყიდულია სუყველა, ვინ იცის, სად, რომელ მხარეს, აღებული ფული კი ღვინოშია შეჭმული. ამიერიდან ვეღარ იპოვი მათ! დაწყნარდი! როდემდის უნდა გვტანჯო? წადი, წადი, აკბარა! ყველაფერი დაივიწყე ბოლოს და ბოლოს. ვიცი, გიმძიმს, მაგრამ წადი, მოშორდი აქაურობას და, ღმერთმა ნუ ჰქნას, სადმე დაგლანდო, თორემ მოგკლავ, შე უბედურო, არაფრის წინაშე არ დავიხევ და მოგკლავ, ვინაიდან სიცოცხლეს გვიმწარებ, და ნუ მაიძულებ ეს გავაკეთო, გული უშენოდაც დამძიმებული მაქვს. შენ კი შემიძლია მოგკლა, მაგრამ იმათ რა ვუყო, ვინც ჩემს უბედურებას

დასცინის, ჰოდა, შენ მაინც წადი, გამშორდი, რომ ამიერიდან ეგ ყმუილი არ გავიგონო! კიდევ ვიღაცას მოვკლავდი და, დედას გეფიცები, ხელი არ ამიკანკალდებოდა. მე და შენ საერთო მტერი გვყავს — მან შენ შვილები მოგტაცა მე კი ეს ლოთი თავისი ბილწი ენით მლანძღავს. და როცა ამაზე ვფიქრობ, აგრეთვე იმაზეც, მაშინ ფრჩხილების გლეჯით როგორ მივმვრებოდი ყინულოვან უფსკრულში, როგორ ვეძახდი ერნაზარს, როგორ ვტიროდი ულმობელ მთებს შორის მარტოდ დარჩენილი, სიცოცხლე არ მინდა, სრულებით არ მინდა. არც ვიცოცხლებდი, მივაფურთხებდი ყველაფერს, ეს პატარა რომ არ მყავდეს. აი, აქაა, გვერდით, მოიკუნტა, სძინავს, დედამისმა ახლოს მომიწვინა. ჰო, ცხადია, ქალს მგლის ყმუილი აშინებს, ბიჭს კი სძინავს, რადგან წმინდაა, რადგან უცოდველი ბალღია, რადგან ჩემს ტანჯვათა წილად გამიჩნდა, იმის წილად გამიჩნდა, რის გადატანაც მომიწია, ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი უკანასკნელი ასლია. მაგრამ მე ხომ ჩემთვის ამგვარი ხვედრი არ მითხოვია, თვით მეწვია, როგორც დგება დღე, როგორც დგება ღამე. მართალს ამბობენ, ბედს ვერ გაექცევიო. ეს ქვემძრომი ბაზარბაი კი ისე საზიზღრად მწამებს ცილს, ერთი სული მაქვს, ძაღლივით მივაღრჩო იმიტომ, რომ მისთვის სამართალი არ არსებობს. მერედა, ვინ უბამს მხარს — პირველ რიგში ჩვენი პარტორგი, თითქოს მეტი საქმე არ ჰქონდეს, რასაც ეს ლოთი მოჭორავს, კვერს უკრავს, ჩემი ბიჭის გაუბედურება უნდა... აბა, როგორ ვერ უნდა გავიგო შენი უბედურება, აკბარა!" ასე ფიქრობდა იმ ღამეს უძილობით გატანჯული ბოსტონი, მაგრამ ესოდენ ჭკვიან და გულისხმიერ კაცსაც არ შეეძლო წარმოედგინა, რა უსაშველოდ იტანჯებოდა აკბარა. აკბარა მეტყველი არ იყო, მაგრამ ჰქონდა სატანჯველი, თუმცა უნარი არ გააჩნდა იგი სიტყვებით გამოეხატა. ვერაფრით ვერ ახერხებდა სულის შემძვრელი სატანჯველისავის თავი გაერიდებინა. განა შეეძლო თავისი ტყავიდან ამომხტარიყო? განა არ ცდილობდა, უმიზნოდ და განუწყვეტლივ ეხეტიალა მთებსა და ჭალებში ტაშჩაინართან ერთად, რომელიც განუყრელად დასდევდა თან ყველგან და ყოველთვის, ეხეტიალა იმ იმედით, რომ არაქათი გამოსცლოდა, მუხლები მოჰკვეთოდა, დაღლილობისგან მომკვდარიყო, სული ამოხდომოდა? განა არ ცდილობდა, ჩაეცხრო, ჩაეხშო შვილების დაკარგვით გამოწვეული გაუნელებელი ტკივილი, ტაშჩაინართან ერთად გააფთრებით, თავგამეტებით არ ესხმოდა თავს ყველას, ვინც კი გზაზე გადაეყრებოდა? განა არ ცდილობდა, კლდის ქვეშ თავის ბუნაგს დაბრუნებოდა, რათა კიდევ ერთხელ ერწმუნა, რომ იგი ცარიელი იყო და საბოლოოდ ჩაეკლა გულში ყოველგვარი იმედი, მეტად აღარ მოეტყუებინა სიზმრებს?..

ო, რა გულისმომწყვლელია ყოველივე ეს! იმ საღამოს, უმიზნოდ

მოხეტიალე აკბარამ უცებ ბაშათის ხეობაში გადაუხვია, გაქანდა, სულ უფრო სწრაფად გარბოდა, თითქოს რაღაც საქმე უხმობდა. ტაშჩაინარი ჩვეულებისამებრ უკან მისდევდა, ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა, აკბარა კიდევ უმატებდა სიჩქარეს, გიჟივით მიქროდა ქვებზე, ნამქერებზე, ტყე-ტყე... გაიარა ძველი ნაცნობი ბილიკი, კოწახურის ბარდები, შევარდა ბუნაგში, და, უკვე მერამდენჯერ, დარწმუნდა, რომ იგი ცარიელი იყო, აქ კარგა ხანია არავის უცხოვრია, და ისევ აყმუვლდა, აწკმუვლდა საცოდავად, ჩხრეკდა და ყნოსავდა ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა ძუძუთა ლეკვების სუნი შერჩენოდა: „სად არიან ისინი, რა მოუვიდათ? სადა ხართ, ჩემო ლეკვებო, ჩემო ოთხო პაწაწინავ? როცა გაიზრდებოდით, როცა შუანები გაგიმაგრდებოდათ, როცა გვერდით გამომყვებოდით, რა მტკიცე მექნებოდა ფერდები, დაღლა არ ეცოდინებოდა ჩემს ფეხებს!“

აკბარა აქეთ-იქით აწყდებოდა, ნაკადულის მახლობლად დარბოდა, სადაც ბოთლის ყელიდან ისევ ისე ამოდიოდა საზიზღარი, ბილწი სუნი და ისევ ისე ჩანდა მიწაში ჩაყინული შვრიის ნარჩენი, გამოკენკილი ფრინველთა მიერ...

შემდეგ აკბარა ისევ დაბრუნდა ბუნაგში, დაწვა, დრუნჩი საზარდულში ჩაირგო. ტაშჩაინარი გვერდით მიუწვა, ხშირი, სქელი ბეწვით ათბობდა მას.

უკვე ღამე იდგა. და აკბარას ესიზმრა, თითქოს ლეკვები გვერდით ჰყავდა აქ, ბუნაგში, დვრილებს მიკრულნი მოუქნელად ფუთფუთებდნენ. აჰ, რამდენი ხანია უნდოდა აკბარას მათთვის რძე მიეცა, სულ მიეცა, რაც კი დაუგროვდა, ტკივილამდე, ბოლო წვეთამდე მიეცა... მერედა, რა ხარბად წოვდნენ ლეკვები, რძე იმდენი მოდიოდა, ტუჩებს აწმაწუნებდნენ და სული უგუბდებოდათ, მერედა, რა ტკბილად ედებოდა ძუ მგლის სხეულს დედური სინაზის მტანჯველი შეგრძნება, ოღონდ რძე რატომღაც არ აკლდებოდა... და შეშფოთდა დედა მგელი: რატომ არ შემიმსუბუქდა დვრილები, ლეკვები კი ვერ გაძღნენო? სამაგიეროდ ოთხივე ლეკვი ხომ იქვე, გვერდით ჰყავდა, აი, ისინი — აგერ, ყველაზე ცქვიტი, კუდის წვერი თეთრი რომ აქვს, აგერ ისიც, ყველაზე მეტს რომ ჭამდა და ისე დაეძინა, დვრილი პირიდან არ მოუშორებია. აჰა, მესამეც — მოჩხუბარი და მტირალა, აგერ, მათ შორის ძუც — ლურჯთვალა პატარა ძუ ლეკვი. ეს მომავალი აკბარაა...

შემდეგ ძუ მგელს ესიზმრა, თითქოს კი არ გარბის, მიფრინავს, მიწას ფეხს არ აკარებს — ისევ მუინყუმშია, დიდ სავანაში, ხოლო გვერდით ოთხი ლეკვი ახლავს, ლეკვებიც კი არ მირბიან, მიფრინავენ, მათთანაა მამაც, ტაშჩაინარიც, რომელიც ასევე მიქრის ვეება ნახტომებით. მიწას მზე დაჰკაშკაშებს და გრილი ჰაერი ისე მოედი-

ნება, ისე მოჩქრიალებს, როგორც თვით ცხოვრება...

უცებ აკბარას გამოეღვიძა და დიდხანს იწვა უძრავად, სასტიკი სიცხადით დათრგუნვილი. შემდეგ ფრთხილად ადგა, ისე ფრთხილად, ტაშჩაინარმაც კი ვერ გაიგო, და ფრთხილი ნაბიჯებით გამოვიდა ბუნაგიდან. პირველი, რაც გარეთ გამოსულმა დაინახა, თოვლიან მთებზე წამომართული მთვარე იყო. იმ ნათელ ღამეს მთვარე ისე ახლოს ჩანდა, ისე მკვეთრად გამოირჩეოდა ვარსკვლავებიან ცაზე, გეგონებოდათ, ხელად მივირბენო მასთან. ძუ მგელი დაუცხრომლად მოლივლივე ნაკადულთან მივიდა, თავდახრილმა უხალისოდ მიიარ-მოიარა ნაპირი, შემდეგ კუდი ამოიძუა, დაყუნცდა და დიდხანს უცქეროდა მთვარეს. იმ ღამეს აკბარამ საოცრად ცხადად და აშკარად იხილა მგლების ქალღმერთი, მთვარეზე მყოფი ბიური-ანა. ბიური-ანას დაბრეცილი სილუეტი ძალიან ჰგავდა თვით აკბარას — ქალღმერთი ბიური-ანა მთვარის ზედაპირზე ცოცხალივით იჯდა კუდგადაწეული და ხახადაღებული. აკბარას მოეჩვენა, თითქოს მთვარის ძუ მგელი ხედავდა მას, მთვარის ძუ მგელს ესმოდა მისი. და მაღლა აღაპყრო დრუნჩი, ტირილით, ჩივილით მიმართა, ხახიდან ორთქლის ბოლქვები ამოსდიოდა: „შემომხედე, მგლების ქალღმერთო ბიური-ანა, ეს მე ვარ, აკბარა, აქ, ცივ მთებში, უბედური და მარტოსული. ო, ცუდადა ვარ! გესმის ჩემი ტირილი? გესმის ჩემი ყმუილი და ქვითინი? მთელი შიგანი ტკივილისგან მეწვის, დვრილები რძემ დამისივა, და არავინ მყავს, რომ მოვაწოვო, არავინ მყავს, რომ გამოვკვებო, აღარა მყავს ჩემი ლეკვები. ო, სად არიან, რასა შვრებიან? ჩამოდი რა ძირს, ბიური-ანა, ჩამოდი ჩემთან, ერთმანეთის გვერდით დავსხდებით, ერთად ვიყმუვლებთ და ვიქვითინებთ. ჩამოდი რა, მგლების ქალღმერთო, და წაგიყვან იმ მხარეებში, სადაც დავიბადე, იმ ტრამალში, სადაც მგლებისთვის ადგილი აღარ დარჩა. ჩამოდი აქ, ამ კლდოვან მთებში, სადაც ასეჯე არა გვაქვს ადგილი, ეტყობა, არსად არაა მგლების ადგილი... და თუ არ ჩამოხვალ, ბიური-ანა, მე წამიყვანე შენთან, უმწეო ძუ მგელი, დედა აკბარა. და ვიცხოვრებ მთვარეზე, ვიცხოვრებ შენთან ერთად და ვიტირებ დედამიწისთვის. ო, ბიური-ანა-ა-ა, გესმის ჩემი? გამიგონე, გამიგონე, გამიგონე, ბიური-ანა, გაიგონე ჩემი ტირილი!“

ასე შესტიროდა, ასე შეჰყმუოდა მთვარეს აკბარა ცივ მთებში...

* * *

როცა უღელტეხილზე შიკამა-ღამე მიილია, პირველი ერნაზარი წამოდგა, ქურქი შემოიფუთნა და დადუშაყებული ცხენების დასახედად წავიდა.

— ცივა? — ჰკითხა უკან მობრუნებულ ერნაზარს ბოსტონმა, რომელიც შიშნეულად იყურებოდა ქურქქვემოდან.

— აქ ყოველთვის ასეა, — შეეხმიანა ერნაზარი. — ახლა ცივა, მზე თვალს გამოაჭყეტს და მაშინვე დათბება. — ეს თქვა და ჩულზე მიწვა.

მთებში ჯერ კიდევ ადრე იყო და ბინდბუნდი იდგა.

— რას შვრებიან ჩვენი ცხენები?

— კარგად არიან.

— აი, ვფიქრობ: საქონელს რომ წამოვიყვანთ, ურიგო არ იქნება, აქ ღამის სათევად კარავი დავდგათ, უფრო თბილად ვიქნებით.

— რატომაც არ უნდა დავდგათ, — დაეთანხმა ერნაზარი, — ხელად დავდგამთ. ოღონდაც გზა გავიკვლიოთ და დანარჩენი ჩვენს ბიჭობაზე იქნება დამოკიდებული.

მზის ამოსვლისთანავე მთებში მართლა ჩამოთბა. ჰაერს სწრაფად შეემატა სითბო. როგორც კი ინათა, ბოსტონმა და ერნაზარმა ცხენები შეკაზმეს.

ვიდრე ცხენებზე შესხდებოდნენ, ბოსტონმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა, გარს შემომდგარ კლდეებს მოავლო თვალი. საშინელნი და მაღალნი იყვნენ ისინი. ადამიანები კი ერთი ბეწონი ჩანდნენ მათ გვერდით და მაინც ბრძოლაში იწვევდნენ მთებს. „უღელტეხილი ვერ შეგვაშინებს, — გაიფიქრა ბოსტონმა. — ლაპარაკია სიცოცხლეზე და ადამიანს ვერაფერი შეაშინებს, მას ყველგან ხსნილი აქვს გზა — ზღვაში, მიწის ქვეშ თუ ცაში. ჩვენც გავაღწევთ“.

თავდაპირველად ბოსტონმა და ერნაზარმა ძველი ბილიკი მოძებნა, საიდანაც ქვები აქეთ-იქით იყო გადაწეული და გონებით განჭვრიტეს, როგორ გაივლიდა იგი უღელტეხილზე. გამოირკვა, რომ უღელტეხილი ორ მწვერვალს შორის მოქცეულ, დათოვლილ უნაგირაზე გადიოდა. მეგობრებმაც იქით გასწიეს. ეტყობა, იმ უნაგირას გადაღმა იწყებოდა ალა-მონგიუს ქედის მეორე მხარეს ჩამავალი დაღმართი. სწორედ გადაღმა იყო ჯაილიაუ კიჩიბელი, სადაც, როგორც მოხუცები ჰყვებოდნენ, არყის ტყე იზრდებოდა და მთის სწრაფი მდინარე მიედინებოდა. ხშირად ასე მალავს ბუნება თავის სანუკვარ ადგილებს შორეულ კუთხეებში, მიუწვდომელს ხდის მათ, მაგრამ, როცა ლაპარაკია არსობის პურზე, ადამიანი იძულებულია, თავისას მიაღწიოს — მან აუცილებლად უნდა იცხოვროს დედამიწაზე...

ბილიკი სულ უფრო ციცაბოვდებოდა. როცა ლიპმოდებული თოვლი დაიწყო. ცხენებს სიარული გაუჭირდათ — რაც უფრო წინ მიიწევდნენ, თოვლი მით უფრო ღრმა ხდებოდა. ანათებდა მზე, ქარი ჩადგა, მგზავრებს სამარისებურ სიჩუმეში ცხენების სუნთქვა საკუთარ სუნთქვასავით მკაფიოდ ესმოდათ.

ბოსტონი აქეთ-იქით იხედებოდა და ერნაზარს ეკითხებოდა:

— რაო? თუ ცხვარს თოვლი მუცლამდე მისწვდა, სიარული გაგვიჭირდება, არა? რას იტყვი?

— რა თქმა უნდა, უმაგისობაც არ იქნება, ბოსკე! მაგრამ მთავარია, ცოტა ხნით გაგვიჭირდეს. თუ რაიმე მოხდა, თოვლში ცხვრისთვის ბილიკს გავიყვანთ, ალაგ-ალაგ გავტკეპნით.

— მეც ეგ ვიფიქრე. აქ ნიჩბები უნდა წამოგვეღო. დაიმახსოვრე, მომავალში წამოვიღოთ.

როცა ცხენებს თოვლი მუხლზემოთ ასწვდა, მეცხვარეები ჩამოქვეითდნენ და ისინი სადავით წაიყვანეს. უკვე ჰაერი აღარ ჰყოფნიდათ, იძულებულნი გახდნენ, პირით ესუნთქათ. თოვლის საქათქათე თვალს სჭრიდათ. ამიტომ მუქი სათვალე გაიკეთეს, ისეთი, როგორც ყველას უკეთია ქუჩაში. ქურქებიც გაიხადეს და უნაგირზე გადაჰკიდეს. ცხენები ქშინავდნენ, გაოფლიანდნენ, ფერდები საბერველივით ებერებოდათ. საბედნიეროდ იმ სახიფათო უნაგირამდე არც ისე დიდი მანძილი იყო დარჩენილი...

მზე უკვე შუბისტარზე იდგა, ერთმანეთს დახურხლული თოვანი მთების ზემოთ. არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ამინდი შეიცვლებოდა, თუ არ ვიგულისხმებდით გზად ჩამოწოლილ რამდენიმე ღრუბელს. მათ შორის, უფრო სწორად მათზე ისე შეიძლებოდა გაგვევლო, როგორც ბამბაზე. არც კი დაიჯერებდი, რომ ამ დროს ისიქ-ქოლისპირა დაბლობებში ისე ცხელოდა, დამსვენებლები ტბის პლაჟებზე ირუჯებოდნენ.

ბოსტონსა და ერნაზარს ხუთასი მეტრიღა რჩებოდათ გასავლელი და ახლა იმაზე ფიქრობდნენ, უღელტეხილის იქითა მხარეს უარეს დღეში არ ჩავარდნილიყვნენ...

ბოლოს უღელტეხილიც დაიპყრეს, ბოსტონი და ერნაზარი სულის მოსათქმელად შეჩერდნენ. ისინი მთლად გაიხვითქნენ, აქლოშინდნენ. ცხენებიც გვარიანად დაიღალნენ. ბედნიერმა და კმაყოფილმა მწყემსებმა განვლილ გზას გადახედეს.

— მორჩა და გათავდა, ბოსკე, — ღიმილით თქვა თვალებში სიხარულჩამდგარმა ერნაზარმა. — ფარამ აქ შეიძლება გაიაროს. რა თქმა უნდა, თუ ამინდი იქნა.

— ნამდვილად. წყნარ ამინდში, რასაკვირველია.

ერნაზარმა საათს დახედა.

— აი, მე და შენ ორსაათნახევარი მოვდიოდით და თითქოს არა უშავს რა, ჰა, რას იტყვი? — თქვა მან.

— ცხვართან ერთად კი სამი საათი დაგვჭირდება, — შენიშნა ბოსტონმა, — ეგებ მეტიც დაგვჭირდეს, მაგრამ მთავარია, დავრწმუნდეთ, რომ უღელტეხილზე გადასვლა შეიძლება. განვაგრძოთ გზა. აგერ, იქიდან, მგონი, თავდაღმართი იწყება. იქნებ კიჩიბელიც გა-

მოჩნდეს. კიჩიბელში ახლა გადამწვანებული უნდა იყოს ყველაფერი...

მწყემსებმა გზა განაგრძეს. ირგვლივ ქათქათა თოვლი იდო — ზოგან სწორი საბურველივით, ზოგან ქარების მიერ აფოფრილ, აფუტკნილ მოელვარე ნამქერებად. მაგრამ ეტყობოდა, სადღაც წინ თოვლი მთავრდებოდა და სხვა სამყარო იწყებოდა. მწყემსებს უნდოდათ, რაც შეიძლება ჩქარა გაეღწიათ იქ და საკუთარი თვალით ენახათ კიჩიბელი — მათი მოგზაურობის მიზანი. ასე მიდიოდნენ მეცხვარეები მთებს შორის, თითქოსდა აქლემის კუზებს შორის მოქცეულ უნაგირაზე. საცაა სანუკვარი გადასახედი უნდა გამოჩენილიყო. ბოსტონი თოვლს მიიკვალავდა და წინ მიიწევდა, ცხენი სადავით მიჰყავდა. უცებ მის ფეხქვეშ რაღაც შეინძრა და უკანიდან შეძახილი მოესმა.

ბოსტონმა მსწრაფლ მოიხედა და გაოგნდა: ერნაზარი ვეღარ დაინახა, სადღაც გამქრალიყო — არც თავად ჩანდა, არც მისი ცხენი. მხოლოდ თოვლის ბუქი იდგა იქ, სადაც ახლახან მოაბიჯებდა.

— ერნაზარ! — საზარლად იბღავლა ბოსტონმა და სამარისებურ სიჩუმეში დაქუხებულმა თავისივე ყვირილმა შეაშინა.

ბოსტონი იმ ადგილისკენ გაიჭრა, სადაც თოვლის ბუქი იდგა და სასწაულით შეჩერდა, განზე გახტა — მის წინ უფსკრულს დაეღო ხახა. შავ წყვდიადს და საშინელ სიცივეს ასუნთქებდა ის ხნარცვი. ბოსტონი თოვლზე გაწვა და ისე გახოხდა უფსკრულის ნაპირისკენ. ვერ გაეგო, უფრო სწორად, ვერ ბედავდა გაეგო, რა მოხდა. და თვითონაც, მთელი შეგრძნებითა და აზრებით შიშად იქცა და ამ შიშმა სხეული შეუბორკა. მიუხედავად ამისა, სულ მიხოხავდა და მიხოხავდა, რაღაც ძალა ეხმარებოდა მოძრაობაში, აიძულებდა ესუნთქა. იგი იდაყვებზე დაყრდნობილი მიხოხავდა, გზადაგზა სახეზე მიკრულ თოვლს იწმენდდა. მიხვდა, რომ ქვეშ ყინული იყო და გაახსენდა ვიღაცის ნაამბობი თოვლქვეშ დამალულ ხნარცვებსა და ნაპრალებზე, სადაც ზოგჯერ მთელი ჯოგები ჩავარდნილა, გაახსენდა წყევლა: „ჯარაკაგა კეტ“ — უფსკრულმა პირი გიყოსო. მაგრამ ასეთი წყევლა რისთვის დაატყდა თავს ერნაზარს, და არა მარტო ერნაზარს, თვით მას?

უთუოდ იმისთვის, რომ გაუმაძღარია, არაფერი ჰყოფნის, არაფერი აკმაყოფილებს... რომ სცოდნოდა, ასეთი უბედურება დატრიალდებოდა...

ბოსტონი ხნარცვის ნაპირთან მიცოცდა, სადაც ჩასხლეტილი კედელივით ქვემოთ ჩაქანებული ხრამი დაინახა და ძრწოლისგან აკანკალდა.

— ერნაზარ, — წაიჩურჩულა ბოსტონმა, რადგან ყელი უცებ გაუშ-

რა, შემდეგ საზარელი, ჩამწყდარი ხმით იღრიალა: — ერნაზარ, სადა ხარ? ერნაზარ! ერნაზარ! ერნაზარ!

როცა გაჩუმდა, ქვემოდან, თვითონ ასე მოეჩვენა, კენესა და ეს ოდნავ გასარჩევი სიტყვები მოესმა: „არ მოხვიდე". და ბოსტონმა იყვირა:

— ერნაზარ! ჩემო ძმაო! ახლავე ჩამოვალ! ახლავე! მოითმინე! ახლავე ამოგიყვან!

ბოსტონი წამოხტა. შეიძლებოდა კი თვითონაც უფსკრულში ჩავარდნილიყო. თოვლი გადაბურგნა, მიიჭრა ცხენთან და აკაზმულობის მოგლეჯა დაუწყო: საეგებიოდ წამოღებული დახვეული თოკი და ნაჯახი ერნაზარს თავის უნაგირზე ჰქონდა დაკრული და მასთან ერთად ჩანთქმულიყო უფსკრულში. ბოსტონმა ქარქაშიდან დანა დააძრო, გადაჭრა საძუის, სამკერდის, უზანგების, მოსართავის, სადავეების, აღვირის, ავშრის საბელის ტყავის თასმები, ერთმანეთს გადააბა, — ხელები დაესერა და სისხლი სდიოდა, დაძაბულობისგან უკანკალებდა, — ისევ გავარდა ხნარცვისკენ, ისევ მიხოხდა ნაპირამდე, ბრმად მიხოხდა, სული ეხუთებოდა, თითქოს სულთმობრძავიაო, თითქოს ეშინოდა, საცაა მოვკვდები და ერნაზარის გადარჩენას ვეღარ მოვასწრებო.

— ერნაზარ! ერნაზარ! — იძახდა იგი. — აჰა, თოკი, არის თოკი! გესმის, თოკი არის! გესმის? ერნაზარ! ჩემო ძმაო, ხმა გამეცი!

ბოსტონმა აკაზმულობისგან გაკეთებული თოკი მუშტზე დიხვია და უფსკრულში ჩაუშვა, მაგრამ თოკისთვის ხელი არავის ჩაუვლია, არავინ გამოპასუხებია მის ძახილს. და არ იცოდა, შორს ჩაეშვა ჩაგდებული თოკი და რა სიღრმის იყო ეს უფსკრული.

— ხმა გამეცი, ერნაზარ! ხმა გამეცი! თუნდაც ერთი სიტყვა მითხარი, ერნაზარ! ჩემო ძმაო! — იძახდა და იძახდა ბოსტონი, მაგრამ უფსკრულიდან თავისი ძახილის ნახმევი ესმოდა მხოლოდ და იმან შეაძრწუნა. — სადა ხარ, ერნაზარ! — ივედრებოდა ბოსტონი. — გესმის, ერნაზარ? რა ვქნა მე ახლა? — მას ძალა აღარ შესწევდა, თავი დაეურვებინა, აქვითინდა, ხმამაღლა გაჰყვიროდა უთავბოლო სიტყვებს. შესჩიოდა ფრონტზე დაღუპულ მამას, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ დედას, შვილებს, ძმებს, დებს, განსაკუთრებით გულმხურვალედ შესჩიოდა თავის ცოლს არზიგულს. არა, ვერ დაეჯერებინა მომხდარი უბედურება... დაიღუპა, დაიღუპა ერნაზარი! და ვერავინ ანუგეშებდა გულდამწუხრებულს... ამიერიდან მთელი სიცოცხლე ასე გულდამწუხრებული იქნებოდა... და ბოსტონმა იყვირა: „განა არ გესმოდა ჩვენი შელოცვა?! რა ჰქენი ეს და რა ხარ შენ ამის შემდეგ?" — იყვირა ისე, თვითონაც არ ესმოდა ვის მიმართავდა.

ბარბაცით ადგა, მიხვდა, საღამოვდებოდა, იგრძნო, რომ უღელტეხილზე ამინდი იცვლებოდა. საიდანაც ღრუბლები წამოცოცდნენ. უბერავდა ცივი ქარახვეტი. მაგრამ რა მოემოქმედნა? საით წასულიყო? ბილიკზე მიტოვებული ცხენი უკვე უკან გაბრუნებულიყო — ხედავდა, როგორ ეშვებოდა თავქვე, მაგრამ ვერ დაეწეოდა. ისედაც რა აზრი ჰქონდა დაწევას, როცა მთელი აკაზმულობა შეაჭრა მოსართავისა და უსანგის თასმების ჩათვლით. გაბოროტებულმა ფეხი ჰკრა გამოუსადეგარ უნაგირს. და იდგა ბოსტონი გულგასიებული, გაშავებული, უქუდოდ (ქუდი წეღან ჩაუვარდა ქვევით, ნაპრალში), აქეთ-იქით იხედებოდა ალა-მონგიუს უღელტეხილზე კლდეებსა და მარადიულ ყინულებში მარტოდ შთენილი. გამსჭვალავი ქარი უსაშველო სევდას ჰგვრიდა მის ისედაც ელდანაცემ სულს. საით წავიდეს ახლა და რა ქნას? რა კეთილად იწყებოდა ყველაფერი და რა ჯანდაბიდან გამოუტყვრათ ეს ნაპრალი გზაზე? საკუთარი ნაბიჯების ჯაჭვს რომ დახედა, მიხვდა, რომ ერნაზარი ნაპრალში სრულიად შემთხვევით ჩავარდა — თვითონ ზუსტად მეტრანახევარზე ჩაევლო ხნარცვის ნაპირისათვის, ერნაზარი კი საუბედუროდ ოდნავ მარჯვნივ წამოსულიყო და ცხენითურთ გადაიჩეხა კიდეც თოვლით დაფარულ ნაპრალში.

მეგობრის დახმარება ბოსტონს პრაქტიკულად არ შეეძლო, მაგრამ არც დამშვიდება შეეძლო. უცებ გაიფიქრა: იქნებ ერნაზარი ჯერ კიდევ ცოცხალია, მხოლოდ გრძნობა აქვს დაკარგული, მაშინ აუცილებელია სასწრაფოდ ვიხსნათ, ვიდრე იქ საბოლოოდ არ გაყინულა. შესაძლოა, გადარჩეს. ეგ იყო და ქურქი თოვლზე მიაგდო. სირბილით დაეშვა ძირს, თუმცა იმ ადგილებში სირბილი ჭირდა. რაღაც საშუალებით სასწრაფოდ უნდა ვაცნობო მეურნეობას მომხდარი უბედურების შესახებ, იქიდან ხალხს გამოგზავნიან, თან თოკებს, ბარებს, ფარნებს გამოატანენ, მე თვითონ თოკით ჩავეშვები ნაპრალში, ვიპოვი ერნაზარს და გადავარჩენო; — ფიქრობდა ბოსტონი. იგი რამდენჯერმე დაეცა. ნეტავ ფეხი არ მომტყდესო, — გაივლებდა ხოლმე გულში, ისევ დგებოდა და ნაბიჯს უჩქარებდა.

ბოსტონი მირბოდა, იმედოვნებდა ცხენს დასწეოდა, თუმცა მას ახლა აღვირიც არ ეკეთა. ამინდი წუთიწუთზე ფუჭდებოდა. ქარი უკვე ახალნათოვარს იტაცებდა და ჰაერში დააქროლებდა, მაგრამ ბოსტონს ეს როდი ადარდებდა — იცოდა, რომ ქვემოთ თოვა არ იქნებოდა, თუნდაც უღელტეხილზე ქარბუქი ამოვარდნილიყო. მას ერნაზარის ბედი აშინებდა: გასძლებდა მაშველის მოსვლამდე, თუკი ჯერ ცოცხალი იყო? ჩქარა, ჩქარა, — რაკარუკი გაჰქონდა ტვინს. ბნელდებოდა და ბოსტონს ის აწუხებდა, რომ სიბნელეში სწრაფად ვერ ირბენდა.

ბოსტონი ცხენს მაინც ვერ დაეწია. ზერდაგმა თავისუფლება რომ იგრძნო, მშობლიური ადგილებისკენ გაქროლდა.

ამ მთისწინეთს ბოსტონი კარგად იცნობდა და პირდაპირ მიდიოდა, ძალიან შეიმოკლა გზა. დაუსრულებელ ხევებსა და ნახნავებზე სიარული იმდენად არ სტანჯავდა, რამდენადაც მძიმე განუშორებელი ფიქრები მომხდარ ამბავზე. თავი გასკდომაზე ჰქონდა, იმდენ ბეგმას ადგენდა ერნაზარის გადასარჩენად. ხან ეჩვენებოდა, რომ ულელტეხილიდან არ უნდა წამოსულიყო და ერნაზარი მარტო არ დაეტოვებინა, თუნდაც ქარბუქს ჩაეჩუმქრა. ხან ის ელანდებოდა, ყინულოვან მიწისქვეშეთის უკან წყვდიადში მომაკვდავი ერნაზარი როგორ კვნესოდა, მაღლა მთებზე კი გაავებული ქარბუქი ზუზუნებდა. ხოლო როცა წარმოიდგენდა, რა უნდა ეთქვა ერნაზარის ოჯახისთვის, შვილებისთვის, ცოლისთვის — გულიუმკანისთვის, — სული ეხუთებოდა და ეგონა, ჭკუაზე შეირყეოდა.

და მაინც ბოსტონს მარტო მარცხი კი არ უდარაჯებდა, ბედმაც გაუღიმა. იმ დღეს მთისწინეთში ერთ-ერთი მეცხვარე არდადაგებზე ჩამოსულ სტუდენტ ვაჟიშვილს ქორწილს უხდიდა. სტუმრები გვიან წავიდ-წამოვიდნენ. ბოლო სტუმრები. შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, როცა საბარგო მანქანით გაემგზავრნენ. მთვარე კაშკაშებდა. მთისწინეთში ტბის სიგრილე იდგა. შორს ოდნავ ილანდებოდა ისიქ-ქოლის მოციმციმე სარკე. ადამიანებს სიმღერა უნდოდათ და ერთ სიმღერას მეორეს აყოლებდნენ.

ბოსტონმა სიმღერა რომ გაიგონა, გზაზე გაიჭრა და თავდაუზოგავად დაიწყო ხელების ქნევა. იგი სწორედ ამ სატვირთო მანქანით მივიდა საბჭოთა მეურნეობა „ბერიკში" ღამის ორ საათზე. მანქანა დირექტორის სახლთან გაჩერდა. აყეფდა ძაღლი და ბოსტონის ჩექმას მიეტანა, მაგრამ ბოსტონს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მუშტი დაარახუნა ფანჯარაზე.

— ვინ არის? — იკითხეს შეშფოთებით.

— მე ვარ, ბოსტონ ურკუნჩიევი.

— რა მოხდა, ბოსკე?

— უბედურება.

* * *

მეორე დღეს შუადღით მაშველნი უკვე დაწალიკებით მიდიოდნენ ალა-მონგიუს ულელტეხილისკენ. ბოსტონიანად ექვსნი იყვნენ. სადამდეც შეიძლებოდა, ისინი ყველგან გავლით მიიყვანეს, ახლა კი აღმართზე მიაბიჯებდნენ, თან თოკები და ხელსაწყო-იარაღები მიჰქონდათ. მდუმარედ, შეუპოვრად მიჰყვებოდნენ უკან ბოსტონს, გამო-

ზომილად სუნთქავდნენ. უღელტეხილზე საცაა ქალაქიდან შვეულ-მფრენი უნდა მოფრენილიყო და მათ დასახმარებლად სამი გამოცდილი ალპინისტი გადმოესვა.

ბოსტონი ფიქრობდა, რომ გუშინ სწორედ ამ დროს ის და ერნაზარი ამავე ბილიკს მიუყვებოდნენ და აინუნში არ იყვნენ, რა მოელოდათ...

ბოსტონს ესმოდა, რომ პირველ ხანებში ერნაზარი თუნდაც ცოცხალი ყოფილიყო, საეჭვოა მთელი დღე-ღამე ყინულოვან უფსკრულში გაეძლო. და მაინც ყოველივეს მიუხედავად უნდოდა სასწაული ერწმუნა.

წუხანდელი ქარბუქის შემდეგ უღელტეხილზე თოვლი იდო, იდგა სიწყნარე. თოვლი ისე ბრწყინავდა, თვალებს სტკენდა ადამიანებს. ქარბუქს, სამწუხაროდ, მთლიანად წაეშალა გუშინდელი კვალი და ახლა ბოსტონი ზუსტად ვერ საზღვრავდა ყინულებში მდებარე იმ ხნარცვის ადგილს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ზოგი ჭირი მარგებელია — რომელიღაც მაშველი თოვლში ბოსტონის მიერ წინა დღეს გადაგდებულ ქურქს წააწყდა, ქურქიდან რამდენიმე ნაბიჯს იქით კი უნაგირიც იპოვეს. ქურქის და უნაგირის მეშვეობით საკმაოდ ზუსტად დაადგინეს ღამით ნამქერწაყრილი ნაპრალის ადგილსამყოფელი. ამ დროს ალპინისტებიც მოფრინდნენ. სწორედ ისინი ჩავიდნენ ნაპრალში, რომლის სიღრმე მათივე სიტყვებით, ლამის ექვსსართულიანი სახლის სიმაღლე იყო.

ზემოთ ამოსულმა ალპინისტებმა განაცხადეს, ერნაზარს ვერ ამოვიყვანთ, მისი სხეული მაგრადაა ჩაყინული, ყინულის სქელ ფენაში ჩაკრული თავისივე ცხენთან ერთად. მაგარ დარტყმაზე ყინული შეიძლება შეინძრეს, ჩამოინგრეს და თვითონ მაშველნი დაიღუპონ, გაიჭყლიტონ... ბოსტონს ისღა დარჩენია, ნაპრალში ჩაეშვას და მეგობარს გამოემშვიდობოს, სხვა გზა არააო...

და კიდევ დიდხანს, წლების მანძილზე ხედავდა ბოსტონი მის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილ ერთსა და იმავე სიზმარს. თითქოს თოკით ეშვებოდა იმ უფსკრულში, ხელის ფარნით ანათებდა ყინულის კედლებს. თან მეორე ფარანი მიჰქონდა იმ შემთხვევისათვის, თუ ის ერთი ხელიდან გაუვარდებოდა. უცებ სათადარიგო ფარანი სადღაც გაქრა, დაიკარგა და ამის გამო გუნება გაუფუჭდა. მღელვარება დაეუფლა, გული დაუმძიმდა. უნდოდა ეყვირა, თან ისევ განაგრძობდა ქვევით ჩასვლას. სულ უფ ... ღრმად ჩადიოდა შემზარავ ყინულოვან მიწისქვეშეთში. ბოლოს ფარნის შუქზე ხედავს ყინულში ჩაკირულ ერნაზარს. ერნაზარი (ეს ზუსტად ასე იყო) დაჩოქილი დგას, ქურქი თავზე წამოხურია, სახე სისხლით მოთხვრია, ტუჩები მაგრად მოუკუმავს, თვალები დაუხუჭავს. „ერნაზარ! — უხმობს ბოს-

ტონი. — მე ვარ! გესმის, მინდოდა შენთვის სათადარიგო ფარანი დამეტოვებინა, — აქ საშიშია, ბნელა, — მაგრამ დამეკარგა. იცი, დამეკარგა, ერნაზარ. მე მაინც ჩემსას მოგცემ. აჰა, გამომართვი. გამომართვი, ერნაზარ, გთხოვ!" ერნაზარი კი ფარანს არ ართმევს და ხმას არ სცემს. ბოსტონი ტირის, ქვითინისგან ძაგძაგებს და ცრემლდადენილს ეღვიძება.

შემდეგ ბოსტონი მთელი დღე უგუნებოდაა. ასეთ დღეებში პირქუში და მოღუშულია. სიზმარი არასდროს არავისთვის მოუყოლია, არც ერთი სულიერისთვის, მით უმეტეს, გულიუმკანისთვის; არც იმის შემდეგ მოუყოლია, რაც გულიუმკანი მისი ცოლი გახდა. არც ის უამბნია ერნაზარის ოჯახის რომელიმე წევრისთვის, როგორ ჩაეშვა უფსკრულში მეგობართან გამოსამშვიდობებლად.

როცა უღელტეხილიდან შინ დაბრუნდა, ბრიგადაში უკვე იცოდნენ, რა უბედურებაც დატრიალდა და მწუხარებით გულმკვდარ, მოტირალ გულიუმკანზე უფრო სამძიმო სანახავი ბოსტონისთვის არა იყო რა, ეჩვენებოდა, რომ იქ უღელტეხილზე დაღუპვა უჯობდა, იმ უფსკრულში ათასჯერ ჩასვლა და მთელი იმ საზიზღრობის ხელახლა განცდა უჯობდა. გულიუმკანი საშინლად განიცდიდა ქმრის დაღუპვას, ეშინოდათ, არ გაგიჟდესო. სულ სადღაც გასაქცევად იწევდა და იძახდა: „არ მჯერა, არ მჯერა მისი დაღუპვა! გამიშვით! მე ვიპოვი მას! წავალ მასთან!"

ერთ საღამოს მართლაც გაიქცა. დაქანცული ბოსტონი მაშინ დასვენებას აპირებდა, რამდენიმე დღე ზედიზედ ტანთ არ გაეხადა და ლოგინში არ ჩაწოლილიყო, რადგან სამძიმრის სათქმელად მოსულთ ხვდებოდა, ხალხი კი მთელი იმ არემარედან მოდიოდა. ზოგიერთი ძველი ჩვეულებისამებრ ტიროდა ერნაზარს: „ერნაზარ, ჩემო თვალისჩინო, სადღა გნახავ, აწი?" ბოსტონი მოსულთ ცხენიდან ჩამოსვლაში ეხმარებოდა, ამშვიდებდა... იმ დღეს მეტნაკლებად თავისუფალი საღამო დადგა და წელამდე შიშველი ბოსტონი ეზოში ხელ-პირს იბანდა, ჩამჩით ისხამდა წყალს. არზიგული გულიუმკანთან იყო, ამ დღეებში მეზობელს არ შორდებოდა.

— ბოსტონ, ბოსტონ, სადა ხარ? — მოისმა უცებ არზიგულის ყვირილი.

— რა მოხდა?

— ჩქარა, დაეწიე გულიუმკანს! სადღაც გაიქცა. მისი გოგოები ტირიან, მე გულიუმკანი ვერ შევაჩერე.

ბოსტონმა მაისურის გადაცმაღა მოახერხა, კისერზე პირსახოცმოხვეული გაიქცა, რათა გაგიჟებულ გულიუმკანს დასწეოდა, ხელპირს გზადაგზა იმშრალებდა.

უცებ ვერ დაეწია.

გულიუმკანი სწრაფად მიაბიჯებდა დამრეც ხევში, მთების მხარეს.

— გულიუმკან, გაჩერდი, სად მიდიხარ? — გასძახა ბოსტონმა.

გულიუმკანი უკანმოუხედავად მიდიოდა. ბოსტონმა ნაბიჯს მოუჩქარა. ასეთ დღეში ჩავარდნილმა გულიუმკანმა შეიძლება პირდაპირ მომახალოს — შენ დამიღუპე ქმარიო, — გაივლო გულში. ბოსტონს ეს აშინებდა ყველაზე მეტად. ამ ფიქრმა გული მდუღარესავით დაუდაგა. თვითონ ხომ ისედაც ეწამებოდა, იტანჯებოდა, სული აფორიაქებული ჰქონდა. რას უპასუხებდა გულიუმკანს?

განა ბოსტონი თავს იმართლებდა. ასეც რომ ექნა, ქალი რა თავში იხლიდა მის თავისმართლებას? როგორ დაემტკიცებინა გულიუმკანისთვის, რომ არსებობდნენ საბედისწერო გარემოებანი და მათთან ადამიანი ვერას ხდება? ვერც ეს სიტყვები ჰგვრიდა ნუგეშს ბოსტონს, ბუნებაში არ მოიძევებოდა სიტყვები, რომლებიც მის სულს მომხდარ ამბავთან შეარიგებდა, არ მოიძევებოდა სიტყვები, რომლებითაც გულიუმკანს აუხსნიდა, რატომ იყო ცოცხალი იმ ამბის შემდეგ.

— გულიუმკან, სად მიდიხარ? — სირბილისგან აქოშინებული ბოსტონი ქალს დაუმხარდამხარდა. — შეჩერდი, მომისმინე, წავიდეთ შინ...

იმ საღამო ხანს ჯერ კიდევ საკმაო სინათლე იდგა, ნელ-ნელა მიწურული დღის წყნარ ბინდბუნდში ჯერ კიდევ ისახებოდა მთები და, როცა გულიუმკანი შემობრუნდა, ბოსტონს მოეჩვენა, რომ მისი სულიდან უჩვეულო გამოსხივებასავით გამოკრთოდა მწუხარება, სახის ნაკვთები ისე დამანჭული ჰქონდა, თითქოს იგი წყლის ქვემოდან შემოსცქეროდა. ბოსტონს გულიუმკანის ტანჯვის ცქერა აღარ შეეძლო, გულს სტკენდა მისი საცოდავი შესახედაობა — ჯერ კიდევ გუშინ ხომ იგი ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე იყო, — გულს სტკენდა, რომ გონდაკარგული მირბოდა, რომ დაჭმუჭვნილი აბრეშუმის კაბა მკერდზე გახეოდა, რომ ახალი შავი იჩიგები სამგლოვიარო ფეხსაცმელებივით ეცვა, ნაწნავები კი გლოვის ნიშნად დაშლილი ჰქონდა.

— სად მიდიხარ, გულიუმკან? სად მიდიხარ? — უთხრა ბოსტონმა და უნებლიეთ ხელზე ხელი სტაცა.

— იქ, მასთან წავალ ულელტეხილზე, — მიუგო ქალმა რაღაც უცხო ხმით.

იმის მაგივრად, რომ ბოსტონს ეთქვა: ხომ არ გაგიჟდი? როდის მიაღწევ იქამდე? ასეთ თხელ კაბაში იქ ხომ ერთ საათში გააცხებ სულსო, თხოვნა დაუწყო:

— ახლა არა. მალე დაღამდება, გულიუმკან. როგორმე სხვა დროს

წადი. თვითონ გიჩვენებ იმ ადგილს, ახლა არ გინდა. შინ წამომყევი. იქ გოგოები ტირიან, არზიგული წუხს. მალე ჩამოღამდება. წავიდეთ, გულიუმკან, გთხოვ.

მწუხარებით მოკუნტული გულიუმკანი დუმდა.

— როგორ ვიცხოვრო უიმისოდ? — ნაღვლიანი ჩურჩულით გააქნია თავი. — როგორ დარჩა სულ მარტო, დაუმარხავი, დაუტირალი, უსაფლავოდ?

ბოსტონმა აღარ იცოდა, როგორ ეცა ნუგეში, დამნაშავესავით თავდახრილი იდგა ქალის წინაშე, მაისური ამოსჩეჩოდა, გამხდარ მხრებზე ჩამოკიდებოდა, პირსახოცი ყელზე ჰქონდა შემოხვეული, ეცვა ქირზის ჩექმები, რომლებსაც მეცხვარე ზამთარ-ზაფხულ არ იშორებს ხოლმე. იდგა უბედური, დამნაშავე, დამწუხრებული. ესმოდა, რომ გულიუმკანს ვერაფრით და ვერანაირად აუნაზღაურებდა დანაკლისს. და რომ შეძლებოდა მისთვის ქმარი გაეცოცხლებინა, ერნაზარის ადგილას თვითონ ჩავარდნილიყო, თვალის დაუხამხამებლად იქმოდა ამას.

ორივე დუმდა, თითოეული თავისას ფიქრობდა.

— წავიდეთ, — ბოსტონმა გულიუმკანს ხელზე ხელი მოჰკიდა. — ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, სადაც ხალხი ერნაზარის მოსაგონებლად მოდის. შინ უნდა ვიყოთ.

გულიუმკანი მხარზე მიეკრა ბოსტონს და, თითქოსდა მშობელ მამას მწუხარებას უზიარებსო, გაურკვევლად ბუტბუტებდა, ქვითინით სული უგუბდებოდა, თრთოდა. ბოსტონმა ხელი შეაშველა და ასე ვაი-ვაშითა და ტირილით დაბრუნდნენ შინ. ზაფხულის წყნარი, მთის მოყვავილე ბალახების მწკლარტე სუნით აღსავსე საღამო ინავლებოდა. არზიგულს ერნაზარის გოგოებისთვის ხელი ჩაევლო და მათკენ მიდიოდა. ქალები ერთმანეთს გადაეხვევნენ და ისევ ატირდნენ, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ ნახეს ერთიმეორე...

ნახევარი წლის შემდეგ, როცა არზიგული უკვე რაიონულ საავადმყოფოში იწვა, ხოლო გულიუმკანი კარგა ხანია სანაპიროზე ტბის მეთევზეთა დაბაში იყო გადასული, ბოსტონს ის საღამო გაახსენდა და მოძალებული გრძნობებისგან თვალები დაებინდა.

ბოსტონი პალატაში ცოლის საწოლთან იჯდა და გულისტკივილით უცქეროდა მის მოთენთილ, გამშრალ სახეს. შემოდგომის თბილი დღე იდგა. პალატის სხვა ავადმყოფები სულ უფრო მეტად სეირნობდნენ ეზოში და ცოლ-ქმარს შორის ამიტომაც გაიმართა საუბარი, რომელიც თვითონ არზიგულმა წამოიწყო.

— მინდა, რაღაც გითხრა, — ნელა ამოღერღა სიტყვები არზიგულმა და გაჭირვებით ახედა ქმარს. ბოსტონმა შეამჩნია, რომ წუხანდე-

ლი ღამის განმავლობაში იგი უფრო გაყვითლებულიყო და ჩამომხმარიყო.

— გისმენ. რის თქმა გინდოდა, არზიგულ? — ალერსიანად ჰკითხა ბოსტონმა.

— ექიმი ნახე?

— ვნახე. მითხრა...

— მოიცა. არა აქვს მნიშვნელობა, რა გითხრა. ამაზე შემდეგ. ახლა ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ.

ამ სიტყვებზე ბოსტონს გული შეეკუმშა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— იქნებ არ ღირს, გამოკეთდები და შემდეგ ვილაპარაკოთ. — ბოსტონი შეეცადა საუბრისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ ცოლის მზერაზე მიხვდა, რომ გაჯიუტება არ ივარგებდა.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — ჟინიანად ამოძრავებდა გაცრეცილ ტუჩებს ავადმყოფი. — აქ ყველაფერი მოვიფიქრე. ადამიანს ფიქრის გარდა სხვა რა საქმე აქვს საავადმყოფოში? ვფიქრობდი, რომ შენთან ერთად კარგად ვიცხოვრე და ჩემი ბედით კმაყოფილი ვარ. ღმერთის უმადური რად უნდა ვიყოთ — ბავშვები გავზარდეთ, ფეხზე დავაყენეთ, დამოუკიდებლად შეუძლიათ ცხოვრება. ბავშვებზე ჩვენ ცალკე მოვისაუბრებთ. მაგრამ შენ მეცოდები, ბოსტონ. ყველაზე მეტად შენ მეცოდები. უგერგილო ხარ, არ იცი, ადამიანებს როგორ მიუდგე, ზედაც არავის უყურებ. ახალგაზრდა ხომ აღარა ხარ. ჩემ შემდეგ ხალხს არ განუდგე. იმას გეუბნები, რომ ჩემ შემდეგ მარტოხელა არ დარჩე. ჭირის პური ჩათავდება და დაფიქრდი, რა უნდა აკეთო შემდგომ, არ მინდა მარტო ცხოვრობდე. შვილებს ხომ თავიანთი გზა აქვთ.

— რატომ მეუბნები ამეებს? — დახშული ხმით ჰკითხა ბოსტონმა. — განა ამაზე უნდა გველაპარაკა?

— ამაზე, ბოსტონ, ამაზე! აბა, რაზე? სწორედ ამაზე ლაპარაკობენ უკანასკნელად. სიკვდილის შემდეგ ხომ ვეღარ იტყვი. ჰოდა, აქ შენზე და ჩემზე ვფიქრობდი. ჩემთან ხშირად დადის გულიუმკანი. თვითონაც იცი, ჩვენთვის უცხო არაა. ცხოვრება ისე შეტრიალდა, რომ დაქვრივდა, პატარა შვილების ამარა დარჩა. ღირსეული ქალია. გირჩევ, შეირთო. ისე კი მერე თვითონ გადაწყვიტე, როგორ მოიქცე. თავისი საქმე ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, უთხარი გულიუმკანს ჩვენი საუბრის შესახებ... ერთიც ვნახოთ და ისე მოხდეს, როგორც მე მინდა. ერნაზარის შვილებსაც მამა ეყოლებათ.

ისიქ-ქოლზე ჩამოსულნი ხშირად დასცინოდნენ ისიქ-ქოლელებს: ტბასთან ცხოვრობენ და ტბას ვერ ხედავენ, არასდროს სცა-

ლიათო. ბოსტონმაც ძლივს მოახერხა ნაპირზე გასვლა, მანამდე სულ შორიდან და გზად გავლით ტკბებოდა ისიქ-ქოლის სილურჯით.

ამჯერად საღამოს საავადმყოფოდან გამოსულმა პირდაპირ ნაპირისკენ გასწია — უნდოდა მთებს შორის მოქცეულ ლურჯი საოცრების პირას მარტოდ ყოფილიყო ერთხანს. უცქეროდა, ქარი როგორ მოერეკებოდა თეთრ ტალღებს, თანაბარ რიგებად რომ იქოჩრებოდნენ, თითქოს უჩინარი გუთანი ორნატს ავლებსო. სურდა ეტირა, სურდა ისიქ-ქოლში გამქრალიყო — უნდოდა და არც უნდოდა სიცოცხლე... აი, ამ აქაფებული ტალღებივით, აი, ასე, ტალღა რომ ბორგავს, ქრება და ისევ იბადება თავისივე წიაღიდან.

* * *

და მაინც მგლებმა სული ამოხადეს ბოსტონს — დიდხანს, ისე აუტანლად ყმუოდნენ ფარეხის გარშემო, აიძულეს ლოგინიდან ამდგარიყო. მგლებმა ჯერ კენჯეშს დაუფრთხეს ძილი. ბიჭმა ტირილით გაიღვიძა და ბოსტონმა თავისკენ მიიწია, ეხვეოდა, გულში იკრავდა, ამშვიდებდა:

— კენჯეშ, კენჯეშ! მე ხომ აქა ვარ. რა მოგდის, შე სულელო ბიჭო! დედა აქაა, აგერაა, ხედავ? ფისო-ფისო გინდა? სინათლე ავანთო? ნუ გეშინია. გარეთ კატები კნავიან. ისინი ყმუიან.

გულიუმკანსაც გაეღვიძა და იმანაც დაუწყო ბალღს მოფერება, მაგრამ კენჯეში არ ცხრებოდა. იძულებული გახდნენ, სინათლე აენთოთ.

— გულიუმ, — შეეხმიანა ცოლს ბოსტონი კარიდან, სადაც სინათლის ასანთებლად მივიდა. — წავალ ერთი, დავაფრთხობ ნადირს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

— რომელი საათია ახლა?

ბოსტონმა საათს დახედა.

— სამს ოცი აკლია.

— ხედავ, — შეწუხდა გულიუმკანი. — ექვსზე კი უნდა ადგე. შეიძლება ასე? ეგ წყეული აკბარა ჭკუაზე შეგვშლის. ეს რა სასჯელი მოგვივლინა ღმერთმა?

— აბა, დამშვიდდი. მაშ, რა ვქნათ ახლა? ერთ წამში მოვბრუნდები. ნუ გეშინია. მართლა სასჯელია, ეგ ოხერი. კარს გარედან ჩავკეტავ. ნუ გეშინია, დაწექი, დაიძინე.

ბოსტონმა ფანჯრებქვემოთ ჩაიარა, შიშველ ფეხებზე საჩქაროდ წამოცმული ქირზის ჩექმებით ჩაიბრუხუნა. უნდოდა ბოლოს და ბოლოს შეჩხებოდა მგლებს, ამიტომაც განგებ ხმამაღლა უხმობდა ძაღლებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მათ. მზად იყო ყველაფე-

რი მოემოქმედნა, ისე მოაძულეს თავი მწუხარებისგან გამძვინვარებულმა მხეცებმა.

მგლებს ვერაფრით დაეხმარებოდა. იმის იმედითღა უნდა ყოფილიყო, რომ მათ მოკვლას მოახერხებდა, თუკი თვალს მოჰკრავდა, მით უმეტეს, ნახევრად ავტომატური შაშხანა ჰქონდა.

მგლები ვერ ნახა. მთელ ქვეყანას შეუკურთხა და შინ დაბრუნდა, მაგრამ დაძინებაც ვერ შეძლო. დიდხანს იწვა სიბნელეში, თავში მშფოთვარე ტკივილით სავსე აზრები უტრიალებდა.

ათას რამეზე ფიქრობდა. ყველაზე მეტად იმაზე, რომ კეთილსინდისიერად მუშაობა წლითიწლობით ძნელდება, რომ დღევანდელ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას სინდისის ნატამალი აღარ შერჩა. დღეს სიტყვის აღარავის სჯერა და ყველა, უპირველეს ყოვლისა, თავის გამოსარჩენს ეძებს. ომამდე კი, როცა ჩუს ცნობილ არხს აშენებდნენ, ხალხი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდა, უფასოდ და ნებაყოფლობით მუშაობდნენ. ახლა ეს ამბავი ყველას ტყუილი ეჩვენება, ზღაპრებს ჰყვებითო, ვის გაუგონია ასეთი რამეებიო. ახლა ცხვარში ქამანდით ვერ შემოითრევ ვინმეს. ეგ რომ ეგრეა, ყველამ იცის, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს დროებითი გასაჭირი ადგათ. იტყვი რამეს და ცილს გვწამებო, დაგაბრალებენ, სხვის ხმას აჰყოლიხარო! არავის უნდა სერიოზულად დაფიქრდეს, რა იქნება შემდგომ. ერთადერთი რამ ამშვიდებდა და ახარებდა ბოსტონს — გულიუმკანი არ ლანძღავდა, არ ემდურებოდა, რომ წელიწადი-თორმეტი თვე ცხვარში იყო, უქმე დღე არ იცოდა და შვებულება. აბა, ფარას ვერ დატოვებდა, გამომრთველი ხომ არ ჰქონდა, გამოეთიშა, გაეჩერებინა. ცხვარს მთელი დღე-ღამე თვალის დევნება სჭირდებოდა, ჰოდა, საითაც უნდა გაგეხედა, მუშახელი არ კმაროდა, იმიტომ კი არა, რომ ხალხი არ იყო, იმიტომ, რომ მუშაობა არავის უნდოდა. მერედა, რატომ? უშრომლად ხომ ცხოვრება არ შეიძლება. ეს ხომ დაღუპვაა. იქნებ სხვანაირად ცხოვრება და შრომაა საჭირო? ყველაზე მტკივნეული საკითხი ის იყო, სად ეპოვათ სადედეებში ახალმოგებული ბატკნების მომვლელი ხალხი. ახალგაზრდობა იქ არ მიდიოდა სამუშაოდ. სადედეში მთელი დღე-ღამე უნდა გემორიგევა. შიშს კი არა, სინდისს უნდა ეიძულებინე თვალ-ყური გედევნებინა მონაგებისთვის. ამიტომ ახალგაზრდებს იქ ძალით ვერ შერეკავდი. თანამედროვე ახალგაზრდობას არ სურს ტალახში ჯახირი და განმარტოებით ცხოვრება. თანაც ჯამაგირს ცოტას აძლევენ. ქალაქში კი რვასაათიან სამუშაო დღეში ჭაბუკს თუ ქალიშვილს შეუძლია გაცილებით მეტი გამოიმუშაოს. „მაშ, ჩვენ მთელი ცხოვრება როგორღა ვიყავით ჭაპანწყვეტაში იქ, სადაც მუშახელი სჭირდებოდათ და არა, იქ, სადაც სახეირო რამ გამოდნებოდა? ახლა კი, როცა ყმაწვილებს

დრო დაუდგათ, საქმეს ეწიონ, სასიკეთო არაფერი ეტყობათ — სინდისი მაგათ არ გააჩნიათ და ნამუსი" — ბრაზობდნენ მოხუცები. ეს კონფლიქტი, რომელმაც თანდათან მიგვიყვანა იქამდე, რომ თაობას ვერ ვუგებთ და ვინაპირებთ, დიდი ხანია სულს უფორიაქებს ადამიანებს. და ბოსტონის მეხსიერებაში ისევ ამოტივტივდა ძველი საუბარი. მაშინ თავი ვერ შეიკავა და სულ ამაოდ. კვლავ წინანდებურად განაცხადა: ადამიანმა ისე უნდა იმუშაოს, თითქოს თავისთვის შრომობს, სხვა გზას ვერ ვხედავ, ამისთვის კი აუცილებელია, მუშას პირადად აინტერესებდეს ის, რასაც აკეთებსო. ბოსტონს ბევრჯერ უთქვამს, ჯამაგირი შრომის შედეგებზე უნდა იყოსო დამოკიდებული, ხოლო მთავარია, მიწა მეცხვარეს ეკუთვნოდეს, რომ მისთვის გული შესტკიოდეს, რომ დამხმარენი და მისი ოჯახის წევრები ამ მიწაზე ზრუნავდნენ, თორემ ისე არაფერი იქნებაო...

მას, როგორც ყოველთვის, მკაცრი პასუხი გასცა პარტორგმა კოჩკორბაევმა. გაზეთ-ქიში — კაცი-გაზეთი შეარქვეს კოჩკორბაევს კოლმეურნეობაში — დირექტორის მაგიდის მარჯვენა მხარეს იჯდა, ბოსტონისკენ გვერდშექცეული. წარბები შეეჭმუხნა — ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო, — სიდარბაისლისთვის წამდაუწუმ ისწორებდა ყელსახვევს და ავად უბღვერდა ბოსტონს. მეურნეობის დირექტორს, ჩოტბაევს, ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რა აზრები უტრიალებდა თავში კოჩკორბაევს. მრავალი წელი ერთად იმუშავეს და კარგად შეისწავლა დემაგოგის ნიშნეული, მისი შეურყეველი, მოუგერიებელი, ერთხელ და სამუდამოდ სულში ჩადუღებული ლოგიკა: კვლავ წამოყო თავი ამ კულაკმა და ახალი ტიპის კონტრრევოლუციონერმა ბოსტონ ურკუნჩიევმაო? ცხოვრება ცხვირ-პირში ურტყამს, ის კი თავისას იყენებს. ნეტა ერთი სადმე მოუსავლეთში გადაგვეგდო, როგორც წინათ ხდებოდაო...

იმ დღეს სამუშაო სხდომას რაიკომის ახალი ინსტრუქტორი, შესახედავად მორიდებული ახალგაზრდა, „ბერიკში" ჯერჯერობით უცნობი კაცი ესწრებოდა. ინსტრუქტორი ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს და ყველაფერს უბის წიგნაკში ინიშნავდა. ჩოტბაევი ვარაუდობდა, კოჩკორბაევი შემთხვევას არ გაუშვებს, რომ რაიკომის ახალი ინსტრუქტორის წინაშე თავი გამოიჩინოსო. არც შემცდარა. ბოსტონის გამოსვლის შემდეგ პარტორგმა სიტყვა ითხოვა, თითქოსდა რეპლიკის სათქმელად და გააბა ლექსივით: კოჩკორბაევს უნარი ჰქონდა, მთლად გაზეთივით გადმოეცა საკითხის არსი და ეგ იყო მისი ძალა.

— თქვენ, ამხანაგო ურკუნჩიევ, — ჩვეულებისამებრ ოფიციალურად, თქვენობით მიმართა ბოსტონს, — როდემდე უნდა ურევდეთ გონებას ადამიანებს თქვენი საეჭვო წინადადებებით? ისტორიამ

დიდი ხანია განსაზღვრა, როგორი უნდა იყოს სოციალისტური კოლექტივის შიგნით საწარმოო ურთიერთობანი. თქვენ კი გინდათ, მეცხვარემ, როგორც პატრონმა, ისე გადაწყვიტოს, ვისთან იმუშაოს, ვისთან არა და, ვის რამდენი გადაუხადონ. რა არის ეს? სხვა არაფერი, თუ არა ისტორიაზე, ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე შეტევა, ცდა — პოლიტიკაზე მაღლა დადგეს ეკონომიკა. თქვენ მხოლოდ თქვენი ფარის ვიწრო ინტერესებრ გამოძრავებთ. ეს თქვენთვის საკითხთა საკითხია. მაგრამ ფარის უკან ხომ რაიონი, ოლქი, ქვეყანა დგას. რა გინდათ გაგვაკეთებინოთ — სამეურნეო საქმის სოციალისტური პრინციპები შეგვარყევინოთ?

ბოსტონი ზეზე წამოვარდა.

— მე არავის არაფერს ვარყევინებ. უკვე მომბეზრდა ამაზე ლაპარაკი. არავის არაფრისკენ არ მოვუწოდებ, ჩემი მწყემსური საქმე არაა, რა ხდება ოლქში, ქვეყანაში ანდა მსოფლიოში. უჩემოდაც საკმაოდ არიან ჭკუის კოლოფები. ჩემი საქმე ფარაა. თუ პარტორგს არ სურს იცოდეს, რას ვფიქრობ ჩემს ფარაზე, რატომ მეძახის ასეთ სხდომებზე, რად მაცდენს საქმეს? მე წყალ-წყალა ლაპარაკისთვის არ მცალია შეიძლება ვინმესთვის იგი მნიშვნელოვანი იყოს, მე კი მასში ვერ ვერკვევი. ამხანაგო დირექტორო, ამის შემდეგ ნულარ დამიძახებ! ნუ მომაცდენ სამუშაოს. მე ასეთი სხდომები არ მჭირდება!

—აბა, რას ამბობ, ბოსკე? — ჩოტბაევი უმწეოდ აწრიალდა სკამზე. — შენ მოწინავე ხარ, მეურნეობის საუკეთესო მეცხვარე, გამოცდილი მუშაკი, გვინდა ვიცოდეთ, რას ფიქრობ. ამიტომაც გეძახით.

— შენი ამბავი მაკვირვებს, დირექტორო, — ერთობ გაცეცხლდა ბოსტონი. — თუ მოწინავე ვარ, შენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, რად მიღირს ეს, რატომ ხმას არ ამოიღებ? როგორც კი პირს გავაღებ, კოჩკორბაევი მაშინვე მეცემა და სიტყვის თქმას არ მაცლის, შარს მდებს, გინდ ეგ და გინდ პროკურორი, შენ კი ზიხარ და კრინტს არ სძრავ, თითქოს აქ არაფერიო, თითქოს ეს ამბავი შენ არ გეხებოდეს.

— მოიცა, მოიცა, — შეაწყვეტინა ჩოტბაევმა.

დირექტორი აშკარად აფორიაქდა: შავ დღეში ჩავარდა — ამჯერად ვერ მოახერხებდა ბოსტონსა და კოჩკორბაევს შორის ნეიტრალიტეტის დაცვას. იძულებული იქნებოდა ინსტრუქტორის წინაშე გარკვეული პოზიცია დაეჭირა. მერედა, როგორ არ უნდოდა გადაჰკიდებოდა კოჩკორბაევს, ამ კაც-გაზეთს, ვის დემაგოგიასაც შეეძლო მრისხანე ძალები აემოქმედებინა: კოჩკორბაევი ხომ სრულიადაც არ გახლდათ ერთადერთი რგოლი იმ ჯაჭვში, რომელიც მედავითნური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ამჯერადაც განზრახ გაამწვავა საკითხის განხილვა, პირდაპირ დააბრალა მეცხვარეს — არც მეტი არც ნაკლები — „ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე შეტევა“.

აბა, ამის შემდეგ ვინ გაუბედავდა შესიტყვებას? მაგრამ დირექტორს როგორმე თავი უნდა დაეძვრინა ამ მდგომარეობიდან.

— მოიცა, მოიცა, ბოსკე, ნუ ცხარობ, — უთხრა ბოსტონს და ზეზე წამოდგა. — მოდი, გავარკვიოთ საქმე, ამხანაგებო, — მიმართა ახლა სხდომის მონაწილეებს, თან გამალებით ისაზრებდა, როგორ შეერიგებინა მხარეები. რა თქმა უნდა, ბოსტონი მართალია, კოჩკორბაევთან ხუმრობა კი არ შეიძლება, მაშ, რა გზას დავადგე? — ფიქრობდა გულში დირექტორი. შემდეგ განაგრძო: — რაზეა ლაპარაკი? როგორც მე ვხედავ, მეცხვარეს უნდა ფარისა და მიწის პატრონი იყოს და არა ქირით მომუშავე პირი. თანაც ლაპარაკობს არა მარტო თავისი სახელით, არამედ თავისი ბრიგადის, მწყემსების ოჯახების სახელით და არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამასაც. ამ საკითხს, მე მგონი, თავისი საფუძველი აქვს. მეცხვარეთა ბრიგადა ეს იგივე ჩვენი პატარა ეკონომიკური უჯრედია. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. როგორც მე ვხედები, ურკუნჩიევს სურს, ყველაფერი თავის ხელში მოაქციოს: საქონელიც, საძოვრებიც, საკვებიც და სათავსებიც — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც აუცილებელია წარმოებისათვის. იგი აპირებს ბრიგადული ანგარიშსწორება დანერგოს, რომ ყველამ იცოდეს, რის გამომუშავება შეუძლია, თუკი ისე იმუშავებს, როგორც თავის თავისთვის, და არა როგორც მეზობლისთვის, აქედან აქამდე. აი, როგორ მესმის ურკუნჩიევის წინადადება და ჩვენ ყური უნდა ვათხოვოთ მას, ჯანტაი იშანოვიჩ, — მიმართა ჩოტბაევმა პარტორგს.

— მე კი, როგორც პარტორგს მეურნეობისა, რომელსაც ამხანაგო ჩოტბაევ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ, მესმის, რომ სოციალისტურ წარმოებაში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წახალისება არავის შეშვენის, ვინც უნდა იყოს იგი, განსაკუთრებით მეურნეობის ხელმძღვანელს, — ნიშნის მოგებით უსაყვედურა კოჩკორბაევმა დირექტორს.

— კი, მაგრამ გაიგეთ, ამას საქმის ინტერესების გულისთვის გვთავაზობენ, — თავის მართლება დაიწყო დირექტორმა. — ახალგაზრდობა ხომ მეცხვარეთა ბრიგადებში სამუშაოდ არ მიდის.

— მაშასადამე, ჩვენთან ცუდად დგას სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ახალგაზრდობას უნდა გავახსენოთ პავლიკ მოროზოვი და მისი ყირგიზი თანამებრძოლი კიჩან ჯაკიპოვი.

— ეს უკვე თქვენი საქმეა, ამხანაგო კოჩკორბაევ, — ჩაურთო დირექტორმა. — ყველაფრის შესაძლებლობა გაქვთ საამისოდ. გაახსენეთ, აგიტაცია. ჩაუტარეთ. ხელს არავინ გიშლით.

— ჩავუტარებთ კიდევაც. ტყუილად წუხხართ, — გამომწვევად შეესიტყვა პარტორგი. — ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ღონის-

ძიებების მთელი კომპლექსი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ დროულად აღიკვეთოს კერძომესაკუთრული მისწრაფებანი, რარიგ კარგადაც უნდა ნიღბავდნენ მათ. ჩვენ ვერ შევურიგდებით სოციალიზმის საფუძვლების ძირის გამოთხრას.

უსმენდა ბოსტონ ურკუნჩიევი ამ ერთობ სერიოზულ კამათს და სასოწარკვეთილება დაეუფლა, უნებლიეთ შიშმა შეიპყრო: „მე ხომ მარტო ის ვთქვი, მიწაზე ბოლოს და ბოლოს ჩემი ჭკუით მინდა ვიმუშაო და არა სხვისი კარნახით-მეთქი“.

— არავის არავითარი დათმობა და შეღავათი, — განაგრძობდა კოჩკორბაევი. — წარმოების სოციალისტური ფორმები ყველასთვისაა აუცილებელი. ჩემი სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, ეხება ამხანაგ ურკუნჩიევს. იგი სულ ცდილობს თავისთვის რაღაც განსაკუთრებული პირობები შეიქმნას.

— არა მარტო თავისთვის, — შეაწყვეტინა ბოსტონმა. — ასეთი პირობები ყველას სჭირდება, ჰოდა, მაშინ მუშაობაც აეწყობა.

— ვეჭვობ! და საერთოდ რა წესია საკუთარი პირობების წამოყენება? ეს გააკეთეთ, ის გააკეთეთ. ისიც კმარა, რომ თქვენ, ამხანაგო ურკუნჩიევ, თქვენი ფარისთვის პერსონალური საძოვრების ძიებაში ალა-მონგიუს უღელტეხილზე კაცი იმსხვერპლეთ. თუ ეს თქვენთვის ცოტაა?

— განაგრძე, განაგრძე! — გულმოსულად ჩაიქნია ხელი ბოსტონმა. საშინლად ეწყინა და გული ეტკინა, რომ ერნაზარის დაღუპვაზე ასე სასხვათაშორისოდ და გაკვრით ლაპარაკობდნენ.

— რას ნიშნავს განაგრძე, განაგრძე? განა ტყუილს ვამბობ? — უკბინა მას კოჩკორბაევმა.

— დიახ, ტყუილს.

— როგორ თუ ტყუილს, როცა ერნაზარის გვამი აქამომდე ყინულებშია, უღელტეხილზე. და შესაძლოა, კიდევ ათასი წელი იყოს იქ.

ბოსტონმა ერთხანს იყუჩა: სრულებით არ სიამოვნებდა, რომ კრებაზე ამის შესახებ წამოიწყეს ლაპარაკი, მაგრამ კოჩკორბაევი არ ცხრებოდა.

— აბა, რას გაჩუმებულხარ, ამხანაგო ურკუნჩიევ, — ცეცხლზე ნავთი დაასხა მან. — თქვენ არ წახვედით თქვენი ახალი პერსონალური ჯაილიაუს აღმოსაჩენად?

— დიახ, ჩემთვის წავედი, — მოუჭრა ბოსტონმა. — მაგრამ არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, მათ შორის შენთვისაც, კოჩკორბაევ, იმიტომ, რომ მე გაჭმევ და გასმევ შენ და არა შენ — მე. ჰოდა, ახლა იმ ჭაში აფურთხებ, რომლიდანაც წყალს სვამ!

— რას ნიშნავს ეს? — აღშფოთდა კოჩკორბაევი, სახეზე სისხლი მოაწვა. — მე ყველაფერს მხოლოდ პარტიას ვუმადლი!

— იმაზე კი ფიქრობ, საიდან იღებს პარტია იმას, რაც შენ უნდა გაჭამოს? — შეუღრინა ბოსტონმა. — ციდან ხომ არა?

— რას ნიშნავს ეს, რა უპასუხისმგებლო სიტყვებია ეს! — წამოვარდა კოჩკორბაევი, თან გაშმაგებით ისწორებდა ყელსახვევს.

ლამის ჩხუბი ამტყდარიყო. კოჩკორბაევიცა და ბოსტონიც ისე იდგნენ — ერთი მაგიდასთან, მეორე კი კედელთან — თითქოს სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი და საცაა რომელიმე მათგანი იატაკზე დაენარცხებოდა. მდგომარეობა რაიკომის ახალგაზრდა ინსტრუქტორმა გამოასწორა ცოტათი.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, — მოულოდნელად გაიღო ხმა ინსტრუქტორმა კუთხიდან, სადაც იჯდა და უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა. — მე მგონია, მეცხვარე ურკუნჩიევი ძირითადად მართალია. მშრომელს, როგორც ჩვენ გვიყვარს თქმა, მატერიალური კეთილდღეობის შემქმნელს, უფლება აქვს თავისი სიტყვა თქვას, მაგრამ საჭირო კი იყო ასე შეტოპვა?

— თქვენ ამას არ იცნობთ, ამხანაგო მამბეტოვ, — აჩქარებით შეესიტყვა კოჩკორბაევი. — ურკუნჩიევის პრეტენზიებს საზღვარი არა აქვს. აი, მაგალითად, ამას წინათ ერთმა მეცხვარემ ნოიგუტოვმა, დიახ, კერძოდ ნოიგუტოვ ბაზარბაიმ მთებში მგლის ბუნაგი აღმოაჩინა. ჰოდა, ნაყარი ხელთ იგდო, ასე ვთქვათ, მისი ექსპროპიაცია მოახდინა, ესე იგი პირწმინდად წამოიყვანა ოთხივე ლეკვი, რათა ხროვა ძირფესვიანად გაენადგურებინა. მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. მერედა რა გგონიათ? ეს ურკუნჩიევი პირდაპირ მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ მოქრთამა მოუნდომა, მაგრამ ამ ხრიკით რომ ვერაფერი გააწყო, რადგან ნოიგუტოვი პრინციპული კაცია, დაემუქრა, მოსთხოვა, ლეკვები თავის ადგილზე დაებრუნებინა, რათა ეს მტაცებლები შემდგომაც გამრავლებულიყვნენ. აბა, რა არის ეს? როგორ გავიგოთ ეს? ამხანაგო ურკუნჩიევ, იქნებ ყოველივესთან ერთად თქვენი პირადი მგლებიც გინდათ გაიჩინოთ? საკუთარი, პერსონალური, ასე ვთქვათ. იქნებ საბჭოთა მეურნეობა ვალდებულია მგლებითაც უზრუნველყოთ! ჯერ საკუთარი მიწა, საკუთარი ცხვრები, შემდეგ კი საკუთარი მგლებიც! ასეა, ხომ? თუ როგორ გაგიგოთ — დაე, მგლები გამრავლდნენ, ჩვენი ფარები დაგლიჯონ, საერთო-სახალხო საკუთრების ხარჯზე იცხოვრონ, არა?

ბოსტონმა უკვე მოასწრო თავის მოთოკვა და საკმაოდ მშვიდად უთხრა:

— მგლების ამბავი სულ სწორია, ოღონდ ერთი უბედურებაა — ვერ ხვდებიან, რომ საერთო-სახალხო საკუთრებას ხელყოფენ.

იქ მყოფთ უნებლიეთ გაეცინათ, ბოსტონმა კი პაუზით ისარგებლა და განაგრძო:

— აქ განა მგლებზე უნდა ვლაპარაკობდეთ. მაგრამ რაკი მგლებს შევეხეთ, მეც ჩემსას ვიტყვი. ყოველ საქმეს გაგება უნდა, ამიტომაც დავიბადეთ გონებამომადლებულნი. ზოგ ჩვენგანს კი გონიერება აკლია, ხოლო ქადილი, იცოცხლე, შეუძლია. აი, მაგალითად, ლეკვების ამბავი ავიღოთ. როგორც ითქვა, ბაზარბაიმ ხელთ იგდო, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოიპარა, ბუნაგიდან აწაპნა ლეკვები, მის გარშემო კი ისეთი ბრახაბრუხი ატყდა, ლამის გმირად გამოაცხადეს. ხოლო ეს გმირი არ დაფიქრდა, რომ ჯერ მშობლებისთვის, ასაკსრულ მგლებისთვის უნდა მიეკვლია, დაეხოცა და შემდეგ ეფიქრა, რა ექნა მათი ლეკვებისთვის. ბაზარბაი კი ლეკვების გაყიდვას დაეშურა და აღებული ფული სასმელს მიაფშვნა. იმიტომ ვთხოვდი ბაზარბაის, ლეკვები მოეცა ან მოეყიდა, რომ შვილების მეშვეობით საფარში შემომეტყუებინა ძუ და ხვადი, და არა თავისუფლად დამეტოვებინა ბუნაგის განადგურების შემდეგ გამძვინვარებული მგლები. უნდა ვიცოდეთ, რომ გამძვინვარებული მგელი ათ მგელს უდრის ერთად აღებულს. მანამ არ მოისვენებს, სანამ შურს არ იძიებს. ყველა მეცხვარემ იცის, როგორ მძვინვარებს ახლა მთელს ჩვენს არემიდამოში ორი მგელი, აკბარა და ტაშჩაინარი, რომელთაც შვილები წაართვეს. ასე ჰქვია მათ მეტსახელად. ჰოდა, ვერაფერი დააშოშმინებთ, შეიძლება ადამიანსაც დაესხნენ თავს — მათგან ნუ გაგიკვირდებათ. ზოგ ცუდ ადამიანს — ამის შესახებ გაზეთებში და წიგნებში წამიკითხავს — პროვოკატორს ეძახიან. ბაზარბაიც სწორედ მგლის პროვოკატორია. მგლებს უბიძგა, გამძვინვარებულიყვნენ. ერთხელ ვუთხარი და ახლაც მივახლი პირში, რომ მხდალი პროვოკატორივით მოიქცა. შენც, პარტორგო, პირდაპირ პირში გეტყვი: ვერ გამიგია, რა კაცი ხარ. რამდენი წელი ჩვენს მეურნეობაში ხარ და აქამდე მარტო იმას აკეთებ, რომ გაზეთებს კითხულობ და ჩემისთანა მწყემსებს აშინებ, ეუბნები — რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ხარო. ხოლო თვითონ მეურნეობის არაფერი გაგეგება და არაფერი იცი, თორემ ადამიანს მგლების გამრავლებას არ დააბრალებდი. ჯანდაბას მგლები, ეგ შენი ბრალდება სასაცილოდაც არ კმარა, მაგრამ მეორე ბრალდებას, ამხანაგო კოჩკორბაევ, უპასუხოდ ვერ დავტოვებ. დიახ, ერნაზარი უღელტეხილზე დაიღუპა. მერედა, რატომ წავედით უღელტეხილზე? იმიტომ, რომ ცუდ დღეში ვართ! რას ვეძებდით იქ? დაფიქრებულხარ, პარტორგო, რა მიგვარბენინებდა იქით? დაფიქრებულხარ, საძოვრების საშინელი გაჭირვება რომ არ გვქონოდა, საფრთხეში ჩავიგდებდით თავს თუ არა? ეს გაჭირვება კი ყოველდღე სულ უფრო საშიში ხდება. აი, აგერ დირექტორი ზის. აბა, თქვას, როცა დირექტორობა დაიწყო, როგორი ბალახი, როგორი მიწები იყო აქ! ახლა რაღაა? მტვერი და სიმშრა-

ლეა ირგვლივ, ყოველი ბალახის ღერი აღრიცხულია, ყველაფერი კი ისე იმიტომაა, რომ ათჯერ იმაზე მეტ ცხვარს უშვებენ საბალახოდ, ვიდრე გამოყოფილი ადგილები იტევს, და ამ ადგილებს ცხვრის ჩლიქები ანადგურებენ. ამიტომაც წავედით მე და ერნაზარი კიჩიბელში. გვინდოდა, საქმე უკეთესად მოგვეწყო, მაგრამ უბედურება გვეწვია, ჩვენი ლაშქრობა ცუდად დასრულდა. ამის გამო ხელი ავიღე და გავჩუმდი, უბედურებამ მაიძულა, ხმა ჩამეკმინდა, საამისოდ არა მცხელოდა. მაგრამ ყველაფერი რომ სხვანაირად წარმართულიყო, იმ წელს მოსკოვში გამოფენაზე წავიდოდი, მივიდოდი ჩვენს ყველაზე მთავარ უფროსთან და შენს ამბებს მოვუყვებოდი, კოჩკორბაევ. შენ სულ იმით ყოყოჩობ, პარტიაზე ვფიქრობო, მაგრამ სჭირდება კი პარტიას შენისთანები, რომლებიც თვითონ არაფერს აკეთებენ და სხვებს მხოლოდ ხელ-ფეხს უბორკავენ?

— თქვენ თავს გაგივიდათ! — ვერ მოითმინა კოჩკორბაევმა. — ეს ცილისწამებაა! და თქვენ ურკუნჩიევ, თქვენი სიტყვებისთვის მკაცრად აგებთ პასუხს პარტიული წესით.

— მე თვითონაც მინდა ყველაფერს პასუხი გავცე პარტიულ კრებაზე. და თუ მართლა არ ვაკეთებ იმას, რაც საჭიროა, და ისე არ ვფიქრობ, როგორც საჭიროა, მაშინ კინწისკვრით გამაგდეთ, მაშასადამე, პარტიაში ჩემი ადგილი არაა და არ უნდა დამინდოთ, მაგრამ ამაზე შენც უნდა იფიქრო, კოჩკორბაევ.

— მე საფიქრებელი არაფერი მჭირს, ამხანაგო ურკუნჩიევ. სინდისი სუფთა მაქვს. მე ყოველთვის პარტიასთან ვარ.

ბოსტონმა სული მოითქვა, თითქოს მთებში იყოო ნარბენი, რაიკომის ინსტრუქტორს შეხედა და უთხრა:

— შენ კი, რაიკომის ახალო ინსტრუქტორო, ძალიან გთხოვ, ეგ რაიკომს მოახსენო. დაე, პარტიულ კრებაზე გაარჩიონ ჩვენი ამბავი. ასე ცხოვრება აღარ შემიძლია.

ბოსტონ ურკუნჩიევი მალე დარწმუნდა, რომ კოჩკორბაევთან შეტაკების გამო მოვლენები იძაბებოდა. სწორედ იმ დღეს თავის საქმეებზე იყო სანაპიროზე. ისიქ-ქოლისპირეთში საცაა ბაღები აყვავდებოდა. უკვე გაზაფხული იწურებოდა, ბოსტონი კი ვერა და ვერ ახერხებდა თავის ბაღში და ერნაზარის ყოფილ ეზოში ვაშლების შეწამვლას. (ახლა ბოსტონს და გულიუმკანს ორი სახლი და ორი ბაღი ჰქონდათ და ორივეს მიხედვა სჭირდებოდა.) ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ მწყემსი მთაში ცხოვრობს და ვერასდროს იცლის თავისი კარმიდამოს მოსავლელად. საქმეს სულ სხვა დროისთვის დებს, შემდეგ გაიხედავს და აღმოაჩენს, რომ დრო გასულა, ყოველი ვადა გასულა. ასე იყო თუ ისე, ბაღი აუცილებლად უნდა შეეწამლა, თორემ

მავნებლები გასაოცარი სისწრაფით გამრავლდებოდნენ, ბუტკოს წაახდენდნენ და მოსავალს დაღუპავდნენ. ამჯერად გულიუმკანმა თავი ვერ შეიკავა და მკაცრად უსაყვედურა ქმარს: სულ ფეხს ითრევ, არ გინდა ადრიანად წახვიდე, რომ რომელიმე მეზობელს მოელაპარაკო, რაკი თვითონ ვერ ასწრებ შეწამვლას, ფული მისცე და ეს საქმე გააკეთებინოო.

— რას უკეთებ ოჯახს? — უთხრა გაბრაზებულმა გულიუმკანმა. — დღე და ღამე ცხვარს უტრიალებ ან კრებებზე ზიხარ. თუ ბაღის მოვლა არ შეგიძლია, გაჩერდი კენჯეშთან სახლში, — ამ სულელს სულ თვალის დევნება უნდა, — მე კი სანაპიროზე ჩავალ და შენს მაგიერ გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი წესიერ მეურნეს ეკადრება.

მართალს ამბობდა გულიუმკანი, ვერაფერს იტყოდი. ბოსტონი იძულებული გახდა უსიტყვოდ დაეჯერებინა მისთვის.

ჰოდა, დილაადრიან წავიდა ბაღის მისახედად. დონკულიუკით მიდიოდა. როგორც ძველთაგან ამბობენ, გაზაფხულზე ბალახიც იკრებს ძალას და ცხენიც, თანაც დონკულიუკი ისეთ ასაკში იყო, სისხლი უდუღდა. იგი ცეცხლოვან თვალს აბრიალებდა, ფაფარს არხევდა, ძალამოჭარბებული სულ გაჭენებას ლამობდა, მაგრამ ბოსტონი იმის გუნებაზე არ იყო, კისრისტეხით ეჭენებინა. ფიცხ ცხენს აოკებდა — უნდოდა, გზაზე მშვიდად ეფიქრა ათას რამეზე. წუხელ ცუდად ეძინა. დიდხან იწრიალა, ვერა და ვერ დაივიწყა, პარტორგმა როგორ დააბრალა ერნაზარის დაღუპვა. კრებიდან შინ მობრუნებულმა ცოლს მოკლედ უამბო ყველაფერი, ხოლო ერნაზარის დაღუპვა რომ დააბრალეს, ამაზე კრინტი არ დაუძრავს, არ უნდოდა ზედმეტად გაეხსენებინა გულიუმკანისთვის ადრინდელი ქმარი (თუმცა მრავალი წელი გავიდა მისი დაღუპვის შემდეგ), არ უნდოდა რადგან ვერ ასცდებოდა მტანჯველ საუბარს, რაც არც ერთს გაუხარებდა გულს და არც მეორეს: დაუმარხავი ერნაზარი ხომ ალა-მონგიუს უღელტეხილზე დამესავით საშინელი უფსკრულის ფსკერზე იწვა ყინულის მიერ სამარადჟამოდ შებოჭილი. ამიტომაც სჯობდა ხმა არ გაეღო კოჩკორბაევის ბრალდებაზე. ხოლო როგორც კი ძილი მოერია, ისევ გამოცხადნენ მგლები, დიდი ფარეხის უკან, ბორცვზე ისევ გულამოჯდომით აყმუვლდა გატაცებულ შვილებზე მოტირალი აკბარა, რომელსაც დაბალი, დახშული ბანით ჰყვებოდა მისი ტაშჩაინარი. ადრე ყმუილის გაგონებაზე ბოსტონს მგლები ებრალებოდა, თანაუგრძნობდა, ახლა კი ბოღმა ეუფლებოდა, უნდოდა ბოლოს და ბოლოს დაეხოცა ეს თავხედი მხეცები, ოღონდაც არ გაეგონა მათი ყმუილი, ყურებში წყევლასავით რომ ჩაესმოდა. მერედა, თვითონ რა დანაშაული მიუძღოდა? წუხელ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მგლები მოესპო, გეგმაც კი მოიფიქრა. თანაც იმ დღეს, როცა კრებაზე კორჩკორბაევს წაეჩხუბა, აკბარამ და ტაშჩაინარმა მისი ფარის სამ ცხვარს

გამოღადრეს ყელი. მორბედი მწყემსი მოჰყვა, მგლები ფარას მიეპარნენ, რამდენი არ ვუყვირე, რამდენი არ ვუქნიე კომბალი, ყურიც არ გააბარტყუნეს, სამი ცხვარი მიასაკლავეს და მიიმალნენო. ამ ამბავმა ბოსტონს მოთმინება დააკარგვინა. თუ ასე გაგრძელდა, იძულებულნი გავხდებით, აქედან წავიდეთ, მგლებს გავექცეთო, — ფიქრობდა იგი. აკბარას და ტაშჩაინარს არ ესმოდათ, რომ იმ წუთში თავიანთი ყმუილით საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ. ახლა ბოსტონმა მტკიცედ იცოდა, რა გაეკეთებინა და მზად იყო, მყისვე შესდგომოდა ჩანაფიქრის ასრულებას, მაგრამ დილით შინაური საქმეების გამო სანაპიროზე წასვლა დასჭირდა. ის კი მაინც გადაწყვიტა: ცოლს რომ არ ესაყვედურებინა, ჯერ ბაღისთვის მიეხედა, ხოლო შემდეგ მგლებისთვის მოეღო ბოლო. აი, რაზე ფიქრობდა გზად ბოსტონი...

ვაშლების შემობარვასა და შეწამვლას ერთ დღეში მორჩა. სოფელში მარჯვე ბიჭი მოძებნა, რომელმაც გარკვეულ ფასად ამ საქმის სწრაფად მოთავება იკისრა. ბოსტონიც შეჰპირდა, ჩემი შავი ცხვრის ბატკანს მოგცემო.

ბოსტონი საქმეებს რომ მორჩა, გადაწყვიტა, კენჯეშისთვის სათამაშო ეყიდა. უნდოდა შვილიკო გაეხარებინა. აბა, რა, ასეთი კარგი ბიჭი დაკუნკულებდა სახლში, ერთ თვეზე ცოტა მეტ ხანში ორი წლისა გახდებოდა. სასაცილო, ყოჩაღი ბიჭუნა თავისი ოინბაზობით გულს უხარებდა სიბერეში შესულ ბოსტონს. მისი ყოველი ახალი სიტყვა აღფრთოვანებას ჰგვრიდა. ბოსტონი ბიჭის მეშვეობით სწვდებოდა ცხოვრების ღრმა, იდუმალ აზრს, რაც შვილისა და შვილის დედის მიმართ მის სიყვარულში იმალებოდა. ეს იყო ბოსტონისთვის განწესებული ბედ-იღბლის საბოლოო და უმაღლესი წერტილი. ბოსტონს უნდოდა ჰყვარებოდა ცოლი და ბიჭი. ამის მეტს არაფერს ითხოვდა და არც არაფერი უნდოდა ცხოვრებისაგან, ვინაიდან სიყვარული ხომ ჩვენთვის ზეგარდმო მონიჭებული უზენაესი მადლია. ბოსტონი ამის შესახებ არასდროს ლაპარაკობდა, მაგრამ თავისთვის იცოდა, რომ ეს ასე იყო. და სჯეროდა, რომ ცოლიც გულში მის გრძნობებს იზიარებდა.

ბოსტონი რაიმაღაზია „მადანიატთან“ ჩამოხტა ცხენიდან, შიგ შევიდა და თვალებგადმოკარკლული, სასაცილო მოსამართი ბაყაყი იყიდა — ო, რა გაუხარდებაო ბავშვს! გარეთ გამოსული ცხენზე შეჯდომას აპირებდა, მაგრამ უცებ შიმშილი იგრძნო და გაახსენდა, რომ დილიდან ლუკმა არ ჩაედო პირში. სასადილო იქვე, რაიმაღაზიის გვერდით იყო. ბოსტონმაც, საუბედუროდ, შესვლა გადაწყვიტა. იგი ნახევრად ბნელ, გამვლელი შოფრების სამასპინძლო იაფ ფასიანი საჭმლის სუნით გაჟღენთილ დარბაზში შევიდა. კარის მახლობლად

მაგიდას მიუჯდა თუ არა, ზურგს უკან ბაზარბაის ხმა შემოესმა. ბოსტონს არ მოუხედავს, ისედაც მიხვდა, რომ ბაზარბაი აქ თავის ძმაკაცებთან ქეიფობდა. „დღისით-მზისით ზის და სვამს მუქთამჭამელებთან, სინდისი ამას არ გააჩნია და ნამუსი", — მძულვარებით გაივლო გულში ბოსტონმა, უნდოდა ამდგარიყო და უსიამოვნებას გარიდებოდა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: კი მაგრამ რისი გულისთვის უნდა წავიდე, უჭმელი რატომ წავიდეო? შეუკვეთა ბორში, კატლეტი. ამასობაში ბაზარბაის, ეტყობა, მოახსენეს, კუთხეში ბოსტონი ზისო, და ზურგს უკან მაშინვე ავად მიწყდა ყაყანი, შემდეგ ისევ განახლდა. მალე ბოსტონთან ბაზარბაის ერთ-ერთი მეგობარი, ვინმე კორ სამატი, ბრუციანი სამატი, ადგილობრივი ლოთი და ჭორიკანა მოვიდა, რომელსაც ჯერ კიდევ სიყმაწვილისას ჩხუბში თვალი ამოუგდეს.

— გამარჯობა, ბოსტონ, გამარჯობა! — მან მრავალმნიშვნელოვანი ჩაცინებით გაუწოდა ხელი ბოსტონს. ბოსტონსაც რა ექნა, იძულებული გახდა, ხელი ჩამოერთმია. — აქ მარტო რას უზიხარ? — ჩააცივდა სამატი ბოსტონს. — ჩვენ აგერ ბაზარბაისთან ერთად ვართ. დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი. თავშეყრა გადავწყვიტეთ. წამოდი ჩვენთან. თვითონ ბაზარბაი გეძახის.

— უთხარი, არ სცალია-თქო, — მიუგო ბოსტონმა რაც შეიძლება თავშეკავებულად. — შევჭამ და იმწამსვე მთაში მივდივარ.

— მოასწრებ. მთა სად დაგეკარგება?

— არა, გმადლობთ. საქმეები მაქვს.

— იცოდე, სულ ტყუილად ჩქარობ, სულ ტყუილა, — უთხრა წასვლისას კორ სამატმა.

კორ სამატის წასვლისთანავე ბოსტონს თვით საკმაოდ შეზარხოშებული ბაზარბაი გამოეცხადა. ბაზარბაის სხვებიც მოჰყვნენ.

— ერთი მითხარი, რა ცხვირს იბზუებ? როგორც კაცს გეძახიან, შენ კი? რა, თავი სხვებზე უკეთესი გგონია? — პირდაპირ შეუჩხიკინა ბაზარბაიმ.

— ხომ ვთქვი, არ მცალია-მეთქი, — მშვიდად მიუგო ბოსტონმა და დემონსტრაციულად დაიწყო ბორშის ხვრეპა, რომელსაც სხვა დროს პირველი კოვზის შემდეგ პირს არ დააკარებდა.

— შენთან საქმე მაქვს, — უთხრა ბაზარბაიმ და უტიფრად დაუჯდა წინ. სხვები ფეხზე იდგნენ თავშესაქცევი სეირის მომლოდინენი.

— მე და შენ რა საქმეები უნდა გვქონდეს? — უპასუხა ბოსტონმა.

— ღირდა, მაგალითად, თუნდაც იმ ლეკვებზე მოგველაპარაკნა, ბოსტონ, — ბაზარბაი მოიღუშა და თავი გააქნია.

— ხომ ვილაპარაკეთ, ღირს განა მეორეჯერ მივუბრუნდეთ ამ ამბავს?

— მე მგონი, ღირს.

— ჩემი აზრით კი არა ღირს. ხელს ნუ მიშლი. ჭამას მოვათავებ და აქედან წავალ.

— სად გეჩქარება, ძაღლო-მამაძაღლო? — ბაზარბაი მსწრაფულ წამოდგა, მოიხარა და ბოსტონს ბოღმით დაღრეჯილი სახე მიუახლოვა. — სად გეჩქარება,არამზადავ? ჩვენ ჯერ კიდევ მგლებზე არ გვილაპარაკია. შენ ხომ დირექტორის კაბინეტში მთელი ხალხის წინაშე პროვოკატორი მიწოდე, თქვი, თითქოს ჩემ გამო მგლები მძვინვარებენ. გგონია, არ ვიცი, რა არის პროვოკატორი? გგონია, მე ფაშისტი ვარ და მხოლოდ შენ ბრძანდები პატიოსანი კაცი?

ბოსტონიც წამოხტა ზეზე, ახლა ერთმანეთს პირისპირ ედგნენ.

— ენის საქსაქს მოეშვი, — ჩააჩუმა ბოსტონმა ბაზარბაი. — მე ფაშისტი არ მიწოდებია, ვერ მიხვდი, ისე კი გეკუთვნოდა, ხოლო შენ რომ პროვოკატორი და ტვინგამოლაყებული ბოროტმოქმედი ხარ, ნაღდია. ეს შენთვის ადრეც მითქვამს და ახლაც გეტყვი, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ შენს ადგილზე დაბრუნდები და ჩამომეხსნები.

— შენ კი ნურავის უთითებ, სად უნდა იყოს და რა აკეთოს! — ერთობ გაშმაგდა ბაზარბაი. — ვინ ჩემი ფეხები ხარ. მომიფურთხებია. ვთქვათ, როგორც შენ ბრძანებ, მე პროვოკატორი ვარ, შენ თვითონ ვინღა გდიხარ. გგონია, ხალხმა არ იცის, ვინა ხარ? გგონია, ერნაზარი დაღუპე და ყველაფერი ჩაიფარცხა. შენ ხომ, ქვემძრომო, მის ცოლთან პირი მანამდე შეჰკარი, ვიდრე ერნაზარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო შენი ბებერი ცოლი უნდა მომკვდარიყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტე, ერნაზარი უფსკრულში გადაგეგდო უღელტეხილზე და ეს ძუკნა გულიუმკანი შეგერთო. აბა, დაამტკიცე რომ ეს ასე არაა. უფსკრულში რატომ ერნაზარი ჩავარდა და შენ არა? თქვენ ხომ ერთ გზაზე მიდიოდით. გგონია, არავინ არაფერი იცის! მაგრამ ის ხომ დაიღუპა, შენ კი ცოცხალი გადარჩი! რა ხართ თქვენ ამის შემდეგ, შენ და შენი ძუკნა გულიუმკანი? ერნაზარი უღელტეხილზე ყინულში ჩაქვავდა, ძაღლივით უსაფლავოდ დარჩა, ხოლო შენ, ქვემოძრომო, მის უსირცხვილო ცოლს, როსკიპ ძუკნას გულში იჭდობ და მასთან ერთად არხეინად ცხოვრობ. პარტიული კი ხარ! პარტიიდან სწორედ პანღურის კვრით უნდა გამოგაგდონ. ერთი ამ მოწინავე, სტახანოველს დამიხედეთ! სამართალში უნდა მიგცენ!

ბოსტონმა ძლივს შეიკავა თავი, რომ მუშტები არ დაეცხო და საზიზღარი სიფათი არ დაეძვალრბილებინა. ბაზარბაი საჩხუბრად, აურზაურის ასატეხად, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა აშკარად, მაგრამ ბოსტონმა თავს ძალა დაატანა, კბილი კბილს დააჭირა და სიავისგან სულშეგუბებულ ბაზარბაის უთხრა:

— შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. შენი სიტყვები ჩემთვის არაფერს ნიშნავს. თავს არც გაგიტოლებ. ახლა კი გზიდან ჩამომე-

ცალე. ჰეი, ყმაწვილო, — გასძახა ოფიციანტს. — აჰა, სადილის ფული, — ხუთმანეთიანი მიაჩეჩა მას და მდუმარედ აიძრა.

ბაზარბაიმ ხელი ჩაავლო:

— აბა, ერთი მოიცადე! ნუ მიგეჩქარება შენს ძუკნასთან. შეიძლება ახლა რომელიმე მეცხვარესთან დროს ატარებს, როცა შენ სახლში არა ბრძანდები, მიხვალ და მათ ხელს შეუშლი!

ბოსტონმა მახლობელი მაგიდიდან შამპანურის ცარიელი ბოთლი აიტაცა და კბილებში გამოსცრა:

— ხელი გასწიე! — ბოსტონი თვალს არ აცილებდა ერთ წამში გაფითრებულ ბაზარბაის. — ხელმეორედ არ გამამეორებინო, ხელი გასწიე! გესმის? — უთხრა და მძიმე ცარიელი ბოთლი შეაქანა.

ბოსტონი ქუჩაში გამოვიდა. ბოთლი ისევ ჩაბღუჯული ჰქონდა ხელში. ცხენს რომ მოახტა, მაშინ გამოერკვა, ბოთლი ნარვალში მოისროლა, დონკულიუკი თავისუფლად მიუშვა და ოთხით გააჭენა. ასე სწრაფად კარგა ხანია არ უქროლია. ამ საშინელმა ჭენებამ გონს მოიყვანა და როცა გამოფხიზლდა, შეძრწუნდა: რაღაც წამში ხომ კინაღამ კაცი მოკლა, მადლობა ღმერთს, თორემ ერთი დარტყმით გაუპობდა თავის ქალას ამ საზიზღარ ბაზარბაის. მისაბმელიანი ტრაქტორით მიმავალი ხალხი განცვიფრდა, თვალებს არ უჯერებდა, დიდხანს გაჰყურებდა უკან ნეტავ რა სჭირს, ასე დარბაისელი კაცია, თავქარიანი ყმაწვილივით კი მიქრისო. ბოსტონმა მალე სული მოითქვა, საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ნაკადულზე ცივი წყლით გული იჯერა. შემდეგ ტანსაცმელი გაიბერტყა და ცხენს მოახტა. უკვე აღარ მიერეკებოდა დონკულიუკს, ნაბიჯით მიჰყვებოდა და სულ უხაროდა, რომ მკვლელობას ასცდა.

გზაზე კი ისევ გაახსენდა, რაც მოხდა, და ისევ მოიღუშა. გული ჩასწყდა, როცა უცებ მოაგონდა, რომ სასადილოში რაფაზე კენჯეშისათვის ნაყიდი ასე მშვენიერი გასართობი, სათამაშო ბაყაყი, თვალებგადმოკარკლული, დიდპირა, მოსამართი ბაყაყი დარჩა. რა თქმა უნდა, სათამაშო არცთუ ძვირფასი იყო, შეეძლო სხვა დროსაც ეყიდა პატარასთვის იმავე რაიმაღაზია „მადანიატში", მაგრამ რატომღაც გაიფიქრა, ეს ცუდი ნიშანიაო. არაფრით არ შეიძლებოდა, ბიჭისთვის განკუთვნილი ნივთი დავიწყებოდა. მას კი დაავიწყდა...

თავისი ცრუმორწმუნეობა აღიზიანებდა ბოსტონს, სურვილს უღვიძებდა რაღაცნაირად წინააღმდეგობა გაეწია მოვლენათა უსიამოვნო მსვლელობისათვის. იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ ჩაუსაფრდებოდა მგლებს და ამ წყეულ მხეცებს დახოცავდა, რათა ახლომახლო მათი ჭაჭანება არ ყოფილიყო, სიბრაზით სული უგუბდებოდა.

მაინც რა უცნაურია, ფიქრობდა იგი. სასადილოში დღევანდელი

შეტაკება ბაზარბაისთან, რაც კინაღამ მკვლელობით დამთავრდა, ისევ ამ მგლების გამო ატეხილ კამათს მოჰყვა...

ბოსტონმა გადაწყვიტა, თავისი განზრახვა მეორე დღეს აღესრულებინა. ღამით ოპერაციის ყველა წვრილმანი მოიფიქრა, ყველაფერი გაითვალისწინა და ცოლს ერთად ცხოვრების მთელ მანძილზე ალბათ პირველად დაუმალა ჩანაფიქრი, არ გაანდო მისთვის ეს მნიშვნელოვანი განზრახვა. ბოსტონს არ სურდა ლაპარაკი ჩამოეგდო მგლებსა და მათ ლეკვებზე, რომელთა გამოც აუტეხა ბაზარბაიმ ჩხუბი, არაფერზე არ უნდოდა საუბარი, რაც კი უღელტეხილზე ერნაზარის დაღუპვას გაახსენებდა. ამიტომ შინ უფრო მეტად ხმას არ იღებდა, ბიჭთან თამაშით იქცევდა თავს, გულიუმკანის კითხვებზე მოკლედ პასუხობდა, იცოდა, თავისი დუმილით ცოლს შეაწუხებდა, საგონებელში ჩააგდებდა, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ისიც შესანიშნავად ესმოდა, რომ ბაზარბაისთან შეტაკების თუ მისი უშვერად ლანძღვის ამბავი ადრე თუ გვიან გულიუმკანის ყურამდეც მიაღწევდა, და მაინც დუმდა. თახსირი ბაზარბაის ნათქვამი ისეთი საძაგლობა და საზიზღრობა იყო, არ უნდოდა გაემეორებინა.

იმაზეც ფიქრობდა ბოსტონი, რა უცნაურად მძიმედ და რთულად აეწყო მისი და გულიუმკანის ცხოვრება. ადამიანებს რამდენ ფარულ თუ აშკარა მტრობას ამჩნევდნენ მას შემდეგ, რაც ცოლ-ქმარი გახდნენ, რამდენ ცილისწამებას არ უვრცელებდნენ ისინი! მიუხედავად ამისა, ბოსტონი არ ნანობდა, რომ თავისი ცხოვრება ერნაზარის ქვრივს დაუკავშირა. უკვე უჭირდა იმის წარმოდგენა, როგორ უნდა ეცხოვრა გულიუმკანის გარეშე, სულ უნდოდა ეგრძნო, რომ იგი გვერდით ჰყავდა... ო, არა, მაშინ ეს ნამდვილად რაღაც სრულიად სხვანაირი ცხოვრება იქნებოდა. ბოსტონს შეიძლებოდა მხოლოდ გულიუმკანთან ერთად ეცხოვრა. მართალია, ხანდახან გულიუმკანი უმაყოფილო იყო, ზოგჯერ უსამართლოც მისდამი, მაგრამ ბოსტონს არასდროს უღალატებდა, ეგ კი ყველაზე მთავარი იყო. ოღონდ ამაზე ერთმანეთთან არასდროს ლაპარაკობდნენ, ეგ თავისთავად იგულისხმებოდა ბოსტონისთვის რომ ეკითხათ, რას ნიშნავდა მისთვის პატარა, მოუსვენარი ბიჭუნა, სულ რამდენიმე სიტყვა რომ იცოდა, მოღიმარი, თვალებნათელი, დაუდეგარი, ფეხებფუნთულა ნაბოლარა, ვერაფერს იტყოდა, სიტყვებს ვერ იპოვიდა. ეს გრძნობა სიტყვებით ვერ გამოიხატებოდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ კენჯეში თვითონ იყო, ბოსტონი იყო — ღვთის მიერ უცოდველი ბავშვის ჰიპოსტასის სახით ქვეყნად მოვლენილი.

სულიერად კი ხვდებოდა და აცნობიერებდა ყველაფერს, და ღამით, ცოლთან და ბავშვთან მწოლარე, დამშვიდდა, დაცხრა, გამხნევდა. უნდოდა დაევიწყებინა სასადილოში მომხდარი ამბავი. ისიც კი

გაიფიქრა, თუ ამ ღამით მგლები არ გამოჩნდნენ, ხვალ აღარ ჩავუსაფრდები, შეიძლება საერთოდ სულაც დავანებო თავიო. ბოსტონს სიმშვიდე სურდა...

მაგრამ თითქოს ჯიბრზე დაახლოებით შუაღამით ისევ გამოცხადნენ მგლები. დიდი ფარეხის უკან ბორცვზე ისევ აკვნესდა, აყმუვლდა აკბარა და მას დაბალი ბოხი ყმუილით აჰყვა ტაშჩაინარი. და ისევ შიშით გაეღვიძა და აფშლუკუნდა კენჯეში, აბუზღუნდა ნამძინარევი გულიუმკანი, სწყევლიდა ცხოვრებას, რომ მოსვენებას არ აძლევდნენ გამძვინვარებული მგლები. ბოსტონიც ისე გაგულისდა, უნდოდა სახლიდან გავარდნილიყო და თუნდაც ცხრა მთას იქით გასდევნებოდა მგლებს. და კვლავ გაახსენდა, როგორ თათხავდა, შეურრაცხყოფდა, ამცირებდა თახსირი, არაკაცი ბაზარბაი და ინანა, რომ თავი ბოთლით არ გაუხეთქა. საკმარისი იყო მძიმე ბოთლი საძულველი ბაზარბაის თავზე დაეშვა და სულს გააცხებინებდა კიდევაც. და სულაც არ ვინანებდიო, — ფიქრობდა ბოსტონი, პირიქით, გამიხარდებოდა, რომ ამ ადამიანისსახიან საზიზღარ არსებას როგორც იქნა ბოლო მოვუღეო... მგლები კი ისევ და ისევ ყმუოდნენ.

ბოსტონი იძულებული გახდა, თოფი აეღო და გარეთ გასულიყო თუნდაც მგლების შესაშინებლად, მაგრამ ერთჯერ ან ორჯერ გასროლის ნაცვლად ღამის სიბნელეში ხუთჯერ მიყოლებით დააქუხა. შემდეგ შინ შემობრუნდა, დაძინება კი ვეღარ შეძლო, თოფის წმენდას შეუდგა, რატომ და რისთვის, თვითონაც არ იცოდა: წინა ოთახის კუთხეში მოიკალათა, თავის სანადირო შაშხანა „ბარსზე" დაიხარა და გულმოდგინედ დაუწყო წმენდა, თითქოს იგი სასწრაფოდ სჭირდებოდა. კიდევ ერთხელ მოიფიქრა, როგორ გასწორებოდა მგლებს, და გადაწყვიტა, გათენებისთანავე შესდგომოდა საქმეს.

ხოლო სროლით დამფრთხალი აკბარა და ტაშჩაინარი ამ დროს ხეობაში მიილალებოდნენ, რათა იქ გაელიათ ღამე. აწრიალებულ მხეცებს მუდმივი ადგილი აღარ ჰქონდათ, სადაც მოუხდებოდათ, იქ ითევდნენ ღამეს. აკბარა, როგორც ყოველთვის, წინ მიდიოდა. ბეწვის ცვენის დადგომამდე ჩამოწეწილი, ჩამოგრძელებული, გაბურძგვნილი ბალნით მოსილი, სიბნელეში საშინელი სანახავი იყო. თვალები ფოსფორული მბზინვარებით უელავდა. ენა გარეთ უვარდებოდა, გეგონებოდათ, ცოფიანიაო. არა, შვილებდაკარგულ ძუ მგელს მწუხარება არ უნელდებოდა, ვერ ივიწყებდა თავის შვილებს. ალღო ქვეშეცნეულად უკარნახებდა, რომ ლეკვები ბოსტონის ფარეხში იყვნენ და არა სხვაგან, აკი იქ შეიმალა მომტაცებელი, რომელსაც იმ ბედკრულ ღამეს ორივე ფეხდაფეხ მოსდევდა. უფრო მეტს აკბარას ცხოველური გონება ვერ საზღვრავდა. ამიტომაც საზარლად მძვინვარებდნენ მგლები, მთელ არემარეზე უაზროდ ხოცავდნენ საქონელს. ხოცავდ-

ნენ არა იმიტომ, რომ შიმშილი მოეკლათ, არამედ დაუცხრომელი, დაუოკებელი მოთხოვნილება ჰქონდათ ხორცითა და სისხლით გაეყუჩებინათ, ჩაეხშოთ, გაენელებინათ ქვეყნიერებაზე გაბოროტებისა და სულში ჩაგუბებული სიცარიელის გულშემაღონებელი გრძნობა. ხოლო კუჭის ამოვსების შემდეგ იმ ადგილისკენ მიიწევდნენ, სადაც ლეკვების კვალი დაკარგეს. განსაკუთრებით აკბარა იტანჯებოდა, ვერაფრით შერიგებოდა ხვედრს. დღე ისე არ გავიდოდა, იქ არ მისულიყო, დღე ისე არ გავიდოდა, მას და ტაშჩაინარს ბოსტონის სადგომის გარშემო არ ეხეტიალათ. სწორედ ამიტომ ჰქონდა მგლებთან შეხვედრის იმედი ბოსტონს, რომელმაც გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ისინი მოესპო.

დილით ბოსტონმა განკარგულება გასცა, ფარა საძოვარზე არ გაერეკათ, ორ ფარეხში ჰყოლოდათ, მეტი მარცვლეული, საკვები მიეცათ და ბაკის სარწყულებიდან დაელევინებინათ წყალი. თვითონ კი ფარას პაწაწაბატკნებიანი ოცი ნერბი მოაცილა, მეტწილად ისეთები, რომელთაც ტყუპი ბატკნები ჰყავდათ, რათა ხმამაღლა ეხმაურათ და ებღავლათ, და ეს ნოტო უკაცურ, უგზო მხარეს გარეკა .

ბოსტონს თან არავინ წაუყვანია. მარტო მიდიოდა, გრძელი კომბალით მიირეკავდა ფარას. მხარზე ღამით გაწმენდილ-გაპრიალებული, დატენილი თოფი ჰქონდა ჩამოკიდებული. აუჩქარებლად, დიდხანს მიდიოდა. რაც შეიძლება შორს უნდა გასცლოდა საცხოვრებელს.

თბილი, ნამდვილად გაზაფხულის შესაფერი დღე იდგა, მთები მზის სითბოს ნთქავდნენ და ბორცვებსა და ტაფობებზე ამწვანებულ ბალახად აქცევდნენ. კანტიკუნტი, ქუნქულა, ხუჭუჭა ღრუბლები უდრტვინველად ნებივრობდნენ ცის ლაჟვარდში. გალობდნენ ტოროლები, ქვებს შორის კაკბები ტიხტიხებდნენ — ერთი სიტყვით სვესვიანობა სუფევდა. მხოლოდ მთელი ჰორიზონტის გაყოლებაზე ცად აზიდული, მრისხანე თოვლიანი მთაგრეხილები, სადაც ყოველ წუთს შეიძლებოდა ქარბუქი ამოვარდნილიყო, და უხიაკი ქარის მიერ ეშმაკმა უწყის საიდან მორეკილი შავი ღრუბლები, რომელთაც შეეძლოთ მზე დაებნელებინათ, გვახსენებდა, რომ ეს სვესვიანობა დროებითი იყო.

ჯერჯერობით კი არაფერი მოასწავებდა, რომ ცუდი რამ მოხდებოდა. ბატკნებიანი ნერბების ნოტო არეულ-დარეული პეტელ-ბღავილით იქით მიდიოდა, საითაც კაცი მიერეკებოდა. ბატკნები ანცად ხტოდნენ, დედებს ეპოტინებოდნენ, რომ გზა-გზა მოეწოვათ ძუძუ, მაგრამ ბოსტონს ღამიდანვე დანა პირს არ უხსნიდა. და რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო მეტად ბრაზდებოდა მგლებზეც და ბაზარბაიზეც, ვისი ბრალიც იყო ეს საშინელი ამბავი. არ უნდოდა ბაზარბაის

აჰყოლოდა, რადგან ახსოვდა ანდაზა — ნეხვს რამდენსაც გაქექავ, იმდენი აყროლდებაო, მგლები კი უნდა მოესპო, დაეხოცა, გაენადგურებინა — სხვა გზას ვერ ხედავდა. გეგმა მარტივი ჰქონდა: ნერბებისა და ბატკნების პეტელ-ბღავილს უსათუოდ უნდა მოეტყუებინა მგლები, თვითონ საფარში ჩაჯდებოდა და თუ ბედი გაუღიმებდა ორივეს დახოცავდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... სწორედ ასე მოხდა...

თითქმის შუადღემდე მგლები არ გამოჩენილან. ბოსტონმა ცხვრები მყუდრო ღარტაფში ჩარეკა, თვითონ ღარტაფის ნაპირას ქვებსა და მეჩხერ ბუჩქნარში გაინაბა, საიდანაც ღარტაფი ხელისგულივით ჩანდა. ბოსტონი ჩუბინი მსროლელი იყო, ბალღობიდან სანადიროდ დადიოდა და უკვე ისიქ-ქოლის რამდენიმე მგელი ჰყავდა მოკლული. ამიტომაც არ ეეჭვებოდა, რომ მგლებს დახოცდა, ოღონდაც ისინი მოეტყუებინა. ნერბები და ბატკნები ერთი წუთით არ წყვეტდნენ ბღავილ-პეტელს, ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, დრო კი გადიოდა და მხეცები არ ჩანდნენ, თუმცა სხვა დღეებში ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს, იმ არემარეზე გამოსულ ფარებზე იყრიდნენ ჯავრს, თან, როგორც წესი, ყოველთვის დღისით, მზისით.

ზეემ დაიცხუნა. ბუჩქის ძირას სათბურაზე წამოწოლილი ბოსტონი სხვა დროს ალბათ ჩათვლემდა, მაგრამ ახლა თავს ამის უფლებას ვერ მისცემდა. სულიც შეჭირვებული ჰქონდა: უმძიმდა იმის შეგნება, რომ ერნაზარის დაღუპვაში ადანაშაულებდნენ. მისი მტრები — კოჩკორბაევი და ბაზარბაი — შეითქვნენ და თითოეული თავისებურად სიცრუეს უგონებდა, ცილს სწამებდა, საგონებელში აგდებდა. და ვერ გაეგო, ასე რად იყო მოწყობილი ცხოვრება: რისთვის, რატომ სძულდა სულ სხვადასხვა ადამიანებს? აგერ, ეს მგლებიც გადაეკიდნენ, სულსა ხდიდნენ. მათ გამო სახლშიც ვერ ისვენებდა. ახლა კიდევ ბაზარბაისთან ჩხუბის ამბავი ცოლის ყურამდე მიაღწევდა. სასადილო ხალხით იყო სავსე, როცა ბაზარბაი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მასაც და მის ცოლსაც, მერედა რამდენი არაკეთილმოსურნე იქნებოდა იქ...

მგლები კი არა და არ ჩანდნენ. ბოსტონს უკვე მოთმინების ძაფი უწყდებოდა. მიუხედავად ამისა მაინც ძაბავდა მხედველობასა და სმენას, იცდიდა, ფხიზლად იყო: მხეცები რაც შეიძლება ადრე უნდა შეემჩნია და მანამდე ესროლა, ვიდრე ისინი ცხვრებს მისცვივდებოდნენ. იმ წამის მოხელთება კი, როცა მგლები მოვიდოდნენ, არც ისე ადვილი გახლდათ, ვინაიდან შინაურ ცხვარს ალღო არა აქვს, არც თვალი უჭრის, ერთი სიტყვით ამქვეყნად მასზე სულელი და უნიათო ცხოველი არ არსებობს. მგლებიც ყველაზე იოლად ცხვარზე ნადირობენ და მათგან ამ ცხოველის დაცვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

ამიტომ მგლებს ადამიანებთან აქვთ საქმე. ასე იყო ამჯერადაც...

უდარდელმა ცხვრებმა ახლაც ვერ იგრძნეს საფრთხე, ძოვდნენ, ბალახს მხოლოდ ბატკნების ძახილზე თუ ანებებდნენ თავს და მორჩილად უშვერდნენ დვრილებს. სხვა საზრუნავი არ აწუხებდათ. საფრთხე პირველად მხოლოდ ბოსტონმა შეამჩნია.

ბოსტონის მახლობლად მოფუსფუსე თეთრგვერდებიანი ორი კაჭკაჭი უცებ მოუსვენრად აკაკანდა, ერთი ადგილიდან მეორეზე დაიწყეს გადაფრენა. ბოსტონი გაყურადდა, თოფი ჩახმახზე შეაყენა, მაგრამ ბუჩქნარიდან თავი არ გამოუყვია, პირიქით უფრო გულდაგულ შეიმალა შიგ. მას შეუცდომლად უნდა ემოქმედნა. მზად იყო, რამდენიმე ცხვარი გაეწირა, ოღონდაც მტაცებლები გაშლილ ადგილზე გამოეტყუებინა, მაგრამ მგლებმა, ეტყობა, საფრთხე იყნოსეს — შეიძლება იმავე კაჭკაჭებმა ამცნეს. კაჭკაჭებმა ერთ ადგილას მოათავეს კაკანი, იქით გადმოფრინდნენ, სადაც ბოსტონი იყო ჩასაფრებული, თავხედურად, ხმამაღლა აკაკანდნენ, თუმცა ბოსტონს თითქოსდა არ უნდა მიექცია მათი ყურადღება — გაუნძრევლად იჯდა ბუჩქს უკან. ასე იყო, თუ ისე, მგლები უცებ არ მივარდნილან ცხვრებს. თურმე დაცალკ-ცალკეგდნენ: აკბარა ვეება ქვებს შორის მოიპარებოდა, ხოლო ტაშჩაინარი — საპირისპირო მხრიდან (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმ ადგილას შორიახლო მოცოცავდა, სადაც შეიარაღებული ბოსტონი იყო დამალული).

ეს ყველაფერი კი განა უცებ გახდა ცნობილი.

მგლების მომლოდინე ბოსტონი ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვია, რომელი მხრიდან გამოჩნდებოდნენ ისინი. ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა: ცხვრები წყნარად ძოვდნენ ბალახს, ბატკნები ანცობდნენ, კაჭკაჭებმა კაკანი შეწყვიტეს — ისმოდა მხოლოდ მთებიდან ჩამომავალი, შორიახლო ჩამომდინარე ნაკადულის ჩუხჩუხი და ბუჩქებზე ჩამომსხდარი ჩიტების ჭიკჭიკი. ბოსტონი ხანგრძლივმა ლოდინმა დაღალა. უცებ ქვებს შორის რუხი ჩრდილი გაკრთა, ცხვრებიც სწრაფად გაცვივდნენ განზე და შიშისა და მოლოდინისგან გაუბედავად გაირინდნენ. ბოსტონი ერთიანად დაიძაბა, მიხვდა, რომ მგლებმა დააფრთხეს ფარა, რათა გაეგოთ, სად იყო კაცი დამალული: ასეთ დროს ყველა მწყემსი ყვირის და ცხვრებისკენ გარბის. ბოსტონს სხვა ამოცანა ჰქონდა, ამიტომ თავისი ადგილსამყოფელი არ გაუმჟღავნებია. ამ დროს ლოდებს შორის ისევ გაკრთა რუხი ჩრდილი და მტაცებელი ორი ნახტომით მივარდა აფორიაქებულ ცხვრებს. ეს აკბარა იყო. ბოსტონმა თოფი მოიმარჯვა, ნიშანში იღებდა აკბარას, ჩახმახისთვის უკვე თითი უნდა გამოეკრა, მაგრამ უკან დარხეულმა ჩქამმა აიძულა შემობრუნებულიყო; პირდაპირ დაახალა ტყვია მისკენ გამოჭრილ ვეება მხეცს. ყველა-

ფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ტაშჩაინარს ტყვია ჰაერშივე ეძგერა, მაგრამ უცებ არ დაცემულა, გაავებით კბილებდაკრეჭილი, მობრიალე თვალებში მძვინვარებაჩამდგარ, წინ გამოწვდილი ბრჭყალებიანი თათებით ერთხანს ისევ მოფრინავდა ბოსტონისკენ და უგრძნობლად დაენარცხა მიწას მისგან სულ ნახევარ მეტრზე. ბოსტონმა იმავ წამს სხვა მხრისკენ მიმართა თოფი, ოღონდ დრო უკვე დაკარგული იყო: აკბარამ წაქცეული ცხვარი მიატოვა და ქვებს შორის მიმალვა მოასწრო. ბოსტონი გაედევნა, იქნებ ტყვია დავაწიოო, მაგრამ იმასღა მოჰკრა თვალი, რომ აკბარა ნაკადულს გადაევლო. ესროლა, და ააცდინა...

ბოსტონმა სული მოითქვა, გულდამწუხრებულმა მიმოიხედა. დაძაბულობისგან ფერი წასვლოდა, ქშინავდა. მთავარ მიზანს ვერ მიაღწია — აკბარა გაექცა. ახლა საქმე უფრო გართულდა — ძუ მგლის მოკვლა არც ისე ადვილი იქნებოდა: მას ვეღარსად მოიხელთებდა. დროზე რომ არ მიმეხედა და ტაშჩაინარი პირველი ტყვიით არ განმეგმირა, შეიძლება ყველაფერი გაცილებით ცუდად შეტრიალებულიყოო, ფიქრობდა ბოსტონი. მან მთელი ამბავი აწონ-დაწონა და მიხვდა, რომ ფარას მოახლოებულმა მხეცებმა საფრთხე იგრძნეს და გაიყვნენ, ხოლო როცა ტაიშჩაინარმა შეამჩნია, თოფიანი კაცი ძუ მგელს ემუქრება, აკბარა კი აინუნში არაა, დაუფიქრებლად გაიჭრა მტრისკენ...

ბოსტონმა დამფრთხალ-დაფანტული ცხვრები ერთად შეჰყარა და მოკლული მგლის დასახედად გაემართა. ტაშჩაინარს ვეება ყვითელი შუანები დაეკრიჭა, თვალები უკვე გაყინვოდა. ბოსტონმა ხელი შეახო ტაშჩაინარის თავს. ვეება თავი ჰქონდა ტაშჩაინარს — ცხენის სარგო თავი. როგორ დაატარებდა ამ სიმძიმე თავს? თათებს აღარ იკითხავთ? ბოსტონმა ასწია ტაშჩაინარის თათები, ხელით აწონა და უნებლიეთ მოიხიბლა, ისეთი ძალა იგრძნობოდა მათში. ვინ იცის, რამდენი უჭლიათ, რამდენი ნადავლი დაუგლეჯიათ!

მცირე ყოყმანის შემდეგ ბოსტონმა გადაწყვიტა, ტაშჩაინარი არ გაეტყავებინა: ჯანდაბას ტყავი, მთავარი ტყავი ხომ არაა, მით უმეტეს ძუ მგელი გადარჩა და სასიხარულოც არაფერიაო.

ბოსტონი ერთხანს კიდევ იდგა დაფიქრებული, შემდეგ ძუ მგლის მიერ ყელგამოღადრული ცხვარი მხარზე მოიგდო და ფარა გაირეკა.

მოგვიანებით უკან დაბრუნდა, თან ნიჩაბი და წერაქვი მოიტანა და საღამომდე ორმოს თხრიდა, რომ ტაშჩაინარის ლეში დაემარხა. დიდხანს იჯახირა, რადგან მიწა ქვიანი აღმოჩნდა. დროდადრო ჩერდებოდა და ირგვლივ ფრთხილად იხედებოდა, შემთხვევით ძუ მგელი ხომ არ გამოჩნდაო. დაუცადი თოფი იქვე იდო, ხელის გაწვდენაზე...

ხოლო აკბარა შუაღამით მოვიდა... მიწის ახალ ნაყართან დაწვა

და განთიადამდე არ ამდგარა. მზე რომ ამოიწვერა, უმალ გაქრა...

VI

გაზაფხულის დღეები იდგა, არათუ გაზაფხულის, შეიძლება ითქვას ზაფხულის დამდეგი იყო. მეცხვარეები საზაფხულო საძოვრებზე უნდა გადაბარგებულიყვნენ. ვინც ზამთარი მთისწინეთში გაატარა, უფრო ღრმად მდებარე ხეობებში მთის ახალ საბალახოებზე გადადიოდა, რომ ნელ-ნელა მიახლოვებოდნენ უღელტეხილებს, ხოლო ვინც მინდვრებში, ფარეხებში გამოიზამთრა, სათადარიგო საგაზაფხულო საძოვრებზე მიემართებოდა. სადავიდარაბო დრო იდგა: უნდა გადაგერეკა საქონელი, გადაგეტანა საოჯახო ბარგი-ბარხანა, ყველაზე მძიმე საქმე კი ცხვრის პარსვა გახლდათ. ეს ყველაფერი ერთად დაძაბულობას ქმნიდა. თანაც ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება ადრე მოხვედრილიყო საზაფხულო საძოვრებზე და უკეთესი ადგილები დაეკავებინა. ერთი სიტყვით, საქმე არ ილეოდა... თითოეულს თავ-თავისი საზრუნავი ჰქონდა...

მთელ იმ არემარეზე მხოლოდ აკბარა წრიალებდა. მხოლოდ ის არ ერთვოდა ირგვლივ გაჩაღებული მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში. შეიძლება ითქვას, ადამიანებმაც დაივიწყეს: ტაშჩაინარის დაკარგვის შემდეგ აღარსად ჩანდა, ბოსტონის საზამთრო სადგომთანაც კი შეწყვიტა ღამღამობით ყმუილი.

უსაშველოდ უმძიმდა აკბარას. მოდუნდა, გულგრილი გახდა — ჭამდა ყოველგვარ წვრილ-წვრილ ნადირ-ფრინველს, რასაც კი მოიხელთებდა, და მეტწილად სადმე მყუდრო ადგილას ნაღვლიანად აღამებდა დღეებს. აინუნში არ აგდებდა ფარების მასობრივად გადადენას, როცა მთებზე ათასობით ცხვარი მიედინება და ხმაურში სულ ადვილია აცაბაცა მომზირალი ბატკანი ან შიშაგი მოიტაცო.

აკბარას თვალში სამყარო თითქოს გაუფასურდა. ის ახლა წარსულის მოგონებებით ცხოვრობდა. თავს თათებზე დაიდებდა და მთელი დღეები იგონებდა მუინყუმის სავანაში და ალდაშისპირა ტრამალებში, ანდა აქ, ისიქ-ქოლისპირა მთებში გატარებულ სასიხარულო თუ სამწუხარო დღეებს. თვალწინ კვლავ და კვლავ უდგებოდა გარდასული ცხოვრების, ტაშჩაინართან ერთად გატარებული ცხოვრების სურათები, და ყოველთვის ნაღველმოძალებული ზეზე დგებოდა, თავჩაქინდრული დაეხეტებოდა ახლომახლო, ისევ წვებოდა, მობერებულ თავს თათებზე იდებდა და ისევ იგონებდა შვილებს — ხან ბაზარბაის მიერ იმ ოთხ ახლახან მოტაცებულ პატარას, ხან მუინყუმში ნადირთხოცვისას დაღუპულთ, ხან ტბისპირა ლაქაშებში დამწვართ. ყველაზე უფრო კი მაინც თავის მგელს, ერთგულ და მძლეთამძლე ტაშჩაინარს იგონებდა. დროდადრო ის უცნაური კაციც ახსენდებოდა რო-

მელსაც კანაფის შამბნარში გადაეყარნენ, ახსენდებოდა ის კანშიშველი, უმწეო არსება როგორ ერთობოდა ლეკვებთან, ხოლო როცა თვითონ მისკენ გაიჭრა, რათა მყის გამოეღადრა ყელი, შიშით როგორ ჩაცუცქდა და თავი ხელებით დაიფარა, შემდეგ კი უკან მოუხედავად მოკურცხლა... ხოლო შემდეგ, უკვე ზამთრის დამდეგს, განთიადისას, როგორ ნახა მუინყუმის სავანაში საქსაულის ხეზე გაკრული. აგონდებოდა, როგორ მისჩერებოდა კაცის ნაცნობ ნაკვთებს, აგონდებოდა, როგორ ოდნავ გაახილა მან თვალი, რაღაც წაიჩურჩულა და გაჩუმდა...

ახლა აკბარას გარდასული ცხოვრება სიზმრად ელანდება, დაუბრუნებელ სიზმრად, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, იმედი, არ უქრებოდა, გულში უბეუტავდა: ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მისი ნაბოლარა ლეკვები ოდესმე გამოჩნდებოდნენ. ამიტომაც მიიპარებოდა ღამღამობით ბოსტონის საზამთრო სადგომთან, მაგრამ უკვე აღარ ყმუოდა გულგამგმირავად, ჩვეულებრივად და მრისხანედ, მხოლოდ შორიდან აყურადებდა: იქნებ უცებ ქარს წამოზრდილი ლეკვების წკმუტუნი ან მათი ტკბილი, ნაცნობი სუნი მოჰყვესო... თუკი შეიძლებოდა ასეთი სასწაული მომხდარიყო! ო, როგორ გაიჭრებოდა აკბარა თავის საყვარელ ლეკვებისკენ, არ შეუშინდებოდა არც ადამიანებს, არც ძაღლებს, ტყვეობიდან გამოიხსნიდა, წამოიყვანდა თავის შვილებს, ყველანი ფრთებგამოსხმულებივით გაქროლდებოდნენ სადღაც სხვა მხარეს და იქ მგლების შესაფერის თავისუფალ, მკაცრ ცხოვრებას დაიწყებდნენ.

ბოსტონს კი ამ დღეებში თავსაყრელი აბეზარი საქმეები მოსვენებას არ აძლევდა — ჯერ ხომ უამრავ საზრუნავს უჩენდა გადაბარგება, ახლა კიდევ სულელური სამსახურებრივი საქმეები გამოუტყვრა. კოჩკორბაევმა ბოსტონ ურკუნჩიევს შეპირებისამებრ ზემდგომ ინსტანციებში უჩივლა. იქიდან კომისია ჩამოვიდა მტყუან-მართლის გასარკვევად, რომლის წევრები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ. ზოგი მოითხოვდა, მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევი აუცილებლად უნდა გაირიცხოს პარტიიდანო, ვინაიდან პარტორგი შეურაცხყო და ამით მორალური ზიანი მიაყენა თვით პარტიასო. სხვების აზრით, ეს არ შეიძლებოდა, რადგან მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევი საქმეზე ლაპარაკობდა და მისი კრიტიკული გამოსვლის მიზანი შრომის ნაყოფიერების გაზრდა იყო. კომისიამ ბაზარბაი ნოიგუტოვიც გამოიძახა. მას წერილობითი ახსნა-განმარტება დააწერინეს მგლის ლეკვების შესახებ, რომელთა ბუნაგში დაბრუნებას ითხოვდა ვითომდა ბოსტონ ურკუნჩიევი...

ბოსტონს ბოლო ორ გამოძახებაზე ყური არ გაუბარტყუნებია, კომისიაში არ გამოცხადებულა, შეუთვალა, საზაფხულოდ საქონელი

მთაში უნდა ავრეკო და ოჯახითაც გადავიდე, დრო აღარ ითმენს, ამიტომ საქმე უჩემოდ გაარკვიეთ, როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ, თანახმა ვარო. ამით ერთობ გაახარა კოჩკორბაევი, რომელსაც ბოსტონის ასეთი საქციელი ძალიანაც აძლევდა ხელს.

მეცხვარეს სხვა გზა არც ჰქონდა. საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გადარეკვა უკვე დაიწყო, გადარეკვის დაგვიანების უფლებას კი ბოსტონი თავის თავს არასდროს მისცემდა. ბოლო წლებში საქონელს ერთი დღით ადრე ფეხით მირეკავდნენ, შემდეგ მიჰქონდათ გადასატანი საცხოვრებელი და მთელი საოჯახო ბარგი-ბარხანა იმ ადგილამდე, სანამდეც მანქანებს შეეძლოთ მისვლა, ხოლო იქიდან ყველაფერს მამაპაპურად, ცხენებით ეზიდებოდნენ. უნდა ითქვას, ეს მწყემსებს ძალიან უმსუბუქებდა საქმეს და, რაც მთავარია, აჩქარებდა საქონლის გადარეკვას. ბოსტონმაც ჯერ საქონელი გარეკა საზაფხულო საძოვრებისაკენ, ფარას თავისი დამხმარენი მიუჩინა და ღამით უკან დაბრუნდა, რათა მეორე დღეს მანქანაზე ოჯახი და საოჯახო ხარახურა მოეთავსებინა და შემოდგომამდე მთებში ყოფილიყო.

და დადგა ის დღე...

მაგრამ მას წინ უსწრებდა ღამე, როცა აკბარა ძველ ბუნაგში დაბრუნდა, ტაშჩაინარის დაღუპვის შემდეგ პირველად. მარტოსული ძუ მგელი კლდის გადმონაშვერს ქვეშ მოთავსებულ ბუნაგს აქამდე არ ეკარებოდა. იცოდა, რომ ცარიელი იყო და იქ არავინ ელოდა, მაგრამ სულგატანჯულს ერთხელ მაინც მოუნდა უცებ გაერბინა ნაცნობი გზა, თავისი ბილიკებით სწრაფად შემძვრალიყო ბუნაგში — ერთიც ვნახოთ და შიგ შვილები დამხვდესო. ვეღარ გაუძლო ცდუნებას, და თავი მოიტყუა.

აკბარა გიჟივით გარბოდა უგზოუკვლოდ — წყალზე, ქვებზე, საზაფხულო სადგომებზე მოკიანთე ღამეული კოცონების, გაავებული ძაღლების შორიახლო, უკან კი თოფების გრიალი მისდევდა...

ასე გარბოდა მარტოსული და გონდაკარგული მაღლა ცაში გამოკიდული მთვარის ქვეშ, მთა-მთა... და როცა მიირბინა ბუნაგთან, რომელიც ახალ ბალახს და კოწახურის ბუჩქებს ისე დაეფარა, ვერც კი იცნობდი, თავის დიდი ხნის წინათ დაობლებულ, მივიწყებულ საცხოვრისში შესვლა ვერ გაბედა... არც იმის ძალა შესწევდა, თავს მორეოდა, აქაურობას გასცლოდა... და კვლავ მიმართა მგლების ქალღმერთს ბიური-ანას, და დიდხანს ტიროდა — წკმუტუნებდა, ყმუოდა, — დიდხანს შესჩიოდა თავის ბედკრულობაზე და შესთხოვდა თან წაეყვანა მთვარეზე, იქ, სადაც ადამიანები არ იყვნენ...

ბოსტონი იმ ღამით გზაში იყო. საქონლის გადარეკვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა საზამთრო სადგომში. რა თქმა უნდა, შეეძლო გათენებას დალოდებოდა და შემდეგ დადგომოდა გზას, მაგრამ, მაშინ

სადგომში საღამოს მივიდოდა, იძულებული გახდებოდა, მთელი დღე დაეკარგა, მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო ბარგი-ბარხანა მანქანაზე და ფარის კვალს მიჰყოლოდა. ამდენ დროს კი როგორ დაკარგავდა! თანაც სადგომში აღარავინ იყო გარდა კენჯეშისა, გულიუმკანისა და ერთი ოჯახისა, რომლებიც საზაფხულო საძოვრებზე თავიანთ წასვლის ჯერს ელოდნენ, ხოლო კაცები საერთოდ არ ჭაჭანებდნენ.

ამიტომ მოიჩქაროდა ბოსტონი იმ ღამით. კიდევ კარგი, დონკულიუკი ჩვეულებისამებრ ყოჩაღად და მტკიცედ მიაბიჯებდა. კარგად მოდიოდა და გულს ახარებდა. სწრაფი სიარული იცოდა დონკულიუკმა. მთვარის შუქზე ყურები და ფაფარი უბზინავდა დონურ იაბოს მკვრივ გავაზე, როგორც ღამით წყალზე ჭავლი, ისე უციაგებდა კუნთები..არც ცხელოდა, არც ციოდა, ჰაერში ბალახის სუნი ტრიალებდა. ბოსტონს ზურგზე თოფი ეკიდა — ვინ იცის, რას შეიძლება გადაეყაროს კაცი მთაში. შინ რომ მივა, მაშინ კი თოფს თავის ადგილს მიუჩენს და ხუთვაზნიანი შაშხანა ლურსმანზე იქნება ჩამოკიდებული.

ბოსტონი იმედოვნებდა სადგომში განთიადზე, დილის ხუთ საათზე ძივალო, თითქოს ხელსაც არაფერი უშლიდა. ამ ღამით კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რარიგ უყვარდა ცოლ-შვილი: ერთი დღე არ ენახა ისინი და უკვე მოიწყინა, შინისკენ მიიჩქაროდა. გზად ყველაზე მეტად ის აღელვებდა, აკბარას ისევ არ დაეწყო ხეტიალი ბინის სიახლოვეს და შემზარავი ყმუილი არ აეტეხა, რითაც შიშის ზარს დასცემდა გულიუმკანს და კენჯეშს. თავს იმითღა იმშვიდებდა, რომ ხვადი მგლის მოკვლის შემდეგ ძუ აღარ მოდიოდა — ყოველ შემთხვევაში მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

იმ ღამით ტყუილა შფოთავდა ბოსტონი.

იმ ღამით აკბარა ბაშათის ხეობაში თავის ძველ ბუნაგთან ბიურიანას შესჩიოდა. ბოსტონის ბინასთან რომც გამოჩენილიყო, არავის შეაწუხებდა — ტაშჩაინარის დაღუპვის შემდეგ მხოლოდღა მწუხარედ აყურადებდა სადგომიდან გამომავალ ხმებს...

და აი, დადგა ის დღე...

ბოსტონმა იმ დილით მაშინ გაიღვიძა, როცა მზეს უკვე არემარე გაეჩახჩახებინა: იგი განთიადზე დაბრუნდა და მხოლოდ ოთხი საათი იძინა. მეტსაც იძინებდა, მაგრამ კენჯეშმა გააღვიძა. ბიჭი რაღაცას ეტიტინებოდა და ლოყებზე მოურიდებლად უპარტყუნებდა ხელებს. ბოსტონმა თვალი გაახილა, კენჯეში ღიმილით ჩაიხუტა და მისდამი საკვირველი სინაზის გრძნობა განსაკუთრებული ძალით დაეუფლა. გულს უხარებდა, რომ კენჯეში, მისი სისხლი და ხორცი ჯანმრთელი და ცქვიტი ბიჭი იზრდებოდა, ჯერ ორი წელიც არ შესრულებოდა და მეტად საზრიანი იყო, უყვარდა მშობლები, სახითა და გუნებით მამას ჰგავდა, მხოლოდ შავი მოცხარივით მოელვარე, წყლიანი თვალები

ჰქონდა დედისა. ყველაფრად კარგი ბიჭი ჩანდა და მის შემხედვარე ბოსტონს ეამაყებოდა, რომ ასეთი საუცხოო ვაჟიშვილი ჰყავდა.

- რა იყო, შვილიკო? აედგე? აბა, ხელი ჩამავლე და წამომწიე, წამომწიე, აი ასე! ოჰო, რა ღონიერი ყოფილხარ! აბა, ახლა კისერზე მომეხვიე!

გულიუმკანმა ამასობაში ქმრის საყვარელი ჩაი, მოხალული ფქვილით, რძითა და მარილით შეზავებული მუქი ყალმუხური ჩაი მოადუღა და რადგანაც არათუ ფარები, ძაღლებიც კი შორს მთებში იყვნენ, ურკუნჩიეებს შეეძლოთ ახლა, წელიწადში თუნდაც ერთხელ, ჩაი მშვიდად, სიწყნარესა და სიმყუდროვეში დაელიათ. ცოტა ვინმეს თუ ესმის, ასეთი დასვენების წუთები რა იშვიათად გამოუჩნდება მეცხვარის ოჯახს. საქონელს ხომ განუწყვეტლივ, მთელი წელიწადი, მთელი დღე-ღამეები ყურადღება სჭირდება, ხოლო როცა ფარაში ლამის ათასი სული ცხვარია, ნამატიანად კი ათასხუთასი, რომელ თავისუფალ დილაზე შეუძლია იოცნებოს მეცხვარის ოჯახმა? ახლა ბოსტონი და გულიუმკანი ისხდნენ და სიმშვიდით ტკბებოდნენ, შემდეგ მზადებას უნდა შესდგომოდნენ - აკი მთელი ზაფხული მიემგზავრებოდნენ. მანქანა შუადღით მოვიდოდა და ამ დროისთვის საოჯახო ბარგი-ბარხანა გამზადებული უნდა ჰქონოდათ.

- ოჰ, პირდაპირ არ მჯერა, - ამბობდა გულიუმკანი, - რა კარგია, რა სიამეა, რა სიწყნარეა! შენი არ ვიცი და მე აქედან წასვლა არ მინდა, მოდი, ნურსად ნუ წავალთ. კენჯეშ, უთხარი მამიკოს, არსად წასვლა არ გვინდა-თქო.

კენჯეში რაღაცას ტიტინებდა, ხან მამასთან ჯდებოდა, ხან დედასთან, ხოლო ბოსტონი გულკეთილად ეთანხმებოდა ცოლს:

- აბა რა? რატომაც არ უნდა გვეცხოვრა აქ მთელი ზაფხული?

- შენც ამბობ, რაღა, - იცინოდა გულიუმკანი. - ერთ დღეში ისე მოკურცხლავ შენი ფარისკენ, დონკულიუკითაც ვერავინ დაგეწევა!

- სწორია, დონკულიუკითაც ვერ დამეწევიან! - კვერს უკრავდა კმაყოფილი ბოსტონი და ხეშეშ ულვაშზე ხელს ისვამდა. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ბედნიერი იყო.

ასე სვამდნენ ჩაის მრგვალ მაგიდასთან იატაკზე დამსხდარი ბოსტონი და გულიუმკანი, კენჯეში კი იქვე დარბოდა.

მშობლებს უნდოდათ მისთვის ეჭმიათ, მაგრამ ბიჭუნა მთლად გაცელქდა იმ დილას, დარბოდა, ანცობდა, ვერაფრით ვერ სვამდნენ საჭმელად. კარები დაღებული ჰქონდათ, რადგან ჩაკეტილ სახლში სიცხე დგებოდა, და კენჯეში წამდაუწუმ დაუბრკოლებლად მიტუნტულებდა გარეთ, დაკუნკულებდა ეზოში, თვალს ადევნებდა კრუხის გვერდით მოფუსფუსე პატარა, ცქვიტ, ფუმფულა წიწილებს. კრუხი მათი მეზობლის, ღამის მწყემს კუდუმრატისა იყო. თვითონ კუდუმრატი უკვე საზაფხულო საძოვრებზე ედგა ცხვარს, ხოლო მისი ცოლი ასილგული ურკუნჩიევებთან ერთად მანქანით აპირებდა იქ წასვლას. ასილგულმა ურკუნჩიევებთან შეიარა, უთხრა მათ, ყველაფერი გავამზადე, კრუხ-წიწილაღა დამრჩა, კალათში ჩასასმელი და ამასაც მოვასწრებ, როცა მანქანა მოვა, მანამდე კი თეთრეულს გავრეცხავ და გავაშრობ.

ასე გადიოდა ის დილა. მზე უკვე გვარიანად აცხუნებდა. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ბოსტონი და გულიუმკანი ბოხჩებს კრავდნენ, ალაგებდნენ ჭურჭლეულს. ასილგული რეცხავდა - წამდაუწუმ ისმოდა მის მიერ კარიდან გადაღვრილი საპნიანი წყლის ჩქაფუნი. პატარა კენჯეში კი თავის ნებაზე იყო მიშვებული, ხან სახლიდან გარბოდა, ხან ისევ შემორბოდა, უფრო წიწილებთან ტრიალებდა.

მზრუნველმა კრუხმა ამასობაში წიწილები სახლის მოშორებით მიწის საქექად წაიყვანა. ბიჭი წიწილებს გაჰყვა და ისინი შეუმჩნეველად აღმოჩნდნენ ფარდულის ყრუ კედლის მიღმა. აქ ოროვანდებსა და ღოლოებს შორის ზაფხულის შესაგუბანი სიმშვიდე და სიწყნარე იდგა. წიწილები წივწივებდნენ, ნაგავში იქექებოდნენ, კენჯეში კი კუჭკუჭებდა და ელაპარაკებოდა მათ, სულ ცდილობდა მოფერებოდა. კრუხს კენჯეშის არ ეშინოდა, მაგრამ როცა მახლობლად უხმაუროდ გამოჩნდა დიდი რუხი ძაღლი, შეშფოთდა, უკმაყოფილოდ აკრიახდა და წიწილების შორს წაყვანა არჩია. კენჯეში კი დიდმა რუხმა, საოცრად ლურჯთვალა ძაღლმა სულაც ვერ შეაშინა. ძაღლი მორჩილად უყურებდა ბიჭს, მეგობრულად არხევდა კუდს. ძაღლი ძუ მგელი აკბარა იყო, რომელიც უკვე კარგა ხანი დაეხეტებოდა საზამთრო სადგომის შორიახლო.

ძუ მგელმა იმიტომ გადაწყვიტა ადამიანის საცხოვრებელთან ასე ახლოს მისვლა, რომ წუხანდლიდან იმ მიდამოზე არავინ ჭაჭანებდა, არც ადამიანების ხმა ისმოდა, არც ძაღლე-

ბისა. დაუოკებელი ღელვერი დარდით, მიმქრალი იმედით მოცულმა ფრთხილად მოიარა ყველა ფარეხი, ყველა ბაგა, მაგრამ ვერსად ნახა თავისი დაკარგული ლეკვები და ახლოს მივიდა ადამიანის საცხოვრებელთან. ჰოდა, აი, ჰატარას წინ იდგა. და გაუგებარია, რანაირად მიხვდა, რომ ეს ლეკვი იყო, მისივე ლეკვებისნაირი, ოდონდ ადამიანისა. და როცა ბიჭმა ხელი გაიწვდინა, რათა კეთილ ძაღლს თავზე მოეფერებოდა, აკბარას დარდ-ვარამისგან მოქანცული გული აუფანცქალდა, მიუახლოვდა ბიჭს. ლოყა გაულოკა. ბიჭი მისმა მოფერებამ გაახარა, წუნარად გაუცინა, კისერზე ხელები მოხვია, აკბარაც მთლად მოეშვა, მას ფეხებთან გაუწვა, თამაში დაუწყო - მოუნდა ბიჭს მისი დვრილები მოეწოვა, მაგრამ ბიჭი ამის მაგივრად ზურგზე მოაჯდა. შემდეგ ძირს ჩამოხტა და მოუხმო. „ეიურ! ეიურ!"[1] - უყვიროდა და ბედნიერად იცინოდა, მაგრამ აკბარამ გაყოლა ვერ გაბედა, იცოდა, რომ იქ ადამიანები იყვნენ. ამიტომ ლურჯ თვალებში სევდაჩამდგარი იმავე ადგილიდან უცქეროდა ბიჭს. ბიჭი კვლავ მივიდა მასთან და თავზე ხელის გადასმა დაუწყო, აკბარა კი ლოკავდა და კენჯეშს ეს ძალიან მოსწონდა. ძუ მგელი ახლა ბიჭს აფრქვევდა მთელ თავის დაგროვილ სინაზეს, ისუნთქავდა მის ბალღურ სუნს. რა კარგი იქნებოდა ეს ადამიანის ლეკვი კლდის შვერილის ქვეშ ჩემს ბუნაგში ცხოვრობდესო, - ფიქრობდა იგი. ბიჭისთვის კისერი რომ არ გაეჭრა, ფრთხილად ჩაავლო კბილები ჭურთუკის საყელოში და მსწრაფლ მოიგდო ქეჩოზე - მგლები ასე იტაცებენ ფარიდან ბატკნებს.

ბიჭმა გულგამგმირავად, იჩქითად იყვირა დაჭრილი კურდღელივით. ფარდულისკენ თეთრეულის გასაკიდად მომავალმა მეზობელმა ასილგელმა კენჯეშის შეყვირებაზე ნაბიჯს მოუჩქარა, კუთხის უკან შეიხედა, თეთრეული მიწაზე დაყარა, ბოსტონის კარისკენ გაქანდა.

- მგელი! მგელმა ბავშვი მოიტაცა! ჩქარა, ჩქარა!

თავგზააბნეულმა ბოსტონმა კედლიდან თოფი ჩამოგლიჯა და გარეთ გავარდა, უკან გულიუმკანი გაედევნა.

- აქეთ! აქეთ! აგერ კენჯეში! აგერ ძუ მგელი მიათრევს! - გაჰკიოდა მეზობლის ქალი და შეძრწუნებული თავში იცემდა ხელებს.

---

[1] ეიურ - წავიდეთ.

ბოსტონმა ახლა თვითონაც დაინახა ძუ მგელი. აკბარა მიძუნძულებდა და საზარლად აბღავლებულ ბავშვს მიარბენინებდა.

- შეჩერდი! შეჩერდი, აკბარა გეუბნები, შეჩერდი-მეთქი! - მთელი ხმით იყვირა ბოსტონმა და უკან გაედევნა მგელს.

აკბარამ მოკურცხლა. ბოსტონი უკან მისდევდა და არაბუნებრივი ხმით მისძახოდა:

- დასტოვე, აკბარა! ჩემი შვილი დასტოვე! შენს ჯილაგს აღარასოდეს ვახლებ ხელს! დასტოვე, დააგდე ბავშვი! აკბარა! მისმინე, აკბარა!

ბოსტონს თითქოს დააკიწყდა, რომ მგლისთვის მისი სიტყვები არაფერს ნიშნავდა. ყვირილმა და დევნამ მგელი უფრო შეაშინა და სისწრაფეს მოუმატა.

- აკბარა! დასტოვე შვილი, აკბარა! - ივედრებოდა ბოსტონი.

ოდნავ უკან საშინელი ღრიალით და გოდებით მორბოდნენ გულიუმკანი და ასილგული.

- ესროლე! ჩქარა ესროლე! - ყვიროდა გულიუმკანი, რომელმაც არ იცოდა, რომ ბოსტონი მანამ ვერ გაისროდა თოფს, სანამ მგელი ბავშვს მიარბენინებდა.

ყვირილმა და დევნამ აკბარა უფრო შეაშფოთა, მგლური ინსტინქტი უფრო აღუგზნო და გადაწყვიტა ნადავლი არ დაეგდო. მას ბიჭისთვის მაგრად ჰქონდა კბილები ჩაჭერილი ქურთუკის საყელოზე, ჯიუტად გარბოდა წინ, შორს და შორს მიიწევდა მთებისკენ. როცა უკან თოფმა იქუხა და ტყვიამ თავზე გადაუსტვინა, ნადავლი მაშინაც არ გადაუგდია. ბიჭი კი ტიროდა, ეძახდა მამას, ეძახდა დედას. ბოსტონმაც ისე ისროლა ჰაერში, აღარ იცოდა, კიდევ რით შეეშინებინა ძუ მგელი, მაგრამ აკბარა, არც ამ სროლას შეუშინებია, ქვების ნაშვავისკენ მიისწრაფოდა, იქ ადვილად არევდა კვალს და თვალს მიეფარებოდა. ბოსტონს სასოწარკვეთილება დაეუფლა: როგორ ეხსნა შვილი? რა ეღონა? რისთვის დაატყდა თავს ეს საზარელი სასჯელი? რა ცოდვებისთვის?

- დააგდე ბიჭი, აკბარა! დააგდე, გთხოვ, დაგვიტოვე ჩვენი შვილი! - გახვითქული ცხენივით აქშინებული და ხმაჩახრინწული ევედრებოდა ბოსტონი მომტაცებელს.

და მესამეჯერ ისროლა ჰაერში, და ტყვიამ კელავ გადაუსტვინა მხეცს თავზე. ქვების ნაშვავი სულ უფრო ახლოვდებოდა. მჭიდეში ახლა ორი ვაზნაღა იდო. ბოსტონი

გრძნობდა, რომ წუთიც და უკანასკნელ მარჯვე შემოხვევას ხელიდან გაუშვებდა. ამიტომ გადაწყვიტა ძუ მგლისთვის ესროლა. სირბილშიეე ჩაიჩოქა და მგლის ნიშანში ამოღება დაიწყო: ფეხებში უმიზნებდა, მხოლოდ ფეხებში, მაგრამ ყერაფრით ამოიღო ნიშანში. მკერდი საბერველივით ებერებოდა, ხელები უკანკალებდა, მის ნებას აღარ ემორჩილებოდა. და მაინც შეეცადა ძალა მოეკრიბა, სამიზნეს მოძაგძაგე ჭრილში ხედაედა, როგორ ხტოდა მგელი, თითქოს ბობოქარ ტალღებზე მიცურავსო, დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. ააცდინა, ტყვიამ მგლის გვერდით მიწა აამტვერა და თავქვე გაიარა. ბოსტონმა თოფი ხელახლა გატენა, უკანასკნელი ტყვიაღა მისცა პირში, კვლავ დაუმიზნა აკბარას და არც გაუგონია საკუთარი გასროლის ხმა, მხოლოდ ის დაინახა, როგორ შეხტა ძუ მგელი და გვერდზე გადავარდა.

ბოსტონმა შაშხანა მხარზე მოიგდო და სიზმარეულიეით გაიქცა დაცემული აკბარასკენ. ეჩვენებოდა, რომ ისე ნელა და დიდხანს გარბოდა, ცარიელ სივრცეში მიცურაედა...

და აჰა, მიირბინა აკბარასთან, ხელ-ფეხი ისე გაუციედა, თითქოს ყინავდა და ცხრად მოიკაკვა, დაბარბაცდა, უხმო ყვირილით დაიკრუნჩხა. აკბარა ჯერ კიდეე ცოცხალი იყო, გვერდით ეწვა მკერდგანგმირული, უსიცოცხლო ბიჭუნა.

ხოლო სამყარო, რომელსაც ბგერები გაქრობოდა, მდუმარებდა. სამყარო გაქრა, აღარ არსებობდა. მის ადგილას მხოლოდ ბობოქარი ცეცხლოვანი წყვდიადი იდგა. ბოსტონი თვალებს არ უჯერებდა. ალისფერი სისხლით შეღებილი შვილის სხეულისკენ დაიხარა, ნელა აიყვანა მიწიდან, მკერდზე მიიკრა, უკან დაიხია, - რატომღაც სულთმობრძავი ძუ მგლის ლურჯმა თვალებმა გააკვირვა, - შემობრუნდა და მწუხარებისგან დამუნჯებული გაემართა მისკენ გამოქცეული ქალებისკენ.

ბოსტონს მოეჩვენა, თითქოს ცოლი თვალდათვალ იხრდებოდა და მისკენ უკვე გოლიათი ქალი მოაბიჯებდა, რომელსაც ვეება, დეფორმირებული სახე ჰქონდა და მისკენ ვეება, დეფორმირებული ხელები გამოეწვდინა.

ბოსტონი ბრმასავით მიეხეტებოდა და გულში იკრავდა თავისი ხელით მოკლულ შვილს. მას კიეილით, გოდებით მიჰყვებოდა გულიუმკანი, რომლისთვისაც ხელი მოეკიდა მოთქმით მოტირალ მეზობლის ქალს.

მწუხარებით დაყრუებულ ბოსტონს არაფერი ესმოდა, მაგრამ უცებ ჩანჩქერის გრიალივით ყურთასმენის წამღებად დაატყდა თავს რეალური სამყაროს ბგერები და მიხვდა, რაც მოხდა. ცისკენ აღაპყრო ხელები და შემზარავად შეჰბღავლა:

- რისთვის, რისთვის დამსაჯე?

სახლში შვილის ნეშტი მანქანაზე დასადებად გამზადებულ შვილისავე საწოლში ჩააწვინა. გულიუმკანი სასთუმალს მიეკრა და ისე აყმუვლდა, როგორც აკბარა ყმუოდა ღამღამობით... მის გვერდით იატაკზე დაეშვა ასილგული...

ბოსტონი გარეთ გავიდა, თან თოფი გაიყოლია. ერთი მჭიდე სავაზნე კოლოფში ჩადგა, მეორე ჯიბეში ჩაიდო, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო. შემდეგ დონკულიუკს უნაგირი დაადგა, მსწრაფლ მოახტა და წავიდა, არც ცოლისთვის უთქვამს რაიმე, არც მეზობლისთვის...

სადგომს რომ ცოტათი გასცდა, დონკულიუკი ნებაზე მიუშვა, და დონური ზერდაგი იმავე გზით გაჭენდა, რომლითაც ზამთრის დამლევს ტამანის საზამთრო სადგომისკენ მიქროდა.

ის, ვისთვისაც უნდა მიესწრო ბოსტონს და ვისაც მიწისქვეშაც მოძებნიდა უსათუოდ, ადგილზე დახვდა.

იმ დღეს ბაზარბაი ნოიგუტოვის ეზოში მანქანას ტვირთავდნენ - საოჯახო ბარგი-ბარხანა საზაფხულო საძოვრებზე უნდა გაეგზავნათ. საქმით გართულ ხალხს არ შეუმჩნევია, ფარეხის უკანიდან როგორ გამოჩნდა ბოსტონი, ჩამოქვეითდა, თოფი ჩამოიხსნა, გატენა, ჩახმახი შეაყენა და ისევ მხარზე ჩამოიკიდა.

მაშინღა შეამჩნიეს, როცა ახლოს მივიდა. ბაზარბაი მანქანიდან ჩამოხტა და გაკვირვებით მიაშტერდა.

- რაზე მოხვედი? - ჰკითხა ბოსტონს. იგი კეფას იქექავდა და ბოსტონის დანახშირებული მუგუზალივით შავ სახეს აშტერდებოდა. - რა გინდა აქ? ასე რად მიყურებ? - აფორიაქდა რაღაც ავის წინათგრძნობით შეპყრობილი ბაზარბაი. - ისევ მგლის ლეკვების თაობაზე მოხვედი? საქმე შემოგლევია? მითხრეს და მეც დავწერე.

- მიმიფურთხებია, რაც დაწერე, - პირქუშად მიახალა ბოსტონმა, იგი გამგმირავად უცქეროდა ბაზარბაის. - სამაგისოდ არ მცალია. მინდა გითხრა, რომ ამ ქვეყნად ცხოვრების ღირსი არა ხარ და ჩემი ხელით გაგაფრთხობინებ სულს!

ბაზარბაიმ თავის დაფარვაც ვერ მოასწრო, ბოსტონმა ისე შემართა თოფი და თითქმის დაუმიზნებლად ესროლა. ბაზარბაი დაბარბაცდა, უნდოდა, მანქანას მოფარებოდა, მაგრამ მეორე ტყვია დაეწია, ზურგში მოხვდა, სამჯერ დაიგრიხა, თავი მანქანის ძარას მიაჯახა, დავარდა და კრუნჩხვით მოფხოჭნა მიწა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, თაყდაპირველად არავინ განძრეულა. და მხოლოდ მაშინ, როცა უბედური კოკ ტურსუნი კიეილით დაემხო ქმრის ნეშტს, ყველამ ერთად იყვირა და მოკლულისკენ გაცვივდნენ.

- ადგილიდან არ დაიძრათ! - ხმამაღლა ბრძანა ბოსტონმა. იგი აქეთ-იქით იხედებოდა და ყველას სათითაოდ უღერებდა თოფის ლულას. - არ დაიძრათ! - დაემუქრა მათ. - მე თვითონ ახლავე წავალ იქ, სადაც საჭიროა. ამიტომაც გაფრთხილებთ, ადგილიდან არ დაიძრათ! იცოდეთ, ვაზნები სამყოფი მაქვს! - ბოსტონმა ჯიბეზე მიიტყაპუნა ხელი.

ყველა მეხნაკრავივით გაქვავდა, ვერავის ვერაფერი გაეგო, ვერაფერს ამბობდა, თითქოს მეტყველების უნარი წაერთვათო. მხოლოდ უბედური კოკ ტურსუნი დასტიროდა ისევ საძულველ ქმარს:

- ხომ ვიცოდი, რომ ძაღლივით ჩაღძუვდებოდი, რადგან ძაღლი იყავი თვითონაც! მეც მომკალი, კაცის მკვლელო! - ეცა საცოდავი და უშნო კოკ ტურსუნი ბოსტონს. - მეც მომკალი ძაღლივით. ისედაც ჩემს დღეში კარგი არაფერი მინახავს. რა ოხრად მინდა ასეთი სიცოცხლე!

კოკ ტურსუნმა სცადა კიდევ ეყვირა: ხომ ვეუბნებოდი ბაზარბაის, მგლის ლეკვები არ უნდა მოგეტაცა, უბედურებას გადაგყრის-მეთქი, ეს შეჩვენებული არაფერს ეპუებოდა, ნადირი რომ ნადირია, ისიც გაყიდა და აღებულ ფულს ლოთობაში ანიავებდაო, მაგრამ ორმა მწყემსმა პირზე ხელი დააფარა და განზე გაიყვანა.

ბოსტონმა კი ირგვლივ მყოფთ მრისხანედ მოავლო თვალი და ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად უთხრა:

- კმარა. ახლა მე თვითონ წავალ იქ, სადაც საჭიროა, თვითონ გამოვცხადდები. გიმეორებთ - თვითონ! თქვენ კი ფეხი არ მოიცვალოთ. გაიგეთ?

სიტყვა არავის დასცდენია. მომხდარი ამბით შეძრწუნებულნი კრინტს არ ძრავდნენ. მწყემსების მაცქერალი ბოსტონი უცბად მიხვდა, რომ ამ წუთიდან რაღაც ზღვარს გადააბიჯა და თავისი თავი დანარჩენთაგან გამოაცალკევა:

მას ხომ გარს ერტყნენ ახლობელი ადამიანები, რომლებთან ერთადაც ყოველდღე, წლიდან წლამდე მოიპოვებდა არსობის პურს. ბოსტონი იცნობდა ყოველ მათგანს და ყოველი მათგანიც იცნობდა მას, ყოველ მათგანთან თავისი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ახლა მათი სახეები სიუცხოვეს გამოხატავდნენ, და ბოსტონმა იგრძნო, რომ ამიერიდან სამუდამოდ მოკვეთილი იყო მათგან, თითქოსდა არასდროს არაფერი აკავშირებდა ამ ადამიანებთან, თითქოსდა მკვდრეთით აღსდგა და ამის გამო შიშის ზარს ჰგვრიდა მათ...

ბოსტონმა ცხენს სადავეში ჩაავლო ხელი და იქაურობას გაშორდა. უკან მოუხედავად მიაბიჯებდა, ტბისპირეთისკენ მიდიოდა, რათა იქ ხელისუფლებას ჩაბარებოდა. თავჩაქინდრული მიაბიჯებდა გზაზე, უკან კი კოჭლობით, აღვირის ღრაჭუნით მიჰყვებოდა ერთგული დონკულიუკი.

ეს იყო ცხოვრების დასასრული...

- აჰა, ქვეყნიერების დასასრული, - ხმამაღლა თქვა ბოსტონმა, და იგი ჩაწვდა საშინელ ჭეშმარიტებას: აქამდე მთელი სამყარო თავად იყო და ამ სამყაროს ბოლო მოეღო. თავად იყო ცაც, მიწაც, მთებიც, ძუ მგელი აკბარაც - ყოველივე არსებულის დიდი დედა, ალა-მონგიუს უღელტეხილზე ყინულებში სამუდამოდ ჩარჩენილი ერნაზარიც, თავისი უკანასკნელი ჰიპოსტასი - თავისივე ხელით გულგანგმირული ყრმა კენჯეშიც, ბაზარბაიც, თავისივე არსებაში უარყოფილი და მოკვდინებული, ყველაფერი, რაც ნახა და რაც განიცადა სიცოცხლეში - ეს ყოველივე მისი სამყარო იყო, ცოცხლობდა მასში და მისთვის; ახლა კი რაღაა; მართალია, ყველაფერი შემდგომაც იარსებებს, როგორც არსებობდა ნიადაგ, ოღონდ იარსებებს უიმისოდ, სხვა სამყარო იქნება, მისი სამყარო კი, სამყარო, რომელიც აღარ განმეორდება, აღარ აღსდგება, დაკარგულია და არავისში და არაფერში არ აღორძინდება. სწორედ ეს იყო ბოსტონის დიდი კატასტროფა, სწორედ ეს იყო მისი ქვეყნიერების დასასრული...

ტბის პირისკენ მიმავალ უდაბურ გზაზე ბოსტონი უცებ შემობრუნდა, ცხენს კისერზე მოეხვია, ზედ ჩამოეკიდა და ხმამაღლა, უსასოოდ აზლუქუნდა.

- ო, დონკულიუკ, შენ ერთადეროს არ გესმის, რა ჩავიდინე! - ტიროდა ბოსტონი და მთელი სხეული უცახცახებდა, - რა ვქნა? შვილი საკუთარი ხელით მოვკალი, ისე მივდივარ, არც დამიმარხავს და საყვარელ ქალსაც მარტო ვტოვებ.

შემდეგ ავშარის საბელი და სადაეე დონკულიუკს კისერზე შემოახვია. უხანგები ენაგირის ტახტაზე მიამაგრა, რომ ცხენს სიარულისას ფერდებზე არ მიხეთქებოდა, და გამოემშვიდობა:

- წადი, წადი შინ, საითაც გინდა! ამის მეტად ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს!

ბოსტონმა ცხენს გავაზე დაჭრა ხელისგული, დაუტატანა და თავისუფლებით გაკვირვებული დონკულიუკი სადგომისკენ გაემართა.

ბოსტონმა კი თავისი გზა განაგრძო...

ხოლო ლურჯი ისიქ-ქოლი უფრო და უფრო ახლოვდებოდა და ბოსტონს ენდოდა შენივთებოდა მას, გამქრალიყო - ენდოდა და არც ენდოდა სიცოცხლე, აი, ამ აქაფებული ტალღებივით, აი, ასე, ტალღა რომ ბორგავს, ქრება და ისევ იბადება თავისივე წიაღიდან...

ექვსი, მეშვიდე, და კიდევ ორნი

(საბა სულხანიშვილის რვეულიდან)

2003 წლის 7 სექტემბერს „სილუეტში“ (ტელეკომპანია „იბერია“) მწერალმა მაკა ჯოხაძემ კიდევ ერთ გამრჯე, ჩუმად მოფუსფუსე კაცს შეგვახვედრა - აკაკი ბრეგაძეს, მთარგმნელსა და გამომცემელს, ხალხოსნებივით სოფელ-სოფელ სიარულსაც რომ არ ერიდება და იქ განათლების ლამპარი შეაქვს საბავშვო გაზეთ „ციცინათელასა“ თუ სხვა საყმაწვილო გამოცემების წყალობით.

საუბრისას სიტყვა კალისტრატე ცინცაძის მოგონებებზეც ჩამოვარდება, უპირველესად ბატონი აკაკის მონდომებით რომ ეზიარა მზის სინათლეს, და ჩინგიზ აიტმატოვის გახმაურებულ რომანზეც, რომლის სათაურსაც უფრო „საჯალათო კუნძად“ თარგმნიან, აკაკი ბრეგაძემ კი „საქონდაქრე“ ამჯობინა და წლების წინათ „საუნჯის“ ფურცლებზე გამოქვეყნების შემდეგ წიგნად განმეორება ვერა და ვერ მოახერხა.

ეს რომანი ბევრგვარი თვალსაზრისითაა საგულისხმო მკითხველისათვის, მაგრამ ჩვენთვის ერთ ეპიზოდს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ „საქონდაქრეში“ ქართული თემა შემოდის. ესაა ჩართული ნოველა, რაც ნიშანდობლივი იყო ადრეული რომანებისათვის, ახალ დროში კი მწერლები იშვიათად მიმართავენ და, აი, აიტმატოვმა ის ოდინდელი ხერხი გაიმეორა.

ჰყვება, როგორც სადღაც წაკითხულ ქართულ მოთხრობას, რომლის ავტორიც არ ახსოვს, სახელწოდება კი ეს ჰქონია: „ექვსი და მეშვიდე".

ჯერ კიდევ მაშინ, პირველად რომ გავეცანი ამ წიგნს, მივხვდი, ლიტერატურულ მისტიფიკაციასთან რომ მომიწია შეხვედრა.

ასეთი მოთხრობა არ არსებობს ქართულ სინამდვილეში, აიტმატოვი, ეტყობა, ზეპირ ნაამბობს ეყრდნობოდა და მხატვრულ ფორმაში თვითონ მოაქცია. არც ის ყოფილა ძნელი ამოსაცნობი, რომ ჩართული ნოველის გმირი გურამ ჯოხაძე სინამდვილეში ქაქუცა ჩოლოყაშვილი უნდა იყოს - ამბავი კი 1924 წლის ტრაგიკული დღეების ერთი ეპიზოდის გამოძახილია, ოღონდ საგრძნობლად სახეცვლილი.

თუ ვინმემ უამბო, შეუძლებელია ამ სახით ეამბნა, ამგვარი ფინალით, როგორც „ექვსი და მეშვიდე" მთავრდება: იღუპება გურამ ჯოხაძეც და მისი ხუთი თანამებრძოლიც, ვერ ახერხებენ საზღვარგარეთ გაღწევასა და იქ მიმოფანტვას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა შეფიცულებმა აკი საღსალამათად გააღწიეს საბჭოურ ციხედ გადაქცეულ ქვეყანას. მაგრამ მწერალი ისტორიკოსი არ არის, კვალდაკვალ რომ მიჰყვეს რეალურ ამბებს, მით უმეტეს, თუ გმირსაც სხვა სახელს არქმევს და იმ ისტორიულ მოვლენასაც. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, რომ ის მეთაური, ვინც გადაურჩა ტრაგიკულ დღეებს, მოთხრობაში გაიწიროს, თუკი მხატვრული ლოგიკა და ფინალური სცენის შთამბეჭდაობა მოითხოვს. არადა, სწორედ ფინალი და მისი მძაფრი დრამატიზმია ის, რაც ასე მღელვარებას იწვევს მკითხველისას და რაც ჩინგიზ აიტმატოვის შეთხზული უნდა იყოს.

- მოთხრობა უფრო ფაბულური იყო, ვიდრე ფსიქოლოგიური, უფრო რომანტიკული, მაგრამ ამ ამბის ფინალი დიდი ხნით დამამახსოვრდაო, - თვითონ ასე შეა-

ფასებს ამ მისტიფიცირებულ ნოველას, - ფინალი რატომ-ღაც ხიწვივით ჩამრჩა არსებაშიო.

სიუჟეტური ქარგა ისაა, რომ გურამ ჯოხაძის რაზმ-ში ჩეკისტია შეგზავნილი, ვისაც დავალებული აქვს ხელი შეუწყოს ამ რაზმის განადგურებას ტყვიამფრქ-ვევით, შემდეგ კი, როდესაც ტყვიამფრქვევის ცეცხლს თავს დააღწევს მეთაური და კიდევ ხუთი რაზმელი, ჩეკისტიც მათთანაა, როგორც ის მეშვიდე - გარეგნუ-ლად მათთან მყოფი, სინამდვილეში კი გამოცალკევე-ბული სულიერადაც და მრწამსითაც, ვინც დრო უნ-და იხელთოს და მუხანათურად ჩაჟლიტოს მეამბოხე-ნი.

მათ უკვე გადაწყვეტილი აქვთ სამშობლოს მიტო-ვება - ვის ირანში გასვლა და ვის თურქეთში, ოღონდ ისე არა სურთ ემიგრანტობა, თუ უკანასკნელად არ დალევენ და უკანასკნელად არ იმღერებენ ერთად ქართულ სიმღერებს.

მათ ხომ არაფერი მიაქვთ თან, მშობლიური მიწის ნაფხვენიც კი, ამიტომაც უნდა გამოემშვიდობონ პურ-საც, მარილსაც, ღვინოსაც, მიწასაც.

- სამშობლოს თან წაღება რომ შეიძლებოდეს ტომა-რასავით, მაშინ იგი ფეხის ფრჩხილადაც არ ეღირებო-და, - იტყვის გურამ ჯოხაძე და... სიმღერა კოცონი-ვით დაიგზნება.

მწერალი გულისშემძვრელად აღწერს ქართული სიმღერის შთამბეჭდაობასა და ძალას, და მეამბოხე-ნიც ვერა და ვერ მოიჯერებენ გულს, გადაწყვეტენ, ბოლო სიმღერა ვთქვათო, შემდეგ - კიდევ ერთი გამო-სამშვიდობებლადო, შემდეგ - კიდევ ერთიო...

ჩეკისტიც მათთან ერთად მღერის, მათსავით აყო-ლილი სიმღერის მომაჯადოებელ ხიბლს, ამასობაში დროს იხელთებს და, რაკიღა „დედამიწა სისხლიანი დრამების კარუსელივით ბრუნავს", თითქოსდა შეშის მოსატანად გასული მაუზერს ჩახმახზე შეაყენებს და პირველი გასროლით მეთაურს რომ დასცემს ძირს,

დანარჩენებსაც ზედიზედ მიაწვენს ისე, რომ „ბაგეთა-გან აფრენილი სიმღერის სიტყვები ჯერ არ გაცივებულა“.

მოკლულებს იარაღს ახსნის, მათსავე უნაგირებს გადაჰკიდებს და ყველა ცხენს გაუშვებს. მერე კიდევ ერთხელ ჩამოუვლის მდუმარედ განგმირულ ექვსს, ოდნავ მოშორდება და... მაუზერის ლულას საფეთქელზე მიიდებს.

„მთებში კიდევ ერთხელ დაირხა გასროლის მეყსეული ნახმევი. ახლა უკვე მეშვიდემ შეწყვიტა თავის სიმღერა...“

როგორ უნდა ჰქონდეს ყირგიზ მწერალს განცდილი ქართული სიმღერა, საერთოდ ქართული ეროვნული ხასიათი, რომ არამცთუ თვითონ შეთხზას ამგვარი ნოველა, სხვის შეთხზულსაც კი სრულყოფილად ჩაწვდეს. არადა, როგორ გინდა სხვაგვარად ახსნა, თუ არა: სიმღერამ ისე შეადუღაბა მეამბოხენი და ჩეკისტი, ისე აქცია ერთ ჰარმონიულ მთლიანობად, მათი ხმების გაქრობასთან ერთად ობლად იგრძნო თავი, სამყაროდან გამოწყვეტილად და მაუზერის ტყვია ერთადერთ გამოსავლად დაიგულა.

რა შეიძლება ბიძგი გამომდგარიყო აიტმატოვისათვის?

როგორც აკაკი ბრეგაძე გაიხსენებს, თურმე ოთარ ჭელიძეს უთქვამს მისთვის, „საქონდაქრე“ რუსულად გამოქვეყნებისთანავე ასე რომ გახმაურდა ჩვენს სალიტერატურო წრეებში: მე და აიტმატოვი გორკის ინსტიტუტში ერთად რომ ვსწავლობდით, მაშინ ვუამბე ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველოში ყოფნის უკანასკნელ დღეებზე და დახე როგორ გამოუყენებიაო.

მთარგმნელი აღტაცებას გამოთქვამს ამ რომანითაც და ყირგიზი მწერლის სხვა ნაწერებითაც, მაგრამ ვერც მკაცრი საყვედურისაგან შეიკავებს თავს, ასეთი კარგი შემოქმედი ორენოვნების აუცილებლობას რომ ქადაგებდა და თავისი ქვეყნის ტრაგედიას რუსულ ენაზე

გამოთქვამდა, რუსულად დასტიროდა, თუ როგორ იკარგებოდა ყირგიზეთის ეროვნული თავისებურებანი, ის ძვირფასი და სანუკვარი, რასაც ვერავინ და ვერაფერი შეგიცვლის.

...ეს შეხმიანება „სილუეტის" გადაცემასთან იქნებ აქვეც მოგვეთავებინა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს მეამბოხეთა მეთაურის გვარი - ჯოხაძე.

რატომ მაინცდამაინც ჯოხაძე? საიდან შეიძლება ჩარჩენოდა ეს გვარი მწერალს მეხსიერებაში, მაინცდამაინც ის რომ ამჯობინა მისთვის ძნელად გამოსათქმელ ჩოლოყაშვილს? იტყვით: ალბათ ვიღაც ჯოხაძეს კიდეც იცნობდა ან სადმე ამოიკითხაო. მართლაც ასე უნდა იყოს და ალბათ არც ისაა ძნელი დასადგენი, საიდან ჩაებეჭდებოდა გონებაში.

საქართველოში ყოფნისას ვახტანგ ჭელიძემ მას გააცნო მაშინ ახალგაზრდა და დიდად საიმედო მწერალი მაკა ჯოხაძე, ვისი ნოველების კრებულიც ცოტა ხანში რუსულადაც გამოიცემა მოსკოვის ერთერთ გამომცემლობაში. და შეუძლებელია, ჩინგიზ აიტმატოვის მეხსიერებაში არ ამოტივტივებულიყო ის სანდომიანი ქართველი ქალი, ვინც პირველი შეხვედრისთანავე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანებზე.

სახელი გურამიც ამ კერძო შემთხვევაში მაკა ჯოხაძის ნოველიდან - „გურამ-გურამ" - უნდა იყოს ნასესხები.

გვარი - ავტორისა, სახელი - პერსონაჟისა: ასე შეიქმნა „გურამ ჯოხაძე".

მაკა გადაცემისას ამის თაობაზე არაფერს იტყვის, მხოლოდ ინტერესით მოუსმენს აკაკი ბრეგაძეს, თუ ვისი ნაამბობი გამხდარა ბიძგი აიტმატოვის წარმოსახვისათვის იმ ჩართულ ნოველაში, რომელიც ქართველებს მთელ რომანად გვიღირს და მაკა ჯოხაძესაც აქამდეც არაერთხელ დაუმოწმებია ღრმა ფსიქოლოგიური გააზრების ნიმუშად.

არაფერს იტყვის... მაგრამ მაინც გრძნობ, რომ ეს ეპიზოდი რაღაც სხვაგვარადაა ძვირფასი მისთვის. ასე რომ, ნება-უნებლიეთ მაინც იკვრის რკალი, ვითომდა ისე, სასხვათაშორისოდ, მაგრამ „სილუეტს" იმთავითვე დაჰყვა თან ის იდუმალი მუსტი, არამარტო მთლიანი დიალოგი რომ არის გამომსახველი და მეტყველი, არამედ ფრაზებს შორის პაუზებიც.

ეგაა, მოსმენა და ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსების აღქმა უნდა ვისწავლოთ.

როსტომ ჩხეიძე

გაზეთი „ჩვენი მწერლობა"
2003 წ., 26 სექტემბერი - 2 ოქტომბერი